

სასო სანგრევილი

ეისტეპის ადათ-ცასეპი

გამომცემლობა „მერიდიანი“
თბილისი 2015

რედაქტორი

ზაურ გუმაშვილი

ისტორიის მეცნიერებათა
დოქტორი, პროფესორი

კომპ. უზრუნველყოფა

თამარ სტეფნაძე

ნონა ხანგოშვილი

**წიგნი გამოიცა გელანი ხალუხაევისა და უვაის მურგუსტოვის
ფინანსური მხარდაჭერით**

© გამომცემლობა „მერიდიანი“, 2015

© ხ. ხანგოშვილი

ISBN 978-9941-25-162-7



ხასო ხანგოშვილი

სარჩევი

წინათქმა	6
უფროს-უმცროსი	22
სტუმარ-მასპინძელი	38
ნათესაობა	69
მოსისხლეობა	112
ქისტური სამართალი	170
ვაჟკაცობის კოდექსი	221
ქორწინება, განქორწინება, მემკვიდრეობა	250
მიცვალებულის დაკრძალვა	299

ნინათქმა

„მე არ მინდა ფაფახი გაუცვალო ჩალმაზე,
პაპა ატარებდა მას ღირსების სიმბოლოდ!“

მალსაგ უჟახოვი

ორიოდე წლის წინ დუშეთში, ბაზალეთის ტბის ნაპირას აღი-
ნიშნა გაბრიელ ჯაბუშანურის ხსოვნის საღამო, სადაც მიწვეული
ვიყავი და მიუხედავად ჩემი შეზღუდული ფიზიკური შესაძლებლო-
ბისა, მიწვევა სიამოვნებით მივიღე. ჯოყოლოელმა მომლერალმა
სულთან ბორჩაშვილმა უფროსისადმი ჩვეული ქისტური პატივის-
ცემა გამოხატა და ბაზალეთში ამიყვანა.

ჩემი პირველი გაოცება და აღფრთოვანება გამოიწვია ბაზა-
ლეთის ტბის პირას აღმართულმა ციხე-ნაგებობებმა, სხვადასხვა
ისტორიული არქიტექტურის კომპლექსმა, რომელიც ეხამებოდა
ადგილობრივ რელიეფს და ძალაუნებურად გადაჰყავდი კავკასიის
წარსულში. რეალურად მომეჩვენა იღია ჭავჭავაძის „ბაზალეთის
ტბაში“ ასახული ლეგენდა ტბის ძირში, აკვანში მწოლიარე ყრმის
შესახებ.

თითქმის ჩავწედი, გავიაზრე ამ ზღაპრული კოშკების ავტო-
რის, ჭეშმარიტი მამულიშვილის დათო ქაფიაშვილის იდეას, ეს, ასე
ვთქვათ, პრელუდია, შეგრძნებისეული წვდომა იყო ხევსური კაცის
სულის ბუნებისა, რომლის შემადგენლი ნაწილია მთა და კოშკე-
ბი, წარსულის ბრძოლებისა და თარეშების გახსენება, წინაპართა
სისხლის ყივილი. და ჩემთვისაც ახლობელია ყოველივე ეს, რო-
გორც ქისტი კაცისთვის, რომლის წინაპრებიც განთქმულნი იყვნენ
სწორედ თავისუფლებისთვის ბრძოლებით, თარეშებითა და საო-
ცარი საბრძოლო კოშკების მშენებლობით.

აქ, ბაზალეთის ტბის პირას, ამ საოცარ ციხესიმაგრეთა კომ-

პლექსში, სადღაც გულის სიღრმეში ველოდი, რომ, აი, იფეთქებს ბრძოლის ყიუინა, რაშების თქარათქური გადათელავს ბალახს და ატყდება ხმლების ჩახაჩუხი და ფართა დაჯახების უღრიალი.

მასპინძელმა გაბრიელის პოეზიის ზეიმი გახსნა. მისმა სიტყვის ბოლოს გადმოსროლილმა ლოზუნგმა კვლავ განმაცვითრა – „წინ, წინაპრებისკენ!“ როგორ, როგორ თუ წინ წინაპრებისკენ, ეს ხომ უკუსვლაა, ეს ხომ შეუ საუკუნეებში დაბრუნებაა! ეს კაცი მატერიალურად და სულიერად წარსულში ბრუნდება, მაშასადამე, უარს ამბობს პროგრესზე, ცივილიზაციაზე!

ეს იყო პირველი, ნაუცბათევი, ნათქვამის არსში ჩაწვდომის გარეშე მომსკდარი ფიქრი, მაგრამ უცბად მივხვდი ამ ლოზუნგის მნიშვნელობას. ყველაფერი, რაც ირგვლივ იყო, ერთ ფოკუსში მოექცა: ბუნება, ციხესიმაგრე, ბატონი დათოს ხევსურული ჩაცმულობა, შეკრებილი საზოგადოება (საქართველოს მთიანეთი) და რაც მთავარია, კავკასიის მომღერლის პოეზია.

ისიც გავისიგრძეგანე, რომ ბატონი დათო, ბიზნესმენი, რომელიც ევროპაში მოღვაწეობს, ევროპელი ქალი მოიყვანა ცოლად და მის პატივსაცემად ევროპული ფეოდალური ციხეც აღმართა შატილის მიკროკომპლექსის პირდაპირ, დიად მიზანს ისახავდა – დაეცვა კავკასიური კულტურა, დაეცვა ის განუმეორებელი ადათ-წესები, ზნე-ჩვეულებები და ტრადიციები, რითაც მდიდარია კავკასია და რომელთაც აღტაცებაში მოჰყავს ევროპა და მსოფლიოს სხვადასხვა კუთხიდან ჩამოსული ტურისტები, მეცნიერები, მწერლები, მუსიკოსები, პოლიტიკოსები და სხვ.

მართლაც, ეს სიმდიდრე, რაც ჩვენმა წინაპრებმა აქამდე მოიტანეს, რატომ უნდა დავივინყოთ, რატომ უნდა გავცვალოთ ევროპულ ღირებულებებზე, რომლებიც ე.წ. დემოკრატიულმა პრინციპებმა არათუ დააკინია, ზოგ სფეროში ამორალურობამდე დაიყვანა. შეიძლება, მკითხველმა ფრიად კონსერვატიულ გამოხტომად მიიჩნიოს ეს ჩემი თამამი განცხადება, მაგრამ უმორჩილესად ვთხოვ, ჩაიხდოს გულის სიღრმეში და ისე განსაჯოს. ჩვენი ასეთი გამალებული ლტოლვა ევროპისაკენ, ჩვენი ადათ-წესების,

ზნე-ჩვეულებების, ტრადიციების, ათასწლეულების განმავლობაში წინაპრების მიერ სისხლით დაცული და ჩვენამდე მოტანილის უარყოფა ხომ თვითშეგნების, ეროვნულობის უარყოფაა.

დედამიწის რომელ კუთხეში, რომელ ერში იპოვით ადამიანის ღირსების ისეთ დოზას, როგორც ეს კავკასიაშია. ან სტუმარმასპინძლობის, უფროს-უმცროსობის, ნათესაობის, ურთიერთთანდგომის, რელიგიის სიწმინდის, რაინდობის, სამშობლოს სიყვარულისა და კიდევ ვინ მოთვლის, რამდენი უნიკალური თვისებების მქონე ინსტიტუტებს, როგორიც კავკასიაშია და რომლებიც ყველაზე დიდი დოზით ვეინახებში – ჩეჩინებში, ინგუშებში და ქისტებში შემორჩა.

მწერლის ან მეცნიერის პრეტენზია არასდროს მქონია. კალამს ხელს ვკიდებ მხოლოდ მაშინ, როცა ვგრძნობ, რომ ჩემს ხალხს საფრთხე ემუქრება, ფიზიკური თუ სულიერი. ამჯერად ქისტების ზნე-ჩვეულებებს, ადათ-წესებსა და ტრადიციებს საფრთხე დაემუქრა, თანაც ეს საფრთხე შემოვიდა, შემოგვიჩნდა ნელ-ნელა, შეუმჩნევლად და გეგმაზომიერად, თანმიმდევრობით და სისტემურად დაიწყო საუკუნეების განმავლობაში ჩამოყალიბებული ეთიკის, ეს-თეტიკისა და ეთნოფსიქო ინსტიტუტების მსხვრევა.

მეთოდები ამ, თამამად შეიძლება ვუწოდოთ, სულიერი ვანდალობის ევოლუციური რევოლუციისა, შერჩეულია უმაღლეს დონეზე. ეს სულიერი დეგრადაცია მიმდინარეობს ალაპის სახელით, სწორედ რელიგია გამოიყენეს დაინტერესებულმა ორგანიზაციებმა დასახული მიზნის აღსასრულებლად.

ქისტების, ვეინახების წინააღმდეგ სხვადასხვა ეპოქაში მძლავრი სახელმწიფოები იბრძოდნენ, მაგრამ ვერავინ შეძლო ამ ხალხის მენტალიტეტის, სულიერი სიმტკიცის, ძლიერი ოჯახის შერყევა, მარტო რუსეთის 300-წლიანი ბრძოლა ჩეჩინეთ-ინგუშეთის წინააღმდეგ კმარა ვეინახების თვითმყოფადი ხასიათის, ღირსების გრძნობის, თავისუფლების სიყვარულისა და საუკუნეების განმავლობაში შეურყვნელი სულიერების წარმოსაჩენად.

თუკი ქისტებს წაართმევ სტუმარ-მასპინძლის წეს-ჩვეულებას, უფროს-უმცროსის ურთიერთობის ადათს, მეგობრობის, მეზობ-

ლეპთან დამოკიდებულების, ნათესაობის ტრადიციებს, ერისა და სამშობლოს სიყვარულს და სხვ. ზნეობრივ-მორალურ ნორმებს... დარჩება მხოლოდ წინაპრების ჩრდილი. ქისტები, როგორც ეთ-ნოსი, ეროვნება ცნობილია მთელს კავკასიაში სწორედ თავიანთი მენტალიტეტის, ადათ-წესებისა და ზნე-ჩვეულებების წყალობით, წინაპართა ტრადიციების ერთგულებით. სწორედ წინაპრებმა დიდი რუდუნებით, ძალისხმევით, ტანჯვითა და ვაებით, სისხლითა და ოფლით ჩამოაყალიბეს ცხოვრების წესი და რიგი, რომელთაც დღე-საც აღტაცებაში მოჰყავთ მსოფლიოს სხვადასხვა კუთხიდან ჩამოსული ტურისტები.

დღეს ყოველივე ამის წინააღმდეგ გამოდის არა გარეშე ძალა, არამედ ქისტი ახალგაზრდობის ნაწილი, ე.წ. ვაჲაბიზმის მიმდევრების რადიკალური ფრთა, რომელთა იდეოლოგია არღვევს ქისტური საზოგადოების ერთიანობას, უპირისპირებს ერთმანეთს უფროს და უმცროს თაობას, ცდილობს და ნაწილობრივ ახერხებს კიდეც ქისტური თემის არაბიზაციას. ცნობილია, რომ მოზარდებზე ზეგავლენა ყველაზე იოლია და ვაჲაბიტების სამოქმედო ობიექტიც ახალგაზრდობაა და მათ ორ ათეულ წელიწადში „დიდ წარმატებას“ მიაღწიეს კიდეც. სალაფიდების (ამჟამად თავს ასე წარმოგვიდგენენ) რელიგიურ პარტიაში (ლრმად თუ ჩავიხედავთ, ვაჲაბიზმი წარმოგვიდგება, როგორც რელიგიურ-პოლიტიკური პარტია) ახალგაზრდები 99% შეადგენენ, უფროსი თაობის რამდენიმე კაცი თუ მისდევს ამ მიმდინარეობას.

საქმე მარტო ისლამს, ისლამის მიმდინარეობებს რომ ეხებოდეს, კიდევ შეიძლებოდა კონსესუსის მიღწევა, მაგრამ თაობებს შორის დაპირისპირების საგანი ისეთი პრინციპული საკითხებია, როგორიცაა ეროვნულობა, სამშობლო, ადამიანის დანიშნულება, ცხოვრების წესი და სხვ.

გასული საუკუნის 80-იანი წლებისათვის ქისტებს ახმეტის რაიონში მეორე ადგილი ეკავათ განათლების დონის მიხედვით. მათ მხოლოდ თუშები უსწრებდნენ, რომლებიც ეკონომიკურად უფრო ძლიერნი იყვნენ და თბილისშიც ჰყავდათ ინტელიგენცია,

რომელიც ხელს უმართავდა სწავლისმოყვარე ახალგაზრდებს. ქისტებს აღნიშნულ პერიოდში ჰყავდათ ყველა სფეროში უმაღლესი განათლების მქონე სპეციალისტები და აქტიურად მონაწილეობდნენ რაიონის საზოგადოებრივ ცხოვრებაში.

როგორი მდგომარეობაა დღეს? სავალალო! 90-იანი წლებიდან იწყება ამ კუთხით მკვეთრი დაქვეითება... ცხადია, პირველ ხანებში საქართველოს პოლიტიკურ ცხოვრებაში მიმდინარე მოვლენებმა თავისი გავლენა იქონია ქისტების განათლებაზე, მაგრამ პოლიტიკური სიტუაციის გაუმჯობესებამ რაიმე ცვლილება არ გამოიწვია, პირიქით, უფრო გაუარესდა მდგომარეობა: ახალი რელიგიური მიმდინარეობა, რომელიც ეყრდნობა ისლამურ ფუნდამენტალიზმს, აღიარებს მხოლოდ და მხოლოდ რელიგიურ განათლებას, ქალებს, საერთოდ, ეკრძალებათ განათლება და ა.შ.

შედეგად მივიღეთ სრულიად გაუნათლებელი ახალგაზრდობა, რომელიც ჩაკეტილია ვიწრო რელიგიურ ჩარჩოში, აბსოლუტურად გათიშულია საზოგადოებრივი ცხოვრებიდან. აღნიშნული მიმდინარეობა ახალგაზრდობას აბრუნებს შუა საუკუნეების ეპოქისკენ. მოვიყვანთ ერთ მაგალითს, რომელიც ნათლად გვიჩვენებს არსებულ საგანგაშო მდგომარეობას. მიმდინარე წელს გამოცხადდა გამოცდები მუნიციპალიტეტებსა და სოფლებში საჯარო მოხელეთა შერჩევისათვის. სოფელი დუისი ყველაზე დიდი სოფელია პანკისის ხეობაში, დაახლოებით 1200 კომლი მაცხოვრებლით. ამ სოფელში, პანკისის ცენტრში არ აღმოჩნდნენ ახალგაზრდები, რომ მიეღოთ მონაწილეობა გამოცდებში და გადაელახათ ბარიერი. და კიდევ ერთი მაგალითიც: ახალი მთავრობა დაინტერესდა არსებული პრობლემით და დაგვეხმარა ქისტებს, რათა ე.წ. ტრადიციული ისლამის, ჭეშმარიტი ისლამის გაძლიერებისათვის პანკისში შეგვერჩია ახალგაზრდები და თბილისში მიგვევლინა რელიგიური განათლების მისაღებად ექვსთვიან კურსებზე. წარმოიდგინეთ, ძლივს მოვნახეთ 5 ახალგაზრდა, რომელთაც გამოთქვეს თანხმობა. 6 თვის განმავლობაში საცხოვრებელი, კვება და სწავლა უფასოა, რაც მიანიშნებს მთავრობის ზრუნვაზე ახლგაზრდების ჭეშმარიტი

რელიგიური აღზრდისათვის.

ვაჰაპიტები კატეგორიულად ენინააღმდეგებიან კულტურულ ლონისძიებებს, ცეკვა-თამაშს, სიმღერასა და მუსიკას უკრძალავენ ახალგაზრდებს. იყო დრო, როცა პანკისში მოქმედებდა არათუ ახალგაზრდების ცეკვისა და სიმღერის ანსამბლი, არამედ ხანდაზმულთა ანსამბლიც, რომელმაც სხვადასხვა ფესტივალზე ოქროს მედლები მოიპოვა. სკოლის მოსწავლეებმაც რამდენჯერმე დაიმსახურეს ოქროს მედლები. ქორეოგრაფი გოგია ბალაკიშვილის ხელმძღვანელობით ჩამოყალიბებული ეს ანსამბლები საქართველოში მიმდინარე სერიოზულ კულტურულ ლონისძიებებში წარმატებით გამოდიოდნენ და მაყურებლის დიდ მოწონებასაც იმსახურებდნენ. 100 ქისტიდან 90 ცეკვავდა, მაგრამ დღეს იშვიათად თუ იხილავთ კარგ მოცეკვავეს.

ჩვენმა წინაპრებმა სისხლის, გაჭირვებისა და ტანჯვის შედეგად შექმნეს ისეთი ფასეულობები, რომელთაც ხალხი განცვიფრებაში მოჰყავს. მსოფლიოს სხვადასხვა კუთხიდან ჩამოდიან მეცნიერ მუშაკები, ეთნოგრაფები, ტურისტები, რომლებიც ეცნობიან ქისტურ ადათ-წესებს, ზნე-ჩვეულებებს, ტრადიციებს და აღტაცებაში მოდიან. ვაჰაპიტები კი პატივს არ სცემენ წინაპრებს, რომელთაც ისლამი შეინარჩუნეს ქრისტიანულ სახელმწიფოში და ჩვენამდე მოიტანეს. რომ არა ჩვენი მამა-პაპანი, ვინ იქნებოდნენ დღევანდელი ახალგაზრდები, ისლამზე რომ თავს დებენ? ქრისტიანები იქნებოდნენ, დიახ, ქრისტიანები! როგორც არიან დუშეთისა და თიანეთის რეგიონებში დასახლებული ქისტები, რომლებიც გაქრისტიანდნენ და გაქართველდნენ.

სამწუხაროდ ამ ახალგაზრდების დიდზე დიდ ნაწილს წარმოდგენა არ აქვს ისლამის არსზე, ისლამის ისტორიაზე, ჩვენ, უფროსებს გვმოძღვრავენ. წარმოდგენა არ აქვთ იმაზე, თუ რა ხდება დღეს მსოფლიოში, რომ მათი და მათ მსგავსთა წყალობით ხდება ორი იდეოლოგიის – ისლამისტური და იდეურ-ქრისტიანული რელიგიის დაპირისპირება, რაც დამღუპველ შედეგებს მოიტანს.

სხვადასხვა რელიგიის მიმდევრებს სულიერ სფეროში სა-

დავო არაფერი აქვთ, ყველა რწმენის ადამიანი უნდა იღვწოდეს მშვიდობიანი თანაარსებობისათვის, რამეთუ ღმერთი ერთია მთელი კაცობრიობისათვის და ყველა ადამიანის ვალია, პირნათელი წარდგეს მის წინაშე. თუ ვინ იარა მართალი გზით, თავად უზენაესი გაარჩევს და არავის აქვს უფლება, უფლის პრეროგატივა მიითვისოს. განკითხვის დღეს უფალი განსჯის მტყუანსა და მართალს!

წინამდებარე ნაშრომის მიზანი გახლავთ ის, რომ მომავალმა თაობამ გაიგოს და შეიცნოს წინაპართა ღირებულებები და ამ ღირებულებებით იცხოვროს. ეს ღირებულებები ჩვენმა წინაპრებმა ისლამთან შესაბამისობაში მოიყვანეს. რაც ისლამისთვის მოუღებელი იყო, უარყვეს და რაც შესაბამისობაში მოდიოდა, შეინარჩუნეს. ამით მათ ისლამი გაალამაზეს, მეტი სიმტკიცე მიანიჭეს. ეს უნდა იცოდეს თითოეულმა ქისტმა და არ უნდა შეეცადოს, სხვისი მანტია მოისხას!

ერთხელ ქისტებმა გადაწყვიტეს, რომ აერჩიათ თავადები. მათ თქვეს: ჩვენს გარშემო მცხოვრებ ყველა ხალხს ჰყავთ თავადები, ჩვენ ვინ ვართ, ასე რომ გამოვირჩევით სხვებისგანო. სამი დღე მიმდინარეობდა ყრილობა, ყველა ჭკვიანი, ცნობილი ადამიანები ჰყავდათ მოწვეული, მაგრამ შეთანხმებას ვერ მიაღწიეს. ერთი ცნობილი უხუცესი არ ესწრებოდა ყრილობას, მიუხედავად მრავალგზის მოწვევისა, არ გამოცხადდა შეკრებაზე, იმდენად მიუღებლი იყო მისთვის გადასაწყვეტი საკითხი. ბოლოს მესამე დღეს გამოცხადდა. თეთრ ცხენზე იჯდა, უნაგირი და სხვა აღვაზმულობა ვერცხლით იყო მოქედილი, ძვირფასი ატლასის ჩოხა-ახალუხი ეცვა, წელზე ვირის მოსართავი შემოერტყა და ზედ ვერცხლით მოქედილი ხანჯალი ეკიდა. ხალხი განცვიფრებული უყურებდა ამ უჩვეულოდ მორთულ კაცს.

უხუცესი შეეკითხა შეკრებილებს:

- ხალხო, მიხდება ასეთი ჩაცმულობა?
- კი, ძალიან კარგია, მაგრამ ეს ვირის მოსართავი, წელზე რომ გარტყია, ყველაფერს აფუჭებს, – უპასუხეს მოხუცს.

— როგორც ეს მოსართავი აფუჭებს მთელ ჩემს აღკაზმულობას, ისე თავადობა გააფუჭებს ჩვენს თავისუფალ ხალხს! — უპასუხა დროულმა.

ხალხი მიხვდა ყველაფერს, გადაწყვეტილება მიიღეს, რომ ვეინახებში არასოდეს იქნებოდა ფერდალური ურთიერთობა და დაიშალნენ. არც ქისტებს, რომლებმაც საუკუნეების სილრმიდან დღემდე მოიტანეს თვითმყოფადობა, არ მოუხდებათ არაბული ადათ-წესები და ზენ-ჩვეულებები. ვაჟაპიტების არაბული მიხადვით ჩაცმა-დახურვა აუმნოებს ჩვენს ახალგაზრდებს, ვაჟებს და ქალიშვილებს, რომლებიც გამოირჩევიან ტანადობითა და სილამაზით. კაცი რომ კაბას ჩაიცვამს, ქალს არ ემსგავსება? ქალი რომ შარვალს ჩაიცვამს, კაცს არ ემსგავსება? ასევე მათი იდეოლოგია აფუჭებს მათ სულიერ სამყაროს, რაც საბოლოდ დაღუპავს ქისტურ საზოგადოებას.

ადათ-წესების უგულებელყოფა მთლიანად ვააბიტებისათვის გადაბრალება უსამართლობა იქნება, მათში საკმაოდ დიდი ნაწილი მისდევს მამა-პაპათა ადათ-წესებს, იცავს უფროს-უმცროსის, სტუმარმასპინძლობის, ნათესაობისა და სხვა ჩვეულებებს, ეს სისხლში, გენებში აქვთ. უდავოა ის ფაქტი, რომ ეპოქა, ცივილიზაცია ახდენს ზემოქმედებას საზოგადოების ცხოვრებაზე და ცვლის ზენ-ჩვეულებას, ტრადიციებს და სხვ. მაგრამ, როცა ამ ისტორიულ, შეიძლება ითქვას, გარდუვალ პროცესში ჩაერევა გარეშე ძალა, რომლის მიზანია გადაიყვანოს ისლამური თემი ცივილიზაციის რელსებიდან და დაბრუნოს წარსულში, კატაკლიზმებს იწვევს საზოგადოებრივ ცხოვრებაში. სულაც არ ვარ მომხრე დასავლური ცივილიზაციისა ზნეობრივ-მორალურ სფეროში, პირიქით, ამ კუთხით, ღრმად ვარ დარწმუნებული, ისლამი ასრულებს საზოგადოების გამაჯანსალებელ როლს, იცავს ადამიანებს ზნეობრივი დეგრადაციისაგან.

როგორ შეიძლება უფსერულისკენ მიმავალი ახალგაზრდობის შეჩერება? ეს ყველას აინტერესებს, ქისტებსაც და ქართველებსაც, მოხელესაც და მოქალაქესაც! ჩემი ღრმა რწმენით, ძა-

ლადობით ამის შეჩერება შედეგს ვერ გამოიღებს. აუცილებელია, საზოგადოების მხარდაჭერით, მთავრობის ძალისხმევით, ჭემმარიტი ისლამის გაძლიერებით. მართალია, ქისტებმა თითქმის მთლიანად შეინარჩუნეს წინაპართა – ჩეჩენებისა და ინგუშების ადათ-წესები, ზენ-ჩევეულებები და ტრადიციები, მაგრამ საქართველოში 200-წლიანი ცხოვრების პერიოდში მოხდა საგრძნობი ცვლილებები და ჩამოყალიბდა მხოლოდ ქისტებისათვის დამახასიათებელი ეთ-ნიკური, ეთიკური თუ ესთეტიკური ნორმები.

ჩეჩენეთსა და ინგუშეთში დიდად არ განსხვავდება ესა თუ ის ადათ-წესი, მაგრამ თითქმის თითოეულ თეიფები (გვარში) თოხუმში (ტომში), ცალკეულ რეგიონში სხვადასხვა ნორმები მოქმედებს. მაგალითად, სისხლის საფასური სხვადასხვაგვარია მაისტელებში, მითხოვებში (მელხები), ახალებსა და სხვ. თეიფებში. ასევე სხვადასხვაგვარია ურვადის საფასურიც თეიფებსა და თოხუმებში, ცალკეულ სოფლებშიც კი განსხვავებულია. ამ კუთხით პანკისელ ქისტებში ეს საკითხი კარგად არის მოწერილებული.

პანკისის ხეობაში ქისტები გამოჩნდნენ XIX საუკუნის 20-იანი წლების ბოლოს. გადმოცემის მიხედვით, დუი ციცხაშვილი (ციცხაშვი), ნარმოშობით დიშნელი, დაუკავშირდა თიანეთის მაზრის უფროსს და საქართველოში დასახლების ნებართვა სთხოვა. ამ პერიოდში, მე-19 საუკუნის დასაწყისში, თიანეთის მაზრაში, კერძოდ, თიანეთის მახლობლად, ჩაბანოს ხეობაში სახლობს ქისტური დიასპორა, საკმაოდ მრავალრიცხოვანი, რამეთუ მათ ადგილ-საცხოვრებელს პატარა ქისტეთ უწოდებდნენ. დუი დიშნელი დიშნიდან მაისტები გადმოსახლდა, მოსისხლეებს გამოერიდა და იქ ცხოვრების 10 წლის მანძილზე შეისწავლა ქართული ენა (ხევ-სურებთან მაისტელებს მჭიდრო ურთიერთობა ჰქონდათ და ერთ-მანეთის ენებიც იცოდნენ).

თიანეთის მაზრის უფროსის ნებართვით დუი იწყებს მოგზაურობას საქართველოს მთის რეგიონებში, კერძოდ, თელავის მაზრაში, მოიარა პანკისი, ალვნების მიდამოები, სადაც წოვა თუშების ჩამოსახლება უკვე დაწყებული იყო, ფშაველი და ართანა. საბოლო-

ოდ არჩევანი შეაჩერა პანკისის ხეობაზე, რომელიც იმ პერიოდში უკაცრიელ ხეობას წარმოადგენდა. 1791 წ. აღწერით ბახტრიონში, სოფ. ბორბალოში ქისტების 19 ქისტური კომლი ცხოვრობდა. სავარაუდოა, რომ ამანაც განაპირობა დუი დიშნელის არჩევანი პანკისზე. და კიდევ იმანაც, რომ პანკისი ყველაზე ახლოს იყო მის სამშობლოსთან (პანკისიდან კარგი მოსიარულე ერთ დღეში მაისტ-ში ჩავა).

როგორც ითქვა, პანკისი, ერთ დროს ქართული მოსახლეობით მჭიდროდ დასახლებული, მოსახლეობისგან დაცლილია. ხეობიდან მოსახლეობის გადინების ძირითადი მიზეზი ლეკიანობაა. პანკისი წარმოადგენდა დერეფანს კახეთზე ლეკების თარეშისა. ამ გზით ლეკები გორამდეც კი აღწევდნენ. უდავოდ თიანეთის მაზრის უფროსის, ქართული ადგილობრივი ხელისუფლების მიზანიც ის გახლდათ, რომ პანკისში ვეინახური მეომარი ტომების ჩასახლებით აღეკვეთათ ლეკთა თარეში.

ქართველი მეფები ანტიკური დროიდან შინაური და გარეშე მტრების წინააღმდეგ საპრძოლველად იწვევდნენ ჩრდილოკავკასიელებს, მათ შორის ვეინახებსაც. ასეთი პროცესები, დაწყებული საურმაგ მეფიდან თამარის ეპოქაში და ერეკლე მეფის დროსაც გრძელდებოდა, გასაგებია, რომ XIX საუკუნის დასაწყისშიც გამოიყენეს ეს გამოცდილება. ამაზე უფრო ნათელ წარმოდგენას გვაძლევს ჯოყოლა დარქიზანაშვილის, მაისტელი ბელადის პანკისში გადმოსახლების ისტორია.

ჯოყოლას უკავშირდება თაინეთის მაზრის უფროსი თუშეთის მოურავის ი. ცისკარიშვილის მეშვეობით და სთავაზობს პანკისში გადმოსახლებას. ამით მაზრის უფროსი რამდენიმე კუთხით აგვარებდა პრობლემას: 1) მაისტის მეომარი თემის პანკისში ჩასახლებით, როგორც დუი დიშნელთან დაკავშირებით, მოხდებოდა ამ დერეფნის ჩაკეტვა ლეკებისათვის; 2) მოუსვენარი, მოთარეშე მაისტელი ბელადის პანკისში დასახლებით და მშვიდობიან ცხოვრებაში ჩაბმით შეწყვეტდა მის მეკობრულ თარეშს თუშეთზე. 3) დუი დიშნელიცა და ჯოყოლა მაისტელიც უპირისპირდებოდნენ შამილს

და მის მცდელობას მთის ისლამიზაციას და შარიათის დამკვიდრებას. მაშასადამე, ამით დაცული იყო რუსეთის ინტერესი, რომელიც სისხლისმღვრელ დამპყრობლურ ომს აწარმოებდა ჩრდილო კავკასიაში.

ქისტების ინტერესშიც შედიოდა საქართველოში დასახლება: ა) პირველ ყოვლისა, მათთვის ახლობელი იყო ქართველი ხალხი საერთო ფესვებით, მსგავსი ადათ-წესებით, ზნე-ჩვეულებებითა და ტრადიციებით და რაც მთავარია, მეგობრული, შემწყნარებლური დამოკიდებულებით მეზობლებისადმი. ბ) ვეინახები სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლას ეწეოდნენ რუსი ოკუპანტების წინააღმდეგ. რუსეთის არმია, გენერალ ერმოლოვის ბრძანებით, მიწასთან ასწორებდა აულებს, ანადგურებდა სულიერ და მატერიალურ კულტურებს, სპობდა ყანებსა და ბალებს, ჩეხდა უღრანტყეებს და მთებისკენ ერეკებოდა მოსახლეობას, რათა შიმშილითა და სიცივით დახოცილიყვნენ. მოსახლეობის ნაწილი გადმოდიოდა კავკასიის ქედსგადმოღმა და საქართველოში პოულობდა თავშესაფარს. გ) მიგრაციის ერთ-ერთი მიზეზი იყო ეკონომიური სიდუხჭირე: მთაში, მცირე და მწირი სახნავ-სათესის, მკაცრი კლიმატური პირობები გაუსაძლის ცხოვრებას უქმნიდა მთიელ ვეინახებს და ისინიც ბარაქიანი ბარისკენ, საქართველოსკენ იწევდნენ. დ) მესისხლეობაც აიძულებდა ქისტებს დაეტოვებინათ სამშობლო და საქართველოში ეძებნათ თავშესაფარი.

ყოველივე ზემოთქმულის შედეგად პანკისში მოხდა ქისტების კომპაქტური დასახლება. უკვე XIX საუკუნის 60-იანი წლებისათვის პანკისში არსებობდა რამდენიმე ქისტური სოფელი. დუისში 60-მდე კომლი იყო, ჯოყოლოში – 30-ზე მეტი, ომალში – 40 კომლი.

როგორც ითქვა, დუისში ქისტების დასახლების პერიოდში პანკისში ქართული მოსახლეობა არ არის. დღევანდელი სოფ. ყვარელწყლის ტერიტორიაზე უკანა ფშავიდან საზაფხულოდ საქონელი გადმოჰყავდა ფშაველ თათარა ცხვირაშვილს, ნადირის ეშინოდა და და კოშკივით ნაგებობა ჰქონდა ამართული, სადაც იძინებდა. აღნიშნული 1860 წ. კამერული აღწერით კოშკებში 2 კომლი ცხოვ-

რობდა, 6 კაცი და 7 ქალი.

თემური საზოგადოების თვალსაზრისით პანკისში საკმაოდ ჭრელი ვითარება შეიქნა. როგორც ითქვა, პირველად დიშნელები და მაისტელები დასახლდნენ, შემდეგ მათ მოჰყვა მითხოელები, ხილდახაროელები, ახილები, ჰაჩაროელები, შატოელები, და სხვ. თემების წარმომადგენლები. ცხადია, თითოეული თემი სამშობლოში თავიანთი ადათ-წესების მიხედვით ცხოვრობდა, მაგრამ პანკისში ჩასახლების შემდეგ ვითარება შეიცვალა. რამდენიმე სოფელში თავმოყრილი სხვადასხვა თემის წარმომადგენელებს შეთანხმებულად უნდა ეცხოვრათ და ამისთვის აუცილებელი გახდა ცხოვრების ერთნაირი წესის შემუშავება.

ეს პროცესი ათეული წლების განმავლობაში გრძელდებოდა, მოსახლეობის ყრილობებზე ხდებოდა ახალი კანონების შემუშავება, რომელიც სავალდებულო იყო პანკისელი ქისტებისათვის. თანაც ხდებოდა ცხოვრების წეს-კანონების შეხამება მიმდინარე ეპოქასთან, საქართველოს სახელმწიფო კანონმდებლობის გათვალისწინება, რაც უაღრესად პროგრესული მოვლენა გახლდათ.

ცხადია, ამ პროცესებზე თავისი ზეგავლენა იქონია რელიგიამაც. პანკისში პირველმოსახლე ქისტები წარმართები იყვნენ, მაგრამ ქრისტიანობასთანაც და ისლამთანაც შეხება ჰქონდათ. სოფ. დუისში, ალაზნის პირას, დღევანდელ ძველ სასაფლაოს მიდამოებში იდგა ნიშა-საყდარი, რომელიც 1903 წელს წყალდიდობამ წალეკა. ეს ნიშა პანკისის მოურავს აუშენებინა მეუღლის სულის მოსახსენებლად. სწორედ ამ საყდრის მახლობლად, რაღაც 200 მ. ჩრდილოეთით დასახლდა დუი დიშნელი და ამ ნიშაში მოათავსა თავისი კერპი – მაისტის ომის ღმერთის ქანდაკება.

შემდეგში დუისში იმძლავრა ისლამმა, რაც განაპირობა ჩეჩენეთ-ინგუშეთში შამილის დროს ისლამის დამკვიდრებამ და დუისელი ქისტების მჭიდრო კონტაქტებმა წინაპართა სამშობლოსთან. სულ სხვა პროცესი წარიმართა ჯოყოლოში, სადაც საბოლოოდ, 1866 წლისათვის გაბატონდა ქრისტიანობა, 1888 წ. აშენდა ეკლესია, მთელი მოსახლეობა მოინათლა, სოფ. ომალოში წაწილმა ქრის-

ტიანობა მიიღო, უმეტესობამ ისლამი, მაგრამ ორივე სოფელში წარმართული კულტი ჯერ კიდევ ძლიერი იყო.

XX საუკუნის 40-50-იან წლებიდან საბოლოოდ ისლამი მკვიდრდება პანკისის ქისტურ სოფლებში და დღეისათვის მთელი მოსახლეობა ისლამს მისდევს. საჭირო გახდა ქისტური ადათ-წესების, ზნე-ჩვეულებებისა და ტრადიციების ისლამთან შესაბამისობაში მოყვანა. ეს პროცესი ჯერ კიდევ შამილმა დაიწყო და განახორციელა ჩეჩენთში. ასე რომ, ქისტებს არ გასჭირვებიათ ამ კუთხით რეფორმები. უხუცესებმა დიდი ძალისხმევით გაართვეს თავი ამ როულ ამოცანას და დღეს პანკისელ ქისტებში მოქმედებს ერთიანი ადათ-წესები, ზნე-ჩვეულებები და ტრადიციები, რაც სავალდებულოა ყველა მოსახლისა და სოფლისათვის. თუმცა ვაჰაბიზმის ხეობაში გავრცელებამ უარყოფითი ზეგავლენა მოახდინა მაჰმადიანურ ადათ-წესებზე.

ვაჰაბიტების საპროპაგანდო ობიექტია ახალგაზრდობა, ყმანვილები, რომელთაც ჯერ კიდევ შეგნებული და შეცნობილი არ აქვთ თავიანთი ხალხის ისტორია, წინაპრების გმირული წარსული. სწავლა-განათლებას, სპორტს, კულტურულ საქმიანობას მოწყვეტილი ახალგაზრდები მთელ თავიანთ დროს რელიგიას ანდომებენ, უფრო სწორად, ვაჰაბიტები ისეთ ფონს ქმნიან, რომ რელიგიის იქით არ ახედებენ, თანდათანობით უნერგავენ არაბულ ადათ-წესებს. ერთი სიტყვით, ეს რელიგიურ-პოლიტიკური პარტია თავის პროგრამას ბრნყინვალედ ახორციელებს ახალგაზრდებში და მეთოდებიც კარგად აქვთ შერჩეული.

1958 წ. თელ-ავივში გამოცემულ „კატეხიზმოს სსრკ-ს ებრაელებისათვის“ ვკითხულობთ:

„ხალხი თავისი ისტორიის გარეშე ისეა, როგორც ბავშვი მშობლების გარეშე და მისგან შეიძლება გამოიძერნოს ყველაფერი, რაც კი საჭიროა, ჩავდოთ მასში ჩვენი მსოფლმხედველობა, ჩვენი აზრების ნიმუში.“

ვაჰაბიტების წრეში მოხვედრილი ახალგაზრდა უდედმამო ბავშვი ხდება და ადვილად გადაჰყავთ თავის მხარეზე და უპირისპი-

რებს მშობლებსა და ნათესავებს.

აღნიშნულ ეპრაელთა პროგრამაში წერია: „ასეთი ხერხით შესაძლებელია და საჭიროა მთელი ხალხი სახის გარეშე დავტოვოთ. დასაწყისში ისინი მოსწყდებიან თავიანთ ისტორიას და ტრადიციებს, შემდეგ ჩვენ გავაფორმებთ მათ ჩვენი ნიმუშისა და მსგავსობის მიხედვით“.

მზაკვრული ხერხია, დამეთანხმებით. თითქმის მსგავსი მეთოდებით მიმდინარეობს ქისტი ახალგაზრდების გადაბირება ახალი რელიგიური მიმდინარეობისაკენ. ახალგაზრდების უმეტესობა, რომლებიც იზიარებენ ვაჲაბიზმის იდეოლოგიას, ცუდად იცნობენ თავისი ხალხის ისტორიას, ვერ ერკვევიან ისეთ იდეალებში, როგორიცაა სამშობლო, ერი, დამოუკიდებლობა, თავისუფლება და სხვ. მათვის უცხოა საკაცობრიო იდეალები, რომლისთვისაც პატრიოტი ადამიანები თავს სწირავდნენ. ისინი კარჩაკეტილ ცხოვრებას ეწევიან.

ასეთი ახალგაზრდების თავისი მიზნებისათვის გამოყენება ადვილია, ვაჲაბიტების ლიდერებიც იყენებენ ეპრაულ კატეხიზმოს პრინციპებს და მიზანსაც აღწევენ. ამიტომა, რომ ქისტი ახალგაზრდები იღუპებიან სირიაში, ერაყში. რა უნდათ ქისტებს არაბულ ომებში, დაავიწყდათ, ვინ არის მათი მტერი, ვის უნდა ეომონ? თუ ომი სწადიათ, არ არის საჭირო შორს გადაიხვეწონ და სხვის ომში თავი გასწირონ, მტერი ქედს იქითაა, რომელმაც სისხლით მორწყო მათი წინაპართა სამშობლო.

თუმცა საომარი უკვე არაფერია, მშვიდობას ამქვეყნად არაფერი შეეძრება. ჯიპადი თუ გწყურია, პირველ რიგში, სულიერ ჯიპადს დაეწავე, ისწავლე კაცომოყვარეობა, ზნეობრივი სიწმინდე, სიყვარული მოყვასისა და პირნათელი იქნები ალაპის წინაშე, ალაპი მხოლოდ ამისკენ მოგიწოდებს.

ვაჲაბიტების უკომპრომისო ბრძოლა ადათ-წესების წინააღმდეგ ძალზე საშიშ ხასიათს ატარებს. ეს არის შინაური მტერი, რომლის წინააღმდეგ ბრძოლა ძალზე ძნელია. გარეშე მტერს შეეპრდოლები, დაამარცხებ და გააძევებ. თუ მოგერია, თავად გაერიდები.

ოჯახში არსებული მტერი ყველაზე საშიშია, რადგან მას ვერც გააგდებ და ვერც თავად წახვალ. ამიტომაც არის, რომ ქისტების უმეტესობა უიმედობამ მოიცვა, ურჩ შვილებზე კონტროლი და-კარგეს და ხელი ჩაიქნიეს. სწორედ ეს არის დამღუპველი, საჭიროა ენთუზიაზმი და საშუალების ძიება, რათა დადებითად გადაიჭრას პრობლემა.

სწორედ მამების უნიათობამ, საფრთხის განუჭვრეტე-ლობამ მიიყვანა საქმე იმ დონემდე, რომ შვილების თავხედობა, უფროსების უპატივცემულობა ჩვეულებრივ მოვლენად იქცა. მა-გრამ გამოუსწორებელი არაფერია. საჭიროა მიზანდასახული სახ-ელმწიფო პოლიტიკა პანკისის ხეობის მიმართ და ადგილობრივი მოსახელობის მხარდაჭერა კომპლექსური პრობლემის მოგვარების საკითხებში.

ბევრჯერ მითქვამს და ახლაც გავიმეორებ: ადამიანი თავისუ-ფალია რწმენის საკითხში, ყურანი, ისლამის სალვთო წიგნი ცალ-სახად ამბობს: „არავითარი ძალადობა რელიგიაში!“ სხვადასხვა რწმენისა და რწმენაში სხვადასხვა მიმდინარეობის მორწმუნენი ვცდილობთ ღმერთამდე მისასვლელი გზა მოვძებნოთ, მხოლოდ ალაპის პრეროგატივაა სწორი გზის დადგენა, უდავოა, რომ წმინდა ყურანს უნდა მივყვეთ, ყურანისგან გადახვევა ისლამისგან გადა-ხვევა იქნება და სასჯელიც მძიმე იქნება. მე ქისტურ ადათ-წესებს განვიხილავ ჭეშმარიტი ისლამის დოგმებთან ერთობლიობაში და ღრმად მწამს, რომ ჩვენი ხალხის საუკეთესო ადათები ესადაგება რელიგიას. ადათების წინააღმდეგ ბრძოლა ნიშნავს მშობლების წი-ნააღმდეგ ბრძოლას, ადათების მოსპობა უდრის მშობლების დახოც-ვას, ხოლო მშობლების განზრას მკვლელი მუსლიმთა სასაფლაოზე არ იმარხება და მასზე მიცვალებულის ლოცვა არ სრულდება.

რა არის ამ წიგნის მიზანი? წიგნის მიზანია, ახალგაზ-რდებს აჩვენოს ქისტების ადათ-წესების, ზნე-ჩვეულებებისა და ტრადიციების უნიკალურობას, დაანახოს მათ, რომ ამ კანონების გარეშე ცხოვრება კარგავს მიმზიდველობას, რომ მარტო წამაზი და მარხვა არ კმარა სამოთხეში მოსახვედრად. ადამიანი ალაპმა

მარტო იმისათვის როდი მოავლინა ამქვეყნად, რომ თავისი სიცოცხლის მანძილზე არაფერი შემატოს ქვეყანასა და საზოგადოებას. თუ სიცოცხლე ღირსეულად არ გაატარა, მისი ამ ქვეყნიდან წასვლით არაფერი დააკლდება საზოგადოებას.

ადამიანის ხელით შექმნილი უნაკლო ვერ იქნება, მით უმეტეს ჩემნაირი მოხუცის ნაცოდვილარი. ყოველთვის ვცდილობდი, ვყოფილიყავი ობიექტური, ვეყრდნობოდი ჩემს გამოცდილებას, ჩემი თვალით ნახულს და ყურით მოსმენილს. ხშირად მიერთავდი XIX საუკუნის დასასრულისა და XX საუკუნის დასაწყისის ქისტი მემატიანე მათე ალბუთაშვილს, ქისტებში პირველ მწერალს, ფოლკლორისტს, ეთნოგრაფსა და პედაგოგს, რომელმაც პირველმა ალწერა პანკისის ხეობა, ქისტი ხალხის ადათ-წესები, ზნე-ჩვეულებები, ტრადიციები. ჩემთვის საინტერესო იყო, თუ რამდენად განიცადა ცვლილებები 100 წლის განმავლობაში და ამიტომ ვავლებდი პარალელს და დავრწმუნდი, რომ საუკუნის შემდეგაც ქისტურ ადათებს არ განუცდია არსებითი ცვლილებები.

ერთ წიგნში შეუძლებლია ხალხის სულიერი ყოფიერების ასახვა, ვიცი, რომ ძალიან ბევრი რამ გამომრჩებოდა. ამიტომ მკითხველს ვთხოვ, შემახსენოს ის ადათ-წესები, რომელიც ამ გამოცემაში არ მოხვდა. ამასთან, ნაშრომი დაზღვეული არ იქნება ხარვეზებისაგან, მადლობელი ვიქნები ნებისმიერი სახის შენიშვნებისათვის, რომელთაც უთუოდ გავითვალისწინებ შემდგომ ნაშრომში.

ალაპი იყოს ჩვენი მფარველი!

ხასო ხანგოშვილი

უფროს-უმცროსი

„ფეხზე ადგომა წესია,
წესს ვერ დაარღვევს მთისასა“.

ვაჟა-ფშაველა

ვაჟააცს ქისტებში, უპირველეს ყოვლისა, ცნობენ ზრდილობით, კულტურით, ქცევის მანერით. მამაცობას, გამბედაობას, შეუპოვრობასა და შეუდრეკელობას წინა პლანზე არ სწევენ, რადგან ამ თვისებების უქონლობა ვერც წარმოუდგენიათ, ეს თვისებები დედის მუცლიდან დაჲყვებათ ქისტებს და ამდენად ვაჟააცის მთავარ საზომად არ მიაჩნიათ. ცხადია, ყველა ხალხში და მათ შორის ქისტებშიც მოიძებნებიან შშიშარა და მხდალი ადამიანები, სიკვდილი არავის უნდა, მაგრამ ქისტი უმაღ მოკვდება, ოლონდ შიში არ შეატყონ, ბრძოლის ველს ხომ ცოცხალი არ დატოვებს, არ მიატოვებს თანამებრძოლებს და არ გაიქცევა. ისიც ცხადია, რომ ვაჟააცის უპირველესი მიზანი, ქისტური და, საერთოდ, კავკასიური გაგებით არის ის, რომ უნდა ემსახურებოდეს თავის ხალხსა და სამშობლოს. ხალხისა და სამშობლოს დაცვაში სიკვდილი უმაღლესი ჯილდოა ვაჟააცისთვის.

ვაჟააცობა („ყუანახალ“) შეიცავს ისეთ თვისებებს, რომელიც მოითხოვს კაცისგან მუდამ მზადყოფნას, ემსახუროს ხალხს („ყამ“), სამშობლოს („დაიმოხე“), ტომს („თუხუმს“), გვარს („თეითს“), ნათესავებს („იოშ-ვოშ“) და ოჯახს (ჰუსამ). ყველაზე დიდი სიმდიდრე „ყუანახისა“ არის პატიოსნება და ლირსება, რომელსაც უნდა უფრთხილდებოდეს და საჭიროების შემთხვევაში სიცოცხლესაც სწირავდეს.

ლირსეული ვაჟააცი პატივს სცემს უფროსებს, არ აქვს მნიშვნელობა, ოჯახის წევრია უფროსი, ნათესავი, თანამოძმე თუ სხვა ერის წარმომადგენელი. უხუცესები მოძღვრავენ ახალგაზრდებს: შენ სახე („იოპ“) ხარ შენი ხალხისა, როგორ შთაბეჭდილებასაც და-

ტოვებ მათზე შენი ღირსეული თუ უღირსი საქციელით, ისე შეაფახებენ ისინი შენს ხალხს.

უფროსისადმი პატივისცემა ოჯახიდან იწყება. ბავშვობის ასაკში უნდა ჩაინერგოს ქცევის წესი. ქისტურ ოჯახში უფროსი როცა შემოდის, უმცროსი, პატარაც რომ იყოს, ფეხზე წამოდგება. პაპის გამოჩენისთანავე ყველა ფეხზე დგება. არაქისტი იტყვის: დღეში ასჯერ გადის, შემოდის სახლში უფროსი და ყოველ შემოსვლაზე ფეხზე ხომ ვერ წამოხტებან. დაახ, ათასჯერაც რომ შემოვიდეს ოჯახის უფროსი, დანარჩენი წევრები უნდა წამოდგნენ, ხანდაზმულები წამოიწვიან პატივისცემის ნიშნად. ოჯახში როგორი წესრიგია, უფროსზეა დამოკიდებული. ისე, როცა ოჯახიდნ გასული უფროსი შემოდის, მაშინ წამოდგომა აუცილებელია, ხოლო ოჯახში ტრიალის დროს წარამარა წამოხტომა აუცილებლობას არ წარმოადგენს.

ოჯახში უფროსს მაგიდასთან თუ ტახტზე თავისი ადგილი აქვს. ეს ადგილი უფრო მზის ამოსვლის მხარეს არის, ოლონდ არც ერთ შემთხვევაში კარის ახლოს. ასევე უფროსი მაგიდის თავში ზის, როცა უცხო (ან უხუცესი მეზობელი, ან სტუმარი) არ ესწრება პურობას, მაშინ ყველა ერთად მიუსხდება მაგიდას. მაგრამ უცხოს თანდასწრებით შვილი მამასთან ვერ დაჯდება, არც უმცროსი ძმა უფროსთან ისადილებს სტუმრის ან კიდევ უფროსი ხალხის თანდასწრებით.

როდესაც ახალგაზრდები სხედან ქუჩაში, საზოგადოებრივი თავშეყრის ადგილას და უფროსი კაცი გაივლის, ყველანი ფეხზე წამოდგებიან, მიესალმებიან, კეთილ დღეს უსურვებენ, გამოჰკითხავენ, დახმარება ხომ არ სჭირდება და სხვა. გაივლის მოხუცი და ახალგაზრდები დასხდებიან და განაგრძობენ საუბარს.

უფროსი თუ ცხენზე ჯდება, იქ მყოფი უმცროსი აუცილებლად მიეხმარება: ცხენს აღვირს დაუჭერს მარჯვენათი, მარცხენას უნაგირის კეხს მოჰკიდებს, რომ არ გადაიხაროს, შემდეგ მარჯვენა ფეხს უზანგს მიუმარჯვებს და მხოლოდ შემდეგ გადასცემს აღვირს. ასევე იქცევა მოხუცის (უფროსის) მანქანაში ჩაჯდომის დროსაც:

კარებს გაუღებს, ჩაჯდომაში მიეხმარება, ფეხს ხელს შეაშველებს, კარს მიუხურავს და მშვიდობიან მგზავრობას უსურვებს.

განსაკუთრებით პატივისცემით ემსახურებიან ახალგაზრდები ინვალიდებს, ყოველმხრივ ცდილობენ, გაუადვილონ მოძრაობა, ადგომა-დაჯდომაში ხელს შეაშველებენ, მოსახერხებელ დასაჯ-დომს უძებნიან, სიარულში ეხმარებიან. ეს სასიამოვნო საყურე-ბელია, ხოლო როცა შენ გემსახურებიან, ბედნიერებას განიჭებს. მაქვს მე ამის პრაქტიკა! თავად ვარ ინვალიდი. როცა მანქანიდან გადმოსვლას ვაპირებ, უმაღ გაჩნდებიან ახალგაზრდები, გადმოს-ვლაში მეხმარებიან, ინვალიდ ფეხებს ფრთხილად გადმოსწევენ, ადგომაში შემშველებიან, ყავარჯინებს მომანქვდიან, სანამ არ გავ-წონასწორდები, ხელს როდი მიშვებენ. ღმერთმა დაგლოცოთ, ქის-ტო ახალგაზრდებო, უთქვენოდ ნურც ყოფილა ეს ქვეყანა, თქვენ ალამაზებთ მას!

ქუჩაში მიმავალი ახალგაზრდა როცა შენიშნავს, რომ ეზოში დროული კაცი საქმიანობს, შეშას ჭრის, ბოსტანს ბარავს და სხვ. საოჯახო საქმიანობას ეწევა, გადახტება ეზოში, ერთ პატარა მულს გაიტანს („ცამებიე“), დაასვენებს მოხუცს და თავის გზას გაუდ-გება. დიდი არაფერი შეღავათია, მაგრამ ყურადღებაა, უფროსის პატივისცემაა, რაც ბევრს ნიშნავს მოხუცისათვის, ქალი იქნება თუ კაცი.

უფროსის პატივისცემა, როგორც ითქვა, ბავშობიდან იწყება. დედ-მამა ყოველთვის ფხიზლად არიან, როგორ ასრულებენ მათი შვილები პაპა-ბების დავალებებს, როგორ ესაუბრებიან, როგორ პასუხობენ კითხვებზე და ა.შ. ყოვლად დაუშვებელია ბავშვების უკმერხობა პაპა-ბებიასთან, მამიდა-ბიძებთან, უფროს და-ძმებთ-ან. ამას მკაცრად აკონტროლებენ მშობლები, შეიძლება მათდამი დამოკიდებულებაში ურჩობა აპატიონ შვილებს, მაგრამ ოჯახის სხვა უფროსი წევრების მიმართ უპატივცემლობა დაუსჯელი არ დარჩება.

ასევე ყურადღებით არიან, თუ როგორ ექცევიან ქუჩაში უფროსებს ბავშვები. სხვათა შორის, უფროსს, სულაც რომ არ

იცნობდეს ბავშვსა და მის მშობლებს, უფლება აქვს, დატუქსოს ბავშვი, მოზარდი. კარგად მახსოვს, როგორ დაატრიალებდნენ ხოლმე ჯოხებს უხუცესები და სცემდნენ ახალგაზრდებს ერთმანეთში კამათისა და ჩხუბის დროს. არავის მოუვიდოდა აზრად ხელის შებრუნება კი არა და, შეკამათებაც კი – თავქუდმოგლეჯილი გავრბოდით ხოლმე და სიცილით ერთმანეთს ნატკენ ადგილებს ვუსინჯავდით.

საზოგადოებრივი თავშეყრის ადგილას მოხუცის გამოჩენი-სთანავე ყველა ფეხზე დგება, წინა, საპატიო ადგილს უთმობენ და მხოლოდ მისი მოკალათების შემდეგ სხდებიან. პირველი სიტყვა უფროსს ეკუთვნის, მისი სიტყვის შეწყვეტა, საუბარში ჩართვა დიდ უზრდელობად ითვლება, ბოლომდე უნდა მოუსმინო, როგორი მიუღებელიც არ უნდა იყოს მისი სიტყვა. უფროსის მიერ საუბრის დასრულების შემდეგ უმცროსი ნებართვას ითხოვს და მერე იწყებს ლაპარაკს. თუ ვერ ეთანხმება უფროსის მოსაზრებას, ბოდიშს იხდის მის წინაშე და ისე მიაწვდის თავის აზრს, რომ არ ეწყინოს. თუ არ არის საკითხი მაინცდამაინც მნიშვნელოვანი, სჯობია, გაჩუმდეს და არაფერი თქვას.

როცა უფროსი საუბრობს, უზრდელობად ითვლება, თუ ადგები და წახვალ შენს საქმეზე. რაც არ უნდა გეჩეარებოდეს, უნდა მოიცადო, სანამ სათქმელს იტყვის.

როცა უფროსები ერთმანეთში საუბრობენ, ახალგაზრდები ჩუმად დგანან და უსმენენ. საუბარში უკითხავად ჩართვა ქისტებში დიდ უზრდელობად ითვლება. მოსმენა უნდა იცოდნენ ახალგაზრდებმა, მოხუცებს გამოცდილება აქვთ, ბევრი უნახავთ და გაუგონიათ, გამოცდილება კი სიპრძეს მატებს, ჭკუას ცოდნით იყენებენ. მაგალითად, არცთუ დიდი ხნის წინ, სანამ ვაჰაბიტები მომძლავრდებოდნენ, დაკრძალვის დროს, თუ სიცივე იყო, ცეცხლს დაანთებდნენ და მის გარშემო სხდებოდნენ უხუცესები და საუბრობდნენ. მათი საუბარი ძირითადად ეხებოდა რელიგიურ საკითხებს, წინაპრებს, ვაჟკაცობას, ნათესაობას, ლირსებას, ზრდილობას, კაცის დანიშნულებას, ქალის ზნეობას და ა.შ. ახალგაზ-

რდები გარს შემოვერტყმებოდით და გულისყურით ვუსმენდით, ცოდნას ვიძენდით, ამ სიტყვის სრული მნიშვნელობით. ასეთი საუბრები დიდ გავლენას ახდენდა ახალგაზრდების მორალური სახის ჩამოყალიბებაში, ზოგჯერ მოსმენილი ძლიერ შთაბეჭდილებას ახდენდა და ცვლიდა ახალგაზრდის ცხოვრებას. მოვიყვან ერთ მაგალითს პირადი ცხოვრებიდან.

პედაგოგიური ინსტიტუტის დამთავრების შემდეგ გამამწესეს დუმასტურის საშუალო სკოლაში. დუისიდან ფეხით დავდიოდი, 3-4 კმ. გავლა დიდი არაფერია ახალგაზრდისთვის, მაგრამ არ მომწოდა მასწავლებლობა, არ ვთვლიდი კაცის შესაფერის სპეციალობად და გამალებული ვექტბლი სხვა სამსახურს, რომ რაც შეიძლება სწრაფად გავცლოდი სკოლას. ერთხელაც, ერთ წვიმიან დღეს სკოლიდან ადრე წამოვედი, წათესავი დამელუპა და დაკრძალვას უნდა დავსწრებოდი. ჭირისუფლის ეზოში უზუცესები ცეცხლს შემოსხდომოდნენ და საუბრობდნენ, მათ უკან, გარშემო, ახალგაზრდები იდგნენ და უსმენდნენ. მეც მათ შეუურთდი, წვიმისგან დასველებული, მობუზული ვიდექი, მაგრამ ყურადღებით ვუსმენდი.

ერთ-ერთი შეეკითხა ბატონ უსუფს, ღვანლმოსილ პედაგოგს, საზოგადო მოლვანეს, რომელმაც იმ პერიოდში (XX ს. 60-იანი წლების დასასრული) ერთადერთმა იცოდა არაბული ენა და სასულიერო (ისლამური) განათლებაც ჰქონდა მიღებული:

– ისუბ, როგორ ფიქრობ, ადამიანის პროფესიას თუ ექნება მნიშვნელობა სამოთხეში გამწესებასთან დაკავშირებით?

– კი, ვფიქრობ, რომ ექნება, რადგან ზოგიერთი სპეციალობა სასარგებლოა ადამიანებისათვის და რაც ადამიანის კეთილდღეობისთვის გამოსადეგია, ღმერთისთვისაც მოსაწონია.

– მაშ ისიც მითხარი, რომელი სპეციალობის ადამიანი მოხვდება სამოთხეში პირველ რიგში?

– მასწავლებლი! – უყოყმანოდ უპასუხა უსუფმა. – მასწავლებელი ჩვენი შვილების მეორე აღმზრდელია მშობლების შემდეგ. ის ასწავლის ჩვენს შვილებს, ცოდნას აძლევს ცხოვრების უკეთ მოწყ-

ობისათვის, ასწავლის ზნეობას, მორალს. მასწავლებლი-მოძღვარი ასწავლის სარწმუნოებას, რა არის სიკეთე, რა არის ბოროტება, როგორ უნდა იაროს ღმერთის მოსაწონი გზით. მასწავლებელი ასწავლის სპეციალობას, რათა ზედმეტი ტვირთის გარეშე მოაწყოს ცხოვრება, სხვასაც მიეხმაროს, სიკეთე გაუკეთოს. მასწავლებლობა დიდი საქმეა, ეს ყველამ უნდა იცოდეს.

მხრებში გავიშალე, თურმე დიდ, სასიქადულო საქმეს შევჭიდებივარ და ეს არ ვიცოდი. იმ დღიდან საქმეს მტკიცედ მოვაიდე ხელი, მოსწავლეებს მარტო ქართულ ენას და ისტორიას როდი ვასწავლიდი, არამედ ჩვენს ადათ-წესებს, ზე-ჩვეულებებს, ვნერგავდი მათში კაცობას, წესიერებას, ვალვივებდი ქისტურ თვითშეგნებას, ღირსების გრძნობას და ასე შევრჩი სკოლას 27 წელი.

დღეს ჩემს ყოფილ მოსწავლეებს რომ ვხვდები, ჭალარით მოსილ ვაჟააცებს, რომლებიც პატივისცემითა და სიყვარულთი მეხვევიან, როცა თვალს ვადევნებ მათ ცხოვრებას, კაცურ ღირსებას, მიხარია და გულში გავივლებ ხოლმე, რომ ცუდად არ გამიტარებია ეს ცხოვრება და ეს ერთადერთი სიამაყეა ჩემი!

აგერ მოაგელვებს მხედარი ბედაურს, ამაყად ზის გაჭიმული ცხენზე, უცბად შენიშნა გზის პირზე მსხდომარე უფროსები, აღვირს მოზიდა, ბედაური შეაჩერა, ცქვიტად ჩამოხტა, ალვირით დაიჭირა ცხენი და ჩაუარა უხუცესებს. სალამი უთხრა, მოკითხა, ჯანმრთელობა უსურვა და გზა განაგრძო. გასცდა ოციოდე მეტრს, კვლავ მოახტა ცხენს და ლალად გასწია.

თუ საპირისპიროდ მომავალი მგზავრი შენიშნა და მიხვდა, რომ უფროსია, კვლავ ჩამოხტება ცხენიდან, მიესალმება, შემდეგ ამხედრდება და გზას განაგრძობს. როცა მანქანის საჭეს უზის, ცხადია, ვერ ჩამოვა და მანქანას ხელით ვერ წაიყვანს. მაგრამ აუცილებლად შეანელებს, წამოიწევა, თავს დაუქენევს და ასე მიესალმება, ხოლო თუ გზაში შემოხვდება პატივსაცემი უხუცესი, გააჩერებს მანქანას, ჩამოვა, მიესალმება და შემდეგ გზას განაგრძობს. ისიც ცხადია, რომ ყველას ვერ გაუჩერებს, გააჩნია ასაკს და ადგილსამყოფელს: თუ სხვა სოფლიდან არის, სალმის შემდეგ შესთავაზებს წაყვანას,

თუ შორს მიდის, აუცილებლად მიიყვანს, რაც უნდა ეჩქარებოდეს.

გზაში სიარულის დროს უმცროსი უფროსს მარცხნივ და ოდნავ უკან მიჰყვება. ამით ის იცავს უფროსის დაუცველ, უფრო ნაკლებად მოსახერხებელ მარცხენა მხარეს, მაგრამ თუ ღამით მიდიან, მაშინ ახალგაზრდა კვლავ მარცხნივ მიჰყვება, ოღონდ უკვე საგრძნობლად წინ, თუ გზა ვიწროა ან ბილიკზე მიდიან, მაშინ რამდენიმე მეტრით წინ მიდის. ეს ჩვეულებები შორეული წარსულიდან მოდის, როცა მგზავრობა უსაფრთხო არ იყო, როცა მტრის თავდასხმა ყოველ წამს იყო მოსალოდნელი.

უფროსისათვის გზის გადაჭრა ცუდ საქციელად ითვლება, სახლში, ეზოში თუ საზოგადოებრივ დაწესებულებაში შესვლის დროს უფროსს გზას უთმობენ, სამსახურს შესთავაზებენ. არ შეიძლება, უცხო ადგილას მოხუცის უყურადღებოდ მიტოვება, უნდა შეიტყო, რისთვის გარჯილა, რით შეგიძლია დახმარება და სხვ. აუცილებლად უნდა მიეხმარო საქმის დასრულებაში, მიაცილო საჭირო ადგილამდე და ა.შ.

რაც შეეხება რიგს, აქ ღაპარაკიც არ არის საჭირო: აუცილებლად დაუთმობენ რიგს, დასაჯდომს შესთავაზებენ, ყოველნაირად ეცდებიან, გაუადვილონ მგზავრობა, სამუშაო თუ სხვა საქმიანობა, რაც მთავარია, მოხუცი უყურადღებოდ არ იქნება, თუ ახლომახლო ახალგაზრდა ჭაჭანებს.

უფროსის თანდასწრებით უმცროსი წყალს არ დალევს, რაც უნდა სწყუროდეს, სანამ უპირველესად არ შესთავაზებს უფროსს. ამ შემთხვევაში ქართველები საპირისპიროდ იქცევიან: წყალი უმცროსისააო, იტყვიან და უმცროსს შესთავაზებენ პირველობას. ქისტებში დიდ უზრდელობად ჩაითვლება, თუ ახალგაზრდა უფროსებისათვის შეუთავაზებლად წყალს დაეწაფება.

ასევე საჭმელს არ მიეკარება უმცროსი, სანამ უფროსს არ შესთავაზებს. თუნდაც უფროსი არ იყოს, გარშემო მყოფთაც შესთავაზებს ჭამას. და რაც მთავარია, რაოდენ მშერიც არ უნდა იყოს, პირველი არ დაიწყებს ჭამას, აუცილებლად დაელოდება, სანამ უფროსი გატეხავს პურს. გამონაკლისია ის შემთხვევა, როცა

მასპინძელი ოჯახში სტუმრისთვის გაშლილ სუფრაზე პირველი გატეხავს პურს. აქაც ყოველთვის ხორცის საუკეთესო ნაჭერს, უკეთეს კერძს სთავაზობს სტუმარს, მხოლოდ მერე თავად გადაიღებს. აქ უფროსის ადგილს იკავებს სტუმარი, ყველაზე პატარაც რომ იყოს თანამეინახეებს შორის.

დღეს ჩვეულებრივი ამბავია, როცა ახალგაზრდები ოჯახში, ქუჩაში, საზოგადოებრივ თავშეყრის ადგილებში სიგარეტს ეწევიან და არავითარ ყურადღებას არ აქცევენ გარშემო მყოფთ, უფროსებს პირიქით, მათაც, როგორც თანტოლებს, სიგარეტს სთხოვენ და თან მოკიდებასაც ავალებენ. ასეთი რამ ქისტებში გამორიცხულია. უმცროსი უფროსების, მშობლების, ბებია-პაპების, ბიძების წინ სიგარეტს არ მოსწევს, გზაშიც რომ შეხვდეს, ან გადაგდებს, ან მუჭში მოიქცევს და დამალავს.

სამძიმარზე სიგარეტის მოწევა არ არის მიღებული. ყოველ შემთხვევაში, ეზოდან გადიან და სადმე მოფარებულ ადგილას ეწევიან. ძალიან ცუდ შთაბეჭდილებას ტოვებს, როცა სამძიმარზე სიგარეტის ბოლი აქა-იქ ადის, ხმამაღალი საუბარი და სიცილი გაისმის. სამძიმარს უხდება ხმადაბალი საუბარი, მიცვალებულის კარგი საქმეების გახსენება და მისი სულის ცხონებისათვის ვედრება, სამძიმარი ქორწილს არ უნდა ჰგავდეს, როგორი ხნიერიც არ უნდა იყოს მიცვალებული. ამაზე ზრუნავენ უხუცესები და ახალგაზრდებიც ყურადღებით არიან, რომ არაფერი შეეშალოთ.

მუშაობის დროს უმცროსი ყოველთვის ხელს ჰკიდებს მძიმე სამუშაოს, ყველანაირად ცდილობს, გაუადვილოს უფროსს სამუშაო. მაგალითად, სიმინდის თოხნის დროს გამწკრივდებიან მუშები და ერთი სვე გააქვთ. ცხადია, ახალგაზრდები ერთმანეთს ეჯიბრებიან, ყველა ცდილობს, წინ გაიჭრას, მეზობელი ჩამოიტოვოს. ასეთი ჯიბრი სახალისოა, მაგრამ დროულისთვის მძიმე ტვირთია და ამიტომ უმცროსები არასდროს ჩამოიტოვებენ უფროსს, მის წილსაც იზიარებენ და ასე მიჰყავთ წინ. ასე ხდება სხვა სახის მუშაობის დროსაც.

უმცროსი ყურადღებით არის, რომ უფროსი აარიდოს დატ-

ვირთვას არა მარტო მუშაობის დროს, არამედ მგზავრობისას, სახიფათო ადგილის გავლისას და სხვ. ქისტებში ხშირად ჰყვებიან მონადირე მამა-შვილის ტრაგიკულ ამბავს. ერთხელ მამამ ახალ-გაზრდა შვილი გაიყოლა სანადიროდ. მოიარეს ჭიუხები, ვერსად წააწყდნენ ნადირს და გადაწყვიტეს, გასულიყვნენ ხევს გაღმა კლდიანში, სადაც ჯიხვების ჯოგი შენიშნეს. ხევი ზვავით იყო დაფარული, ზვავზე გადასვლა პრობლემა არ არის, მთავარია, დაქანება დიდი არ იყოს და არ დაქანდე ქვემოთ დიდი სიჩქარით. ამ დროს ძალიან ძნელია სისწრაფის შენელება და გადაჩეხვის რისკი დიდია. ფრთხილი მონადირე ხანჯლით ჭრის ნაფეხურებს და პრობლემის გარეშე გადადის. მაგრამ არსებობს მეორე, უფრო საშიში და მზა-კვარი საფრთხე: გაზაფხულის პირზე ზოგიერთ ადგილას, განსაკუთრებით შუაში, ზვავი ქვეშიდან იწყებს დნობას და გათხელდება ხოლმე. თუ ასეთ ადგილას მოხდა გავლა ან გადარტენა, შეიძლება უფსკრულში გადაეშვა, ზვავქვეშა მდინარემ გაგიტაცოს, ზედ ზვავის მთაც აღიმართოს და ცხედარიც კი ვერ მოინახოს.

მამამ პირველმა გადაიარა სახიფათო ზვავზე მშვიდობიანად. რომ დაეზღვია ვაჟიშვილი, კვლავ უკან დაბრუნდა, ხელმეორედ გადაიარა კვლავ ზვავზე, გავიდა მეორე ნაპირზე და შვილს ნება მისცა, გადმოსულიყო მეორე ნაპირზე. როგორც კი ყმაწვილი შუა გზამდე მივიდა, ერთი საშინლად დაიგრუებუნა. ხევებმა ბანი მისცეს. მოსწყდა ასეულტონიანი ზვავი და საშინელი ზათქითა და გრუეუნით დაეშვა უფსკრულში და მოქანავე ყმაწვილიც თვალის დახამხამებაში ჩაიტანა, შემდეგ დაიძრა მთის დაქანებული ფერდობიდან ახლა უკვე თოვლის ზვავი, საშინელი სისწრაფით დაქანდა ქვევით, ყინულის ზვავიც გაიყოლა და ქვემოთ დაეშვა. ისეთი სისწრაფით ჩაუქროლა დაფეთებულ მამას აზვირთებულმა თოვლის, მიწის, კლდეებისა და ხეების მასამ, რომ კლდეს ჩაჭიდებულმა ძლივს შეძლო თავის შეკავება, რომ ქარის ტალღას თან არ გაეტაცა. ისეთი ბული იდგა, არაფერი ჩანდა, მხოლოდ გამაოგნებელი გრიალი და ღრიალი ისმოდა.

ბოლოს, როგორც იქნა, ირგვლივ სიწყნარემ დაისადგურა,

მხოლოდ აქა-იქ დაგორებული ქვებისა და დამტვრეული ხეების ჭახანი ისმოდა, ირგვლივ სურათი მკვეთრად შეიცვალა, მონადირე გაოგნებული აქეთ-იქით იცქირებოდა, თითქოს ორიოდე წუთში სულ სხვა ადგილას მოხვდა, ისე შეცვლილყო გარემოს რელიეფი.

ბოლოს გაოგნება სასონარკვეთილებამ შეცვალა, ერთადერთი ვაჟიშვილი ზვავმა შთანთქა. გამნარებული მამა აქეთ-იქით ეცა, დაღმა დაეშვა, ხეების, ქვების, მიწის გორახებს შორის და თოვლ-ყინულის ნაპრალებში დაძრებოდა, ეძებდა შვილის გვამს, მა-გრამ უშედეგოდ. დაღამების შემდეგ ერთი კლდის ძირში მიეგდო, დილით სოფელში ჩავიდა, ხალხი შეყარა და დაინყეს გვამის ძებნა, მაგრამ ვერსად მიაგნეს. მთელი კვირის განმავლობაში ჭიანჭველე-ბივით ფუსფუსებდნენ ზვავზე ხალხი, მაგრამ ისე დაიკარგა კაცი, თითქოს მიწამ პირი უყოო.

შემდეგ წავიდა მსჯელობა მომხდარის შესახებ და ეს მსჯ-ელობა დღესაც გრძელდება. მაინც რაზე მსჯელობენ? რა, პირვე-ლად ჩაყლაპა ზვავმა მონადირე? არა, ამაზე არც არის საუბარი. საუბრობენ იმაზე, მართალი იყო თუ არა მამა, რომელმაც სამჯერ გადაიარა ზვავზე შვილის უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად. შვილს უნდა ეზრუნა მამის უსაფრთხოებაზე, უმცროსს უნდა უზ-რუნველეყო უფროსის უსაფრთხოება. აქ კი პირიქით მოხდა, დაირ-ლვა უფროს-უმცროსის ადათი და შედეგიც ტრაგიკული დადგა. თუმცა უხუცესები ბოლოს მაინც დააყოლებენ: ბედისწერას ვე-რავინ გაექცევათ!

ქისტური ადათით, უფროსთან უმცროსი უაღრესად კორექ-ტული უნდა იყოს, ზრდილი და ყურადღებიანი, რათა უადგილო, მოუზომელი ქცევით, თუნდაც უხეში კითხვის დასმით არ აგრძნო-ბინოს წლების სიმრავლე, უძლურება და წყენა არ მიაყენოს. ხშირ-ად მომისმენია კახელებში უხუცესებთან ახალგაზრდების ლაზღან-დარობა, სარკასტული იუმორი და სხვ. „კარგად მოგითელია ჟამი, პაპა, დროა გადაბარგდე საბოლოო სახლში“ – ასეთი „ხუმრობა“ გულს სტკენს მოხუცს, რომელმაც ყველაზე უკეთ იცის, რა უსიხა-რულოა სიბერე.

ქისტებში ასეთი რამ გამორიცხულია, საჭიროების დროს კი, შეახსენებულ კაცს თავის ასაკს, მაგრამ საუბრის ისეთ ტონს, მანერას, სიტყვებს შეარჩევენ, რომ დროულ კაცს არ ეწყინოს. მოვიყვან ერთ მაგალითს პირადი ცხოვრებიდან. დაახლოებით 15 წლის წინ ივრის სათავეებში სანადიროდ წავედი. ლეკუანის აღმოსავლეთ ფერდობზე ეყენა პირადი ცხვარი ჩემს მეგობარ ვისერგი ქავთარაშვილს, რომელმაც მითხრა, რომ მწყემსი ჰყავდა, ნადირობის მოყვარული და ერთად ინადირებთო. ადრეც ნამყოფი ვიყავი ივრის სათავეებში, დათვი იცის და გარეული თხა (ფსიტი), ხალისით გავყევი.

დილით ადრიან ვისერგიმ გამალვიძა, სწრაფად ვისაუზმეთ და ხევში დავეშვით. ადრიანი დილა იყო, კარგი ამინდის ნიშანი – მსუბქი ბურუსი თანდათანობით მთების წვერებისკენ იკრიბებოდა და ბალაზე ნამს ტოვებდა. სამარისებური სიჩუმე იდგა, სულიერ არსებებს ჯერ არ გაეღვიძათ, მხოლოდ ხევიდან ისმოდა წყლის ხუილი. ასეთ დროს სასიამოვნოა მთაში სიარული, ხალისს გრძნობ და მსუბუქად მიაბიჯებ.

გელა წინ მიმიძლოდა, როგორც უმცროსი გზას მიკაფავდა. ხევზე საკმაოდ მოზრდილი მდინარე სწრაფად მიქროდა ბარისკენ, როგორც ქისტები იტყვიან, ორი წისქვილის წყლის ოდენა იყო. გელამ სწრაფად მონახა ხე – ხიდი (წყლის ნაპირზე მოჭრილი და მეორე ნაპირზე გახიდული ხე), გადავედით და მდინარეს მაღლა, რკინის მთის მთაგრეხილებისკენ ავუყევით. სწრაფად მივდიოდით, მზის ამოსვლამდე ხევზუვების ძირებამდე უნდა მიგვეღწია. საღამოს მთების წვერებისკენ ასული ფსიტები დილით დაბლა ჩამოდიან და ხევებში, ჩრდილებში ძოვენ და ისვენებენ, ხანდახან ვჩერდებოდით მცირე ხნით, რათა დურბინდით შეგვეთვალიერებინა მთის ფერდობები და პარალელურად დაბლა ჩამოქანებული ცერები.

ჩქარი სიარულისგან დავიღალე, ნელ-ნელა იზრდებოდა მანძილი გელასა და ჩემს შორის, მაგრამ არც ისე დიდად, რადგან მაღევნეოდი. ყურადღება არ მიმიქცევია, რომ ახალგაზრდა მონადირე სვლას ანელებდა, როგორც კი ჩამოვრჩებოდი. ამას მერე მივხვდი

იმ დიალოგის შემდეგ, რომელიც ჩვენ ორს შორის გაიმართა და რომლის გამოც მომყავს ეს არცუუ საყურადღებო ეპიზოდი ჩემი ცხოვრებიდან.

გელა უცბად შეჩერდა, ჩაიმუხლა, მეც უმაღ ჩავიჩოქე. მან დურბინდი მომაწოდა და მანიშნა წინ, ცოტა მარჯვნივ მთის წვერისკენ, საიდანაც გამლილი ხევი დაბლა, პირდაპირ ჩვენსკენ ეშვებოდა. მაშინვე დურბინდში გაიღვა გარეული თხების წითურ-მა სხეულებმა და თავებზე ლამაზად მოხრილმა პატარა რქებმა.

ორივენი ბალახში ჩავიმაღეთ, თოფები მოვიმარჯვეთ და ლო-დინი დავიწყეთ. შორს იყო ჯოგი, მაგრამ პირდაპირ ჩვენსკენ აეღო გეზი. წინამძლოლი წამდაუწუმ ჩერდებოდა, ყურადღებით აკვირდ-ებოდა გარემოს. დანარჩენებიც შეჩერდებოდნენ, მაგრამ მაინცდა-მაინც თავს არ იწუხებდნენ უსაფრთხოების დაცვით, გეგონებოდა, ზრდილობის გულისთვის ათვალიერებენო მიდამოს, როგორც ჩანს და ეს ასეც არის, უსაფრთხოების უზრუნველყოფა წინამძლოლს ეკისრებოდა.

— მგონი, გაგვიმართლა, პირდაპირ თოფის სამიზნეზე მოდიან,
— მეუბნება ჩურჩულით გელა.

— ალბათ ასეა, მაგრამ ძალიან ცუდ ადგილას ვართ ჩასაფრე-ბული, შეიძლება სუნი იკრან.

— რას ამბობ, ჩვენ ხომ დაბლა ვართ, ნიავი ხომ მთის წვერები-დან ქრის, იდეალურ პირობებში ვართ, — დარწმუნებულია თავის სიმართლეში გელა.

— ვნახოთ. მშრალ ხევებში ამ დროს ნიავი უფრო ხშირად დაბლიდან ქრის. კი, როცა წყალი ქვევით მიედინება, ნიავსაც თან მიაქანებს, მაგრამ ვინ იცის, აქ როგორ მოაწყო ბუნების მოვლე-ნები ალაპმა. — ღიმილით ვამბობ.

თითქმის თოფის სასროლ მანძილზე მოგვიახლოვდნენ, მაგრამ წინამძლოლი უცბად მკვეთრად შედგა და დაისტვინა. ყველანი გაქ-ვავდნენ. ფსიტს რქების ძირებში აქვთ ნახვრეტები, საიდანაც ადა-მიანის სტვენის ძალზე მიმსგავსებული სასიგნალო ხმას გამოსცე-მენ, ამჯერად საფრთხის მაუწყებელი სიგნალი იყო და მთელი ჯოგი

მიჰყვა წინამძღოლს, რომელიც ელვისუსწრაფესად გორს მიეფარა.

ძალიან გვეწყინა, განსაკუთრებით გელა იყო გაპრაზებული, რომელიც დარწმუნებული იყო ნადირობის წარმატებაში.

რას ვიზამდით, წამოვდექით და გზა განვაგრძეთ. საქმაო სი-მაღლეზე ასვლის შემდეგ ახალგაზრდას დასვენება შევთავაზე. ჩამოვსხედით მწვანე მოლზე, ოფლი მოვიწმინდეთ, თოფე-ბი გვერდზე დავაწყეთ და თან წამოლებული წყლით გამშრალი პირი გავისველეთ.

– რაღაც ვერ დავდივარ ძველებურად, ვერა ვარ ჯანზე, – შევჩივლე პარტნიორ მონადირეს.

– ვოშეი (უფროსო ძმაო), რამდენი წლისა ხარ? – მორიდებით მეკითხება გელა.

– 55 წლისა ვარ-მეთქი, – ვპასუხობ.

– რას ამბობ? ძალიან კარგად დადიხხარ. ამ ასაკში ასეთ კლდე-ღრებში ხეტიალი ადვილი კი არ არის. – მამხნევებს გელა.

დაკვირვებით შევხედე. სერიოზული სახე ჰქონდა, მივხვდი, სიმართლეს ამბობდა, მაგრამ უცბად გონებაში ელვასავით გამკრა აზრმა, რომელიც აქამდე აზრადაც არ მომსვლია: ჰომ, მაშასადამე, დავბერებულვარ. კი, მაგრამ როგორ არ დავფიქრებულვარ ამაზე აქამდე, სანამ ამ ყვითელნისკარტამ არ მაგრძნობინა კულტურულად. ნუთუ ვფიქრობდი, რომ ყოველთვის მექნებოდა ის ენერგია და შემართება, რაც ადრე მქონდა? ამ დღემდე ამაზე არასოდეს დავფიქრებულვარ და ამ ახალგაზრდის ზრდილობიანმა შექებამ მიმახვედრა, რომ ვინც დიდხანს ცოცხლობს, სიბერეს ინვნევს. ვი-საც დიდი ხნის სიცოცხლე უნდა, სიბერესაც უნდა შეეგუოს.

დიახ, ახალგაზრდის შენიშვნამ მნარე ფიქრები აღმიძრა, მა-გრამ, ამავე დროს, შევაფასე მისი ტაქტი, უფროსის პატივისცემა. მან ზრდილობიანად გამაგებინა, რომ უკვე ასაკში ვარ, თანაც ის-ეთნაირად, რომ გული გამიკეთა, სხვანაირად რომ ეთქვა, ალბათ, წყენა ჩამრჩებოდა გულში.

დღეს, როცა სოფელში ასაკოვანი გაივლის, ახალგაზრდები სხედან და არც კი წამოიწევიან, გული გეტკინება, ძალაუნებუ-

რად საყვედურიც წამოგცდება, ცდილობ, შეაგონო, რომ არასწორად იქცევიან, უფროსის პატივისცემა ზრდილობის (უეზდიელ) გამოხატულებაა, მაგრამ ვაჲაბიტებს საკუთარი მოსაზრება აქვთ:

მუჲამად მოციქული კრძალავსო ადამიანის თაყვანისცემას.

კი, მაგრამ პატივისცემა არ ნიშნავს თაყვანისცემას. მართალია, მუჲამად მოციქული, მართლაც უშლიდა მიმდევრებს მისი მეჩეთში შესვლის ან სხვა დროს ფეხზე წამოდგომას. მუჲამადი ალაპის რჩეული მოციქული იყო, მან იცოდა, თუ როგორ მოხდა იესო ქრისტეს, იესო მოციქულის გაღმერთება მისი მიმდევრების მიერ და ეკლესიის კანონიზაციის შემდეგ როგორ გავრცელდა მსოფლიოში მისი ძე ღმერთის დოგმა. ის ამას ხმამალლა უცხადებდა თავის მრევლს:

„მარიამის შვილის – ისა შუამავლისადმი ქრისტიანების მსგავს გადაჭარბებულ შექებას ჩემს მიმართ წუ გამოიჩინო! მე მხოლოდ ალაპის მსახური ვარ და შუამავალი დამიძახეთ!“

ამას თავის თავზე ამბობდა, მაგრამ მრევლს უქადაგებდა, რომ პატივი ეცათ მშობლებისათვის, ნათესავებისათვის, უფროსებისათვის. თვითონ ყურადღებით ექცეოდა ასაკით უფროსებს, მათი დაჯდომის დროს ფეხზე დგებოდა, უკეთეს ადგილს სთავაზობდა დასაჯდომად, საჭმელსა და წყალს პირველად უფროსს შესთავაზებდა და სხვ.

ბუჲარის ჰადისი გვაუწყებს, როგორ მოძღვრავდა მოციქული მრევლს:

„ასაკით უმცროსი უფროსს პირველი უნდა მიესალმოს, მხედარი – ქვეითად მოსიარულეს, მიმსვლელი – მჯდომარეს (მსხდომთ), ერთი მრავალს პირველი უნდა მიესალმოს.“

ზუსტად ამას მოითხოვს ქისტური ადათიც. დიახ, უფროსს პირველად უნდა მიესალმოს უმცროსი, მხედარი ქვეითად მოსიარულეს აძლევს სალამს, ამავე დროს, ხნიერ კაცს თუ შეხვდა, უნდა ჩამოქვეითდეს, მიესალმოს, მოიკითხოს და სამსახური უნდა შესთავაზოს. თუ ერთი მიმართულებით მიდიან, ცხენი უნდა შესთავაზოს და ა.შ.

დიახ, ამ პადისში ნათლად ჩანს, რომ აქ ასაკზეა საუბარი, ასაკით უფროსის პატივისცემაზეა ლაპარაკი და არა რაიმე სახის თაყვანისცემაზე. თავად იძლეოდა მუჰამედი ამის მაგალითს, მისთვის მნიშვნელობა არ ჰქონდა, ადამიანი რომელი ეროვნების წარმომადგენელია, რომელ რასას ან სქესს ეკუთვნის. მაგალითად, ქუჩაში მიცვალებულს მიასვენებდნენ და მუჰამად მოციქული ფეხზე წამოდგა და იდგა, სანამ სამგლოვიარო პროცესია არ გასცდა. ამის მომსწრე მუსლიმმა უთხრა:

- ალაპის მოციქულო, მიცვალებული ხომ ებრაელი იყო, რატომ წამოუდექი?
- მერე რა, ის ადამიანი იყო. - იყო მისი პასუხი.

წინაპრების დაუფასებლობა, წინაპართა ადათების უგულებელყოფა ინვევს მომავალი თაობის დეგრადაციას. ადათი და რელიგია ერთმანეთს უნდა ავსებდეს და ორივე ერთად უნდა მიჰყევს ეპოქის მოთხოვნებს. ადათ-წესების წინააღმდეგ ბრძოლა უცილობლად მიგვიყვანს ეროვნული თვითშეგნების დაკინებამდე, რაც ყველაზე დიდი კატასტროფაა ერისთვის.

როგორც ზემოთაც ითქვა, ახალი მიმდინარეობის ყველა წარმომადგენელი როდი უარყოფს უფროსისადმი პატივისცემას. არიან მათში ბევრი, რომლებიც პატივს სცემენ უფროსებს, წინაპართა ადათ-წესებს, ზნე-ჩვეულებებს, ტრადიციებს, სისხლში აქვთ გამჯდარი ქისტური მენტალიტეტი, არ დაუკარგავთ ქისტური კაცობის კოდექსი – უეზდიელ (კულტურა), ყუანახალ (ვაჟუაცობა), იაჭ (ჯიბრი კეთილ საქმეებში), იოჭ (სახე). მადლობა ალაპს, რომ ასეთები არც ისე ცოტანი არიან.

მაში, რაშია საქმე, რა დაემართა მოზარდებს? ჯერ ერთი, პირველ ხანში ლიდერებმა გასწიეს ძლიერი აგიტაცია-პროპაგანდა ადათ-წესების წინააღმდეგ და შეძლეს ახალგაზრდების აყოლიება. მეორეც, ადამიანი ილტვის იქითკენ, საითაც იოლია ცხოვრება. ქისტი რომ იყო, ვგულისხმობ ნალდ ქისტს, არ არის ადვილი. ამისთვის საჭიროა დიდი ძალისხმეუა, ეს მძიმე ტვირთია, უნდა ზიდო მთელი ცხოვრება, შენი სამშობლო უნდა გიყვარდეს, წინა-

პრების კვალს უნდა მიჰყვებოდე, ნათესავის, მეგობრის, მეზობლის, თანასოფლელის, შენი ხალხის ერთგული, ჭირისა და ლხინის მოზიარე უნდა იყო. ყოველ წუთს მზად უნდა იყო შენი და შენი ხალხის ღირსების დასაცავად, ამისთვის თუ საჭირო გახდა, სიკვდილსაც არ უნდა მოერიდოს. ძალიან მძიმე ტვირთია და სულმოკლე ადამიანი ხშირად ღალატობს ამ პრინციპებს. თუ კაცი იტყვის, პაპუასი ვარო და დაიწყებს პაპუასთა დარად ცხოვრებას, იგი, მართლაც, პაპუასი იქნება, არაბობა უნდა – არაბი იქნება და ა.შ. მაგრამ თუ იტყვი, რომ ალაპმა სამშობლო მომცა, ქისტად გამაჩინა და ისლამი მიბოძა, დაიცავი ეს სამი ცნება და კაცი იქნები!



სტუმარ-მასპინძელი

„დღეს სტუმარია ეგ ჩემი
თუნდ ზღვა ემართოს სისხლისა“

ვაჟა-ფშაველა

სტუმრისა და მასპინძლის ურთიერთობის წეს-ადათი უხსოვარი დროიდან იღებს სათავეს და ყველა ეპოქაში აქტუალური იყო. სხვადასხვა კონტინენტზე, ქვეყნებსა და ხალხებში განსხვავებული იყო, მაგრამ ერთი რამ საერთო ჰქონდათ: სტუმარი, სასურველია თუ არა, პატივისცემით სარგებლობდა, მისი უპატივცემულობა დიდ სირცხვილად ითვლებოდა. სტუმრის უპატივცემულობა მხოლოდ მასპინძლის სირცხვილი კი არ იყო, არამედ სოფლის, რეგიონისა და ქვეყნის შერცხვენად აღიქმებოდა. ამიტომაც უხუცე-სები ახალგაზრდა თაობას უნერგავდნენ სტუმრის პატივისცემას და მისი უსაფრთხოების დაცვის აუცილებლობას.

უფალს ადამიანებისთვის გამოგზავნილ სალვოთო წიგნებშიც დაუთმია სათანადო ადგილი სტუმრის პატივსაცემად. მონო-თეისტური რელიგიები ადამიანებს მოუწიდებს, რომ თავშესაფარი, საჭმელ-სასმელი მისცენ მგზავრებს, სტუმარს გაუადვილონ გადაადგილება, საქმის მოგვარება, უზრუნველყონ მისი მშვიდობიანი დაბრუნება სახლში და სხვ. „სტუმარი ღვთისაა“ – ეს გამოთქმა ლოზუნგივით არის გავრცელებული კავკასიაში და განსაკუთრებული გავლენა აქვს ვეინახებში.

ქისტებში სტუმარს განსაკუთრებული ადგილი უჭირავს. შეიძლება ითქვას, რომ ქისტური ადათ-წესების მიხედვით სტუმარი ისეთი უფლებითაა აღჭურვილი, რომ მასპინძელი წინ ვერ აღუდგება სტუმრის ახირებულობას, უსაქციელობას და ზოგჯერ ზღვარგადასულ ოჯახის უპატივისცემულობასაც კი. მასპინძელი ოჯახში და თავის სოფელში სტუმარს უკად-

რის საქციელზე პასუხს ვერ მოსთხოვს, გააცილებს და გააფრთხილებს, რომ შემდეგ შეხვედრისას პასუხს აგებინებს თავის ნამოქმედარზე. გავიხსენოთ აკაკის „გამზრდელი“: აფხაზი ბათუ თავის ოჯახის შეურაცხმყოფელს, რომელსაც ჩადენილი დანაშაულისათვის სიკვდილი ეკუთვნოდა, პატივი სცა, გააცილა ოჯახიდან და მხოლოდ მაშინ ეუბნება:

„და დღეიდან ჩვენს ორს შუა
მოციქული არის ტყვია!“

ვაჟა-ფშაველას „სტუმარ-მასპინძლის“ მთავარი პერსონა-ში ჯოყოლა ალხასტაისძე ქისტების მოსისხლე მტერს, თავის ძმისკვლელ სტუმარს იცავს. ზვიადაური შემთხვევით შემოხვდა, სახლში მიიპატიუა გზააბნეული ხევსური მონადირე და წესისა და რიგის მიხედვით უმასპინძლა. ხოლო, როდესაც ქისტები სახლში მიუცვივდნენ და მის სტუმარს თავს დაესხნენ, მტკიცე წინააღმდეგობა გაუწია. მართალია, როდესაც მიხვდა, ძმისმკვლელს მასპინძლობდა, შეკრთა, სინანული დაეტყო:

„ჯოყოლა ცოტას შეფიქრდა,
პირს სინანული წაესო,
თითქოს ნატყორცი ისარი
ზედ გულის კოვზზე წაესო“.

მაგრამ ეს იყო წამიერი შეერთომა, სინანულიც წამიერი იყო. მან უმაღლ გაიაზრა მდგომარეობის სიმძიმე, მაგრამ წუთითაც კი არ უყოფილია სტუმრის დასაცავად. მისი არგუმენტი მყარი იყო:

„ვის გაუყიდავ სტუმარი?
ქისტეთს სად თქმულა ამბადა?“

და მან დაიცვა მოსისხლე სტუმარი, დაუპირისპირდა თავის

თემს, სასიკვდილოდ გაიმეტა თანამოძმე. მან კარგად იცოდა, რომ თემისგან გარიყელი იქნებოდა სისხლის დაღვრის შემდეგ, მაგრამ მასპინძლის ვალი პირნათლად მოიხადა.

ვაუა-ფშაველა ამბობდა, რომ „სტუმარ-მასპინძელი“ რეალურ ამბავზე არ იყო აგებული. მაგრამ ის ძალიან კარგად იცნობდა მეზობელი ქისტების ადათ-წესებს, უეჭველად ექნებოდა მოსმენი-ლი მსგავსი სიუჟეტის ამბები სტუმარ-მასპინძლის ურთიერთობებზე და შექმნა კიდეც შედევრი.

ზემოთ თქმულის დასადასტურებლად მოვიყვან რეალურად ქისტებში, ახიელის თემში მომხდარ ამბავს, რამაც გამოიწვია პანკისში ცათიაშვილების გადმოსახლება.

ახიელის (ახა) თემში ცხოვრობდა ვინმე ცათიაში, ცნობილი მთიელი მკაცრი ხასიათითა და სტუმრის მოყვარეობით. მას ურთიერთობა ჰქონდა ბარის ჩეჩენეთთან და ბევრი ნაცნობი ჰყავდა. ერთ დღეს მას ესტუმრა ახალგაზრდა, რომელსაც ბარიდან ამოეტანა საყოფაცხოვრებო საქონელი, რათა მთაში გაეყიდა.

ცათიაშმა გულთბილად მიიღო სტუმარი, წესისა და რიგის მიხედვით უმასპინძლა და როცა შეიტყო მისი მთაში ამოსვლის მიზანი, დაიბარა ერთ-ერთი უმცროსი ბიძაშვილი და დაავალა, მიხმარებოდა სტუმარს ვაჭრობაში. ბარელმა ვაჭარმა კარგად გაასაღა თავის საქონელი, ვაჭრობით ფრიად კმაყოფილი იყო, კარგი მოგება ნახა და სახლისკენ წასვლას დაეჩქარა.

ცხადია, ვაჭრობის დროს მან ახლომახლო სოფლები მოიარა, მოსახლეობამ იცოდა მის შესახებ და ისიც, რომ დიდი თანხა მიიღო საქონელში. ცათიაში იცნობდა თავისი ხალხის, ქისტების მეკობრულ ხასიათს და იზრუნა სტუმრის უსაფრთხოებაზე: ბიძაშვილს, რომელიც ვაჭრობის დროს აახლა სტუმარს, უბრძანა, გაეცილებინა ბარელი, სანამ უსაფრთხო ადგილს არ მიაღწევდა.

რამდენიმე დღის შემდეგ ცათიაშს კვლავ სტუმარი ეწვია, ამჯერად ხანშიშესული კაცი და ვაუიშვილის ამბავი ჰკითხა:

– ერთმა ნაცნობმა მირჩია, ვაუიშვილი შენთან გამომევზავნა, ღირსეულ მასპინძლობას გაუწევსო. უკან აღარ მობრუნებულა,

შენთან თუ შემოიარა?

— კი, ჩემთან იყო, სამი დღის უკან ბარისკენ დაეშვა, საქონელი გაყიდა და კმაყოფილიც იყო ვაჭრობით. ამბობ, რომ არ დაბრუნდა, გავიგებ ამბავს. შენ მოისვენე, სანამ ვახშამს მოგიმზადებენ, — თქვა შეფიქრინაბულმა მასპინძელმა და გარეთ გავიდა.

დაეჭვებულმა ცათიაშმა დაიბარა ბიძაშვილი, შეეკითხა, თუ სადამდე ჩააცილა სტუმარი. შეცპუნებულმა ახალგაზრდამ უთხრა:

— ხომ გითხარი, შავ კლდეს გავცდით, მოსახვევამდე ჩავყევი, შემდეგ დავემშვიდობეთ ერთმანეთს. ის თავქვე წავიდა, მე კი ზე-ვით, სახლისკენ წამოვედი.

ბიძაშვილები უხმოდ შესცექროდნენ ერთმანეთს. ცათიაშის გამომცდელ მზერას თვალები მოარიდა ბიძაშვილმა და უხმოდ გა-ბრუნდა სახლისკენ. გულამლვრეულმა ცათიაშმა ხელი წამოავლო ჯოხს და დაეშვა თავქვე, ბარისკენ მიმავალ ბილიკს დაადგა.

შავ კლდეს, სიპის ქვების გორამდე რომ მიაღწია, შეჩერდა და დააკვირდა კლდეზე გაჭრილ, უფსკრულზე დაკიდულ ბილიკს. ბილიკიდან უფსკრულის ძირი არ ჩანდა, ისე იყო შავი კლდე წინ გამოშვერილი. ბილიკის დათვალიერების დროს შენიშნა წითელი ლაქები კლდის ნიბოზე, დააკვირდა და დარწმუნდა, რომ სისხლის ნაშეფი იყო. სწრაფად შემოუარა კლდეს, დაბლა დაეშვა და უფ-სკრულის ძირზე წვეტიან ქვებზე დაჩეხილ გვამს წაადგა თავზე. უმალ იცნო თავისი სტუმარი. ახალგაზრდა კაცი პირქვე ეგდო, კეფა დამსხვრეული ჰქონდა, რაც უნდა გამოეწვია უფსკრულში ჩავარდნას.

ცათიაშმა ტრაგედია გაისიგრძეგანა, ყველაფერი წარმოიდგინა: წინ მიმავალ სტუმარს მისმა ბიძაშვილმა უკნიდან კეფაში კეტი დაჰკრა, წაქცეულ უგონო ახალგაზრდას უბიდან ფული ამოაცალა და უფსკრულში გადაჩეხა. გაოგნებული დაჰყურებდა ცხედარს, მისი გონება გამალებით მუშაობდა და გამოსავალს ეძებდა. ერთი რამ ცხადი იყო მისთვის — ეს ბოროტება დაუსჯელი არ უნდა დარჩენილიყო, ეს სირცხვილი დამნაშავის სისხლით უნდა ჩამოებანა.

ცათიაში სახლში დაბრუნდა, დაღუპულის მამას მომხდარი

ტრაგედია ამცნო: შენი უბედური შვილი უფსკრულში გადაიჩეხა. ახლა ცხედარი ამოვიტანოთ ხევიდან და სახლში მივასვენოთ, დან-არჩენზე მერე ვილაპარაკოთო.

აულს სწრაფად მოედო უბედურების ამბავი. სწრაფად შეი-კრიბნენ ახალგაზრდები და უბედურების ადგილისკენ დაეშვნენ. ცათიაშმა ბიძაშვილს უთხრა:

– შენ ცოტა მოიცადე, საქმე მაქვს შენთან, მალე დავეწევით წასულებს. სახლში შევიდეთ! – ბრძანების კილოთი დააყოლა და წინ გაუძლვა. შეშფოთებული ბიძაშვილი უხმოდ გაჰყვა უკან. ცა-თიაში ოთახში კედელთან შედგა, სადაც იარაღი ეკიდა. როგორც კი ბიძაშვილი შევიდა, უფრო სწორად, ნაპიჯი შედგა ოთახში, შემო-ბრუნდა და ბრაზისგან გაფითრებულმა ჩუმად ჰკითხა:

– მაშ, როგორც გითხარი, მშვიდობიანად გააცილე ხომ სტუმარი?

– რაზე მეკითხები, ხომ გითხარი, – მოგუდული ხმით უპასუხა ბიძაშვილმა, – ცდილობდა ხმისთვის სიმტკიცე შეემატა, მაგრამ ხმაში კანკალი შეეპარა.

– იმიტომ გკითხე, რომ უკანასკნელად მომესმინა შენი ტყუილი. წყეულიმც იყავ, ოჯახისა და თეიფის შემარცხევენელო.

ცათიაშმა ელვის უსწრაფესად ჩამოგლიჯა თოფი კედლიდან და მკერდში დაახალა სტუმრის გამყიდველს. მოღალატე უხმოდ ჩაიკეცა. ცათიაში სწრაფად გავიდა გარეთ, დაუძახა ახლობლებს და უბრძანა, მიცვალებული საკუთარ სახლში გადაეყვანათ. თავად ძმასთან გადავიდა, ფული გამოართვა და სწრაფად დაეშვა დაბლა, რათა დასწეოდა ჭირისუფალსა და თანასოფლელებს.

მან განზე გაიყვანა თავისი გვარის უხუცესი, აუხსნა ვითარება და უთხრა:

– ელმარძი, ეს ფული გადაეცი ჩვენს სტუმარს, იმდენია, რაც საქონელში აიღო მისმა შვილმა, უთხარი, რომ მისი შვილის სისხლი აღებულია. დანარჩენზე, დალატსა და ძარცვაზე პასუხს ვაგებ ჩვე-ნი ადათისა და წესის მიხედვით.

ეს საქმე უხუცესთა სასამართლოში გაირჩა. ცათიაშმა დაკის-

რებული საქონელი გადაიხადა, ხოლო თავად შეკრიბა სახლეული და დატოვა მშობლიური აული. იმდენად შურისძიებას არ გარიდებია, რამდენადაც სირცხვილს, რაც დაატეხა თავს უგვანო ბიძაშვილმა. სტუმრის გაძარცვა და გაძარცვის მიზნით მისი მოკვლა უდიდეს დანაშაულად ითვლებოდა და ითვლება დღესაც. ასეთი სირცხვილი თაობებს შავ ლაქად მიჰყება ხოლმე.

ცათიაში საქართველოში, კერძოდ, პანკისის ხეობაში გადმო-სახლდა და საფუძველი დაუდო ცათიაშვილების გვარს. ხორავოში ცხოვრობდნენ ცათიაშვილები, ხოლო შემდეგ მენშევიკების დროს თავად ნათელაშვილისგან თუ ანდრონიკაშვილისგან შეიძინეს მიწები და დასახლდნენ შუა ხალანანში.

სტუმრის გულისთვის თავის განირვა წინაპრებისგან მოსდევთ ქისტებს. შამილის დატყვევების შემდეგაც ჩეჩინებს არ შეუწყეტი-ათ ბრძოლა რუსი დამპყრობლების წინააღმდეგ. 1877 წ. აჯანყდნენ არგუნის აუზის მცხოვრებლები... აჯანყებას სათავეში ჩაუდგა ახ-ალგაზრდა, 27 წლის ალიბეგ-ჰაჯი ალდამოვი, რომელიც ყველაზე ახალგაზრდა და უკანასკნელი იმამი იყო ჩეჩინეთისა. აჯანყება ჩახ-შობილ იქნა, დაინყო აჯანყების მეთაურების, ნაიბების დევნა. ბე-ბერი მგელი, 70 წლის უმი დუევი, შამილის თანამებრძოლი აულ მახკეთში აფარებდა თავს.

რუსი გენერალი სმეკალოვი გარს შემოერტყა სოფელს და უმის გადაცემა მოსთხოვა. წინააღმდეგ შემთხვევაში სოფლის გა-ნადგურებითა და გადარჩენილთა გადასახლებით დაემუქრა. უხუ-ცესებმა ასეთი შინაარსის წერილი გაუგზავნეს გენერალს:

– გენერალო, ხალხისგან უნდა მოითხოვო ის, რისი შესრულე-ბაც შეუძლია. შენც კარგად იცი, როგორ ძნელად ვემშვიდობებით წინაპართა საფლავებს და მშობლიურ მიწას. მაგრამ ჩვენ არ შეგვი-ძლია უმის გაცემა. ის ჩვენი სტუმარია!

სოფელი აღგავეს პირისაგან მიწისა და მოსახლეობის უმეტესი ნაწილი გაიჟლიტა.

სტუმრის უსაფრთხოება ხელშეუხებელია, სტუმრის შეურა-ცხყოფა მასპინძლის არაფრად ჩაგდებად, მისი კაცობის, ლირსების

შელახვად ითვლება, რაც დაუსჯელი არ დარჩება. მასპინძელი ვალდებულია, დაიცვას სტუმარი. ამავე დროს, იგი პასუხს აგებს სტუმრის უსაქციელობაზე. მაგალითად, თუ სტუმარმა ჩხუბი ატ-ეხა, დაჭრა ვინმე ან სულაც გაძარცვა ვინმე, ან კიდევ იქურდა, დაზარალებული მასპინძელს მიადგება და პასუხს მოსთხოვს. თუნდაც დანაშაულის ჩადენის შემდეგ სტუმარი მიმდინარეობს, მასპინძელი ვალდებულია, მის დანაშაულზე პასუხი აღოს. მართალია, მთლად ისეც არ არის საქმე, რომ სტუმარს ყველაფრის უფლება აქვს და ყველაფერი, რასაც ის ჩაიდენს, მასპინძლის კისერზე გადაივლის და იგი თავისუფალია. არა, მასაც პასუხი მოეთხოვება, მისი მასპინძელი შემდეგში პასუხს მოსთხოვს თავისი ავტორიტეტის შელახვისათვის. ცხადია, სტუმრის უსაქციელობა მასპინძელსაც ჩირქს სცხებს, რადგან ქისტებში იტყვიან: როგორიც მასპინძელია, სტუმარიც ისეთი ჰყავსო.

ერთი შეხედვით, სტუმარი ტერორს ახორციელებს მასპინძელზე, რამეთუ ძალიან დიდ ტვირთს აკისრებს თავის სტუმრობით. მაგრამ ისიც უნდა იქნეს გათვალისწინებული, რომ მასპინძელიც ხშირად სტუმრის როლშია და ისიც იმავე პრივილეგიებით სარგებლობს, როგორც მისი სტუმარი. ასე რომ, სტუმარ-მასპინძელი, როგორც იტყვიან, ბარი ბარში არიან.

იმდენად დიდია სტუმრის პატივისცემა, პურ-მარილის ძალა, რომ მოსისხლე მტერიც კი შეიძლება შეწყალებულ იქნეს. მოვიყვან მაგალითს, რომელიც ნამდვილად მოხდა ქისტეთში. მოხდა მკვლელობა, რომელიც გამოირჩეოდა სისასტიკით, რაც არ იყო დამახასიათებლი ქისტებისათვის. საკმაო დრო გავიდა ამ მკვლელობიდან, მაგრამ ქისტებში ჯერ კიდევ ცოცხლობდა მოგონება. მკვლელი გადაიხვენა. ადათის მიხედვით, მისი ადგილი უნდა დაეკავებინა მის ძმას, ან ბიძას, ან ვაჟიშვილს და უფლება არ ჰქონდათ, დაეტოვებინა აული. ამ ადათზე, „მეერზე“ (ქისტურად მამაცი) უარი თქვეს მოკლულის ვაჟიშვილებმა, რადგან გადაწყვიტეს, შური ეძიათ მხოლოდ უშუალო მკვლელზე, როგორც ქისტები იტყვიან, მასზე, ვისაც „ხელები ჭუჭყიანი ჰქონდა“.

მართლაც, დიდი ძალისხმევის შედეგად ძმებმა მიაგნეს მკვლელს, შეიპყრეს და ჩამოიყვანეს თავიანთ სოფელში, რათა თანასოფლელებს ეხილათ, დარწმუნებულიყვნენ, რომ შურისძიების აქტი შესრულდა. ასეთი მოქმედება რაიმე ტრადიციას არ ემყარებოდა. ჩანს, ეს გადაწყვეტილება იმიტომ მიიღეს, რომ მკვლელი ცნობილი იყო მამაცობითა და გამბედაობით და მისი დატყვევება და მკვლელობის ადგილზე სიკვდილით დასჯა მის ლირსებასაც შელახავდა და შურისმაძიებელთა ავტორიტეტსაც გაზრდიდა, ან კიდევ სრულიად შესაძლებელია, რომ ასეთი ტრადიცია კიდეც არსებობდა ძველად. გავიხსენოთ „სტუმარ-მასპინძელი“, სადაც ზვიადაურს სწორედ მის მიერ მოკლულ ჯოყოლას მის დარღას საფლავზე კლავენ. მტრის მიერ მოკლულის საფლავზე დაკვლის წესი, აღბათ, წარმართობის დროს ხდებოდა, ვაჟას გაგონილი ექნებოდა ამ რიტუალის შესახებ. პირადად მე ამ ადათის შესახებ არ მსმენია, მაგრამ ის კი მინახავს, რომ შერიგების დროს მკვლელი, თეთრ სუდარაში გახვეული, წვება მის მიერ მოკლულის საფლავზე და არ ადგება, სანამ სისხლის პატივების შემდეგ მოკლულის უახლოესი ნათესავი არ მივა და არ წამოაყენებს. ამ ორ რიტუალს შორის არსებობს არსებითი მსგავსება. ვფიქრობ, მოკლულის საფლავზე სუდარაში გახვეული მკვლელის დაწოლა სიმბოლური სიკვდილს უნდა ნიშნავდეს.

ასეა თუ ისე, ძმები შებოჭილი მოსისხლეთი სოფელში დაბრუნდნენ. სოფელში დიდი ჩოჩქოლი იდგა, გადაძახილ-გადმოძახილი, იარაღის ჟღარუნი, ძალლების ყეფა და ქალების გნიასი ერთმანეთში ირეოდა. ძმებმა ძლივს გაარკვიეს, რომ ჯიგიტები თარეშის დროს ალყაში მოქცეული თანამოძმებების დასახმარებლად მიდიოდნენ.

ძმებმა მამის მკვლელი სარდაფში, საპრძოლო კოშკის პირველ სართულზე, ტყვეებისთვის დანიშნულ ე.წ. „ლერმში“ ჩააგდეს და სასწრაფოდ შეუერთდნენ რაზმს, მხოლოდ დედა გააფრთხილეს, მკაცრად ეთვალთვალა ტყვესთვის და არავითარ შემთხვევაში არ მიეწოდებინა სასმელ-საჭმელი.

ტყვემ მეორე დღეს დიასახლისს პური და წყალი სთხოვა. მესამე დღეს დაშინებით ეძახოდა, წყალს ითხოვდა, ამუნათებდა:

– სახლის დედავ, წყალი დამალევინე, მჭადი მომეცი, ღმერთი არ გწამს? ვიცი, სიკვდილი არ ამცდება, მშიერი როგორ უნდა მომკლათ, სირცხვილით როგორ გამოჩნდებიან ხალხში შენი ვაჟიშვილები?

ქვრივი ზიზლით უცქეროდა ქმრის მკვლელს, პასუხს არ სცემდა, უხაროდა კიდეც, რომ ასე იტანჯებოდა კაცი, რომელმაც დააობლა მისი ვაჟიშვილები. მაგრამ მკვლელი ეშმაკი კაცი იყო, ცბიერებით აღსავსე, კარგად იცნობდა მთის წესებს და გამუდმებით ეხვეწებოდა ქალს, ალაპს უფიცებდა, ალაპის სახელით, შვილების სახელით სთხოვდა წყალს. ბოლოს უთხრა:

– სახლის დედავ, ვფიცავ ალაპს, რომ არ მომეკლა, შენი ქმარი სიცოცხლეს გამომასალმებდა. ღმერთია მოწმე, არ მინდოდა მისი მოკვლა, მაგრამ ბედისწერას ვერავინ გაქცევია. შენი ქმრის საფლავს გაფიცებ, ცოტა წყალი დამალევინე.

დიასახლისი გატყდა, შეეცოდა ქმრის მკვლელი, იფიქრა, დღეს-ხვალ მაინც უნდა მოკვდეს, ჩემს ოჯახშია, პურ-მარილს (ქისტურად თუხ-სასქალ – მარილ-მჭადს) მთხოვს და უარი როგორ ვთქვა, ალაპიც არ შემინდობს ამასო და მიაწოდა წყალი და მჭადი.

ძმები მესამე დღის ბოლოს დაბრუნდნენ სახლში. უპირველეს ყოვლისა, დაწყებული საქმის სისრულეში მოყვანა გადაწყვიტეს, მამისმკვლელი ამოიყვანეს ორმოდან და იმ ადგილისკენ წაიყვანეს, სადაც მამა მოუკლეს. მკვლელი არ იყო ჯაბანი, თავანეული მიდიოდა სიკვდილის შესახვედრად. როდესაც შეკრებილ ხალხს ჩაუარა, დამცინავად შეხედა გვერდით მიმყოლ ძმებს და წამოიძახა:

– ხედავთ, სტუმარს როგორ ექცევიან მასპინძლები?
– სტუმარი? მაშ სტუმრის პრეტენზიაც გაქვს? შენისთანა სტუმრისგან ღმერთმა დაგვიფაროს!

– დიახ, სტუმარი ვარ! – დაიყვირა მკვლელმა, – მე თქვენს ოჯახში „თუხ-სასქალ“ მივიღე, თქვენს პურ-მარილს ფეხს აბიჯებთ, ჯიგიტებო.

უფროსი ძმა შეცხუნდა, მაგრამ მერე გაიცინა:

- სიკვდილმა შეგაშინა, ტყუილს კადრულობ, ვაჟკაცო?
- ჰქონდეთ დედაშენს, ის გეტყვის სიმართლეს.

ხალხში ჩოჩქოლი ატყდა, გაისმა უკმაყოფილო ხმები. თუ ამ კაცს მათ აულში პურ-მარილი ჰქონდა მიღებული, ის სტუმრად ითვლებოდა და სტუმარი კი ხელშეუხებელი იყო. ძმებმა ერთ-მანეთს გადახედეს. უმცროსი სახლისკენ გაქანდა. მცირე ხანში დალვრემილი მობრუნდა უკან და როგორც კი შეხედა უფროსმა, ყველაფერს მიხვდა.

სამარისებური სიჩუმე ჩამოწვა. ძალლებმაც კი შეწყვიტეს ყეფა, ბავშვებიც მიჩუმდნენ. ნათესავები წრედ შეიკვრნენ ძმების გარშემო და ხმადაბლა დაიწყეს მსჯელობა. თანასოფლელები ჩუ-მად იდგნენ და ელოდნენ გადაწყვეტილებას. დაძაბული სიტუაცია შეიქნა. ძმების განაჩენს დიდი მნიშვნელობა ჰქონდა, მათი განა-ჩენით წყდებოდა არა მკვლელის სიკვდილ-სიცოცხლის საკითხი, არამედ კაცის ღირსების, ადათ-წესის, წინაპართა პატივისცემის, სტუმრის სტატუსის საკითხები.

ძმებმა გადაწყვეტილება მიიღეს, გამოვიდნენ ხალხის წინ და განაცხადეს:

- ხალხო, თქვენ ყველა ხედავთ, რომ ჩვენ შეგვიძლია ჩვენი მტრის მოკვლა, თქვენ ხედავთ, რომ გაქცეული და დამალული ჩვენ მოვნახეთ, შევიპყარით და იგი თქვენს წინაა. შურისძიებას წინ არაფერი უდგას, მაგრამ ჩვენ უარს ვამბობთ, რადგან პატივს ვცემთ წინაპართა ადათ-წესებს, პატივს ვცემთ სტუმარ-მასპინძლის წესს, სტუმრის ხელშეუხებლობას, დედაჩვენს, რომელმაც შეიცოდა ტყვე და „თუხ-სასქალ“ მიაწოდა, მას ფეხს არ დავაბიჯებთ.

ხალხს მოწონების შეძახილი აღმოხდა, სოფლის უხუცესები მივიდნენ ძმებთან და მადლობა გადაუხადეს, რომ სტუმრის სიკვდილით დასჯით არ შეარცხვინეს ოჯახი, თეიფი და თანასოფლელებიც.

უფროსმა ძმამ თოკი გადაჭრა ხანჯლით, ხელები გაუნთავისუფლა და მკაცრად უთხრა:

– თავისუფალი ხარ, მშვიდად შეგიძლია დატოვო სოფელი, ეცადე, არსად შემეფეთო.

გაოგნებული მკვლელი გაოცებული შეჰერებდა ხალხს, სიტუაციის ასე შემობრუნებას არ ელოდა, დაბნეული იყო, ეტყო-ბოდა შინაგანი ღელვა. შემდეგ იგი ხალხისკენ წავიდა. ხალხი გაინ-გამოინია და გასავლელი დერეფანი გაჩნდა. მიმავალი მკვლელი შუა ხალხში შეჩერდა და მიმართა:

– ალაპს ვფიცავ, სიმართლეს გეტყვით. თქვენი სოფლის წყაროზე ქალიშვილები იყვნენ და იქ ახალგაზრდებიც მხიარუ-ლობდნენ, მეც შემთხვევით, გზაზე მიმავალი შევუერთდი მათ. ვაჟებმა პატივი მცეს, როგორც სტუმარს, სტუმრის პრივილეგია მომანიჭეს და უფლება მომცეს, ამერჩია ქალიშვილი და ჩვენი წე-სისა და ჩვეულების მიხედვით მექასა მასთან და მემხიარულა. აქ შელაპარაკება მომივიდა თქვენს თანასოფლელთან, ამ ძმების მამასთან და მე მას შეურაცხყოფა მივაყენ.

როცა ჩემს გზას გავუდექი, ჩასაფრებულს წავანყდი მეტო-ქეს და ჩვენ ხანჯლები დავუშინეთ. მას მომცრო ხანჯალი ჰქონდა, მიტევდა და მიტევდა. თავს ვიცავდი, ვიცოდი, რომ ცოცხალს არ გამიშვებდა და იძულებული ვიყავი, მერტყა და მერტყა ხანჯალი. მან ბოლომდე იბრძოლა და მიიღო მრავალი ჭრილობა, რამაც საზ-არელი სისასტიკის სახე მიიღო. ვფიცავ ალაპს, ეს არ ჩამიდენია სისასტიკით, მისი სიძულვილით.

ამის შემდეგ დიდხანს არ გაუვლია. უხუცესები ჩაერივნენ ორი მხარის შესარიგებლად, დიდი ძალისხმევის შედეგად მოხდა ძმების დაყოლიება პატიებაზე და ადათისა და წესის მიხედვით მოხდა ორი გვარის შერიგება. გადამწყვეტი როლი ამ შერიგებაში ითამაშა სტუმრის სტატუსმა, თუმცა არაორდინალურ გარემოებაში მომხდარ-მა, მაგრამ მაინც სტუმრის პატივისცემა გადამწყვეტი აღმოჩნდა.

ძველად, როგორც ქისტებში იტყვიან, ნიკალაის დროს (ნიკოლოზ მეფის დროს), პანკისში, სოფ. დუისშიც მოხდა ანალო-გიური ამბავი. ქისტეთში მოკლეს გაურგაშვილების თეიფის წარ-მომადგენელი, მისი ნათესავები პანკისში ცხოვრობდნენ და ძალ-

ისხმევას არ იშურებდნენ სისხლის ასაღებად. სირთულეს იწვევდა ის გარემოებაც, რომ გაურგაშვილები, დაზარალებულები არ იცნობდნენ მოსისხლეს სახით, ისე კი იცოდნენ, სადაური იყო და რომელი თეიფის წარმომადგენელი. თანაც, თუ მკვლელის სოფელში ან ახლომახლო სოფლებში არ გყავს ნათესავები, ან მეგობრები ან თუნდაც კარგი ნაცნობები, ძალიან ძნელია შურისძიება. ქისტებში უცხო კაცს თანასოფლელზე ინფორმაციას არ მიაწვდიან, სახლს არ მიასწავლიან, თუკი არ დარწმუნდებიან, რომ სტუმარი სამშვიდობოდ არის მოსული.

გავიდა დიდი დრო, მკვლელსაც დაავიწყდა, ალბათ, ჩადენილი დანაშაული და, ეტყობა, არც იცოდა, რომ მის მიერ მოკლულის ნათესავები პანკისში ცხოვრობდნენ. იგი მოხვდა სოფ. დუისში და ერთ-ერთ, მის მიერ მოკლულის ნათესავს ესტუმრა. სტუმარი დიდ პატივში ჰყავდათ გაურგაშვილებს, როგორც წესია, მასპინძლის ახლობლებიც გადაიპატიჟებდნენ ხოლმე და მკვლელიც მხიარულად ატარებდა დროს.

მაგრამ, როგორც ხდება, გამოჩნდება ხოლმე ვინმე, რომელიც იცნობს უცხოს და საიდუმლოს ფარდა აეხდება. როგორც ჩანს, პირველად მასპინძელმა გაიგო და სტუმარი გააფრთხილა მოსალოდნელი საფრთხის შესახებ და სოფლიდან გააპარა, მაგრამ მოკლულის ახლობლებმაც გაიგეს სტუმრის ვინაობის შესახებ, მოკითხეს და როცა შეიტყვეს, რომ მკვლელი სოფლიდან გაიპარა, სასწრაფოდ შეიკრიბა რაზმი და გამოუდგნენ მოსაკლავად სტუმარს, რომელიც ასე დიდ პატივში ჰყავდათ. მდევარ რაზმში სტუმრის მასპინძელიც გაერთიანდა და დაედევნა გაქცეულს.

მდევარმა იცოდა ყველა გზა, რომელიც მთებისკენ, ქისტეთი-საკენ მიდიოდა. დევნილს ან ხევსურეთზე უნდა გაევლო, ან მთა-თუშეთზე, სოფლიდან დიდი ხნის გასული არ იყო მკვლელი, თანაც ფეხით წავიდა და ცხენოსნები მალე დაეწეოდნენ. მართლაც, მდევარი მთის მისადგომებთან დაეწია, საჯვლის ამარა მკვლელი წინააღმდეგობას ვერ გაუწევდა შეიარაღებულ რაზმს და დიდი ჯაფ-ის გარეშე შეიძყრეს.

სწორედ აქ გამოიჩინა მასპინძელმა უდრეკი ხასიათი. მან განაცხადა, რომ მხოლოდ მისი სიკვდილის შემდეგ შეეძლოთ მისი სტუმრის მოკვლა. ნათესავები, მისი თეიფის წარმომადგენლები უხსნიან, რომ ეს ამბავი მის სახლში არ ხდება, მკვლელი უკვე აღარ არის მისი სტუმარი, ის უკვე გასცდა მათ სოფელს და მასპინძლის მოვალეობა – სტუმრის დაცვა მას უკვე აღარ ავალდებულებს. მაგრამ მასპინძელსაც ჰქონდა თავისი არგუმენტები:

1) ჯერ ერთი, მან ერთი-ორი კვირის განმავლობაში იგემა მის ოჯახში პურ-მარილი, თითქმის ყველა თქვენგანის ოჯახშიც არის ნასტუმრები და მისი მოკვლა არა მარტო მე, ყველა თქვენგანსაც ჩირქს მოსცხებს და საშვილიშვილოდ შევრცხვებით.

2) მეორეც, იგი ჩემი ოჯახიდან წუხელ გავიდა, ვინ დაიჯერებს, რომ მე არ გავეცი. გულში ეჭვი მაინც ექნებათ ყველას, რომ სტუმარი მე გავყიდე. სალაპარაკოდ ექნებათ ჭორიკანებს და წამოაყვედრებენ კიდეც ჩემს შთამომავლობას, შენმა წინაპარმა სტუმარი გაყიდათ.

ბევრი იყამათეს, არწმუნებდნენ ყოფილ მასპინძელს, მაგრამ იგი ჯიუტად იდგა თავისაზე.

მოკლულის ახლობლებმა იცოდნენ, რომ ასეთი შემთხვევა შურისძიებისა მათ ძნელად თუ მიეცემოდათ და ამიტომ სურდათ, საქმე დაემთავრებინათ, მაგრამ ისიც შეგნებული ჰქონდათ, რომ წინაპართა ადათს არღვევდნენ და თოფის სროლას ვერ ბედავდნენ. ისიც ძალიან კარგად იცოდნენ, რომ მასპინძელთან პრობლემა ექნებოდათ, კარგად იცნობდნენ მის უდრეკ ხასიათს, იცოდნენ, რომ ღირსების შელახვას არავის აპატიებდა.

იმსჯელეს და გადაწყვიტეს, შეპყრობილი სოფელში ჩაეყვანათ და უხუცესებისთვის მიენდოთ საქმის გარჩევა. ასეც მოიქცნენ. გაურგაშვილების თეიფის უხუცესები შეიკრიბნენ, იმსჯელეს და გადაწყვეტილება მიიღეს, რომელიც გვარის უფროსმა სახალხოდ გამოაცხადა.

– რადგან ჩვენი მოსისხლე ორი კვირის განმავლობაში სტუმრობდა ჩვენი თეიფის წევრთან, იგი მთელი თეიფის სტუმ-

რად ითვლებოდა და მთელი გვარი მასპინძლობდა. რადგან იგი მთების იქიდან, ქისტეთიდან იყო ჩამოსული, ის ასევე მთელი ჩვენი სოფლის სტუმარიც იყო. ჩვენი მოსისხლე მტრის მოკვლით თავს შევირცხვენთ მთელი გვარი და ამავე დროს სოფელსაც შევარცხვენთ. იტყვიან, პანკისელმა ქისტებმა დაივიწყეს წინაპართა ადათ-წესები და ისე ცხოვრობენ, როგორც გიაურები. ამიტომ ჩვენ გადავწყვიტეთ, შურისძიებაზე მაღლა დაგაყენოთ სტუმრის პატივ-ისცემის ადათი და უგნებლად გაუუშვათ ჩვენი მოსისხლე.

შემდეგ მიუბრუნდა მასპინძელს და უთხრა:

— ვომა (ძმაო), შენი სტუმარი მიაცილე უსაფრთხო ადგილამდე და დღეიდან დაიხსომე, რომ სტუმრობიდან სამი დღის გასვლის შემდეგ უნდა გაიგო შენთან მოსული უცხოს სტუმრობის მიზანი და ვინაობა, რომ შემდეგში არ აღმოჩნდე ასეთი დილემის წინაშე.

ამბობენ, რომ ამ ამბიდან რაღაც ერთ წელიწადში გაურგაშვილებმა შეძლეს სისხლის აღება. შურისძიება გაადვილა იმანაც, რომ მომხდარი სწრაფად გავრცელდა როგორც პანკისში, ისე პირიქითა ქისტეთში და მკვლელი უკვე ცნობილი პიროვნება გახდა და მისი მოძებნაც გაადვილდა.

იშვიათად, მაგრამ მომხდარა ისეც, რომ შურისმაძიებლებს დაურღვევიათ ადათი – მოსისხლე მოუკლავთ მასპინძლის ოჯახში. ქისტური ადათის მიხედვით, ასეთი ქმედება ოჯახის შეურაცხყოფად ითვლება, ასევე მასპინძლის ღირსების შელახვად, რაც დაუსჯელი არ რჩება. სტუმრის მოკვლის შემდეგ მასპინძელი დაზარალებულად ითვლება, იგი იცავს სტუმარს და სისხლის დაღვრასაც არ მოერიდება. ქისტური ადათ-წესის მიხედვით, სისხლის საფასურის ნახევარი მასპინძელს ეკუთვნის.

სოფ. ყვარელნყალში მოხდა ისეთი შემთხვევა, რაც აღნიშნულ შემთხვევებთან შედარებით განსხვავებული იყო და რამაც ძალიან ცუდი რეაგირება გამოიწვია ქისტებში, მაგრამ ვერ შეძლეს ვერც მასპინძლებმა, ვერც გვარმა და ვერც სოფელმა სამართლიანობის აღდგენა, რადგან აღმატებულ ძალასთან მოუხდათ საქმის დაჭერა. რომ იტყვიან, ძალა აღმართს ხნავსო, ისე მოხდა.

მოვლენები ასე განვითარდა: იყო ე.წ. პანკისის კრიზისის პერიოდი. ხეობაში თავმოყრილი იყო უამრავი ჩეჩენი ლტოლვილი, ჩეჩენი ბოევიკები და სხვადასხვა ქვეყნებიდან თავმოყრილი სხვადასხვა ეროვნების „ბოევიკები“, რომელთაც შექმნეს საბრძოლო ჯგუფები ეროვნების მიხედვით, ე.წ. ჯამაათები. ჩეჩენურის გარდა იყო თურქული, არაბული, დაღესტნური, ყარაჩაელებისა და აზერბაიჯანელების ჯამაათები, რომელებიც არცთუ შეხმატებილებულად მოქმედებდნენ, ხშირად ადგილი ჰქონდა დაპირისპირებას. ამას დაუმატეთ კრიმინალური ჯგუფებიც და ადვილი წარმოსადგენია, თუ რა ქაოსი ტრიალებდა პანკისში.

ერთ-ერთი დაპირისპირების დროს ყარაჩაელმა მებრძოლმა მოკლა ჩეჩენი და გაიქცა. მოკლულის ჯამაათის წევრები გაცოფებული დაეძებდნენ მკვლელს და მის მოსაძებნად ძალ-ლონესა და ფულს არ იშურებდნენ. ყარაჩაელს თავი შეეფარებინა ყვარელ-წყალში მოსახლე ქისტ დ. დუიშვილთან. ნათქვამია, ფული ჯოჯოხეთს ანათებსო და ჩეჩენებმა მიაკვლიეს დამალულს და ოჯახს მოსთხოვეს მკვლელის გადაცემა. დუიშვილი უარზე დადგა, თქვენი მოსისხლე არ არისო ჩემთან. სწორედ აქ იქნა დაშვებული შეცდომა: მასპინძელს უნდა ელიარებინა, რომ მკვლელმა მას თავშესაფარი სთხოვა, არ იცოდა, რომ მას კაცი ჰყავდა მოკლული და შეიფარა. იგი უკვე სტუმარია ოჯახისა და მოიქცეოდა ადათის მიხედვით.

მასპინძელს ახალგაზრდობით, ადათ-წესებისა და ზნე-ჩვეულებების უცოდინარობამ პრობლემები შეუქმნა. შეიარაღებულმა ჩეჩენებმა ჩხრეკის უფლება მოითხოვეს, ეს სამართლიანი მოთხოვნა იყო და წინაღმდეგობას ვერავინ გაუწევდა. ოთახებში მკვლელი არ აღმოჩნდა, ყველგან ნახეს, დარჩა სხვენი და ჩეჩენებმა იგი მაღლა აღმოაჩინეს და ჭერზე ავტომატის რიგის მიშვებით სიცოცხლეს გამოასალმეს კიდეც.

დაარღვიეს თუ არა მასპინძლის უფლება? – კი, მასპინძლის უფლება დარღვეულ იქნა. დაზარალებულებს უნდა გაეფრთხილებინა მასპინძელი, რომ სტუმარი, მათი მოსისხლე გაეყვანა სახლიდან და უარი ეთქვა მის შედმგომ დაცვაზე. ჩეჩენებიც მართლები

იყვნენ: მასპინძელს არ უნდა დაემალა თავის სახლში მკვლელის ყოფნა. ჩემი და ქისტების უმრავლესობის აზრით, ჩეჩინები ისე მოიქცნენ, როგორც ძლიერი ექცევა მასზე სუსტს. მათ იცოდნენ, რომ მასპინძლებს ძალა არ შესწევდათ წინააღმდეგობისა, თავი-ანთი საქმე გააკეთეს და წავიდნენ.

ამ ამბავს კიდევ უფრო ცუდი შედეგი მოჰყვა. რამდენიმე ხნის შემდეგ დაავადდა და გარდაიცვალა ყარაჩაელის ნაცნობი, მასპინძელი დ. დუიშვილი, სამიოდე თვეში მას მიჰყვა მამა და დედა. შეიძლება ამას არანაირი კავშირი არც ჰქონდა მომხდართან, ბედისნერას მხოლოდ ალაპი ადგენს, მაგრამ მაინც მგონია, რომ ამ შეურაცხყოფამ, სტუმრის დაცვა რომ არ შეძლო, მასპინძელზე მძიმედ იმოქმედა. ყოველ შემთხვევაში ის ძალზე შეიცვალა, გულჩათხრობილი გახდა და საზოგადოებისაგან გაირიყა.

ანალოგიური, მაგრამ რამდენადმე განსხვავებული შემთხვევა მოხდა სოფ. ბირკიანში. სოფ. ჯოყოლოში მცხოვრებმა ილლ ბორჩაშვილმა მოკლა ბირკიანელი, ყოფილი სიმამრი ა. ქუშანაშვილი. მოხუცის მკვლელობამ ცუდი რეაქცია გამოიწვია ქისტებში, მით უმეტეს, რომ იგი უდანაშაულო იყო იმაში, რომ მისი ქალიშვილი გაეპარა ქმარს და სხვას გაჰყვა. ი. ბორჩაშვილი მოსაკლავად დასდევდა მეგობარს, რომელმაც ცოლი მოსტაცა, მაგრამ უხუცესები ჩაერივნენ და საქმე მშვიდობიანდ მოგვარდა: დამნაშავემ სისხლის საფასური (60 ძროხა) გადაუხადა დაზარალებულს და საქმეც მშვიდობიანდ დასრულდა, მაგრამ ი. ბორჩაშვილი ახლა ყოფილ სიმამრს გადაეკიდა, შენმა ქალიშვილმა შეურაცხყოფა მომაყენაო და ჩხუბში დანით რამდენიმე ჭრილობა მიაყენა, რის შედეგადაც მოხუცი გარდაიცვალა.

მკვლელი დაიჭირეს და 11-წლიანი პატიმრობა მიუსაჯეს. ბორჩაშვილი 9 წელი იჯდა ციხეში, რუსეთის ჩრდილოეთში მოიხადა სასჯელი და იშვიათად ჩნდებოდა პანკისში, ერიდებოდა მოსისხლეებს. ერთხელაც ბირკიანში სტუმრობდა ზ. ცათიაშვილის ოჯახს. ქუშანაშვილებმა შეიტყვეს მოსისხლის ადგილსამყოფელი და ადრიან დილით, როცა მასპინძელმა საქონელი გარეკა სოფლის

გარეთ, შეიპარნენ სახლში, შეიბყრეს მკვლელი, გაიყვანეს სოფლის განაპირას და დანებით მოკლეს.

ამბობდნენ, რომ შურისმაძიებლები ვაჰაბიტური ჯამაათის წევრები იყვნენ და ამიტომაც შურისძიებაც სასტიკი იყო. ი. ბორჩაშვილს 7 ჭრილობა ჰქონდა დანებით მიყენებული. და რაც მთავარია, ვაჰაბიტური ქისტური ადათ-წესებს დაცვას სავალდებულოდ არ თვლიან, უფრო სწორად, მამაპაპურ ადათ-წესებს, ზნე-ჩვეულებებსა და ტრადიციებს ისლამისთვის მიუღებლად მიიჩნევენ. ისინი სტუმარ-მასპინძლობის ადათს უგულებელყოფენ, თორემ აუცილებლობას არ წარმოადგენდა სხვისი სტუმრის მოტაცება და ამით მასპინძლისათვის მძიმე შეურაცხყოფის მიყენება.

მაგრამ ცათიაშვილებმა ოჯახის შეურაცხყოფისათვის პასუხი მოსთხოვეს. ქუშანაშვილებმა თანხმობა განაცხადეს, რადგან ვაჰაბიტურიც მათი თეოფის წარმომადგენლები იყვნენ, თავად ქისტური ადათ-წესების მტკიცე დაცვით გამოირჩევიან, უსამართლოდ ვერ მოიქცეოდნენ. ამ შემთხვევაში ცათიაშვილების სტუმარი მათ ოჯახში არ მოუკლავთ, მისი გატაცებით შეურაცხყვეს ოჯახი, მასპინძლის ღირსება, რაზეც პასუხი უნდა ეგოთ. საქმე ტრადიციული თემის სასამართლოთი გაირჩა და საქმეც ამით დასრულდა.

სტუმარმასპინძლობის წესის უხეში დარღვევის მხოლოდ ეს ორი მაგალითი მახსოვს და არც დროული ხალხისგან გამიგონია მსგავსი შემთხვევა. რაც თავი მახსოვს, ქისტები განსაკუთრებული სიფრთხილით ეკიდებოდნენ ამ ადათს და მისი დაცვა სავალდებულო იყო ყველასათვის. სოფელში შემოსული უცხო კაცი მთელი სოფლის სტუმრად იყო მიჩნეული, მის შეურაცხყოფას არავის დაანებებდნენ. ხდებოდა ხოლმე, მთვრალი ახალგაზრდა სოფელში საქმეზე მოსულ ჩხუბს აუტეხდა. მომსწრე მოხუცი თუ ახალგაზრდა მაშინვე თავისიანს ეცემოდა, დატუქსავდა, დატუქსვა თუ არ გაჭრიდა, ჯოხებსაც გამოიყენებდა. თუ ახლომახლო მამაკაცი არ იყო, ქალები კივილს ატეხავდნენ და შეყრიდნენ კაცებს. ქისტები ამით ვიყავით დაფასებულნი, პატივს გვცემდნენ მეზობელი ქართველები, მთელ კახეთში სტუმარ-მასპინძლობით, მეგობრობითა

და კაცობით გვიცნობდნენ.

ქისტურ ადათებში, შეიძლება თამამად ითქვას, სტუმრის პატივისცემა პირველ ადგილზე დგას. ქისტებში ამბობენ: სამი რამის გადადება არ შეიძლება – სტუმრის პატივისცემა, მიცვალებულის დამარხვა და მონიფული ქალიშვილის გათხოვება. როგორც ვე-დავთ, სტუმრის პატივისცემა პირველ ადგილზეა დაყენებული.

ერთ-ერთ ვერახურ საგმირო სიმღერაში (ილლი) მოთხრობილია, თუ როგორ აღმოჩნდა დილემის წინაშე ახალგაზრდა, რომელმაც ერთდროულად სამი უაღრესად სერიოზული ცნობა მიიღო: ა) იმ ღამეს მამის მკვლელს უნდა გაევლო მეზობელ სოფელზე; ბ) მის შეყვარებულს იმ ღამეს ნიშნავდნენ სხვაზე; გ) მამის მეგობრები იმ ღამეს სტუმრობდნენ. სამივე ცნობა პრობლემური იყო, მათ გადასაჭრელად ახალგაზრდა ქისტი მზად იყო, ძალაც შესწევდა და ნებისყოფაც, მაგრამ პრიორიტეტული რომელი იყო, ეს უნდა გადაეწყვიტა. გადაწყვეტილების მიღებაში ქვრივი დედა და ესმარა: მამის მკვლელს შეხვდები და სისხლს აიღებ, მთავარია, არ დაივიწყო, არ შეგინელდეს შურისძიების გრძნობა; საცოლეც არ გათხოვდება, თუ გულით უყვარხარ. გათხოვდება და სხვას იშოვი, ერთგულსა და მოყვარულს, მაგრამ თუ სტუმრებს არ უმასპინძლებ ამაღამ, ისინი განაწყენებული წავლენ და დაივიწყებენ შენი სახლისკენ მომავალ გზას. შენ კი თავლაფდასხმული ივლი შენი სიცოცხლე და შენს შთამომავლობასაც წამოაყვედრებენ – სტუმარს დაემალა, სათანადო პატივისცემა არ მიაგოო.

სტუმარს ქისტებში თეიფი (გვარი) მასპინძლობს. მასპინძლის ახლო ნათესავები რიგრიგობით ეპატიუებიან ოჯახში, სახლში არაფერიც რომ არ ჰქონდეს, ცხრა ტყავში გაძვრება და იშოვის, სტუმართან პირშავად არ გამოჩნდება. შეიძლება საკლავი მოიპაროს და სტუმარს დაუკლას. ცხადია, ასეთი ქმედება – სტუმრისთვის ნაქურდალის მირთმევა საძრახისი საქციელია, მაგრამ ასეთი რამ წინათ მომხდარა. ამ შემთხვევაში მიზანმა საშუალება გაამართლა!

მოგიყვებით ერთ საყოფაცხოვრებო ეპიზოდს, რომელიც გა-

სული საუკუნის 50-იან წლებში მოხდა სოფელ ომალოში. დუისი-დან ომალოში ნაცნობ კაცს ესტუმრა ორი მეგობარი. მასპინძელი მარტო იყო სახლში, დიასახლისი მამის ოჯახში არის წასული ავად-მყოფი დედის მისახედადო, სტუმრებს ვითარება აუხსნა. თავად დატრიალდა, მეზობელ დედაკაცს დაუძახა, ქათამი დაუკლა და სუფრის გაშლას შეუდგა. გარეთ წინილების გნიასი იდგა. სტუმარ-მასპინძელი კარგად შეზარხოშებული იყვნენ, როცა დედაკაცმა შებინდებისას წინილები სახლში შეიყვანა. სტუმრებმა შენიშნეს, რომ კრუხი არ იყო და ქალს უთხრეს:

– კრუხიც შემოგეყვანა იოშა (დაო), ეს წინილებიც დამშვიდ-დებოდნენ და ჩვენც დავისვენებდით ამ წივილისგან.

– საიდან მოგიყვანოთ, იესო ქრისტე კი არ ვარ, ქათამი გაგი-ცოცხლოთ, – ღიმილით უპასუხა მეზობელმა.

სტუმრები გაოცებული შეჰყურებდნენ, მერე მიხვდნენ, რომ მასპინძელს ერთადერთი შემორჩენილი კრუხი დაეკლა. მერე ისიც გაირკვა, რომ მასპინძელს ცოლიც წასჩუბებოდა, ეტყობა, სტუმარი არ ეკლდა ომალოელს და ოჯახიც უცარიელდებოდა.

– სტუმარს დახვედრაც უნდა, ვოშა (ძმაო), მაგრამ ოჯახში შემომტანიც უნდა იყო, თორემ ხვალ რომ სტუმარი მოგივა, ამ წინილების შეწვა მოგიწევს, – უთხრა განაწყენებულმა უფროსმა სტუმარმა და ფეხზე წამოდგა.

– დაჯექი, გთხოვ, სტუმარი ღვთისაა. სტუმარი ისეთი ბარაქი-ანია ოჯახში, თავის საჭმელიც მოაქვს და ოჯახისთვის ბარაქაც.

სტუმრებს ჭამის მადა დაეკარგათ, მაგრამ მასპინძლისადმი პატივისცემაც მოემატათ, რადგან მან ყველაფერი გააკეთა, რათა სტუმრები გულნაკლულად არ გაეშვა სახლიდან.

ადრე, არცთუ დიდი ხნის წინ, სტუმრის პატივსაცემად ახ-ალგაზრდა ქალ-ვაჟებს იწვევდნენ, მართავდნენ ცეკვა-თამაშს და მხიარულობდნენ. ქალიშვილები ცალკე შეჯგუფდებოდნენ, ვაჟიშვილები მეორე მხარეს, შუამავალ ქალიშვილს ირჩევდნენ, თამადა ვაჟებს ქალიშვილებს უნიშნავდა და იწყებოდა მსუბუქი ფლირტი, ხუმრობით სიყვარულის ახსნა და ა.შ. სტუმარს ყოველთვის უპი-

რატესობა ენიჭებოდა, უპირველეს ყოვლისა, თამადა სტუმარს სთავაზობდა, ქალიშვილებში შეერჩია თავის მოწონებული.

ოჯახში საპატიო ადგილი ყოველთვის სტუმარს ეკუთვნის. არც ერთ შემთხვევაში არ შეიძლება სტუმრის დასმა შესასვლელ კართან ახლოს.

ამ წესს, ალბათ, თავისი ახსნა აქვს. მასპინძლის უპირველესი მოვალეობაა სტუმრის უსაფრთხოების დაცვა. ოჯახის მასპინძელ-მა არ იცის, რისთვის ეწვია სტუმარი, იქნებ მდევარი მოსდევს. საფრთხე კარიდან არის მოსალოდნელი, ამიტომ სტუმარს უს-აფრთხო ადგილზე სვამს, თავად კართან ჯდება, ეს წესი ძველი დროიდან მოდის. საპატიო ადგილია ოთახში მზის მხარეს ან ჩრდილოეთით, უფრო გასაგები რომ იყოს, ზევითა მხარეს, წყლის სათავის მხარეს. მასპინძელი სახლში შესვლისას წინ მიუძღვის, ხოლო გამოსვლისას სტუმარს უკან მიჰყება. სუფრაზე მასპინძე-ლი პირველი ინყებს ჭამას და ამთავრებს ბოლოს, თანაც საუკე-თესო ხორცის ნაჭრებსა და უკეთეს კერძებს სტუმარს სთავაზობს.

მიუღებელია, სტუმარს გამოჰკითხო მოსვლის მიზეზი სტუმ-რობის პირველ სამ დღეს. თუკი სტუმარი მოსულია შორიდან, არ საუბრობს სტუმრობის მიზეზებზე, სამი დღის შემდეგ მასპინძელი ჰკითხავს ამბავს, რაიმე გაჭირვებამ ან სხვა საქმემ ხომ არ მოი-ყვანა მასთან და ასე შემდეგ. სამი დღე იმიტომ არის დაწესებული, რადგან სამი დღის გასვლის შემდეგ სტუმარი უკვე ოჯახის წევრად ითვლება. სამი დღის განმავლობაში საუკეთესო საჭმელ-სასმელს უმზადებენ, ყველა ცდილობს, პატივი სცენ, თავს ევლებიან. სამი დღის შემდეგ იგი, როგორც ითქვა, ოჯახის წევრია, იმ საკვებს მი-ირთმევს, რასაც ოჯახის წევრები ყოველდღიურად ჭამენ და ასევე მონაწილეობს ოჯახურ საქმიანობაში.

მასპინძლის ნათესავები სტუმარს რიგრიგობით პატიჟობენ, ყველანაირად ცდილობენ პატივი სცენ, უკმაყოფილო არ გაუშ-ვან სახლში. როგორც ზემოთ ითქვა, პატიჟობენ აგრეთვე ახალ-გაზრდებს, ქალიშვილებს, მხიარულ სალამოებს ანყობენ, რათა სტუმარი გაართონ. თუ სტუმარს რომელიმე ქალიშვილი მოეწონა,

ქალიშვილი მოუსმენს, თუნდაც არ მოსწონდეს არც სტუმარი და არც მისი საუბარი, არავითარ შემთხვევაში სტუმარს არ აგრძნობინებს ამას, პირიქით, თავს ისე მოაჩვენებს, თითქოს ფრიად კმაყოფილი იყოს ამ შეხვედრით. ქისტური სტუმართმოყვარეობის ამ ორიგინალურ, მხოლოდ ვეინახებისათვის დამახასიათებელ თვისებას, ღრმად ჩასწვდა დიდი ქართველი პოეტი ანა კალანდაძე:

„მასპინძლის ქალი ქისტისა
შნოს და ლაზათის მქონეო,
რა დაატყობდა სტუმარსო,
მგონია, მოვეწონეო,
შეჩერდებოდა ცოტა ხნით,
წყალიც ეზიდა თუნგითა
(გულს ცუდი არც ვის რა ედო,
მით არც არავის უკვირდა!):
სირცხვილი იყო გაქცევა, –
ღმერთმა გვაშოროს ესენი...
ბევრია უცხო ბარისთვის
მთის ადათი და წესები“.

დიახ, მართლაც ბევრი რამ არის მთის ხალხების, განსაკუთრებით ქისტების ადათ-წესებში ისეთი ზნე-ჩვეულებები და ტრადიციები, რაც, ალბათ, არც ბარელებისთვის იყო უცხო, მაგრამ უამთა რბოლაში დავიწყებას მიეცა. ვფიქრობ, ამის ერთ-ერთი მიზეზი სხვა წესებისა და ტრადიციების ხალხში დიდი ხნის ცხოვრება და მათი ცხოვრების წესების თავის ხალხში დანერგვაა. ადამიანი ყოველთვის ცდილობს, იცხოვროს საზოგადოებრივი მკაცრი კანონ-ადათ-წესების გარეშე, უფრო ადვილი, მოსახერხებელი ურთიერთობა, მორალისა და ზნეობის გარეშე არსებული სამყარო იზიდავს.

მოვიყვან ერთ მაგალითს, რომელსაც შევესწარი გასული საუკუნის დასასრულს ციმბირში. ქ. ტომსკში ვსტუმრობდი ნათესავს.

ჩემი იქ ყოფნის ორიოდე კვირის შემდეგ ინგუშეთიდან სტუმრად ჩამოვიდა ერთი ინგუში. წესისა და რიგის მიხედვით დავხვდით, ინგუშის სტუმრობა არ იყო სახუმარო. როგორც ქართველებში ძველად ამბობდნენ – აზნაურის სტუმრობაო, ნუ გგონიათ ხუმრობაო – ისეთ სიტუაციაში ვართ, რადგან ინგუშები ვეინახებში გამოირჩევიან განსაკუთრებული ზრდილობითა და სტუმრის პატივისცემით.

გაირკვა, რომ ბატონი მუსა ბიძაშვილის, რომელიც ქალაქ ტომსკის მეზობელ სოფელში ცხოვრობდა, სახლში ჩასაყვანად ჩამოსულიყო.

– რაიმე სერიოზული (ვგულისხმობ სამძიმარს) ხომ არაფერია, დაურეკავდი და ჩამოვიდოდა? – ვკითხე სტუმარმა სტუმარს.

აქვე დავამატებ, რომ ქისტებში სტუმარი სხვა სტუმარს პატივს სცემს, პირველი სტუმარი მეორეს თითქმის მასპინძლად ერგება. აქ ძირეულად საწინააღმდეგო სიტუაცია არის ქართული ანდაზისა: „სტუმარს სტუმარი ეჯავრებოდა“.

– არაფერი სერიოზული. შარშან აქ დამკვიდრებული ნათესავი ახალგაზრდა კაცი დავიყოლიეთ და სახლში, ნაზრანში ჩავიყვანეთ, მანქანა „მერსედესი“ ვუყიდეთ, სახლი ავუშენეთ, ულამაზესი პატარძალიც მოვუყვანეთ, მაგრამ საქმეში ხარ, სამი თვის შემდეგ დაპკრა ფეხი და გაიქცა, – ყველაფერი ეს ინგუშური იუმორით მითხრა სტუმარმა, მაგრამ იუმორში ნაღველი იგრძნობოდა.

დავინტერესდი, ვიფიქრე, ნეტავ, რამ მოიზიდა ის ახალგაზრდა ციმბირში, აქ ხომ კაცი გაჭირვების გამო მოდის, რათა ზაფხულში იმუშაოს, ფული გააკეთოს, სახლში წაიღოს და ოჯახს მოახმაროს.

– მუსა, მე წაგიყვანა იმ სოფელში, ნამყოფი ვარ და შენს ბიძაშვილსაც მოვნახვთ.

– ვიცი, სადაც ცხოვრობს, ძებნა არ დაგვჭირდება, შენი შეწუხება კი არ მინდა.

– რა შეწუხებაა, უსაქმოდ ვზივარ, თანაც ერთი მანქანა მე მემსახურება, ასე რომ, ხვალ გავდივართ, – დაბეჯითებით განვაცხადე.

ქისტებში, სტუმრის ვადის გასვლის შემდეგ, მასპინძელი ვალ-

დებულია, სტუმარს გამოკითხოს მოსვლის მიზეზი. თუ სტუმარს აქვს საქმე იმ სოფელში ან მეზობლად, სადაც მასპინძელი ცხოვრობს, მასპინძელი გადადებს თავის საქმეებს, რამდენადაც გადაუდებელიც უნდა იყოს, სტუმარს მოემსახურება. თუ ვინმეს-თან, თუნდაც მასპინძლის ნათესავთან სადავონ ჰქონდეს სტუმარს, მასპინძელი ვალდებულია, გვერდში დაუდგეს სტუმარს და მოაგვაროს მისი საქმეები. ასე რომ, ერთდროულად ორ კურდლელს ვიჭრდ: სტუმარსაც პატივს ვცემდი და ცნობისმოყვარეობასაც ვიკმაყოფილებდი („სტუმრად მოსული უცნობი, სტუმარს პატივს სცემს სხვისასა“).

დილით წავედით სოფლისკენ, რომელიც მდ. ობის სანაპიროზე მდებარეობდა. მივადექით ოთხსართულიან საერთო შენობას, მეორე სართულზე ოროთახიან ბინაში შევედით. ოთახები ღარიბულად გამოიყურებოდა, გაცვეთილი ფარდაგი ეფინა იატაკზე, ასევე გაცვეთილი გადასაფარებელით მოერთოთ ძველებური დივანი, კუთხეში კომუნისტების დროინდელი ტელევიზორი იდგა, დურგლის ნაკეთებ მაგიდაზე არყის ცარიელი ბოთლი და ორი ჭიქა, სოკოს მწნილი და პურის ნაჭერი იდო, თევზის ფხიანი თევზებიც ელაგა. ერთი სიტყვით, ჩვეულებრივი რუსული სოფლის ოჯახის სურათი გადაიშალა ჩემს წინ, ჩემთვის ნაცნობი სურათი, რადგან რუსულ სოფელს ვიცნობდი.

კარებში მოგვეგება ახალგაზრდა კაცი, ნამდინარევი, თითქმის რუს მუშივს დამსგავსებული. მეორე ოთახიდან გამოვიდა შუახნის, არცთუ კარგი შესახედაობის რუსი ქალი, რომელიც, როგორც რუსები იტყვიან, ჩვენი სტუმრის თანაცხოვრები გახლდათ.

სალამ-ქალამის შემდეგ ვკითხე მუხმადს (ასე ერქვა მასპინძელს):

- ვოშა, რას საქმიანობ ამ სოფელში?
- არაფერს, ჩავდივარ მდინარეზე, თევზის ჭერით ვერთობი, ზამთრისთვის საკლავს გავზრდი და ა.შ. „პრასტოი უიზნს“ (უბრალო ცხოვრებას) ვეწევი.
- გასაგებია, კავკასიური ცხოვრების ტვირთს გამორიდების-

არ, კაცია და გუნება, – ვთქვი და ამის შემდეგ არაფერი მიკითხავს, რადგან ყველაფერს ჩავწვდი.

ბიძაშვილებმა ცალკე ოთახში მოილაპარაკეს, გამოვბრუნდით და წამოვედით. მასპინძელმა ყასიდად გვთხოვა დარჩენა, მაინცდა-მაინც თავი არ გამოუდია. მუსას ვეკითხები:

- რაო, დაგთანხმდა დაბრუნებაზე?
- მოვიფიქრებო, სხვა რა გზა აქვს, წამომყვება.
- არა მგონია, ეგ კაცი სახლში დაბრუნდეს. – დაბეჯითებით ვეუბნები.

– შენ საიდან იცი, ჩემზე უკეთ იცნობ?

– დიდი დრო არ დამჭირებია, უმალ შევიცანი.

მუსამ გაკვირვებით შემომხედა, თავაზიანი კაცი იყო და არ შემეკამათა. ჩემი საქმე სულაც არ იყო ეს, მაგრამ ერთი არცთუ სასიქადულო რამ მჭირდა, ჩემს აზრს პირდაპირ ვიტყოდი, ეწყინებოდა თუ არა კაცს:

– ბევრი შემხვედრია ასეთი ტიპი. სამუშაოდ ჩადის რუსეთში, რუსეთის იოლი ცხოვრება იტაცებს. აქ არ არის საჭირო მეგობრობის გატანა, ნათესავის დახმარება, უფროს-უმცროსობის დაცვა, ღირსების დაცვა, ვაჟკაცობის გამოჩენა. ყოველივე ამის დაცვა და ცხოვრებაში ამ მძიმე ტვირთის ტარებას ურჩევნიათ ბოთლ არაყ-თან შექმნილ სულიერ ღირებულებებთან შერწყმა და როგორც შენმა ბიძაშვილმა ბრძანა, „პრასტო უიზნით“ ცხოვრება. არ დაბრუნდება ეს ახალგაზრდა კავკასიაში!

მუსა სამი თვე ცხოვრობდა ჩვენთან მოლოდინის რეჟიმში, დაბოლოს, მარტოს მოუხდა სახლში დაბრუნება. იგი არც პირველი და არც უკანასკნელია, ასეთ პრობლემას რომ შეეჯახა. კავკასი-იდან რუსეთში მიდიოდნენ და დღესაც მიდიან სამუშაოდ, ნაწილი ფულს გამოიმუშავებს, ბრუნდება სახლში ფულით, ნანილი კი რჩება რუსეთში, ჩაერთვება რუსული ცხოვრების სტილში, ივინყებს მამა-პაპათა ადათ-წესებს, ითვისებს სხვა ხალხების ტრადიციებს და კარგავს თავის ეროვნულობას. ეს, ცხადია, ცუდია, მაგრამ კატასტროფა არაა, ასეთები ერთეულები არიან და ერს, ეროვნულ

ღირებულებებს ვერ დააზიანებს. კატასტროფა მაშინ ხდება, როცა უცხო ადათ-წესებს შენს ხალხში ნერგავს, როცა შინ, ოჯახში მოგაქვს უცხო წესები და ტრადიციები.

თემას გადავუხვიეთ, მაგრამ ცოტათი, რამეთუ ამ თავში ვიხილავთ სტუმარ-მასპინძლის ურთიერთობას, რომელიც ადათ-წესების ქვაკუთხედია.

სტუმრად მისული მოსისხლე სოფელში დაცული იყო. თუ დახმარებას ითხოვდა, აუცილებლად აღმოუჩენდნენ, დაუძინებელი მტერიც რომ ყოფილიყო.

მთაში ყველგან პატივს სცემენ სტუმარს, ეს ვაჟკაცობის აუცილებელი ატრიბუტია.

სტუმარსაც აქვს თავისი მოვალეობანი. იგი უნდა ერიდოს ჩხუბსა და აყალმაყალს მასპინძლის სოფელში, მასპინძელი უხერხულ მდგომარეობაში არ უნდა ჩააყენოს, როგორც ვაჟა ამბობს:

„მაგრამ სტუმარი სხვის სახლში
ვერ გაშლის ხათაბალასა“.

მაგრამ თუ უგულებელყო სტუმრის მოვალეობები და „გაშალა ხათაბალა“, საკადრის პასუხს მიიღებს. სოფელ ბირკიანში ცხოვრვობდა მუცოდან გვიან გადმოსახლებული ქისტების ნარმომად-გენელი ღამბულათ ბორჩაშვილი. მასთან იმყოფებოდა სოფელ შუა ხალაწანში ჩასახლებული მისი ძმა ჯარაფი. ამ დროს ღამბულათს სტუმრობდა ლეკი ხასბულათი.

სტუმარ-მასპინძლის წესისა და რიგის მიხედვით მხიარულობდნენ, უიპიტაურს სკამდნენ და, როგორც ჩანს, ლეკი სასმელი მოერია. მუცოელმა ქისტებმა (პანკისელი ქისტები მათ მასქარხოის ეძახიან) ხუმრობა იციან. სტუმარმაც ვითომ ხუმრობით იძრო ხანჯალი და ჯარაფის სიბრტყით სახეში შემოჰკრა. ეს მძიმე შეურაცხოფა იყო, სილის გაწვნას უტოლდებოდა და ჯარაფმა უფროსს ძმას შეხედა.

ღამბულათმა ქისტურად უთხრა:

– არაფერია, სტუმარია, არაფერი აკადრო, მთვრალია, არ აცნობიერებს, რას სჩადის.

– სტუმარმა უნდა იცოდეს, როგორ უნდა იქცეოდეს მასპინძლის ოჯახში. – უკმაყოფილოდ თქვა ჯარაფმა, მაგრამ ლეკს არაფერი ჰკადრა, უფროს ძმას დაემორჩილა.

ქეიფი გაგრძელდა. ეტყობა, სტუმარი ეშხში შევიდა და კვლავ იძრო ხანჯალი. შეიძლება იფიქრა, შეეშინდაო, ან სულაც ღამბულათის ნათქვამი გაიგო და კვლავ იძრო ხანჯალი და მოუქნია, ამჯერად ჯარაფი მზადყოფნაში იყო, აიცდინა მოქნეული ხანჯალი, წამოხტა და ხანჯალი იძრო. ასევე სწრაფად წამოხტა მასპინძელიც, შეხედა უმცროს ძმას და მიხვდა, რომ ამჯერად ვერ შეაჩერებდა.

– ორივე გადით ოჯახიდან და გარეთ იჩხუბეთ, რამდენიც გნებავთ! – თქვა ბრძანების კილოთი და ორივე გაიყვანა სახლიდან.

ორივე სტუმარი (ჯარაფი, მართალია, ძმა იყო მასპინძლის და აქედან გამომდინარე, ხასბულათი მისი სტუმარიც იყო, ხოლო ხასბულათისთვის ორივე მასპინძელი) ხანჯლებით დაეტაკნენ ერთმანეთს. ღამბულათი არავის აძლევდა უფლებას, ჩარეოდა ჩხუბში. ორივე გამოცდილი აღმოჩნდა ხანჯლებით ბრძოლაში, მოქნეულ ხანჯლებს მარჯვედ იცილებდნენ, მაგრამ საკმაოდ სერიოზული ჭრილობები მიაყენეს ერთმანეთს. ბოლოს ლეკი წაიქცა, წამოჯდა, მაგრამ წამოდგომა ვერ შეძლო. მხოლოდ ახლა ჩაერია მასპინძელი, შეიყვანა ორივე დაჭრილი სახლში, ექიმი, მოგვარე ღამარა ბორჩაშვილი მოაყვანინა, რომელმაც ჭრილობები შეუხვია დაჭრილებს.

ეს ინციდენტი ნათლად მეტყველბს იმაზე, რომ სტუმარმა, რომლის უსაფრთხოებასაც მასპინძელი იცავს, არ უნდა ჩაიდინოს ისეთი რამ, რაც შეურაცხყოფს მასპინძელს. მასპინძლის სტუმარსაც პატივს უნდა სცემდეს:

„სტუმრად მოსული უცნობი
სტუმარს პატივს სცემს სხვისასა“.

სტუმარი სახლში ვერ შევა, თუკი იცის, რომ ოჯახის უფრო-

სი სახლში არ იმყოფება, თუ სტუმარი შორიდან მოსულია, მაშინ დიასახლისი ნათესავს ან მეზობელს მოიწვევს და სტუმარს გაუმასპინძლდება, უპატივცემლოდ არ გაუშვებს. როგორ იქცევა დიასახლისი, თუ გვიან მიადგა სტუმარი? მოვიყვან ერთ მაგალითს. სტუმარი ეწვია ოჯახს, არ იცოდა, რომ მასპინძელი ოჯახში არ იმყოფებოდა. ქალმა უმასპინძლა, სტუმრის ოთახში დააძინა, თავად კი ლამპა გარეთ გაიტანა, პარმალზე ჩამოჯდა და მთელი ლამე ასე გაატარა.

ქისტებს სახლში სტუმრისთვის ცალკე ოთახი აქვთ გამოყოფილი, რომელიც ყოველთვის სუფთად არის მოვლილი, სუფთაქვეძაგები და თეთრული მზად არის. ამ ოთახს არ ხმარობენ ოჯახის წევრები, ბავშვებსაც კი ეკრძალებათ შესვლა.

სტუმარს ოჯახში საპატიო ადგილზე სვამენ. მასპინძელი სახლის გარეთ, ეზოში ხვდება სტუმარს, წინ გაუძღვება, პირველი შედის სახლში და უთითებს საპატიო ადგილს (მზის ამოსვლის მხარეს, კერიასთან, არც ერთ შემთხვევაში კარებთან ახლოს). დიასახლისი ჭამის წინ ხელებს დააბანინებს, თუ მოზრდილი შვილები ჰყავს, ისინი ემსახურებიან სტუმარს. სუფრაზე მასპინძელი პირველი იწყებს ჭამას, სტუმარს კარგ ნაჭრებს სთავაზობს და არასოდეს შეწყვეტს ჭამას სტუმარზე ადრე. ეს უკვე იყო გაცილების დროს აუცილებლად გაჰყვება სტუმარს ეზოს გარეთ, მხოლოდ ქუჩაში დაემშვიდობება, ხოლო თუ შორიდან არის მოსული, მაშინ სოფლის ბოლომდე გაჰყვება. სოფლიდან გაცილება აუცილებელია, თუ სტუმარს რაიმე საშიშროება ემუქრება.

სტუმარს თუ რაიმე ნივთი მოეწონება, მასპინძელი აჩუქებს, ადვილად შეელევა, როგორი ძვირფასიც არ უნდა იყოს, ასევე სტუმარიც აჩუქებს ხოლმე მასპინძლის ბავშვებს რაიმეს. ამაზე ქისტები იუმორით იტყვიან ხოლმე: „იქით პერანგი, აქეთ პერანგი“.

სრულიად უცხო ადამიანს შეუძლია ნებისმიერ ქისტურ ოჯახს მიადგეს და მასპინძლობა სთხოვოს. მასპინძელი არასდროს არ ჰკითხავს, ვინ არის, სად მიდის, რა საქმეზეა მოსული და ა.შ. მას სტუმარი მიადგა კარზე, ეს ღვთის წყალობაა და პატივით უნდა

მიიღოს.

ხდება ასეც: შორიდან მოდის უცნობი, მოიკითხავს სოფელ-ში მცხოვრებ მისთვის უცნობ კაცს, რომელზეც გაგონილი აქვს, რომ სტუმართმოყვარება, მიადგება კითხვა-კითხვით კარზე და მასპინძლობას სთხოვს, მასპინძელიც სიამოვნებით იღებს სტუმარს.

სტუმრის პატივისცემა მარადიული აქტია, ის არ იცვლება საუკუნეების განმავლობაში. ასი წლის წინ როგორც ხვდებოდნენ, ისე ხვდებიან და პატივს სცემენ სტუმარს დღესაც ქისტებში. ასზე მეტი წლის წინ პანკისელ ქისტ ეთნოგრაფს აღნერილი აქვს სტუმარ-მასპინძლის ურთიერთობები, რაც დიდად არ შეცვლილა დღესაც. მათე ალბუთაშვილი საინტერესოდ და რეალურად წერს:

„კავკასია პურის ქვეყანა და ხალხიც პურადი არის საერთოდ, პოეტისა არ იყოს, პურადობა არც ქართველს ეძრახვის, მაგრამ ქისტის პურადობა – სტუმართმოყვარეობა განსაკუთრებულია.

თუმს ვერ ვაქებ, – ნომადია. ფშაველმა თქვა: სტუმარო, შენი სტუმრობა მე არ მგონია ხუმრობაო. ხევსური სტუმარს – მაზრის უფროსს ასე დაუხვდა: „ქონ-კალტის კვერა არა, მაჩა-ლიკო, ჩემ დიაცმ გიქნა, ხახოუნი კი არაირა, მიჯიდი მა ყურეჩდ მიღმიჯე!“

ქისტი აგრე არ დაუხვდება სტუმარს. სტუმარი (ჰააშ) ქისტის სახლში ბატონია! ის წევს, ზის, დგას თუ მიდი-მოდის, მასპინძელი, უმფროს-უმცროსი მას პირში შეჰყურებს, თვალს არ აშორებს, რას მოსთხოვს, რას უბრძანებს ან დაავალებს, ასე ჰყავს მთელ ოჯახს თვალში აღებული სამს დღეს და, გაგრძელდა, ერთი კვირაც. თუ მეტხანს დარჩა, ჩვეულებრივი წევრივით იქნება ოჯახში, მისი დათხოვნა არ შეიძლება.

მოვიდა სტუმარი, ტკბილი სალმით, მოკითხვით, სახლის უფროსი მიეგებება, ორის ხელით ხელს ჩამოართმევს, უმცროსი ცხენის აღვირს მიეტანება. დიასახლისი შინ დატრიალდება, თუ დროს დაატყობს, ჯერ ლოგინს გაუშლის, სტუმარს მოასვენებს, მერე მუცლის საქმეს შეუდგება. სხვა თუ ვერაფერი მოახერხა, ცხელ-ცხელი მჭადი, ერბო-კვერცხი, ხავინი, ერბო-ხაჭო ხომ

მზად იქნება.

სტუმარი ადგება, უმცროსი ხელზე წყალს მიართმევს, პირ-სახოცს და სასუსნავი, ყველაფერი ხონჩაზე დაწყობილი, ერთად წინ მიირთმევა... სახლობისთვის კი ბევრს არ დაღონდება, სახლის უფროსი იქვე თავს ადგა და ეხვეწება – ჭამე, მიირთვი.

უმცროსები კარებში დგანან და ბრძანებას ელოდებიან. მანამ სტუმარი ჭამას მორჩება, ასე დგანან და შეჰყურებენ. სტუმარი რომ ეხვეწოს, ზედ შელიოს, მასთან არავინ არ დაჯდება და პურს არ შეჭამს. სტუმარი თუ თავისი კაცია, იმასთანვე შეიძლება და-ჯდეს როგორმე და მაშინაც ერთმანეთის თავაზობაში არიან.

დიდი სტუმრისთვის საკლავი – ცხვარი, ბატკანი – უეჭველია... პურის ჭამაზე ან სხვა დროს ერთმა წყალი რომ მოითხოვოს, მერე ყველა უფროსს უნდა ჩამოურიგოს – ხომ არ მიირთმევთო და მერე თვითონ დალევს.

ხამი, უცხო სტუმარი რომ ეწვიოს, შემთხვევით, ჩვეულებრივად დაუხვდება, თუ ისურვა, ლამეს გაათევინებს და მეორე დღეს მშვი-დობიანად გაცილებს.

თუ მას იმ სოფლის საწვდომში დაუშავდა რამე, პასუხს მოსთხოვს დამნაშავეს“ (მათე ალბუთაშვილი. პანკისის ხეობა. თბილისი. 2005).

არის შემთხვევები, როცა სტუმარი დიდ ხათაბალაში აგდებს მასპინძელს. მოხდა მკვლელობა. მკვლელს სისხლის მაძიებლები მოსდევენ და დევნილი შევარდება პირველივე მოსახლის ეზოში და თავშესაფარს ითხოვს. იმ წუთიდან იგი სტუმრის სტატუსს იძენს, ძალზე არასასურველი და პრობლემური სტუმარია, მაგრამ მასპინძელი ვალდებულია, დაიცვას იგი. განსაკუთრებით იძაბება სიტუაცია, როდესაც ტრაგედია თანასოფლელებს შორის დატრი-ალდა. მაშინვე მოვარდებიან დიდი-პატარა, კაცი, ქალი, ერთი წივ-ილ-კივილი, ლანძლვა-გინება, დაზარალებულების მიერ ფანჯრების მტვრევა და დიდი ორომტრიალი სუფეევს. მასპინძლის ნათესავებიც მოვარდებიან, მხარს უჭერენ მოგვარეს, კეტებითა და მათრახებით შეიარაღდებიან და იცავენ ოჯახს. განსაკუთრებით აქტიურობენ

ქალები, რომელთაც მამაკაცები ვერ შეეხებიან, ეს იციან და დიდ გაჭირვებაში აგდებენ მასპინძლებს.

ისეთი ძლიერი ზენოლა მიმდინარეობს, რომ შეიძლება გულსუსტი მასპინძელი დანებდეს. მაგრამ იმ დღიდან მის კაცობა-საც წერტილი დაესმევა, ეს იცის და ბოლომდე იბრძვის. მაშინვე უხუცესები ჩაერევიან და ეზოდან გაიყვანენ თავდამსხმელებს, ჯოხებსაც დაატრიალებენ, თუ საჭირო გახდა, ისინი ხელშეუხე-ბელნი არიან და მოლაპარაკების შემდეგ ტოვებენ სახლს, მაგრამ პირობას ჩამოართმევენ, რომ მკვლელმა უახლეს დროში დატოვოს მასპინძლის ოჯახი.

მასპინძელი დამნაშავეა, მან მკვლელი გადაარჩინა „მერ კე-ლარ ვეხინა“ და საფასურიც უნდა გადაიხადოს. მართალია, 12 ძროხა, მოკლულის ოჯახს რომ უხდის, მისი ძალად სტუმარი აუცილებლად უბრუნებს, მაგრამ მასპინძელი მარც დაზარალე-ბულია, მოკლულის ოჯახთან ურთიერთობა უფუჭდება, თუ ნათე-სავები არიან, ნათესაობაც იკარგება.

სტუმარსაც აქვს გარკვეული ვალდებულებები მასპინძლის მიმართ. მაგალითად, სტუმარს მასპინძელთან შეთანხმების გარ-ეშე, მისი ინფორმირებისა და სათანადო მიზეზის არქონის შემთხ-ვევაში უფლება არა აქვს გადავიდეს სტუმრად სხვა ოჯახში, ე. ი. გამოიცვალოს მასპინძელი.

ეს, ერთი შეხედვით, უცნაურად მოეჩვენება არაქისტ მკითხვ-ელს, ალბათ, იტყვის, როგორ, უფლება არ მაქვს, თავად ავირჩიო მასპინძელი, ეს ხომ ადამიანის უფლების შეზღუდვაა და ა.შ. მა-გრამ გავითვალისწინოთ ისიც, რომ თუ სტუმარმა მიატოვა თავის მასპინძელი და სხვა მასპინძელი მონახა, პირველი მასპინძელი ცუდ მდგომარეობაში აღმოჩნდება: გაჩნდება რაღაც ეჭვი, მასპინძელმა ვერ შესძლო სტუმრის პატივისცემა, ან ცუდი დახვედრა მოუნყო, ანდა სულაც შეურაცხყო და სხვა. ასეთ შემთხვევაში მასპინძლის ავტორიტეტი ილახება, მის ღირსებას ჩრდილი მიადგება, ამიტომ არსებობს ადათი, რომლის მიხედვითაც სტუმარს მასპინძლის უპატივცემლობისათვის ჯარიმა ეკისრება. სტუმარი, რომელიც

მასპინძლის ნებართვის გარეშე სხვა მასპინძელს გაიჩენს, ვალდებულია თეთრი ვაცით მივიდეს ყოფილ მასპინძელთან და პატიება სთხოვოს. რატომ მაინცდამაინც თეთრი ვაცით? ესეც სიმბოლურ დატვირთვას იძენს – თეთრი ფერი მშვიდობის ფერია, გვარში, უცხოს მიღების დროსაც თეთრი ხარი იკვლება, ეს ადათი უხსოვარი დროიდან მოდის და დღესაც მისდევენ ქისტები.



ნათესაობა

„ძმაო ძმითა ხარ ძლიერი,
თორო მტერ მოგერეოდა“.

ხალხური

ქისტური საზოგადოების საფუძველი არის თეიფი, გვარი, რომელშიც გაერთიანებული არიან ერთი წინაპრისგან წარმოშობილი, სისხლით ნათესავი, მამაკაცის ხაზით შთამომავლები. თეიფი ფართო მასშტაბის გვარია, სადაც ერთიანდებიან, მართალია, ერთი ჩამომავლობის, მაგრამ უკვე სხვადასხვა შტოს (ნააყა, გაარა) წარმომადგენლები. მაგალითად, სოფ. დუისში მცხოვრები ხანგოშვილები, დუიშვილები და ალდამოვები ერთი თეიფის, დიშნი თეიფის წარმომადგენლები არიან, მაგრამ მათში გამოიყოფა რამდენიმე შტო, ანუ ქისტურად ნააყა. ჯერ ერთი, დუის, დიშნი თეიფის მამამთავარს ოთხი ვაჟი ჰყავდა ორი ცოლისგან. პირველად მისმა შთამომავლებმა დუის პაპის ხენგის სახელი დაუდეს საფუძვლად თავიანთ გვარს და ხანგოშვილებად დაიწერნენ. შემდეგ დუის უმცროსი ცოლის ვაჟიშვილები (ხასეის და იდას შვილები) დუიშვილებად დაიწერნენ, იფიქრეს, სოფ. დუისის დამაარსებლის დამსახურება მათ გადასახადისგან გაანთავისუფლებდა. უფროსი ცოლის ვაჟიშვილები დარჩნენ ხანგოშვილებად, რომელთა შთამომავლები მათი სახელების მიხედვით უმარისა და ბეხოს შტოს წარმოადგენდნენ. ასევე ხანგოშვილების გვარზე დაიწერნენ დუის ბიძაშვილების შთამომავლობა, რომლებიც ორ, ბობოლთისა და ბირინგის შტოდ ჩამოყალიბდნენ. ალდამოვები დუის ქალიშვილის შთამომავლები არიან და პირველად ასევე ხანგოშვილებად იწერებოდნენ. არსნაყი დაღესტნის გავლით მოხვდა ჭარ-ბელაქანში, იქიდან ალავერდის დღეობაზე ჩამოვიდა, სადაც გაიცნო იდა დუის ძე, რომელმაც დუისში ჩამოი-

ყვანა. იდა მაშინ (XIX საუკუნის მეორე ნახევრის დასასრული) მამასახლისი იყო, დიდი გავლენით სარგებლობდა და არსნაყმა გადაწყვიტა, დამოყვრებოდა. იგი მუშაითის, თოკზე თამაშისა და აკრობატიკის დიდ ხელოვნებას ფლობდა და საუკეთესო მოცეკვავე იყო. მოგეხსენებათ, კარგი მოცეკვავე დიდი პოპულარობით სარგებლობდა და დღესაც სარგებლობს ქისტებში. ასე რომ დუის ქალიშვილი დათანხმდა არსნაყმის ცოლობას და ასე დაედო საფუძველი დიშნის თეიფში ახალი შტოს – ალდამოვების გაჩენას. სხვათა შორის, ჩეჩენეთში არსნაყმა თუ მისმა ვაჟიშვილმა უნუზმა, რომელიც მამის ხელოვნებას გაჰყვა, გაიცნო ოლდამის შთამომავალი, რომელმაც დაარწმუნა, რომ იგიც დაწერილიყო ალდამოვად და მისი შთამომავლებიც ალდამოვებად იწერბიან. მათ, ალდამოვებს, ზოგიერთი დუისელი ლეკებს უწოდებენ, ეს, ალბათ, იმიტომ, რომ მათი წინაპარი პანკისში მოხვდა დალესტნის, ჭარ-ბელაქანის (ზაქათალის, ნუხისა და ბელაქანის რ-ნები) გავლით.

ხანგოშვილების თეიფში არსებობს ლეკური წარმოშობის შტო, რომელიც გაერთიანებულია ბიბოლთის ნააყაში. XIX საუკუნის მეორე ნახევარში დალესტნიდან ჩამოვიდა მოლა ყურბანი, რომელიც დუისელებში ისლამის განმტკიცებას ეწყობდა ხელს. ბიბოლთმა, იმ პერიოდში დუისის მამასახლისმა, თავისი და მიათხოვა იმ მოლას, სამოსახლოც გამოუყო, რათა დაეკავებინა ადგილზე, რასაც მიაღწია კიდეც.

ყურბანის ვაჟიშვილი რაჟაფი, ასევე მოლა, მტკიცედ ასრულებდა თავის მოვალეობას. საბჭოთა რეჟიმის პირველ წლებში, როცა სასულიერო მოღვაწის სიცოცხლე ბეწვზე ეკიდა, რაჟაფი წარპშეუხრელად, გაბედულად იღვწოდა ისლამისთვის და უძღვებოდა რელიგიურ რიტუალებს. სამარცხვინოა, რომ ამ დიდი პიროვნების შთამომავლების ერთი ნაწილი დღეს ვაჟაპიტებს უდგანან სათავეში და ცდილობენ, თავიანთი წინაპრის კვალიც კი წაშალონ რელიგიური ისტორიიდან.

მაგრამ ერთი რამ უდავოა: ხანგოშვილები, დუიშვილები და

ალდამოვები ერთი გვარის წარმომადგენლები არიან, ერთიანი ნათესაური კავშირით შექრულები და ერთად დგანან ჭირსა და ლხინში. როგორც პანკისელი ქისტების გვარები, მოქმედებენ პრინციპით – ერთი ყველასათვის, ყველა ერთისათვის. ეს დაუწერელი კანონია, მას იცავს გვარის ყველა წევრი, დიდი, პატარა, შეძლებული, უპოვარი და ა.შ. ასევე არანაირი განსხვავება არ არსებობს ქისტებსა და დალესტნური წარმოშობის ქისტებს შორის მენტალიტეტის, ადათ-წესებისა და ზნე-ჩვეულებების მიხედვით.

გვარი შედგება, როგორც ითქვა, ერთი წინაპრის შთამომავლებისაგან, სისხლით ნათესავებისაგან მამაკაცის ხაზით. მამა, ვაჟიშვილები, ძმები, ბიძები, ბიძაშვილები, ბიძაშვილების შვილები და ასე გრძელდება. ბიძაშვილები (შიჩი), ბიძაშვილების შვილები (მოხჩი), ბიძაშვილების შვილთა შვილები (თერი) წარმოადგენენ გვარის ბირთვს. შიჩებად იწოდებიან ასევე მამიდაშვილები, დეიდაშვილები, დედის ძმისშვილები, მაგრამ ისინი, მათი შვილები (იგივე მოხჩი) და მათი შვილთაშვილები (იგივე თერი) არ წარმოადგენენ თეიფის წევრებს. მართალია, ისინი არიან სისხლისმიერი ნათესავები, მათ თეიფი დიდ პატივს სცემს და ნათესაობენ კიდეც, მაგრამ გვარი მათზე პასუხისმგებლობას ვერ და არ იღებს, რამეთუ ისინი უკვე სხვა გვარში შედიან.

დისშვილები პატივით სარგებლობენ დედულებში, მაგრამ, როგორც ითქვა, სხვა სისხლისანი არიან. ერთხელ ბებიამ გადაწყვიტა საქონელი მოენახა და მინდოოზე გავიდა, თან წაიყვანა ორი პატარა შვილიშვილი. ქალიშვილის ვაჟიშვილი მხრებზე შემოისვა და ვაჟიშვილის ბიჭი ხელჩაკიდებული წაიყვანა. მხრებზე მჯდომარე ბიჭმა საქონელი ადრე შენიშნა და ბებიას ეუბნება:

– ბაი, (ქისტურად ბებია) აგერ თქვენი საქონელი. ვაჟიშვილის ბიჭმაც უფრო გვიან შენიშნა ძროხები და ბებიას უთხრა:

– ბაი, ხედავ ჩვენი ძროხები აგერ ძოვენ.

ბებიამ გაიაზრა ორივე შვილიშვილის ნათქვამი: ქალიშვილის ბიჭმა საქონელს თქვენი უწოდა, ვაჟიშვილის ბიჭმა – ჩვენი. მაშინვე მხრებიდან ჩამოსვა ქალიშვილის ბიჭუნა, მხრებზე ვაჟიშვი-

ლის ბიჭი შეისვა და თავისთვის ჩაილაპარაკა:

– ჩემიანისა და სხვისი გარჩევა არ მცოდნია გამოყრუებულ ბებერს.

გვარში შემავალი მამაკაცები ძმები არიან (თეიფან ვეჟარი) ხოლო ქალები – დები (თეიფან იეჟარი), ხოლო კაცები და ქალები ერთმანეთის და-ძმები არიან (თეიფან იეჟარი – ვეჟარი) და მათი ერთმანეთზე დაქორწინება ყოვლად დაუმვებლია, როგორი დიდიც არ უნდა იყოს გვარი, რამდენი ბევრი შტოც (ნააყა) არ უნდა არსებობდეს, ქორწინება ერთი თეიფის წარმომადგენლებში წარმოუდგენელია. ეს ისეთი მტკიცე ჩვეულებაა, რომ მისი დარღვევა ვაჲ ჰაპაბიტებმაც კი ვერ გაძედეს, იმ ვაჲ ჰაპაბიტებმა, რომლებიც არაფრად აგდებენ ქისტურ ნათესაურ კავშირებს.

როგორც ცნობილია, ისლამი ნებას რთავს ნათესავებს შორის, კერძოდ, ბიძაშვილებს, მამიდაშვილებს და გარე ბიძაშვილებს შორის ქორწინებას. ცხადია, აქაც არსებობს სხვადასხვა სახის აკრძალვები ნათესავების დაქორწინებაში, მაგრამ თეიფის პრინციპი აქ არ მოქმედებს. თუ გავყვებით ისლამის დამოკიდებულებას ქორწინებისადმი, დავინახავთ, რომ ქისტების ადათ-წესები ამ შემთხვევაში უპირისპირდება, უფრო გარკვევით რომ ვთქვათ, ზნეობის თვალსაზრისით, მაღლა დგას რელიგიაზე. დაფუძნებულია არაბულ ადათზე და კიდევ უფრო ნათლად რომ გამოვხატო ჩემი აზრი, დავძენ, რომ ისლამის სამართლებრივ ნორმებში (შარიათში) დამკვიდრდა არაბთა ისლამამდელი ადათ-წესების ნორმები, რომლებიც ახლოსაც კი ვერ მივა ქისტურთან.

გასულ წელს გვქონდა უხუცესთა კავშირის წევრებს შევედრა ვაჲ ჰაპიტების სულიერ ლიდერებთან. ჩვენი, უხუცესების მიზანი იყო მოგვენახა კომპრომისი, შეგვეჩერბინა ქისტური საზოგადოების დაპირისპირებულ მხარეებად დაყოფა. დებატების დროს შევეკითხე ერთ-ერთ ლიდერს:

– შენ ისლამი გაძლევს უფლებას, შეირთო ალალი ბიძაშვილი, რატომ არ ირთავ, რატომ ეძებ ცოლს გარეთ, დატრიალდი შინაურებში, უფრო იოლი გზა არ არის?

– იმიტომ არ ვირთავ ბიძაშვილს, რომ ჩვენს წეს-ადათში არ ჯდება. – მიპასუხა განაწყენებულმა.

– აგაშენა ღმერთმა, მეც აქა ვარ, ე.ი. ქისტური ადათ-წესი ალამაზებს ისლამს, არაბული კი ჩრდილს აყენებს. – ვთქვი გამარ-ჯვებულის ლიმილით. აქვე დავძინ, რომ ისლამიც უმეტეს შემლხ-ვევაში ალამაზებს და იმტკიცეს ანიჭებს ქისტურ ადათებს.

ქისტურ თეიფში მტკიცე, დაურღვეველი იერარქია არსებობს: თეიფის სათავეში დგას გვარის უფროსი, რომელსაც გვარის მართვაში ეხმარებიან შტოს (ნაყას) უფროსები. თეიფის უფროსს ირჩევენ გვარის მამაკაცთა წარმომადგენლები. ქისტებში 15 წლის მოზარდი სრულუფლებიან გვარის წევრად ითვლება და უფლება აქვს არჩევნებში მიიღოს მონაწილეობა.

გვარის უფროსის არჩევნები მიმდინარეობს დემოკრატიული პრინციპით. თუ არსებობს რამდენიმე კანდიდატი, რაც იშვიათობაა, ხდება ფარული კენჭისყრა და ვინც მეტ ხმებს მოიპოვებს, ის უძლვება კიდეც გვარს. ნაყას უფროსების არჩევაც ხდება შტოს წარმომადგენლების მიერ.

გვარის უფროსი უნდა სარგებლობდეს თეიფში დიდი ავტორიტეტით, უნდა ახასიათებდეს პრინციპულობა, უნდა იყოს ბრძენი, შეეძლოს სამართლიანობის დაცვა და რაც მთავარია, უნდა ზედმინებით იცნობდეს ქისტურ ადათ-წესებს.

გვარის უფროსი თვალყურს ადევნებს თეიფის შიგნით მიმდინარე პროცესებს, გვარის წევრებს შორის რაიმე უთანხმოების შემთხვევაში დაუყოვნებლივ უნდა ჩაერიოს და აღმოფხვრას ყოველგვარი წინააღმდეგობა. გვარის წევრთა შორის ურთიერთობის დარეგულირებისათვის მას გააჩნია ერთადერთი ბერკეტი – ავტორიტეტი, ჭკუა-სიბრძნე და გამოცდილება. ცხადია, მის გადაწყვეტილებას გვარის წევრები აუცილებლად დაემორჩილებიან, მაგრამ თუ მან მიიღო უსამართლო გადაწყვეტილება, მისი ავტორიტეტი ეცემა და შემდგომი მართვა გაუჭირდება.

გვარის შიგნით მუშაობა უფროსისათვის არცთუ ისე რთულია, ყველა მისი ნათესავია და ყველა მხარს დაუჭერს მის

გადაწყვეტილებას, მაგრამ მას უხდება ურთიერთობა სხვა გვარის წარმომადგენლებთან, სწორედ აქ სჭირდება ჭკუა, გამოცდილება, პრინციპულობა, რათა დაიცვას თავისი გვარის ინტერესები. სწორედ აქ სჭირდება სიბრძნე, რათა გვარი არ შეიყვანოს ისეთ სიტუაციაში, რომელიც გამოიწვევს სისხლის ღვრას. ამიტომაც ხდება ხოლმე, როცა გვარის უფროსის თანამდებობაზე უარს ეუბნებიან აგრესიულ პიროვნებას. ასეთ დროს იტყვიან ხოლმე, გვარს ხათაბალაში გაახვევსო.

როდესაც ორი გვარის წარმომადგენელს შორის წარმოიშობა კონფლიქტი, სწორედ გვარის უფროსები ხვდებიან ერთმანეთს, ეცნობიან დავის მიზეზებს და უპირველეს ყოვლისა, აცხადებენ მონიტორინგს, შეთანხმდებიან, რომ დავა არ გადავიდეს ძალადობაში. მშვიდობის დაცვა, ყოველგვარი დავის მშვიდობიანი გზით გადაჭრა – ეს არის გვარის უფროსების მიზანი.

თუ ვერ შეძლეს თავად დავის გადაჭრა, გვარის უფროსების მეორე ამოცანაა დავის მედიატორულ სასამართლომდე მიტანა, მაშასადამე, თითოეულმა თავისი გვარის წარმომადგენელი უნდა დაარწმუნოს, რომ დავა (ქისტურად დოუ) გადასცეს ადათობრივ სასამართლოს (ქისტურად ხეალ). ამ შემთხვევაში მოქმედებს პრინციპი – ორმა კაცმა გაარჩიოს დავა და მიიღოს გადაწყვეტილება.

მედიატორული სასამართლოს განაჩენი, მართალია, უმეტეს შემთხვევაში ორივე მხარე ასრულებს, მაგრამ ხდება ისეც, რომ რომელიმე მხარე უკმაყოფილოა, აცხადებს, რომ განაჩენი არ არის სამართლიანი. ასეთ დროს გვარის უფროსი უნდა ჩაერიოს, უნდა დაარწმუნოს განაწყენებული წევრი, რომ დაემორჩილოს გადაწყვეტილებას.

გვარის უფროსი თვალყურს ადევნებს გვარში მიმდინარე ყველა პროცესს, იქნება ეს დაქორწინება, მიცვალებულის უკანასკნელ გზაზე გასტუმრება, რელიგიური დღესასწაულები და სხვ. ერთი სიტყვით, დიდი ტვირთი აკისრია და ამ ტვირთს ნებაყოფლობით ეწევა. საკმაოდ დაუფასებელი სამუშაო აქვს,

ბევრი უკმაყოფილო რჩება, გვარის ინტერესების დაცვის დროს ბევრ მტერსაც იძენს, მაგრამ, რახან დაიდგა ეს ულელი, უნდა გასწიოს კიდეც.

ჩვენ საუბარი გვქონდა სისხლით ნათესავებზე, მაგრამ არ-სებობენ შეძენილი ნათესავები, რომელთა მიმართაც გარკვეული მოვალეობები აკისრია გვარის ნარმომადგენლებს. ავიღოთ დედულები, ნათესავები დედის მხრიდან. მამის მხრიდან ნათესავების შემდეგ ყველაზე საპატიო ადგილს იკავებენ დედეულები. ქისტებში იტყვიან – ვინც დედეულებს არ აფასებს, არ არის ზრდილი ვაჟკაცი (ვაც უეზდ ყუანახ). უდავოა, ადამიანს განსაკუთრებულად უყვარს დედა, დედის ღვანლი შეუფასებელია. თუ დედა უყვარს კაცს, უნდა უყვარდეს დედის ნათესავებიც. დედის ნათესავების პატივისცემა ქისტი კაცისთვის სავალდებულოა. დედეულები (ქისტურად ნენხო) ახლო ნათესავებად ითვლებიან და დედის ნათესავზე დაქორწინებაც დიდ სირცხვილად ითვლება.

დედეულების ახლო ნათესაობაზე მეტყველებს შემდეგი ადათი: დედის ძმის სისხლის აღების უფლება აქვს მხოლოდ დისმვილს. სხვა გვარის ნარმომადგენელს (გარდა ძმადნაფიცისა) არ აქვს უფლება, სისხლი აიღოს, როგორიც ახლო ნათესაურ ურთიერთობაშიც არ უნდა იყოს კაცი. და კიდევ ერთიც – მოსისხლე, მეერი უმეტეს შემთხვევაში თავს აფარებს დედეულებს და სისხლის მაძიებელს არ აქვს უფლება, აიძულოს ისინი, უარი უთხრან დისმვილს თავშესაფარზე.

შეძენილ ნათესავებში იგულისხმებიან ცოლეურები. ცოლეურებთან ურთიერთობა ძალზე რთულია, ქისტებში განსაკუთრებული ადათ-წესები მოქმედებს, რომლებიც განსაზღვრავენ სიძე-ცოლეურების ურთიერთობებს, სიძე უაღრესად მორიცებული უნდა იყოს სიმამრის, ცოლის ბიძებისა და ცოლისძმებთან ურთიერთობაში. მათთან ურთიერთობისას ისეთი თავისუფალი ვერ იქნება, როგორც სხვა დანარჩენ ნათესავებთან. პირველ ხანებში, სანამ არ ნარუდგება ცოლეურებს (ქისტურად გუჩ ვალარ), ერიდება მათთან

შეხვედრას. თუ დანიშნულია, ვერ დაენახვება ზემოთ ჩამოთვლილ ცოლის ნათესავებს, ვერ შევა იქ, სადაც ისინი იმყოფებიან, ხოლო თუ ისინი შემოვლენ, ადგება და გარეთ გავა. ცოლეურებში ყოფნის დროს ფეხზე უნდა იდგეს, ვერ დაჯდება მათ სიახლოვეს, ხოლო თუ ცოლეურებში ჭირი ან ლხინია, ძირითად სამუშაოს ასრულებს.

ერთი სიტყვით, ყოველთვის ფხიზლად უნდა იყოს, რომ საჩითირო შეცდომა არ დაუშვას, არ თქვას და არ გააკეთოს ისეთი უმნიშვნელო რამეც კი, რომ ცოლეურებისგან საყვედური მიიღოს. შეიძლება, ზოგიერთმა ასეთი საყვედური ერთ ყურში შეუშვას და მეორედან გაატაროს, მაგრამ ასეთ შემთხვევაში მას საზოგადოებისგანაც ელის გაკიცხვა. ზემოთ თქმული დედეულების შესახებ (უეზდ ყუანას) ვრცელდება ცოლეურებზეც.

დიდ სირცხვილად ითვლება ცოლეურებთან თავის შეფარება. რაც უნდა დიდ გასაჭირში ჩავარდეს, სიძე ცოლეურებს ვერ მიმართავს დახმარებისათვის, განსაკუთრებით ჩხუბის დროს. უკონტროლობის პერიოდში (XIX-XX სს-ის მიჯნაზე) სოფ. დუისში ცენტრალურ გზაზე თავს დაესხნენ ახალგაზრდას, რომელიც მარტო აღმოჩნდა შეიარაღებული ახალგაზრდების ჯგუფის პირისპირ, რომელთაც სროლითა და ყიუინით შოკში ჩააგდეს. ახალგაზრდა გაექცა თავდამსხმელებს და იქვე, გზის პირზე მცხოვრები ცოლეურების ეზოში შევარდა. ასე დააღწია თავი მტერს. მართალია, თავი დააღწია მოსალოდნელ ხიფათს და, ალბათ, სირცხვილსაც, მაგრამ უფრო დიდ სირცხვილში ჩავარდა: მტერს გაექცა და ცოლეურების სახლს შეაფარა თავიო.

ცოლეურებთან ურთიერთობის ეთიკა საკმაოდ რთული და დამღლელია, მაგრამ ეს სულაც არ ნიშნავს, რომ სიძე გარიყულია და პატივისცემით არ სარგებლობს ცოლის ნათესავებში. ამ მხრივ ქისტები მკვეთრად განსხვავდებიან თვისტომელ ჩეჩინებისა და ინგუშებისაგან. ჩეჩინებში ცოლთან დაკავშირებული ნათესაობა არ არის მყარი, ოჯახი, მართალია, ჩეჩინური საზოგადოების საფუძველია, მაგრამ მისი დანგრევა, დაშლა ზოგ შემთხვევაში ხდება სრულიად უსაფუძვლოდ, უმნიშვნელო მიზეზის გამო. ქმარი ხშირ

შემთხვევაში სრულიად უმიზეზოდ ითხოვს ცოლს და, სხვათა შორის, არც ცოლი ცდილობს მაინცდამაინც შეინარჩუნოს ოჯახი. ამ კუთხით ინგუშებს უფრო მტკიცე ოჯახი აქვთ, ერიდებიან უბრალო მიზეზებით ცოლის დათხოვნას, ამ მხრივ ქისტების და ინგუშების ოჯახისადმი მიდგომა ერთნაირია, ორივე ხალხი ზრუნავს ოჯახის სიმტკიცის შესანარჩუნებლად. ამას თავისი მიზეზები აქვს, ქალის როლის დახასიათებისას განვიხილავთ დეტალურად, აյ მხოლოდ შევეხებით იმ გარემოებას, რომ სიძე იშვიათად მიდის ცოლეურებში, ხოლო ინგუშებში სიდედრ-სიმამრი შეიძლება ისე წავიდნენ ამ ქვეყნიდან, სიძე თვალითაც კი ვერ იხილონ. მხოლოდ მაშინ, როცა სიძე საკმაოდ ხანში შევა შვილები დაიზრდებიან, შვილიშვილებიც ეყოლებათ, შეიძლება შინაურულად მივიდეს ცოლეურებში.

ქისტებში ეს საკითხი ცივილიზებულად არის მოგვარებული. სიძე ცოლის შერთვიდან მოკლე ხანში მიდის ცოლეურებთან საკლავით, პურ-მარილით თავის ახლო ნათესავებთან ერთად, გაცნობის, გაშინაურების შემდეგ (ამას ქისტებში „ნოვც გუჩ ვახარ“ ჰქვია, რაც სიტყვასიტყვით სიძის წარდგენას ნიშნავს), ხშირად მიდის სიმამრის ოჯახში, აქტიურად მონაწილეობს ჭირსა და ლხინში, შესაძლებლობის ფარგლებში ეხმარება ყველანაირად და ა.შ.

შეძენილ ნათესავთა კატეგორიას მიეკუთვნება დაძმობილებით, ძმადგაფიცვით არსებული ნათესავები. ძმადგაფიცვის ინსტიტუტი უძველესია, იგი არსებობდა თითქმის ყველა ხალხში, მაგრამ განსაკუთრებით აქტუალური იყო და არის კავკასიელებში. დღეისათვის ყველაზე უფრო შემორჩენილია ქისტებში, მას არ დაუკარგავს თავისი უაღრესად დადებითი მნიშვნელობა ნათესაური კავშირის გაძლიერების საქმეში.

ძმად გაფიცვა სხვადასხვა მიზეზით ხდებოდა. უპირველეს ყოვლისა, სხვადასხვა გვარის ახალგაზრდებს (ერთი თეითის წარმომადგენლები ისედაც ძმები არიან) შორის ძმადგაფიცვისათვის აუცილებელია, მათ მოსწონდეთ ერთმანეთი. მოწონებაში იგულისხმება ის, რომ ახალგაზრდას მოსწონს მეორე ახალგაზრდის მამაცობა, გამბედაობა, ქცევის წესები, ხელგაშლილობა, გულკეთილო-

ბა, ღირსების გრძნობა, ზრდილობა და ა.შ. ამის შემდეგ თავაზობს მეგობრობას და ფიცს დეპენ მარადიულ ერთგულებაზე.

მარტოხელა დედისერთა ვაჟი ეძებს შესაფერის ამხანაგს, რომელიც, მისი აზრით, მას გაუწევს ძმობას. ასეთ შემთხვევაში იგი ცდილობს შეკრჩიოს ისეთი თანატოლი, რომელსაც ძმებიც ჰყავს და საკმაოდ ძლიერი ოჯახური კლანიდან არის. აქ ინტერესი აშკარაა: თავდაცვის თავისი სუსტი მხარე (უძმოა) გააძლიეროს. აქაც, როგორც ყოველთვის, გადამწყვეტი მაინც ის არის, რომ მოსწონდეთ ერთმანეთი.

მსგავსი მიზეზით ხდება ძმადგაფიცვა, როცა კაცი სახლდება სხვა სოფელში, უცხო ხალხში. ასეთი დაძმობილება ჩამოსახლებული ადამიანისთვის საჭიროა, რათა ადგილზე ჰყავდეს მისი უსაფრთხოებისა და ინტერესების დამცველი. პანკისში, როგორც შესავალში აღვნიშნეთ, პირიქითა ქისტეთიდან გადმოსახლების ერთ-ერთი მიზეზი მესისხლეობა იყო. სისხლს გამორიდებული ჩამოდიოდა პანკისში და სახლდებოდა. თუ მას აქ არ ჰყავდა მოგვარე ან ნათესავი, უნდა შეკედლებოდა რომელიმე გვარს. ცხადია, თუ სხვა გვარი მას მიიღებდა, იგი ხდებოდა ამ გვარის სრულუფლებიანი წევრი, მაგრამ თუ ახალ გვარში ვინმესთან კონფლიქტი მოუხდებოდა, მას ძმადნაფიცი ამოუდგებოდა გვერდში თავის გვართან ერთად, რადგან ძმადგაფიცვის შემდეგ ახალგაზრდა ძმადნაფიცის გვარის სრულუფლებიანი წევრი ხდება.

ზოგჯერ, პირადი ინტერესებიდან გამომდინარე კაცი ძმად ეფიცება სრულიად უცნობ ადამიანს, რათა დახმარება მიიღოს ძმადგაფიცულისაგან თავისი მიზნის მისაღწევად. გადმოცემის მიხედვით, დუი დიშნელი მოსისხლეს დასდევდა, იცოდა, რომ სოფ. ჭიშქიდან იყო, მაგრამ პირადად არ იცნობდა. ერთხელ ის მივიდა ამ სოფელთან, სოფლის განაპირას საქონელს აძოვებდა ამ სოფლის მკვიდრი. სალამ-ქალმის შემდეგ დუიმ ჰკითხა ჭიშქელს:

– ამ სოფელში ყველაზე თავზეხელალებული ქურდი და ავაზაკი ვინ არის?

მენახირემ დაუსახელა. დუიმ გამოჰკითხა, თუ სად ცხოვრობ-

და და საღამოს მიადგა. მასპინძელმა უცხო სტუმარი შეიპატიუა, ვახშამზე რომ დასხდნენ, დუი საჭმელს არ გაეკარა: სანამ ძმად არ გამეფიცები, ლუკმას არ გავტეს შენს ოჯახშიო. რას იზამდა მასპინძელი, სტუმარს ვერ აწყენინებდა, დათანხმდა, საკლავი და-კლა და ძმადგაფიცვის ცერემონიალი შედგა.

მეორე დღისით დუიმ ძმადნაფიცს უთხრა, ეს კაცი (თავის მოსისხლე) უნდა დამანახოო. კი ვიცოდი, რომ რაღაც მიზანი გქონდა, როცა ძმობა შემომთავზეო, – უპასუხა ძმადნაფიცმა. შემდეგ შუადღის ნამაზის დროს წაიყვანა მეჩეთში და ჩუმად ანიშნა მკვლელზე. დუიმ მოკლე ხანში აიღო სისხლი და დიშნში დაბრუნდა.

იშვიათად, მაგრამ არსებობს ქალისა და კაცის და-ძმად გაფიცვაც. ამ დროს ინიციატორი ქალიშვილია, რომელსაც ძმა არ ჰყავს და ცდილობს გაიჩინოს ძმა, რომელიც მას დაიცავს. ცხადია, მისი გვარის მამაკაცები მისი ძმები არიან, მაგრამ ძმადშეფიცული მას ალალი ძმასავით უდგას გვერდში. უძმობას ქისტი ქალი უაღრესად განიცდის, ყოველთვის დაჩაგრულად გრძნობს თავს.

რატომ სჭირდება ქალს ძმა? უპირველეს ყოვლისა, ქალს სჭირდება დამცველი. გათხოვების შემდეგაც კი, როცა ქმარი კისრულობს მასზე მზრუნველობასა და დაცვას, ქმართან ან ქმარეულებთან კონფლიქტის დროს მის დასახმარებლად მოდის ძმა. გათხოვებამდე უძმო დის შეურაცხყოფა, მასზე ცუდის თქმა იოლია. ამიტომაც არის, ქისტურ სიმღერაში ნათქვამი:

„როგორც მხარგაშლილ წიფელს სიო არ მოაკლდება,
ისე უძმო ქალს უკან დასდევს სიტყვა მკილავი“.

უძმო და ყოველთვის მოწყენილია, სხვებივით ლალად არ გრძნობს თავს. მის გრძნობებს მხატვრულად გადმოგვცემს სიმღერა უძმო ქალზე, სადაც ნათქვამია:

„ცა მოწმენდილზე ვის უნახავს თქორი და წვიმა,
უძმო ქალწულს კი გული უძგერს, მალ-მალ უტირის“.

ქისტებში განსაკუთრებით გავრცელებული იყო სხვა ეროვნების ახალგაზრდებთან დამობილება. ასეთი სახის ძმადგაფიცვა დიდ დატვირთვას იძენს, რადგან ის ხელს უწყობს ეროვნებების დაახლოებას. ძმადგაფიცვა ხდებოდა ქისტებსა და ფშავლებს და თუშებს, ხევსურებს, ოსებს, ლეკებს და კახელებს შორის. ასეთი სახის დანათესავება მყარი და ხანგრძლივი იყო, ძმადნაფიცების გარდაცვალების შემდეგაც ნათესაობას აგრძელებდნენ მათი შვილები. ქისტებში დიდ პატივად ითვლებოდა მამის ძმადნაფიცის (დედოფლის) სტუმრობა, მამის ძმადნაფიცის შვილების სტუმრობა და ა.შ.

ამ საკითხზე (ძმადგაფიცვა) დასკვნის სახით მოვიყვან ადრე წიგნ „ქისტებში“ ჩემ მიერ გამოთქმულ მოსაზრებას: „ძმადგაფიცვის სამი სახე არსებობდა: ფიცი მეგობრებისა და უფროსების თანდასწრებით; სისხლის შერევით (ერთმანეთს ხელებს უსერავდნენ და სისხლის წვეთებს ურკვდნენ ერთმანეთში) და ერთი ფიალიდან რძის დალევით, რომელშიც ოქროს ბეჭედს აგდებდნენ (სიმბოლო – მეგობრობა არასდროს უნდა დაიუანგოს). ერთ-ერთი ასეთი ცერემონიის შემდეგ ერთმანეთს იარაღს უცვლიდნენ, ერთმანეთს ასაჩუქრებდნენ და მართავდნენ ქეიფს ძმადგაფიცვის აღსანიშნავად.

ძმადგაფიცებულები ვალდებული იყვნენ ალალ ძმებზე უფრო ყვარებოდათ ერთმანეთი, ძმებზე უფრო მტკიცედ დაეცვათ მოვალეობები არა მარტო ურთიერთშორის, არამედ მთელი ნათესავების მიმართ. ძმადგაფიცული ხდებოდა სრულუფლებიანი წევრი თეიფისა, რომლის წარმომადგენელიც იყო მისი ძმადნაფიცი და სარგებლობდა თეიფის წევრის სრული უფლებებით. ძმადნაფიცი ვალდებული იყო სისხლი აეღო და თუ საჭირო იქნებოდა, თავი გაეწირა ძმადნაფიცისათვის. ერთი სიტყვით, ძმადგაფიცვის მომენტიდან ორივე მხარე კისრულობდა, შეესრულებინა ნამდვილი ნათესავების ტრადიციული მოვალეობები“.

XX საუკუნის შუა ხანებში სოფელ ჯოყოლოში ცხოვრობდა ბადულ ცისკარიშვილი, განთქმული მოჭიდავე. როგორც გად-

მოგვცემენ, ტანმორჩილი კაცი იყო, მაგრამ ქართულ ჭიდაობაში ბადალი არ ჰყავდა, ყველა წონაში ჭიდაობდა (მაშინ აწონვა შემოსული არ იყო) და იმარჯვებდა კიდეც. ამ მოჭიდავეს ბიძა ავად გაუხდა, საჭირო იყო ოპერაციის გაკეთება, მაგრამ ბადულმა საჭირო თანხა ვერ იშოვა ქისტებში და თეთრწყლებში ხევსურ ძმადნაფიცს ენვია, იქნებ ფული მიშოვოსო.

არც ხევსურები იყვნენ ქისტებზე მეტად შეძლებულები, ძმადნაფიცი მიღვა-მოდგა, მაგრამ უშედეგოდ და ძმადნაფიცები თელავში ჩავიდნენ. ხევსურმა აქაც მოინახულა მეგობარ-ნათე-სავები, მაგრამ საჭირო თანხა ვერ შეაგროვა. საღამოს სასადილოში შევიდნენ პურის საჭმელად, სადაც შენიშნეს მთვრალი რუსი ოფიცერი, რომელსაც დიდი თანხა ჰქონდა ხელზე (ფულის გადახდის დროს ჯიბიდან დაუდევრად ამოიღო მოზრდილი დასტა ფულისა).

ბადულას ძმადნაფიცმა მეგობარს უთხრა, აქ დამიცადეოდა გარეთ გასულ ოფიცერს გაჲყვა. ხევსურს ქისტიც უკან მიჲყვა. სამხედრო ლეგიონი მაშინ ქალაქისგან მოცილებული იყო, სამხედროთა დასახლებასა და ქალაქს შორის საკმაო უკაცური ადგილი იყო და ხევსური ხანჯლით გადაუდგა რუს օფიცერს და ფული მოსთხოვა. მთვრალი ოფიცერი არ შეეპუა და ამ ჭიდილში ხევსურმა მოკლა ოფიცერი, ფული ამოაცალა და გაეცალნენ.

ბადულამ ჩარევა ვერ მოასწრო, ისე სწრაფად მოხდა ყველაფერი, მაგრამ ფული, რომელიც ძმადნაფიცმა მისცა, წამოიღო და ჯოყოლოში დაბრუნდა. იგი მკვლელობის ადგილზე თუ უკან დაბრუნების დროს (ძმადნაფიცები მაშინვე გაიყარნენ) იცნეს და მეორე დღესვე დააპატიმრეს.

სამხილი (ფული) სახეზე იყო, ხელიც დაადეს და ბადულამაც ალიარა მკვლელობა, რომელიც სინამდვილეში არ ჩაუდენია. მან არ გაყიდა ძმადნაფიცი, რომელმაც მისი გულისთვის, მის დასახმარებლად ჩაიდინა მკვლელობა. მას დახვრეტა მიუსაჯეს და ამბობენ, განაჩენის ალსრულებას ვაჲკაცურად შეხვდაო.

საკმაოდ მკაცრი, ვულგარული, დღევანდელი ზნეობრივ-

მორალური თვალსაზრისით გაუგებარი საქციელია, მაგრამ, როგორც ზემოთ ითქვა, ძმადნაფიცები ვალდებული იყვნენ, თავი გაეწირათ ერთმანეთისათვის და ბადულ ცისკარიშვილმაც ძმადნაფიცის დასმენას თავის გაწირვა არჩია. ამ ამბავში მთავარია არა ზნეობრივ-მორალური მხარე, რაც ქისტებისა და ხევსურების წინაპრებისათვის მეორეხარისხოვანი იყო თარეშების დროს, არამედ მეგობრისათვის თავდადების იდეა.

ჯოულოელ ჰ. აჭიშვილმა, ქაქუცა ჩოლოყაშვილის შეფიცულთა რაზმის წევრმა, ბოლშევიკების ხელისუფლების დამყარების შემდეგ მოკლა სასოფლო საბჭოს თავმჯდომარე, დუმასტურელი ოსი, რომელიც ავინწროებდა ქისტებს. ოსებმა, რომელთაც იარაღი ჰქონდათ (ქისტებს მასიურად ჩამოართვეს იარაღი, როგორც მენშევიური მთავრობის მომხრეებს), მოიმწყვდიეს ჰ. აჭიშვილი. მას ახლდა ძმადნაფიცი დალესტნელი ლეკი, მეიარაღე, რომელიც ოქრომჭედელიც იყო. იგი, როგორც კი უიარაღო ძმადნაფიცს თოფი ესროლა ოსმა, გადაეფარა. ჰ. აჭიშვილი გადარჩა, მისი ერთგული მეგობარი დაიღუპა.

მოყვანილი მაგალითები გვიჩვენებენ, რომ ქისტებსა და სხვა ეროვნების ახალგაზრდებს შორის ხშირი იყო ძმადგაფიცვის შემთხვევები და ორივე მხარე ლირსულად ასრულებდა იმ მოვალეობებს, ფიცით რომ დებდნენ პირობას მათ შესრულებაზე.

ნათესავები ქისტური ტრადიციით ვალდებულნი არიან მფარველობა გაუწიონ ღარიბებს, უპოვრებს, ინვალიდებს, ქვრივ-ობლებს და განსაკუთრებით სულით ავადმყოფებს. არც ერთ შემთხვევაში არ დაუშვებენ, რომ ვინმემ ქვრივ-ობლებს დაჩაგროს, მათ ქომაგად მთელი გვარი გამოდის. მართალია, ღარიბ-ღატაკს ვერ გაამდიდრებენ, მაგრამ ლუკმა-პურს არასდროს მოაკლებენ. უქონელ ნათესავებს კი არადა, სხვა გვარის უპოვრებს, მეზობლებს უეჭველად გაუნანილებენ საკვებს, ტანსაცმელს და სხვა სახის დახმარებასაც გაუწევენ.

უბედურებისგან დაზღვეული არავინაა, შეიძლება მოულოდნელად თავს დაატყდეს კაცს ხითათი, რაღაც უბედურებაში გაეხვიოს.

სწორედ მაშინ გამოჩნდება ხოლმე ქისტური ხასიათის განუმეორებელი თვისება – აუცილებლად დადგება ნათესავის გვერდით, გაიზიარებს მის უბედურებას და დაეხმარება პრობლემის დაძლევაში. შეიძლება შორეული ნათესავი დავიწყებულიც ჰყავდეს კაცს, მაგრამ გაჭირვების უამს გამოჩნდება და დახმარების ხელს გაუწვდის. ქისტი კაცი სადღეგრძელოშიც ჩანს – ღმერთმა გვაშოროს ღალატი და მოულოდნებელი უბედურება – თუ ეს ორი რამ კაცს დაემართა, როგორც ძმა ძმას, ისე ამოუდგება გვერდში.

ცხოვრებაში ბევრჯერ ყოფილა, რომ საშოვარზე თუ საცხოვრებლად საზღვარგარეთ წასულა კაცი და იქ, შორეულ უცხოეთში, განსაკუთრებით რუსეთის უკიდეგანო ქვეყანაში გარდაცვლილა. ოჯახს არც მისი სახლში გადმომსვენებელი კაცი ან, ყველაზე უარესი, საჭირო თანხა არ ჰქონია. მაგრამ მაშინვე იკრიბებიან ნათესავები, ცხედრის გადმოსასვენებლად წასასვლელი კაციც მოძებნება და საჭირო თანხაც მოინახება, ასევე დაზარალებულის ოჯახში დატრიალდებიან, ყველაფერს მოაწესრიგებენ, დასაკრძალავი ხარჯები შეგროვდება და მზად არიან ცხედრის დასახვედრად და დასაკრძალავად. ოჯახი ამ საზრუნავისაგან მთლიანად განთავისუფლებულია, მარტო სამძიმარს იღებს. ამ საკითხში ქისტებს ვერც ერთი ხალხი ვერ შეედრება, ეს არ არის გაზვიადებული და არც ურა პატრიოტული სიტყვები, ეს სინამდვილეა და ეს იცის ყველამ, ვინც ქისტების მეზობლად სახლობს და ქისტებთან ჰქონიათ ურთიერთობა.

მოვიყვან მაგალითს ჩემი პირადი ცხოვრებიდან. 1994 წელს ჩემმა ვაჟიშვილმა ქ. გროზნოში მოახდინა ავტოვარია, რამაც შეიწირა ათაგელი ვაჟკაცი, ბიზნესმენი, რომელიც არა თუ ოჯახსა და ნათესავებს, არამედ მთელ თეიფს ინახავდა. ჩემი ვაჟი ქორწილიდან ნასვამი სახლში ბრუნდებოდა სხვისი მანქანით და დიდი სისწრაფით მიმავალი, ასევე საპირისპიროდ სწრაფად მოძრავ მანქანას შეეჯახა. სულიმანი მანქანიდან გადმოვიდა, მივიდა 20-30 მეტრზე გადასროლილი „ბმვ“-ს ტიპის სპორტულ მანქანასთან, რომელიც მთლიანად იყო დაჭეჭყილი და შიგ ჩაჭედილი ჩემი ბიჭი არც ჩან-

და, უკანა სავარძლამდე იყო გადატანილი. სულიმანმა შეგროვილ ხალხს სთხოვა, რომ მიხმარებოდნენ და ამოეყვანათ მანქანიდან და თავად საავადმყოფოში წავიდა. როგორც ჩანს, ღვიძლი და ელენთა ჰერონდა დაზიანებული და საოპერაციო მაგიდაზე დააწვინეს თუ არა, გარდაიცვალა.

მკითხველს შევახსენებ, რომ ეს იყო მძიმე პერიოდი, ე.წ. „კუ-პონების პერიოდი“, ხალხს ძალიან უჭირდა, მე მასწავლებლად ვმუშაობდი და დაკერძული ფეხსაცმლით დავდიოდი. სათიბად მუშები შევიგულე და სადილი რომ მეჭმია, სხვა ვერაფერი მოვი-ფიქრე, გარდა იმისა, რომ დამეწყვიტა ლამე ალაზნის ტოტი და დამეჭირა თევზი. ღვინოც სიძისგან მოვიტანე. სადღაც ღამის თორმეტ საათზე წყალი დავწყვიტეთ და ფაცერს ვაგებდით, როცა გაღმიდან გადმოგვდახა, ალაზანი გამოტოპა და გროზნოდან სას-წრაფოდ წამოსულმა მაცნემ მაუწყა მომხდარი უბედურება: ავა-რის შედეგად ერთი ჩეჩენი გარდაიცვალა, მეორე და შენი ბიჭი რეანიმაციაში წვანანო.

დიდი უბედურება დამატყდა თავს, მაგრამ კარგად ვიცოდი, რომ კაცი ტანჯვისთვის არის გაჩენილი, რომ ჩემამდეც დიდი ტრაგედიები გადაუტანია ხალხს და მეც ღირსეულად უნდა შევხ-ვეძროდი მომხდარს. მეორე დღისით, როცა გროზნოსკენ მივ-დიოდით, ვფიქრობდი: თუ ორნი გარდაიცვალნენ, ორნი ჩვენც ვი-ყავით მამა-შვილი, პასუხს ვაგებდით მომხდარზე, სისხლი სისხლის წილ – კანონი იყო და არის, მაგრამ ყველაზე უფრო ის მიღლობიდა გულს, რომ ორი მანქანა, „ვოლვო“ და „ბმვ“, ორი ფირმის მანქანა დამედო ვალად, როგორ უნდა გადამეხადა, როცა მგზავრობის ფუ-ლიც დამ მისესხა და ისე მივდიოდი გროზნოში.

ადგილზე ჩასულებს სიტუაცია დამძიმებული დაგვხვდა. დაშ-ვებული იყო რამდენიმე შეცდომა: პირველი, ავარიის შემდეგ, ჩე-ჩენის გარდაცვალების თანავე, უნდა გაეგზავნათ კაცი და პასუხ-ისმგებლობა აელოთ მომხდარზე. ეს, მართალია, გააკეთეს, მაგრამ დააგვიანეს, რამაც წარმოშვა ჭორები და ეჭვები. როგორც ითქვა, გარდაცვლილი იყო ცნობილი ვაჟკაცი, თითქმის მთელ ჩეჩენეთში

იცნობდნენ, როგორც ქველმოქმედ ბიზნესმენს და გაჩნდა ეჭვი, სპეციალურად ხომ არ მოაწყვეს ავარიაო. ცხადია, ასე ბრმად ავარიას ჭკუათმყოფელი ვერ მოაწყობდა, რადგან ჩემი ვაჟიშვილი მაშინ უმძიმეს მდგომარეობაში იყო და დაჩეხილ-დალენილი მხოლოდ ნახევარი საათის შემდეგ გამოიყვანეს მანქანიდან და საავადმყოფოში გადაიყვანეს. სწორედ აქ დაუშვეს მეორე შეცდომა ახალგაზრდებმა: სასწრაფოდ, როგორც კი შეიტყვეს, რომ ჩეჩენი სულიმანი გარდაიცვალა, საავადმყოფოდან გამოიყვანეს და ნათესავებთან მოათავსეს, თანაც ავადმყოფის რეგისტრაციის უურნალიდან ფურცელიც ამოხიეს, რათა არ მიეგნოთ კვალისთვის. ეს უაზრობა იყო, რადგან დალენილი „პმჴ“ მანქანის პატრონის მონახვა არ გაძნელდებოდა. ცხადია, ეს იცოდნენ ახალგაზრდებმაც, მაგრამ მათ ისიც იცოდნენ, რომ ჩეჩენეთში უკონტროლობა სუფევდა და შეიძლებოდა, განრისხებულ ნათესავებს შური ეძიათ, ასეთი რამე იშვიათობა არ იყო იმ პერიოდში.

ასეა თუ ისე, საქმე დამძიმდა. ხილლდიხაროელებმა (ამ თეიფის წარმომადგენელი იყო დალუპული) მოითხოვეს, რომ სანამ სამშვიდობო მოლაპარაკებას დაიწყებდნენ, ავარიაში დამტვრეული მანქანის სანაცვლო მანქანა მიგვეყვანა. როგორც ზემოთ აღვნიშნე, ჩემი ფინანსური მდგომარეობიდან გამომდინარე, ყველაზე გადაუჭრელი პრობლემა გახლდათ და ახლა პირისპირ აღმოვჩნდი ამ პრობლემის წინაშე.

გროზნოში ჩასვლისთანავე გვერდში ამომიდგნენ ნათესავები, ბიძა უორა მაჩალიკაშვილი, მამიდაშვილები ახმად და ახიად გუმაშვილები, მეგობრები თემურ წინწალაშვილი და ზურაბ (ჯაყო) ალხანაშვილი და დამაიმედეს, რომ ამ პრობლემას ისინი გადაჭრიდნენ. გადავწყვიტეთ, დავლოდებოდით ჩემს დისმვილს დათო გორნაკაშვილს, რომელიც კომერციულ საქმიანობას ენეოდა (ნავთობზე მუშაობდა) და მეორე დღისთვის უნდა ჩამოსულიყო თბილისიდან.

როგორც კი ჩამოვიდა, მან თავის თავზე აიღო მანქანის ყიდვა, კატეგორიულად უარყო ჩემი მეგობრების დახმარება და მეორე დღისთვის იყიდა ახალთახალი „ვოლვო“ 18000 დოლარად, ათასი

დოლარი გაფორმებაში გადაიხადა. მან მანქანის გასაღები მომცა და მითხრა:

– დედის ძმავ, ეს მანქანა შენ გიყიდე საჩუქრად, ამ მანქანასთან არავის არასდროს ექნება პრეტენზია. ასევე ნათესავებმა და მეგობრებმა დახმარება გამინიეს და ფინანსური პრობლემა არ მიგრძნია.

შემდეგ ადათისა და წესის მიხედვით დაიწყო მოლაპარაკება. ჩეჩინებსა და ინგუშებში ავარიის შედეგად დაღუპულზე სისხლის ძიება არ იციან, არ აზვიადებენ და შერიგებაც სწრაფად ხდება. ცხადია, ისეთი შემთხვევებიც მომხდარა, რომ საქმეს ართულებენ და მოსისხლის დევნაც ხორციელდება, ეს დაზარალებულებზეა დამოკიდებული. ჩემგან დაზარალებულები ხილდიპაროს თეიფის წარმომადგენლები იყვნენ, ჩეჩინეთში ერთ-ერთი ძლიერი და ძველი ადათ-წესების მტკაცე დამცველი ჩიტამიროვები. საბედნიეროდ, მე შემხვდა უაღრესად წესიერი, ვაჟაცური ხალხი და საქმის დამძიმებაც გამოიწვია მხოლოდ და მხოლოდ ჩვენი მხრიდან შეცდომების დაშვებამ.

მოლაპარაკების შემდეგ დაზარალებულებმა მოითხოვეს ფიცი სისხლის (ფპე) საფასურის შესაბამისად. ჩეჩინეთში სისხლზე უნდა იქნეს დაფიცებული 120 კაცი. ფიცი უნდა მიგვეცა იმაზე, რომ ჩემი ვაჟიშვილი არ იცნობდა გარდაცვლილს და ავარია განზრახ არ მოუხდენია.

ასეთი ფიცი არ წარმოადგენდა პრობლემას, რადგან ავარია შემთხვევით მოხდა და სიმართლეზე დაფიცება არავითარ სირთულეს არ შეიცავდა. პრობლემა იმაში მდგომარეობდა, რომ მე არ ვიმყოფებოდი ჩემს სამშობლოში, ჩემს სოფელში, სადაც გვარი დამიდგებოდა გვერდში. როცა მე შეუამავალს ვუთხარი, თუ როგორ შევაგროვებდი უცხო მხარეში 120 მოფიცარს, მშვიდად მითხრა მა-ჰარბეგმა:

– ნუ წუხარ, ჩეჩინეთი პატარა ქვეყანაა, ყველამ იცის მომხდარის შესახებ, იციან, რომ მართალი ხარ ამ საქმეში და მე აქაურებს, შენთვის სრულიად უცხო ხალხს მოვიყვან ფიცზე.

ნათესავები, მეგობრები, ნაცნობი ქისტები, რომლებიც დღე-დაღამ ჩემთან იყვნენ მამიდაშვილების ოჯახში, ჩეჩინეთში მყოფი მთელი ქისტობა მოდიოდა და სამძიმარს მეუბნებოდა. ქისტებმა იცოდნენ, რომ დაზარალებულზე არანაკლებ გაჭირვებული ვიყავი, რადგან უდანაშაულო კაცის ცოდვა დამედო. დამაიმედეს, რომ დანიშნულ დღეს საკმარისზე მეტი ხალხი შეგროვდებოდა, მაგრამ მე ვეჭვობდი.

დანიშნულ დღეს მოვიდა და მოვიდა ხალხი, 200-ზე მეტი კაცი ავედით სოფელ ათაგში და მინდორზე განვლაგდით. ამაყი ვიყავი, მიყვარდა ჩემი ხალხი, ყოველთვის ვიცოდი, რომ რჩეული ხალხი იყო, გაჭირვებაში თანამდგომი და საიმედო.

იმ დღეს ფიცი არ მიიღეს, მთავარ დამნაშავეს, ჩემს ვაჟიშვილს, რომელიც ამ პერიოდში ლოგინს იყო მიჯაჭვული, პირველს უნდა დაეფიცა უდანაშაულობაზე და დანარჩენები დაამოწმებდნენ მის ფიცს. მეორე შეხვედრაზე, ოთხი თვის შემდეგ, ქისტები 250-ზე მეტი იყვნენ. ხოლო როცა შუამავალმა თქვა, რომ მოფიცრები წინ გამოდითო, უპასუხეს, რომ ყველა აქ მყოფი მზად იყო მიეცათ ფიცი. ამან ისე იმოქმედა ათაგელებზე, ხილდიხაროელებზე, რომ მხოლოდ სამი კაცი დააფიცეს: ჩემი ვაჟიშვილი, მე და დამნაშავის დედის ძმა.

ხილდიხაროელებმა სისხლის საფასური არ აიღეს, ხარი და ჭედილაც დააბრუნეს, აბსოლუტურად უსასყიდლოდ მაპატიეს სისხლი და მითხრეს:

— დღეის შემდეგ თავისუფლად შეგიძლია გადაადგილდე ჩეჩინე-თის ნებისმიერ წერტილში, ოლონდ თუ გეცოდინება, როგორ უნდა იარო! ეს ნიშნავდა იმას, რომ მე უნდა მხსომებოდა მომხდარი, ისიც, რომ პატიებული ვიყავი და მორიდებით უნდა მეცხოვრა.

შვებით ამოვისუნთქე, მძიმე ტვირთი მომეხსნა მხრებიდან, მაგრამ რჩებოდა კიდევ ერთი გადასახდელი ვალი, „ბმვ“ მარკის მანქანა, რომელიც ავარიის შედეგად ისე იყო დალენილი, ალდგე-ნას არ ექვემდებარებოდა. ჩემმა შუამავალმა მაჰარბეგმა მითხრა, რომ არ ხარ ვალდებული, ეს მანქანა გადაიხადო, პირიქით, იქით

შევედავებით, მთვრალ კაცს მანქანა ათხოვეს და ხათაბალაში გაახვიესო. მე ვუთხარი, რომ მანქანა ჩემს შვილს იმიტომ კი არ ათხოვა პატრონმა, წადი, მანქანას დააჯახეო, არამედ პატივი სცა, ათხოვა, რათა თავისი საქმე მოეგვარებინა. მეც მითხოვია მანქანა, ჩემგანაც უთხოვიათ, ეს ჩვეულებრივი მოვლენაა ჩვენს ხალხში და ზარალიც უნდა ავანაზღურო-მეთქი.

თქმა ერთია, შესრულება კი ძნელია. იმ პერიოდში შემხვდა მეგობრის მეულლე და მითხრა:

– შენი მამის ბიძაშვილი ბეი-ალი, შენთან რომ ხშირად ჩამოდიოდა ჩერჩეთიდან, ქ. ტომისკში ცხოვრობს, ბიზნესს ეწევა და კარგადაც მიუდის საქმეები, რატომ არ ცდი ბეჭს, ჩადი, იქნებ დაგეხმაროსო.

ბეი-ალი, მელე მითხელი, თითქმის ჩვენთან გაიზარდა. მამაჩემმა ჩამოიყვანა, რადგან მოხუცი მამა ვერ იმორჩილებდა, ძალიან მოუსვენარი, ცელები და თავნება ბავშვი იყო. როცა წამოიზარდა, ხშირად ჩამოდიოდა, ჩხუბის თავი იყო, ზედმეტსახელი კუჭიკო შეარქვეს, იმ პერიოდში ყაჩაღად გასული კაცის სახელი.

ძალიან ვუყვარდი, ვიცოდი, რომ უყოფიანოდ დამეხმარებოდა და გავემგზავრე ციმბირში. ქ. ტომისკში ჩავედი, სახლში არ დამხვდა. ვიცოდი, რომ მეულლე რუსი ჰყავდა და ეს მანუხებდა, მადარდებდა, თუ როგორ მიმიღებდა უცნობი ქალი, რადგან ვიცოდი, რომ ცოლის დამოკიდებულება ხშირ შემთხვევაში გადამწყვეტია.

ბეი-ალის მეულლე გულთბილად შემხვდა, შემიპატიუა, მითხრა, ქმარი მალე დაბრუნდება სამსახურიდან, ჩაი მომიტანა, ერთი სიტყვით, ჩვენი ადათ-წესის მიხედვით მიმიღო.

მალე ბეი-ალიც მოვიდა, გადამეხვია, ჩემი ამბავი გაგონილი ჰქონდა და ყველაფერი გამომკითხა. ბოლოს მითხრა:

– მითხარი, ყველაფერი გასწორდა, თუ კიდევ არის რაიმე დარჩენილი?

– ერთი მანქანა მადევს ვალად, „ფირმა“ მანქანა.
– დღეის შემდეგ ეს მანქანა შენი პრობლემა აღარ არის, ეს უკვე ჩემი პრობლემაა. შენ მშვიდად დაისვენე, ეს რუსი საჭმელ-

სასმელს არ მოგაკლებს, ტელევიზორი და ვიდეო აგერაა, დანარჩენი მე ვიცი.

თავიდან ფეხებამდე ჩამაცვა, დამახურა, შემდეგ მეუღლეს-თან ერთად მოსკოვში გამომყვა (ავადმყოფობდა, ინსულტი ჰქონდა გადატანილი). მანქანის ყიდვას ვაპირებდით, რომ ჩეჩენეთში ომიც დაიწყო. მანქანას ვერ ჩავიტანდი, მაგრამ გამოსავალი მოინახა: მოსკოვში მუშაობდა მანქანის პატრონის ძმა (თურმე მას საჩუქრად ეყიდა „ბმ“ თავის dმისთვის), ვესტუმრეთ, ავუხსენით მდგომარეობა და შევთავაზეთ, აელო ფული. ჯერ თქვა, ჩაუტანეთ და მამაჩემს მიეცითო. მე ვუთხარი:

– ჰარონ, ეს ფული ჩემი ნამუშევარი არ გახლავს, მამის ბიძაშვილმა მომცა, მოხჩი (მამის ბიძაშვილის შვილი) სულუმბეგიც დამეხმარა, მე ერთი მასწავლებელი ვარ და თუ გზაში ეს ფული დავკარგე, მით უმეტეს ჩეჩენეთში ომია, თქვენს ვალს ვერ გადავიხდი, ეს ჩემთვის დიდი ტრავმა იქნება.

ჰარონი შეწუხდა, თვალებს მარიდებდა და მობოდიშებით მითხრა:

– ხასოა, ამ ფულს არ გამოგართმევდი, საქმე რომ კარგად მქონდეს, მამაჩემს თავად გავუგზავნიდი, მაგრამ ამჯერად საქმეები კარგად არ მიმდის და ჩემის სურვილის, სინდისის წინააღმდეგ მივდივარ და ავიღებ ამ ფულს.

– რას ამბობ, ჰარონ, პირიქით, მე ძალიან დიდი მადლობელი ვარ შენი, რადგან შენ დიდ საქმეს მიკეთებ, ამ მძიმე მდგომარეობიდან გამოგყევარ.

– კარგი, საქმე დამთავრებულია, მე მამაჩემს დავურეკავ, რომ ჩვენ გაესწორდით.

8000 დოლარი მივეცით, დაახლოებით ამდენი ლირდა „ბმ“ ტიპის ავტომანქანა მოსკოვში. ბეი-ალი და ტატიანა(მეუღლე) ქ. ტომსკში გაფრინდნენ, მე თბილისში ჩამოვფრინდი.

ნათესავების დახმარების გარეშე ვერ გადავიხდიდი ამ ვალს და ყოველთვის თაქჩაღუნულს უნდა მევლო. ეს ერთ-ერთი ეპიზოდია იმ ათასობით მსგავს ეპიზოდებს შორის, რომლებსაც ადგილი

ჰქონია ქისტების ცხოვრებაში. ამ კუთხით შეუდარებელი ხალხია: თუ ერთმა მიაღწია წარმატებას და ქონება დააგროვა, აუცილებლად მიხედავს ნათესავებს. ზოგს ბინას უყიდის, ზოგს მანქანას, ზოგს ფულით მიეხმარება, არავის დატოვებს ყურადღების გარეშე.

გასულ წელს უხუცესები ვიღვწოდით მოსისხლეთა მორიგებას. ალხანაშვილების კაცს მოკლული ჰყავდა იმედაშვილების ახალგაზრდა და ეს მოსისხლეობა 12 წელი გრძელდებოდა. ჩვენ მივაღწიეთ შედეგს, მოკლულის ძმები დავითანხმეთ, ეპატიქტინათ ძმის სისხლი. ბიზნესმენი თამაზ ალხანაშვილმა გვითხრა, რომ სისხლის საფასურს (63 ძროხა), თავის თავზე იღებდა. სხვათა შორის ეს კაცი მელვლელის ახლო ნათესავიც კი არ იყო, მაგრამ ორ გვარს შორის მშვიდობის დასამყარებლად, მზად იყო, გაეღო ეს თანხა. მართალია, დაზარალებულებმა, მოკლულის ძმებმა უარი თქვეს სისხლის საფასურზე, ჩვენს ძმას ფულზე კი არ ვყიდით, ჩვენ ვპატიობთ მკვლელს ალაპისა და ჩვენი ხალხის გულისთვისო, მაგრამ ეს სულაც არ აკინებს თამაზის ქველმოქმედებას.

როგორც ვთქვი, ქისტურ ქველმოქმედებას საზღვარი არ აქვს, ყველას ვერ ჩამოვთვლი, ვერ ავუვალ, ვერც გავიხსენებ ყველაფერს და თუნდაც შევძლო, არ იქნება სწორი, რადგან ბევრი გამომრჩება და სამართლიანობა დაირღვევა.

განსაკუთრებულია, აგრეთვე, ქისტებში ურთიერთდახმარება სამეურნეო და ყოფა-ცხოვრებით საქმიანობაში. სახლის მშენებლობის დროს მუშახელზე ზრუნვა საჭირო არ არის, ნათესავები თავად მოდიან. ხდებოდა ისეც, რომ მუშახელი საჭიროზე მეტი მოდიოდა დილით და კირითხურო სახლში გზავნიდა, სხვა დროისთვის იბარებდა. ასევე ნათესავები მზად არიან გაუწიონ ფინანსური და მატერიალური დახმარება მშენებარე კაცს, ყოველთვის ყურადღებით არიან, მიდიან და ეკითხებიან, ხომ არაფერი უჭირს და ა.შ. მართალია, დღეს ფინანსურად უზრუნველყოფილი კაცი, ქირაობს კომპლექსურ ბრიგადას და ისე აშენებს სახლს, მაგრამ ყველას როდი ძალუძს ამგვარად საქმის მოგვარება და ამ დროს ნათესავების გვერდში დგომა უმნიშვნელოვანესია.

თუ ნათესავს, მეზობელს ან თანასოფლელს, ან კიდევ ხეობის მაცხოვრებელს უბედურება შეემთხვა და დიდი ზარალი განიცადა, მაგალითად, სახლს ან გომურს ცეცხლი წაეკიდა და საქონელი დაეხოცა და ა.შ. მთელი სოფელი ეხმარება, ყველა იღებს მონაწილეობას ამ საქველმოქმედო საქმეში შესაძლებლობის მიხედვით. მთავარი ისაა, რომ ქისტმა იცის, გაჭირვება, უბედური შემთხვევა შეიძლება მოულოდნელად თავს დაატყდეს კაცს, დაზღვეული არავინაა ამქვეყნად და მზად უნდა იყოს ამისათვის. ხოლო თუ სხვას დაატყდა უბედურება, უნდა მიეხმაროს, გაჭირვებაში არ უნდა მიატოვოს ბედის ამარა. ეს გრძნობა ქისტებში ძლიერად არის განვითარებული. ცხადია, უპირველეს ყოვლისა, ეს არის გენეტიკური მოვლენა, მაგრამ, ვფიქრობ, ამაზე დიდი გავლენა იქონია იმანაც, რომ პანკისის ხეობაში კომპაქტურად ჩასახლებული ქისტები, გარშემორტყმული სხვა ეთნოსისა და რელიგიის მქონე ხალხით, შეკავშირდნენ, რადგან მხოლოდ ერთობით შეიძლებოდა თვითმყოფადობის შენარჩუნება, მხოლოდ ურთიერთთანადგომით შეძლებდნენ ადათ-წესების, ზნე-ჩვეულებებისა და ტრადიციების შენარჩუნებას.

ნათესაობის, ქისტური თემის საფუძველი ოჯახია, ოჯახი თეიფის პირველადი უჯრედია, პატარა მიკროსახელმწიფო, სადაც ხდება საზოგადოების მომავალი წევრის ჩამოყალიბება. ოჯახს უაღრესად დიდი დატვირთვა აქვს გვარისთვის, სოფლისთვის, ქვეყნისთვის სასარგებლო და ლირსეული ადამიანის ჩამოყალიბებისათვის.

ქისტური ოჯახი რთული საზოგადოებრივი წარმონაქმნია, რომელიც თავისი კანონებით ცხოვრობს. რა თქმა უნდა, ქისტური ადათ-წესები ყველა ოჯახისთვის სავალდებულოა, ქისტური ოჯახი ტიპურია ქისტური საზოგადოებისათვის, მაგრამ თითოეულ ოჯახს თავისი ინდივიდუალური თვისებები ახასიათებს. ამიტომაც არის, რომ, როცა რძალი შემოდის ოჯახში, ახალი წევრი, შესაძლებლია, ისეთ გარემოში მოხვდეს, მეტ-ნაკლებად უცხოა მისთვის, ოჯახის უფროსი კონტროლს უწევს თავის ოჯახის წევრებს, რათა გაგებით

შეხვდნენ რძლის ზოგიერთ, მათი ოჯახისთვის მიუღებელ ჩვევებს. სწორედ მამამთილსა და დედამთილზეა ბევრად დამოკიდებული, თუ როგორ შეეწყობიან ერთმანეთს ახლად დაქორწინებულები, რძალი და მაზლ-შულები.

ქისტურ ოჯახს სათავეში უდგას ოჯახის უფროსი, მამა, ხოლო იმ შემთხვევაში, თუ იგი ნაადრევად გარდაიცვლება, ხოლო შვილები, განსაკუთრებით ვაჟიშვილები მცირებლოვანი არიან, ოჯახს უძლვება დედაკაცი. უმამოდ გაზრდილ შვილებს დედის სახელით მოიხსენიებენ. უფრო გასაგები რომ იყოს მკითხველისათვის, შევეხები ქისტურ წესს, თუ როგორ მოიხსენიება ოჯახის წევრი.

ჩვეულებრივ კაცს მოიხსენიებენ მამის სახელით. ჯერ მამის სახელს ახსენებენ და მერე მისი შვილის სახელს, მაგალითად, თუ მამას ჰქვია მახმადი და შვილს მუჰმადი, მუჰმადის უწოდებენ ასე: „მახმად მუჰმად“, თუ მამას ჰქვია აჰმადი და შვილს ბისან, შემდეგნაირად: „აჰმად ბისან“. სხვათა შორის, ძველად ქართველებშიც ასეთი წესი არსებობდა: „შავლეგ გუბაზის ძე“, „არჩილ თარხანის ძე“ და ა.შ.

როცა ქვრივი ზრდის ობლებს, მაშინ დედის სახელით მოიხსენიებენ, მაგალითად, „სანუი რამზან“, „მედიო უსუბ“ და სხვ. , ოჯახის უფროსს დიდი ავტორიტეტი აქვს არა მარტო საკუთარ ოჯახში, არამედ გვარშიც და თანასოფლელებშიც. ხომ ხდება ხოლმე, რომ ოჯახში ყველა ღირსეული არ იზრდება, ზოგიერთი წევრი შეიძლება სრულიად განსხვავებული ხასიათისა და ზნეობისა იყოს, მარტო აღზრდაც არ შველის საქმეს, აკაკის არ იყოს, „თუ ბუნებამც არ უშველა“, მაგრამ ასეთ შემთხვევაში ხალხის განაჩენი მკაცრია: რა მოეთხოვება, საკუთარი შვილები ვერ გაუზრდიაო. ამიტომაც არის, რომ ქისტები, უპირველეს ყოვლისა, კაცს წესიერ მომავალს უსურვებენ, თუ ვისმე დალოცავს, ქისტი იტყვის: „ღმერთმა მომავალი გიბედნიეროს!“ ხოლო ბედნიერებაში იგულისხმება წესიერება, ზრდილობა, ზნეკეთილობა, სიკეთე და ხელგაშლილობა.

ოჯახის უფროსი აგტორიტეტია ოჯახისათვის და მისი პრძანების შეუსრულებლობა დაუშვებელია. მტკიცედ არის დამკვი-

დრეპული შემდეგი შეხედულება: ოჯახის უფროსი პირველ რიგში უნდა იყოს დაფასებული ოჯახში, ოჯახის ყველა წევრი დიდიან-პატარარიანად უნდა იღვნოდეს ოჯახის უფროსის ავტორიტეტისათვის. მხოლოდ ოჯახში დაფასებულ უფროსს სცემენ პატივს მეზობლები, შემდეგ თანასოფლელები და მერე ხეობის მაცხოვრებლები. ცხადია, ავტორიტეტი დამოკიდებულია თვით კაცის შინაგან ღირებულებებზე, ჭკუა-გონებაზე, ოჯახთან, მეზობლებთან, ხალხთან ურთიერთობაზე და ა.შ., მაგრამ ოჯახი დიდ როლს თამაშობს უფროსის იმიჯის შექმნაში, ეს უდავოა.

მოვიყვან ქისტებში გავრცელებულ ერთ გადმოცემას: ერთ ახალგაზრდა ქალიშვილს მოსწონდა სოფელში ვაჟუაცობით განთქმული ჭაბუკი, პირობაც ჰქონდათ ცოლქმრობის, მაგრამ ჭაბუკმა მდიდარი ოჯახიდან მოიყვანა საცოლე. ქალიშვილი განაწყენდა, არ შეიმჩნია და გაპყვა ცოლად ყოვლადშეუმჩნეველ, ღარიბ-ღატაკ ახალგაზრდას და შეუდგა თავისი განზრახვის შესრულებას. უპირველეს ყოვლისა, სისუფთავეს შეაჩვია, მუხლჩაუხრელად შრომობდა ქმართან ერთად და მთელ შემოსავალს ქმარს ახარჯავდა: საუკეთესოდ ჩააცვა, ბედაური უყიდა, თოფ-იარაღში გამოაწყო და ტოლებში გაიყვანა. მეზობლები და თანასოფლელები განცვიფრებული იყვნენ ამ ბეჩავი ახალგაზრდის ცვლილებით. როცა სტუმრები ეწვეოდნენ, ცოლი საუკეთესო ბალიშს დაუდებდა დასაჯდომად, წუღებს გახდიდა, ფეხებს დაბანდა, საუკეთესო საჭმელს დაუდგამდა წინ. ეს არაფერი, ისე წარმართა საქმე, რომ დიდი ჭკუის მქონე კაცად წარმოაჩინა ქმარი. ერთი სიტყვით, მთელ სოფელში ხმა გავარდა ამ კაცის ჭკუა-გონებაზე, სტუმართმოყვარეობაზე, ვაჟუაცობაზე. რჩევის საკითხავად მასთნა მოდიოდნენ. ვაჟუაცი, რომელმაც ქალიშვილი დაიწუნა, დავიწყებას მიეცა, სოფლის თავკაცი ქალიშვილის ქმარი გახდა.

მაშასადამე, ცოლზე, დიასახლისზე ბევრი ყოფილა დამოკიდებული. იტყვიან კიდეც ქისტებში: ვაჟუაცის დამღუპველიც ქალია და ვაჟუაცის ამშენებელიც ქალია, მაგრამ ოჯახში უფროსი მამაკაცია, მას ემორჩილება ყველა: ცოლი, ვაჟუაცილები, ქალიშვილები,

რძლები, შვილიშვილები და ა.შ. ოჯახის წევრები პატივს სცემენ ოჯახის უფროსს, მის დაუკითხავად საქმეს არ იწყებენ, საშინაო და გარე საქმიანობაში რჩევას ეკითხებიან, მასთან შეთანხმებით ხდება დაქორწინება და გათხოვება და ა.შ.

მამასთან სუფრაზე ვაჟიშვილები არ სხდებიან, განსაკუთრებით, თუ სტუმრები ესწრებიან. მახსოვს, სტუდენტობის პერიოდში ხშირად მიწევდა სტუმრობა მეგობრების ოჯახში, დღეობებსა და ქორწილებში მუდმივად მათთან ვიყავი და კარგად გავეცანი კახურ ოჯახს. შევნატროდი, როცა ვხედავდი, როგორი მეგობრული ურთიერთობა ჰქონდათ მამა-შვილებს, სუფრაზე ერთად ისხდნენ, მლეროდნენ, მხიარულობდნენ. ერთი სიტყვით, შეხმატებილებული ოჯახის იდეალად მეჩვენებოდა და ჩამორჩენილობად ვთვლიდი ქისტურ ოჯახში გამეფებულ მკაცრ უფროსუმცროსობის ადათ-წესებს.

მაგრამ თანდათნაობით სურათი შეიცვალა. შევნიშნე, რომ ლვინის სმაში მამა-შვილებს შორის ურთიერთპატივისცემისა და ეთიკის ნორმები იცვლება, ერთმანეთში ხუმრობა-ხუმრობაში ბილ-ბისტყვაობაც გაჩნდა, კამათმაც იჩინა თავი და უკვე ისე ექცეოდნენ ერთმანეთს, როგორც მთვრალ ხალხს სჩვევიათ ხოლმე. გაქრა იდილიური ოჯახის ხატი და მივხვდი, რომ ქისტურ ოჯახში გაპატონებული პრინციპები, მართალია, საკმაოდ მკაცრიც, წესრიგს ინარჩუნებდა, ურთიერთპატივისცემას, სიწმინდესა და სიმტკიცეს.

როცა ოჯახის უფროსი შემოდის, ოჯახის წევრები წამოდგებიან ხოლმე, სუფრაზე საპატიო ადგილი მისია, პურის ჭამას ის იწყებს. ყველა ზრუნავს, რომ მოხუცებს ყოფა შეუმსუბუქონ, სიბერე მოსაბეზრებლად არ ექცეთ, არ იგრძნონ, რომ ზედმეტი არიან, რადგან არ შეუძლიათ მუშაობა, გარჯა. მშობლებმა შეიძლება აპატიონ შვილებს ურჩობა, მაგრამ პაპა-ბებისადმი დაუმორჩილებლობას მკაცრად სჯიან.

მოხუცებულები ოჯახის ბედნიერებაა, იტყვიან ქისტებში და მართლებიც არიან: მათ ცხოვრებაში ბევრი უნახავთ, ბევრ ავ-კარგს შეხვედრიან, პრაქტიკა და გამოცდილება აქვთ და ყოველთ-

ვის მზად არიან, კარგი რჩევა მისცენ ოჯახის წევრებს.

ქისტური ოჯახისთვის დამახასიათებელია მრავალშვილიანობა. განსაკუთრებით უნდათ, რომ ჰყავდეთ ვაჟიშვილები. მრავალი ძმის ყოლა ოჯახის სიმტკიცედ მიაჩნიათ. ვფიქრობ, ეს უნდა მომდინარეობდეს წარსულიდან, როდესაც მტრისგან (შინაური და გარეული) თავის დაცვა უხდებოდათ. ძველად მამა უფლებას არ აძლევდა ვაჟიშვილებს, ცალკე გასულიყვნენ და ოჯახი შეექმნათ. ოჯახის შექმნას კი არ უკრძალავდნენ, უბრალოდ, ნებას არ აძლევდნენ, რომ მამაპაპისეულ ადგილს გასცლოდნენ და სხვა ადგილას დასახლებულიყვნენ. ერთ ეზოში აშენებდნენ სახლებს, ბავშვები ერთად, როგორც ერთ ოჯახში იზრდებოდნენ და საჭიროების შემთხვევაში შეეძლოთ ერთი ეზოდან 20-30 მეომარი გამოეყვანათ.

XX საუკუნის პირველ ნახევარში მ. ალბუთაშვილი წერდა:

„წინათ უფრო არ იცოდნენ გაყრა-გამოყრა, ოჯახის დაქუცმაცება, უყვარდათ ერთად ყოფნა, ცხოვრება, მაგრამ ამ ბოლო დროს, კახეთის ხალხივით, ამათაც შემოიღეს სულ უბრალოზე თავიანთი სამყოფის გაყოფა. ძმა-ძმას თუ გაეყრებოდა, თორებშვილები, თუნდაც დაქორწინებულები, დედ-მამის ხათრით და თავაზით ცოლებს გაამწარებდნენ და მშობლებს კი არ გაეყრებოდნენ.“

მეზობლების ზეგავლენით, დროის ახალი მოთხოვნებითა და სხვა ობიექტური მიზეზებით დღეს გაყრა და ახალი ოჯახის ცალკე დასახლება ჩვეულებრივ მოვლენად იქცა.

მრავალი ძმის იდილია კავკასიის სხვა ხალხებშიც არსებობდა. ხალხურ სიმღერაში ქართველი კაცი შენატრის მრავალ ძმას:

„ნეტავი ძმათა მრავალთა
ცხარე მზე ამოუხდების,
ვერვინ წაართმევს დიაცსა,
ვერცა ვინ შინ მიუხტების“.

მრავალი ძმის კულტი დღესაც აქტუალურია ქისტებში. ვი-

საც ძმა არ ჰყავს, დაჩაგრულად, დაუცველად გრძნობს თავს. მართალია, თეოფი (გვარი) ვალდებულია, დაიცვას თავის წევრი მისი საზოგადოებაში არსებული მდგომარეობის გაუთვალისწინებლად. ეს ასეც ხდება, მაგრამ სისხლისმიერი ნათესაობა მაინც წინა პლანზეა წამოწეული. მოყიყვან ასეთ მაგალითს:

ქისტებში ორი ძმა ცხოვრობდა, ჭირსა თუ ლხინში ერთად იყვნენ, თანაბრად იზიარებდნენ ერთურთში ყველაფერს, რასაც კი ცალ-ცალკე შრომით მოიპოვებდნენ. ყველამ იცოდა, რომ ერთი ძმის წყენინება ნიშნავდა იმას, რომ ორ ძმასთან ექნებოდა საქმე. ძმებს მრავალი ბიძაშვილი ჰყავდა, ყოჩალი, გაბედული, ძმების მოყვარული ბიძაშვილები, რომლებსაც ძმები ძალიან უყვარდათ და მზად იყვნენ, მათთვის თავი გაეწირათ.

დაირღვა ძმების შეხმატკბილებული, ბედნიერი ცხოვრება: ერთ-ერთი ძმა გარდაიცვალა. სამძიმარი ხალხმრავალი იყო, ცალად დარჩენილი ძმის მწუხარება ქისტებმა გულწრფელად გაიზიარეს. ბიძაშვილებმა მიცვალებულის გასვენება თავის თავზე აიღეს, ყველაფერი მაღალ დონეზე ჩაატარეს, დამარხეს მიცვალებული, ჭირის სუფრა გადაიხადეს და ეზო-სახლ-კარი მოაწესრიგეს.

სალამოს ნათესავები, მეზობლები, თანასოფლელები სახლებში წავიდნენ, დარჩენენ ძმა და ბიძაშვილები.

მარტო დარჩენილ ძმას მწუხარება მოეძალა, თავჩაქინდრული იჯდა და მწარე ფიქრებს მისცემოდა. ბიძაშვილებმა შენიშნეს, ახლოს მივიდნენ და უთხრეს:

– ვოშა (ძმაო), რაზე ჩაფიქრებულხარ? დღეიდან შენი საზრუნავი ჩვენი საზრუნავია, შენი სიხარული ჩვენი სიხარულია, შენი ჭირი ჩვენი ჭირია. ჩვენ აქამდეც ვიყავით შენი ძმები, მაგრამ დღეიდან შენი გარდაცვლილი ძმის აპმადის ადგილს დავიკავებთ.

– ვიცი, რომ ჩემი ძმის ადგილს თქვენ ყოველთვის დაიკავებთ, როცა გარეშე მტერთან მექნება საქმე. მაგრამ მე დღეს დავკარგე კაცი, რომელიც მხარში ამომიდგებოდა მაშინაც, თუ ჩვენს შორის ჩამოვარდებოდა უთანხმოება. ღმერთმა დაგვიფაროს ამისგან, მაგრამ, თუ მოხდა ასეთი რამ, მე მარტო ვიქნები.

მგონი, ამ ამბავს კომენტარები არ სჭირდება, მაგრამ მაინც ვიტყვი, როგორც ქისტები იტყვიან: ისე არავის სტკივა გულ-ლვი-ძლი, როგორც ერთი მუცლიდან დაბადებულებს! ამის დასტურია შემდეგი მაგალითი:

შვიდი ძმა გასულიყო სათიბად. აყვავებულ მთის ფერდობზე შეფენილიყვნენ მოხდენილი ვაჟკაცები, უხდებოდათ ხალისიანი შრომა, ერთმანეთის გამხნევება, შეგულიანება. ცელის წერიალში ძმათა ყიუინა გორიდან გორს გადაეცემოდა, დადუმებულ მთებს აღვიძებდა.

გამოიარა მგზავრმა, მოხიბლული შეპყურებდა ძმების ომახიან ყოფას, შემდეგ პარაქა უსურვა ძმებს და ნასვლისას დააყოლა:

— უბედურია თქვენში ის, ვინც ბოლოს კენტად დარჩება.

ძმები სახტად დარჩნენ, ვერ ჩასწვდნენ თქმულის აზრს, ერთ-მანეთს დაბნეულად შეხედეს. მცირე ხნის შემდეგ უფროსმა უბრანა უმცროსს:

— წადი, დაეწიე მგზავრს, ბოდიში მოუხადე შეწუხებისათვის და ჰერთხე, თუ რას გულისხმობდა ნათქვამში.

უმცროსი ძმა გაექანა უკვე გორას მიფარებული მგზავრისაკენ, დაუძახა და ცოტა ხნით შეჩერება სთხოვა:

— მგზავრო, გვაპატიე, რომ შეგაყოვნეთ. ჩვენ ვერ ჩავწვდით შენი ნათქვამის აზრს, ვერ მივხვდით, თუ რატომ უნდა იყოს უბედური ჩვენში ის, რომელიც ყველაზე ბოლოს წავა ამ ქვეყნიდან, ის ხომ ყველაზე დიდხანს იცოცხლებს?

— ბოლოს დარჩენილმა უნდა გადაიტანოს ყველა ის ტკივილი, რასაც ძმის დაღუპვა ინვევს. ის ექვსჯერ იქნება ჭირისუფალი, თანაც არავინ იცის, ბუნებრივი სიკვდილით მოკვდება ყველა თუ ძალადობრივი სიკვდილით. ამაზე დიდი უბედურება რა უნდა გადაიტანოს კაცმა?! — თქვა ეს და გზა განაგრძო.

უმცროსი ძმა დაფიქრდა, გაისიგრძეგანა ნათქვამი და ჩაფიქრებული მდუმარედ დაბრუნდა ძმებთან. როცა ნათქვამი მოისმინეს, ძმები მდუმარედ შეუდგნენ თიბგას, ის ხალისი, რაც ადრე იყო, აღარ იგრძნობოდა.

როგორც ოჯახის უფროსი, ისეთივე ავტორიტეტით სარგებლობს ძმებში უფროსი. უცხო ხალხში, თუნდაც თანასოფლელებში, უმცროსი არასდროს ჯდება უფროს ძმასთან სუფრაზე, მისი მოვალეობაა, ემსახუროს სტუმრებს, უსიტყვოდ შეასრულოს ძმის მითითება. წინათ ძმები ქორწილში ერთად არ მიდიოდნენ, რადგან ჩხუბის დროს ორივე არ დაშავებულიყო, ერთ-ერთი სახლში რჩებოდა, რათა უბედურების შემთხვევაში სისხლის ამღები ჰყოლოდათ. სხვათა შორის, სახიფათო გზაზე მგზავრობისას, ან თუნდაც მანქანით მგზავრობისას, ერთ მანქანაში არ სხდებიან ძმები, უფროსი ნებას არ რთავს დანარჩენებს, მასთან ერთი მანქანით იმგზავრონ. აქაც ზემოთ თქმული მოტივი განაპირობებს სიფრთხილეს. ყოველივე ეს შეიძლება გადაჭარბებულად მოეჩვენოს მკითხველს, მაგრამ ეს რეალობაა და მომდინარეობს წარსული ცხოვრებიდან, ძველი დროების გადმონაშთია.

მამის გარდაცვალების შემდეგ ოჯახის უფროსის ადგილს უფროსი ძმა იკავებს, ის იღებს ოჯახის გაძლოლის მძიმე ტვირთს. შეიძლება, უფრო ხშირად, ის ცალკე ცხოვრობს, ჰყავს თავისი საკუთარი ოჯახიც, მაგრამ ვალდებულია უხელმძღვანელოს ფუძე-ოჯახს, ქისტურად „წა“-ს (სახლს). მის ავტორიტეტზეა მინიშნებული ქისტურ ხალხურ სიმღერაში „გაშრება მიწა“.

„გაშრება მიწა ჩემს საფლავზე
და დამივიწყებს მშობელი დედა,
წამოიზრდება საფლავზე უხეში ბალახი
და ჩააქრობს შენს მწუხარებას, მოხუცო მამა,
მაგრამ არ დამივიწყებს ჩემი უფროსი ძმა,
სანამ შურს არ იძიებს ჩემი სიკვდილისთვის.
არც შენ დამივიწყებ, უმცროსო ძმაო,
სანამ არ დაწვები ჩემს გვერდით“.

ოჯახის დანიშნულება ბავშვების აღზრდაა, მომავალი თაობის აღზრდა, რომელიც ღირსეულად შეცვლის უფროს თაობას და

იზრუნებს ქისტური საზოგადოების განვითარებაზე. ამისათვის ზრუნავს ოჯახის უფროსი თაობა, პაპა-ბებია და დედ-მამა ყოველთვის ყურადღებით არ არის, მზად არიან შენიშვნა მისცენ ბავშვს, თუკი არასწორად იქცევა, თუ საჭიროა, წევპლასაც იყენებენ. ისე კი ბიჭების ფიზიკური დასჯა არაა მიღებული ქისტურ საზოგადოებაში, ვაჟებს, განსაკუთრებით ყმაწვილობის ასაკში, შთააგონებენ, რომ იყოს უშიშარი, თამამად დაიცვას თავი, იყოს სიმართლის დამცველი ყოველთვის და ყველგან. განსაკუთრებით აკონტროლებენ, თუ როგორ იქცევიან ქუჩაში, საზოგადოებრივი თავშეყრის ადგილებში, როგორ ეპყრობიან უფროსებს, ქალიშვილებს.

ყველაზე დიდი უბედურება უფროსებისთვის არის ის, თუ ყმაწვილი შეშინდა ტოლებში ჩხუბის დროს, თუ ლირსება შეულახეს და ვერ შეძლო თავის დაცვა. მაშინ ნათესავი თანატოლები ჩაერევიან საქმეში, აუცილებლად გადაუხდიან სამაგიეროს, იტყვიან, „დღუ წა დიებ“ (დავა სახლში მოიტანეს), მაგრამ არც შეშინებულს დაადგება კარგი დღე – აიძულებენ, ჩხუბში ჩაერთოს, უნდა მას ეს თუ არა.

ოჯახის წევრის უმსგავსო საქციელი მთელ ოჯახს სირცხვილში აგდებს, როგორც იტყვიან ხოლმე, პირგამავებულები (იოჰ აარჯინ) არიან. ხოლო რაიმე სასიქადულო, საამაყო საქმეს თუ ჩაიდენს ოჯახის წევრი, მაშინ სახეგათეთრებულები არიან (იოჰ კეი ინ).

ცხადია, როგორც ქართველები იტყვიან, ერთი მახინჯი ოჯახშიც გამოერევაო, ქისტებშიც ხდება ადათ-წესებისგან გადახვევა. მაგალითად, პატივს არ სცემენ მოხუცებს, უხეშად ექცევიან, ამ შემთხვევაშიც არსებობს თეიფი, რომელიც უმაღვე ერევა ოჯახურ საქმეში. მართალია, ოჯახი წმინდაა, გარეშე კაცს არა აქვს უფლება უნებართვოდ ჩაერიოს ოჯახურ კონფლიქტში, მაგრამ თეიფი არ დაუშვებს, რომ მისი წევრი არღვევდეს მამა-პაპურ ადათს უფროსების პატივისცემისა. უახლოესი ნათესავი, ბიძა იქნება თუ ბიძაშვილი, აიძულებს შვილს, პატივი მიაგოს მშობლებს, პაპა-ბებიას, უზრუნველყოს ისინი საკვებით, ჩაცმა-დახურვით, მკურნალობით და სხვ.

თუ შეგონებით, ძალდატანებით ვერ მიაღწევენ შედეგს, მაშინ თავისითან გადაჰყავთ მოხუცები და თავად ზრუნავენ მათზე. ასეთი რამ თუ მოხდა, ის ოჯახი მთელი საზოგადოების გასაკიცხი ხდება, ის გარიყულია თეიფიდან და თაობიდან თაობას გადაეცემა მათი სამარცხვინ საქციელი. ასეთი რამ იშვიათად ხდება, პირადად გამიჭირდება მაგალითის დასახელება.

ქისტურ ოჯახში საპატიო ადგილი უკავია რძალს. სწორედ რძალს აწვება მთელი სიმძიმე მოხუცების მოვლისა, ქალიშვილები გათხოვილები არიან, თავიანთი ოჯახის მოვლასა და მოხუცების ზრუნვაში არიან ჩაბმული და ამდენად, საკუთარ მშობლების გვერდით ყოველთვის ვერ იქნებიან. დიახ, მთელი სიმძიმე რძალს აწვება, არც ერთ ქვეყანაში არ იქნება ქისტის რძალივით ყოჩალი, მზრუნველი, გამრჯვე ქალი და რაც მთავარია, ქმრის მშობლებს ისე უვლის, როგორც საკუთარს, მამამთილის მშობლებსაც უვლის. თამამად შეიძლება ითქვას, რომ რძლის მიერ ქმრის მშობლების პატივისცემა, მოვლა-პატრონობა, განსაკუთრებით ავადმყოფ დედამთილ-მამამთილზე მზრუნველობა მხოლოდ ქისტი რძლები-სთვისაა დამახასიათებელი. ასევე ქისტებისათვის არის დამახა-სიათებელი მადლობის დემონსტრაციულად გამოხატვა. კერძოდ, როდესაც მიცვალებულს გარეთ გამოასვენებენ და შეასრულებენ რიტუალს, სანამ მიცვალებულის საკაცეს ასწევენ, მეზობელი ან ოჯახის ნათესავი სახალხოდ უხდის მადლობას რძალს, აღნიშნავს მის დამსახურებას და ხალხიც დიდი პატივისცემით იმსჭვალება და ხმამაღლა ამბობს: დელ რეეზ ხილვ ცუნ (ლმერთი იყოს მისი კმაყოფილი). განსაკუთრებული ადგილი უჭირავს ქისტურ საზოგა-დოებაში დედინაცვალსა და გერს, ამ საკითხში მკვეთრად განსხვავდებიან ქისტები სხვა ხალხებისგან. მაგალითად, დედინაცვალი ქართულ ფოლკლორში, მწერლობასა და ხალხში უარყოფითი პერსონაჟია, იგი დახასიათებულია, როგორც ბოროტი, გერების მოძულე. ასევე გერებიც მტრულად არიან განწყობილი დედინაცვლი-სადმი, სძულთ და მზად არიან, ბოროტად მოექცნენ.

ქისტურ საზოგადოებაში ასეთი რამ გამორიცხულია. დედი-

ნაცვალს მამის ცოლად („დე ძუდ“) მოიხსენიებენ და დედაზე მეტად სცემენ პატივს. დიდ სირცევილად ითვლება, დედინაცვლის აუგად მოხსენიებაც კი. ზუსტად ასეთივე პატივისცემითა და სიყვარულით ექცევა დედინაცვალი გერებს, საკუთარ შვილებზე მეტად ზრუნავს მათზე, საკუთარ შვილებს დააკლებს და გერებს მისცემს, რათა ვინმემ არ დააყვედროს, არ წამოაძახოს, მარტო შენს შვილებზე ზრუნავდიო.

ერთი ქისტი ესტუმრა ნაცნობს, მასპინძელი კრაგად დაუხვდა, სუფრაზე ბავშვობაზე ჩამოვარდა საუბარი და მასპინძელმა დაიჩივალა, დედამ მცირენლოვანი დამტოვა მამასთან განშორების შემდეგ და გათხოვდაო. დიდი გულისტყივილი იგრძობოდა მის საუბარში, მართალია, თავშეეკვებით საყვედურობდა, მაგრამ ეტყობოდა, რომ მწარედ განიცდიდა.

გამოთხოვებისას სტუმარმა უთხრა:

- დაუძახე დიასახლისს, მინდა გამოვეთხოვო.
- დედაჩემიც აქ არის, ახლავე გამოვიყვან, – უთხრა მასპინძელ-

მა.

სტუმარს გაუკვირდა, იმდენად უკმაყოფილო იყო თავისი დედით და ხედავ, თურმე სახლში არ მოუყვანიაო.

მასპინძელი მეორე ოთახიდან გამოვიდა და ხელში აყვანილი მოხუცი გამოიყვანა, ქალს ეტყობოდა, ავად იყო და ფეხზე ველარ დგებოდა.

სტუმარი გამოემშვიდობა და სახლს რომ გამოსცდნენ, მასპინძელს მიუბრუნდა:

- გამიკვირდა, დედაშენს როგორ შეურიგდი, ისე ძლიერ იყავი განაწყენებული.

– ის მამაჩემის ცოლი იყო, საკუთარ დედას მირჩევნია!

ერთ დუისელ დარბაისელ კაცს ე. მაჩალიკაშვილს ცოლი გარდაეცვალა და მცირენლოვანი ობლები დარჩა. მან მალე ცოლი შეირთო, ობლების მიმხედავი არ ჰყავდა, დედინაცვალმა ობლები საკუთარ შვილებთან ერთად გაზარდა, უპირატესობას ყოველთვის გერებს ანიჭებდა.

ობლები დაიზარდნენ, უფროსები დაცოლშვილდნენ, გათხოვდნენ, ოჯახში დარჩა ორი ძმა, აშირა და ბაშირა, ერთი მამისა და სხვადასხვა დედის შვილები. ერთ-ერთი უნდა გასულიყო ოჯახიდან და დედინაცვალმა გერი აშირა დაიტოვა თავისთან და საკუთარი ერთადერთი ვაჟიშვილი ბაშირა ოჯახიდან გაიყვანა. მაშინ საკარმიდამო ნაკვეთის გამოყოფა ძნელი იყო და სოფლის განაპირას, წყლისგან საშიშ ადგილას ერთ გომურში დაასახლა. აშირასაც დედინაცვალი ისე უყვარდა და პატივს სცემდა, ალბათ, საკუთარ დედასაც კი ვერ გაუწევდა მეტად შვილობას.

ახლა მოვიყვან ერთ ძველებურ გადმოცემას, რომელშიც იკვეთება ქისტური ოჯახისთვის დამახასიათებელი ნიშნები. როგორც გადმოცემა მოგვითხრობს, შამილს ჰყავდა ქისტი მეომარი, რომელსაც განსაკუთრებით ენდობოდა და უყვარდა. მართალია, იმამ შამილს ქისტებთან პრობლემები ჰქონდა, ვერ შეძლო აღეკვეთა მათი ზღვარგადასული თავისუფლებისაკენ მიდრეკილება და მამაპაპური ადათ-წესების მტკიცე ერთგულება. შამილს შეატყობინეს, რომ მის მეომარს ცოლი გარდაიცვალა და მან გადაწყვიტა, გამოეცადა თავისი მებრძოლი.

შამილმა დაიბარა ქისტი და ეუბნება:

- მოვიდა შეტყობინება, რომ მამაშენი გარდაიცვალა.
- მაშასადამე, ჩვენს სახლს სახურავი ჩამოენგრა და უნდა დავადგე შინ მიმავალ გზას.
- არა, მამა კი არ დაიღუპა, არამედ დედაშენი.
- ჩემმა სახლმა დაქცევა დაიწყო, უნდა წავიდე სახლში.
- მაპატიუ, შემეშალა, დედაშენი კი არ გარდაიცვალა, შენი ძმა დაიღუპა.
- მაშინ სახლს კედელი დაჰქცევია, უნდა დავესწრო ძმის დაკრძალვას.
- მთლად დავიბენი, ძმა კი არა, შენი და გარდაცვლილა.
- ჩემს გულს მოსწყდა საყვარელი ყვავილი, მე სახლში უნდა ვიყო.
- გამოგცადე, სინამდვილეში შენი ცოლი გარდაიცვალა.

– თუ ასეა, მთელი სახლი დაქცეულა, სახლშიც არაფერი მე-საქმება. – თქვა მეომარმა და გარეთ გავიდა.

ეს დიალოგი ნათლად გვიხატავს ოჯახის თითოეული წევრის როლს ოჯახის სიმტკიცეში. ცოლი, ოჯახის დედა (წიინ ნაან – სახლის დედა) ოჯახის ბურჯია, ოჯახი მასზეა დაყრდნობილი, ის არის კერის დედა (წი ნაან – ცეცხლის დედა), მისი გარდაცვალება სახლის დედაბოძის წაქცევას ნიშნავს.

ქალიშვილებს საპატიო ადგილი უჭირავთ ქისტურ ოჯახში. მათ საკმაოდ მკაცრად ზრდიან, მაგრამ, ამავე დროს, საკმარისი თავისუფლებაც აქვთ მინიჭებული. ქისტი ქალიშვილები ზრდილობიანი, კდემამოსილი, ამაყნი არიან, მაგრამ არა განებივრებული. მთელი დღე გარჯაში არიან, ეხმარებიან მშობლებს საშინაო საქმიანობაში. ქისტი ქალიშვილი დედას გვერდში უდგას გათხოვებამდე და გათხოვების შემდეგაც ყურადღებას არ აკლებს, ყოველთვის მიაკითხავს მშობლებს, მშობლების კერა მისი ნავსაყუდელია და ყოველთვის ყურადღებით არის, რამე არ გაუჭირდეთ.

არც მშობლები და ძმები ტოვებენ უყურადღებოდ შვილსა და დას. ძმები განსაკუთრებით ზრუნავენ დაზე, არასოდეს ტოვებენ უყურადღებოდ და, ალპათ, ამიტომაც არის, რომ ქისტის ქალისთვის ყველაზე დიდი ავტორიტეტი ძმაა და ყველაზე მეტად უყვარს, შეიძლება ითქვას, რომ საკუთარ შვილზე მეტადაც კი. არსებობს ასეთი გადმოცემაც:

ძველად, არცთუ დიდი ხნის წინ ქისტების ძირითად საქმიანობად ითვლებოდა თარეშები, მეზობელ ხალხებზე თავდასხმა, ძარცვა-გლეჯა და ტყველების ხელში ჩაგდება, რაც ტრადიციად ექცათ. ეს დამახასიათებლი იყო ყველა კავკასიელი მთიელისათვის, ურთიერთზე მეკობრული თავდასხმები ჩვეულებრივი მოვლენა იყო. ერთ-ერთი ასეთი თავდასხმის დროს ქისტების სოფელზე ტყვედ წაიყვანეს მამა-შვილი და შვილის დედის ძმა, რომელიც სტუმრად იმყოფებოდა თავის დასთან. სოფელში უხუცესი არავინ იყო და ოჯახის დედა წავიდა დამტყველებელთან და სთხოვა, გაენთავისუფლებინა მისი ძმა, ქმარი და შვილი.

ქალის შუამავლობა დამახასიათებელი მოვლენა იყო კავკასიის ხალხებისათვის. მაგალითად, ქისტები თავს დაესხნენ სოფ. ჭონ-თიოს მთათუშეთში. სოფელში იმუამად იყო მხოლოდ ორი ქალი და ორი ბავშვი. მოთარეშებმა გარეკეს საქონელი, წაიღეს სოფლის მთელი ავლადიდება და ტყვედ წაიყვანეს ქალები და ბავშვები. თუშებმა მოსალაპარაკებლად ქისტეთში გაგზავნეს სოფელი ჭეში-დან ორი მოხუცებული ქალი, რომელთაც ქისტური ენა იცოდნენ (მეზობლად მცხოვრებმა ქისტებმა, ხევსურებმა, ფშავლებმა, მოხ-ევეებმა და თუშებმა ერთურთის ენები იცოდნენ). ქისტმა უხუ-ცესებმა პატივი სცეს ქალებს, თქვეს, პატრონი კაცები არ ჰყო-ლიათო და ტყვეებიც დაუპრუნეს, წართმეული ქონებაც მისცეს და საქონელიც უკლებლივ გაატანეს.

ქისტი ქალის თხოვნა მოისმინეს გამტაცებლებმა. ბელადმა პა-ტივი სცა ქალს და უთხრა:

– ჩვენ ტყვედ გვყავს შენი ქმარი, შენი შვილი და ძმა. მე გავან-თავისუფლებ მხოლოდ ერთ-ერთს, რომელს აირჩევ?

ქალს არც უფიქრია, მაშინვე უთხრა:

– ძმას!

– ამიხსენი, რატომ?

ქალმა მტკიცე ხმით უპასუხა:

– ქმარს ყოველთვის მოვნახავ, შვილსაც გავაჩენ, მაგრამ ძმის შექმნა აღარ ძალმიძს.

ბელადი განცვიფრებული შეხვდა ქალის პასუხს, ისე მოიხი-ბლა, რომ წამოიძახა:

– ყველანი წაიყვანე, ბარაქალა შენს ქალობას, შენ და შენი-სთანები ზრდიან ქისტ ვაჟუაცებს.

შეიძლება, ქისტური მენტალიტეტის გაუცნობელ ადამიანს უცნაურად, არადამაჯერებლად მოეჩვენოს ზემოთ თქმული, მა-გრამ დაბეჯითებით შემიძლია ვთქვა, რომ ქისტი ქალისთვის ძმა ყველაზე ახლო ნათესავია, საფიცარზე რომ მიდგება, ძმას იფიცავს – „სა ვოშ ვახილ“ (ჩემმა ძმამ იცოცხლოს).

ოჯახი წმინდაა, იგი დაცულია დაუწერელი ადათ-წესებით.

ოჯახში ჩადენილი დანაშაული უმძიმესია, სახლისთვის თოფის სროლა კაცისთვის სროლას არის გათანაბრებული, ეზოში შევარდნა და ჩხუბი, თუნდაც გარეშე პირების, ოჯახის შეურაცხყოფად ითვლება. მკითხველს ახსოვს, რა პრეტენზიას უცხადებს მის ოჯახში შეჭრილ თანასოფლელებს ჯოყოლა ალხასტაისძე:

„ჩემს ოჯახს პასუხს რით აძლევთ?
სახლში ხართ, განა შარადა!“

ოჯახების კეთილდღეობა, მშვიდობა ერის სიძლიერის წინაპირობაა. სწორედ ოჯახია ის სკოლა, სადაც ხდება ერის ადათ-წესების, ჩვეულებებისა და ტრადიციების განმტკიცება, სწორედ ოჯახში ასწავლიან ამ ფასულობებს მომავალ თაობებს. ოჯახში ბავშვები, საზოგადოების მომავალი მშენებლები სწავლობენ საკუთარი რელიგიის, საკუთარი ხალხისა და სამშობლოს მსახურების პირველ გაკვეთილებს.

როგორი ძლიერიც არ უნდა იყოს ოჯახი (ეკონომიურად და ფიზიკურად), ყოველთვის დამოკიდებულია თეიფზე (გვარზე), ნათესავზე. გვარისა და ნათესავების თანადგომის გარეშე ოჯახს გაუჭირდება ცხოვრება ქისტურ თემში. სისხლით მონათესავე ოჯახების ერთობლიობა ქმნის თეიფს, თეიფების ერთობლიობა თუხუმს (ტომს), თუხუმების ერთობლიობა – ნახს (ერს). დღეს პანკისში მცხოვრები ქისტები, ჩეჩენთისა და ინგუშეთის მთიანეთის წარმომადგენლები, მდ. არგუნისა და ასას ზემოწელის მცხოვრებთა წარმომადგენლები, ქისტეთიდან საქართველოში, კერძოდ, პანკისის ხეობაში გადმოსახლებული, წარმომადგენენ ქისტურ ტომს, რომლებმაც ორასი წლის განმავლობაში შეინარჩუნეს თვითმყოფადობა, რწმენა, წინაპრების ადათ-წესები, ზნე-ჩვეულებანი, თანაცხოვრების პირობებში შეიმუშავეს ახალი ადათ-წესები, დახვეწეს და შეათანხმეს მეზობელი ქართველების ტრადიციებთან და ჩამოაყალიბეს ქისტური დახვეწილი კანონები, რომლებიც არცთუდიდად განსხვავდებიან ისტორიული წინაპრების ადათ-წესებისგან.

ქისტების საქართველოში 200-წლიანი ცხოვრების მანძილზე არასდროს ყოფილა შემთხვევა, რომ ქართველებს, ქართულ სახ-ელმწიფოს ან ქართულ მართლმადიდებელ ეკლესიას რაიმე კუთხით მოქმდინოს ზეგავლენა ქისტურ ადათ-წესებზე ან რელიგიაზე, პირიქით, სრული თავისუფლება იყო როგორც საკუთარი წესებით ცხოვრების, ასევე აღმსარებლობის მხრივ, მაგრამ საუკუნეთა მიჯნაზე გამოჩნდნენ ახალი რელიგიური მიმდინარეობის ქისტი ახალგაზრდები, რომელთა ნაწილმაც იერიში მიიტანა როგორც ჭეშმარიტ ისლამზე, ისე იმ კანონებზე, რომლებითაც ქისტები ცხოვრობდნენ ნარსულში და ცხოვრობენ დღესაც.

ამჯერად ჩეენ შევეხებით ვაჲაბიტების ზეწოლას ნათესაურ კავშირებზე. მათ შექმნეს ე.წ. ჯამაათები, რომლებიც, ჩემი აზრით, წარმოადგენენ რელიგიურ-რადიკალური პოლიტიკური პარტიის პირველად უჯრედებს.

უპირველესი მიზანი ვაჲაბიტების რადიკალური ფრთისა არის ნათესაური კვანძების მოშლა, ახალგაზრდების დაპირისპირება მშობლებთან, ნათესავებთან, რომლებიც მათ ჯამაათებში არ ერთიანდებიან. ე.წ. ჯამაათები იქმნება არა ნათესაურ კავშირებზე, არამედ პარტიული პრინციპით, ყველაზე რადიკალური პრინციპით – ვინც ჩვენთან არ არის, ის ჩვენი მტერია! ჯამაათები გაერთიანებული წევრი, გუშინდელი ქისტური ოჯახის წევრი, მშობლების, დაძმების, ნათესავების მოყვარული, ხდება აგრესიული, უპირისპირდება მშობლებს, ნათესავებს, უფროსებს.

ისმის კითხვა: რა მიზანს ისახავენ ჯამაათები? სავსებით ნათელია ერთი რამ: მოქმედებს უძველესი პრინციპი – გათიშე და იბატონე. ოჯახს მოწყვეტილი ახალგაზრდა ადვილად ექცევა ჯამაათის იდეოლოგიის ზეგავლენის ქვეშ, რელიგიური იდეოლოგიით შეპყრობილი ახალგაზრდის მართვა ადვილია. ნათესაურ კავშირებს მოწყვეტილ ახალგაზრდას საყრდენი ეცლება, ნასასვლელიც არსად აქვს და ჯამაათის ერთგული წევრი ხდება.

ვაჲაბიტები ძირითადად მუშაობენ მოზარდებზე, სკოლის მოსწავლეებზე. იბირებენ და თავიანთ მეჩეთში შეიტყუებენ. თუ

ერთი ხელში ჩაიგდეს, აამუშავებენ პროპაგანდისა და აგიტაციის მანქანას და მერე უკვე შეუძლებლი ხდება მათი კლანჭებიდან მოზარდის დახსნა. ამ საქმეში ვირტუოზები არიან, სიმართლე უნდა ითქვას, ძლიერები არიან. თუ სკოლის დამთავრების შემდეგ მოსწავლე მოეწყო უმაღლეს სასწავლებელში, შეიძლება გადაურჩეს ვაჰაბიტურ დაავადებას.

შეტევა თეოფებზე უმნიშვნელო რამით დაიწყეს. ქისტებში, როგორც ითქვა, გაჭირვებაში, უბედურების შემთხვევაში მატერიალური დახმარება იციან. მიცვალებულის დროს გვარის ყველა ოჯახს წვლილი შეაქვს მიცვალებულის დასამარხ ხარჯებში. წინათ ყველა ახლობელს თავისი სურვილის მიხედვით შეეძლო თანხა დაედო, ხოლო ეკონომიური მდგომარეობის გაუარესების შემდეგ დაწესდა ერთიანი გადასახადი გვარის ოჯახებისათვის, თითქმის მიზერული თანხა. წინათ იმდენი თანხა გროვდებოდა, რომ ქელების ხარჯებს თავისუფლად ისტუმრებდა, მაგრამ ამჯერად მცირე თანხა რაიმე მნიშვნელობას ეკონომიური თვალსაზრისით ვერ იძენს, მაგრამ მას აქვს დიდი დატვირთვა მორალური თვალსაზრისით – ხელს უწყობს გვარის ერთიანობას, მის შეკავშირებას.

სწორედ ამის წინააღმდეგ გაილაშქრეს ვაჰაბიტებმა, აქაოდა, ეს ვალია, შეიძლება კაცი ისე მოკვდეს, ვალის გადახდა ვერ მოასწროს და საიქიოში მოეთხოვებაო. სრული აბსურდი! ჩვენს გვარში, ხანგოშვილებში, ანტითეოფებური კამპანია დაიწყეს ჯამაათის წევრებმა. გვარი შეიკრიბა, ავუჩხენით, რომ შეგიძლია ეს ხუთი ლარი გადაიხადო და დააყოლო, ალალი იყოს, სააყა (ქველმოქმედება) იყოსო და „ვალის“ საკითხიც მოგვარებულიაო. მაგრამ არ წამოვიდნენ ამაზე, წმინდა ისლამი დაიკერეს პირზე და ჯიუტად იდგნენ თავისაზე.

ყველანაირად ვცდილობდით, დაგვერწმუნებინა ურჩები, არ შეეტანათ გვარში განხეთქილება, მაგრამ ამაოდ. ვცდილობდით აგვეხსნა, რომ ვერც ერთი წევრი ჯამაათისა ვერ ჩაერევა ქისტური სამართლის საქმეში, ვერავინ შეცვლის გვარსა და ნათესაობას, სანამ იარსებებს ქისტური თემი.

20 წლის განმავლობაში პარპაშებდნენ ვაჲაბიტები და დღესაც პარპაშებენ, თუმცა ნაციონალების დამარცხებამ და ახალი მთავრობის მოსვლამ შეარყია მათი პოზიციები. დარწმუნებული ვარ, 20 წელი არ დასჭირდება ისტორიული სამართლიანობის აღდგენას, ვაჲაბიტების კანონის ჩარჩოში მოცევას. ეს პროცესი დაწყებულია გონივრულად, ექსცესების გარეშე უნდა გაგრძელდეს და ლოგიკურ დასასრულამდე უნდა მივიღეს მშვიდობიანი გზით. ეს მიმდინარეობა უცხოა ქისტური საზოგადოებისათვის, ეს დაავადებაა, რომელიც ღრღნის სხეულს და ძლიერ მკურნალობას საჭიროებს.

მოდით, ჩავიხედოთ ისლამის დოგმებში და დავინახავთ, როგორ აფასებს ისლამი ნათესაური კავშირებს, როგორ აფასებს ჩვენი მოციქული, ალაჰის ელჩი მუჰამადი ნათესავებს და როგორ ექცევა მათ.

მოციქული მუჰამადი დიდად აფასებდა ნათესაობას, მოუწოდებდა მუსლიმებს, არ გაეწყვიტათ ნათესაური კავშირები. მექაში მოღვაწეობის 10 წელი ჯოჯოხეთად უქციეს ალაჰის მოციქულს თავის გვარის წარმომადგენლებმა. შემდეგშიც, მედინაში გადახვენის შემდეგაც არ შეუწყვეტიათ ბრძოლა მის წინააღმდეგ, სამჯერ გაუმართეს სისხლისმღვრელი ბრძოლა. მაგრამ, როცა 630 წელს აიღო მექა, არც ერთი თავისი ნათესავი კურეიში არ დაუსჯია სიკვდილით, ყველას სულგრძელად აპატია.

როცა ბედუინები აუჯანყდნენ და ჰუნაინთან მოხდა წარმართებსა და მუსლიმებს შორის გადამწყვეტი ბრძოლა, გამოჩნდა ნათესაური კავშირების სიძლიერე. წარმართი სარდალი მალიქი ნიჭიერი და სამხედრო საქმის მცოდნე აღმოჩნდა. ჰუნუნაინის ველზე მდებარე ხეობებში ღამე მეომრები ჩასაფრა და როდესაც დიდი ბრძოლა დაიწყო, მუსლიმების ორივე ფრთაზე ჩასაფრებულებმა დაარტყეს და მოციქულ მუჰამადის ჯარში პანიკა გაჩნდა და ცხვრის ფარასავით გაიფანტა. მაგრამ მუჰამადს რკალად შემოერტყა მისი გვარის წარმომადგენლები, კურეიშები, გამუსლიმანებულებიც და წარმართებიც და ურყევად იდგნენ, არ მიუტოვებიათ მოციქული. ეს ბრძოლა მუჰამადის მამაცობამ იხსნა კატასტროფისგან, მაგრამ

აქ ჩვენთვის საინტერესოა ის, რომ ნათესაობა, რომლის დაცვასაც ასე ითხოვდა ალაპის ელჩი, საჭირო და გადამწყვეტია ადამიანის ცხოვრებაში.

სამხედრო ნადავლის განაწილების დროსაც მოციქულმა მუ-ჰამადმა უდიდესი წილი ნათესავებს, წარმართებსაც და ახლად ისლამმიღებულებსაც მიაკუთვნა. დიახ, მუჰამადი ყოველთვის ამახვილებდა ყურადღებას ნათესაურ კავშირებზე და ზეციდანაც იღებდა აიებს ნათესავებთან დაკავშირებით.

„... გეშინოდეთ ალლაპისა, ვისითაც ურთიერთობთ ერთმა-ნეთს შორის და გაუფრთხილდით ნათესაურ კავშირებს“.

(ყურანი 4:1)

დანაშაულად არის მიჩნეული ნათესაური კავშირების გაწყვე-ტა. ყურანის ერთ-ერთ აიაში რიტორიკული კითხვაა დასმული:

„იქნებ გწადიათ, თუკი სახეს იქცევთ, ამით უკეთურებას დასთესთ ქვეყანზე და ნათესაურ კავშირებს გაწყვეტო?“

(ყურანი. 47:22)

მართალია ისიც, რომ ყურანში არის აიები, სადაც მშობლებისა და ნათესავებისგან ალაპი ითხოვს განდგომას. მაგრამ ეს იმ შემთხ-ვევაში, თუკი ნათესავები ებრძვიან ისლამს, ხელს უშლიან ისლამის დამკვიდრებას და გავრცელებას, ე.ი. წარმართი ნათესავებისაგან განდგომა დასაშვებია, მაგრამ ქისტ ვაჲაბიტებს გონება არეული აქვთ, ისინი ვერ ასხვავებენ წარმართებსა და მართლმორნბუნებს. მაგრამ ლიდერები არც ისეთი უტვინონი არიან, პირიქით, საკმაოდ ჭკვიანებიც და კარგადაც ერკვევიან საქმის ვითარებაში. მაშ, რა-შია საქმე? – კითხვას დასვამს მკითხველი.

ძალიან კარგად იციან, რომ მათი მამების წყალობით არიან

დღეს ისინი მუსლიმები. რომ არა მათი მამები, პაპები, ისინი დღეს ქრისტიანები იქნებოდნენ. სწორედ მათი წინაპრების დამსახურებაა, რომ საქართველოში, ქრისტიანებით გარშემორტყმულ გარემოში რომ ისლამი შემოვინახეთ, შემოვინახეთ ენა, ზნეობა, ადათი, ტრადიცია.

მაგრამ მათ აქვთ პროგრამა, ისინი იღებენ დირექტივებს არაბული ქვეყნებიდან, რომელთა მიზანია ქისტური მოსახლეობის არაბიზაცია და ამ მიზნით ლამის მართლმორწმუნე მუსლიმები, თავიანთი ნათესავები, წარმართებს გაუტოლონ. თქვენ ისლამს გადაუხვიეთო – აი, მათი ბრალდება. ალაპმა უწყის, ვინ გადაუხვია ისლამს, ამას ადასტურებს მსოფლიოში მიმდინარე მოვლენები – რადიკალიზმი, ტერორიზმი, მუსლიმების მიერ ერთმანეთის ულეტა და სხვა.

ამ საკითხს არ ჩავუდრმავდები, ამაზე საკმარისად ითქვა ჩემს წიგნში „სალვთო წიგნები“ და ვიტყვი მხოლოდ ერთ ჭეშმარიტებას: ვერასოდეს ელირსებიან ვაპაბიტები ქისტების არაბიზაციას, შეუძლებელია ქისტებს თავს მოახვიო, უცხო არაბული წეს-ჩვეულებები, ქისტური ადათ-წესები, ზნე-ჩვეულებანი და ტრადიციები, საუკუნეების სიღრმეებიდან მომდინარე, მარადიულია, ხოლო ვაპაბიზმი დროებითი მოვლენაა და მალე გაქრება ისტორიის ასპარეზიდან.

როცა ხალხი ივიწყებს თავის ისტორიას, ადათ-წესებს, ზნე-ჩვეულებებსა და ტრადიციებს, ის უკვე აღარ არის ერი, კარგავს ეროვნულ თვითშეგნებას და განიცდის დეგრადაციას, ასეთი დეგრადირებული ხალხის მართვა იოლია, ადვილად ემორჩილება გარედან შემოტანილ იდეოლოგიას. გავიხსენოთ ბოლშევიკური მმართველობა, როდესაც კომუნისტების მთელი ძალისმევა მიმართული იყო იქითკენ, აღეზარდათ საბჭოთა ადამიანები ათეისტებად. კომპარტია აყვანილ იქნა ზეიდეოლოგიად, ღმერთის ადგილი პარტიამ დაიკავა, გამოცხადდა ხალხისა და პარტიის ერთიანობა, ე.ი. პარტიის დირექტივები ხალხის წებად დადგინდა. და საბჭოთა კავშირში შემავალი განვითარების დონით, რელიგიით,

წეს-ჩვეულებებით, ტრადიციებით განსხვავებული ათასობით სხვადასხვა ეროვნების ხალხი ერთ ეროვნებად, საბჭოთა ხალხად გააერთიანეს, კომპარტია ღმერთად დაუდგინეს და მართავდნენ თავიანთი ნება-სურვილის მიხედვით და ხალხსაც სჯეროდა ეს უტოპია, ყოველ შემთხვევაში დიდზე დიდ უმრავლესობას და დიდი ენთუზიაზმით „აშენებდნენ“ კომუნიზმს.

მაგრამ რით დამთავრდა ეს, ყველასთვის ცნობილია.



მოსისხლეობა

„შენ რომ სხვა მაჲკლა, შენც მოგვიღენ,
მკვლელს არ შაარჩენს გვარია“

ვაჟა-ფშაველა

მოსისხლეობა, სისხლის ძიება (ქისტურად „ჭირ“) უხსოვარი დროიდან მომდინარეობს და თითემის ყველა ხალხში იყო გავრცელებული. ადამიანის მოკვლა სხვადასხვა მიზეზით ნიშან-დობლივი იყო დაწყებული პირველყოფილი ადამიანებიდან ცივი-ლიზებული სამყაროს ხალხების ჩათვლით. XVII-XX საუკუნეებში ეს ქმედება, სისხლის აღება ბარბაროსობად იქნა გამოცხადებული და ზოგიერთ ევროპულ სახელმწიფოში მკვლელობის რანგში განიხილეს და მძიმე დანაშაულად შერაცხეს. შურისძიება, „სისხლის ძიება“ უკვე სახელმწიფომ აიღო თავისი თავზე, შემოიღო სათანადო კანონები სისხლის სამართლის კოდექსის სახით და აკრძალა თვით-ნებური ანგარიშსწორება. ამერიკაში ე.ნ. ლინჩის წესით გასამართლება, კოლექტიური შურისძიება XIX ს. არსებობდა, ასეთი სახის დამნაშავეების დასჯა კავკასიაში XX საუკუნეშიც იშვიათობას არ წარმოადგენდა.

კაცობრიობამ რთული გზა განვლო, რათა აღმოეფხვრა ადამიანებში კაცომკვლელობა. განსაკუთრებით დიდი ძალისხმევა გამოიჩინა ამ კუთხით მონოთეისტურმა რელიგიებმა. ღმერთის მიერ დედამიწაზე მოვლენილი მოციქულები აუწყებდნენ ადამიანებს უფლის ბრძანებას: „არა კაც ჰქონა!“ ეს ბრძანება მეორდება ყველა ზეგარდმოვლენილ წმინდა წიგნებში. ბიბლია, სახარება და ყურანი მკაცრად აფრთხილებდა მორწმუნებს, რომ ყველაზე დიდი ცოდვა კაცისკვლაა, უდანაშაულო მორწმუნის მკვლელობისათვის ადამიანს ჯოჯოხეთის გეენია ელოდება.

მაგრამ ადამიანი ყოველთვის, ყველა ეპოქასა და ყველა აღმ-

სარებლობაში ცოდვისკენ იხრება. ამ საშინელი ცოდვის ჩადენისგან თავს ვერ იყავებს, არ ეშინა, ხშირ შემთხვევაში, საიქიო ცხოვრებაში პასუხისმგებლობისა და კლავს კაცს განრისხების, სიძულვილის, გამორჩენის გამო და სხვადასხვა მიზეზი მოაქვს ჩადენილი დანაშაულის გასამართლებლად.

შემდგარ სახელმწიფოში უძველესი დროიდან მმართველები ცდილობდნენ ამ მძიმე დანაშაულის აღკვეთას და აწესებდნენ კანონებს დამნაშავეთა დასასჯელად. ჯერ კიდევ ძველ შუამდინარეთში ხამურაბმა დააწესა კანონები, რომლებიც არეგულირებდნენ დაზარალებულისა და ბრალდებულის ურთიერთობებს, დაწესებული იყო სისხლის საზღაური. თვით საღვთო წიგნებშიც არის დოგმები, რომლებიც განსაზღვრავენ დამნაშავის დასჯას. „თვალი თვალის წილ, კბილი კბილის წილ“, – ამ დოგმას იმეორებს ყურანიც, მხოლოდ განსხვავებულ პოზიციას აუღერებს სახარება. „შეიყვარე მტერი შენი, ვითარცა მოყვასი შენი“ – ქრისტიანობის ძირითადი დოგმაა, მაგრამ ცხოვრებაში საპირისპიროდ იყენებდნენ ქრისტიანული სახელმწიფოები და იყენებენ დღესაც. ასევე იქცევან იუდეველებიც და მუსლიმებიც.

რა თქმა უნდა, ზემოთ თქმული ეხება პოლიტიკურ იდეოლოგიას, სახელმწიფოთა მმართველი ელიტის მიზნებსა და მისწრაფებებს, მოსისხლეობა ამ კუთხით არც განიხილება. ზოგჯერ მკვლელობა სახელმწიფოებს შორის ომის სასაბაბიც კი გამხდარა, სახელმწიფო გამოდიოდა სისხლის ამღების როლში. ამის მაგალითია პირველი მსოფლიო ომი, რომელიც დაიწყო ავსტრიის ტახტის მემკვიდრის ფრანც ფრანდინანდის მკვლელობის გამო.

კავკასია მსოფლიოს ისტორიაში გამოირჩევა თვითმყოფადობით, მამა-პაპათა ადათ-წესების, ტრადიციებისა და ზნე-ჩვეულებების მტკიცე დაცვით. მიუხედავად იმისა, რომ კავკასიაში მრავალი ეთნოსი ცხოვრობს, ასეთ პატარა რეგიონში ხალხთა სიჭრელე მსოფლიოს არც ერთ რეგიონში არ შეინიშნება, მათ აქვთ ბევრი საერთო წესი და ადათი, რამაც, ჩემი აზრით, განაპირობა კავკასიის ერთიანობა. იმდენად შესამჩნევი და მსგავსია ცხოვრების წესი

კავკასიელებში, რომ არასოდეს მოხსნილა ერთიანი კავკასიური სახლის შექმნის იდეა, რაც წინაპირობა იქნებოდა ერთიანი კავკა-სიური სახელმწიფოს შექმნისა.

ერთ-ერთი ადათი, რომელიც საერთოა თითქმის მთელი კავკასიელი ხალხისათვის, არის მოსისხლეობა. ვერ ვიტყვით, რომ ეს საამაყო ჩვეულებაა, მით უმეტეს დღევანდელი, XXI საუკუნის გარიურაჟზე, მაგრამ რეალობას ვერ გავექცევით. თუმცა აუცილებლად უნდა აღინიშნოს, რომ კავკასიის უმეტეს ხალხებში, შეიძლება ითქვას, თითქმის მთელ კავკასიელებში ამ ადამია დაკარგა თავისი მნიშვნელობა და სისხლის ძიების საკითხი სახელმწიფოს ფუნქციებში გადავიდა.

მაგრამ არსებობს ერთი ხალხი, რომელიც დღესაც მტკიცედ ებლაუქება ამ ადათს და, ალბათ, ჯერ კიდევ დიდხანს შემორჩება. ეს ხალხი ვეინახები – ჩეჩენები, ინგუშები და ქისტები არიან. საინტერესოა, რამ განაპირობა ამ, დღევანდელი გაგებით, მავნე გადმონაშთის სიცოცხლისუნარიანობა, განსაკუთრებით ქისტებში, რომლებიც უკვე ორასი წელია საქართველოში ცხოვრობენ, ინტეგ-რირებული არიან ქართულ საზოგადოებასთან, ეზიარნენ ქართულ სწავლა-განათლებას, კულტურას და მოძმე ხალხთან ერთად არიან ჩაბმული საზოგადოებრივ ცხოვრებაში. ქართველებმა დიდი ხანია უარი თქვეს სისხლის ძიებაზე და ეს საქმე სამართალდამცავებს მიანდეს. თუმცა ქართველ მთიელებს როდი აულია ხელი სისხლის აღებაზე. ამ ადათს მისდევენ ხევსურები, ფშავლები, თუშები, მოხევეები, მთიულები და სვანები. დღესდღეობით ეს ადათი შემორჩენილია ხევსურებსა და სვანებში. მაგრამ მათშიც თანდათანობით ფეხს იკიდებს სახელმწიფოებრივი მიდგომა ამ საკითხისადმი, რაც, უნდა ითქვას, პროგრესული მოვლენაა და ხელს უწყობს საზოგადოების მშვიდობიან ცხოვრებას. ქისტები კი არ თმობენ წინაპართაგან მიღებულ ამ ადათს და სხვა, ძალზე კარგ და მნიშვნელოვან წეს-ჩვეულებებსა და ტრადიციებს.

მაში, რაშია საქმე? რა ხდება ქისტურ თემში? ბევრი, მათ შორის ქისტური ზნისა და ხასიათის ღრმა მცოდნე მიიჩნევს, რომ

მთავარი მიზეზი მოსისხლეობისა არის უსწავლელობა, გაუნათლებლობა. ჯერ კიდევ XX საუკუნის დასაწყისში, ქისტი მემატიანე, მწერალი და ეთნოგრაფი, სოფელ ჯოყოლოს ეკლესის მღვდელი მათე ალბუთაშვილი სინანულით წერდა:

„როგორც ისტორიამ იცის, ადრევე მოსისხლეობა ყველა ხალხში ყოფილა – ევროპაში, რუსეთში და აქაც. სადაც კულტურა და სწავლა-განათლება შევიდა, იქ, დიდი ხანია, მოისპონ და ისპობა, ხოლო ჩვენი ქისტები, როგორც ამ ბეჭნიერებას მოკლებულნი, დღეისნამდე ისევ განაგრძობენ ამ უკეთურ ჩვეულებას“.

მართალია, XX საუკუნის დასაწყისში ქისტები უსწავლელნი, გაუნათლებელნი იყვნენ, მხოლოდ ერთეულებს ჰქონდათ გიმნაზია დამთავრებული, მაგრამ ამავე საუკუნის მეორე ნახევრისათვის ქისტები განათლებას ეზიარებიან, ნიჭიერი ახალგაზრდობა სწავლას დაწარმდებარებული, მაგრამ ამავე საუკუნის მეორე ნახევრისათვის ქისტები განათლებას ეზიარებიან, ნიჭიერი ახალგაზრდობა სწავლას დაეწარმდებარებული, სასწავლობრივ ტექნიკურმებსა და უმაღლეს სასწავლებლებში, დიპლომიანი სპეციალისტები დაუბრუნდნენ მშობლიურ მხარეს და აქტიურად ჩაებნენ თავისი კუთხის აღმშენებლობაში. 70-იანი წლებისათვის აქმეტის რაიონში ადგილობრივი ადმინისტრაციის სამსახურებში მოწყვნენ, გაჩდნენ მეცნიერი მუშაკები, ერთი სიტყვით, ქართველებთან ერთად მხარდამხარ მუშაობდნენ ქვეყნის აღმავლობისათვის. მაგრამ ქისტებს არც ამჯერად უთქვამთ უარი წინაპართა ადათ-წესებზე და არც სისხლის ძიებაზე აიღეს ხელი.

მათე ალბუთაშვილი წერდა:

„ამ უხეში ჩვეულების წინააღმდეგ პოლიციამ ბევრი სასტიკი ზომები იხმარა – ოქმები, სამართალში მიცემა, იარაღის ჩამორთმევა, დარბევა, დატუსაღება, ციმბირის კატორლა და სხვადასხვა, მაგრამ სულ ამაოდ.

ამ ზომებმა ბევრჯერ საქმე უფრო გაამწვავა, სისხლი მაინც სისხლმა ჩაბანა დიდისა და პატარის გაურჩევლად. მკვლელობა ფათერაკით და მტრობით ერთნაირად გადახდა, მოკლულს მკვლელიც თან გაჰყვა, მკვლელი სიკვდილს ვერ გადარჩა ვერც ფულით, ვერც სამართალით, ვერც თავდებობით, ვერც გასვლა-გა-

რიდებით და სხვ.“

დიახ, მეფის რუსეთის კანონებმა ვერ შეაჩერეს მოსისხლეობა ქისტებში, ვერც საბჭოთა სასტიკმა კანონებმა, სასჯელის უმაღლესმა ზომამ – დახვრეტით სიკვდილით დასჯამ. ბევრი ქისტი დაიხვრიტა შურისძიებისათვის, ბევრიც ციხიდან არ დაბრუნებულა ცოცხალი, მაგრამ ეს ადათი ვენდეტასავით მარად ცოცხალია.

მაგრამ ეს სულაც არ ნიშნავს, რომ ქისტებში მკვლელობები ხშირია, რომ გენებში აქვთ გამჯდარი სისხლისლვრა და დანაშაულისადმი მიდრეკილება. პირიქით, ქისტებში მკვლელობა იშვიათად ხდება, მიუხედავად მათი ფიცხი ხასიათისა და ღირსების თითქმის ავადმყოფური მგრძნობელობისა. მაგრამ თავმოყვარეობის შელახვას ქისტი მხოლოდ სისხლით ჩამოიპანს. ამიტომაც არის, რომ კამათის დროს თითოეული, მართალია, თავდაჯერებულია, მაგრამ მაქსიმალურად ფრთხილობს, არ შეეხოს მოწინააღმდეგის ღირსებას, მაგრამ „თუ ვინმებ მოჰპარა, ან უსამართლოდ წაართვა, მანამ მაგიერს არ გადაუხდის, ჯავრი გახეთქავს.

ზედ მოსულ მტერს ზურგს არ შეაქცევს, ვაუკაცურად შეეგებება, რომ შეიტყოს, მაშინვე ხანჯალზე ხელს იტაცებს. გაჯავრებული დინჯად რომ გელაპარაკებოდეს, მაშინაც მალ-მალე ხელი ხანჯლისკენ მიაქვს.

თავისი ხალხის ჭირსა და ვაებაში დიდი თანამგრძნობია, მაგრამ თუ სისხლი დაემართა, იმას არავის შეარჩენს ცოცხალი თავით“ (მ. ალბუთაშვილი).

სწორედ ის გარემოება, რომ მკვლელობა არ შერჩება, აიძულებს ქისტს, ხელი არ აღმართოს სიცოცხლეზე. მან კარგად იცის, რომ დარტყმის ქვეშ აღმოჩნდება არა მარტო ის, არამედ მთელი მისი ოჯახი, სანათესაო, საგვარეულო, თუნდაც მოხდეს შერიგება, ეს ისეთი რთული, ხანგრძლივი, დამამცირებელი პროცესია, სიკვდილს უდრის. ამიტომაც არის, რომ ქისტებში იშვიათად ხდება მკვლელობა, ასევე იშვიათია მკვლელობა, რომელიც ჩადენილია სისასტიკითა და სადიზმით. ასეთი მკვლელობის პატიება ძალზე ძნელია.

ვფიქრობ, ყოველივე ეს უწყობს ხელს სისხლის ძიების ადათის შენარჩუნებას ქისტებში. საქართველოს სხვადასხვა რეგიონში ადრეც ხდებოდა და დღესაც ხდება მკვლელობები, თუ გადავხედავთ სტატისტიკას, ქისტებში ამ მხრივ მდგომარეობა სტაბილურია, თითქმის უტოლდება ნულ პროცენტს. დღეს მკვლელმა თუ დამამდიმებელ გარემოებაში არ ჩაიდინა მკვლელობა, რაღაც 10-15 წელინადს მიუსჯიან და მაღლე გამოვა ციხიდან და ჩიტივით თავისუფალია, მას არც სამართალი დევნის და არც დაზარალებული.

ქისტი, რომელიც მოიხდის სასჯელს, იმავე მდგომარეობაშია, როგორც მკვლელობის დღეს. ის მოკლულის ნათესავებისგან დევნას განიცდის, თავისუფლად ვერ გაივლის, სახლში იქნება ჩაკეტილი ტყვიის მოლოდინში. მას ძალიან მძიმე ხვედრი ელის წინ.

მოსისხლეობის ადათი დროთა განმავლობაში განმარტებას, ახალ ეპოქასთან შეხამების პროცესს განიცდიდა, შესაბამისობაში მოჰყავთ თანამედროვეობასთან უხუცესებს სახალხო ყრილობებზე, მაგრამ არასდროს არ დამდგარა საკითხი მისი გაუქმების შესახებ, და, ვფიქრობ, არც დადგება, რადგან მისი არსებობა აუცილებელია ქისტური მენტალიტეტის გამო, მშვიდობიანი ცხოვრების უზრუნველსაყოფად ქისტურ თემში და მშვიდობიანი თანაარსებობისათვის ქართულ საზოგადოებასთან.

სისხლის აღება ძალზე ძნელია სხვა მხარეში, სხვის ქვეყანაში, უცხო ხალხში. სოფელში მოსულ უცნობ კაცს ეჭვით უცქერიან, განსაკუთრებით მაშინ, როცა მათი თანასოფლელი მკვლელობაშია გარეული. ყოფილა შემთხვევები, როცა უცნობი მკვლელის უპანში მისულა სრულიად მშვიდობიანი მიზნით, საეჭვოდ მიუჩნევიათ, წამიერად შეყრილა ხალხი, აგრესიულად განწყობილნი და მხოლოდ საქმის არსში ჩაწვდომის შემდეგ დაშოშმინებულან. მაგრამ შურისმამიებელი საფრთხესა და სიძნელეს არ ეპუება და მიზნის მისალწევად სიცოცხლეს საფრთხეში იგდებს.

გასული საუკუნის 80-იან წლებში მოკლეს დუისელი მ. მაჩალიკაშვილი გროზნოს მთებში. მას საკუთარი ცხვარი ჰყავდა, ზამთარ-ზაფხულ ჩეჩინეთის ბარსა და მთაში აძოვებდა. უფრო რომ

გაადვილებოდათ ცხვრის მოვლა, პანკისელი მეცხვარეები ჩეჩინებსა და ინგუშებს, ასევე ცხვრის პატრონებს უამხანაგდებოდნენ (ნამ-გალს მონახავდნენ) და ერთად აძოვებდნენ მთებში.

იმ წელს მ. მაჩალიკაშვილს მდ. არგუნის ზემონელში მთაში ჰყავდა ცხვარი. წინა დღეს ჩეჩენი ამხანაგის ნათესავები ესტუმ-რნენ, მეორე დღეს დილაადრიან დაეშვნენ ჩეჩინები ბარისაკენ, არ დაუცადეს დუისელ მ. მაჩალიკაშვილსა და მის ამხანაგს, რომლებიც ასევე აპირებდნენ ცხენებით ბარში ჩასვლას. სანამ ცხენებს ბარგს აპკიდებდნენ და სამგზავროდ მოემზადებოდნენ, მზემ მაღლა აინია. საუზმის შემდეგ ქისტებიც გზას დაადგნენ.

სანამ ითუმშალში ჩააღწევდნენ, საკმაოდ დავაკებული ადგილი უნდა გაევლოთ. წინ მიდიოდა მუხმადი და მას მიჰყებეოდა ჯაბრაილი. უცბად თოფი გავარდა და წინ მიმავალი წაიქცა. ამხანაგმა ვერ გაიგო, საიდნ მოისმა თოფის ხმა, მდინარე არგუნი სწრაფად მიექანება, უზარმაზრ ლოდებს ეხეთქება და საშინლად ხმაურობს.

ჯაბრაილმა ჯერ კიდევ ცოცხალი ამხანაგი ცხენს გადაჲკიდა და ითუმშალში ჩაიყვანა, იქიდან მანქანით საავადმყოფოში ჩაიყვანეს, მაგრამ მ. მაჩალიკაშვილი გარდაიცვალა.

სამართალდამცავებმა ეჭვი ამხანაგზე, გარდაცვლილის თანასოფლელზე მიიტანეს და საბჭოური მეთოდებით დაიწყეს დაკითხვები და ძლიერი ზენოლა, რათა ეღიარებინა დანაშაული. მაგრამ იმდენად აბსურდული იყო მოკლულის ამხანაგის დადანაშაულება მკვლელობაში, რომ მაშინვე გაჩნდა ეჭვი, რომ დანაშაულის დაბრალება სურდათ უდანაშაულო კაცისთვის. ალბათ, მოახერხებდნენ კიდეც, თუ არა ითუმშალის საბჭოს თავმჯდომარის პრინციპულობა.

მკვლელობის ადგილის დათვალიერებამ შედეგი ვერ გამოიღო, არავითარი სამხილი არ არსებობდა, გასროლილი მასრაც კი ვერ მოიძებნა. მილიციამ მკვლელობის მოტივი და ვერსიაც კი ვერ დაადგინა და დაზარალებულები მიხვდნენ, რომ მათი კაცი იკარგებოდა „საგ ვოუშ ვა“ და დაიწყეს ძიება.

ეჭვი ნამგალის (პარტნიორის) ოჯახზე მიიტანეს, დაადგინეს, რომ საქმეში შესაძლებელია ქალი ყოფილიყო გარეული. მაგრამ გარდა ეჭვისა, არანაირი სამხილი მ. მაჩალიკაშვილის წინააღმდეგ არ არსებობდა. თუნდაც ყოფილიყო რაიმე, მკვლელობა დაუშვებელია, რადგან ქისტური სამართლით არსებობს დასჯის მეთოდები, შეურაცხყოფის ანაზღაურების ჯარიმები და ა.შ.

შედგა ადათობრივი სასამართლო. ჩეჩინებმა დაიფიცეს და საქმეც შეწყდა, მაგრამ არა! მაჩალიკაშვილები იძიებდნენ საქმეს და დარწმუნდნენ, რომ მათი კაცი მოკლეს იმ საბედისწერო დღეს მთიდან დილით ადრე წამოსულებმა. მკვლელობის ადგილის დეტალურმა დათვალიერებამ მკვლელობის სურათი აღადგინა: მკვლელები მკვლელობის ადგილიდან ცოტა მოშორებით მდ. არგუნის გალმა გავიდნენ, ნაპირს დაბლა ჩამოჰყვნენ და მურყნარში ჩასაფრდნენ, ახალგაზრდა წორჩი მურყანის ტოტიც გადატეხეს, რომ სამზირი გაეფართოებინათ. წყალგაღმიდან დაუმიზნეს და ესროლეს ცხენის წინ მიმავალ მ. მაჩალიკაშვილს, ასევე მოინახა კაცი, რომელმაც დაასახელა მკვლელობის დამკვეთი – მკვლელის დედა.

გავიდა ხანი. წამოიზარდა მოკლულის ძმისშვილი, რომელიც გროზნოში გაემგზავრა და იქ დაიწყო მუშაობა. გზადაგზა იკვლევდა მკვლელის ვინაობას, ადგილსამყოფელს და ერთ ლამესაც შუა სოფელში მიადგა სახლს და დაუძახა. მასპინძელმა კარში გამოიხდა, იკითხა, რომელი ხარო და ჭიშკრისკენ წამოვიდა. შურისმაძიებელი შეეკითხა, შენ არ ხარო მავანი და როცა დადებითი პასუხი მიიღო, ჰკითხა:

– რატომ მოკალი ბიძაჩემი, რა დაგიშავა?

– აუჟ! – ამის თქმადა მოასწრო და პისტოლეტმაც იქუხა.

შურისმაძიებელმა სწრაფად დატოვა სოფელი და იქვე ნაპირას მდგომ ძველ დანგრეულ სკოლის შენობას შეაფარა თავი. სოფელში განგაში ატყდა, შეიარაღებული ხალხი დაეძებდა სისხლის ამლებს და არავის აზრად არ მოსვლია, შეეხედათ დანგრეულ, ბურახმოდებულ შენობაში. ის კი შუალამისას, როცა ყველაფერი მიჩუმდა, გამოვიდა, რკინისგზის ლიანდაგს გაუყვა და ჩავიდა სოფ. სამაშ-

კაში დეიდასთან, რომელიც იმ სოფელში იყო გათხოვილი.

ერთ-ერთ მდევარს, მოკლულის ნათესავს, შემდეგ ეთქვა, რომ ვერაფრით ვესროდი თოფს იმ ახალგაზრდას, რომელიც ისეთი მამაცი აღმოჩნდა, მარტო შევიდა ჩეჩენების სოფელში და ნათესავებითა და გვარ-ტომით შემორტყმული კაცი მოკლა და პიძის სისხლი აიღო. მართლაც მამაცი იყო მუხმადის ძმისშვილი, სანაქებო ყუანახი (ვაჟუაცი) დადგებოდა, ახალგაზრდა რომ არ წასულიყო ამ ქვეყნიდან: რუსის ჯარისკაცებთან შეტაკებაში დაიღუპა ინგუშეთის მთებში ინგუშ მეგობართან ერთად.

სოფ. დუისში, ჩემს მეზობლად ცხოვრობდა შოეიფ მარგოშვილი. ისიც მეცხვარე იყო, უაღრესად პატიოსანი, წესიერი კაცი და ასევე მამაცი და გაბედული. დინჯი კაცი იყო, წყნარი, არავის აუხირდებოდა და არც არავის დააჩაგვრინებდა თავს. ყოველთვის მთაში იყო, კარგი მონადირე და როგორც ნადირობის მოყვარულს, ახლო ურთიერთობა მქონდა მასთან.

ბოლო დროს ისიც ჩეჩენებში მწყემსობდა, საკუთარი ცხვარი ჰყავდა, ჩეჩენ ცხვრის პატრონთან ერთად უვლიდა ცხვარს. ერთხელაც, გასული საუკუნის 90-იანი წლების დასაწყისში, ცხვარი უნდა გადაერეკა მთაში. მგონი, სოფ. ზაქი იურთან წინ გადაუდგა ჩეჩენი ახალგაზრდა, ცხვარს ამ გზით ვერ გადარეკავო. შოეიფას გაუკვირდა, ყოველთვის ამ გზით დადიოდა და ახლა რატომ არ შეიძლებოდა. შეკამათდნენ, უფრო სწორად, შოეიფა უხსნიდა, მაგრამ ჩეჩენი გაჯიუტდა და ცხენს ესროლა.

– რას შვრები, ხომ არ გაგიუდიო, – უთხრა მწყემსმა და ავტომატიანი ჩეჩენისკენ გაემართა. მან ყოველგვარი ახსნა-განმარტების გარეშე ცხენის პატრონსაც ესროლა, ტყვია შოეიფას მუცელში მოხვდა და საავადმყოფოში მისვლისთანავე გარდაიცვალა.

ჩეჩენი თავხედურად იქცეოდა, ცა ქუდად და დედამინა ქალამნად არ მიაჩნდა. საავადმყოფოში მივიდა და სახალხოდ განაცხადა – „დოუნ და“ (დავის პატრონი), ე.ი. მსროლელი მე ვარო.

დედამ ჩამოასვენა შვილი და დუისში დამარხა. ვაჟიშვილმა და მისმა ნათესავებმა ჩეჩენებში დაიწყეს მკვლელის ძებნა. მალე

მიაკვლიეს, მკვლელი მანქანით მოძრაობდა. ერთხელაც უკან მიჰყვნენ ქ. გროზნოში მოძრავ მის ავტომობილს და როცა გაჩერდა და მკვლელი მანქანიდან გადმოვიდა, შოეფას ვაჟიშვილი ხიზირ მარგოშვილი მივიდა და შეეკითხა:

– უიარალო მამაჩემს ესროლე არა?

მკვლელმა სწრაფად წაიღო ხელი იარაღისკენ, მაგრამ ხელის განძრევა ვერ მოასწრო, შურისმაძიებლის ტყვიით განგმირული დაეცა.

არასოდეს არ უნდა იფიქროს კაცმა, მკვლელობა შემჩრებაო. და რაც ყველაზე საძრახისია, არ შეიძლება კაცის დაჩაგვრა, ამპარტავნობა, აქაოდა, ეს რისი გამკეთებელია, ან ამას ვინ ჰყავს, შური იძიოს და ა.შ. თუ იმ მომენტში არ ჰყავს მოსარჩლე, დაიბადება, გამოჩნდება შურისმაძიებელი. ეს უნდა იცოდეს ყველამ, ვისაც შეხება აქვს მკვლელობასთან.

ჩვეულებრივ, მკვლელობის შემდეგ მოკლულის ნათესავები იძიებენ, თუ ვინ ჩაიდინა მკვლელობა. ცხადია, თუ მკვლელობა მოხდა სახალხოდ, ან არსებობენ მოწმეები, სისხლის ძებას მაშინვე იწყებენ. თუ მკვლელობის მომენტში მოკლულის ნათესავი ვინმე აღმოჩნდა ახლომახლო, შეიძლება საქმე მაშინვე დასრულდეს (თუ მოხერხდა შურისძიება). თუ უცნობია მკვლელის ვინაობა, საქმე ჭიანურდება, ხშირ შემთხვევაში, შეიძლება მოსისხლეობა წლობით გაგრძელდეს.

წინათ ჩადენილი მკვლელობის დამალვა, თავის დაძვრენა დიდ სირცხვილად ითვლებოდა, ასეთი მკვლელი თემიდან გარიყული იყო. თუკი მარტონი შეებრძოლებოდნენ, ერთ-ერთი ამ შეტაკებაში დაიღუპებოდა, მკვლელი თავის მოკლულის ცხედარს ნაბადს ან სხვა რამეს გადააფარებდა, იარაღს გვერდით დაუწყობდა, თუ უკაცრიელი ადგილი იყო, ხის ტოტებს, ბალახს, სიპ ქვებს დააფარებდა, რომ ნადირს არ გაეფუჭებინა მიცვალებული, აულში დაბრუნდებოდა, ჯერ ნათესავებს გააფრთხილებდა მომხდარის გამო და შემდეგ ვინმე უხუცესს, სხვა თეოფის წარმომადგენელს მიუგზავნიდნენ მოკლულის ახლო ნათესავს, საქმის კურსში ჩააყენებდნენ

და ცხედრის ადგილსამყოფელსაც მიასწავლიდნენ.

როცა დარწმუნდებიან მოკლულის ნათესავები მკვლელის ვინაობაში, მიუგზავნიან ავტორიტეტიან უხუცესს და გამოუცხადებენ ჭირს, ე.ი. ჩვენი დაღუპული კაცი თქვენ მიერ არის მოკლული და ვიწყებთ სისხლის ძიებას. თუ მკვლელობაში ეჭვმიტანილი თავს დამნაშავედ არ ცნობს, გვარი მზადყოფნას გამოთქვამს, ფიცით გაიმართლონ თავი. ამ შემთხვევაში იქმნება რთული სიტუაცია, რადგან დაზარალებულებმა იციან, რომ მკვლელობაში ეჭვმიტანილი 63 კაცით დაფიცების შემდეგ გამართლებულია და როგორც ქისტებში იტყვიან, მათი კაცი დაიკარგება. ამიტომ უარს ამბობენ ფიცზე, მაგრამ არც მოწმე ჰყავთ, არც დამპეზლებელი (ქისტურად „ეს ველარგ“), იმედოვნებენ, რომ დღეს-ხვალე საქმეს ნათელი მოეფინება. ასე გრძელდება ეს დავა ათეული წლობით.

მოვიყვან მაგალითს, რომელიც სოფ. დუისში მოხდა გასული საუკუნის 70-იანი წლების დასაწყისში. დუისის საშუალო სკოლის დირექტორის მოადგილე, ღვაწლმოსილი პედაგოგი, სოფელსა და მთელ ხეობაში პატივცემული და ავტორიტეტიანი შ. ხანგოშვილი მოკლეს რევოლვერის ტყვიით. შ. ხანგოშვილს სოფლის განაპირას, სახლიდან არცთუ შორს ჰქონდა ნაკვეთი, სადაც ვენახი ჰქონდა გამენებული. შემოდგომა იყო, ყურძენი მომწიფებული და ღამე ნაკვეთში გადიოდა, ქურდბაცაცებმა არ დამიკრიფონო.

იმ საბედისწერო ღამეს ორ კაცს წაასწრო, რომლებიც ღობეზე გადმოევლნენ და სოფლის ნაპირს დაჰყვნენ სამხრეთისკენ. ვენახის პატრონი გამოეკიდა, უშიშარი კაცი იყო, მუქარით ვერ შეაშინებდნენ. როგორც თავად იმ ღამეს, ახმეტაში ჩაყვანამდე მოყვა, ვერ იცნო, თუმცა მთვარიანი, საკმაოდ ნათელი ღამე იყო.

ტრაგედია მოხდა 200-300 მეტრის დაშორებით ვენახიდან, ნაპირგასამაგრებელ ბადიან ქვის ჯებირთან, ჩადაბლებულ ადგილას. ეტყობა, შ. ხანგოშვილი დაეწია სავარაუდო ქურდებს, სანადირო დანით შეუტია და ერთ-ერთმა ორჯერ ესროლა. შ. ხანგოშვილი წაიქცა და დიდხანს იწვა მიწაზე, როცა გონს მოვიდა, მახლობელ სახლამდე მიბობლდა და სახლის პატრონს დაუძახა.

შ. ხანგოშვილს ტყვია მუცელში ჰქონდა მოხვედრილი, წითელი წერტილივით ჩანდა შემავალი ჭრილობა. ტყვია გარეთ არ იყო გასული, თვითონ დავათვალიერე, სანამ მანქანას მოიყვანდნენ. მან გამაჩერა, მითხრა, ყველაფერი უნდა იცოდეო და მომიყვა მომხდარის შესახებ. პირველ ყოვლისა, კითხე, იცნო თუ არა დამნაშავენი, ან ვისზე ჰქონდა ეჭვი. მიპასუხა, რომ ვერ იცნო, ისინი ისე იქცევდნენ, თითქოს მიწვევდნენ, შეჩერდებოდნენ, როგორც კი მიუჟახლოვდებოდი, გზას განაგრძობდნენ და როგორც კი მოფარებულ ადგილას მოვედით, მესროლაო. პატიოსანი კაცი იყო, ტყუილს არ იკადრებდა არც ერთ შემთხვევაში.

შ. ხანგოშვილს გვიან ღამე თბერაცია გაუკეთა განთქმულმა ქირურგმა გენო დოლიძემ, მაგრამ ვერაფერი უშველა. ტყვიას ნაწლავები გაეხვრიტა. ზურგიდან ბარძაყისკენ გამავალი არტერიაც გადაეჭრა. დოლიძე ჰყვებოდა, რომ ნაწლავები გავკერე, მუცლის ღრუ გავწმინდე და ჭრილობა უნდა გამეცერა, მაგრამ სისხლნაკლულობა სახეზე ძალზე ეტყობოდა, დავეჭვდი, ამოვალაგე მთლიანად ნაწლავები და ზურგთან დიდი გუბე შევნიშნე შედედებული სისხლისა. ორივე ხელის მუჭების შეერთებით ამოვხაპე სისხლი და იფეთქა კიდეც არტერიიდან სისხლმა შადრევანივით. დავწვდი ხელით და დავკეტე არტერია, მაგრამ ეს უკანასკნელი წნევის ძალით წამოსროლილი სისხლი იყო, ერთი კი თქვა, ახლა კარგად ვარო და გათავდა კიდეც.

დიდად განიცადეს ქისტებმა ამ კაცის დაღუპვა, მთელი პანკისი გლოვობდა, ყველანაირად დაუდგნენ გვერდში დაზარალებულ ოჯახს, დიდი თუ პატარა დაინტერესებული იყო ამ მკვლელობის გახსნით. იმდენად დიდი რეზონანსი გამოიწვია ამ მკვლელობამ, რომ თავად შინაგან საქმეთა მინისტრი შადური ჩამოვიდა და თავად ხელმძღვანელობდა ძიების პროცესს.

მაგრამ ოჯახმა, ძმამ, მეუღლემ, ახლო ნათესავებმა არასწორი გზით წარმართეს ძიება, რადგან მოკლულს მტერი არ ჰყავდა, მხოლოდ რაღაც სამსახურის თაობაზე თანასოფლელ ა. გაურგაშვილთან ჰქონდა უთანხმოება, ხოლო მას ეხმარებოდა ასეთ

საქმეებში დახელოვნებული „არაოფიციალური ადვოკატი“ რ. ხანგომვილი, ეჭვი მათზე მიიტანეს და ამ საქმეში სრულიად უდანაშაულო ადამიანები დააჭირინეს.

მოსახლეობის დიდი უმრავლესობაც ეჭვობდა, რომ სწორედ მათი ჩადენილი იყო დანაშაული. ა. გაურგაშვილი უწყინარი, პატიოსანი კაცი იყო, მაგრამ მისი დამხმარე ცუდი რეპუტაციით სარგებლობდა რაიონის ხელმძღვანელობაში. განსაკუთრებით ემტერებოდა რაიონის ადმინისტრაციის კომუნისტი მოხელეები. მაშინ, კომუნისტური წყობის დროს მომჩივანი ეჯავრებოდათ, ინტრიგანის ტიტულს მიაწერდნენ და ყველანაირად ავინწროებდნენ. რ. ხანგომვილს პანკისის მეურნეობის ადმინისტრაციაშიც ბევრი ჰყავდა გამწარებული და ბევრი მტერი შეიძინა. ცხადია, გამოძიებას ცუდ ინფორმაციას აწვდიდნენ დაზარალებულებიც და სხვა ბევრი მისგან გამწარებული მოხელეც.

მაგრამ სოფლის კულუარებში სხვა ინფორმაციაც არსებობდა, რომლის მიხედვითაც მკვლელობა ჩაიდინეს სხვებმა, დუისელმა ორმა ახალგაზრდამ. უფრო სწორად, ერთმა, რომელმაც ესროლა. ამხანგმა, როდესაც მკვლელს მუხლები მოეკვეთა (ამბობდნენ, ტირილიც მოერია), ძლივს ჩაიყვანა სახლამდე და მომხდარიც აცნობა ოჯახს. მკვლელობას აბრალებდნენ შ. ბალაკაშვილს, მას ახლდა ჯ. გაურგაშვილი.

დაჭირილები რვა თვის შემდეგ გაანთავისუფლეს, ვერ დაუმტკიცეს დანაშაული. გავიდა დრო, დაზარალებულები, სიძულვილით დაბრმავებულები, მანც თვლიდნენ, რომ დაკავებულები მკვლელები იყვნენ. ეს დიდი შეცდომა იყო, ყურად არ იღეს ზოგიერთი ახლობლის შეგონება. კვლავ აწვებოდნენ ა. გაურგაშვილს. ბოლოს შედგა ადათობრივი სასამართლო და ეჭვმიტანილებმა ფიცით დაამტკიცეს უდანაშაულობა.

გავიდა ათეული წლები. შ. ხანგომვილის ვაჟები წამოიზარდნენ, დაინტენის მამის სისხლის ძიება. დარწმუნდნენ, რომ ა. გაურგაშვილი და რ. ხანგომვილი უდანაშაულონი იყვნენ. მოუწიათ პასუხისმგება ცრუ ჩვენებების გამო და მიყენებული ზარალი ადათის

მიხედვით აუნაზღაურეს. შემდეგ მიუბრუნდნენ მეორე ეჭვმიტანილებს, მაგრამ მათ რამდენჯერმე სახალხოდ განაცხადეს, რომ ფიცით დაამტკიცებდნენ თავიანთ უდანაშაულობას.

შინაურული, თეიფური ბჭობის შემდეგ გადაწყვიტეს, რომ ჯ. გაურგაშვილი, რომელსაც მონაწილეობა არ მიუღია მკვლელობაში, საქმიდან გაეყვანათ. ფიცი მიიღეს მისგან 30 კაცის რაოდენობით (დაამტკიცეს მხოლოდ ის, მისი ძმები, სულ ექვსი კაცი) და ჯერი მიდგა შ. ბალაკაშვილზე. ის კი მზად იყო, ფიცით დაემტყიცებონა თავისი უდანაშაულობა, მაგრამ მისგან ფიცი არ მიიღეს, დარწმუნებული იყვნენ მის დანაშაულში. რადგან სამხილი არ არსებობდა, უტყუარი სამხილი ან მოწმე, ან კიდევ დამპეზღული, შურისძიება გაუჟირდათ. შ. ბალაკაშვილი არც იმალებოდა, არც გზას უქცევდა მოკლულის შვილებსა და ძმისშვილებს, თავისუფლად დადიოდა, სანამ ავად არ გახდა და გარდაიცვალა.

ასე დაუმთავრებელი დარჩა ეს საქმე. ამაზე იმიტომ შევაჩერე მკითხველის ყურადღება, რათა გაიაზრონ, რამდენად მძიმეა მოსისხლეობა, სისხლის აღება არაა ძნელი, გადაწყვეტილებაა მთავარი. ამის დასტურად მოვიყვან შემდეგ მაგალითს: სოფ. ომალოში სადავო საქმე იყო ტოხოსაშვილსა და წინწალაშვილს შორის. ზ. ტოხოსაშვილი ვალს ედავებოდა წინწალაშვილს, გაბრაზებული და საკმაოდ მთვრალი სახლში მოუხტა წინწალაშვილს და ავტომატით მოკლა. ეს იყო მძიმე დანაშაული – ჯერ მკვლელობა, მერე ოჯახში მიხტომა და ოჯახის წევრების თვალწინ მკვლელობა.

როგორც წესი, ტოხოსაშვილები სახლებში შეიკეტნენ, მთელი გვარი პაუხს აგებდა მომხდარ მკვლელობაზე. ადათის მიხედვით, უნდა შერჩეულიყო მეერი (ქისტურად „მამაცი“) რომელიც სოფელში უნდა ყოფილიყო, მას უნდა ეზღო ჩადენილი დანაშაული. ძმები, ბიძები, ბიძაშვილები და სხვა ახლო ნათესავები განთავისუფლდებოდნენ შურისძიებისგან გარკვეული თანხის გადახდის შემდეგ. ამ საკითხის მოსაგვარებლად მკვლელის უფროსი ძმა, რომელიც სოფ. ბირკიანში ცხოვრობდა, გადმოვიდა ომალოში, სადაც ცხოვრობენ მისი თეიფის უმეტესობა. სწორედ აქ დაუშვა მან დიდი შეცდომა,

რაც სიცოცხლის ფასად დაუჯდა. ის სახლში უნდა მჯდარიყო, ამ საქმეს სხვები, გარეშე ხალხი მოაგვარებდა.

დაღუპულის ძმა სანადიროდ იყო მთაში წასული. სახლში ბრუნდებოდა და სოფლის თავში შეიტყო მომხდარი და სახლში მოიჩაროდა გამნარებული. სოფელში შემოვიდა და შეეფეთა მისი ძმის მკვლელის ძმას, არც აცია, არც აცხელა და პირდაპირ ესროლა. ფანცალი ტოხოსაშვილი ახმეტის გზაზე გარდაიცვალა. რაღაც ორ-სამ დღეში მოხდა სისხლის აღება.

ეს ამპავი მოხდა რამდენიმე წლის წინ, ხოლო ქისტების ახლად მიღებული კანონით, რომელიც ძალაში იყო 1964 წლიდან, სისხლის მაძიებელს უფლება ჰქონდა მოეკლა მხოლოდ მკვლელი. ამ შემთხვევაში კი სრულიად უდანაშაულო ძმა მოკლეს, რაც არ იყო სწორი. მაგრამ საქმე მაინც დამთავრებულად ჩაითვალა, რამეთუ ისე მოხდა, როგორც ადრე ხდებოდა შურისძიება.

მკითხველი ასეთ საქმეებში უფრო კარგად რომ გაერკვეს, მიმართა, რომ განვიხილოთ დეტალურად ის ადათობრივი კოდექსი, რომელიც არეგულირებს მოსისხლეობას.

როგორც ზემოთ მოყვანილ მაგალითებშიც აღვნიშნე, როგორც კი მკვლელობა მოხდება, ან სასიკვდილო ჭრილობას მიაყენებენ, ან მოხდება კაცის ლირსების შელახვა (მაგალითად, შარვლის ჩახდა), ან კიდევ ცოლის წართმევა და სხვ. მძიმე დანაშაულობები, ხდება ჭირის გამოცხადება.

განვიხილოთ მკვლელობა.

მკვლელობა ყველაზე მძიმე დანაშაულად ითვლება ქისტურ საზოგადოებაში და დაუყოვნებლივ იწყებს მოქმედებას პრინციპი – თვალი თვალის წილ, კბილი კბილის წილ. მკვლელი და მისი ნათესავები, თითქმის მთელი თეიფი ოჯახებში იკეტება, რათა თავი აარიდონ შურისძიებას. დღეს რამდენადმე გამარტივებულია მკვლელობისათვის პასუხისმგებლობის არე – რამდენადმე შეზღუდულია პასუხისმგებელ პირთა რაოდენობა. უპირველეს ყოვლისა, პასუხს აგებს უშუალო მკვლელი, შემდეგ ძმები, მამა, ბიძები და ბიძაშვილები. დანარჩენი ახლო და შორეული ნათესავები არ

წარმოადგენენ შურისძიების ობიექტს, მაგრამ უნდა მოერიდნენ მოკლულის ნათესავებს, გზა უნდა დაუთმონ, არ უნდა მივიდნენ იმ ადგილას, სადაც ისინი (მოკლულის ნათესავები) იმყოფებიან, ხოლო თუ ისინი მოვიდნენ იქ, სადაც იმყოფებიან მკვლელის ნათესავები, აუცილებლად უნდა დატოვონ მყისვე იქაურობა. ამავე დროს, კატეგორიულად გამორიცხულია მოკლულის ნათესავებთან რაიმე სახის დავა ან კამათი, თუნდაც მართლები იყვნენ, იმ დროის განმავლობაში, სანამ მოსისხლეობა გრძელდება. მანამდე, სანამ არ მოხდება საბოლოო შერიგება, მკვლელის ნათესავები, თუნდაც შორეული ნათესავები, ან კიდევ უბრალოდ თეიფის წარმომადგენლებიც კი, რომელთაც არ აქვთ მკვლელთან არანაირი სისხლისმიერი ნათესაობა, არ უნდა შევიდნენ კონტაქტში მოკლულის თეიფის ახლობლებთან, გამორიცხულია საქორნინო ურთიერთობები და ა.შ.

მკვლელის ნათესავი ქალები, ბავშვები და მოხუცები იმუნიტეტით სარგებლობენ, მათ არავინ შეეხება, ეს დაუწერელი კანონია. მათ შეუძლიათ თავისუფლად გადაადგილება, გარე და საშინაო საქმიანობა, მაგრამ წესით მაინც მორიდებით უნდა იყვნენ, ამას მოითხოვს ქისტური ეთიკა – „უეზდიელ“.

ცხადია, ადამიანს, რომელიც არ არის ქისტური თემის წარმომადგენელი, გაუკვირდება ასეთი, ერთი შეხედვით, ვულგარული ჩვეულება, მაგრამ ეს არის ქისტური კანონი, ზრდილობის, ურთიერთპატივისცემის, ურთიერთლირსების დაფასება და მიმაჩნია, რომ ძალიან კარგი და დასაფასებელი წეს-ჩვეულებაა.

თუ დანაშაული დამამძიმებელ გარემოებაშია ჩადენილი, ქისტი უხუცესები მაშინვე არ ჩაერევიან საქმეში. დამამძიმებელი გარემოებაა, როდესაც მკვლელი ჩაიფიქრებს, წინასწარ მიიღებს გადაწყვეტილებას და მოკლავს კაცს. არ აქვს მნიშვნელობა, მოკლული იყო თუ არა დამნაშავე. იშვიათ შემთხვევაშია გამართლებული მკვლელობა. ასევე დამამძიმებელ გარემოებად ითვლება, თუ მკვლელმა დაასახირა მოკლულის გვამი, ან მიაყენა დამატებითი ჭრილობები სასიკვდილო დარტყმის შემდეგ, ან კიდევ

გვამი ათრია და სხვა სახის შეურაცხყოფა მიაყენა ცხედარს.

თუ მკვლელობა მოხდა ჩხუბში, ურთიერთშელაპარკებისას იარაღი გამოიყენეს, მაგრამ მკვლელობა აზრადაც არ ჰქონდა, ამ შემთხვევაში შერიგებაზე შეიძლება მაშინვე დაიწყოს მოლაპარაკება. აგარის შემთხვევაში მორიგება დიდ სირთულეს არ შეიცავს, მაგრამ არც უბრალოდ წყდება სისხლის ძიება, საჭიროა, ყველა ის მოქმედება, წესი და რიტუალი ჩატარდეს, რაც გათვალისწინებულია მკვლელობის დროს.

აუცილებლად უნდა აღინიშნოს ერთი გარემოება: თუ მკვლელობა მოხდა, ძიება იმისა, თუ ვინ იყო მართალი და ვინ მტყუანი, არ მიდის. არც იმას აქვს მნიშვნელობა, მკვლელობა იძულებით, თავდაცვის მიზნით განხორციელდა თუ განზრახ. ქისტებში მკვლელობის მოტივებსაც არ ეძებენ, ყველაფერს წყვეტს შედეგი – მოხდა მკვლელობა! შეიძლება, მოკლულს ჰქონოდა ჩადენილი მძიმე დანაშაული და ამისათვის მოკლეს კიდეც, მაგრამ მისმა სიკვდილმა დაფარა ყველაფერი. ცხადია, როცა საქმე გაირჩევა, მოტივები მსჯელობის საგანი ხდება, მაგრამ დიდად არ მოქმედებს განაჩენზე.

აქაც ზერელე დამკვირვებელი უცნაურობას შენიშნავს, მაგრამ წინაპრები, რომელებმაც შეიმუშავეს სისხლის კოდექსი, ამოდიოდნენ ერთი პრინციპიდან – არ შეიძლება კაცმა კაცი მოკლას, ადამიანს სიცოცხლეს ღმერთი ანიჭებს და მხოლოდ მას შეუძლია წაართვას იგი. იმ ხალხში, სადაც შურისძიება საღვთო საქმედ მიაჩნიათ, სადაც ამ კანონის აღსრულება ვაჟკაცობის ეტალონად არის მიჩნეული და შურისძიების მიზნით მკვლელობები თაობებიდან თაობებამდე გრძელდება, აუცილებელი იყო მკვლელობათა სერიის აღმკვეთი ღონისძიებები და შეიმუშავეს კიდეც ასეთი კანონი.

როგორც ითქვა, მოკლულის ნათესავები სახლებში ჩაკეტილები არიან, სოფელში დღისით, მზისით ვერ გაივლიან, სამუშაოდ სოფლის გარეთ ვერ გავლენ, მოსავალს ვერ დათესავენ, ვერც მოუვლიან ყანებს და მოსავალსაც ვერ დააბინავებენ. ძალიან რთული სიტუაცია იქმნება, ასე მოდის უხსოვარ დროიდან და თითქმის ასე

გრძელდება დღესაც მეტ-ნაკლები ცვლილებებით.

დაახლოებით ამ ასი წლის ნინ მათე ალბუთაშვილი წერდა: „არავის ნება არ აქვს სამუშაოდ მინდვრად გავიდეს, ნამუშევარი რომ მთლად იღუპებოდეს. თუ არ დაიშლის და გავა მინდორში, სულ აქეთ-იქით უნდა იყურებოდეს მტრის მოლოდინში. იქნება მტერი კიდეც ნამოეპაროს, ესროლოს თოფი და გააგოროს“.

სწორედ ამიტომ არის შემუშავებული სპეციალური კანონები, რომლებიც არეგულირებს მკვლელის ნათესავების გამოსყიდვას გადასახადით. უპირველეს ყოვლისა, მკვლელი უნდა იმყოფებოდეს სოფელში, იგი არ ექვემდებარება გამოსყიდვას. უნდა იჯდეს სახლ-ში და ყოველთვის, ყოველ წამს ელოდოს ტყვიას. მაგრამ ეს სამართლიანი გადაწყვეტილებაა, რადგან მას აქვს, როგორც ქისტები იტყვიან, „ჭუჭყიანი ხელები“ და მან უნდა აგოს პასუხი. ძველად მკვლელი, თუ ის სახელიანი ვაჟკაცი არ იყო, მის მიერ მოკვლულს ვერ შეედრებოდა, მოკლულის ნათესავები მოითხოვდნენ ხოლმე, რომ მეერი“ მათ თავად შეერჩიათ და ხელს ადებდნენ გვარში საუკეთესოს და თუ ამაზე უარს ეტყოდნენ, ისინიც უარს ამბობდნენ „მეერზე“ და იწყებდნენ დევნას, რათა მოეკლათ გვარში საუკეთესო.

ეს საკითხი ქისტ უხუცესებში განხილვის საგნად იქცა და გასული საუკუნის 60-იანი წლების დასაწყისში მიიღეს ოპტიმალური გადაწყვეტილება: შურისძიება უნდა განხორციელდეს მხოლოდ და მხოლოდ უშუალოდ მკვლელზე და ეს გადწყვეტილება დღეს მოქმედებს ქისტურ თემში.

„მეერს“ არ აქვს უფლება, დატოვოს სოფელი. მოსისხლეთა გარეშე გვარიდან ინიშნება მეთვალყურე, რომელიც ამონშებს პერიოდულად, იმყოფება თუ არა „მეერი“ ადგილზე. მას შეუძლია დატოვოს მცირე ხნით ადგილსამყოფელი, ისიც მხოლოდ მოსისხლეების ნებართვით. ადრე „მეერს“ შეეძლო ერთი ხარი გადაეხადა და მიელო ნებართვა, ემუშავა საკარმიდამო ნაკვეთში. ეს ნებართვა ნიშნავდა იმას, რომ შურისმაძიებლებს უფლება არ ჰქონდათ, ესროლათ მისთვის თოფი ეზოში ყოფნის დროს. ეს წესი დღესაც

მოქმედებს, მაგრამ იშვიათად თუ აძლევენ „მეერს“ ასეთ თავი-სუფლებას.

ერთი სიტყვით, „მეერი“ შინ უნდა იჯდეს და ელოდოს სიკვდილს. როგორც მათე ალბუთაშვილი იუმორით შენიშნავს, „ქისტი კაცის სისხლი ხათაბალაა – მკვლელი დასაკლავი ხარივით შინ უნდა ებას.“ თუ მკვლელი ავადმყოფობით მოკვდა, მის ადგილს იკავებს უახლესი ნათესავი – ძმა, მამა, პიძა, პიძაშვილი.

შემდგომ სხვა გვარის უხუცესები, უხუცესთა საბჭო იწყებს შუამავლობას მკვლელის ნათესავების სისხლის ძიებისაგან გასა-თავისუფლებლად. ამ მიზნით ხდება გადასახადის განსაზღვრა. გადასახადი განსაზღვრულია, მამა, პიძა, ძმები და პიძაშვილები მეტს იხდიან, მომდევნო ნათესავები ნაკლებს. ამ გადასახადს ჰქვია „ვოშალ“, რაც ქისტურად საძმოს ნიშნავს. საძმოს გადასახადი სხ-ვადასხვა დროს სხვადასხვა იყო, თანდათანობით იცვლებოდა, ძვე-ლად 10 ძროხას იხდიდა „მეერის“ უახლესი ნათესავი, რომელიც მისი სიკვდილის შემდეგ მას შეცვლიდა, შემდეგ ახლო ნათესაო-ბის მიხედვით გრძელდებოდა და ერთი ცხვრით მთავრდებოდა. ამავე დროს ცხედრის დასამარხი გადასახადიც იყო, სუდარის გა-დასახადიც, დღეს ყველაფერი გამარტივებულია, „ვოშალს“ იხდიან მხოლოდ ახლო ნათესავები, რაც დაახლოებით 3 ათას ამერიკულ დოლარს უდრის.

თუ მკვლელი დააპატიმრეს და სასჯელს ციხეში იხდის, ამ შემ-თხვევაში ის ავტომატურად „მეერს“ წარმოადგენს. სანამ ის ციხი-დან გამოვა, მის მაგივრად მისი ნათესავის მოკვლა გონივრული არაა, რამეთუ მკვლელი თუ ციხეში მოკვდა, სისხლი დაედებათ და თავად აღმოჩნდებიან შურისძიების ობიექტად.

ქისტები იშვიათად მიმართავენ სახელმწიფო სამართალს, ეს მათ მენტალიტეტში არ ზის, ჩივილი დიდ სირცხვილად ითვლე-ბა. ამ შემთხვევაში იტყვიან ხოლმე, კაცობა არ ეყოთ, დაეცვათ თავიანთი ღირსება და დიაცეპივით სუდის (სასამართლოს) კარ-ზე არიან. მაგრამ ხდება ხოლმე, თუმცა იშვიათად, რომ სამართ-ლებრივ ორგანოებს მიმართავენ. ასეთ დროს, როცა ადათობრივი

სამართლით ხდება საქმის გარჩევა, ციხეში გატარებული დროის ფულადობრივი ანაზღაურება დაეკისრება მომჩივანს. მაგრამ, თუ დაზარალებული არ ჩივის, სახელმწიფომ მაინც მიაკვლია დამწა-შავეს და დაიჭირეს, მაშინ ციხეში გატარებული დროზე დაზარა-ლებული პასუხს არ აგებს.

ჯგუფური მკვლელობის დროს უშუალო მკვლელის ვინაობის დადგენა ჭირს ხოლმე. თუ მკვლელობაში მონაწილეობას იღებდა ერთი გვარის ორი ან ორზე მეტი კაცი, მაშინ გვარის უხუცესები თავად გადაწყვეტენ და ერთ-ერთს, რომლის მიზეზითაც მოხდა მკვლელობა, „მეერად“ დასვამენ. თუ მკვლელები სხვადასხვა გვა-რის წარმომადგენლები არიან, მაშინ საკმაოდ რთულია უშუალო დამწაშავის გამოვლენა, რამეთუ ჩადენილი დანაშაულის აღიარება, თავის თავზე აღება, არავის არ უნდა. ასეთ შემთხვევაში დაზარა-ლებულები თავად იკვლევენ უშუალო მკვლელის ვინაობას, თუ ვერ მიაგნეს, ერთ-ერთ მონაწილეს მოკლავენ და საქმეც ამით დამ-თავრდება. შეიძლება მოკლული არც იყოს მთავარი დამნაშვე, მა-გრამ შურისმაძიებელთა მიმართ პრეტენზია არ აქვთ, პრეტენზია ექნებათ დანაშაულში მონაწილეთა მიმართ, ეს მათი შიდა საქმეა, „ჭირ წა იენ“ (ჭირი სახლში მოიტანეს, ე.ი. სისხლი აღებულია) იტყვიან ქისტები.

მოვიყვან მაგალითს, რომელიც ამ რამდენიმე წლის წინ მოხდა სოფ. დუისელ გ. გაურგაშვილის მანქანიდან მოიპარეს მაგნიტოფონი. დაზარალებულმა ქურდის ძებნა დაიწყო, ეჭვი მიი-ტანა თანასოფლელ მაჩალიკაშვილზე და პასუხი მოსთხოვა. ეჭვმი-ტანილმა სასტიკი უარი განაცხადა, შორს დაიჭირა თავი. გ. გაურ-გაშვილმა, დარწმუნებულმა, რომ ქურდი სწორედ ის იყო, ჩაისვა მანქანაში, ტყეში წაიყვანა, ხეზე მიაბა და ძალადობით აიძულებდა აღიარებას. მაჩალიკაშვილი ქურდობას უარყოფდა.

ეს საქმე გახმაურდა, მაჩალიკაშვილებმა დაუწყეს დევნა გ. გაურგაშვილს, რადგან მან შელახა კაცის ღირსება, მოიტაცა და შეურაცხყოფა მიაყენა. ეს მართლაც ასე იყო: ქისტებში, რა და-ნაშაულიც არ უნდა მიუძღვდეს კაცს, არარაობაც რომ იყოს,

ლოთი, ქურდბაცაცა, მატყუარა, უკანასკნელი ნაძირალაც კი, კაცს ლირსება არ უნდა შეულახო. შეიძლება ასეთმა ადამიანმა ვერ შეძლოს თავის ლირსების დაცვა, მაგრამ მის უკან დგანან ნათესავები, გვარი და აუცილებლად პასუხს მოსთხოვენ.

ასე მოხდა ამჯერადაც. გაურგაშვილების უხუცესებმა გაიაზრეს მომხდარი, იგრძნეს პასუხისმგებლობა და შუამავლები მიუგზავნეს დაზარალებულებს და სთხოვეს, საქმე გაერჩიათ ადათობრივი სამართლით. ეს რამდენჯერმე გაიმეორეს, მაგრამ მაჩალიკაშვილები უარზე იყვნენ, ახალგაზრდები, პანკისის უკონტროლობის პერიოდში გათამამებულები, იარაღით დადიოდნენ და სისხლით აპირებდნენ შეურაცხყოფის ჩამობანას.

ეს დავა უნდა გადაწყვეტილიყო მშვიდობიანი გზით, ადათობრივი სამართლით, არცთუ მძიმე დანაშაული იყო, რომ იარაღით გაესწორებინათ ანგარიში.

ერთ საღამოს ოთხი ახალგზარდა ჩაუსაფრდა მთავარ გზაზე მიმავალ გ. გაურგაშვილს და ავტომატის ჯერი დააყარეს. რა თქმა უნდა, მათ არ ჰქონდათ გადაწყვეტილი მისი მოკვლა, მხოლოდ მისი დაჭრა სურდათ. ამაში დარწმუნებული ვარ, მაგრამ ოთხი კაცი რომ ესვრის, უნდა სცოდნოდათ, რომ სასიკვდილო ჭრილობის მიყენების რისკი დიდია. მით უმეტეს, როცა იარაღის ხმარების პრაქტიკა არ გააჩნდათ. ღამე ტყვია მაღლა მიდის, უფრო სწორად, უმიზნებ თითქოს კაცს ფეხებში, მაგრამ ხშირ შემთხვევაში მუცლის არეში ახვედრებ. ასე დაემართათ ჩვენ მიერ აღნერილ შ. ხანგოშვილის მკვლელობის დროსაც. იქაც მკვლელი ფეხებში უმიზნებდა, ერთი ტყვია წინიდან ბარძაყში ჰქონდა მოხვედრილი, ხოლო მეორე მუცელში, რომელმაც იმსხვერპლა.

გ. გაურგაშვილს ტყვიები მუცლის არეში მოხვდა და გარდაიცვალა. საქმემ სწორედ ის სახე მიიღო, ზემოთ რომ აღვნერეთ ჯგუფური მკვლელობის შესახებ, აქ ოთხი ესროდა გ. გაურგაშვილს, შემდეგ მიმოიფანტნენ და არავის ულიარებია მკვლელობა. დაზარალებულები სამართლიანად ითხოვდნენ „მეერს“, რამდენჯერმე მიმართეს მაჩალიკაშვილების უხუცესებს. ოთხივე მსროლე-

ლი მაჩალიკაშვილების გვარის წარმომადგენლები იყვნენ და ამიტომ უნდა დაესვათ „მეერად“ ერთ-ერთი მათგანი.

ეს საქმე, წესისა და ადათის მიხედვით, უნდა გადაეწყვიტა ქურდობაში ეჭვმიტანილის მამას, მის ახლო ნათესავებს, რადგან სწორედ მისი შეურაცხყოფის გამო მოხდა ეს მკვლელობა. არ ჰქონდა მნიშვნელობა, იყო თუ არა ეჭვმიტანილი დამნაშავე, რადგან მისი მიზეზით შეიწირა ახალგაზრდა კაცის სიცოცხლე.

გაურგაშვილებმა თავად დაინტერეს დამნაშავის ძიება. მათთვის ადვილი იყო, ესროლათ ოთხიდან ერთ-ერთისთვის, რომელიც ხელში ჩაუვარდებოდათ, მაგრამ მათ არჩიეს ის გზა, რომელიც სამართლიანი იქნებოდა. მათ მიაკვლიერ მთავარ დამნაშავეს, ყოველ შემთხვევაში ამას ამტკიცებენ. ამას ისიც დაემატა, რომ ამ ოთხიდან ის ახალგაზრდა სოფელში დაბრუნდა, ავტომატგადაკიდებული დადიოდა და არაფრისა ეშინოდა. იცოდა, რომ, როგორც კი მოიხელთებდნენ სისხლის მაძიებლები, ესროდნენ, მაგრამ შეუპოვარი ახალგაზრდა იყო.

ერთხელაც შეშა მიუტანეს და ეზოში ცლიდნენ, როცა გზიდან ესროლეს. ისროდა მოკლულის ვაჟი, თექვსმეტიოდე წლის მოზარდი. მაჩალიკაშვილმა მყისიერად გახსნა ცეცხლი. რ. გაურგაშვილი სანიალვრე არხში ჩაწვა და სროლა განაგრძო, მკლავში დაიჭრა, მაგრამ მიზანს მიაღწია და მტერი სიცოცხლეს გამოასალმა.

ასე დამთავრდა ეს საქმე. უბრალო, მანქანის მაგნიტოფონის გამო ორი ადამიანის, ორი ახალგაზრდის სიცოცხლე შეიწირა. რომ მოესმინათ უხუცესებისათვის, რომ მიემართა ორივე მხარეს ადათობრივი სამართლისათვის, გოროზობა და სიამაყე რომ მოეთოვათ, არ მოხდებოდა ასეთი უაზრო სისხლისღვრა.

როგორც შევნიშნეთ, „მეერი“ ადგილზე უნდა იმყოფებოდეს და მხოლოდ მასზე შეიძლება შურისძიება. დანარჩენი ნათესავები თავისუფლები არიან, მაგრამ მათაც აკისრიათ მოვალეობები, ქისტური ეთიკეს დაცვა, თორემ სიცოცხლეს საფრთხეში ჩაიგდებენ. ამით იმის თქმა მსურს, რომ მარტო „მეერის“ დასმით მთლად როდი თავისუფლდებიან დანარჩენები პაუხისმგებლობისაგან. მართალია,

მათ შეუძლიათ თავისუფლად გადაადგილება, მაგრამ უნდა დაიცვან ეთიკური ნორმები: უნდა იყვნენ ფხიზლად, დაზარალებულების მიმართ რაიმე უტაქტო, შეურაცხმყოფელი არ თქვან, მოერიდონ ქორწილებში, დღეობებში სიარულს, რათა პირისპირ არ შეეჩებონ მოსისხლეებს და ა.შ. წინააღმდეგ შემთხვევაში, შეიძლება მოსისხლეებმა იარაღს მიმართონ და „მეერი“, მოსაკლავად განწირული, გადარჩეს.

სოფ. ომალოში XX საუკუნის 20-იან წლებში მოხდა ასეთი შემთხვევა: მკვლელი „მეერად“ იჯდა, მაგრამ მოკლეს მისი ძმა. ომალოში ცხოვრობდნენ ძმები გორნაკაშვილები. მათში გამოირჩეოდა უფროსი, უსუბ გორნაკაშვილი მამაცობითა და თავზეხელალებულობით. სხვათა შორის, კარგად იცნობდა ქაქუცა ჩოლოყაშვილს და სხვა ქისტ მეგობრებთან ერთად შეფიცულთა რაზმში ირიცხებოდა.

ერთ დღეს უსუბმა უმცროსი ძმა ლაზარე გაგზავნა ცხენის მოსაყვანად, რომელიც სოფლის გარეთ საძოვარზე ჰყავდა გაშვებული. უმცროსი ძმა ცხენის გარეშე დაბრუნდა.

– ვერ იპოვნე ცხენი? – შეეკითხა უსუბი.

– ცხენი კი ვნახე, მაგრამ სხვის ყანაში შესულა და ყანის პატრონმა არ გამომატანა, ზარალი ამინაზლაურეო.

– როგორ, ჩემი ცხენი დაიჭირეს? არ წამოგაყვანინა? ან შენ როგორ გაბედე უცხენოდ მოსვლა? – ითეთქა უსუბმა. ამაყი და თავნება ხასიათის კაცი ყოფილა, ცა ქუდად და დედამიწა ქალამნად არ მიაჩნდა. – წადი ახლავე და ცხენი მომგვარე, ან ოთხმა მოგიტანონ (ე.ი. გინდაც მოგკლან, უცხენოდ არ დაბრუნდეო).

ლაზარე წავიდა, ჩხუბმი მოკლა ყანის პატრონი და უფროს ძმას ცხენი მოუყვანა. უსუბის თავმოყვარეობას კაცი შეეწირა. ჩამოვარდა მოსისხლეობა, როგორც ქისტები იტყვიან, „ფჟე ჰერჩან“ (სისხლი დაედო), მკვლელი სახეზე იყო და, ცხადია, „მეერად“ ლაზარე დასვეს.

უსუბი არაფრად აგდებდა დაზარალებულებს, არ ერიდებოდა მოკლულის ნათესავებს, ხშირად ამასხარავებდა კიდეც. ქორწილში

თუ დღეობაში არა თუ ერიდებოდა მოსისხლეებს, პირიქით, გამომწვევად იქცეოდა, ცეკვის დროს ფეხებით მტვერს აყრიდა და ა.შ. ძმები, ნათესავები ეუბნებოდნენ, მოქმედი ეს უხამსობა, მაგრამ ის ყურსაც კი არ იბერტყავდა. ცოლი ეუბნებოდა, გაჩერდი, მოკლულის ვაჟი იზრდება, თოფს დაგახალისო, მაგრამ უსუბი მხოლოდ გაიცინებდა და ფაფახს თავმომწონედ ჩამოსწევდა შუბლზე. მოხდენილი ვაჟები ყოფილა, თავმომწონე.

ერთხელაც როცა ეზოში შეშას ჭრიდა, თოფმა იქნება. უსუბი დაეცა. შინაურები მისცვივდნენ, მან მხოლოდ გაიღიმა, რაღაცის თქმა უნდოდა, ალბათ, რაღაცა სახუმაროსი, ასეთი შთაბეჭდილება დაურჩათ მნახველებს და სული განუტევა. ცხადია, „მეერი“ ლაზარე განთავისუფლდა, 68 წლის ასაკამდე იცოცხლა. ჭკვიანი კაცი იყო, სოფლის თავკაცი, ადათობრივი მოსამართლე და მოდავეთა შერიგებაში დიდი ღვაწლი მიუძღვის.

„მეერი“, როგორც მ. ალბუთაშვილი აღნიშნავდა, დასაკლავი ხარივით არის სიკვდილმისჯილი, მაგრამ გულხელდაკრეფილი როდი ელოდება სიკვდილს. არა, ის ყოველთვის მზად არის, დაიცვას საკუთარი სიცოცხლე, შეიარაღებულია და აბრაგივით ფრთხილი. სისხლის მაძიებელიც არ გახლავთ მთლად უკეთეს მდგომარეობაში, ისიც სიცოცხლეს საფრთხეში იგდებს, როცა მკვლელს დაეძებს, უსაფრდება. ისიც მზად უნდა იყოს, რადგან იცის, მკვლელიც მზად არის თავის სიცოცხლის დასაცავად.

სოფ. ჯოყოლოში მოხდა ასეთი შემთხვევა: გვალვიანი ზაფხული იდგა, სიმინდი მორწყვას მოითხოვდა. ასეთ დროს მთელი სოფელი ფეხზე იდგა, სარწყავი არხები ერთობლივი შრომით წესრიგში მოჰყავდათ, შემდეგ წილისყრით რიგი დგებოდა და რიგის მიხედვით თითოეული კომლი რწყავდა საკარმიდამო ნაკვეთს. მაგრამ წყლის მოპარვა, თავის ნაკვეთში გადაგდება ხშირი იყო, რასაც დავა და დავიდარაბა მოჰყვებოდა ხოლმე.

ერთ-ერთი ასეთი დავის დროს, სხვა ვერსით, ეზოდან ეზოში გამავალი ბილიკის გამო ჩხუბი მოხდა თანასოფლელებს შორის და ხანჯლის დაკვრით ილიკო დაქიშვილმა მოკლა თანასოფლელი

სოფრომ იჩოშვილი. ჩამოვარდა მოსისხლეობა ორ გვარს შორის. ქისტური ადათ-ნესის მიხედვით მოხდა „მეერის“ დასმა. მკვლელი „მეერი“ ილიკო ყოველთვის სახლში არ იყო ჩაკეტილი, ღამე ჩუმად სოფელში გადიოდა, ნაცნობ-მეგობრებს მოინახულებდა ხოლმე.

ასეთი „გასეირნება“ შეუმჩნეველი არ რჩება, დაზარალებულებს ჰყავთ ნათესავები, დედულები, ნაცნობ-მეგობრები და თვალყური უჭირავთ მკვლელის მოქმედებაზე, მოძრაობაზე. ერთხელაც სისხლის მაძიებლებმა გაიგეს, რომ იმ ღამეს იგი მეზობელ ქუჩაზე გაივლიდა და ჩაუსაფრდნენ. „მეერი“ დაშვებული, მაგრამ ფეხზე შეყენებული თოფით მიდიოდა. მას ახლდა ძმადნაფიცი, რომელიც გვერდიდან არ შორდებოდა, როცა ილიკო სოფელში გამოდიოდა. მოკლულის ძმამ ბობურა იჩოშვილმა თოფი შემართა, მაგრამ ილიკოს ძმადნაფიცმა შენიშნა, თოფის ლულას ხელი სტაცა. თოფმა იქუხა, მაგრამ მკვლელს ტყვია ასცდა. ერთდროულად გავარდა „მეერის“ თოფი და ბობურა ბეჭში დაიჭრა. ის მალევე გარდაიცვალა, ეტყობა, სისხლი მოეწამლა.

მკვლელს ორი სისხლი დაედო. იჩოშვილებმა ახლა გაორმა-გებული ძალისხმევით დაიწყეს დევნა და ერთხელაც მოიმწყვდიეს მეზობლის ფიცრულ სახლში, ალყა შემოარტყეს და დაუწყეს სროლა. შაშხანის ტყვიები ხვრელდა ფიცრებს, მაგრამ მკვლელი მამაცი და გამოცდილი მებრძოლი გამოდგა, მიწაზე ხანჯლით სანგარივით მოაწყო (ფიცრულს მიწის იატაკი ჰქონდა) და თავს იცავდა. იჩოშვილები ცოტანი იყვნენ ჯოყოლოში, ისინი დუისელი მარგოშვილების შტოს ნარმოადგენდნენ. მარგოშვილებიც მონაწილეობდნენ ალყაში.

დაქიშვილებიც დუისელი ბალაკაშვილების თეოფიდან იყვნენ, შეიტყვეს ბალაკაშვილებმაც და აცვივდნენ ჯოყოლოში მოგვარის გადასარჩენად. დაპირისპირებამ კულმინაციას მიაღწია, ამ დროს მიღიცაც გამოჩნდა ბედად, მკვლელი დაიჭირეს, ხელები გაუკრეს, ცხენებს შუა ჩააყენეს და ახმეტისკენ გაუდგნენ გზას.

შურისმაძიებლები მარცხს როდი შეურიგდნენ, წინიდან დაუკნიდან მიჰყვებოდნენ ბადრაგს და მომენტს უცდიდნენ, განზ-

რახვა სისრულეში მოეყვანათ. ილიკოც აცნობიერებდა სიტუაციას, იცოდა, რომ მიღიციელთა იმედად ყოფნა საბედისწერო იქნებოდა. ჯოყოლოსა და დუის შორის ტერიტორია იმ პერიოდში ჯაგნარითა და ბუჩქნარით იყო მოფენილი, ბალთაგორასთან ხშირი ტყე იწყებოდა. მან იფიქრა, გაქცევით შეფარებოდა ტყეს.

მართლაც, დრო იხელთა, როცა ბადრაგსა და შურისმაძიებლებს შორის კამათი ატყდა, ისკუპა და ჯაგნარისკენ მოკურცხლა. მარგოშვილმა შენიშნა, გაეკიდა და სანამ ტყეს შეაფარებდა თავს, ესროლა და მოკლა.

იჩოშვილებმა მალე კიდევ ერთი მოსისხლე მოკლეს და გასწორდა ანგარიში. უბრალო კინკლაობით წამოწყებულმა ჩხუბმა ოთხი ვაჟეკაცი შეიწირა. განსაკუთრებით მათში გამოირჩეოდა ბობურ იჩოშვილი, როგორც ვნახეთ, ნაკლები არც ილიკო დაქიშვილი ყოფილა.

მკვლელი თავშესაფარს ყველგან ვერ ნახავს. მართალია, თუ მკვლელი შევარდა უცხო ოჯახში და თავშესაფარი ითხოვა, ის სტუმრის სტატუსს იძენს, მაგრამ ძალზე შეზღუდულ სტატუსს. მასპინძელი, დაზარალებულთა მიერ გაფრთხილების შემთხვევაში (რაც მაშინვე მოხდება, როგორც კი შეიტყობენ მკვლელის ადგილ-სამყოფელს), ვალდებულია, დაატოვებინოს თავისი ოჯახი. მაგრამ იგი ასევე ვალდებულია, უსაფრთხოდ გადაიყვანოს მკვლელი სხვა ადგილას. მკვლელს თავის გვარის წევრების ოჯახების გარდა შეუძლია თავი შეაფაროს დედეულებში, განსაკუთრებით დედის ძმის ოჯახში. როგორც უკვე ვთქვით, ბიძის, კერძოდ კი დედის ძმის კულტი ქისტებში ძლიერია, გვარის წევრების გარდა არავის აქვს სისხლის აღების უფლება, გამონაკლისია დისშვილი, რომელსაც შეუძლია ბიძის მკვლელზე შური იძიოს.

დიდი მნიშვნელობა აქვს ასევე მკვლელობის ადგილს. თუ მკვლელობა მოხდა სხვა გვარის ოჯახში, მასპინძელმა პასუხი უნდა აგოს ამ მკვლელობაზე. უფრო სწორად, უნდა დაამტკიცოს თავისი უდანაშაულობა მკვლელობაში. თუ მასპინძლის უდანაშაულობა არ მტკიცდება მოწმეთა ჩვენებით, მაშინ ის გვარის 10 კაცთან ერ-

თად ფიციტ ადასტურებს თავის უდანაშაულობას, თუ ვერ მოინახა 10 კაცი დასაფიცებლად, იგი დამნაშავედ მიიჩნევა და იხდის 10 ძროხის საფასურს.

მასპინძელი, რომლის ოჯახშიც მოხდა მკვლელობა, მოკლულის ნათესავებთან დავის დამთავრების შემდეგ მიუბრუნდება მკვლელს და პასუხს სთხოვს სტუმრის მკვლელობაზე, იგი გვერდში უდგება სისხლის მაძიებლებს და პასუხს აგებინებს მისი ოჯახის შეურაცხყოფაზე.

ასევე მნიშვნელობა აქვს იარაღის კუთვნილებას, რომლითაც მოხდა მკვლელობა. თუ თოფი მკვლელის საკუთრებაა, სადავო არაფერია, მაგრამ თუ ნათხოვარია, მაშინ თოფის პატრონს მოუწევს პასუხისმგებელი. თოფის პატრონმა უნდა დაამტკიცოს, რომ არ იცოდა, თუ რისთვის სჭირდებოდა თოფი მთხოვნელს, მან 10 კაცის ფიციტ უნდა დაამტკიცოს, რომ არ იცოდა, თოფის მთხოვნელი მკვლელობას თუ აპირებდა. თუ ვერ შეგროვდა 10 მოფიცარი, მაშინ ის იხდის 10 ძროხის საფასურს.

ყოფილა შემთხვევა, როდესაც მკვლელობა დაკვეთით მომხდარა. ასეთი რამ იშვიათობაა ქისტებში, თითქმის გამორიცხულიც, რომ ფულის გულისთვის ან ანგარებით, ვისიმე დაკვეთით ქისტმა მოკლას კაცი. ამ შემთხვევაში მას საზოგადოებისგან გაკიცხვა და გარიყვა მოელის და შერიგება გამორიცხულია. უხუცესებიც არ ჩაერევიან ასეთ ბინძურ საქმეში. ალბათ, ამიტომაც არის, რომ დაკვეთს რაიმე სერიოზული პაუხისმგებლობაც არ ეკისრება ადათობრივი სიმართლით. დამკვეთი იტყვის: რომ მეთქვა თავი მოიკალიო, მოიკლავდა თავს, რაც უნდა სიმდიდრე შემეთავაზებინა? ამიტომაც არის, რომ მთელი პასუხისმგებლობა ეკისრება უშუალო მკვლელს, მას, ვისაც „ხელები ჭუჭყიანი“ აქვს.

მაგრამ არის ერთი ნიუანსი დამკვეთთან დაკავშირებით. დავუშვათ, კაცს იდეოლოგიურად ამუშავებს, აგიტაციას ეწევა, დაითანხმებს და გზავნის ისეთ საქმეზე, რომელიც სასიკვდილო საფრთხეს შეიცავს, თანაც ასეთ საქმეზე ფულს აკეთებს. უფრო ნათელი რომ გახდეს მკითხველისათვის, მოვიყვან მაგალითს დღე-

ვანდელობიდან. ქისტი ახალგაზრდები მიდიან სირიაში საომრად ე.ნ. ჯიპატში მონაწილეობის მისაღებად. რამდენად გამართლებულია ეს სიბეჭე და სიბრიყვე, სხვა საკითხია. აქ საქმე ეხება იმას, რომ 16-20 წლის ახალგაზრდები, რომელთა დიდი ნაწილი თბილისა არ გასცილებია, რომლებსაც საკუთარი ლარიც კი არ გააჩნიათ, უცბად სირიაში აღმოჩნდებიან და იღუპებიან. დღესდღეობით 12 ახალგაზრდაა დაღუპული და ვინ იცის, კიდევ რამდენი გაიზიარებს მათ ბეჭს. ამ ახალგაზრდებს ვილაც-ვილაცები უწევენ აგიტაციას, აფინანსებენ და გზავნიან სასაკლაოზე. უდავოდ, ჩვენში, ქისტებშიც არიან არაბ დამქირავებელთა კურიერები, რომლებიც უშუალოდ მუშაობენ ე.ნ. მოჯაპედებთან. ასეთებს, როგორც კი გამოაშკარავდებიან, გამოეცხადებათ „ჭირ“, დაიწყება სისხლის ძიება. რა თქმა უნდა, ეს მოხდება იმ შემთხვევაში, თუ მშობლები და ძმები დაღუპულისა არ არიან ვაპაბიტები. ვაპაბიტები, პირიქით, კმაყოფილებიც იქნებიან: ალაპის საქმეს შეეწირნენო, ალაპის ნება ყოფილაო. ყველაფერს ალაპს აბრალებენ, კარგი გამოსავალი კი მონახეს.

ასეთი შემთხვევები უახლესი ცხოვრების მოვლენაა და, ალბათ, დაზუსტებას, დაკვირვებას, სათანადო დასკვნებსა და სათანადო ადათობრივი კოდექსის შემუშავებას მოითხოვს. მაგრამ ეს არ არის რთული, რამეთუ მსგავსი, პრაქტიკულად მომხდარი პრეცედენტები ქმნიან ტრადიციებს.

სირიაში საბრძოლველად ახალგაზრდების გაგზავნას, შეიძლება, თანამედროვე ტერმინს თუ ვიხმართ, სხვა კვალიფიკაცია მიენიჭოს, კერძოდ, ადამიანის გაყიდვა. ეს ძალზე მძიმე ბრალდებაა, რაც თითქმის მოსისხლეობას უტოლდება – „ფპა ლეახარ“ (სისხლის ძიება). თუ დამტკიცდება, რომ დამქირავებელი ფულს აკეთებს უცხო ქვეყანის საბრძოლველად ახალგაზრდის დაქირავებაში, მაშასადამე, იგი ყიდის მებრძოლს. მით უმეტეს, იგი ამას აკეთებს ხალხისგან, მშობლებისგან, ნათესავებისგან ფარულად, რაც უფრო ამძიმებს დანაშაულს.

მოვიყვან მაგალითს, რომელიც, მართალია, არ ესადაგება

ზემოთ გამოთქმულ მოსაზრებას, მაგრამ იდეურად ენათესავება და გასაგებს ხდის მოვლენის არსა. გასული საუკუნის მიწურულს ომალოელმა ახალგაზრდამ, წინწალაშვილების გვარისამ ქ. გროზნოში სამუშაოდ წაიყვანა ბრიგადა. ეს ის პერიოდია, როცა ხალხი გაჭირვებული იყო, მოშლილი იყო სახელმწიფოებრივი სტრუქტურები, უმუშევარი იყო მოსახლეობის 90%-ზე მეტი. ქისტებს ჩეჩენთსა და ინგუშეთში სამუშაოდ მიჰყავდათ ქართველი ხელოსნები, ქმნიდნენ ბრიგადებს და ბრიგადირი გამომუშავებულ ფულში ერთი კაცის წილს იღებდა. ეს პრინციპი დიდი ხნიდან მოქმედებდა, ამაში რაიმე განსაკუთრებული და უსამართლობა არ იგრძნობოდა.

ომალოელმა ქისტმა სამუშაოდ წაიყვანა ახმეტელი ნაცრობები, სამუშაო იშოვა, სახლის პატრონს მოურიგდა, პირობები გააცნო ბრიგადის წევრებს და მუშაობას შეუდგა. ბრიგადირი ვალდებული იყო, მუშებისთვის საცხოვრებელი მოენახა, მოემარაგებინა საკვები პროდუქტებით და რაც მთავარია, უზრუნველეყო მათი უსაფრთხოება. იმ პერიოდში ქ. გროზნოში კრიმინალი თავისუფლად დათარებობდა, ძარცვა, მკვლელობა ისე იყო მოდებული, რომ კაცი დაღამების შემდეგ ქუჩაში ვერ გამოდიოდა, ამიტომ იყო, რომ განსაკუთრებული ყურადღება ექცეოდა უსაფრთხოებას, უსაფრთხოების გარანტის გარეშე ვერავინ მოჰკიდებდა საქმეს ხელს.

მუშაობის დაწყებიდან რამდენიმე ხნის შემდეგ ბრიგადაში ბზარი გაჩნდა, დაიწყო უთანხმოება და ახმეტელები გამოეყვნენ და ცალკე დაიწყეს მუშაობა. უთანხმოებაში ერთმანეთს სდებდნენ ბრალს, სიმართლე ვის მხარეზე იყო, ჩემთვის უცნობია. ერთი რამცხადია, რომ ამ უთანხმოებას ორი კაცის სიცოცხლე შეეწირა.

სამუშაოს დამთავრების შემდეგ ბრიგადირის უმცროსმა ძმამ წილი მოსთხოვა ახმეტელებს, რომელთაც უარი უთხრეს იმ მოტივით, რომ მათ დამოუკიდებლად შეასრულეს ეს სამუშაო. მაშინ მან დაადგინა, რომ გასამრჯელო უკვე მიიღეს ახმეტელებმა და მეორე დღეს საქართველოში მიემგზავრებოდნენ. ის შეუთანხმდა დუისელ ახალგაზრდას და გადაწყვეტეს, ძალად წაართვან, მათი აზრით, კუთვნილი ფული. დუისელმა ახალგაზრდამ დაუკითხავად აიღო

სიძის პისტოლეტი და ორივე წავიდა ბინაში, სადაც ახმეტელები ცხოვრობდნენ.

ოთახში შევიდნენ და დუისელი ე. ხანგოშვილმა პისტოლეტი მიუშვერა ახმეტელს და უბრძანა, ფულის გადაცემა. შეკამათდნენ, დუისელი განერვიულდა და დაუყვირა, ფული ამოიღეო. ახმეტელი მიხვდა, რომ შეიძლება ნერვიულობის დროს იარაღი გავარდნოდა და უბისკენ წაიღო ხელი ფულის ამოსალებად. დუისელი ასეთ საქმეში გამოუცდელი იყო, იარაღსაც ვერ ფლობდა კარგად, თანაც განერვიულებული, პანიკაში იყო და როცა ახმეტელმა ხელი უბისკენ წაიღო, ალბათ, იფიქრა, იარაღს იღებსო ან კიდევ სრულიად შესაძლებლია, გაუვარდა კიდევ პისტოლეტი.

ასეა თუ ისე, მოხდა გაუთვალისწინებელი რამ, ტყვიამ სრულიად უდანაშაულო ადამიანი იმსხვერპლა. წინწალაშვილებმა ცხედარი გააპატიოსნეს, თავისი ხარჯით ჩამოასვენეს ახმეტაში, გამოაყოლეს გამცილებლები და დაზარალებულებს მოხდარი აუნერეს.

მარტიაშვილები დილემის წინაშე აღმოჩნდნენ, ვის მოსთხოვონ პასუხი. უშუალო მკვლელი გროზნოშია, „ჭუჭყიანი ხელების“ პრინციპი მათვისაც უცხო არ არის, კარგად იციან ქისტური ადათები, მაგრამ მათ სულ სხვა გზა აირჩიეს – ჩაგაბარე-ჩამაბარეს პრინციპი. ე.ი. მე შენ საღ-საღამათი კაცი ჩაგაბარე, შენ ვალდებული იყავი, დაგეცვა ის საფრთხისაგან და უვნებელი უნდა ჩამოგეყვანა. შენ კი პირიქით მოიქეცი, სხვას მოაკვლევინე.

ეს დავა გრძელდებოდა კარგა ხანს. ომალოელებიც გასაჭირში იყვნენ, სისხლის აღიარება უჭირდდათ, რადგან მათ არ მოუკლავთ, მაგრამ ისიც იცოდნენ, რომ პასუხისმგებლობას ვერ გაექცეოდნენ, დუისელებს მიმართეს, მკვლელის ნათესავებს, მაგრამ მათ შორს დაიჭირეს – ჩვენ თქვენი კაცი არ მოგვიკლავს, მოვკალით სხვა, ისიც თქვენი კაცის მეშვეობით. პირიქით, პრეტენზიაც კი წაუყენეს – ჩვენი კაცი თქვენ გაახვიეთ ხათაბალაშიო.

ერთი სიტყვით, რთული სიტუაცია შეიქნა, უხუცესები ბჭობაში იყვნენ, როგორ მოეგვარებინათ საქმე. ამ დროს მოკლულის

სამუშაოზე დამქირავებელი ომალოელი ჩამოვიდა გროზნოდან, თავის საქმეზე იყო ახმეტაში, თავს უშიშრად გრძნობს, რადგან მკვლელობაში ბრალი არ მიუძღვოდა. ეს მისი დიდი შეცდომა იყო, რასაც შეეწირა კიდეც. თელავში მიმავალს ახმეტის ბოლოში ეს-როლეს და მოკლეს.

ამ საქმეს გაგრძელება არ მოჰყოლია, აღსრულდა უძველეს დროიდან მომდინარე დოგმა – „თვალი თვალის წილ, კბილი კბილის წილ“.

მიწაზე დავის გამო ტრაგედია დატრიალდა პატარა დუმასტურში. სოფ. დუმასტურს ესაზღვრება სამხრეთით მდ. ალაზნის აღმოსავლეთით შეჭრილი საკმაოდ მოზრდილი უბე. ამ გაშლილ ვაკეს სამხრეთით ჩამოუდის პატარა ხევი, რომელიც ყოფს სახნავ მიწებზე და სამხრეთით ზემო ხალაწანიდან ალაზნისკენ დაშვებული ნაქერლის ქედის განშტოებული პატარა ქედის საძოვრებს. სოფ. დუისის მაცხოვრებელ ქისტებს, კერძოდ, გაურგაშვილებს, შესყიდული ჰქონდათ ხსენებულ ვაკეზე სახნავი მიწები, ამუშავებდნენ და მოსავალი ჩაჰქონდათ სახლებში.

დუმასტურელ ოსებს არ მოსწონდათ, რომ მათი სოფლის მახლობლად დუისელებს საკუთარი მიწა ჰქონდათ და ყოველნაირად ხელს უშლიდნენ დამუშავებასა და მოსავლის აღებაშიც. ხშირად საქონელს უშვებდნენ სიმინდში, არც ქურდობას თაკილობდნენ. სიმართლე უნდა ითქვას, რომ ქისტებიც არ ჩამორჩებოდნენ, აჭარბებდნენ კიდეც საქონლის ქურდობაში და ამის გამო დიდი აყალ-მაყალი არც ატყდებოდა ხოლმე, რომ იტყვიან, ბარი-ბარში იყვნენ.

მაგრამ ამჯერად საქმემ სერიოზული ხასიათი მიიღო, რადგან საქმე საარსებო მიწას ეხებოდა. მიწის ნაკლებობის გამო ხშირ დავას მიჩვეული მთიელები განსაკუთრებული სიშმაგით მეტოქეობდნენ და მკვლელობებსაც არ ერიდებოდნენ. ასეთ დროს დიდი მნიშვნელობა აქვს სოფლის თავკაცების პოზიციას, რომლებიც უნდა გამოდიოდნენ მშვიდობიანი მოლაპარაკების გზით დავის გადაწყვეტის ინიციატივით. მაგრამ დუმასტურის თავკაცი, სოფლის მამასახლისი ფისურა (ფისა) პირიქით მოიქცა, როდესაც გაურგაშვილები

ერთი თუ ორი უდელი ხარ-კამეჩით ავიდნენ პატარა დუმასტურში და თავიანთი მინის ხვნა დაიწყეს, ფისურა აპობოქრდა:

— ხალხო, თუ ქისტებს უფლება მივეცით, დაამუშაონ ეს მიწები, ჩვენ აქედან უნდა ავიყარნეთ და სხვაგან წავიდეთ. როდემდე უნდა ვინანწალოთ? დუისელებს საკმარისი მიწები აქვთ დუისის მინდვრებში, ხალანანში, წინუბანსა და საკობიანოში. ყველანი გამოდით, აქედან უნდა გავრეკოთ!

აჩირქილდა მთელი სოფელი, ქალი, კაცი, მოხუცი თუ ახალგაზრდა დაიძრა მინდვრისკენ და თავს დატყდა 5-6 კაცს. არნახული ჩხუბი ატყდა, ყვირილი, კივილი, ლანძღვა-გინება ოსურად და ქისტურად იქაურობას აყრუებდა. იარაღი არავის ჰქონდა. ოსებს, ვისაც რა მოხვდა ხელში, წამოელო: თოხი, ბარი, კეტი, ნამგალი, ფინალი. ისეთი გნიასი იდგა, რომ სოფ. დუისის ზემო უბნელები დაიძრნენ ჩხუბის ადგილისკენ, მოსალოდნელი იყო სოფლების ჩართვა ჩხუბში და ყოფა-ცხოვრებითი კონფლიქტის ეროვნულ შუღლში გადაზრდა.

სანამ უხუცესები ჩაერეოდნენ, ტრაგედია მაინც დატრიალდა. ბაჲა გაურგაშვილის ძმა, ახალგაზრდა, დასაქორწინებელი ბიჭი ჩხუბში გამოირჩეოდა. მას მიეპარა ერთ-ერთი დუმასტურელი და უკნიდან თავში დაჲკრა, დარტყმა ისეთი ძლიერი იყო, რომ თავის ქალა ჩაუმსხვრია და ტვინი გადმოიღვარა. იგი სოფელში ჩამოსვნებისთანავე გარდაიცვალა.

როგორც კი ჩხუბის ამბავი გაიგო, წოი გაურგაშვილი ცხენს მოახტა, კეტს წამოავლო ხელი და აქანდა დუმასტურისკენ. როცა მიალწია ჩხუბის ადგილს, ჩხუბი ჯერ კიდევ მძვინვარებდა. იგი ცხენდაცხენ შეიჭრა მოჩხუბრებში და პირველივე ოსს, რომელიც დახრილიყო და ქვას იღებდა დასარტყმელად, თავში კეტი დაჲკრა და მოკლა. შემდეგლა შეიტყო, რომ ქალი მოეკლა.

ერთი სიტყვით, ამ უაზრო ჩხუბს ერთი კაცი და ერთი ქალი შეეწირა. მაგრამ ამით როდი დასრულდა ეს კონფლიქტი. ამბობენ, ერთ-ერთი მოჩხუბარი ოსი დაავადდა და რამდენიმე ხნის შემდეგ გარდაიცვალა. არც ამით დასრულებულა ეს საქმე. როცა ეს ჩხუბი

მოხდა, გარდაცვლილი გაურგაშვილის ბიძაშვილი მურთაზ გაურგაშვილი შილდაში ცხვარში იმყოფებოდა. იგი, როგორც კი შეიტყო მომხდარი, დაბრუნდა სახლში და დაიფიცა, რომ საყვარელი ბიძაშვილის სისხლს აიღებდა, მთავარი პრობლემა მისთვის აღმოჩნდა „მეერი“, ე.ი. ვინ უნდა მოეკლა. ალნიშნულ ჩხუბში, როგორც ითქვა, თითქმის მთელი სოფელი მონაწილეობდა და ვის ჰქონდა „ხელები ჭუჭყიანი“ (ვისი ხელით მოკვდა ახალგაზრდა) ძნელი დასადგენი გახდა.

გაურგაშვილებმა იმსჯელეს და გადაწყვიტეს, რომ დამნაშავე იყო სოფლის მამასახლისი ფისარა და ის უნდა დასჯილიყო.

მურთაზმა დაიწყო დევნა. მტრის მოხელთება არცთუ ისე იოლი იყო, ფისარა ფრთხილობდა, ყოველთვის შეიარაღებული იყო და ხელისუფლების მხარდაჭერაც ჰქონდა, მაგრამ კაცს ბედი ურმით დასდევს და ერთხელაც დაეწევა ხოლმე.

მურთაზს ამბავი მიუტანეს, რომ ფისარა და მასთან კიდევ ერთი სოფლის ბოლოში დუქანში ქეიფობდნენ. მან თოფს წამოავლო ხელი, სავაზნე მხარილლივ გადაიკიდა და ჩქარი ნაბიჯით სოფელი ჩრდილოეთით გადაჭრა. დუმასტური ჯოყოლოს პირდაპირ, ალაზნის გაღმა მდებარეობს და ფისარას მთავარ გზაზე უნდა ევლო ჯოყოლოსკენ და მერე გადავიდოდა თავის სოფელში. მურთაზმა გადაწყვიტა, რომ მტერს ჩასაფრებოდა ჯოყოლოსა და დუისს შორის.

ამ ორ სოფელს შორის მაშინ დიდი მინდორი იდო, ე.წ. ენერი იყო, ზღმარტლებით, შვინდებით, პანტებითა და ჯაგებით მოფენილი. დიდი გვიმრები იზრდებოდა, ჩემს ბავშვობაში ნახირს ვაძოვებდით, კურდლელზეც კი მინადირია. სწორედ იქეთკენ გაემართა მურთაზი. მას ბასა ბალაკაშვილი დახვდა (გოი ბაას), რომელიც ცხვარს აძოვებდა. მურთაზი მიესალმა თანასოფლელს და უთხრა:

- ყურადღებით იყავი, მტერს ველოდები.
- ფიქრი ნუ გაქვს, მეც შენთან ვარ, – უთხრა ბასამ და თოფი მოიმარჯვა.

დიდხანს ლოდინი არ დასჭირვებია მურთაზს. გამოჩნდნენ ცხ-

ენოსნები, რომლებიც აჩქარებულად მოჰყვებოდნენ მთავარ გზას. ფისურა ადვილად გამოირჩეოდა, რადგან მისი ამხანაგი წვერიანი იყო. სროლა მურთაზმა დაიწყო. ფისურამ ცხენი გააჭენა. მურთაზმა ტყვია დადგენა, ერთი, ორი, სამი, მაგრამ ვერ მოარტყა. ბასა წვერიანს უთვალთვალებდა და როცა შეატყო, რომ ფისას ამხანაგი არ ერეოდა საქმეში, მანაც ესროლა. მურთაზისა და ბასას თოფები ერთდროულად გავარდა და ცხენიც წაიქცა. ძნელი იყო დადგენა, თუ რომელმა მოარტყა ცხენს, ისე ბასმ დაიყვირა, მოვარტყი თუ არაო! ფისარა, როგორც კი ცხენი წაიქცა, გადახტა და სოფლისკენ გაიქცა.

მურთაზიც გზის გადასაჭრელად აღმა გაიქცა. თან გზადაგზა თოფი (რუსული შაშხანა) გადატენა და სირბილისგან აქოშინებული ჯოყოლოს ბოლოში დუმასტურისკენ მიმავალ ბილიკზე ავარდა. ზუსტად ამ დროს ბილიკზე გამოქცეული ფისაც გამოჩნდა. სიცოცხლე დასწრებაზე ეკიდა. მურთაზმა ესროლა და მტერიც წაიქცა. მან საკონტროლი გასროლით სიცოცხლეს გამოასალმა ფისარა, მივიდა მოკლულთან, ფეხი ტანზე დააბიჯა და ააწყვიტა ვერცხლის ქამარ-ხანჯალი და ნაგანის სისტემის პისტოლეტიც აართვა.

ეს შეცდომა იყო, რადგან ქისტური ადათით, როგორც ითქვა, მიცვალებულის მძიმე შეურაცხყოფად ითვლება „წელის გახსნა“ (იარაღის წალება). როდესაც საქმე ადათობრივი სამართლით გაირჩა, სათანადო საზღაურის (თითქმის სისხლის ფასის ნახევარი) გადახდა მოუწიათ.

საქმე ბოლოს და ბოლოს მშვიდობიანად მოგვარდა. მაგრამ ამ ამბავს ოთხი ადამიანის სიცოცხლე შეეწირა, გაურგაშვილებმა სისხლი აიღეს, დუმასტურელებმა მათი მიწები მიიღეს, ვინ დარჩა მოგებული, მკითხველმა თავად განსაჯოს.

მე ეს არცთუ სასიამოვნო ეპიზოდი იმიტომ მოვიყვანე, რომ ზოგჯერ მკვლელობის დამკვეთს, რომელსაც უშუალოდ არ მიუღია მონაწილეობა მკვლელობაში, პასუხისმგებლობა ეკისრება. ჩემი აზრით, ეს სამართლიანია, რამეთუ მთავარი ბოროტმოქმედი წამქეზებელი და მკვლელობის ხელშემწყობია.

როგორც აღვნიშნეთ, როგორც კი მოსისხლეობა ჩამოვარდება გვარებს შორის, უხუცესები, რა თქმა უნდა, სხვა გვარების წარმომადგენლები ჩაერევიან მშვიდობის დასამყარებლად, რათა ერთ მკვლელობას არ მოჰყვეს მეორე და ა.შ. ხნიერი ხალხის გადმოცემით, ქისტეთში ყოფილა შემთხვევები, როცა გვარში სერიული მკვლელობების შედეგად თითქმის მთელი ზრდასრული მამაკაცები ამონტვეტილა.

ვოშალ – საძმოს მოგვარების შემდეგ შეიძლება უკვე მუშაობის დაწყება პატივების კუთხით. როგორც ზემოთაც ითქვა, თუ მკვლელობა შემთხვევით მოხდა, ე.ი. მკვლელს არ ჰქონდა განზრახვა მკვლელობის ჩასადენად, მაშინ არცთუ ისე რთულია შერიგების მიღწევა. მაგრამ მაშინაც კი დიდი ძალისხმევა და მუშაობის ჩატარებაა საჭირო, რომ შედეგს მიაღწიო. განსაკუთრებით დიდი ხვეწნა-მუდარა სჭირდებათ უხუცესებს, როცა მკვლელობა ჩადენილია მძიმე ვითარებაში, შეიმჩნევა შეურაცხმყოფელი დამოკიდებულება ცხედრისადმი, სისასტიკე და ა.შ.

პირველი, რასაც უხუცესები აკეთებენ, არის ის, რომ მოკლულის გვარში ეძებენ პიროვნებას, პიროვნებებს, რომლებიც გვარში გამოირჩევიან ავტორიტეტით, გავლენით, სიბრძნით, სიდინჯით, დარბაისლობით და მათთან ამყარებენ კონტაქტს. პირდაპირ, ჯიქურ მისვლა დაზარალებულის ოჯახში მიუღებელია, ამან შეიძლება ცუდი რეაქცია გამოიწვიოს, ამავე დროს, შუამავალს უნდა გააჩნდეს მოთმინების დიდი უნარი, უნდა შეეძლოს შეურაცხმყოფის, ყვირილის, ლანძღვის და სხვა მისთანა უხამსობის ატანა. უნდა გამოირჩეოდეს სიბრძნით, მჭევრმეტყველებით, ადამიანებზე ზემოქმედების უნარით და რაც მთავარია, უნდა სარგებლობდეს სოფელსა და ხეობაში დიდი ავტორიტეტით.

შუამავლები იწყებენ მოლაპარაკებას, მოჰყავთ უამრავი მაგალითები წინათ და უახლეს დროში მომხდარ შერიგებებზე, პატიებასა და პატიების სიდიადეზე, რომელიც მპატიებელს დიდად წაადგება როგორც სააქაო, ისე საიქიო ცხოვრებაში. შუამავალი ასევე კარგად უნდა იცნობდეს თავის რელიგიას, უნდა ერკვეოდეს

რელიგიურ დოგმებში. ასეთი შუამავლების ხსოვნა დიდხანს ცოცხლობს მოსახლეობაში. დღესაც შუამავლის ეტალონებად მიჩნეულია დუისელი ქასა ქავთარაშვილი (ეზი ქას), ლაპაზ გაურგაშვილი (ცუქი ლაპაზი), სუას გუმაშვილი (დეძი სუას), ჯოულოელი ლაპე გუმაშვილი (ქასეუ ლაპე), ბირკიანელი ლაპაზ ქუშანაშვილი (თოთი ლაპაზი), ომალოელი ლაზარე გორნაკაშვილი (თათე ლაზარ) და სხვა მრავალი, ყველას ვერ ჩამოთვლი. ეზი ქას გამოირჩეოდა მოთმინების დიდი უნარით, როგორი შეურაცხყოფაც არ უნდა მიეყენებინათ, ელანძღათ და ეგინათ დაზარალებულებს, ყოველთვის ტკბილად ელაპარაკებოდა, არასოდეს ხმას არ აუმაღლებდა, დიდის მოწინებით, ხვეწნა-მუდარით ცდილობდა შერიგებაზე დაყოლიერას. ყოფილა შემთხვევები, როცა დაზარალებულები ემალებოდნენ, იპარებოდნენ სახლიდან, მაგრამ იგი მოთმინებით ელოდა, ან კიდევ ძალლს აუშვებდნენ, რათა ეზოში არ შესულიყო, მაგრამ ის ქუჩაში მოთმინებით ელოდა, იცოდა, რომ ბოლოს მაინც ქისტური ტრადიცია, „უეზდიელ“ (ეთიკა) გაიმარჯვებდა და დადებით შედეგს მიაღწევდა.

როცა გვარის უხუცესებთან მოილაპარაკებდნენ, შუამავლები მათთან ერთად მიდიან დაზარალებულის ოჯახში და ოჯახის უფროსთან, მოკლულის მამასთან, ბიძასთან, ძმებთან იწყებენ მოლაპარაკებას. ძალიან რთული, შრომატევადი სამუშაოა, დიდ მოთმინებას, ძალისხმევას ითხოვს, რადგან მოკლულის ნათესავები უარზე არიან, ახსოვთ თავიანთი მკვდარი, ჭრილობები არა მოშუშებული.

მაგრამ ბოლოს და ბოლოს მაინც იმარჯვებს ქისტური ადათნესი, უფროსების, ნათესავების პატივისცემა და უფრო დარბაისელი თანხმდება შერიგებაზე, მაგრამ არიან ჯიუტებიც, რომელთა დაყოლიება დიდ შრომას მოითხოვს. ამ შემთხვევაში შუამავლები, რომელთაც კარგად ახსოვთ ან გადმოცემით იციან, წინათ მომხდარი მკვლელობები, თუ ვინ ვის აპატია მკვლელობა, მონახავენ ისეთს, რომელსაც ადრე უპატიებია ამ გვარის წარმომადგენლისათვის მკვლელობა. მას მიმართავენ, ჩეჩინეთ-ინგუშეთშიც რომ ცხოვრობდეს, ჩამოიყვანენ და დახმარებას სთხოვენ. ცხადია,

ასეთი პიროვნება ვერ მივა დაზარალებულთან და არ ეტყვის: აი, მე თქვენ გაპატიეთ და სამაგიეროდ ახლა თქვენც აპატიეთო. ეს არაეთიკური იქნებოდა. მაგრამ მისი დასწრება შუამავლების საუბრის დროს საკმარისია, რომ ზემოქმედება მოახდინოს ჯიუტ დაზარალებულზე.

ბოლოს, როცა ყველა სამუშაო შესრულებულია, შუამავლები მიმართავენ უკანასკნელ ღონისძიებას: პანკისის ქისტურ სოფლებში დაგზავნიან მაცნეებს და მოუწოდებენ ხალხს, შეიკრიბონ დაზარალებულის სოფელში, რათა ხალხმა კოლექტიურად სთხოვოს პატიება, დღესაც შეარჩევენ ისეთს, რომელიც ემთხვევა რელიგიურ წმინდა დღესასწაულს. ამ დღეს ხალხი იკრიბება ყველა სოფლიდან, შუამავლები გაუძლვებინან წინ და მიდიან დაზარალებულის ოჯახში. ავტორიტეტიანი, მჭევრმეტყველი, ჭკვიანი უხუცესი წინ წადგება და თხოვნით მიმართავს დაზარალებულს, აპატიოს სისხლი, შემდეგ მეორე, მესამე უხუცესი მიმართავს დაზარალებულს, მოჰყავთ შესაფერი მაგალითები და ღმერთის, ხალხის სახელით სთხოვს პატიებას. ძალიან მძიმე განცდაა, ხშირად უხუცესები ტირიან და პატიებას სთხოვენ, იჩიქებს მთელი ხალხი, არ აქვს მნიშვნელობა, როგორი ამინდია. მომსწრე ვარ, რომ საათობით თოვლში, ყინვაში, წვიმაში, ტალახში ვმდგარვართ დაჩირქილები და ქუდმოხდილები.

ძალიან მძიმე სურათია. ეს თავად უნდა ნახო, თავად უნდა განიცადო, რომ ჩანვდე მის სიმძიმეს. ამას თან ერთვის ტირილი, შეძახილები – ალაპის გულისთვის – უხუცესთა ტირილი, დაზარალებულთა ტირილი და ქალების მოთქმა.

შეუძლებელია ასეთ თხოვნაზე უარის თქმა. 72 წლისა ვარ, ბევრ ასეთ მომენტს შევსწრებივარ, მაგრამ მხოლოდ ერთხელ შევესწარი უარს და მაშინაც ისეთი რამ მოხდა, რომ დიდხანს დარჩება ხალხის მეხსიერებაში.

ეს მოხდა ამ რამდენიმე წლის წინ. ქ. გროზნოში ჩხუბი მოხდა დუისელ ქავთარაშვილსა და გაურგაშვილს შორის. ქავთარაშვილმა ფეხებში ავტომატით დაჭრა გაურგაშვილი, რომელსაც სასწრაფო დახმარება ვერ აღმოუჩინეს და გარდაიცვალა. გარდაცვლილი

საკმაოდ უკმეხი ხასიათის კაცი იყო, სხვა დროს ჩხუბში კაციც დაუჭრია მუცლის არეში, რომელიც სასწაულად გადაურჩა სიკვდილს. ამჯერადაც მისი მიზეზით მოხდა ჩხუბი, ასე ლაპარაკობდნენ ხალხში, მაგრამ ქისტური ადათი მხოლოდ შედევით წყვეტს საკითხს, ამ საქმეში შეღავათი მკვლელის მისამართით ის იყო, რომ მას არ ჰქონია მიზნად მოწინააღმდეგის მოკვლა, ამიტომ ესროლა ფეხებში.

მოკლულის მამა ჯიუტი კაცი იყო, ვერაფრით დაითანხმეს პატიებაზე, დაბოლოს, მარხვის დამთავრების დღეს, როცა ყველა მოინანიებს ხოლმე დანაშაულს და ერთმანეთს აპატიებენ, ხალხი შეგროვდა და მივიდა დაზარალებულის ოჯახში. მართალია, მოკლულის მამა ავადმყოფობდა, მაგრამ გამოვიდა ხალხის წინ, არაფრად ჩააგდო სველ მიწაზე დაჩოქილი ხალხი, უხუცესთა ხვეწნა-მუდარა და უკმეხად პასუხობდა.

რას იზამდნენ, გაწილებულები გამოვიდნენ ეზოდან და სასაფლაოსკენ გაემართნენ დღესასწაულთან დაკავშირებით რელიგიური რიტუალის შესასრულებლად. შუა გზაც არ ჰქონდათ გავლილი, რომ ამბავი მოვიდა, მოკლულის მამა გარდაიცვალა. ყველამ, ალბათ, ის გაიფიქრა, რომ ალაპმა არ აპატია ხალხის დაუფასებლობა.

სისხლის პატიებაზე დაზარალებულთა თანხმობით არ მთავრდება შერიგება. ჯერ ერთი, იმ დღეს, როცა ხეობის ხალხი იკრიბება დაზარალებულის ოჯახში, სისხლის საფასური – 63 ძროხა იქვე მეზობლად, სოფლის განაპირას უნდა იყოს მიყვანილი. ადრე 63 ძროხა შემდეგნაირად ნაწილდებოდა: 21 ძროხა ფეხზე, 21 ძროხის საფასური ფულად და 21 ძროხის საფასური სპილენძის (ქვაბები, ლანგრები, თასები და სხვ. საყოფაცხოვრებო ნივთები) სახით. დღეს 21 ძროხის საფასური ფულის სახით გადაწყვეტილია კოდექსით (300 ლ.), ასევე სპილენძიც გადაყვანილია ფულის სახით, რამეთუ დღეს სპილენძს სამზარეულოში უკვე აღარ ხმარობენ. 21 ძროხის საფასური იმ დროს ბაზარზე არსებული საშუალო ფასით განისაზღვრება. დღეს დაახლოებით 12-დან 15 ათას დოლარამდე

მერყეობს კაცის სისხლის საფასური.

ამ თანხის გადახდა აუცილებელია, ყოველ შემთხვევაში მზად უნდა ჰქონდეს მკვლელის ნათესავებს. მისი შეგროვებაც არ არის რთული, რადგან მის გადახდაში მთელი გვარი მონაწილეობს, ეს დაუწერელი კანონია. მაგრამ უმეტეს შემთხვევაში, განსაკუთრებით ბოლო დროს, სისხლის პატიება ხდება ყოველგვარი საფასურის გარეშე. ჩემი მონაწილეობით ოთხ შემთხვევაში მოხდა სისხლის პატიება და არავის აუღია ფული. ჩემს მკვდარს ფულზე როდი ვყიდიო, მე ალაპის, ხალხის გულისთვის ვპატიობო, – აცხადებენ დაზარალებულები.

უაღრესად მძიმეა მკვლელის ნარდგენის ცერემონიალი. სისხლის პატიების შემდეგ მკვლელი ნათესავებს მიჰყავთ მკვლელის საფლავზე, თეთრ საუდარაში გახვევენ და აწვენენ პირქვე საფლავზე. წევს ცოცხალი მკვლელი მის მიერ მოკლულის საფლავზე, სანამ მოკლულის ახლობელი არ მივა და არ ნამოაყენებს.

არსებობს მეორე ადათიც. მოკლულის ნათესავები ჩამწკრივდებიან სოფლის გარეთ, შუამავლები მოიყვანენ მკვლელს, რომელიც ოთხზე დგება და ჩამწკრივებულ მის მიერ მოკლულის ნათესავების წინ ოთხზე გაივლის. მწკრივში მდგომი ბოლო კაცი მხრებზე დასწვდება და ნამოაყენებს. შეიძლება მწკრივის ბოლოს გასვლამდეც წამოაყენოს, ეს დამოკიდებულია დაზარალებულებზე.

ხდება მკვლელის ნარდგენა შემდეგნაირადაც: მკვლელს გამოაწყობენ გრძელ მოსასხამში, ქუდი, თავსახური ისე უნდა ჰქონდეს, რომ სახის მარტო ქვედა ნაწილი ჩანდეს. მოკლულის რომელიმე ნათესავი მიდის, თავსახურს გადასწევს და სახეს გამოაჩენს.

მთელი სიცოცხლე მკვლელი უნდა იყოს მორიდებული, მოკლულის ნათესავებთან შეხვედრისას გზა უნდა დაუთმოს, არ მივიდეს იქ, სადაც ისინი არიან, თუ ისინი მივიდნენ იქ, სადაც ის არის, უნდა ადგეს და წავიდეს. ყურადღებით უნდა იყოს, არ უნდა ილაპარაკოს ზედმეტი, რაც შეურაცხყოფს დაზარალებულებს და სხვა ათასი რამ უნდა დაიცვას. ამიტომაც ხდება, რომ მკვლელი

ტოვებს სოფელს და უმეტეს შემთხვევაში სხვაგან გადასახლდება ხოლმე.

შერიგება რომ უფრო მყარი იყოს, მკვლელის ნათესავები პურ-მარილს ამზადებენ და ეპატიუებიან მოკლულის ნათესავებს. სუ-ფრაზე ხდება ყოფილი მოსისხლეების, უმეტესად ახალგაზრდების ძმადგაფიცვა. ეს ცერემონიალი გულდასმით სრულდება, საზეი-მო ვითარებაში, რათა ყველასთვის იყოს ნათელი, რომ მტრობას წეტილი დაესვა, დღეიდან მათ შორის ნათესაობა მყარდება. ეს მხოლოდ ფორმალობა არ გახლავთ, რადგან ძმადგაფიცულები შემდეგში უფრო მტკიცედ, უფრო გულდასმით ასრულებენ ერთ-მანეთის მიმართ აღეპულ ვალდებულებებს, ვითრე ჩვეულებრივი დაძმობილების დროს. ეს, ასე ვთქვათ, ვალია, რომელიც პირნათ-ლად უნდა იხადო.

ერთი სიტყვით, მათე ალბუთაშვილი სწორია, როცა ამბობს, „ქისტი კაცის სისხლი ხათაბალაა“. მართლაც, ძალიან დიდ ტვირთს იკიდებს მკვლელი, იმდენად დიდ ტვირთს, რომ ერჩივნა, თავად მოეკლათ. იტყვიან კიდეც ქისტებში: სისხლის დადებას „ფჟე ჰარ-ჩარ“ სჯობია თავად მომინიოს სისხლის ძიება.

რატომაა ასე გართულებული ეს საკითხი? – იფიქრებს მკითხ-ველი, განსაკუთრებით არაქისტი მკითხველი. პასუხი ცალსახაა – მკვლელობას მოერიდონ. ქისტი, რომელმაც იცის, რომელსაც გააზრებული აქვს ის, თუ რა მოჰყვება მის მიერ კაცის მოკვლას, თავს შეიკავებს, მოერიდება მკვლელობას და ერიდება კიდეც, რადგან იცის, რომ არ შერჩება, სიცოცხლის ბოლომდე უნდა ზი-დოს ეს უმდიმესი ტვირთი. კაცის სისხლი მკვლელს და მკვლელის ნათესავებს უმდიმეს სატანჯველში აყენებს, ის თაობებს მიჰყვება, მამების დანაშაულს შვილები ზღავენ ხოლმე.

შერიგების პროცესიც, როგორც მკითხველმა გაიგო, ძალიან ძნელი და შრომატევადია, თანაც ხანგრძლივი პროცესი. ეს წლო-ბით გრძელდება, ყოფილა შემთხვევა, 25 წელი იძიებდნენ სისხლს, რამდენიმე დაჭრეს კიდეც, მკვლელი გარდაცვლილა და შვილზე გა-დავიდნენ, მაგრამ საწადელს ვერ მიაღწიეს, დაბოლოს, შერიგდნენ.

გასულ წელს პანკისის უხუცესთა ძალისხმევით მოხდა შერიგება მოსისხლეებს შორის, რომელიც 12 წლის განმავლობაში მიმდინარეობდა. აქაც დავეთანხმები გ. ალბუთაშვილს, რომელიც წერს, რომ „ქისტებში როგორც მოსისხლეთა შორის შერიგებაა ძნელი, ისე რომ კაცის კვლა იყოს ძნელი, ერთი ქისტიც არ მოკვდებოდა მეორის ხელით“.

ყოფილა შემთხვევები, როცა შერიგების ინიციატივა მოკლულის ნათესავებისაგან წამოსულა, მაგრამ ასეთი რამ ძალიან ძნელად ხდებოდა. გამიგონია, ქისტებში, მელხისტაში (მითხო) ორი ოჯახი გადაეკიდა ერთმანეთს, თითქმის ამონწყვიტეს ერთურთი, დაბოლოს, ერთ-ერთი დაზარალებული გორზე შედგა და დაბლა გადასძახა თავის დაუძინებელ მტერს:

– ჰეი, მეზობელო, მე ჩამოვიდე ამაღამ სტუმრად შენთან, თუ შენ ამოხვალ ჩემთან?

– მაჯობე, მუხტარ, შენ ნუ შეწუხდები, მე ამოვალ საკლავით შენთან.

ასე შერიგდნენ დაუძინებელი მტრები, რომლებიც წლების განმავლობაში სამზირში ისხდნენ, უთვალთვალებდნენ და დროს იხელთებდნენ თუ არა, თოვს დაჰკრავდნენ ერთმანეთს.

მიაქციეთ ყურადღება ამ დიალოგს: აქ გამოკვეთილია ერთმანეთის პატივისცემა, ლირსება წინა პლანზეა წამოწეული. პირველი თავს იმდაბლებს, პირველი იჩენს სამშვიდობო ინიციატივას. ამას ღირსეულად შეხვდა მეორე, თავად ეწვია საკლავით მტერს. ეს უფრო გადამეტებული თავმდაბლობაა.

მოვიყვან კიდევ ერთ მაგალითს, რომელიც აგრეთვე სისხლის პატიებას ეხება. აქაც ინიციატივა დაზარალებული მოსისხლისაგან მომდინარეობს.

მამა-შვილი სათიბზე იყო გასული და მთის ფერდობს თიბავდნენ, ხევს გადაღმა მეორე ფერდობზე ძმები თიბავდნენ. სამანი ორ ფერდობს შორის გადიოდა, ეს კარგად იცოდა ორივე მხარემ, მაგრამ ძმებმა დაარღვიეს მთის კანონი და რადგან ისინი მრავალნი იყვნენ (5 თუ 6), იფიქრეს, რომ მამა-შვილის დაჩაგვრა შერჩებოდათ.

მოხუცმა შენიშვნა მისცა ძმებს, მოუწოდა, დაეცვათ სამანი და მის ადგილზე თიბვა შეეწყვიტათ. მოუვიდათ კამათი და ძმებიდან უფროსმა ცელით გაიწია. შვილმა ბარგთან მიყუდებულ თოფს ხელი სტაცა და მამის შეურაცხმყოფელს ესროლა. ძმები მისცვივდნენ დაჭრილს, მამა-შვილმა დრო იხელთა და გაიქცნენ.

თავიანთ სოფელში ვერ გაჩერდებოდნენ, ვერ გაუმჯობესდებოდნენ გაცოფებულ ძმებს და სასწრაფოდ დატოვეს კერა. ისინი გადმოხვეწილები იყვნენ შორიდან, იმ სოფელში შეხიზნულები და, ამდენად, თეიფის მხარდაჭერა არ ჰქონდათ. შვილს მეზობელ სოფელში ძმანაფიცი ჰყავდა, იქით წავიდნენ, მაგრამ შემოაღმდათ, ამინდიც გაუარესდა, გზის გაკვლევა შეუძლებელი შეიქნა. ხევს გადაღმა სინათლე შენიშნეს, მივიდნენ და მასპინძელს დაუძახეს. ოთახიდან მოხუცი გამოეგება, შეძლებისდაგვარად პატივი სცა და დასაძინებლად ნარზე ქვეშაგები გაუფინა. მამა-შვილი ფხიზლად იყვნენ, იცოდნენ, რომ ძმები სისხლს არ შეარჩენდნენ (უფროსი ძმა ჭრილობისგან გარდაიცვალა). გარიურაუზე მოხუცი მამა საპირფარეშოში გავიდა თუნგით ხელში. ძმებმა თოფები მოიმარჯვეს, მაგრამ უფროსმა სროლის ნება არ მისცა: დააცადეთ, ლოცვის განბანვა შეასრულოსო. როცა ქოხში ბრუნდებოდა, ტყვია დააყარეს, მაგრამ უვნებლად შეასწრო ოთახში. ტყვია მხოლოდ თუნგს მოხვდა და გახვრიტა. ქოხიდან შვილმა საპასუხო სროლა ატეხა.

სწორედ ამ დროს მოუსწრო მკვლელის ძმადნაფიცმა. მან გადასძახა თავდამსხმელებს, რომ სროლა შეეწყვიტათ, რადგან სურდა მათთან მოლაპარაკება. მან უთხრა ძმებს, რომ მათი მტერი მისი ძმადნაფიცია, იგი მის გვერდით დადგება და იპრძოლებს. მის უკან დგას თეიფი, მისი ძმებიც წუთი-წუთზე გამოჩნდებიან და გაუჭირდებათ მათთან გამკლავება. ძმებმა აწონ-დაწონეს მდგომარეობა, გადაწყვიტეს, რომ სხვა დროს, უფრო ხელსაყრელ მომენტში იძიებდნენ შურს და დაბრუნდნენ სახლში.

გავიდა ხანი. მამა-შვილი შორეულ სოფელს შეეხიზნა, მოსისხლეებმა მათ ასავალ-დასავალს ვერ მიაგნეს. ამასობაში აბრაგობის

ბრალდებით დაიჭირეს ძმებში უფროსი, რომელიც ციხეში მძიმედ დაავადდა. ცუდ სიზმრებს ხედავდა, მოსისხლე მტრებსა და თავის ძმებს სისხლში მცურავებს ხედავდა, კოშმარები ტანჯავდა, თანაც ავადმყოფობამ სიკვდილის პირზე მიიყვანა და მან სახლში ამბავი დააბარა:

— არ მინდა ამ ქვეყნიდან ისე წავიდე, რომ დიდი კეთილი საქმე არ მიმიძღვდეს წინ. სასწრაფოდ მონახეთ ჩვენი მოსისხლე და ჩვენი ძმის სისხლი აპატიეთ!

უფროსი ძმის სიტყვა ძმებისთვის კანონია. მათ პატიმრის დანაბარები გაავრცელეს, სადაც კი ხმა მიუწვდებოდათ და დაუწყეს მტერს ძებნა შერიგების მიზნით. ეს უჩვეულო ამბავი მთას მოედო, თავად მოსისხლეები ეძებდნენ ძმის მკვლელს, რათა შეენდოთ. ამან გაადვილა მამა-შვილის სამყოფელის მიგნება. ძმებმა შუამავლები მიუგზავნეს, გადასცეს ძმის დანაბარები და თავადაც დაარნმუნეს, რომ უკვე აღარ ერჩოდნენ.

მამა-შვილმა საკლავი დაკლეს, ღირსეულად უმასპინძლეს გუშინდელ მოსისხლეებს. ძმები დამე იქ დარჩნენ, მეორე დღეს დაბრუნდნენ სოფელში, დედას წარუდგინეს შვილის მკვლელი. დედა, რომელიც ლოგინად იყო ჩავარდნილი, თბილად შეხვდა შვილის მკვლელს, ჩაიკრა გულში და უთხრა:

— დღეს შემდეგ ჩემი სალმანის ადგილს დაიჭერ ჩემს გულში! ყველაფერი ეს მოგონილი მითი ან ლეგენდა არ გეონოს, მკითხველო, ეს ნამდვილი ამბავია. მე ეს მოვისმინე დუისელი უხუცესი ვისერგი — ჰაჯი გაურგაშვილისგან, რომელსაც მოუყვა თვითმხილველმა მითხოელმა.

როგორც დაუნდობლად იციან ქისტებმა სისხლის აღება, ასევე დიდსულოვნად იციან პატიება. აქ მთავარია, ვისთან, როგორ მოსისხლესთან აქვს სისხლის მაძიებელს საქმე, გრძნობს თუ არა თავის დანაშაულს, აფასებს თუ არა მოკლულის ნათესავებს, რამდენად იცავს თავისი ხალხის ადათ-წესებს და სხვ.

მოვიყვან მაგალითს, რომელიც სინამდვილეში მომხდარა. ორი ძმა დიდი ხნის განმავლობაში ეძებდა ძმის მკვლელს, მაგრამ

მის კვალს ვერ მიაგნეს. გავიდა რამდენიმე წელი და მიაგნეს მოსისხლის ადგილსამყოფელს, რომელსაც უცხო მხარეში ეპოვნა თავშესაფარი. ძმები სახლის ახლოს ტრიალებდნენ, ღამე სახლს ყარაულობდნენ, ელოდნენ, როდის გამოვიდოდა გარეთ. სახლში შევარდნა არ ივარგებდა, წვრილი ცოლ-შვილი ჰყავდა და მილიციასაც ერიდებოდნენ.

ერთ ღამეს, როცა ფანჯრიდან აყურადებდნენ, შემდეგ საუბარს მოჰკრეს ყური:

- ქალო, ტაშტი მომაწოდე, მჭირდება.
- ოჳ, გააჭირე საქმე, აქ ვინ უნდა მოგაგნოს, ყოველ წუთს რომ ელოდები მოსისხლეს.
- გაჩუმდი, შენ რა გესმის ამქვეყნად. ჩვენ თუ დაგვავიწყდა მოკლული, მათ, ვისაც გულ-ღვიძლი ეწვის, როდი დავიწყნიათ მოკლული ძმა, და არც დაავიწყდებათ, სანამ საწადელს არ მიაღწევენ, ან თავად არ ჩავლენ შავ სამარეში.

ამასობაში ქალი მეზობელთან გავიდა. მოსისხლეები შევიდნენ ოთახში. მკვლელი მოუმზადებელი დახვდა, მაგრამ არ დაბნეულა და მშვიდდად უთხრა:

- გარეთ გავიდეთ, აქ ბავშვები არიან, იქ უფრო მშვიდად გააკეთებთ თქვენს საქმეს.
- არა, ჩვენ არ ვაპირებთ შენს მოკვლას. წელან ცოლთან შენი საუბარი მოვისმინეთ, ამ ხნის განმავლობაშიც ისე იქცეოდი, როგორც ყუენას (ვაჟუაცა) შეეფერებოდა. გვიპატიებია შენთვის ჩვენი ძმის სისხლი ალაპის სახელით.

ეს თქვეს სისხლისმაძიებლებმა და გავიდნენ სახლიდან.

ქისტი კაცი ძალიან უფრთხის დაცინებას, დაყვედრებას, განსაკუთრებით შეურაცხმყოფელია, როცა ლაჩრობას დასწამებენ, სახლხოდ დააყვედრებენ სისხლის აულებლობას და ასე შემდეგ. შეიძლება არც იყოს მამაცი და გამბედავი, მაგრამ სიკვდილზე წავა, რომ მოყვასმა არ შეამჩნიოს შიში, გაუბედაობა. ცნობილია, რომ ომში ყველას არ შეუძლია გმირობის გამოჩენა, მაგრამ ამხანაგმა სიმხდალე რომ არ დასწამოს, ფეხს არ მოიცვლის და მტერს

შეაკლავს თავს. ღირსების გრძნობა ძალიან ძლიერად აქვთ განვითარებული.

სოფ. ჯოყოლოში ცხოვრობდნენ ძმები ბოოდუ და ფრუშქია ბორჩაშვილები. ფრუშქიას ეწვია ძმადნაფიცი ხევსური. სტუმარ-მასპინძლის წესით ხევსურს ფრუშქიამ აჩუქა ნაგანის სისტემის რევოლუციი. ხევსური გახარებული იყო, ამონმებდა იარალს, შემთხვევით გაუვარდა და მოკლა ძმადნაფიცი. მაგრამ სიკვდილამდე ფრუშქიამ დაუბარა თავისიანებს და მოითხოვა, რომ სისხლი არ ეძიათ.

ანდერძი შეასრულეს. დრო გადიოდა, ერთხელაც, კამათის დროს ბოოდის თანასოფლელმა ჰუნახქამ დასცინა: შენ რომ კაცი იყო, ძმის სისხლს აიღებდიო. ბ. ბორჩაშვილი თავმოყვარე კაცი იყო, ასეთ შეურაცხყოფას უპასუხოდ ვერ დატოვებდა. მართლაც, გადავიდა ხევსურეთში, მონახა ძმის მკვლელი და მოკლა.

არ არის მოსაწონი საქციელი, პირიქით, ძალიან ცუდად მოიქცა, მაგრამ აქ უნდა გავითვალისწინოთ თითოეული ინდივიდის ხასიათი, მსოფლმხედველობა და სხვ.

ზოგჯერ შერიგებამდე მისული საქმე შეიძლება ჩაიშალოს ენატანია დედაკაცების, მათ დამსგავსებული კაცების წაქეზებით. ამან ეს თქვა, იმან ის თქვა, მკვდარი ცუდად მოიხსენია და სხვ. ასეთ მითქმა-მოთქმას საქმე მკვლელობამდე მიჰყავდა. ქისტების მემატიანე მ. ალბუთაშვილი სინანულით წერდა თანამემამულეების ფიცხ ხასიათზე, გადამეტებულ თავმოყვარეობაზე:

„ხანი გაივლის, გული დაშოშმინდება, სისხლი დაწყნარდება, მკვლელი ფრთხილობს, ერიდება და იქნება მადიასავით მათგან სიკვდილსაც გადარჩეს.

ამისთანა დროს დედაკაცები თავიანთი ენაჭარტალობითაც სცოდავენ. კაცებს, ახალგაზრდებს მათგან მოსვენება არა აქვთ ლაპარაკითა და წუწუნით: თქვენი მტერი სისხლით ძლება, თქვენ კი ყურდაგდებულები სხედხართ, თქვენი მკვდრის სამარეზე მიწა არ გამშრალა და თქვენ გარიგებას ფიქრობთ და სხვადასხვა.

ასე წაქეზებით მეტი კი არ უნდა ახალგაზრდა ქისტს. მოავ-

ლებს თოფს ხელს, წავა და ერთხელაც იქნება, მოიხელთებს მკვლელს ან დღე, ან ლამე, ნამეტანი თუ ერთი სოფლისანი არიან.“

სისხლს ვერავინ გაექცევა, რა მდგომარეობაც უნდა ეკავოს საზოგადოებაში, არ აქვს მნიშვნელობა, ლარიბი ხარ თუ მდიდარი, ძალაუფლებაში ხარ თუ მიწას ამუშავებ, ბერავი ხარ თუ ძლიერი, უთვისტომო ხარ თუ დიდი ნათესაობის მქონე. ერთი სიტყვით, მკვლელობისათვის პასუხი უნდა აგოს ყოველმა კაცმა, დღეს თუ არა ხვალ. შეიძლება, მკვლელობა მოხდა მოწმეთა გარეშე, არსებობდეს მხოლოდ ეჭვი, მაგრამ არ დაიმალება, სისხლი არავის შერჩენია ქისტებში.

გასული საუკუნის 50-იანი წლების დასასრულს სოფ. დუისში მოკლეს ახალგაზრდა ერთ-ერთი ულარიბესი ოჯახიდან. მოკლული ახალგაზრდა იყო პალაკაშვილების გვარისა, უაღრესად პატიოსანი, წყნარი, უმწიკვლო ყმანვილი, რომელიც, რომ იტყვიან, ჭიანჭველას ფეხს არ დაადგამდა – იცოდა რა თავისი დუხჭირი ცხოვრება, ყოველთვის ბერავად გამოიყურებოდა.

მკვლელობა მოხდა შემდეგნაირად. მამამის ოძიგას, რომელიც იუმორის გრძნობით იყო დაჯილდოებული და თავის სიღარიბეს დიდი იუმორით უყურებდა, ჰყავდა, კარგი მორბენალი ცხენი. ერთ ლამესაც გაეღვიძათ ცხენის ჭიხვინზე თუ ეზოს ხარიხების ხმაურზე, შენიშნეს, რომ ცხენი წაიყვანეს. მამა-შვილი გამოვიდნენ გარეთ, მიხვდნენ, რომ ცხენი მოიპარეს, გაეკიდნენ, უფრო სწორად, იეჭვეს, საით უნდა წაეყვანათ და სოფლის ჩრდილო-აღმოსავლეთით მდებარე ჯაგნარიან მინდვრისკენ წავიდნენ. სოფელს რომ გასცდნენ, გაიყვნენ და ცხენს ძებნა დაუწეუს.

რამზანმა ცხენს მიაგნო, რომელიც სოფლის თავში ჯაგზე იყო გამობმული, ახსნა ცხენი და მამას გასძახა, ვიპოვე, აქეთ წამოდიო. თავად ცხენი თოკით ეჭირა და წინ მოუძღვდა, როცა თოფი გავარდა. მოვარდნილ მამას კისერნაწყვეტილი ცხენი და მკვდარი ვაჟიშვილი დახვდა. ერთ ტყვიას ცხენის კისერში გაევლო, წინ მიმავალ ახალგაზრდას მოხვედროდა და ორივე ემსხვერპლა. მამა ხელში აყვანილი შვილით სოფელში დაბრუნდა.

აღშფოთება დიდი იყო, მთელი სოფელი დასტიროდა რამზანს, ვერ წარმოედგინათ, რომელ უდმერთოს უნდა აღმართა ხელი საწყალ ახალგაზრდაზე, რომელსაც ცუდი სიტყვითაც კი არ მიეყ-ენებინა წყენა ვინმესთვის. თანაც მოსახლეობის უმეტესობა მიიჩ-ნევდა, რომ სპეციალურად გაიტყუა მკვლელმა მოკლული, ცხენის ქურდობა მხოლოდ საბაბი იყო. მაშასადამე, აქ შეიძლებოდა საქმე ჰქონოდა მხოლოდ და მხოლოდ შურისძიებას.

ამ ვერსიას ამყარებდა ის გარემოება, რომ მოკლულის ბიძამ კარგა ხნის წინ მოკლა თანასოფლელი ქავთარაშვილი. ქორწილში თითქოს ეხუმრებოდა ერთმანეთს ორი ახალგაზრდა, მაგრამ ქა-ვთარაშვილი უხუშობდა, წააქცია ტ. ბალაკაშვილი, ქვეშ მოიქცია და უხეშად, შეურაცხმყოფელად ებლლარძუნებოდა, ერთი სიტყ-ვით, ღირსებას ულახავდა. შეურაცხყოფილმა ქვეშიდან ხანჯალი გაურჭო და მოკლა ქავთარაშვილი.

დიდი ძალისხმევის შედეგად უხუცესებმა მოახერხეს მო-სისხლების შერიგება, ბალაკაშვილებმა სისხლის საფასურიც გადაიხადეს, მაგრამ ამ მკვლელობის შემდეგ გაჩნდა ეჭვი, რომ ქავთარაშვილებმა სისხლი აიღეს. თუნდაც ასე რომ ყოფილიყო, მაინცდამაინც გაუგონარი და არნახული ამ საქმეში არ იქნებოდა, ასეთი რამ მომხდარა ქისტებში, განსაკუთრებით მაშინ, როცა პა-ტიებული ვერ შეიფერებდა პატიებას და თავხედურად მოიქცეოდა. ასეთი რამ ამ შემთხვევაში სახეზე იყო, რადგან რამზანის უფროსი ძმა ქეიფს იყო გადაყოლილი, წარამარა ენას ატლიკონებდა და შეს-აძლებელია, დამამცირებელი რამ წამოსცდენოდა.

ასეთ შემთხვევაში ქავთარაშვილები სისხლის საფასურს უკან დაუბრუნდნენ ბალაკაშვილებს და საქმეც ამით დასრულდებოდა. მაგრამ ისინი კატეგორიულად უარყოფდნენ მკვლელობას, რაიმე სახის მონაწილეობას მათი მხრიდან ამ მკვლელობაში. საქმე ის გახლავთ, რომ სოფელში ხმა დადიოდა, თითქოს მათ დაიქირავეს თანასოფლელი გ. დუიშვილი, ნაციხარი და ხელმრუდი კაცი.

ასე გავიდა დრო, თითქმის 45 წელი. და ერთხელაც ხმა გა-ვარდა, გ. დუიშვილი რამზანის ძმისშვილმა მინდორში მოკლაო.

შურისმაძიებელი პიძის მკვლელობის დროს დაბადებულიც არ იყო, მაგრამ გაიზარდა და პიძის სისხლი აიღო.

როგორ სიტუაცია შეიქნა. ბალაკაშვილებს უნდა დაემტკიცებინათ, რომ მათ რამზანის მკვლელი მოკლეს და ამ შემთხვევაში საქმე დამთავრებულად ჩაითვლებოდა. მაგრამ პირველობა დუიშვილებს ეკუთვნოდათ, მათ ფიცით უნდა დაემტკიცებინათ თავიანთი უდანაშაულობა. ამ შემთხვევაში ბალაკაშვილებს სისხლი დაედგოდათ. მაგრამ ერთი რამ ცხადი იყო, ვერც ერთი ჭკუათ-მყოფელი კაცი კაცს არ მოკლავს, თუ ნამდვილად არ არის დარწმუნებული იმის დანაშაულში. ამიტომ მათ თამამად განუცხადეს დუიშვილებს: ფიცით დაამტკიცეთ თქვენი უდანაშაულობა და ჩვენ ფჰეს (სისხლს) ვიღებთ ჩვენს თავზე.

დუიშვილებმა ვერ გაბედეს ფიცი, რადგან მოკლული ცუდი რეპუტაციის მქონე იყო და მის უდანაშაულობაზე ფიცის მიცემა არ ისურვეს. მაშინ ბალაკაშვილებმა თავად იკისრეს ფიცი, შეიკრიბნენ და მზად იყვნენ ფიცისთვის. მოკლულის ძმები პატიოსანი, მორწმუნე მუსლიმები არიან, მათ მხოლოდ რამდენიმე კაცის ფიცი მიიღეს და ამით დასრულდა ეს საქმეც.

მკითხველისათვის, ალბათ, საინტერესოა, მაინც რა მოხდა იმ ავტედით დამეს, დაგეგმილი, განზრახული მკვლელობა იყო ის თუ არა. ორიოდე წლის წინ ამ საქმეში კარგად ჩახედულმა კაცმა მიამბო: გ. დუიშვილის ნათესავი ქალი ჰყავდა ცოლად ოძიგა ბალაკაშვილის ნათესავს. შემდეგ მან ცოლი მიატოვა, მაგრამ კვლავ ხვდებოდა. ამის გამო გ. დუიშვილს ქალის მამასთანაც ჰქონდა კამათი და გაბრაზებული იყო ო. ბალაკაშვილზე, თავის ოჯახში რად უნიშნავს პაემანს გაყრილ ცოლ-ქმარსო. ის ამაში მართალი იყო, ქისტური ზნე-ჩვეულების მიხედვით იქცეოდა, მაგრამ შემდგომი მოქმედება უკვე სამართლის ჩარჩოს გასცილდა.

გ. დუიშვილმა გადაწყვიტა, სამაგიერო გადაეხადა ო. ბალაკაშვილისთვის ცხენის მოპარვით. ეს მისი ხელობა იყო, თან სამაგიეროსაც გადაუხდიდა, თან იხეირებდა კიდეც. ცხენი სოფლის განაპირას, თავის სახლის ახლოს მიაბა და შინ წავიდა, ალბათ,

საგზლის ასაღებად, ცხენი ხომ შორს უნდა გადაეყვანა. მოპრუნებულმა დაინახა, ცხენი რომ მიჰყავდათ, განრისხებულმა ცხენს ესროლა, ცოცხალს ვერ წაიყვანო და ცხენში გავლილმა შაშხანის ტყვიამ რამზანიც შეიწირა.

სიმართლეს ჰგავს ეს ვერსია, ლოგიკაში ჯდება, მაგრამ სიმართლე მხოლოდ ალაპმა უწყის. მე ეს ამბავი დაწვრილებით იმიტომ მოვიყვანე, რომ ნათლად დამენახვებინა მკითხველისათვის შემდეგი: ქისტებში სისხლი არავის შერჩენია, ბერავიც კი იძებს შურს როდისმე, მას გვარი ამოუდგება გვერდში, არავის დააჩაგვრინებს.

ხდება ისეც, რომ შემძლე, ბრგე აღნაგობის, ლონიერი, ჩხუბსა და გარტყმაში დახელოვნებულ ახალგაზრდას ცა ქუდად და დედამიწა ქალამნად არ მიაჩნია, ზევიდან დაპყურებს თანატოლებს, როცა რამდენიმე ძმა ან ბიძაშვილები ბუნებას დაუჯილდოებია ძალ-ლონით, სიმარდითა და მამაცობით, ისინი არაფრად აგდებენ ადათ-წესებს და თავიანთი ხუშტურების მიხედვით ცხოვრობენ.

მათზე ქისტები იტყვიან, აცალეთ, თავისნაირი შეხვდებაო. ჭკვიანი, გამოცდილი უხუცესები აკავებენ, ტუქსავენ მოთმიწები-დან გამოსულ ახალგაზრდებს, ერიდებიან აშკარა კონფლიქტს და მოლოდინს ამჯობინებენ.

სოფ. ჯოყოლობში, გასული საუკუნის 50-იანი წლების დასაწყისში, ცხოვრობდნენ ძმები გუმაშვილები, ოთხი ბრგე ვაჟკაცი, ერთმანეთზე უკეთესები, ძალ-ლონით სავსენი, არავის ეპუებოდნენ ხეობაში, არც ვისმეზე ბატონობდნენ. უფროსი, სეიდ გუმაშვილი განთქმული მოკრივე იყო, სტუდენტობის პერიოდში აქტიურად მონაწილეობდა ქალაქის უბნების შეჯიბრში, ხშირად იწვევდნენ ცნობილ მოკრივეებთან შესახვედრად და ყოველთვის გამარჯვებული გამოდიოდა. ასევე იწვევდნენ ე.ნ. საქმის გარჩევებში და დიდი ავტორიტეტით სარგებლობდა.

სოფელში დაპრუნების შემდეგ სეიდ გუმაშვილი დაინიშნა სოფ. ჯოყოლოსა და სოფ. ბირკიანის გაერთიანებული კოლმეურნეობის აგრონომად. ამ კოლმეურნეობაში თავმჯდომარედ დაინიშნა აგრეთვე ჯოყოლოელი აბდულ ბორჩაშვილი. თავმჯდომარეს კარ-

გი ნაცნობობა ჰქონდა მაშინდელი პარტიული მუშავების საკმაოდ მაღალი თანამდებობის პირებთან, რაც ამყარებდა მის პოზიციებს. ორივე, თავმჯდომარეც და აგრონომიც თანასოფლელები იყვნენ, კარგად ააწყვეს მუშაობა და მათ შორის მეგობრული ურთიერთობაც დამყარდა.

სეიდ გუმაშვილის ძმა ხარება (ძმები მამით იყვნენ) განთქმული მოჭიდავე იყო, ძმებისგან განსხვავებით მშვიდი ხასიათი ჰქონდა, მაგრამ მტკიცე ნებისყოფისა იყო და ვისმეს რამეს ადვილად არ დაუთმობდა. ხარებასა და აბდულას შორის არ იყო კარგი ურთიერთობა, ერთმანეთზე საჩხუბრად გაუწევიათ კიდეც, როგორც გადმოგვცემენ, სასიკვდილოდაც გაუშეტებიათ ერთმანეთი.

აბდულ ბორჩაშვილს კარგი მორძენალი ცხენი ცყავდა, მაშინ მანქანები არ იყო და თავმჯდომარე ცხენით დადიოდა. სწორედ ეს ცხენი მოპარეს და ტყვიით მოკლული იპოვეს მისი ძმის სახლთან. ეჭვი ხარებაზე აიღეს, რომელმაც კატეგორიულად იუარა ქურდობა და ცხენის მოკვლა. ეს დიდი დანაშაული იყო: ჯერ ერთი, ცხენის მოპარვა სხვა საქონლის (ძროხების, ხარების) მოპარვაზე მძიმე დანაშაულად ითვლებოდა და გადასახადიც რამდენადმე მეტი იყო ადათით დაწესებული. ხოლო ცხენის მოკვლა განზრახ ყოველგვარ ქურდობას აღემატებოდა, ქისტური ადათით, ეს იყო შეურაცხყოფა, კაცის ლირსების შელახვა. ამიტომ, როგორც ამბობდნენ, ხარებამ სხვას გამოაყვანინა ცხენი საჯინიბოდან, გზაში ქურდს უკან შემოუჯდა და, საკმაო მანძილზე გასცილდა თუ არა აბდულას სახლს, ესროლა და მოკლა ცხენი.

საქმე გაირჩა. ხარება მზად არის დაიფიცოს, რომ მას არ მოუპარავს ცხენი. მაგრამ მოხდა უცნაური რამ – ძმამ სეიდამ უარი თქვა ფიცზე. რაკი ძმამ უარი თქვა, დანარჩენი ნათესავებიც განზე გადგნენ. ხარება ამ საქმეში მტყუანი გამოჩნდა ძმის გამო და რა თქმა უნდა, ამან მტრულად განაწყო ძმის მიმართ.

ეს ურთიერთობა გამწვავდა ხარებას ძმის ნუნუას მუცოელი ბორჩაშვილის მიერ მოკვლის შემდეგ. ეს ტრაგედია შემდეგნაირად დატრიალდა: სეიდმა შეირთო მუცოდან გადმოსახლებული საგეი

ბორჩაშვილის ქალიშვილი, მაგრამ მალევე უმიზეზოდ მიატოვა, თანაც საჭიროდ არ ჩათვალა, ქისტური ადათ-წესის მიხედვით შესარიგი და ურვადი გადაეხადა. ეს ყოფილი ცოლეურების აბუჩად აგდებას ნიშნავდა, მძიმე შეურაცხყოფა იყო და მას ნათესავები ურჩევდნენ კიდეც, რომ პატივი ეცა ადათისთვის. კოლმეურნეობის თავმჯდომარეც და აგრონომიც პარტიის წევრები იყვნენ და ქისტური ადათები დრომოქმულად მიაჩნდათ, ე.ი. მიპყვებოდნენ კომპარტიის წესდებას. ხარებაც მოითხოვდა ძმისგან, დაეცვა ქისტური წეს-ჩვეულება, მაგრამ ამაოდ. მათ შორის კამათი მოხდა. სეიდმა ესეც არ იკმარა, ცოლყოფილი ხელმეორედ შეირთო და ცოტა ხნის შემდეგ კვლავ გაუშვა. ეს უკვე მეტისმეტი იყო, მაგრამ მუცოელები ჩუმად იყვნენ ჯერჯერობით.

ხარება და საგეი მეზობლად ცხოვრობდნენ ჯოყოლოში. ნუნუა, რომელიც ძმასთან ქეიფობდა, სახლში ბრუნდებოდა და საგეის კარზე გაიარა. გამოვარდა ძაღლი ყეფით და დაეტანა ნუნუას. ნუნუამ ხანჯალი იძრო და ძაღლი შუაზე გაწყვიტა. ამის დამნახავმა საგეიმ ხანჯალი იშმვლა. ნუნუამ, ეტყობა, ხანჯლიანი ხელი ასწია დარტყმის ასაცილებლად, მაგრამ თავდამსხმელმა იღლიაში დაჰკრა და ხერხემლამდე გასხიპა. ნუნუა ახმეტაში გააქციეს, მაგრამ ოპერაციამ ვერ უშველა, სისხლისგან დაიცალა და გარდაიცვალა.

მკვლელობა საგეის არასრულწლოვანმა, 16 წლის სულთანმა აიღო თავის თავზე, იგი გაასამართლეს და 4 წელი მიუსაჯეს.

ამის შემდეგ ურთიერთობა ხარებასა და ცალკე სეიდას და ცალკე აბდულას შორის გამწვავდა. ხარება, რასაკვირველია, ძმის მკვლელობის შემდეგ ბორჩაშვილებს მტრებად მიიჩნევდა და ძმას ეუბნებოდა, შეეწყვიტა ა. ბორჩაშვილთან მეგობრობა. სეიდა არ თანხმდებოდა, მათ საერთო საქმეც (სამსახური) აკავშირებდათ, ხარებას თხოვნაზე, უარი ეთქვა აგრონომობაზე, სეიდამ ყურიც არ ათხოვა და კვლავ განაგრძობდა თავმჯდომარესთან მეგობრობას.

ომის შემდგომი წლები იყო, ძალზე მძიმე წლები გლეხები-სათვის, რომელთა ნამუშევრის დიდზე დიდი ნაწილი სახელმწიფოს

მიჰქონდა. გლეხს ოჯახის გამოსაკვებიც კი არ ეძლეოდა, ათასნაირი გადასახადი ჰქონდა დაკისრებული. ა. ბორჩაშვილი, პარტიული მუშაკი, პირნათლად ასრულებდა პარტიის დავალებებს და ამიტომ ხშირად ჰქონდა კონფლიქტები მოსახლეობასთან, თანაც ქისტურ ადათ-წესებს დიდად არ მისდევდა.

ასეთ დროს ბოროტი ადამიანები იწყებენ მოქმედებას, „ენა-სა ლესავს შხამითა...“, ავრცელებენ ჭორებს, აღვივებენ მტრობას მოწინააღმდეგებს შორის. ხარება დაარჩმუნეს, რომ მის მოკვლას ა. ბორჩაშვილი აპირებდა, შენი ძმაც გადაიბირესო, იქით აგრონომთავმჯდომარეს აქეზებდნენ, არიქა, დაასწარით, თორემ ხარება თქვენი მოკვლის გეგმას ადგენსო. ხარება შეშფოთდა, წავიდა გვარის უფროს ლაპეტ გუმაშვილთან, შესჩივლა, მოკვლას მიპირებენ და უნდა დავასწროო. უხუცესმა დაამშვიდა, აფიცებდა, სისულელე არ ჩაიდინოო, ჭორებს არ აჰყვე, მე თავად მივხედავ ამ საქმესო. მაგრამ ავმა ენებმა თავისი ქნა. ქისტური ანდაზა ამბობს: ავი ენა ორ კაცს გადაამტერებს და ერთმანეთს სისხლს ანთხევინებს, ხოლო მარტო კაცს გააგიუებს და თავად დააღვრევინებს თავის სისხლსო.

ტრაგედია 1955 წელს დატრიალდა ჯოყოლოსა და ბირკიანს შორის მთავარ გზაზე. ორ სოფელს შუა სახნავი მიწები იყო, ალაზნის პირას ყანა ეთესა, ხოლო დასავლეთით სიმინდი. ხარება, როგორც შემდეგ გაირკვა, ხორბლის ყანში ჩასაფრდა და დაელოდა ბირკიანში საქმეზე მყოფი ს. გუმაშვილისა და ა. ბორჩაშვილის ჯოყოლოში დაბრუნებას.

ზაფხულის უმთვარო, ბნელი ღამე იყო. კოლექტივის თავმჯდომარე და აგრონომი გვიანობამდე იყვნენ კანტორაში, შემდეგ ბირკიანელმა დაპატიჟა, პურ-მარილს შეჰყვნენ და გვიან ღამით წავიდნენ სახლისკენ. ხარებამ გაატარა ორივე, გამოვიდა ყანიდან და უკან გაჰყვა, ფეხის ხმაზე როგორც კი შემობრუნდნენ, ორივეს ესროლა და ორივე სიცოცხლეს გამოასალმა.

ეჭვი გააჩინა იმან, რომ ვინც სროლის ხმა გაიგონა, ამბობდა, ერთდროულად ორი გასროლა მოხდაო. ხარებამ რუსული შაშხ-

ანიდან ესროლა მტრებს, რაც იმას ნიშნავს, რომ რამდენადაც სწრაფად უნდა გაეხსნა შაშხანის საკეტი, ცარიელა მასრა გამოეგდო და ახალი ვაზნა შეეცურებინა თოფის ლულაში, გარკვეულ დროს მოითხოვს და ერთდროული ორი გასროლის შთაბეჭდილებას ვერ მოახდენდა გამგონზე. ე.ი. გაჩნდა ეჭვი, რომ ხარებას ამხანაგი ახლდა. მაშინვე გავრცელდა ხმებიც, რომ ხარებამ წაიყვანა ამხანაგი, რომელსაც მისი ძმისთვის უნდა ესროლა, თავად არ ისურვა ძმის მოკვლა.

ამის დადგენა დიდ სიძნელეს არ წარმოადგენდა საგამოძიებო ორგანოებისათვის, რა თქმა უნდა, თუკი არსებობდა გასროლილი მასრები. ყოველ შემთხვევაში, მათ ამოიღეს შაშხანა, რომლითაც მოხდა მკვლელობა და შემდეგ ხარებამ თავის თავზე აიღო ორივეს მკვლელობა.

ხარება მეორე დღესვე დაიჭირეს, როცა მკვდარი ძმა სახლში მიასვერეს და სამძიმარს იღებდა. ამ მკვლელობით დაინტერესდა მაშინდელი კაგებეს უფროსი ინაური, თავად იყო პანკისში ჩამოსული. ცხადია, ამ მკვლელობამ, პარტიული მუშაკების დახოცვამ სამსახურებრივი მდგომარეობის შესრულების დროს, დიდი აღშფოთება გამოიწვია. აღშფოთება დიდი იყო ხალხშიც, რადგან მოკლულებს არ ჰქონდათ ჩადენილი ისეთი დანაშაული, რომ სიცოცხლეს გამოასალმეს.

ხარება კატეგორიულად უარყოფდა მკვლელობას. მას საკანში მიუჩინეს ცრუ პატიმარი, მილიციის თანამშრომელი, რომელიც ტირილით თავს იკლავდა, კაცი შემომაკვდაო. გაბეზრებულმა ხარებამ დატუქსა:

— რა გატირებს, კაცი არა ხარ? ორი კაცი მოვკალი და ვერ ხედავ, როგორ მშვიდად ვარო.

ხარებას დახვრეტა მიუსაჯეს, რაც სისრულეში იქნა მოყვანილი. მეოთხე ძმა ირაკლი დაჭერილი იყო, მძიმე დანაშაულისათვის 25 წელი ჰქონდა მისჯილი. 18 წელი მოიხადა, ცოლ-შვილს დაუბრუნდა, მშვიდობიან ცხოვრებას ეწეოდა, მაგრამ მშფოთვარე ხასიათმა კვლავ იჩინა თავი, მილიციელებთან მოუხდა

შეიარაღებული შეტაკება და ტყეში გავარდა. რამდენიმე ხანს აბრაგობდა, მაგრამ ბოლოს სოფ. ბირკიანში ალყა შემოარტყეს სახლს, სადაც თავს აფარებდა. იგი დაიჭირეს, კვლავ რამდენიმე წელი იჯდა ციხეში, დაბრუნდა სახლში და სიკვდილამდე მშვიდად ცხოვრობდა.

ქისტების ცხოვრების ამ ერთ-ერთ ეპიზოდზე იმიტომ შევჩერდი, რათა მკითხველს ეგრძნო, რამდენად მავნეა ადათ-წესებზე ხელის აღება, პარტიულ მუშაკებს რომ დაეჯერებინათ უხუცესებისათვის, პატივი ეცათ ადათ-წესებისათვის, ოთხი ვაჟკაცის სიცოცხლე ასე უმიზნოდ არ დასრულდებოდა. თანაც მინდოდა, მკითხველისთვის დამენახვებინა, რომ მრავალი ძმის სიძლიერის პრინციპი მაშინ მოქმედებს, როცა ძმებს შორის თანხმობა არსებობს.

განსაკუთრებულ დანაშაულად ითვლება ქალის მკვლელობა. როგორც ითქვა, ძველად ქალის მკვლელობა ორმაგ სისხლს უდრიდა, ე.ი. ორი კაცი ენირებოდა ერთი ქალის მკვლელობას. ქისტებში ისლამის მიღების შემდეგ გაბატონდა პრინციპი – „კაცი კაცის წილ, ქალი ქალის წილ“. ეს პრინციპი ქისტებმა ცხოვრებაში შემდეგნაირად დაამკვიდრეს: ქალი თუ მოკლავს კაცს, ქალის უახლოესი ნათესავი კაცის (ძმა, მამა, ბიძა) მკვლელობით მოხდება სისხლის ალება. თუ კაცი მოკლავს ქალს, თავისთავად კაცის მკვლელობით მთავრდება საქმე.

თუ მკვლელობა მოხდა თეითში, გვარის ნათესავებში, შურისძიებას არ ექვემდებარება, ეს დანაშაული გვარს შავ ლაქად გაჰყვება. მაგრამ თუ ცოლი მოკლა კაცმა, პასუხისგებას ვერ გაექცევა, ქალის ნათესავები ამ დანაშაულს სიძეს არ შეარჩენენ.

ცოლის მკვლელობა მძიმე დანაშაულია. თუ მოკლულს შვილები ჰყავს, დიდი ტრაგედია და უაღრესად რთულია საქმის მოგვარება. როგორც ითქვა, ქისტებში გვარის გარეშე ნათესავებში ყველაზე პატივცემულია დისშვილები, ხოლო სისხლის აღების შემთხვევაში ნათესაობას მტრობა ცვლის. გასაგებია ის, რომ მამის მკვლელ დედეულებთან შვილები ყოველგვარ ურთიერთობას

წყვეტენ, მაგრამ ეს ურთიერთობა ისედაც შეწყვეტილია, რადგან მოკლული ქალის ნათესავებისათვის მკვლელის ყველა ნათესავი, თუნდაც მათი დისშვილები, მტრები არიან.

სოფ. წინუბანში მცხოვრებმა ბორჩაშვილების გვარის კაცმა სიმთვრალეში თოფით მოკლა საკუთარი ცოლი, დუისელი მ. ქავთარაშვილის ქალიშვილი. ეს კაცი სმას იყო გადაყოლილი, ეტყობა, თეთრი ციებ-ცხელების პროცესში იყო და დანაშაული გონებაარეულმა ჩაიდინა. მაგრამ ამას მნიშვნელობა არ ჰქონდა, აქ გადამწყვეტია შედეგი, უმძიმესი დანაშაული – მცირენლოვანი შვილების დედის მკვლელობა.

მტრობა დიდხანს გაგრძელდა. მკვლელის შვილები წამოიზარდნენ. მათი დედისძმა ჩეჩენეთში ცხოვრობდა, მამის გარდაცვალების შემდეგ ოჯახის უფროსი ის გახდა. აპმადი ჭკვიანი, ზრდილი, ქისტურ ადათ-წესებზე აღზრდილი ახალგაზრდა იყო და უხუცესებმა მასზე დაამყარეს იმედი. ის ხანდახან ჩამოდიოდა პანკისში, მამის კერას მიხედავდა და ბრუნდებოდა ჩეჩენეთში. მისი ჩამოსლვის დროს უხუცესები ხვდებოდნენ, სთხოვდნენ პატიებას, ეუბნებოდნენ, რომ დისშვილებისთვის გაეწია ანგარიში.

ძალიან წინდახედული, მოსაზრებული ახალგაზრდა აღმოჩნდა, შეკეირდა უხუცესებს, რომ ახლო ნათესავებს, გვარის უფროსებს შეხვდებოდა, მოილაპარაკებდნენ და მხოლოდ ამის შემდეგ შეეძლო სიტყვის მიცემა. მართალია, საკმაოდ გაჭიანურდა ეს პროცესი, რადგან აპმადი სოფ. დუისში ჩამოსლას ყოველთვის ვერ ახერხებდა, მაგრამ საბოლოოდ თავის თავზე აიღო მთელი სიმძიმე და შერიგებაზე დასტური მოგვცა.

ბორჩაშვილები მზად იყვნენ, ადათის მიხედვით გადაეხადათ სისხლის საზღაური და შეესრულებინა ყველა მოთხოვნა, ოღონდ არსებული ქისტური ადათის ფარგლებში.

პარასკევის დღეს მთელი ხეობის ქისტური მოსახლეობის ყველა გვარის წარმომადგენელი შეიკრიბა დუისის ცენტრალურ მეჩეთში (ე.წ. ძველ მეჩეთში) და იქიდან ხმამაღალი ზიქრით წავედით დაზარალებულის სახლთან, ჭიშკარი გაღებული დაგვხ-

ვდა, დაზარალებულები ჯგუფად იდგნენ აპმადის გარშემო.

სიტყვით გამოვიდნენ უხუცესები. უხუცესმა ვისერგი – ჰაჯმა ალაპის სახელით დაიწყო:

– აპმად, დღეს შენ და შენს გარშემომდგომი შენი გვარის წარმომადგენლები დიდი გამოცდის წინაშე დგახართ. ჩვენ, ჩვენ უკან მდგომი უამრავი ხალხი მოწმენი ვიქებით დღეს, რამდენად გიყვარს ალაპი, რამდენად გიყვარს შენი ხალხი და რამდენად პატივს სცემ შენი ხალხის ადათ-წესებს. ჩვენ ვიცით, რომ ძალგიძთ სისხლის აღება, ამაში ეჭვი არავის ეპარება, მაგრამ შენსა და შენს მოსისხლეებს შორის არსებული მდგომარეობა განსაკუთრებულია. ღმერთმა დიდხანს გაცოცხლოს, ნურც შენ და შენს ახლობლებს არასდროს დასტყუდომია უბედურება, მაგრამ თუ მოხდა ასეთი რამ, შენი დისშვილები, დღეს უნებურად შენი მტრები, უნდა აღსდგნენ შენს დასაცავად. მათ ხომ არ მიუძღვით არანაირი დანაშაული ამ მძიმე ცოდვაში. მოდი, ღვთის გულისათვის, ალაპს მიანდე დამნაშავის დასჯა, ის არის ყველა ჩვენგანის მსაჯული. სისხლის აღება, კაცის კვლა არ წარმოადგენს სირთულეს, ჩახმახს თითს გამოჰკრავ და დამთავრდა დავა. მაგრამ იტყვიან, აპმადმა „ჭირ წა იე“ (ე.ი. სისხლი აიღო) და ეს ამბავი დავიწყებას მიეცემა. მაგრამ თუ აპატიებ ალაპისა და ამ ხალხის სახელით, იტყვიან, კარგი ვაჟუკაცი ყოფილა, პატიება შესძლებია და დიდ პატივისცემასაც დაიმსახურებ. ალაპისა და მთელი ჩვენი ხალხის სახელით, მუხლზე ჩოქვით გთხოვთ, ამ დანაშაულის პატიებას.

აპმადმა არ მისცა დაჩირქების უფლება არც ვისერგი-ჰაჯის და არც ხალხს. შემდეგ ილაპარაკეს სხვა უხუცესებმა და ყველამ ერთხმად სთხოვეს პატიება. მძიმე სურათი იყო, სულის შემძრელი და უარი ნამდვილად მძიმე შათბეჭდილებას მოახდენდა.

აპმადსა და მის ნათესავებს ღირსეულად ეჭირათ თავი, გრძნობდნენ სიტუაციის სერიოზულობას და გადაწყვეტილებაც სათანადო მიიღეს.

აპმადმა თქვა:

– მე პატივს გცემთ თქვენ, უხუცესებს, რომელთაც ძალ-ღონე

არ დაიშურეთ ჩვენი შერიგებისათვის, ღმერთი გადაგიხდით სამ-აგიეროს. პატვის ვცემ ამ შეკრებილ ხალხს, რომელთაც ჩვენთვის სიკეთე სურთ, სურთ ჩვენი შერიგება და ქისტების მშვიდობიანი თანაცხოვრება. ალაპის გულისთვის, თქვენი პატივისცემის გამო ვპატიობ ამ დანაშაულს. ერთი ლარიც არ მინდა ჩემი დის მკვლელობის საზღაურად, დლეიდან ჩვენი მტრობა ჩემი დის მკვლელობასთან დაკავშირებით შეწყვეტილია.

ხალხმა ერთხმად მადლობა გადაუხადა, დიდი იყო კმაყოფილება, სათანადოდ იქნა დაფასებული დაზარალებულთა სულგრძელობა.

ბავშვის, ქალის, კაცის გატაცება და გაყიდვა სისხლს უტოლდება და, ჩვეულებრივ, სისხლის ძიებას ექვემდებარება. მართალია, პანკისელ ქისტებში ასეთი სახის მოსისხლეობას ადგილი არ ჰქონია, აյ ყველა ერთმანეთს ვიცნობთ, ორასწლიანი ერთად, ერთი ხელის დადება მინაზე თცხოვრებამ, ერთი რეგიონიდან წარმომავლობამ დააკავშირა ქისტები ერთმანეთთან ნათესაური გრძნობით. უცხო მიწაზე, უცხო ხალხის მეზობლობაში ცხოვრებამ, ჭირისა და ლხინის ერთად გაზიარებამ შეადუღაბა სხვადასხვა თეიფის წარმომადგენლები და გააერთიანა ერთ ტომად. ადათ-წესების, ზნე-ჩვეულებებისა და ტრადიციების ერთიანობამ განაპირობა კოლექტიური თავდაცვის ინსტინქტი და ამიტომ ადამიანის გატაცება გაყიდვის მიზნით, ან მოტყუებით სასიკვდილო საფრთხეში ჩაგდება არ ხდებოდა.

მაგრამ ამ ბოლო ორი წლის განმავლობაში ისეთი ვერაგული ინციდენტები მოხდა, რომლიც ტრადიციად იქცა. მხედველობაში მაქვს სირიაში საომრად ქისტი ახალგაზრდების გაგზავნა, რამაც ამ ბოლო დროს საგანგაშო ხასიათი მიიღო, როცა ახალი რელიგიური მიმართულების (ვაჰაბიზმის) რადიკალურმა დაჯგუფებამ სკოლის მოსწავლეები ააყენეს მერხებიდან და ჯოჯოხეთში უკრეს თავი.

ქისტი ახალგაზრდები, რომლებიც ჩეჩენეთსა და ინგუშეთში ცხოვრობდნენ, ან სამუშაოდ იყვნენ ჩასულები, აქტიურად ჩაებნენ ჩეჩენეთის დამოუკიდებლობისათვის ბრძოლაში. ისინი ჩეჩენებთან

ერთად იბრძოდნენ ორივე ომში, პანკისიდანაც ჩადიოდნენ ახალ-გაზრდები წინაპართა სამშობლოს დასაცავად. ეს არავის გაჰკვირვებია, ქისტები გაგებით ეკიდებოდნენ ამ საქმეს, მაგრამ, როცა სირიაში დაიწყეს ჩასვლა და არაბულ ომში ჩაბმა, ამ მოვლენამ გაოცება, გაოგნება და აღშფოთება გამოიწვია.



ქისტური სამართალი

„თემს რაც სწადიან, მას იზამს
თავის თემობის წესითა“

ვაჟა-ფშაველა

ქისტები ვეინახური ტომია. ჩეჩინები, ინგუშები და ქისტები ერთი ერის, ვეინახების წარმომადგენლები არიან და ერთიანი საზოგადოებრივ-პოლიტიკური წყობა, ენა და კულტურა აქვთ. მართალია, არსებობს მეტ-ნაკლები განსხვავებანი ენობრივი (დი-ალექტიკური) და ადათ-წესების მიხედვით, მაგრამ ეს იმდენად უმნიშვნელოა, რომ არანაირ გაუგებრობას არ იწვევს ურთიერთობებში.

ყველაზე მნიშვნელოვანი, ჩემი აზრით, ის არის, რომ ვეინახებში არასდროს არსებობდა საზოგადოებრივ ფენებად დაყოფა, არ გაუვლია მონათმფლობელური და ფეოდალური ფორმაციები. თანამედროვე ბურუუაზიულ საზოგადოებაშიც კი, სადაც, უდავოდ, გაჩნდა მდიდარი და ღარიბი ფენები, უფლებრივი თვალსაზრისით ყველა თანასწორია. ქისტურ საზოგადოებაში მდიდარი არასდროს შეძლებს ქონებრივი უპირატესობით ისარგებლოს და ძალადობა განახორციელოს თანამოძმეზე, ასეთი რამ გამორიცხულია.

ვეინახების საზოგადოებრივი წყობის მკვლევართა დიდი ნაწილი მიიჩნევს, რომ ვეინახებში, განსაკუთრებით მაღალმთან ზოლში მცხოვრებ ქისტებში, არ არსებობდა სოციალურ ფენებად დაყოფა, ყველა თემის წევრი თანასწორი და თავისუფალი იყო. გენერალი ფრეიგატი, რომელიც სწავლობდა ვეინახების საზოგადოებრივ წყობას, წერდა:

„ჩეჩინური ტომის ხალხი არ იყოფა ფენებად, ყველა ისინი წარმოადგენენ ერთ ფენას თავისუფალი ხალხისა, რომელთაგან არც ერთ გვარს არ გააჩნია უპირატესობა სხვა გვართან შედარებით“.

არსებობდა ერთი უუფლებო ფენა, ომის დროს დატყვევებული ე.წ. „ლეი“ („ლაი“) და თარეშების შედეგად გატაცებულ ტყვეთა ფენა. მართალია, ეს ორივე ფენა უუფლებოა, მონის მდგომარეობაშია კლასიკური გაგებით, მაგრამ მათ შორის არსებობს განსხვავებაც. ომის შემთხვევაში დატყვევებულნი, ხატოვნად რომ ვთქვათ, უპატრონონი არიან, რომელთაც უკვე დავიწყებული აქვთ სამშობლო, ნათესავები და პატრონის საკუთრებას შეადგენენ. „ლაის მფლობელს შეეძლო მოქცეოდა მას სურვილის მიხედვით: გაეყიდა, მოეკლა, გაეჩუქებინა, გაეცვალა და ა.შ.

თარეშების დროს გატაცებული, რომელსაც „იისარი“ ჰქვია, მართალია, ტყვის მდგომარეობაშია და იზიარებს „ლაის“ ბეჭს, მაგრამ „ლაისგან“ იმით განსხვავდება, რომ „იისარი“ შეიძლება გამოსყიდულ იქნეს, დაბრუნდეს სამშობლოში. მის მდგომარეობას ახასიათებს ამ სახელისაგან წარმომდგარი შეურაცხმყოფელი სიტყვა იოვსარ, რაც ნიშნავს არაკაცს, არარაობას.

დროთა ვითარებაში მონის შთამომავლობა საპატიო ადგილს იკავებს ვეინახურ საზოგადოებაში. მიუხედავად იმისა, რომ არ გააჩნიათ ავტორიტეტი მოსახლეობაში, ისინი სარგებლობენ იმ უფლებებით, რაც თავისუფალ ხალხს გააჩნია. მაგრამ კაცს თეი-იფის გარეშე არ გააჩნია წონა საზოგადოებაში, ამიტომ „აზატი“ რჩება ყოფილ პატრონთან, უნათესავდება მას, შედის მის თეი-ფში და იკავებს თეი-იფის წევრის ადგილს. ამის შემდეგ მის დაცვას თავის თავზე გვარი იღებს და ყოფილი მონა ხდება „უზდენი“, თავისუფალი. მაგრამ ეს არ წარმოადგენდა მონათა სოციალურ ფენას და არც ერთ შემთხვევაში არ შეიძლება ამის საფუძველზე ვარაუდიც კი, რომ ვეინახებში არსებობდა მონათმფლობელური წყობა. ტყვე მხოლოდ იმ მიზნით ჰყავდათ, მიეღოთ გამოსასყიდი. თუკი არ მოხდებოდა გამოსყიდვა, ტყვე დამტყვევებლის მფლობელობაში რჩებოდა, ასრულებდა პატრონის სამუშაოს, შეიძლებოდა გაეყიდა, მოეკლა, მაშასადამე მონის მდგომარეობაში იყო, მაგრამ ეს არ იყო სოციალური ფენა.

1864 წელს შექმნილი მთიელთა საზოგადოებრივი წყობის შემ-

სწავლელი კომისიის დასკვნაში სწერია:

„ინგუშებში, როგორც მთელ ჩეჩენ ხალხში, არავითარი ფენური დაყოფა არ არსებობდა და არც არსებობს და გარდა ხოლოპებისა, დატყვევებითა და ყიდვით შეძენილებისა, ყველა დანარჩენი მცხოვრები თანაბარუფლებიანია“. ამ დასკვნაში აღნიშნულია უაღრესად საინტერესო და საყურადღებო მოსაზრება: „ჩეჩენებს არ შეიძლება სხვანაირად უწოდო, გარდა მკაცრი და პირველყოფილი დემოკრატებისა“.

ფრანგი მწერალი ერნსტ ჩანტრე, რომელიც გაეცნო ვეინახების ყოფა-ცხოვრებას, აღფრთვანებული იყო ამ ხალხის დემოკრატიული წყობის გამო და წერდა: „ჩეჩენები ცხოვრობენ ისე, რომ არ იცნობენ კლასობრივ განსხვავებას, ... ყველას გააჩნია ერთნაირი უფლება და ერთნაირი სოციალური პოზიციით ნებივრობენ, ძალაუფლება, რომელსაც ანიჭებენ თავიანთ ლიდერებს არჩევითი სისტემის შიდა საბჭოს მეოხებით, განსაზღვრულია ვადით და უფლებებით“.

მაშასადამე, ვეინახებს იმ პერიოდში, როცა შსოფლიოს თითქმის ყველა ხალხში არსებობდა მონათმფლობელური და ფეოდალური ურთიერთობები, როცა მიმდინარეობდა მდიდართა და ძალაუფლების მქონე ფენების მიერ ღარიბი და უქონელი უმრავლესობის ჩაგვრა და ექსპლუატაცია, გააჩნდათ საზოგადოების დემოკრატიული წყობა, რომლის მისაღწევად ე.ნ. ცივილიზებულ ხალხებს ასეული წელი და სისხლისმღვრელი ომები დასჭირდათ.

ისტორიკოს-მკვლევართა ნაწილი ვარაუდობს ჩეჩენეთისა და ინგუშეთის ტერიტორიაზე როგორც მონათმფლობელური, ისე ფეოდალური სახელმწიფო წარმონაქმნების არსებობის შესახებ. თუ გავითვალისწინებთ ჩრდილო კავკასიაში საუკუნეების განმავლობაში წარმოებულ დამპყრობლურ ომებს, რომელთა შედეგადაც ვეინახებმა დატოვეს ვაკე ადგილები და გაიხიზნენ მიუვალ მთებში, შესაძლებელია დამპყრობლებს თერგისა და სუნურის დაბლობებში შეექმნათ მონათმფლობელური და ფეოდალური სახელმწიფოები. თანაც მხედველობაში მისაღებია ის გარემოებაც, რომ თურქულე-

ნოვანი ხალხების წარმომადგენლები დღესაც ცხოვრობენ ჩეჩენეთ-სა და ინგუშეთში და მათში არსებობდა კიდეც საზოგადოებრივ ფენებად დაყოფა.

საქართველოში ჩამოსახლებული ქისტები იყვნენ თავისუფალი საზოგადოების წარმომადგენლები, რომლებიც არ იცნობდნენ კლა-სობრივ დიფერენციაციას, ყველა თანასწორი უფლებებით სარგე-ბლობდა. ქისტებში არათუ რუსებს, არამედ შამილსაც გაუწიეს წინააღმდეგობა, ისლამი კი მიიღო ზოგიერთმა თემმა, მაგრამ შარ-იათი მიუღებელი იყო მათთვის, რადგან არაბული კანონები თავი-სუფლების შეზღუდვად მიიჩნიეს.

ქისტების საქართველოში დასახლების პერიოდში და შემ-დეგშიც, 1864 წლამდე, საქართველოში ბატონყმობა არსებობდა. პანკისში მიწები ქართველი თავადების საკუთრება იყო. ქისტები დასახლდნენ სახაზინო და საეკლესიო მიწებზე, ქართველ თა-ვადებთანაც დაამყარეს კონტაქტი და შედმგომ დაიწყეს მათგან მიწების შესყიდვა. ქისტებმა უარი თქვეს იჯარაზე, რადგან არ ისურვეს, რაიმე უფლებრივი დამოკიდებულება ჰქონდათ გაბა-ტონებულ ფენასთან. სხვათა შორის, ქისტების შემდეგ (XX ს. და-საწყისი) ჩამოსახლებულმა ოსებმა იჯარით აიღეს მიწები.

ვფიქრობ, სწორედ დამოუკიდებლობის, ღირსების, სანდოობის ფაქტორმა განაპირობა მატნელი თავადების, ჩოლოყაშვილების მეგობრული დამოკიდებულება ქისტებთან. კახელ თავადებს (ან-დორონიკაშვილებს, ნათელაშვილებს, კობიაშვილებს) ახლო ურთ-იერთობა ჰქონდათ ქისტებთან, მეგობრობდნენ მათთან, ამოდი-ოდნენ პანკისში და მეგობრებთან ქეიფობდნენ. განსაკუთრებული ურთიერთობა ჰქონდა ქისტებთან საქართველოს დამოუკიდე-ბლობისათვის მებრძოლ, ეროვნულ გმირს, ქაქუცა ჩოლოყაშვილს. სწორედ მისი „შეფიცულთა რაზმი“ ჩამოყალიბდა პანკისში, აქ იყო მათი ბაზა. ამ რაზმი შედიოდნენ ქისტებიც, რომლებიც ქა-ქუცასთან ერთად იბრძოდნენ ახალი სამშობლოს, საქართველოს დამოუკიდებლობისათვის.

როგორც ზემოთაც აღინიშნა, ქისტური საზოგადოებრივი წყ-

ობა პირველყოფილ დემოკრატიულ საზოგადოებრივ პრინციპებს ემყარებოდა. მნიშვნელოვანი საზოგადოებრივი საკითხების გადაჭრა ხდებოდა თემის საერთო ყრილობაზე, რომელშიც მონაწილეობდა ყველა ზრდასრული მამაკაცი. ისტორიკოსი ანა ზელკინა წერს:

„ყველაზე მნიშვნელოვანი საკითხები, რომლებიც ეხებოდა საზოგადოების ყველა წევრს, წყდებოდა ერთიანი თანხმობით სახლხო ყრილობაზე, სადაც მოსახლეობის მამრობითი სქესის ყველა მოზრდილ ნაწილს ჰქონდა თავისუფალი ხმისა და არჩევნებში მონაწილეობის უფლება. ზოგიერთ საზოგადოებაში გადაწყვეტილების წინააღმდეგ მიცემული ხმა საკმარისი იყო, პრინციპში, მისი სრული შეცვლისათვის“.

ვეინახური სახელმწიფოს ჩამოყალიბების პროცესში, ჯერ კიდევ ადრეულ სტადიაში, წინა პლანზე გამოდის უხუცესთა საბჭო, „მეხქ ხეალ“ (სიტყვასიტყვით „ქვეყნის სამართალი“), რომელიც შეიქნა დემოკრატიული არჩევნების გზით. თითოეული თეიფი ირჩევდა დელეგატს (უმეტეს შემთხვევაში გვარის უფროსს), რომელიც ცხადდებოდა თუხუმის (ტომის) ყრილობაზე, სადაც ხდებოდა უხუცესთა საბჭოს არჩევნები.

„მეხქ ხეალ“ წარმოადგენდა საკანონმდებლო ორგანოს და ამავე დროს ირჩევდა და აკონტროლებდა აღმასრულებელ ხელისუფლებას. მართლმსაჯულებას განაგებდა უხუცესთა საბჭო, ქვეყნის დონის საჩივრები განიხილებოდა ქვეყნის უხუცესთა საბჭოს მიერ, ხოლო ყოფა-ცხოვრებითი დანაშაული განიხილებოდა თუხუმის უხუცესთა საბჭოზე. შიდა რეგიონალურ და სოფლის დავებს ასევე წყვეტდა ხალხი, რომელთაც მოდავე მხარეები აირჩევდნენ უხუცესებიდან, თითო ან ორ-ორ მოსამართლეს, რომელთაც ესმოდათ ადათ-წესების კოდექსი და საქმეებს არჩევდნენ.

უხუცესთა საბჭო („მეხქ ხეალ“) მტკიცედ და განუხრელად ახორციელებდა საზოგადოების დემოკრატიულ წყობას. არასოდეს დაუშვებდა, მათ მიერ დანიშნული მოხელე იმდენად გაძლიერებულიყო, რომ ეცადა მმართველობის სადაცები თავის ხელში მოექცია, დაემყარებინა ავტორიტარული მმართველობა. რომ არ მომხ-

დარიყო ასეთი რამ, სარდალსა და სხვა მოხელეს განსაზღვრული ვადით ირჩევდნენ. თუ მოხელე ისე გამდიდრდებოდა, რომ დაინ-ყებდა ქონების დაგროვებას (მიწების შესყიდვა, საქონლის მომრავ-ლება) მას აძევებდნენ ქვეყნიდან ქონების კონფისკაციით.

პანკისში მცხოვრებმა ქისტებმა, თავისთავად იგულისხმება, გადმოიტანეს ის ადათ-წესები, რომლებიც დამახასიათებელი იყო მათვის. მათ ახალ სამშობლოში ახალ პირობებში მოუხდათ ცხოვრების დაწყება. პირველ ხანებში იზოლირებულად ცხოვ-რობდნენ, მეზობელ ქართველებთან ურთიერთობის დაწყებამდე ძალზე გაუჭირდათ, ნანილი ჯოყოლოდან უკან, ქისტეთში გა-დასახლდა კიდეც, მაგრამ სწორედ მამა-პაპური ადათ-წესების, ზე-ჩვეულებებისა და ტრადიციების წყალობით შეძლეს ახალ მი-ნაზე დამკვიდრება.

ქისტებიპანკისში ახალი პრობლემის წინაშე აღმოჩნდნენ. ქისტეთში ისინი თავიანთი კანონებით ცხოვრობდნენ, როცა გა-მოჩნდა მტერი, რომელიც თავისი კანონებით ცხოვრებას აძალებ-და, გამოერიდნენ, მიატოვეს სამშობლო და მეზობელ ქვეყანაში პოვეს თავშესაფარი, მაგრამ აქაც რუსის ხელისუფლება ბატონობ-და, აქ ყველანი სახელმწიფო კანონებით ცხოვრობდნენ. მართალია, პირველ ხანებში სახელმწიფო მოხელები არ ერეოდნენ ქისტების ყოფა-ცხოვრებაში, მაგრამ თანდათანობით დაიწყეს მათი გაკონ-ტროლება, სახელმწიფო კანონმდებლობის ჩარჩოებში მოქცევა. ეს ძალზე რთული აღმოჩნდა, რადგან ეს ხალხი ოდითგანვე თავი-სუფალ ცხოვრებას იყო მიჩვეული და ყველაფერს აკეთებდა, არ დაედგა კისერზე სახელმწიფო ულელი. სწორედ ამ ძალისხმევამ გა-ნაპირობა ის, რომ ყველა საზოგადოებრივ ფორმაციაში (თემური, ბურუუაზიული, სოციალისტური, დემოკრატიული) შეინარჩუნეს დამოუკიდებლობა, ეცხოვრათ საკუთარი ადათ-წესების მიხედვით.

ცხადია, ამ კუთხით სრულ დამოუკიდებლობას ვერ შე-ძლებდნენ, ეს გამოიწვევდა სახელმწიფოსთან კონფლიქტს, რაც დამლუპველი იქნებოდა მცირე ეთნოსისათვის, რომელიც დიას-პორას წარმოადგენდა. ქისტებმა მოახერხეს ეცხოვრათ თავიანთი

კანონებით, მაგრამ, ამავე დროს, დამორჩილებოდნენ სახელმწიფო კანონებსაც. ერთი სიტყვით, გამოუვალ სიტუაციაში, დღევანდელი ტერმინი რომ ვიხმაროთ, კოპაბიტაციაში იყვნენ სახელმწიფოსთან, მაგრამ საკუთარ ადათ-წესებს არ ივიწყებდნენ, საზოგადოები-სათვის მნიშვნელოვან საკითხებს იმ პრინციპებით წყვეტდნენ, რა პრინციპებითაც მართავდნენ საზოგადოებას წინაპრები. ოღონდ ეპოქის შესაბამისად ატარებდნენ რეფორმებს, ახალი დროის ახალ მოთხოვნებთან შესაბამისობაში მოჰყავდათ ადათ-წესები. რეფორმებს ატარებდა პანკისის ხეობის ქისტი მოსახლეობის უხუცესთა საბჭო, რომელშიც შედიოდნენ სხვადასხვა სოფლისა და თევზის წარმომადგენლები. ეს საბჭო იხილავდა უმთავრესად ადათ-წესებში საჭირო ცვლილებებს, ატარებდა რეფორმებს ადგილობრივი, ქისტური თემისათვის ახალი პირობების შესაბამისად, ახალი მოთხოვნების გათვალისწინებით.

ყოფა-ცხოვრებით კონფლიქტებს, სადაც საკითხებს იხილავდა „ხელხო“ (მოსამართლენი), რომელთაც მოდავე მხარეები ირჩევდნენ საკუთარი შეხედულების მიხედვით, ოღონდ არ ჰქონდათ უფლება, მოსამართლედ აეყვანათ თავის გვარის წარმომადგენელი ან ახლო ნათესავი. საქმეებს იხილავდა ორი, ან ორ-ორი კაცი მოპირდაპირე მხრიდან. თუ ვერ შეთანხმდებოდნენ (განაჩენის გამოტანისათვის უნდა იყოს სრული თანხმობა მოპირდაპირე მხარეების მოსამართლეებში), საქმის გასარჩევად სხვა მოსამართლეებს იწვევდნენ, ან უხუცესთა საბჭოს გამოჰქონდა გადაწყვეტილება.

ქისტური ადათობრივი სასამართლოს უნიკალურობა იმაში მდგომარეობს, რომ მოდავე მხარეს ჰყავს თავისი მოსამართლე – ადვოკატი, რომელიც მის ინტერესებს იცავს. ერთი რამ უნდა იცოდეს მკითხველმა, რომ აქ სიტყვა „ადვოკატი“ ვიხმარე უბრალოდ იმ მიზნით, გაცხადებულად ჩანდეს, რომ რომელიმე მოდავე მხარე დაჩაგრული არ იქნება არც ერთ შემთხვევაში, რა თქმა უნდა, თუ მართალია.

სხვათა შორის, უხუცესი მოსამართლე, რომელიც თანხმდება, მიიღოს მონაწილეობა დავის გარჩევაში, წინასწარ ეუბნება თა-

ვის კლიენტს: იცოდე, მე მხოლოდ სიმართლეს დავიცავ, მხოლოდ სიმართლის მხარეზე ვიქნებიო. მოგეხსენებათ, ადვოკატი დღეს კლიენტს იცავს, მისთვის არ აქვს მნიშვნელობა, მართალია თუ მტყუანი მისი კლიენტი, ბანდიტია თუ მკვლელი. ის ფულს, გასამრჯელოს იღებს მის დაცვაში და ვალდებულია, გაამართლოს თავის დაცვის ობიექტი.

ქისტურ ადათობრივ სასამართლოში ასეთი რამ გამორიცხულია. ჯერ ერთი, მოსამართლე უსასყიდლოდ მუშაობს; მეორე, ის არის ცნობილი ავტორიტეტი, სამართლიანი, მოუსყიდველი.

მესამეც, ასეთივე რეპუტაციის მოსამართლესთან აქვს საქმე, მათი ამოსავალი წერტილი სიმართლეა. ამიტომ მოსამართლე შეთავსებით ადვოკატობას ასრულებს, რადგან იცავს თავის კლიენტის სიმართლეს, მხოლოდ და მხოლოდ სიმართლეს. მოსამართლედ მიწვეული პირი უნდა იყოს სამართლიანი, უმწიველო წარსულის მქონე პიროვნება. როდესაც მას ექნება დავა სხვასთან, აუცილებლად უნდა გაიზიაროს ხალხის (შუამავლების) თხოვნა და შეძლოს დათმობაზე წასვლა და შერიგება. თუ პირად დავაში გამოიჩენს სიჯიუტეს, არ იცავს სამართლიანობას და დავას აგრძელებს, ასეთ კაცს უფლება არ აქვს სხვისი დავის გარჩევისა. ასეთ „ხელხოიზე“ იტყვიან: მაგან როგორ უნდა გაარჩიოს საქმე სამართლიანად, როცა თავისი დავის გარჩევაზე უარს ამბობსო. იგი კარგავს ავტორიტეტს, მას უკვე აღარ იწვევენ მოსამართლედ, ძალზე კარგადაც რომ ერკვეოდეს ადათობრივ კანონებში.

მძიმე ხასიათის დავის დროს (დაჭრა, მკვლელობა, ქალის მოტაცება-გაუპატიურება და სხვ.) ადათობრივ სასამართლომდე რომ მიიყვანო საქმე, ძალზე მძიმე, დამღლელი და ხშირ შემთხვევაში ხანგრძლივი მოლაპარაკებები უნდა აწარმოონ. ამ პროცედურაში ერთვება უხუცესთა საბჭო, გვარის უფროსები, მოდავე მხარეთა ნათესავი უხუცესები. დაზარალებული ყოველთვის ცდილობს, ძალადობას ძალადობით უპასუხოს, შეურაცხოფა სისხლით ჩამოიბანოს. ამ დროს საქმის მიშვება, უყურადღებოდ დატოვება არ შეიძლება, რადგან შესაძლებელია, კონფლიქტი უფრო მძიმე და-

ნაშაულში გადაიზარდოს, მოხდეს გამოუსწორებელი რამ, მაგალითად, ჩეუბში დაჭრილი ან მისი ძმა, ბიძა და ბიძაშვილი გამალებული ეძებენ, უსაფრდებიან დამჭრელს, რათა სამაგიერო გადაუხადონ. ჯერ ერთი, არ არსებობს გარანტია, რომ სამაგიერო ზუსტად მოყენებული ზარალის ტოლფასი იქნეს, შეიძლება სასიკვდილო ჭრილობა მიაყენონ, არაერთჯერ მომხდარა ასეთი შემთხვევა. მეორეც, დამჭრელიც გულებულდაკრეფილი არ ზის, იცის, რომ დასდევენ, მომზადებულია და თავს იცავს. ამ დროს შეიძლება უფრო მძიმე ჭრილობა მიაყენოს და ისედაც მძიმე დანაშაული უფრო დაამძიმოს.

ამიტომ არის, რომ უხუცესებს არ სჭირდებათ თხოვნა, ჩაერიონ კონფლიქტის მოსაგვარებლად. თავად შესაბამის დროს (ე.ი. დაუყოვნებლივ, თუ არ არის განზრას მძიმე გარემოებაში ჩადენილი მკვლელობა) იწყებენ მოქმედებას. უპირველეს ყოვლისა, დაადგენენ იმ ავტორიტეტიან უხუცესს (გვარის უფროსს, მამას, ბიძას, ძმას და ა.შ.), რომელსაც აქვს გავლენა დაზარალებულზე. შემდეგ მასთან ერთად მიღიან დაზარალებულის ოჯახში, ხვდებიან დაზარალებულის უახლოეს ნათესავებს და სთხოვენ, შეწყვიტონ დევნა და საქმე გადასცენ ორ კაცს („ხელხოის“) გასარჩევად. უარის შემთხვევაში განაწყენებულები როდი ბრუნდებიან, კვლავ მიღიან, უხსნიან, შეაგონებენ, არწმუნებენ, სთხოვენ, არ მოეშვებიან, სანამ ბოლოს და ბოლოს არ დაითანხმებენ.

უმთავრეს შემთხვევაში შეთანხმება მიღწეულია ხოლმე. უარყოფით რეაქციას იწვევს ქისტურ საზოგადოებაში სიჯიუტე, უხუცესების უპატივცემლობა, ალაპისა და ხალხის სახელით თხოვნაზე უარი. ასეთი ადამიანი გაკიცხვის საგანი ხდება, ის კარგავს პატივისცემას არათუ გარეშე ხალხში, არამედ გვარშიც და ნათესავებშიც. ამიტომ ქისტი კაცის დაყოლიერა მშვიდობაზე არც-თუ ისე რთულია, როგორც ერთი შეხედვით ჩანს. უყვარს თავისი ხალხი, ადათ-წესები, უხუცესები და პატივს სცემს რელიგიას და კომპრომისზე მიღის.

დავის გარჩევის დროს ორივე მოდავე მხარის ნათესავები

იკრიბებიან, ესწრებიან თანასოფლელებიც, უხუცესებიც. ყველანი დაინტერესებული არიან, მშვიდობა ჩამოვარდეს კონფლიქტის მხარეებს შორის, საჭიროების შემთხვევაში გაჯიუტებულ მოდავეს წრეში მოაქცევენ, არწმუნებენ, ეცვენებიან, ემუდარებიან, წავიდეს დათმობაზე და ა.შ. ხალხს დიდი ძალა აქვს, გაჯიუტებულიც მოლბება, დათმობაზე მიდის, აცხადებს, ღმერთისა და ამ ხალხის გულისთვის მიმიტევებია დანაშაულიო. ხალხიც მადლობას უხდის, უწონებს საქციელს, უქებს კაცობას.

გადაწყვტებილება მიღებულია, განაჩენი გამოტანილი და რჩება მხოლოდ ალსრულება. განაჩენის ალსრულების ბერკეტები, მხედველობაში მაქეს ალმასრულებელი ორგანო, უხუცესთა საპჭოს არ გააჩნია, „ხელხომი“ თავისი საქმე გააკეთა, მაგრამ თვალს მაინც მიადევნებს, ასრულებს თუ არა დაკისრებულ განაჩენს სასამართლოში გამტყუნებული. რა თქმა უნდა, ისინი ვალდებული არ არიან და არც მოსთხოვს ვინმე, ნორმალური აზროვნების ადამიანი, საქმე გაარჩიეთ და ალსრულებაც თქვენ იყისრეთო.

მაგრამ არსებობს მორალური ბერკეტები, რასაც მოსამართლენი მიმართავენ კიდევც. ყოველთვის ცდილობენ, მონახონ საშუალება, არ ჩააყენონ დამნაშავე ისეთ მდგომარეობაში, არ დააკისრონ ისეთი მატერიალური გადასახადი, რომელსაც ვერ მოერევა. ასეთ შემთხვევაში მართალს კი არ შეუკვეცავენ სიმართლეს, არამედ განაჩენის შემდეგ სთხოვენ დაზარალებულს, აპატიოს ან შეუმციროს გადასახადი. ერთი სიტყვით, ყველა ღონეს ხმარობენ, რომ საქმე მშვიდობიანად გადაწყდეს და მოხდეს შერიგება, შემდეგ მოდავებმა კვლავ რომ არ წამოიწყონ დავა. მოსამართლები ორივე მხარის წამომადგენლებიდან ირჩევენ თითო ავტორიტეტიან კაცს, რომელთაც პირობას ჩამოართმევენ ხალხის წინაშე, რომ მოსამართლეთა გადაწყვეტილებას პირნათლად შეასრულებენ.

როგორც ალინიშნა, ადათობრივი სასამართლო ტარდება საჯაროდ, შეარჩევენ ნეიტრალურ ადგილს, ჩვეულებრივ სოფლის განაპირობას. მოდავე მხარეები ერთმანეთის დაშორებით დგანან, ხოლო მოსამართლენი („ხელხომი“) განაპირო ან შუაში ირჩევენ ადგილს და

დასხდებიან. მოსამართლენი ისეთი დაშორებით არიან, რომ მათი მსჯელობა, ლაპარაკი არ უნდა ესმოდეთ შეკრებილებს.

საქმის განხილვა იწყება მოსარჩლის („დოუნ და“) დაკითხვით: რას ედავება, სად, როდის, რატომ მოხდა ჩხუბი, დაჭრა, მკვლელობა, ქურდობა თუ სხვა სახის დანაშაულებრივი ქმედება. სანამ ინფორმაციას მოისმენენ, მოსამართლენი აფრთხილებენ მოდავეს, რომ უნდა ილაპარაკოს მხოლოდ და მხოლოდ სიმართლე, ბრალდების დასამტკიცებლად, თუ მოწმენი არ ჰყავს, მოუწევს ფიცით დაადასტუროს ნათქვამი.

მოდავის მოსმენის შემდეგ იწვევენ ბრალდებულს, მასაც ეუბნებიან, რომ ფიცით უნდა დაამტკიცოს თავის უდანაშაულობა და უნდა ილაპარაკოს სიმართლე. ბრალდებულის დაკითხვის შემდეგ მოწმეებს დაჰკითხავენ, ყველას, ვისაც კი შეხება აქვს ამ საქმეს-თან, ხოლო ბოლოს რჩება ორი მოსამართლე (ვინც საქმეს არჩევს, შეიძლება ოთხიც იყოს) და იწყება მოსმენილის აწონ-დაწონვა, მომხდარის განალიზება და განაჩენის გამოტანა.

თუ საქმე მძიმეა, ფაქტების ნაკლებობაა, ან მოსამართლები ვერ თანხმდებიან, ისინი იწვევენ გარეშე, ჭკვიან, ავტორიტეტიან უხუცესებს და სთხოვენ დახმარებას კომპრომისული გადაწყვეტილების გამოტანაში. ეს პროცესი ხშირად დიდხანს გასტანს ხოლმე, შეერებილი დაპირისპირებული ხალხი ნერვიულობს, მაგრამ არც ერთ შემთხვევაში უფლება არ აქვთ, ჩაერიონ საქმის განხილვაში. შეიძლება მოსამართლეებმა მოდავეთა უხუცესი ნათესავები მიიჩვიონ, აზრი გაიგონ, რამდენად წავლენ დათმობაზე, მაგრამ გადაწყვეტილებას დამოუკიდებლად იღებენ. შეიძლება სულაც ვერ მიაღწიონ მოპირდაპირე მხარეების მოსამართლეებმა ერთობლივ გადაწყვეტილებას. ამ შემთხვევაში ისინი ხალხს მიმართავენ, რომ მათ ვერ შეძლეს შეთანხმება, ბოდიშს იხდიან და მოდავეებს ურჩევენ, შეარჩიონ სხვა მოსამართლეები. მაგრამ ასეთი რამ იშვიათობაა, უფრო ხშირად რომელიმე მხარე არ ეთანხმება გადაწყვეტილებას და ხდება საქმის ხელმეორედ გარჩევა უკვე სხვა მოსამართლეების მიერ.

გადაწყვეტილების მიღების შემდეგ ხელხო (მოსამართლენი) გამოდიან ხალხის წინაშე. ორივე მხარის ნათესავები და გულშე-მატკივრები იკრიბებიან და დგებიან პირისპირ. ქალები ასეთ განხილვას არ ესწრებიან, ზოგჯერ მოდიან ახლო ნათესავი ქალები, მაგრამ ისინი შორს დგანან, კაცების სჯა-ბაასი მათ არ ესმით და ჩარევა ხომ გამორიცხულია, „ხეალ“ (სასამართლო) ქალების საქმე არ არის, ისინი შეიძლება გამოძახებულ იქნენ მხოლოდ მოწმის ან დაზარალებულის სახით.

მოსამართლედან ერთ-ერთი, უფროსი აცნობს ხალხს განაჩენს, უფრო ხშირად ქისტური ადათ-წესებისა და სამართლის კოდექსის კარგად მცოდნე. შესავალი, მაგალითად, ასე კეთდება:

— ხალხო, სწორი, უნაკლო განაჩენი მხოლოდ ღმერთს ეკუთვნის, მხოლოდ მას ძალუდს სწორი, ჭეშმარიტი სამართლის განჩინება. ჩვენ, ჩვენი მოკლე ჭკუთ ვცდილობთ საქმის განსჯას და გადაწყვეტილების გამოტანას. ღმერთია მოწმე, რომ ყოველგვარი გადახრის გარეშე, ჩვენი გაგებით, გამოცდილებით, მამა-პაპათა ადათის მიხედვით, მივიღეთ გადაწყვეტილება ამ დავის შესახებ.

შემდეგ შეეხება უშუალოდ დავას, აკეთებს ანალიზს, დეტალურად განიხილავს საქმეს და აცნობს განაჩენს. თუ დამნაშავეს დაეკისრება დაზარალებულისათვის ზარალის ანაზღაურება, დაწესდება გადახდის ვადა ორივე მხარისათვის მისაღებ დროში. და რაც მთავარია, იქვე მოსამართლებისა და უხუცესების თხოვნით, ხდება მოდავეების შერიგება („ყინ ტიერ ვალარ“ – სიტყვასიტყვით – ცოდვისგან გასვლა).

როგორც ითქვა, „ხელხოი“ აუცილებლად უნდა იცნობდნენ ქისტური და მეზობლად მოსახლე ხალხის (ზოგჯერ დავა იყო ქისტებსა და ფშავლებს, ქისტებსა და ოსებს, ქისტებსა და თუშებს შორის) ადათ-წესებს, სამართლის კოდექსს, რაც საკმაოდ სირთულეს შეიცავს. ამავე დროს, უნდა ჰქონდეს ამ საქმეში გამოცდილება და პრაქტიკა. ზოგიერთი „ხელხოის“ ახსოვს უამრავი საქმე, რომელიც წინათ გაირჩა და საქმის განხილვის დროს იყენებს შედარებას: ამა და ამ დროს, ამა და ამ გვარს შორის ესა და ეს საქმე გაირჩა და

ასეთი გადწყვეტილება მიიღეს და ა.შ.

რაც შეეხება ასეთ გარჩევებს, უაღრესად საინტერესო მაგალითებს შეიცავს. ქისტური ადათებით სასამართლოს ჭკვიანურ გადაწყვეტილებაზე უამრავი გადმოცემა არსებობს. გაგაცნობთ ერთ-ერთ მაგალითს:

ოთხი ძმა იყო, გაიყარნენ და გაინანილეს მამის დანატოვარი ლარიბული ქონება. დარჩა ერთი ცხვარი და დილემის წინაშე აღმოჩნდნენ როგორ გაენანილებინათ. დაკვლა და ხორცის განანილება არც ერთმა არ ისურვა, ალბათ, თითოეული ფიქრობდა, იქნებ ცხვარი მე დამრჩესო. ერთი სიტყვით, ვერ შეთანხმდნენ და გვარის უფროსს მიმართეს. ჩანს, ამ კაცს იუმორის გრძნობა პქონდა და უთხრა ძმებს: სანამ არ დაკლავთ ცხვარს, იყოს, იაროს, ოთხი ხართ, თითო ფეხი შეგხვდებათ, ოლონდ წილი ყარეთ, უფრო სამართლიანი იქნება, თითოეულ ფეხს ცხვრის დანარჩენი ნაწილის მეოთხედი შეხვდებაო. ძმები შეთანხმდნენ ამაზე.

უნებურად გახსენდება გიორგი ერისთავის კომედია „გაყრა“, სადაც ძმები დიდებულიძეები დაობენ ერთადერთ მუთაქაზე, თუ ვის უნდა დარჩეს. ამის შემხედვარე უმცროსი ძმა მივარდება მოდავე ძმებთან, იძრობს ხანჯალს, შუაზე გადაჭრის მუთაქას და ერთ ნახევარს ერთ ძმას მიუგდებს და მეორე ნახევარს – მეორე ძმას.

ცხვარს ერთ-ერთი ფეხის ჩლიქი დაუზიანდა, პატრონმა შეუხვია და ასე კოჭლობით დადიოდა. ერთხელაც მეზობლის ეზოში გადავიდა, დიასახლისს ცეცხლი ენთო ეზოში, ცხვარი ახლოს ძოვდა და შეხვეულ ფეხს ცეცხლი წაეკიდა. იქვე სახლის ახლოს თივის ზვინი იდგა, ცხვარი მივიდა და თივის ჭამა დაიწყო. ცეცხლწაკიდებული ფეხიდან ცეცხლი ზვინს გადაედო, ზვინიდან სახლს წაეკიდა და დაიწვა.

დაიწყო დავა. სადაცო არ იყო, რომ ცხვრის პატრონს უნდა აენაზლაურებინა მეზობლისთვის მიყენებული ზარალი. დავა ძმებს შორის მიმდინარეობდა იმაზე, თუ ვის უნდა ეზლო ზარალი. თითოეული უარს აცხადებდა, გადაეხადა თავისი წილი და

დააკისრეს უმცროსს, რომელსაც ეკუთვნოდა დაზიანებული ფეხი და რომლის გამოც სინამდვილეში მოხდა ცეცხლის წაკიდება ჯერ თივის ზვინზე და შემდეგ საცხოვრებელ სახლზე. ერთი სიტყვით, ვერ შეთანხმდნენ და მიმართეს მოსამართლეებს. მათ იმსჯელეს და უჩვეულო, მაგრამ სამართლიანი გადაწყვეტილება მიიღეს: დაზიანებული ფეხი არაფერ შუაშია, საღ სამ ფეხს რომ არ მიეყვანა ცხვარი ცეცხლთან, შემდეგ თივის ზვინთან, არაფერიც არ მოხდებოდა. ზარალის ანაზღაურება უფროს სამ ძმას დაეკისრა.

მოვიყვან კიდევ ერთ მაგალითს „ხელხოის“ გონებამახვილური გადაწყვეტილების შესახებ: ერთმა ქისტმა სადღაც დაიკვეხა, მავანი კაცის მეუღლესთან წუხელ სიზმარში მეძინაო. ეს სისულელე, სულელის წამოროშილი, სწრაფად გავრცელდა ხალხში და მიაღწია „დაზარალებულის“ ყურამდე. როგორც ჩანს, ეს კაცი უაღრესად თავმოყვარე იყო, ლირსების მტკიცე დამცველი, შეურაცხყოფილად იგრძნო თავი და გადაწყვიტა, სისხლით ჩამოერეცხა ეს სირცე-ვილი.

ვინც არ იცის ქისტური ზნე-ჩვეულებანი, ეს ამბავი უცნაურად მოეჩვენება. მაგრამ ქისტებში ქცევის ეთიკას და საუბრისას გამოთქმებს დიდი მნიშვნელობა ენიჭება. ვაჟკაცი (ყუანახ) ფრთხილად უნდა იყოს საუბრისას, არ უნდა შეეხოს მოსაუბრის ლირსებას, თითოეული სიტყვა და ფრაზა მოზომილი უნდა იყოს. ყუანახად (ვაჟკაცად) არ ითვლება ის, ვისაც არ გააჩნია უეზდიელ (ზრდილობა). სიტყვა უეზდიელ ორი სიტყვისგან შედგება – უეზ დიე (ანონე, გაკეთე). ესე იგი ყველა შენი სიტყვა და ქმედება უნდა იყოს ანონილ-დაწონილი და ისე უნდა მოიქცე. ჩვენს მაგალითში, შესაძლებელია, კაცმა ასეთი სიზმარი ნახა კიდეც, მაგრამ საჩიოთირო საკითხის გასაჯაროება უზრდელობა და სირეგვენე არის.

ქალის ქმარმა დევნა დაუწყო მოლაყბეს მოსაკლავად. საქმემ სერიოზული სახე მიიღო, უბრალო, უმნიშვნელო ამბავს სერიოზული შედეგი მოჰყვებოდა, ამიტომ უხუცესები ჩაერივნენ და ეს დავა ადათობრივ სასამართლომდე მიიტანეს. მოსამართლებს მსგავსი დავა არ ახსოვდათ, იმსჯელეს, იდავეს, იკამათეს და შე-

თანხმდნენ ერთიან განაჩენზე. განაჩენი, მართლაც, ორიგინალური გამოიტანეს: სიზმარში სხვისი ცოლის შემცდენელი მზიან დღეს ისე გაატარეს, რომ ჩრდილი ნათლად დასტყობოდა მოლზე, ხოლო ცოლის ქმარს უთხრეს, ჩრდილისთვის ესროლა თოფი. ამ გონივრული გადაწყვეტილებით თავიდან აიცილეს მოსალოდნელი მძიმე დანაშაული.

ასეთი მაგალითი უამრავია, დღევანდელობაშიც ისეთი საქმეები გაურჩევიათ ადათობრივ სასამართლოზე, რომლებიც თავის სირთულით გადაწყვეტლად მიაჩნდათ. პანკისელ ქისტებში განაჩენები თანამედროვე პირობებში ლიბერალური, უფრო ცივილიზებული გახდა. ყოველ ახალ ეპოქას თავისი მოთხოვნები აქვს საზოგადოებისადმი, ჩნდება ახალი მიდგომები ამა თუ იმ საკითხისადმი, სოციალურ-ეკონომიკურ ცვლილებებს შესაფერისი მიდგომები სჭირდება ადათობრივი სამართლის კოდექსშიც. ამ ცვლილებებს ახორციელებს ხეობის უხუცესთა საბჭო („მეხქ ხეალ“) მოთხოვნების შესაბამისად. აუცილებელი ხდება ძველი, დრომოქმული ტრადიციების შეცვლა, ახალი კანონების შემეშავება და მათი ცხოვრებაში გატარება.

ასეთი რეფორმები ხდება მთელი ხეობის ქისტური მოსახლეობის ყრილობაზე. ყრილობაზე ყველა სოფლისა და გვარის წარმომადგენელი ესწრება, ყველა მონანილეობს ახლი კანონის (ქისტურად „ბართ“, რაც ნიშნავს პირობას) შემუშავებაში. ასეთი ყრილობები ტარდებოდა პანკისის ხეობაში ქისტების დასახლების დროიდან. მე აქ შევეხები იმ ყრილობებსა და რეფორმებს, რომელთაც ადგილი ჰქონდათ ჩემს მახსოვრობაში.

1965 წლის 5 თებერვალს შედგა პანკისის ხეობაში მცხოვრები ქისტების საერთო ყრილობა. ყრილობა ჩატარდა სოფ. დუისის თავში, ლია მინდორზე, სოფლის დასავლეთით. ყრილობას ესწრებოდა უამრავი ხალხი ხეობის ყველა ქისტური სოფლიდან. უხუცესთა საბჭო განიხილავდა ადათ-წესში, ჩვეულებასა და ტრადიციაში შესატანი ცვლილების რომელიმე პუნქტს, აზრთა გაზიარებისა და შეჯერების შემდეგ უხუცესთა საბჭოს რომელიმე წევრი შეკრებილ

ხალხს აცნობდა ახალ მუხლს, იწყებოდა კამათი, აზრის გამოთქმა, ყვირილი, მაგრამ საბოლოოდ ხდებოდა კენჭის ყრა და ხმათა უმრავლესობით წყდებოდა ცვლილების შეტანა არსებულ მუხლში.

ამგვარად განიხილეს ადათ-წესებში შესატან ცვლილებათა ყველა პუნქტი და მიიღეს შემდეგი გადაწყვეტილება:

„ჩვენ, პანკისის ხეობაში მცხოვრები ქისტების სახალხო კრების რწმუნებით, ქვემოთ დასახლებულმა პირებმა, სახალხო კრების დაგალებით შევიმუშავეთ ჩვენს ქისტ მოსახლეობაში ისტორიულად მოქმედ ადათ-წესებში შემდეგი ცვლილებების შეტანა, სახელდობრ:

1. მკვლელობა, ე.ი. სისხლის აღებაში მოქმედ წესებში შეტანილი იქნება შემდეგი ცვლილება: თუ კაცმა ჩაიდინა დანაშაული, ე.ი. მკვლელობა, ჭირისუფლისათვის დამნაშავედ, ე.ი. სისხლის აღების პირად ჩაითვალოს მხოლოდ და მხოლოდ მკვლელი. მკვლელის ოჯახმა დაზარალებულის პატრონს უნდა გადაუხადოს შემდეგი:

სამარხი: 4 (ოთხი) სული ცხვარი, 2 (ორი) სული ძროხა და 5 (ხუთი) კოდი ხორბალი. დანარჩენი ყოველგვარი გადასახადი (აღებმიცემობა) ჩაითვალოს გაუქმებულად როგორც დამნაშავის ნათე-სავებისათვის, ასევე მისი ოჯახისათვის.

2. ქურდობა: ქურდობის შემთხვევაში თუ დაზარალებულმა ქურდს მიაყენა (წაასწრო ქურდობაზე) ფიზიკური დაზიანება, დაჭრა ან მოკლა, ან გადასცა საკანონმდებლო ორგანოებს, რის შედეგადაც იგი პატიმრობაში ყოფნისას მოკვდა ან დაიკარგა, ამ შემთხვევაში დაზარალებული ყოველგვარი პასუხისმგებლობიდან განთავისუფლდება და არავითარ პასუხს არ აგებს.

3. ქორწინება: მშობლებისა და ქალის შეთანხმების გარეშე ყოველგვარი დანიშვნა, ბელგის აღება ჩაითვალოს არასავალდებულოდ.

4. ქალის მოტაცება: ქალის მოტაცების ან ძალადობის შემთხვევაში, როგორც ქალი, ისე ქალის მშობლები (პატრონი) უფლებამოსილია მიმართოს კანონს და კანონის მიერ დამნაშავეზე მიღებულ ყოველგვარ ზომებზე როგორც ქალს, ისე ქალის პატრონებს

მოეხსნას ყოველგვარი ადათ-წესებით სავალდებულო პასუხისმგებლობა.

5. საპატარძლოს დანიშვნის შემთხვევაში დასანიშნი შემოღებულ იქნეს 1 (ერთი) სული საკლავი, 1 (ერთი) ჩაფი სასმელი და 20 (ოცი) მანეთი ფულად. ურბეთი გადახდეს ქალწულზე – 200 (ორასი) მანეთი ფულად, ქვრივზე 100 (ასი) მანეთი.

6. პატარძლის სანახავად მიღებული იქნეს კანონად, წავიდნენ ახლო ოჯახის წევრები, დანარჩენი ნათესავებისათვის, როგორც წესი, აიკრძალოს პატარძლის სანახავად წასვლა.

7. სასიძოს სანახავად წასვლა, როგორც წესი, მოსპობილი იქნეს მთლიანად.

8. სიძის ცოლეურებში მისვლა მოხდეს შემდეგი წესით: სიძემ ცოლეურებში უნდა მიიყვანოს 1 (ერთი) სული საკლავი, ამასთან, საჭირო სასმელი, 3 (სამი) საკაბე მატერია.

9. პატარძლის მშობლებისათვის სიძის მიერ მისატანი ქორწილის ხარჯები – 2 (ორი) სული საკლავი და 2 (ორი) ჩაფი სასმელი ჩაითვალოს არასავალდებულოდ და გაუქმდეს.

10. ქორწილში ყოველგვარი შაბაში (ფულადი და ნივთიერი გადალოცვა) მთლიანად მოსპობილ იქნეს.

11. მიცვალებულის შემთხვევაში მატერიების მიტანა აკრძალულ იქნეს და დახმარება მსურველის მიერ გაწეულ იქნეს მხოლოდ და მხოლოდ ფულად (1 მანეთიდან 5 მანეთის ფარგლებში). თუ დაზარალებული მიიღებს სხვა დახმარებას, მაშინ მისი მიცვალებული მაჰმადიანური წესით არ დაიკრძალოს.

12. მიცვალებულის 40-ზე ყოველგვარი მისატანისა და საჭმლის მიტანა აკრძალულ იქნეს ყველა ოჯახისათვის, გარდა დებისა და ძმების ოჯახებისა, წინააღმდეგ შემთხვევაში მისი მიცვალებული მაჰმადიანური წესით არ დაიკრძალოს.

13. მიცვალებულის წლის ხარჯში ყოველგვარი აღებმიცემობა მატერიებისა და სხვა აკრძალულ იქნეს. მიცვალებულის პატრონმა წლის ხარჯი გადაიხადოს თავისი ოჯახიდან.

შენიშვნა: ყოველგვარი დაუშვებლი ქმედებისათვის (როგორი-

ცაა მკვლელობა, ქურდობა, ქალის გატაცება ძალადობით და სხვა) პასუხისმგებაში მიცემული პირისათვის ყოველგვარი საშეღავათო თათბირები (შინაური მორიგება) და მიცემული ჩვენების შეცვლა ყველა ჩვენი ქისტი ერის პიროვნებისათვის სასტიკად აიკრძალოს.

ზემოთ აღნიშნული ხალხის დადგენილების დამრღვევს შეუწყდეს თანამემამულებისაგან ყოველგვარი საჭირო დახმარება როგორც ჭირში, ასევე ლხინში. მისი ჭირისა და ლხინის გამზიარებელი ჩაითვალოს ქისტი ერისა და რჯულის მოღალატედ და არც მისი მიცვალებული დაიმარხოს მაჰმადიანური წესით, ყველა ქვემოთ დასახელებული პირები ვალდებული და უფლებამოსილი არიან მიაქციონ სათანადო ყურადღება ამ დადგენილების ცხოვრებაში სწორად გატარებაზე როგორც თავიანთი სოფლის მოსახლეობაში, ასევე მეზობელ ქისტ მოსახლეობაშიც.

აღნიშნული დადგენილება ძალაში შედის 1965 წ. 6 თებერვლიდან. აღნიშნული დადგენილება ხალხის ნდობითა და დავალებით ჩვენ მიერ არის შემოღებული და ხელს ვაწერთ:

სოფელ დუისიდან:

1. გაურგაშვილი ლაბაზა
2. ხანგოშვილი მახმაბი
3. გაურგაშვილი მახმად
4. ბალაკაშვილი მუსა
5. მარგოშვილი ჰასეი
6. ქავთარშვილი ყადირა
7. ქავთარაშვილი ლაბაზ ალექსის ძე
8. მარგოშვილი თავსოლთა
9. მარგოშვილი დავითი
10. მარგოშვილი მახმადა თათარას ძე
11. ბალაკაშვილი იბრაიმ
12. დუიშვილი ბოფი
13. ალდამოვი აბდულა
14. მაჩალიკაშვილი ექა

15. მაჩალიკაშვილი არჩილა
16. გუმაშვილი სოსო
17. გაურგაშვილი აბდულა
18. გაურგაშვილი თათარა
19. ქავთარაშვილი ლაპაზ მათეს ძე
20. მარგოშვილი სამადა
21. ბალაკაშვილი აბდულა

სოფელ ჯოყოლოდან:

1. ბორჩაშვილი მახამა
2. გუმაშვილი ელიოზი
3. მუთოშვილი მიტო
4. ცისკარიშვილი ბოდი
5. დაქიშვილი გიგა
6. აჭიშვილი ჰასეი
7. მუთოშვილი ოზდია

სოფელ ბირკიანიდან:

1. ცათიაშვილი მუსა
2. ცათიაშვილი შამილი
3. ქუშანაშვილი ამერი
4. ქუშანაშვილი ვისერგი
5. ფარეულიძე იბო
6. ფარეულიძე უმახა
7. ტოხოსაშვილი ზაურბეგი
8. ცათიაშვილი მუხმადა

სოფელ ომალოდან:

1. ციხესაშვილი აშირა
2. გორნაკაშვილი ლაზარე
3. მუწურაშვილი მახამა
4. ალხანაშვილი მიხო

5. წუნაშვილი შამილი
6. გუნაძეაშვილი თოუ
7. ფხაკალშვილი თეიმურაზი
8. თურქოშვილი არჩილი
9. ღანიშვილი ვანო
10. ტოხოსაშვილი ბესო
11. წინწალაშვილი ბაშირა

სოფელ შუა ხალაწნიდან:

1. ცათიაშვილი თუთახ
2. სვიაკაური იპრაიმა
3. ცათიაშვილი ექა“

ამ დადგენილების ცხოვრებაში გატარების უზრუნველყოფას თავის თავზე იღებს 52 უხუცესი. უდავოა, რომ მიღებული კანონები პროგრესულია, უხუცესთა მცდელობაა, გაამარტივონ და ცხოვრების ახალ მოთხოვნილებას დაუახლოონ წინაპართა ადათ-წესები, ასევე შესაბამისობაში მოყვანონ მოქმედი ადათ-წესები სახელმწიფო კანონებთან. ეს უაღრესად დროული და საჭირო რეფორმებია, მათი პროგრესულობა შეიძლება დღეს არცთუ ისე დამაჯერებელი იყოს მათთვის, ვისაც არ ახსოვს, ან არ იცნობს იმ ადათობრივ კანონებს, რომლებიც მოქმედებდა 1965 წლამდე პანკისის ქისტურ მოსახლეობაში. უფრო ნათლად რომ გამოჩნდეს მოქმედ კანონებში რეფორმული სიახლის მნიშვნელობა, გავეცნოთ რამდენიმე პუნქტს ყრილობის რეზოლუციიდან.

ამ ყრილობამდე მკვლელობის დროს შურისმაძიებელი შეზღუდული არ იყო მსხვერპლის შერჩევაში. მას შეეძლო მოეკლა მკვლელის ახლო ნათესავებში ნებისმიერი, ახლო ნათესავებში კი არადა, გვარში მისთვის სასურველ (ე.ი. გვარში საუკეთესო) წევრს მოკლავდა და ანგარიშიც გასწორებული იყო, მოდავე არავინ ჰყავდა. ამ ახალი კანონით კი შურისძიება შეიძლებოდა მხოლოდ და მხოლოდ მკვლელზე.

ახალი კანონით, მკვლელის ნათესავები დასამარხი ხარჯებისა და შურისძიებისგან (გარდა მკვლელისა) განთავისუფლების სანაცვლოდ იხდიან ოთხ სულ ცხვარს, ორ სულ ძროხას და ხუთ კოდ ხორბალს, ადრე ხუთი ძროხიდან იწყებოდა გადასახადი, თითქმის მთელ გვარზე ვრცელდებოდა და ერთი ცხვრით მთავრდებოდა. როგორც ვხედავთ, შესამჩნევად არის შემცირებული გადასახადი, რაც შედავათს აძლევს ისედაც მძიმე მდგომარეობაში ჩავარდნილი მკვლელის ნათესავებს.

ქურდობასთან დაკავშირებულ მუხლს უაღრესად დიდი მნიშვნელობა აქვს, რამეთუ დაზარალებულს უხსნის პასუხისმგებლობას. თუ ქურდს მოუსწრო, მოხდა შეტაკება, ქურდის დაჭრა, მკვლელობა და სხვ. აქამდე არსებული ადათის თანახმად, პასუხს დაზარალებული აგებდა. თუ, მაგალითად, ქურდს უჩივლებდა, ან ჩხუბის დროს დაჭრიდა ან დამნაშავეს დაიჭრდნენ და ის ციხეში მოკვდებოდა, პასუხისმგებლობა დაზარალებულს ეკისრებოდა.

ყველასთვის ცნობილია, რომ საქურდლად, საძარცვად მიმავალი ყველთვის შეიარაღებულია და ესვრის ყველას, რათა მისი ავკაცია არ გამოაშკარავდეს. ასეთი რამ მომხდარა, სახლის პატრონისთვის უსვრიათ, მოუკლავთ კიდეც. მაგალითად, სოფ. დუისის კოლმეურნებას საზამთრო ეთესა სოფლის ჩრდილო-აღმოსავლეთით, ალაზნის პირას, მეშთიეს წყაროსთან. ყამირ მიწაზე იყო დათესილი და კარგი მოსავალი იყო. ამ ბაღში შეიპარნენ ქურდები, მებაღე უ. მაჩალიკაშვილმა შენიშნა ქურდები და გამოეკიდა. ერთ-ერთმა ესროლა და მებაღე გარდაიცვალა. ქურდის მოძებნა ძნელია, ქურდობა ხომ საიდუმლოდ ხდება. იყო ეჭვმიტანილი, მაგრამ ფიცით უარყო დანაშაული.

ომის პერიოდში სოფ. დუისის ცენტრალური გზის პირას, უმი მაჩალიკაშვილის სახლში იყო საწყობი. გვიან ღამით შინ ბრუნდებოდა უმის ახალგაზრდა შვილი უ. მაჩალიკაშვილი და შეეფეთა საწყობიდან გამოსულ ქურდს, რომელმაც ესროლა და ბარძაყის ძვალი გადაუმსხვრია. ჭრილობა მძიმე აღმოჩნდა, რამდენჯერმე ოპერაცია გაუკეთეს და სიკვდილს ძლივს გადაურჩა. ეჭვმიტანილი

ზემოხალაწნელი იყო, მოსაკლავადაც დასდევდნენ, მაგრამ ისევ ფიცით უმველა თავს.

ფიცზე ჩვენ ცალკე გვექნება საუბარი, მაგრამ აქ აღვნიშნავ, რომ ქურდის ფიცი სერიოზულად არ შეიძლება აღიქვას. კაცი, რო-მელიც მზად არის, მოკლას უდანაშაულო ადამიანი მხოლოდ იმის გამო, რომ მისი ქურდობა არ გამოამკარავდეს, ცრუ ფიცზე არ წავა? მე პირადად ვიცნობდი ქურდს, რომელმაც ერთხელ ქეიფში სიმთვრალისას წამოროშა:

— ერთი მეზობელი გადამეკიდა, მეც წამიყვანეო საქურდავად. ჯერ უარზე ვიყავი, წესიერი კაცი იყო, ვურჩიე, შენი საქმე არ არის-მეთქი. არ მომეშვა და დავთანხმდი. შუალამისას დათქმულ ადგილზე შევხვდით, წისქვილის წყალთან ახლოს. როცა მოვიდა, წყლის პირზე მივიყვანე და ვუთხარი:

— დაიფიცე ყურანზე, რომ ეს წყალი აღმა მიდის.
— რას ამპობ, წყალი დაღმა მიექანება და საწინააღმდეგოზე როგორ დავიფიცებ?

— თუ ქურდობაზე მიდიხარ, მზად უნდა იყო ცრუ ფიცისათვის. დაიფიცე!

— არა, არასდიდებით ტყუილად არ დავიფიცე.
— გასაგებია, შენ საქურდავად ვერ წაგიყვან, ამიტომაც გეუბ-ნებოდი უარს, წადი, ძმაო, მიაშურე შენს თბილ ლოგინს და ხვალ ცივი მჭადი იქმარე.

თავზაქინდრული ქურდობის მოსურნე სახლისკენ წავიდა.
— შენ, მასნავლებლო, ადვილი ხომ არ გგონია, სხვის გომურში შეიპარო, ცხენი ახსნა და მთელი ღამე იარო? თუ გზაში გაგი-თენდა, მთელი დღე მშიერი უნდა იჯდე ტყეში და მეორე ღამეს თუ მიაღწევ სახლში.

არიან ქურდები, რომლებსაც ცრუ ფიცის ეშინიათ, ყველა ლონეს ხმარობენ, თავიდან აიცილონ ცრუ ფიცი და ეშმაკობით იძვრენენ თავს. მაგალითად, ერთი შატოელი ცხენის ქურდი, რო-მელიც წლების განმავლობაში მისდევდა ამ ხელობას, ვერაფრით გამოიჭირეს ფაქტზე. იცოდნენ, რომ ცხენებს იპარავდა, სხვადასხ-

ვა რეგიონში გადაჰყავდა და კარგ ფასად ჰყიდდა, მაგრამ თავის მართლების ხერხებს იყენებდა და ყოველთვის იმართლებდა თავს.

პირადად ვიცნობდი ალაუდინს, ცხენების საყიდლად იყო პანკისში ჩამოსული მამაჩემის ნაცნობთან ერთად და ჩვენთან სტუმრობდა. დაბალი ტანის, სუსტი აგებულების მოხუცი იყო, 80 წელს მიღწეული, მაგრამ ჯანიანი, ყოჩალი და სხარტი. ერთხელ შატოეს გზაზე შემხვდა კარგა ხნის მერე ცხენზე იჯდა და უნაგირზე მობმული ცხენიც მოჰყავდა. ჩვენთან ყოფნის დროს ჩვენმა ნაცნობმა მომიყვა მისი ქურდობის თავგადასავლები და რაკი ვიცოდი, ცხენებს იპარავდა, ვიფიქრე, გავეხუმრები-მეთქი, მანქანა გავაჩერე, გადმოვედი, წინ გადავუდექი მხედარს, მან ვერ მიცნო.

— შენ, უფროსო კაცო, ეს ცხენი უპატრონო ხომ არ გვინია, საბელით საკუთარივით რომ მიგყავს.

ალაუდინი დაიბნა, აშკარად შეეტყო შეცბუნება. ისეთი სასაცილო იყო მისი შეცბუნება, რომ გამეცინა და ვუთხარი:

— ალაუდინ, ასე მალე ივიწყებ ყოფილ მასპინძელს? მან მიცნო და აშკარად დაეტყო შვება. მისმა ნაცნობმა მომიყვა მისი ერთი ფიცის შესახებ.

ალაუდინმა ცხენები მოიპარა და გაასაღა კიდეც. მაგრამ ერთ დღესაც შენიშნა ცხენების პატრონები, რომლებიც მისი სახლისკენ მოდიოდნენ და მაშინვე მიხვდა, რაზეც გაირჯებოდნენ. აკვანში მწოლმა ბავშვმა ტირილი დაიწყო. ალაუდინს ტვინში გაჰკრა, რა ეღონა თავის გასამართლებლად. სწრაფად უბრძანა ცოლს, ბავშვი აკვიდან ამოეყვანა. როგორც კი აკვანი განთავისუფლდა, თავად ჩაწვა, ცხადია, ბავშვის აკვანში ალაუდინი ვერ ჩაეტეოდა მორჩილი ტანის მიუხედავად, მაგრამ მას ეს არც სჭირდებოდა, უბრალოდ, თავი და ზედა ტანი რაღაცნაირად მიადო აკვნის ქვეშაგებს და მერე ცოლს უბრძანა, აკვანიც გაეტანა და ბავშვიანად გასულიყო მეორე ოთახში.

ცხენის პატრონები შევიდნენ ეზოში და დაუძახეს მასპინძელს. ალაუდინი გამოეგება და სახლში შეიპატიუა სტუმრები. ისე იქცეოდა, როგორც ქისტ მასპინძელს შეეფერებოდა, მაგრამ დაზარალე-

ბულებმა მასპინძელს უარი უთხრეს შინ შესვლაზე, რადგან საუბარი, რომელიც დანაშაულს ეხებოდა, ოჯახში კი არა, გარეთ უნდა გამართულიყო.

ალაუდინმა სასტიკი უარი განაცხადა, ჩემს სიცოცხლეში არ მიქურდიაო. დაიწყო კამათი. ალაუდინი შევარდა სახლში, გამოიტანა ყურანი, მე-9 გვერდზე გადაშალა, თითო დაადო და დაიფიცა:

– ვფიცავ ყურანს, ალაპს, რომელმაც ეს ყურანი გადმოავლინა ზეციდან, იმის შემდეგ, რაც აკვიდან წამოვდექი, არ მიქურდია!

ამან ძლიერი შთაბეჭდილება მოახდინა ცხენების პატრონებზე, ერთმანეთს გადახედეს, თავები გაიქნიეს და წავიდნენ. რას იზამდნე? მოწმე არ ჰყავდათ, ფიცს უნდა დასჯერებოდნენ.

ალაუდინი მართალი იყო იმაში, რომ აკვიდან წამოვდგომის შემდეგ არ იქურდა იმ გაგებით, რომ, მართლაც, რამდენიმე წუთის წინ აკვიდან ადგა, მაგრამ, ამავე დროს, ტყუოდა, რადგან ბავშობის შემდეგ ბევრჯერ ექურდა. ისე, ეშმაკები არიან მთიელები, ერთი შეხედვით, გამოუსვლელნი და ხეპრენი ეგონება კაცს, მაგრამ ჭკუა და მოხერხება არ აკმიათ. ისიც გამიგია, რომ ერთმა ქისტმა მიწის დავის დროს საკუთარი ეზოს მიწა ჩემებში ჩაყარა, სადავო მიწაზე დადგა და დაიფიცა:

– მიწა, რომელზეც ახლა ვდგავარ, ჩემია.

მოვიყვან კიდევ ერთ კანონს, რომელიც 1965 წ. ყრილობამდე მოქმედებდა. თუ ქურდი ცხენს მოიპარავდა, ცხადია, მოაჯდებოდა და ჭენებით გაეცლებოდა ცხენის პატრონის სოფელს. ნათქვამიც არის, ცხენი თავად იპარავს თავის თავსო. თუ ცხენმა ქურდი ჩამოაგდო და მპარავი დაიღუპა, ცხენის პატრონი აგებდა პასუხს. კურიოზული ამბავია, მაგრამ ეს წესი მოქმედებდა. სხვათა შორის, ყოველთვის მიკვირდა ეს უაზრობა და ვცდილობდი, გამერკვია, რის საფუძველზე ჩამოყალიბდა ასეთი სულელური ტრადიცია. გაირკვა შემდეგი: ცხენის ქურდის ზემოთ აღნიშნულ ვითარებაში დაღუპვა სისხლად ედებოდა ცხენის პატრონს იმ შემთხვევაში, თუ მას ემართა ქურდის ვალი, ვალდებული იყო, მისთვის ან ცხენი, ან ცხენის საფასური გადაეხადა. სამართლით მიკუთვნებული ჰქონდა,

მაგრამ ცხენის პატრონი არ იხდიდა, იძულებული გახდა, მოეპარა ცხენი თავის ვალის სანაცვლოდ. მხოლოდ ამ შემთხვევაში შეიძლებოდა დალუპული ქურდის სისხლის ძიება.

ცნობილია, პრეცედენტები ქმნიან ტრადიციებს და ამ ხასიათის შემთხვევამ განაპირობა კიდეც ასეთი წესის დამკვიდრება. ქურდობის ამ პუნქტში ყრილობის დადგენილება აქტუალურია, სამართლიანობის პრინციპზე აგებული და მისაღები. ყრილობის დადგენილებაში არ ჩანს, მაგრამ ქურდობის სხვა შემთხვევებში არსებული სხვა კანონები ყრილობამ ძალაში დატოვა, მათზე ქვემოთ მექნება საუბარი.

ქორწინებასთან დაკავშირებით ყრილობამ დაადგინა, რომ „მშობლებისა და ქალის შეთანხმების გარეშე ყოველგვარი დანიშვნა, ბელგის აღება ჩაითვალოს არაკანონიერად, ანუ არასავალდებულოდ“. მართლაც, ქალის თანხმობის გარეშე გათხოვება დღეს უაღრესად ვულგარულად ჩანს, სინამდვილეში ქალზე ძალადობაა, მაგრამ ასეთი ადათ-წესი არსებობდა. მე თავად ვყოფილვარ მეგობრისთვის ქალიშვილის დასანიშნად წასული ახალგაზრდობაში. სასმელითა და საკლავით (ყოჩით) ქალიშვილის ეზოში ლოდინში შუალამემდე ვმდგარვარ, სახლში მოლაპარაკებას უხუცესები ანარმოებდნენ საპატარძლოს მშობლებთან და გულის ფანცქალით ველოდით, რომ ჩვენი მაჭანკალი გარეთ გამოვიდოდა და დაიძახებდა:

– ყელი გამოსჭერით ცხვარს!

მაგრამ ტყუილად ველოდეთ იმ ღამეს, შემდეგ ღამესაც ასევე უშედეგოდ ველოდეთ. ასე რომ, ჩემ მეგობარს მოუწია სხვა ქალის შერთვა, ამ შემთხვევაში ქალიშვილი და დედამისი კერპები აღმოჩნდნენ, თორემ მამა და ბიძა ზეწოლას ვერ უძლებდა, ნათესავების, უხუცესების ხათრით თანხმობას აცხადებდნენ ქალის ნების საწინააღმდეგოდ. ამ საკითხს ქვემოთ უფრო დეტალურად განვიხილავთ.

ყრილობამ შეზღუდა საპატარძლოს სანახავად წამსვლელთა რაოდენობა, ნება დაერთო მხოლოდ სიძის ახლო ნათესავებს. ესეც დროულად მიღებული აკრძალვა იყო, რადგან თითქმის მთელი

ნათესაობა მიადგებოდა პატარძლის ოჯახს და დიდ ხარჯში აგდებდა. ყველაზე მისასალმებელი იყო დადგენილების ის მუხლი, რომლითაც აკრძალულ იქნა სასიძოს სანახვად წასვლა. სასიძოს ნახვაც ხარჯთან იყო დაკავშირებული, იმ ხარჯს უტოლდებოდა, სიძე რომ მიდის ცოლეურებში. სიძის სანახვად ქალის ნათესაობა და რამდენიმე დარბაისელი კაცი მიდიოდა, სულ 20-25 კაცი, თანაც ქალებიც ახლდნენ ხოლმე.

„მივლენ ღამე ვაჟიანთსა, იქ საკლავს დაკლავენ, ვახშამს გაუმართავენ, ქამარ შემოხსნილებს (იგულისხმება იარაღის მოხსნა, რასაც ქისტები „იუყ იასთარს“ – წელის გახსნას ეძახიან. – ხ.ხ.) დასხამენ პურის საჭმელად, რომ კარგა, თავისუფლად ივაჭმონ. საჭმელია: ხორცი, გალანა (სიმინდის ცომისგან მუქში მოქცევით გაკეთებული მოხარშული ნაჭრები. – ხ.ხ.) და პურები, არაყი ბლომად.

ზოგი არაყსაც არ სვამს, იმ ღამეს ასე სმა-ჭამაში და ლაყბობაში გაატარებენ. თუ მგლოვიარედ არ არიან, ჩონგურსაც უკრავენ (ჩონგური გრძელია და ორლარიანი) ლხინობენ, ნეფე-დედოფალი არსად ჩანს.“

ასე აღნერს ასი წლის წინანდელ სიძის ნახვის ტრადიციას მ. ალბუთაშვილი. ეს წესი მოქმედებდა 1965 წელსაც, რაც ყრილობამ უარყო. მაშინ უფრო გართულებული და უფრო მეტ ხარჯებთან იყო დაკავშირებული. როგორც ჩანს, ეს წესი მომდინარეობდა ქისტეთის მაღალმთიან რეგიონში ცხოვრების დროიდან, როცა პატარძალს ეძებდნენ დამორებულ, მივარდნილ აულებში. ცხადია, ძველად განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებდნენ გვარიშვილობას, ყველა ცდილობდა ცნობილი თეიფიდან მოეყვანათ სარძლო. ამ შემთხვევაში გადამწყვეტი მნიშვნელობა ჰქონდა არა ოჯახის ქონებრივ სიძლიერეს, ეს სიძეს არც გამოადგებოდა, რადგან თავმომწონე ქისტი არასდროს იქნება დამოკიდებული ცოლეურებზე ეკონომიურად. ცნობილად ითვლებოდა თეიფი, რომელიც მრავალრიცხოვანი იყო მამრობითი ხაზით, შეეძლო თავისი უფლებების დაცვა და თავს არავის დააჩაგვრინებდა.

ძველად მაჭანკლობით ხდებოდა ქალ-ვაჟის მშობლებს შორის მორიგება. თუკი პირობა დაიდებოდა, ნიშნობა შედგებოდა, როგორც პატარძლის ნახვა, ისე სიძის გაცნობაც დღის წესრიგში დგებოდა და ქალის მაყრებიც მიდიოდნენ სიძის ოჯახში. პანკისში რამდენიმე სოფელში მცხოვრები რაღაც 5000 მოსახლე ერთმანეთს იცნობდა და ეს ცერემონიალი ზედმეტი იყო და ყრილობამ ამ კუთხით სწორი გადაწყვეტილება მიიღო, როცა აკრძალა სიძის ოჯახში მის სანახავად მისვლა.

ყრილობაზე მიღებულ მე-10 მუხლში აკრძალულია შაბაში – ფულადი და ნივთიერი გადალოცვა. ეს, ჩემი აზრით, ერთ-ერთი მნიშვნელოვანი გადაწყვეტილება იყო. ადრე, როცა ნეფის მაყრები მიდიოდნენ პატარძლის ოჯახში, ქორწილის სუფრაზე, როცა სტუმრები შეზარხოშდებოდნენ, ერთ-ერთი ცნობილი სითამამითა და მახვილსიტყვაობით, რომელსაც ფშავლები „მყეფარს“ ეძახდნენ, ინიშნებოდა პატარძლის მხრიდან, ჩამოუყვებოდა სუფრაზე მსხდომ სტუმრებს და კრეიფდა „გადასახადს“. რა თქმა უნდა, ნეფის ახლობლობისა და მეგობრობის შესაბამისად თანხას იძლეოდა მაყარი, ან საჩუქარს გაიღებდა. „მყეფარი“ ასახელებდა მჩუქებლის ვინაობას, მოღვაწეობასაც აღნიშნავდა, ბარაქიან ხუმრობასაც მიაყოლებდა და ხმამაღლა დაიყვირებდა:

- სიძის ბიძაშვილი ახიადი 50 მანეთს შეეწია, ააშენოს.
- ააშენოს! – ღრიალებდნენ შექეიფიანებულები და იდგა ერთი ღრიანცელი, სიცილ-ხარხარი, დამბაჩის სროლა.

„მყეფარს“ ახლდა სიის აღმრიცხველი, საჩუქრების მიმღები და მოსეირე მიტმასნილებიც. ერთი სიტყვით, დიდი ცირკი იყო, ვინც ცოტა თანხა გაიღო, ჩუმად იყო, რცხვენოდა, მაგრამ თუ „მყეფარს“ თვალში მოუვიდოდა, „ააშენებდა“, ბევრ თანხას დაასახელებდა, თუ არ მოსწონდა, ხუმრობ-ხუმრობაში ამასხარავებდა.

შემდეგ და შემდეგ, როცა ქისტები ეკონომიკურად მომძლავრდნენ, ეშხში შევიდნენ და ზოგიერთი შემძლე ადამიანი დიდ თანხას ჩადიოდა, ხოლო ღარიბი დაჩაგრულ მდგომარეობაში აღმოჩნდებოდა, თავმოყვარეობა ელახებოდა. ეს კი ქისტური მენ-

ტალიტეტისათვის მიუღებელი იყო, მიუხედავად იმისა, რომ შესაძლებლობა არ ჰქონდა, ქვას გახეთქავდა და ტოლს არ დაუდებდა გაბლენილს.

ამას ბოლო უნდა მოღებოდა, ხშირი იყო ქორწილებში გაღიზიანება, რაც ჩხუბში გადაიზრდებოდა ხოლმე და მძიმე შედეგებით მთავრდებოდა. შაბაშის მოსპობა დიდი ენთუზიაზმით მოხდა.

ასევე დროული იყო მიცვალებულზე მატერიების მიტანა. ძველად, როცა სუდარა (მიცვალებულის შესახევი თეთრი ტილო) ძნელად იშოვებოდა, ნათესავ ქალებს მიჰქონდათ მატერიის ნაჭრები, რომლებისგანაც სუდარას (ქალებისათვის გრძელ პერანგებს, მამაკაცებისთვის პერანგებსა და მის ამხანაგებს) კერავდნენ. ეს ტრადიციად იქცა და დაკრძალვაზე მისული ქალები, თითქმის ყველა, ოთახის ერთ კუთხეში ყრიდა ქალალდში გახვეულ მატერიას, რასაც ჭირისუფლები ვერაფერში იყენებდა.

როგორც ითქვა, ყველაზე სუსტი მხარე ქისტური სამართლის არის აღმსრულებელი ბერკეტების უქონლობა. ყრილობაზე მიღებული გადაწყვეტილების ცხოვრებაში გასატარებელ ბერკეტად ცნეს უხუცესებმა მიცვალებულის დამარხვის წესი: ვინც დაარღვევდა ყრილობის დადგენილებას, ისლამის რიტუალებით არ უნდა დამარხულიყო. ეს გადაწყვეტილება ეფექტური არ აღმოჩნდა, რადგან არასწორი იქნებოდა მუსლიმის, როგორც არ უნდა დაერღვია სოფლის შეთანხმება ან ჩაედინა სხვა სახის დანაშაული, მუსლიმური წესით არ დაემარხათ. ასეა თუ ისე, აღნიშნული ყრილობის რეზოლუციების ნაწილი ცხოვრებაში დამკვიდრდა, ზოგი ნაწილი თანდათან დავიწყებას მიეცა.

1990 წ. სოფ. დუისში შედგა პანკისის ხეობის ქისტი მოსახლეობის ყრილობა, სადაც განიხილეს ქისტურ ადათ-წესებში შესატანი ცვლილებები. ამ ყრილობაზე განიხილეს ერთადერთი საკითხი:

1. ქისტი ხალხის ადათ-წესებში, ზნე-ჩვეულებებსა და ტრადიციებში შესატანი ცვლილებების შესახებ.

ეს ის პერიოდი იყო, როცა საქართველოში დაიწყო ეროვნული მოძრაობა, ე.წ. „პერესტროიკისა და გლასნოსტის“ ხანა, ხალხის

გამოღვიძების, ეროვნული თვითშეგნების გაღვივების ეპოქა. ქისტი ხალხიც, როგორც საქართველოს მოქალაქეები, დაფგნენ ქართველი ხალხის გვერდით დამოუკიდებლობისათვის ბრძოლაში. სწორედ ახალი იდეებით შეპყრობილი, ეროვნულ მოძრაობასთან დაკავშირებული ქისტების საინიციატივო ჯგუფი, უხუცესები და ახალგაზრდობა ჩაუდგა სათავეში რეფორმისტულ მოძრაობას.

ყველა სიახლის ჩამოთვლას, რომლებიც ყრილობაზე იქნა წამოყენებული და მიღებული, შორს წაგვიყვანს, ამიტომ შევეხები ძირითადს:

როგორც ვიცით, ეს იყო ეკონომიკური სიდუხჭირის პერიოდი და მოსახლეობას არ შეეძლო გაელო ის ხარჯი მიცვალებულის გასასტუმრებლად, რომელსაც ადრე პრობლემების გარეშე, ნათესავების შემოწირულობის შედეგად ღარიბი ოჯახიც ართმევდა თავს. ახლა უკვე აღარ შეეძლო ცნობილ ოჯახებსაც კი გაეწია ადრინდელი ხარჯები. გაითვალისწინა რა არსებული ეკონომიკური მდგომარეობა, ყრილობამ დაადგინა, რომ „აიკრძალოს მკვდარზე ერთი სული საშუალო წონის მსხვილფეხა პირუტყვის გარდა სხვა სახის პირუტყვის დაკვლა და განაწილდეს თავის უბნის ობლებზე და ხელმოკლე ოჯახებზე“. ეს პუნქტი შესაბამისობაში მოდიოდა ისლამის პრინციპებთან.

ასევე შეიკვეცა რელიგიური რიტუალის (ხმამაღალ ზიქრის) შესრულებისათვის სადილის თუ ვახშმის სუფრის მრავალფეროვნება (ხორცითა და წვენით განისაზღვრა).

აიკრძალა დასაფლავებიდან ორმოცისა და წლისთავის აღნიშვნა. დაწესდა სამი პარასკევი, აქაც მხოლოდ ერთი ცხვრის დაკვლიოთ შემოფარგლა ხარჯები, ანუ ისლამის პრინციპებთან შესაბამისობაში მოხდა რეფორმა.

ამ ყრილობაზე მონესრიგდა დანიშვნის, ქორწინების, ქალის გატაცების, შერიგების და სხვა სახის რეფორმები არსებულ ადათ-წესებში. ამ საკითხებზე საუბარი დეტალურად მექნება ქალებთან დაკავშირებულ თავში.

ქურდობასთან დაკავშირებით წინა ყრილობაზე მიღებულ

დადგენილებაში რაიმე ცვლილება არ შესულა, გარდა იმისა, რომ „ბინის გაქურდვის შემთხვევაში ზარალი ანაზღაურდეს ხუთმაგად, სხვა შემთხვევაში სამმაგად“.

მკვლელობასთან დაკავშირებითაც ამ ყრილობაზე დიდი ცვლილებები არ მომხდარა გარდა იმისა, რომ „შემთხვევითი მკვლელობის შემთხვევაში განახევრდეს განზრახ მკვლელობაზე დაწესებული ნორმა“.

სიახლე იყო კანონის შემოღება ნარკოტიკების გამსაღებლებზე. ადრე ქისტები არ მოიხმარდნენ ნარკოტიკებს, ათას-წლეულების მანძილზე ერთი ნარკომანიც კი არ ჰყოლიათ, მათ გაყიდვაზე ნარმოდგენაც არ ჰქონდათ. XX საუკუნის 90-იანი წლებიდან იწყება ამ საშინელი სენის გავრცელება პანკისში, ქისტი მოსახლეობის მონინავე ნაწილმა იგრძნო საშინელი საფრთხე და წინაღება. ყრილობამ დაადგინა:

„ნარკოტიკული ნივთიერების დამზადება, შეძენა, შენახვა-გასაღების მიზნით, ჩაითვალოს ერთი ღალატად და მისი დამამზადებელი, გამსაღებელი მხილებულ იქნეს ერთი მიერ და ზომების მისაღებად გადაცემულ იქნეს სამართალდამცავ ორგანოებისათვის, ასეთი პირის გადაცემის შემთხვევაში ყოველგვარი პასუხისმგებლობა მოეხსნას დამნაშავე პირის გადამცემ ხალხს“.

ერთ-ერთი სიახლე იყო ისეთი კანონის მიღება, რომელიც უფლებას აძლევდა საჯარო მოსამსახურის კრიტიკასა და მხილებას. ადრე ასეთი ქმედებისათვის მოსამსახურ ადათობრივ სასამართლოში იწვევდა კრიტიკოსს და ხშირად მიყენებული ზარალის ანაზღაურებას აკისრებდნენ, ამიტომ იყო, რომ ს/ს თავმჯდომარე, მეურნეობის დირექტორი, ბუღალტერი, ეკონომისტი და სხვ. თავისუფლად ღლეტავდნენ მშრომელებს, ამიტომაც მიიღეს ქისტური სამართლისათვის ძალიან მნიშვნელოვანი ახალი კანონი:

„მოსამსახურ პირის მიმართ, განურჩევლად თანამდებობისა, სახალხო კრიტიკისათვის, ან მის მიერ თანამდებობის ბოროტად გამოყენების მხილებისათვის სასტიკად აიკრძალოს გამომსვლელის მიმართ ადათობრივი წესით სასამართლოების მოწყობა“.

სიახლე იყო შემდეგი პუნქტიც:

„აიკრძალოს ყოველგვარი დაუშვებლი ქმედებისთვის, როგორიცაა: მკვლელობა, ქურდობა, ქალის ძალად გატაცება, ნარკოტიკული ნივთიერების გასაღება-მოხმარებისა და სხვა დანაშულისათვის პასუხისმგებაში მიცემულ პირთათვის ყოველგვარი დახმარება (სააყა), საშეღავათო თათბირები, შინაური მორიგება და მიცემული ჩვენებების შეცვლა“.

ერთი შეხედვით, ეს პუნქტი ზღუდავს ქისტური სამართლის მოქმედებას, მაგრამ ეს განპირობებული იყო იმ პერიოდის მოვლენებით, როცა კრიმინალი გამოდის ასპარეზზე და აკონტროლებს ხეობას. ასეთ ვითარებაში მხოლოდ ძალოვნების დახმარებით შესაძლებელი იქნებოდა კანონიერების დაცვა, მაგრამ მთავარ მოქმედ ძალად მაინც უხუცესთა საბჭო იქნა მიჩნეული და ყრილობამ დაადგინა, რომ აირჩეს განახლებული „მეხე ხეალ“. სწორედ უხუცესთა საბჭო – „მეხე ხეალ“ გახდა ერთადერთი მმართველი ორგანო პანკისმი, როცა პანკისი უკონტროლო ზონად გადაიქცა.

ადათობრივ სასამართლოს არ გააჩნია გადაწყვეტილების სისრულეში მოყვანისათვის სახელმწიფო ორგანიზაციის სტრუქტურები, მაგრამ არსებობს ისეთი ძლიერმოქმედი მორალურ-ზნეობრივი ბერკეტები, რომლებიც დღესაც ეფექტურად მუშაობს. პირველ რიგში, საქმის გარჩევამდე მოდავეს არ აქვს უფლება ძალადობრივ ზემოქმედებას მიმართოს, ჯერ უნდა გაირკვეს მტყუან-მართალი. როცა განაჩენი გამოტანილია, ზარალის ანაზღაურების ვადაც დაწესებულია და დამნაშავე არ იხდის, მაშინ მოდავეს შეუძლია, მიმართოს ძალას, ძალის გამოყენებით აიძულოს დამნაშავე, აუნაზღაუროს ზარალი. მაგრამ აქაც კი ხელალებით ვერ აიძულებ. თუ დამნაშავეს არ აქვს საშუალება, დროზე მივა დაზარალებულთან, აუხსნის მდგომარეობას, შეპირდება, რომ მალე გაუსწორდება, მაშინ არ შეიძლება აგრესიული მოქმედება. მაგრამ, თუ დამნაშავე თავხედურად იქცევა, არაფრად აგდებს დაზარალებულს, სულაც უარს ეუბნება, მაშინ მას აქვს უფლება, გამოიყენოს ძალა. ამ შემთხვევაში ის გამართლებული იქნება და იტყვიან, „შიე დეხარ წა

დიენ“ (თავის ვალი სახლში წამოიღო).

მაგრამ ხდება ისეც, რომ ეჭვმიტანილი ჯიუტად უარყოფს წარდგენილ ბრალდებას, მოდავეს არ ჰყავს მოწმეები და ამ შემთხვევაში მოსამართლენი ეყრდნობიან ფიცს, მხოლოდ ფიცის საშუალებით ძალუბთ არსებული კონფლიქტის მოწესრიგება.

ფიცით უდანაშაულობის დამტკიცება ფართოდ იყო გავრცელებული კავკასიის მთიელებში. ფიცი გადამწყვეტ როლს ასრულებდა მთიელებში კონფლიქტური ურთიერთობის დარეგულირების დროს. ეს ჩვეულება დღეისათვის თითქმის მივიწყებულია, მაგრამ ჯერ კიდევ მყარად არის შემორჩენილი ქისტებსა და სვანებში, საქართველოს ამ ორ რეგიონში – პანკისის ხეობასა და სვანეთში ყველა სახის პრობლემა ფიცის საშუალებით გვარდება, სისხლის მაძიებელიც კი, რომელიც დარწმუნებულია, რომ მავანმა კაცმა ჩაიდინა მკვლელობა, მაგრამ არ ჰყავს მოწმე, ნივთმტკიცება, იძულებულია, ფიცი მიიღოს და შეურიგდეს.

ქისტები ყველანაირად ერიდებიან ფიცს, ცრუ დამფიცებელს ამრეზით უყურებენ, ის კარგავს ქისტურ საზოგადოებაში შხარდაჭერას. ქისტები ასეთ კაცზე იტყვიან „ყა დახან ვა, ყერ დუ ბეანა“ (ცოდო ენია, ცრუ ფიცი ჭამა). ძველად ასეთ კაცს უფრთხოდნენ, გზას უქცევდნენ ხოლმე, მასთან საქმის დაჭერას ერიდებოდნენ. დღესაც იტყვიან ქისტები, სიმართლეზეც კი არ შეიძლება დაფიცებაო. მიუხედავად იმისა, რომ ისლამი სიმართლის დაცვას ფიცით მოითხოვს, ქისტი კაცი ამბობს ხოლმე, საფასურს გადავიხდი, ოღონდ ფიცზე არ დამაყენო.

სოფ. დუისში გაქურდეს ბიბინა მარგოშვილის, შემდეგ გაკულაკებული ქისტის დუქანი. ბიბინა ყოჩაღი კაცი იყო, თავისი წისქვილიც ჰქონდა და იმ პერიოდში შეძლებულ კაცად ითვლებოდა, მან შეძლო მიეკვლია ქურდებისთვის. ჯერჯერობით ეჭვმიტანილ თანასოფლელ მოგვარეებისგან ზარალის ანაზღაურება მოითხოვა. მაპ მარგოშვილი შემჩნეული იყო ხელმრუდობაში, მაგრამ მან და მისმა ახლო ნათესავებმა უარყვას ბრალდება. საქმე ფიცზე მიდგა – ეჭვმიტანილებს უნდა დაეფიცათ, რომ არ გაუტეხიათ ბიბინას

დუქანი.

სეიფანდი მარგოშვილი წესიერი კაცი იყო, ღირსების მქონე და პრინციპული, იცოდა რა მოგვარის მიღრეკიდება ქურდობისადმი, უთხრა: მოდით, ნუ დამაფიცებთ, აგერ კამეჩი მყავს, წაიყვანეთ და მშვიდობაში მოიხმარეთ. მაგრამ დაზარალებული არ დათანხმდა, მხოლოდ ფიცს დავჯერდებიო, ახლა სეიფანდი მიუბრუნდა ეჭვმიტანილ მოგვარეებს და ეუბნება, რომ ტყუილზე არ დამაფიცოთ, თორემ თქვენს მოგვარეობაზე და ნათესაობაზე უარს ვიტყვიო.

ეჭვმიტანილებმა დაიფიცეს და მათ შორის, სეიფანდისაც მოუწია დაფიცება:

ფიცის შემდეგ ბიბინამ ხალხს მიმართა:

– წამოდით ახლა და დაგანახვებთ, რა ღირებულება გააჩნია ამათ ფიცს.

მარგოშვილების უბანში იდგა საქონლის საკვების შესანახი საბძელი, რომელიც ეკუთვნოდა სოფელში პატიოსნებითა და მორწმუნეობით განთქმულ კ. მარგოშვილს. ბიბინამ კარი გააღო, ხელი დაავლო იქვე კუთხეში მიყუდებულ ხის ფინალს, ყანის ბზე მიყარ—მოყარა და გამოაჩინა თავის დუქნიდან მოპარული საქონელი.

ალშტოოთება დიდი იყო. ცრუ ფიცის ასეთი გამოაშკარავება აღარ ახსოვდა სოფელს. ხალხის რისხვას საზღვარი არ ჰქონდა, უხუცესებმა ძლივს შეაკავეს აბობორებული ხალხი, ქურდები გაიძურნენ, მაგრამ მათ „სიმართლეზე“ ფიცის მიმცემი ნათესავები ცუდ დღეში აღმოჩნდნენ, განსაკუთრებით შეურაცხყოფილი იყო სეიფანდი. მან თავისი სიტყვა შეასრულა და საფლავში ისე ჩავიდა, არ შერიგებია მოგვარეებს, რომელთაც ტყუილზე დააფიცეს.

ამ ამბავში ერთმა გარემოებამაც გამოიწვია დუისელების უკმაყოფილება: ბიბინას საქციელი ულირსად შეფასდა, მას შეეძლო, ქურდები გამოეაშკარავებინა და ცრუ ფიცის წინაშე არ დაეყენებინა უდანაშაულო ადამიანები.

მაგრამ არის ისეთი სიტუაციები, როცა ფიცზე უარის თქმა ნიშნავს გვარზე ხელის აღებას, გვარიდან გარიყვას. ასეთ შემ-

თხვევაში ყოველგვარი ფიცის მოწინააღმდეგე იძულებულია, დაიფიცოს, თუნდაც ეჭვი ჰქონდეს, ის, ვის სიმართლესაც ფიცით ადასტურებს, ტყუის. ასეთ იძულებას იწვევს მკვლელობა, როცა ეჭვმიტანილი კატეგორიულად უარყოფს ბრალდებას. როცა ფიცა იღებენ 63 კაცისგან და მათში თუ ერთმაც უარი თქვა, ყველა დანარჩენთა ფიცი ბათილდება. ასეთ დროს, ცხადია, ასეთი კაცი მოიკვეთება გვარისგან, ეს სჯა-ბაასის საგანი არ გახდება.

არცთუ შორეულ წარსულში, XX საუკუნის 50-იან წლებში, კარგად მახსოვს, როცა მოფიცარი ცაში მზისკენ იშვერდა თითს და პფიცავდა: „ოც დაშუა მალხუარ“ (იმ ოქროს მზემ), თითს დაბლა იშვერდა და პფიცავდა: „ოხ ეერჯიჩ ლათუარ“ (ამ შავ მინას). ძალიან ხშირი იყო ახლობლების (მშობლების, ძმების, დების და ა.შ.) საფლავებზე ფიცი, ცეცხლზე ფიცი და სხვ.

შემდეგ თანდათან, ისლამის განმტკიცების კვალდაკვალ, ისლამის დოგმების გაცნობიერებამ დაამკვიდრა ყურანზე დაფიცება. ხშირად ზემოთ აღნიშნული საფიცარ ობიექტებთან ერთად ყურანზეც იფიცებოდნენ.

როგორც ზემოთაც ითქვა, ქისტი კაცი ყველანაირად ცდილობს, თავი აარიდოს ფიცს, ფიცს იმდენად ერიდებიან, რომ მოფიცარი სოფლიდან გაპყავთ, ალაზნის სანაპიროზე, აუცილებლად მოფიცრებსა და სოფელს შორის, დამსწრე ხალხს შორის, წყალი უნდა მიედინებოდეს. ვფიქრობ, ეს ტრადიცია წარსულიდან უნდა მოდიოდეს, როცა ფიქრობდნენ, რომ წყალი თან წაიღებდა ცოდვას.

ქისტების შიშზე დაფიცებაზე მათე ალბუთაშვილიც გვიყვება: „ერთმა ქისტმა მეორეს სთხოვა, საჩივარზე მიმოწმეო. იმან კი – ოღონდ ნუ დამაფიცებ და შენ არჩეულს ერთ ცხვარს მოგცემო, – უპასუხა“. ქისტს საზღაურისა არ ეშინიან, როგორც ფიცისა, ძნელად იქნება, ქისტმა კაცმა ტყუილად დაიფიცოს.

ტყუილ ფიცზე ერთი ლეგენდა არის ხალხში შემორჩენილი, რომელსაც შიშით და ძრწოლით მოყვებიან ხოლმე.

სადღაც მთელი სოფელი კომლზე ერთი, ანუ ორი კაცი ჰქონდა ერთს ძნელს საქმეზე.

მამამ, რომელმაც კარგად იცოდა იმ საქმის თავი და ბოლო, უთხრა თავის შვილს, არ დაეფიცა, ხოლო თუ იურჩებდა და დაიფიცებდა, წამოსვლისას გზაში თვალყური ფხიზლად ჰქონდა – რას გაიგონებდა ან შენიშნავდა.

ყველამ დაიფიცა. შვილი სახლში რომ დაბრუნდა, მამამ ჰქონდა:

- რომ მოდიოდი, ხომ არაფერი შენიშნე გზაში?
- არაფერი, – უპასუხა შვილმა, – მაგრამ ორ მთას რომ გამოვცდით, მესამესთან რაღაც ძახილი შემომესმა.

– ეგ ის არის, შვილო, – უთხრა მამამ, – რომ ტყუილი ფიცისთვის შენ და შენს შვილს არაფერი გევნებათ, ხოლო შვილიშვილს კი მიეწევაო. მართლაც, ვითომ მისი შვილიშვილი სულ ამონყვეტილა!...“

დღესაც ქისტებში იგივე დამოკიდებულება ცრუ ფიცისადმი არ შეცვლილა, წამდვილად სჯერათ, რომ ცრუ ფიცის შემთხვევაში ცრუმოფიცარის შთამომავლობა დაწყევლილია, როცა იქნება, ფიცი მდევარს მიეწევა. მაგრამ ასეთი დამოკიდებულების მიუხედავად, ქურდი ცდილობს თავის დაძვრენას. ძალიან დიდი მნიშვნელობა აქვს, თუ როგორ ახდენს ფიცის მიცემის პროცესის ფორმულირებას ადათის მოსამართლე, ე.ი. როგორ არის შერჩეული სიტყვები და როგორაა შედგენილი წინადადება. როცა მოფიცარი მე-9 გვერდზე გადაშლილ ყურანთან მიდის, საჩვენებელ თითს ადებს ყურანს და წარმოთქვამს ფიცს, მოდავე ან მისი გამოცდილი ნათესავი დგას და ყურადღებით უსმენს ფორმულას, რომელიც უნდა წარმოთქვას მოფიცარმა, მაგალითად, ეჭვმიტანილი ფიცავს:

– ვფიცავ ალაპს და ალაპის ზეგარდმოვლენილ ყურანს, რომ არ შევსულვარ სადულას გომურში და არ გამომიყვანია მისი ძროხა. მაგრამ ხომ შეიძლება, რომ ის, მართლაც, თავად არ შესულა გომურში, სხვას გამოაყვანინა, წაიყვანა, დაკლა და ხორცი მოიხმარა. სწორედ ასეთი ბუნდოვანი ფორმულირება ფიცის ტექსტისა აწყობს ქურდს. სწორია ასეთი ფორმულირება:

– ვფიცავ ალაპს და მის ზეგარდმოვლენილ ყურანს, რომ მე არ შევსულვარ სადულას გომურში, არ მომიპარავს მისი ძროხა და არ გამომიყენებია მისი ხორცი, არ გამიყიდია და ა.შ.

სწორედ ფიცის ტექსტის არასწორად ფორმულირებამ შესაძლებელია ქურდი გაამართლოს.

ერთმა ქისტმა, რომელიც არცთუ წესიერებით გამოირჩეოდა, თავის თანამეინახეს ხელი გაუმართა ორიგინალური გზით: ერთ ღამეს წაიყვანა მისი ცხენ-ურემი, ხალანის სიმინდის მინდვრიდან გარჩეული სიმინდით დატვირთა და მეგობარს მიართვა. ვიღაცამ შენიშნა და სიმინდის პატრონმა ზარალის ანაზღაურება მოსთხოვა, მაგრამ ქურდმა კატეგორიულად უარყო ქურდობა.

შედგა ადათობრივი სასამართლო. ეჭვმიტანილს ფიცით უნდა მოეხსნა ბრალდება. მან შემდეგნაირად დაიფიცა: მას თავისთვის არ მოუპარავს სიმინდი და არც საკუთარი ცხენითა და საზიდრით მიუტანია სახლში. ფიცი მიღებულ იქნა.

გავიდა ხანი. ერთხელაც დამბეზღებელსა და ქურდს მოუვიდა კამათი და ქურდს უთხრა, რომ გიცანი, როცა რიყეზე მიღიოდი სახლისკენ. ქურდი აღშფოთდა:

– მე ჩემთვის არ მომიპარავს და არც ჩემი ცხენ-ურმით წამილია სიმინდი.

მართლაც, მას ხომ თავისთვის არ მოუპარავს სიმინდი და არც თავისი სატრანსპორტო საშუალებით წაულია, ფიციც ასე მისცა სასამართლოს. მაგრამ ხომ იქურდა? ხომ აზარალა მეზობელი, აქ ხომ მტყუანია!

ამიტომ არის ხოლმე, რომ დაზარალებული ყურადღებით არის, ისეთი მოფიცარი არ შეატყუონ, რომელსაც დიდად არ ადარდებს ფიცი, ტყუილსაც კადრულობს, ან ლოთია, ან შემჩნეულია ცრუ ფიცში და ა.შ. ამიტომ მომჩივანი მოითხოვს ხოლმე, რომ მან შეარჩიოს ეჭვმიტანილის გვარში, ახლო ნათესავებში პატიოსანი ადამიანები დასაფიცად. მაგრამ ეს მოუღებელია, არც ადათობრივი კოდექსი არ ითვალისწინებს, მაგრამ მას შეუძლია ზემოთ აღნიშნული პირის (ლოთი, მატყუარა, ქურდი და ა.შ.) მსგავსად

უზნეობაში მხილებულ მოფიცარზე უარის თქმა.

ცხადია, მოფიცართა რაოდენობა დამოკიდებულია დანაშაულის სიმძიმეზე, მოსამართლის სიბრძნესა და ადათობრივი კოდექსის ზედმიწვნით ცოდნაზე. თუ მოსამართლები პროფესიონალები არიან, აქვთ დიდი პრაქტიკა, კარგად ერკვევიან საქმის ნიუანსებში და მიზნად დაუსახავთ, მოიძიონ კომპრომისები, რათა საქმე მორიგებით დაასრულონ, დავა მშვიდობიანად დასრულდება. მაგალითად, თუ მკვლელმა დევნის დროს თავი შეაფარა სხვის ოჯახში, იგი იძენს სტუმრის სტატუსს და მასპინძელი იძულებულია, დაიცვას, რათა ქვეყნის სასაცილო, თითოთ საჩვენებელი არ გახდეს, – სტუმარი ვერ დაიცვაო. მასპინძელს სტუმრის დაცვა ძვირად უჯდება. დაზარალებულები მტრად გადაეკიდებიან, მიუხედავად იმისა, რომ ისინიც ასევე მოიქცეოდნენ მსგავს სიტუაციაში. თუ საქმე არ გართულდა და მასპინძელმა შეძლო მკვლელი სტუმრის სამშვიდობოს გაყვანა, საქმე მშვიდობიანად მოგვარდება – მასპინძელი სისხლის მაძიებლებს უხდის 10 ძროხას. მაგრამ, თუ მასპინძელი დაუიხებით ამტკიცებს, რომ მან არ იცოდა, კაცი, რომელსაც თავშესაფარი მისცა, მკვლელი იყო და თანაც, ეს სტუმრობა მისი სურვილითა და მოპატიუებით არ შემდგარა, მაშინ მოსამართლებს შეუძლიათ, ფიცით დაადგინონ მასპინძლის სიმართლე. მაგრამ თუ, როგორც წესი, ერთ ძროხას სჭირდება ერთი მოფიცარი, გამოდის, რომ მკვლელის მასპინძელმა 10 კაცით უნდა დაიფიცოს, რამდენად სამართლიანი იქნება ამგვარი განაჩენი? თუ ვიხელმძღვანელებთ იმით, რომ ფჟე (სისხლი) 63 ძროხა ღირს და უდანაშაულობის დასამტკიცებლად ეჭვმიტანილის გვარიდან 63 კაცმა უნდა დაიფიცოს, გადაწყვეტილება სწორია. მაგრამ ჩემ მიერ მოყვანილ მაგალითში თუ მასპინძელი სიმართლეს ამბობს, საკმარისია, მხოლოდ მან ერთმა დაიფიცოს, ან შვილით – ორმა, ან კიდევ შვილითა და ძმით, სამმა დაიფიცოს.

მაგრამ განაჩენი მხოლოდ მოსამართლეთა პრეროგატივაა, მათ ჭკუასა და სიბრძნეზეა დამოკიდებული, როგორ დამთავრდება „დოუ“ (დავა) დაპირისპირებულ მხარეთა შორის.

აქვე შევნიშნავ, რომ მასპინძელს, იძულებით მასპინძელს შეუძლია, ყოველგვარი დავის გარეშე გადაიხადოს 10 ძროხა, რომელსაც შემდეგ სტუმარი – მკვლელის ოჯახი აუნაზღაურებს. მაგრამ ამ შემთხვევაში მასპინძელი იცავს თავის ღირსებას, ხოლო ღირსება ყველაფერზე მაღლა დგას.

ქისტური სამართლით დაწესებულ ფიცზე უარის თქმა ნიშნავს დანაშაულის აღიარებას. ასეთ შემთხვევაში, ჯერ ერთი, ფიცზე უარის თქმა, თუნდაც ერთ-ერთის ან რამდენიმესი, ამტკიცებს ეჭვმიტანილის ბრალეულობას და მეორეც, რაც მთავარია, ნიშნავს დაზარალებულის შეურაცხყოფას, მისი ღირსების შელახვას და ამას სისხლისღვრა მოჰყვება. ასეთი რამ იშვიათად ხდება, ყველამ იცის მოსალოდნელი შედეგის შესახებ და ფიცზე მიდიან, მაგრამ ხდება ისეც, რომ თუ ეჭვმიტანილის სიმართლეში დარწმუნებული არ არის, ან იცის მისი დანაშაულის შესახებ, წესიერი ადამიანი უარს ამბობს ფიცზე. შეიძლება ამ უარმა ფიცის საფასურის (ერთი ფიცი – ერთი ძროხა) გადახდით არც გაართულოს საქმე, მაგრამ ესეც დამოკიდებულია ბრალდების სიმძიმეზე.

ამასთან დაკავშირებით ქისტი ეთნოგრაფი მ. ალბუთაშვილი წერს, რომ სოფ. დუისში მარგოშვილებსა და ბალაკაშვილებს შორის შულლი და სისხლი სწორედ მარგოშვილების მხრიდან სრულყოფილი ფიცის მოუცემულობამ გამოიწვია. საქმე ქალს ეხებოდა, ქალის ზნეობის სიწმინდეს, ეს კი ქისტებში მთელი საგვარეულოს ღირსების საქმედ ითვლება.

„მადამ ქალთან უდანაშულობაზე, ან სიწმინდეზე ფიცი იყი-სრა, მაგრამ საგვარეულოდან მოსთხოვეს 8 კაცის ფიცი, რომელიც ვერ შესდგა. თუ 8 კაცი მადაის დაუფიცავდა, რომ მან ქალი უვნებლად მიიყვანა სახლში, მადაი თავისუფალი იყო, ხოლო ქალის მიცემა მშობლების ნება იქნებოდა, თუ არა, მადაის ეკისრებოდა სისხლი. ამ პირობაზე ვერ შერიგდნენ და მტერობა გაგრძელდა.

ერთ დღეს ორი მოსისხლე – მადაი და ქალის ძმა – შეხვდნენ სოფლის ახლოს გზაში, იძრეს ხანჯლები და დაუშინეს ერთმანეთს. მადაიმ სძლია და მოკლა კიდეც. მადაის დაემართა ორი სისხლი და

სამუდამოდ შეურიგებელიც დარჩა.

15 წელი მადაი იჯდა სახლში გამომწყვდეული, მზის უნახავი. ორჯერ სახლში თოფეს, მაგრამ ვერ მოკლეს. ბნელში ჯდომით დაბრმავდა და ისე მოკვდა. სისხლი შვილებზე გადავიდა. არც შვილებს შეურიგდნენ. ერთი მათგანი კიდეც თოფეს გუთანზე მომუშავე, ის კინალამ მოკვდა. ბოლოს, ძალისძალით, 25 წლის მერე შეარიგეს. ორივე საგვარეულო ფიცით შეკრეს ე.ი. დააძმობილეს უშიშროებისათვის“.

განვიხილოთ ეს შემთხვევა. ადრე ქისტეთში ქალწულის გაუპატიურებაზე დაწესებული იყო 18 ძროხა, ე.ი. იმდენი, რაც ღირდა ურბეთი ქალწულზე. მკვლელობა, ე.ი. სისხლი ასეთ დანაშაულზე არ ეკისრებოდა. მართალია, ცოლის გაუპატიურება უფრო მძიმე დანაშაულია, გადასახადიც მეტია – 45 ძროხა, მაგრამ თუ ქმარი მოკლავდა მოძალადეს, მას სისხლი დაედებოდა.

მ. ალბუთაშვილის მონათხრობ ეპიზოდში, რაც სიმართლეა და დღესაც დამნაშავის ახლობლები რიდით ექცევიან მოკლულის ახლობლებს, არ ჩანს კაცის დანაშული, იგი დადასტურებული არ არის, დავის მოგვარება შესაძლებლი იყო: აიძულებდნენ ქალის ცოლად შერთვას და ამით დასრულდებოდა მტრობა. ყველაზე ოპტიმალური გადაწყვეტილება მიიღო ადათობრივმა სასამართლომ: ეჭვმიტანილს უნდა დაეფიცა 8 მოფიცარით, რომ იგი ქალს არ შეხებია რაიმე ქვენა გრძნობით და იგი თავისუფალია.

მტრობა გამოიწვია ფიცზე უარის თქმამ. ეს შეურაცხყოფაა ოჯახის, გვარის, მათი არაფრად ჩაგდებაა და ეს კი ქისტებში უპატიებელია. სწორედ ამან გამოიწვია დავის ისეთი გამწვავება, რომელიც განვითარდა ამ თრ გვარს შორის.

ეს საკითხი დღეს გონივრულად არის გადაჭრილი პანკისელ ქისტებში. ცხადია, ქალის სიწმინდე, თუ გაჩნდა ამის საჭიროება (ჭორის გავრცელება ხალხში, საეჭვო ურთიერთობა ქალ-ვაჟს შორის), ფიცით უნდა იქნეს დაცული. მაგრამ, თუ მოხდა ქალის შეცდენა ან ურთიერთშეთანხმებით მოხდა თანაცხოვრება, ქალის ნათესავები აიძულებენ, შეირთოს კაცმა მის მიერ შეცდენილი

ქალი. ამავე დროს, ასეთ შემთხვევაში, შემცდენელი მის მამას, ბიძას ან ძმებს უდებენ პირობას, რომ არ დაითხოვენ ქალს, თუ არ არსებობს საიმისო მიზეზი ქალის მხრიდან.

ქისტური სამართალი, „მექქ ხეალ“, ადგილობრივი მოსამართლები – „ხელხოი“ განიხილავენ ყველა დავას, რაც კი წარმოიშობა ქისტურ თემში დაწყებული ყოფა-ცხოვრებითი კონფლიქტებიდან მკვლელობებით დამთავრებული. მაგალითად, ქისტური სამართალი განიხილავს: მკვლელობას, დაჭრას (მსუბუქი და მძიმე შედეგებით), ძარცვას, ქურდობას, სახლის, ყანის, თივის და სხვ. გადაწვას, გარყვნილებას, ცილისწამებას, ლირსების შელახვას, ქალიშვილებისა და გათხოვილი ქალების გაუპატიურებას, ქალის გატაცებას, საქორწინო შეთანხმებებს, განქორწინებას, მემკვიდრეობას, ჯგუფურ და ინდივიდუალურ ჩხუბს, ცრუ ფიცს, ვალს, სხვის საქონლის დაჭრას, დახოცვას და ყველა სხვა მძიმე თუ მსუბუქ დანაშაულობებს, სხვადასხვა სახის დავას ნათესავებს, მეზობლებს, თანასოფლელებს თუ სხვა სოფლელებს შორის. განსაკუთრებით, ყურადღებით განიხილავენ ქისტების დავებს არაქისტ მეზობლებთან.

მძიმე დანაშაულად ითვლება მკვლელობა, მოკლულის ბრალულობით, შემთხვევით თუ განზრახ იქნა ჩადენილი, ამას მნიშვნელობა არ აქვს და ექვემდებარება სისხლის აღებას.

ჩხუბში დაჭრის შემთხვევაშიც მნიშვნელობა არ აქვს, ვინ არის დამნაშავე ჩხუბის წამოწყებაში, მაგრამ, თუ საქმემ ფიცის გამოყენება მოითხოვა, მაშინ მოფიცართა რაოდენობის განსაზღვრისას, მოსამართლე მხედველობაში იღებს, თუ ვის აქვს მეტი ხვედრითი წონა დანაშაულში და ისე ადგენს მოფიცართა რაოდენობას. თუ ჭრილობა მძიმეა, საქმის გარჩევა გადაიდება დაზარალებულის გამოჯანმრთელებამდე, რათა დადგინდეს, სრულად გამოჯანმრთელდა დაჭრილი თუ დახეიბრდა და რა დაიხარჯა მის მკურნალობაზე.

ქისტური სამართლის კოდექსის მუხლები განსაზღვრავს სხეულის დაზიანების შემთხვევაში ზარალის ანაზღაურების ნორმებს,

რაც დამოკიდებულია ჭრილობის სიმძიმეზე, ადამიანის სხეულის რა ნაწილშია მიყენებული.

იმისათვის, რომ განისაზღვროს მიყენებული ჭრილობის მიხედვით საფასური, ადამიანის სხეული, ქისტური ადათით, ოთხ ნაწილად იყოფა:

1. თავის ზედა ნაწილი, ე.ი. ის ნაწილი, სადაც მოთავსებულია თავის ტვინი. ქისტურად რომ ვთქვათ, ქუდით დაფარული თავი;
2. ადამიანის სახე, ყურები და კისერი;
3. ტანი კისრიდან წელამდე (გულმკერდი და მუცელი) და ხელები;
4. ტანის ნაწილი წელიდან დაწყებული ფეხის ტერფებამდე.

1. სისხლის საფასური – 63 ძროხა.

შენიშვნა: 63 ძროხა იყოფა სამ ნაწილად. 23 ძროხა ფეხზე, 20 ძროხა ფულად და 20 ძროხა სპილენძის სახით. ძველად სამზარეულოს ჭურჭელი ძირითადად სპილენძისგან კეთდებოდა, მთაში ძნელად მისაწვდომი იყო და ამიტომ მას დიდი ფასი ედო.

პანკისში ჩამოსახლებულმა ქისტებმა, რომლებიც ეკონომიურ სივიწროვეს განიცდიდნენ, ამავე დროს, მოწყვეტილი იყვნენ ძირითად თეიფს, სისხლის საფასურის გადახდა უჭირდათ და ამიტომ გაანახევრეს. ქისტებში ადრე და დღეს ჩეჩინეთსა და ინგუშეთში სისხლის ფასია 120 და 130 ძროხა. ქისტებმა კიდევ უფრო გაამარტივეს და ფულად გადასახდელი ძროხის ფასად განსაზღვრეს 300 ლ. ხოლო თუ სისხლის საფასურს მთლიანობაში ფულის სახით განსაზღვრავენ, მაშინ 23 ძროხა შეფასდება იმ დროისათვის არსებული საბაზრო ფასით. სპილენძიც ასევე შეფასებულია მიზერული ფასით. ერთი ძროხის საფასური სპილენძი 30 ლ. ასე რომ, მკლელის ოჯახს ახლო ნათესავების დახმარებით შეუძლია სისხლის საფასურის გადახდა.

2. თვალის დაბრმავება, ან ამოგდება – 30 ძროხა.

3. სხეულის კიდურის (ხელის ან ფეხის) მოჭრა, – 30 ძროხა.

შენიშვნა: ჭრილობა, რომელიც მიყენებულია მხარში ან მხრის

ახლოს, რომელმაც გამოიწვია ხელის დამბლა, უტოლდება ხელის მოქრას და შეფასებულია 30 ძროხად. ამ შემთხვევაშიც და სხვა დროსაც ხდება შერიგება საკლავითა და სასმელით, რაც ეკისრება დამნაშავეს. თუ ჭრილობამ მუხლის ქვემოთ ფეხის დამბლა გამოიწვია, ღირს 25 ძროხა, ხოლო მუხლის ქვემოთ მიყენებულმა ჭრილობამ ტერფისა და თითების დამბლა მოახდინა, ღირს 20 ძროხა.

4. ხელის მტევნის მოჭრა – 15 ძროხა.

შენიშვნა: ჭრილობა, რომელიც მიყენებულია იდაყვის სახსარში, რამაც გამოიწვია ხელის მტევნის დამბლა, უტოლდება მტევნის მოქრას და შეფასებულია 15 ძროხად.

5. ხელის ან ფეხის თითების მოჭრა:

ა) ცერი – 5 ძროხა; ბ) საჩვენებელი – 4 ძროხა; გ) შუა თითი – 3 ძროხა; დ) არათითი – 2 ძროხა; ე) ნეკა – 1 ძროხა.

შენიშვნა: ხელზე მიყენებულმა ჭრილობამ თუ გამოიწვია თითების დამბლა – 15 ძროხა. შესაბამისად გამოითვლება 2, 3 და 4 თითის ერთდროულად მოჭრა.

6. ხანჯლით ჩხვლეტა – 10 ძროხა.

7. დანით ჩხვლეტა – 10 ძროხა.

შენიშვნა: ორივე შემთხვევაში ცივი იარაღი გასულია სხეულის შიგნით, იგულისხმება გულ-მკერდისა და მუცლის არე. მაგალითად, როგორც ქისტები იტყვიან, გამოდის ჰაერი, ღირს 12 ძროხა. თუ ასეთი სახის ჩხვლეტამ დააზიანა ადამიანის სასიცოცხლო ორგანო (ფილტვი, ღვიძლი, ელენთა, კუჭი, ნაწლავები და სხვ.), მაშინ საფასური ორმაგდება.

8. ყურის მოჭრა – 20 ძროხა.

შენიშვნა: კისერში მიყენებული ჭრილობა, რომელმაც ყელის ნაწილიც მოიცვა, რამაც გამოიწვია ხმის ჩახლეჩა ან სულაც ხმის დაკარგვა, ღირს შესაბამისად 20 და 30 ძროხა.

9. ცხვირის მოჭრა – 20 ძროხა

შენიშვნა: აღნიშნული საფასური ღირს იმ შემთხვევაში, თუ ყურის ან ცხვირის მოჭრა ხდება ჩხუბის დროს, მაგრამ თუ იგივე ქმედება ჩადენილია განზრახ, ადამიანის ღირსების შესალახად, მა-

შინ საფასური ორმაგდება.

10. თავის ქალის გატეხვა – 7 დროხა.

შენიშვნა: თავის გატეხვაში არ იგულისხმება დარტყმის შედე-გად ტყავის გასკდომა და სისხლდენა.

შენიშვნა:

ა) თავის ტყავის გაჭრა ქალის ძვლის გამოჩენის გარეშე დიდ სირთულეს არ შეიცავს: ერთ ცხვარს დაკლავს, დაპატიუებს დაზარალებულსა და მის შინაურებს და შერიგდებიან.

ბ) თუ თავის ქალაზე ნაკანია, ე.ი. მოითხოვს ქირურგის სკალპელს, ქისტურად დანით საჭიროებს გაფხეკას, საფასურია 3 დროხა და საკლავითა და არყოთ გამასპინძლება.

გ) თუ გატეხილია ქალა, აპკი არ არის დაზიანებული, 7 დროხა გადასახდელი და დაპატიუება (საკლავი და სასმელი).

დ) თუ თავის ქალა ისეა გატეხილი, რომ ღია ჭრილობიდან ჩანს თავის ტვინი, მაგრამ ტვინი არ არის დაზიანებული, ჭრილობა შეფასდება 10 დროხით, ერთი ხარითა და დაპატიუებაც თან ერთვის.

თავის ქალაზე მიყენებული ჭრილობა პრობლემურია. მაგალითად, თუ ჭრილობის მიყენების შემდეგ, თუნდაც გასული იყოს საკმაო დრო, დაზარალებულს დაეწყო თავის ტკივილი, მაშინვე აცნობებს ახლობლებს თავის ეჭვს, რომ ტკივილი უკავშირდება მიღებულ ჭრილობას. ისინი კი მაშინვე აცნობებენ დამნაშავის ახლობლებს (მამას, ძმას, ბიძას) და ერთობლივად გადაწყვეტენ ექიმბაშ-ქირურგის მოწვევას. ასეთი თვითნასწავლი ექიმბაში იყო ჯოყოლოში მცხოვრები იო გუმაშვილი, სახელგანთქმული ქირურგი, რომელიც სასწაულებს ახდენდა.

იო თვითნაკეთი ხელსაწყოებით ოპერაციებს აკეთებდა, დანით ჭრიდა დაზიანებულ თავის ტყავს, აჩენდა ქალას და თუ დაჩირქებული იყო ქალის ხორცით დაფარული ადგილი, დანით წმენდდა. თუ ძვალი დაჩირქებული იყო, მას სპეციალური ხელ-საწყოთი, რომელიც მოღუნულ დანას ჰგავდა (ქისტურად „გამს“ ეძახდნენ), წმენდდა, ასუფთავებდა ძვალს და ხურავდა ჭრილო-

ბას. თუ ძვლები იყო დამსხვრეული, მაშინ მას დიდი რუდუნებით იღებდა სათითაოდ, განმენდდა ჩირქისგან თუ სისხლისგან, კარგად დამუშავებდა და გაკერავდა. მაგრამ თუ ტვინის აპკი დაზიანებული იყო, მაშინ ის შეიჩოვდა მატერიაში გახვეული სამურნალო მცენარეების ფხვნილით, ზოგჯერ ტუჩებით და ენის წვერითაც კი ასუფთავებდა ჭრილობას.

ასეთი სახის ოპერაცია უაღრესად მტკიცნეული იყო, მიმდინარეობდა ყოველგვარი ნარკოზის გარეშე, მაგრამ პაციენტი ერთხელაც არ დაიკვნესებდა, ეს დიდ სირცხვილად ითვლებოდა ქისტებში. მით უმეტეს, ამ ოპერაციას ესწრებოდნენ დაპირისპირებული მხარეები.

ამ ოპერაციით დგინდებოდა, დარტყმის შედეგადაა გამოწვეული თავის ტკივილი თუ ბუნებრივად, სხვა ავადმყოფობით გაჩნდა ტკივილები. იმ სწორუპოვარი ქირურგი და ექიმი იქნებოდა, სათანდო განათლება რომ ჰქონოდა. თანც იგი მედიცინას, როგორც მეცნიერებას, საერთოდ არ იცნობდა, ყველა ავადმყოფობას მკურნალობდა ათასნაირი ბალახბულახით, პაციენტებიც მრავლად ჰყავდა, თანაც მკურნალობდა უსასყიდლოდ.

იმ გუმაშვილს ქისტეთში იწვევდნენ სამკურნალოდ, ჩამოდიოდნენ პანკისში და გადაჰყავდათ პირიქითა ქისტეთში, კახეთის სხვადასხვა სოფლიდან ამოდიოდნენ სოფ. ჯოყოლოში იოსთან სამკურნალოდ. ის მარტო ქირურგიულ ოპერაციებს როდი ატარებდა, თერაპიაც კარგად იცოდა. კახეთიდან ძირითადად ამოდიოდნენ ბუასილით დაავადებულები, რომლის მკურნალობაშიც იმ ძალიან იყო დახელოვნებული.

როგორც ვთქვი, ის უსასყიდლოდ მკურნალობდა, ღარიბულად ცხოვრობდა, თანასოფლელებივით მუშაობდა და გაჭირვებით ინახავდა ოჯახს. მაგრამ მუდამ სუფთად, კოხტად ეცვა, სამუალო სიმალლის, თხელი მოხუცი იყო (ასე მახსოვს), თბილი იუმორით უყვარდა საუბარი. ხელგაშლილი კაცი იყო იმ, მთხოვნელს რამეს არ დაუჭირდა.

ერთხელ დუმასტურიდან მომავალს თანასოფლელი შემოხვდა,

ალაზნის პირზე იჯდა ჩაფიქრებული, სალამ-ქალამის შემდეგ იო შეეკითხა:

– რას ჩაფიქრებულხარ, ეს სოფელი შენი შესანახი ხომ არ არის?

– ომალოში ქორწილში მივდივარ, ხომ ხედავ, ფეხშიშველი ვარ, ასე ხომ ვერ გამოვჩნდები სოფელში. თან თვალი შეავლო იოს „აზიაცკებს“ (ჩექები, რომელთა ტყავის ყელი მუხლამდე იჭმუჭნებოდა და საუცხოო სანახავი იყო) და უთხრა:

– იო, მოდი, მათხოვე ეს „აზიაცკები“, ხომ იცი, ცოლეურები იქაური მყვანან, არ შევრცხვები კაცი.

– კი, კაცო, ჩექებს როგორ დაგიჭერ, „დეალ მარჩი“ (ტანსრული) კაცი ხარ და კარგად მოგიხდება. ეს თქვა, ჩამოვდა, გაიძრო ჩექები, წინდებიც გაიხადა და მიაწოდა.

გახარებულმა მექორწილემ სწრაფად ჩაიცვა ჩექები, თავმოწონედ მიდგა-მოდგა იოს წინ, ფრიად კმაყოფილმა მიუგდო „დელ რეეზ ხილ ჰუან“ (ლმერთი იყოს შენით კმაყოფილი) და გასწია ომალოსკენ. არანაკლებად კმაყოფილი იოც ფეხშიშველი წამოვიდა სოფლისკენ.

ერთხელ იოს ბიძაშვილის მეუღლე ვაშლის ხიდან ჩამოვარდა და ფეხი მოსტყდა: წვივის ძვალი ამოჩრილიყო ხორციდან. შეიყარა ხალხი, ჯოყოლოს საავადმყოფოდან ექიმი ნიკოლოზიშვილი მოიყვანეს, შემდეგში ახმეტის საავადმყოფოს მთავარი ქირურგი. ამ დროს იოც მოვიდა. ექიმმა შეხედა თუ არა ჭრილობას, ცუდად გახდა, ვერ გაბედა ხელის მოკიდება. იოს უთხრეს:

– რას დგახარ გულხელდაკრეფილი, მიხედე ჩქარა ქალს.

– ჯერ ეს ექიმი წავიდეს, უხერხულია, დიპლომიანი ქირურგია და პროფესიაში ხომ ვერ შევეჯიბრები.

იომ ძვლები ერთმანეთს დაუპირისპირა, არტახებით შეკრა ფეხი, ბალახისგან გამზადებული წამლებით უმკურნალა და ერთ თვეში ფეხზე დააყენა. სხვათა შორის, სამკურნალო ბალახები ეზოში ეთესა, მთებიდან ჩამოჰქონდა და ეზოში რგავდა.

დღეს, როდესაც ზემოთ აღნიშნულის მსგავსი პრობლემა

წამოიჭრება კონფლიქტის მხარეებს შორის, ექსპერტიზას მიმართავენ, ავადმყოფის ისტორიაც დგება და რაიმე სირთულეს არ წარმოადგენს სიკვდილის მიზეზისა და ჭრილობის თუ მოტეხილობების ხარისხის დადგენა. თავის ქალის სურათს გადაიღებენ და დაადგენენ დარტყმის სიძმიმეს და ა.შ.

მაგრამ არ შეცვლილა და ჩემი აზრით, არც უნდა შეიცვალოს ადათობრივი სასამართლოს მიდგომა ამ საკითხისადმი. დღეს, უბრალოდ, გაიოლებულია ექსპერტიზა და მისადმი ნდობაც გაზრდილია.

11. სახეზე მიყენებული ჭრილობა 16-დან 15 ძროხამდე ღირს. თუ ჭრილობა ტოვებს დიდ ნაიარევს, მაშინ გადასახდელი ორმაგდება.

12. ჩხუბში თუ დაზარალებულმა მიიღო მოტეხილობები, მაშინ მას ენიჭება ხანჯლით ან თოფით დაჭრის სტატუსი (10 ძროხა).

13. თუ ჩხუბში დაზარალებულმა მიიღო სხეულის დაზიანება სისხლჩაცევებით, სისხლდენით, რომ იტყვიან, უღმერთოდ ნაცემია, მაშინ შერიგება ხდება, მოჩხუბარი ან მოჩხუბრები საკლავით მიდიან დაზარალებულის ოჯახში და იმართება ვახშამი. საკლავით მისვლა ნიშნავს თავის დამცირებას, ამიტომ უფრო ხშირად იხდიან საფასურს – 10 ძროხას.

14. თუ მკვლელმა ცხედარს მიაყენა შეურაცხყოფა (იარაღი ახსნა, ტანსაცმელი გახადა, ან ცხედარი გადამალა დანაშაულის დაფარვის მიზნით), მკვლელი იხდის 12 ძროხას.

15. ძარცვა – 10-დან 18 ძროხამდე.

შენიშვნა: თუ იარაღის დამიზნებით მოხდა ძარცვა, მძარცველი უბრუნებს დაზარალებულს ნაძარცვს სრულად და დამატებით იხდის თოფის დამიზნებისათვის 10 ძროხას. მაგრამ თუ ძარცვა მოხდა ღირსების შელახვით, მაგალითად, დაზარალებული საცვლების ამარა დატოვა, ემატება 8 ძროხა და მძარცველი ჯარიმდება 18 ძროხით.

თუ პატრონის არყოფნისას გაძარცვა სახლი, აქაც ნაძარცვი უკლებლივ უბრუნდება დაზარალებულს და მძარცველი ჯარიმ-

დება სახლის გატეხვისთვის 10 ძროხით. თუ სახლის პატრონი შინ არის და იარაღის მუქარით მოხდა ძარცვა, ემატება ჯარიმის სახით 8 ძროხა და მძარცველი იხდის 18 ძროხას.

16. ადამიანისთვის თოფის დამიზნება ჩხუბში – 10 ძროხა.

17. სახლისთვის თოფის სროლა – 10 ძროხა.

შენიშვნა: სახლს შეიძლება თოფიდან გასროლილი ტყვია შემთხვევით მოხვდეს. ამ შემთხვევაში სახლის პატრონის ლირსების შელახვასთან არ გვაქვს საქმე და ამას რამე პრეტენზიაც არ მოჰყვება ხოლმე. თუ რამე დააზიანა შემთხვევითმა გასროლამ, პატრონს აუნაზღაურდება ზარალი.

მაგალითად, პანკისის კრიზისის დროს დუისელი ბოევიკი თანატოლებს უჩვენებდა „მუხას“ – ტანკსანინააღმდეგო ნაღმტყორცნის ხმარების წესებს, რომ მოულოდნელად იგრიალა იარაღმა. ნაღმი სოფლის შუაგულისკენ გაფრინდა და აფეთქების ხმაც გაისმა. ბოევიკი მაშინვე გაიქცა ნაღმის ტრაექტორიის მიმართულებით, მიაღწია აფეთქების ადგილს და ღმერთს მადლობა შესწირა, რომ შსხვერპლი არ იყო. ნაღმი მოხვდა მეორე სართულის ფანჯარას და ოთახში აფეთქდა. ოთახს რამდენიმე ფანჯარა ჭრინდა, აფეთქების ტალღამ მოგლივა ფანჯრები და სახლი დაზიანებას გადაურჩა.

სახლის პატრონს არ გაურთულებია საქმე. დამნაშავემ გაარემონტა ოთახი და ყველაფერი მშვიდობიანად დამთავრდა, მაგრამ თუ სახლს თოფს ესვრიან წინასწარ ავი განზრახვით (პატრონის შესაშინებლად, აბურად აგდების მიზნით და სხვ.), მაშინ დამნაშავე იხდის 10 ძროხას.

18. ქურდობის დროს დანაშაული მძიმდება, თუ საქონელი მოიპარეს სახლიდან, ეზოდან, რადგან ოჯახი წმიდათაწმიდაა ქისტი-სათვის.

18. ქურდობა: ქურდობასთან დაკავშირებით ქისტურ სამართალში სხვადასხვა სახის მუხლებია გამოყენებული.

ა) გომურიდან ძროხის მოპარვა ანაზღაურდება სამმაგად, ე.ი. 1 ძროხის მოპარვის შემთხვევაში ქურდი პატრონს უხდის სამ ძროხას. ეს პრინციპი ვრცელდება სხვა სახის საქონელზეც (ხარი,

ცხენი, ცხვარი, თხა, ფრინველი და სხვ.).

ბ) თუ ძროხა მოპარულია მინვდრიდან, ქურდმა იცოდა, ვის ძროხას იპარავდა, ამ შემთხვევაში ქურდი პატრონს უბრუნებს მოპარულ პირუტყვს და დამატებით კიდევ ერთ სულს.

გ) თუ პირუტყვი მოპარულია მინვდრიდან და ქურდმა არ იცოდა, ვისია საქონელი, უბრუნებს მოპარულს და ხდება შერიგება.

შენიშვნა: სახლიდან ნივთების, ფულის, ტანსაცმლის და სხვ. მოპარება, ე.ი. ქურდობა სამიაგად უბრუნდება პატრონს. მაგრამ, როგორც ზევითაც ითქვა, ქურდობა და ძარცვა ქისტურ სამართალში განსხვავებული ცნებებია და ზარალის ანაზღაურებაც განსხვავებულია. თუ სახლიდან ნივთების წალება ხდება პატრონის შინ არყოფნის დროს, ასეთი ქმედება ითვლება სახლის გატეხვად და დამატებით დამნაშავე იხდის 10 ძროხას. მაგრამ, თუ მოხდა ოჯახის ძარცვა იარალის გამოყენებით, ოჯახის წევრების ლირსების შელახვით, მაშინ ემატება ლირსების შელახვისათვის კიდევ 10 ძროხა.

დ) სოფლის საქონელს, თუ სოფელი დიდია, უბნების საქონელს უვლიან რიგრიგობით პატრონები, თუკი საძოვარზე პირუტყვი დაიკარგა მენახირის უყურადღებობით (ნადირმა დაგლივა, ქურდმა მოიპარა, ხევში გადავარდა და ა.შ.), ანაზღაურება ეკისრება მენახირეს. მაგრამ, თუ მენახირე ფიცით დაამტკიცებს თავის უდანაშაულობას, ის თავისუფლდება ზარალის ანაზღაურებისგან.

ე) თუ ადგილი აქვს საკუთარ ცხვრის ფარაზე თუ ჯოგზე შეიარაღებულ თავდასხმას, მაშინ ზემოთ დასახელებული საფასურის გარდა პატრონს უხდიან თავდამსხმელები 10 ძროხას.

ვ) მაგრამ თავდასხმისას ქურდებმა მწყემსზე გამოიყენეს ძალადობა (გათოკეს, სცემეს, დაკავებული ჰყავდათ ან ჯოგის გადარეკვაში დახმარება აიძულეს), მწყემსს დამნაშავე უხდის 10 ძროხას.

შენიშვნა: ზემოთაც ითქვა, თუ თავდასხმა მოხდა იმ მოტივით, რომ ფარის ან ჯოგის პატრონი დამნაშავე იყო თავდამსხმელის მიმართ, გამტყუნებული ადათობრივ სასამართლოში და არ იხდიდა ვალს, ამ შემთხვევაში ლირსების შელახვის საზღაური არ ეკუთვნის

დაზარალებულს.

ზ) თუ ქურდს აღმოჩენის დროს პატრონი ესვრის და დაჭრის, ან თუნდაც ჭრილობისგან გარდაიცვლება, პასუხი არ მოეთხოვება.

შენიშვნა: წინათ, ჩვეულებრივ, პასუხისმგებლობა ეკისრებოდა სახლის პატრონს, მაგრამ ეს უსამართლო კანონი გაუქმებულ იქნა 1965 და 1990 წლების ყრილობებზე.

თ) დაზარალებულს უფლება აქვს, ჩაატაროს ჩხრეკა ეჭვმიტანილის ოჯახში. ეჭვმიტანილს არ აქვს უფლება უარი თქვას ჩხრეკაზე, სადაც დასასწრებად მოწვეულნი არიან სოფლის ავტორიტეტიანი უხუცესები. თუ მან უარი თქვა, მას დანაშაული უმტკიცდება.

შენიშვნა: თუ ქურდი არ აღიარებს ქურდობას და ამტკიცებს, რომ მის სახლში აღმოჩენილი ნივთები მისია, მაშინ დაზარალებული, საქონლის ფასის შესაბამისად 3-5 მოფიცარით ფიცს დებს, რომ ეჭვმიტანილის ოჯახში აღმოჩენილი ნივთები მისია.

არის შემთხვევები, როცა ქურდობის შემდეგ გადის დრო და პატრონი აღმოჩენს რამდენიმე წლის წინ დაკარგულ ბორილას, ახლა უკვე dროხას და ქურდობაში ამხელს dროხის პატრონს. dროხის პატრონი ამტკიცებს, რომ ნაქურდალი არაა, ამ შემთხვევაშიც ბორილას პატრონი ფიცის შემდეგ იბრუნებს თავის საკუთრებას.

ხდება ისეც, რომ ქურდი ყიდის ნაქურდალ საქონელს, შემდეგ პატრონი აღმოჩენს და მიადგება ახალ პატრონს. ნაქურდალის შემძენმა უნდა დაასახელოს პიროვნება, ვისგანაც იყიდა, წინააღმდეგ შემთხვევაში, თავად გამოდის ქურდის როლში.

19. სახლის, დამხმარე ნაგებობის, ყანის, თივის და სხვ. გადაწვის შემთხვევაში დამნაშავე დაზარალებულს უნაზღაურებს ზარალს და დამატებით უხდის 10 dროხას.

შენიშვნა: თუ ცეცხლის წაკიდება მოხდა წინასწარ განზრახვის გარეშე, ანუ შემთხვევით, მაშინ ხდება მხოლოდ ზარალის ანაზღაურება.

20. ვალი უკლებლივ უბრუნდება გამსესხებელს, ყოველ-

გვარი პროცენტის გარეშე. მაგრამ თუ ვალი თავის დროზე არ დაუბრუნდა, გამსესხებელი მევალესთან დებს პირობას, რომ ამ და ამ ვადაში უნდა დაუბრუნოს, წინააღმდეგ შემთხვევაში უწესებს პროცენტებს.

მაგალითად, კაცმა ცხვრის პატრონისგან იყიდა რამდენიმე ცხვარი და მხოლოდ ნაწილი დაუბრუნა და, დავუშვათ, დარჩა მისაცემი ერთი მეწველი ცხვარი. გავიდა რამდენიმე წელი. ცხვრის პატრონი მევალეს სთხოვს არა ერთ სულს, არამედ რამდენიმეს შემდეგი ლოგიკით: ცხვარი ყოველ წელიწადს მოიგებს ბატყანს, რომელიც ორი წლის შემდეგ მოიგებს ბატყანს, ე.ი. სამი წლის შემდეგ ერთი ცხვრიდან ოთხი სულია. ასეთი გამოთვლით 5 წლის შემდეგ 10 ცხვარია გადასახდელი.

ეს ჩვეულება არაფრით განსხვავდება სარგებლით (პროცენტით) ფულის გასესხებისგან. ეს მავნე ჩვეულება ქისტებშიც გავრცელებული იყო, მაგრამ ისლამის განმტკიცებასთან ერთად თანდათან მოისპო. ისლამის წმინდა წიგნი კატეგორიული წინააღმდეგია პროცენტებისა, პროცენტის საშუალებით მიღებული მოგება „ჰარამად“ არის მიჩნეული და აკრძალულია.

დღეს, თანამედროვე ეპოქაში, დავა წარმოიშობა ხოლმე ბიზნესისა და კომერციის სფეროებში, რომელთა განხილვაც მოითხოვს სათანადო ცოდნას. ცხადია, უმეტეს შემთხვევებში, ტრადიციული მოსამართლენი, რომელიც ვერ ერკვევიან თანამედროვე ეკონომიკურ ნიუანსებში, პრობლემის წინაშე აღმოჩნდებიან ხოლმე, მაგრამ გამოსავალი არსებობს, მხოლოდ საჭიროა ოპერატიული მიდგომა საკითხისადმი.

არიან ახალგაზრდები, რომლებიც ჩართული არიან ბიზნესში, კომერციაში, დიდი ხნიდან მუშაობენ ამ დარგებში და საკმაოდ დიდი გამოცდილებაც გააჩნიათ. ასევე საქმეების გარჩევაშიც აქვთ მიღებული მონაწილეობა, ამ საქმეში კარგი პრაქტიკაც აქვთ გავლილი.

ჭკვიანი „ხელხოი“ იძახებენ ასეთ ახალგაზრდებს, რჩევას ჰკითხავენ, სთხოვენ, აუხსნან, რა როგორ არის, მოუსმენენ და სა-

თანადო დასკვნებსაც აკეთებენ და შემდეგ სამართლიანი განაჩენი გამოაქვთ. ასე რომ, ძველ ტრადიციებზე აღზრდილი მოსამართლენი თანამედროვე სამართალს არ უგულებელყოფენ, რაც ძალიან კარგია და ქისტურ სამართალს უთუოდ წაადგება.



ვაჟკაცობის კოდექსი

„ყველგან მადლობას სწირავენ
მარჯვენას კაი ყმისასა“.

ვაჟა-ფშაველა

ასი წლის წინ მათე ალბუთაშვილმა დაახასიათა ქისტი კაცი თავის ნაშრომში „პანკისის ხეობა“ (ისტორიულ-ეთნოგრაფიული და გეოგრაფიული აღწერა). იმდენად რეალური, ქისტი კაცის ბუნების ღრმა ცოდნით არის აღსავსე ეს დახასიათება, რომ ამ ნაწყვეტის მოყვანით დავიწყებ ამ თავს:

„ქისტი კაცი, როგორც ამაყი მთის შვილი, ამაყია, პირდაპირი, თავისუფლებისმოყვარე. თავის სიამაყეს იგი ბოროტად არა ხმარობს – თავმოყვარეობას სხვას არ შეურყევს და არც თავისას დაათრგუნვინებს.

მისი სიამაყე იმდენად თავდაჭერილია, სულ უბრალო სამსახურს იკისრებს და თავს დასდებს ბოლომდე, სამსახურსა და უფროსს არ უღალატებს თავის წონა ოქროზე, არ შეუძლია საქმეს, დავალებას უმუხთლოს, ხოლო თუ სიმართლემ არ გაუმართლა და დაისაჯა, მაშინ ყველათერს იკისრებს.

არ არის ფარისეველი, პირმოთნე, მტერს მტრულად შეხვდება, მოყვარეს – ალერსიანად.

სიღარიბე რომ თავს ართმევდეს, მოსულ სტუმარს ის მაინც ღიმილით შეეგებება და დიდი პატივისცემით დაფაცურდება. თუ საჭმელი რამე სახლში არ აქვს, სოფლიდან იოლად გავა, მაგრამ არ დაიწუნუნებს, არ მოიჩივლებს სილარიბეს.

რელიგიური ფანატიზმის ზეგავლენა ქისტებში საერთოდ არ არის. ქისტი ჯერ სისხლითა სცნობს, მერე შთამომავლობით, შემდეგ რჯულით. ამნაირი სიყვარულის წყურვილი მუდამ აქვს.

საწყლის, დავრდომილის, უძლურის დიდი გულშემატკივარია.

მდიდრისა და ძლიერის მოშურნე არ არის.

თუ ვინმემ აწყენინა სულ უბრალოდ, თავის სიცოცხლეში არ დაივიწყებს, ყველას შესჩივლებს, ნამეტნავად თავისიანებს.

ქისტები და მისი შთამომავლობა მტკიცედ ასრულებენ კანონს – „თვალი თვალის წილ – კბილი კბილის წილ“ – მანამ ხსენდებიან ქვეყანაზე.

თუ ვინმემ მოჰპარა, ან უსამართლოდ წაართვა, მანამ მაგიერს არ გადაუხდის, ჯავრი გახეთქავს.

ზედ მოსულ მტერს ზურგს არ შეაქცევს, ვაუკაცურად შეეგებება, რომ შეუტევს, მაშინვე ხანჯალზე ხელს იტაცებს.

გაჯავრებული დინჯად რომ გელაბარაკბოდეს, მაშინაც მალ-მალე ხელი ხანჯლისკენ მიაქვს.

თავისი ხალხის ჭირსა და ვაებაში დიდი თანამგრძნობია, მაგრამ თუ სისხლი დაემართა, იმას არავის შეარჩენს ცოცხალი თავით.

სარწმუნოებრივი ფანატიზმის მიზეზით ძნელად ითვისებს საერთო ცივილიზაციას. ხალხის საერთო კულტურას ძალიან ჩამორჩინონა ყოველმხრივ.

... ხალხი აქ არც ისე შეუგნებელია და კერპი, იციან გაგონება, ყურის გდება, მამაცია და გაბედული, თუ ისევ მოლების ზეგავლენაში არ მოექცნენ, როგორც წინათ.

ხასიათიც ამაყი აქვთ, გულფიცხი, შეუპოვარი, მრისხანე, მაგრამ გულკეთილი, თავმოყვარე, სტუმრისათვის თავდადებული, ხათრიანი, მოკრძალებული, დაუზარელი, ზოგჯერ ცნობისმოყვარე, ზედგამოფრილი ჩაჩინელია. როგორც ჩაჩინელი კაცი, ის ცოტა მკვეხარაა, არა სწყინს პირში ქება, დაჯერებულია, თუ დაუფიცებ, ცოტა რამეზე მადლობელიც გახდება და მომდურავიც.

ტანის სიმსუბუქე, ლალი გული და სიცქვიტე ახალისებს ქისტს. ცხენის ჯირითზე – მხედრობაზე, კლდეში ნადირობაზე, ჯამბაზობაზე, მოსისხლეობა აქეზებს იარაღზე და შურისძიებაზე, ცნობისმოყვარეობა სწავლაზე და სხვ. “.

საუკუნის განმავლობაში დიდად არაფერი შეცვლილა ქისტი

კაცის ბუნებაში. მკვეთრი ცვლილება იგრძნობა რელიგიური ფანატიზმის ზეგავლენაზე, რომელსაც ახალი რადიკალური მიმდინარეობის წყალობით დიდი დოზით იღებს ახალგაზრდობა. ამ ფანატიზმა უკან გადასწია სისხლი და შთამომავლობა. ეთნოგრაფის წუხილი იმაზე, რომ „სარწმნუოებრივი ფანატიზმის მიზეზით ძნელად ითვისებს საერთო ცივილიზაციას“ და ხალხის კულტურული ჩამორჩენილობა დაიძლევა, „თუ ისევ მოლების ზეგავლენაში არ მოექცნენ, როგორც წინათ“ კვლავ აქტუალურია, დღეს კვლავ დადგა დღის წესრიგში საჭირბოროტო საკითხი, რომ აღორძინებული, ცივილიზაციული ქისტები კვლავ არ აღმოჩნდნენ წარსულის სიბნეოლეში, გაუნათლებლობისა და უმეცრების ხანაში.

როგორ ყალიბდება ადამიანი ვაჟკაცად, როგორ ხდება ქისტი ყუანახი? ის, ვინც იზრდება ტრადიციულ ქისტურ ოჯახში, ვინც მტკიცედ იცავს წინაპართა ადათ-წესებს, ზნე-ჩვეულებებსა და ტრადიციებს, იზრდება ქისტურ გარემოში, ის არასოდეს უღალატებს თავის ხალხს, არასოდეს გატეხს სიტყვას, წყენას არავის აპატიებს, ბოროტებას წინ აღუდება, არ მოითმენს ტყუილსა და ფარისევლობას, შეიძულებს ლაჩრობასა და სულმოკლეობას.

„ყუანახალ“ შეიცავს პატიოსნებას („სიი“), კეთილშობილებას („უზდიელ“), ვაჟკაცობას („დუენალ“), მამაცობას („მეერალ“), სიამაყეს („იაჰე“), სამართლიანობას („წისხოა“), ხელგაშლილობას (ქამერჩალ) და სხვ. შეიძლება ყველა ეს თვისება ჰქონდეს კაცს, მაგრამ, თუ მასში არ არის თავისუფლების („მარშოა“) სიყვარული, ღირსების გრძნობა, მაშინ იგი ყუანახად ვერ ჩაითვლება.

თავისუფლება, უპირველეს ყოვლისა! – ესაა ყუანახის ლოზუნგი. მაღალ ფაფახსაც იმიტომ ატარებს ქისტი კაცი (ვეინახები) როგორც მაჩვენებელს იმისას, რომ მის ქუდს ზემოთ არავინაა, გარდა ლმერთისა. ეს ფაფახი არის სიმბოლო თავისუფლებისა. უფრო ნათელი რომ იყოს მკითხველისათვის ქისტი კაცის ფილოსოფია, მოვიყვან შემდეგ მაგალითს:

დალესტნელი ბეგი ეწვია სტუმრად ქისტი. ქისტი დატრიალდა, სტუმარს განსაკუთრებული პატივისცემით შეხვდა, როგორც

სხვა ქვეყნიდან მოსულ კაცს. ეტყობა, ლევი ვერ ჩასწვდა ქისტური მასპინძლობის ეთიკას, თავის ტიტულს მიაწერა ასეთი პატივისცემა და საუბარში ხშირად ხაზს უსვამდა თავის ბეგობას. მასპინძელი ზრდილობიანად უქნევდა თავს, დაბოლოს, შეეკითხა:

– ვინ არის ბეგი?

– ბეგი ხალხის მმართველია, ბატონია. აი, როგორც თქვენს ხეობაშია გაშლილი აულები, ისე ჩვენთანაც არის და ყველა მე მემორიჩილება.

– ბეგზე მაღლა თუ დგას ვინმე?

– როგორ არა, ბეგზე ბევრად დიდია ხანი.

– ხანზე დიდი თუ არის ვინმე?

– ხანზე მაღლა ფადიშაჲია, ის ყველაზე დიდია და მთელი ქვეყნის მმართველია.

– მასზე ძლიერი არის ვინმე? – ჯიუტად ჩაეძია მასპინძელი.

– მასზე ძლიერი არავინა! – უთხრა მასპინძლის უცოდინრობით გალიზიანებულმა სტუმარმა.

– ჰოო, მაშ ჩვენ, ვეინახები ფადიშაჲის მსგავსი ვართ, რადგან ჩვენზე მაღლა არავინ დგას, გარდა ღმერთისა! – ამაყად განუცხადა სტუმარს მასპინძელმა და საუბარი სხვა თემაზე გადაიტანა, რადგან ეს საკითხი ამონურულად მიიჩნია.

ყუანახის მთავარი მიზანი ალაჲის თაყვანისცემაა და თავისი ხალხის სამსახური და სამშობლოს დაცვა. ხალხისა („ყამ“) და სამშობლოსათვის („დაიმოხქე“) თავდადება ვაუკაცობის (ყუანახალ) უმაღლესი გამოხატულებაა. ათასეული წლები ვეინახებმა მომხდურ მტერთან ბრძოლაში გაატარეს. თუ მტერი იმძლავრებდა, ტოვებდნენ ველ-მინდვრებს, მიუვალ მთებს შეეხიზნებოდნენ, ჩაიკეტებოდნენ ქისტურ წონოლა საპრძოლო კოშკებში („ბოუ“) და იქიდან ანარმობდნენ თარეშებს მტერზე. როგორც კი დასუსტებულ მტერს ძლევდნენ, კვლავ ეშვებოდნენ ბარისკენ. სწორედ ასეთ ბრძოლებში იკვეთებოდნენ გმირი ყუანახები, მათზე ქმნიდა ხალხი მითებსა და ლეგენდებს, სიმღერებში („ილლი“) ხოტბას ასხამდნენ ხალხისთვის, სამშობლოსთვის თავდადებულ ვაუკაცებს.

ყუანახი მზად უნდა იყოს ყოველწამს სიკვდილისათვის, თუკი ამას მოითხოვს ხალხისა და სამშობლოს კეთილდღეობა. მარა-დიული არაფერია ამქვეყნად, სიცოცხლეც წარმავალია. ქისტები იტყვიან: კი, მაგრამ რამდენი წელი უნდა იყო ამქვეყნად, ას წელზე მეტს იცოცხლებ? მეტს ხომ არა და რაღაც ასი წლის გამო ღირსებას როგორ უნდა შეელიოს კაცი! ამ ას წელშიც ხომ ნახევარი სიბერეში უნდა გაატაროს კაცმა, მიხრნილ სიბერეზე საზიზღარი ამქვეყნად არაფერია და წადი ამ ქვეყნიდან ჯანმრთელი, ახალ-გაზრდა, ვალმოხდილი, დატოვე ყუანახის სახელი და მარადიულად იცოცხლებ.

ქისტებში იტყვიან, სამი რამ ღირსეულად უნდა გააკეთოს ვა-ჟკაცმა: პირველი, როცა სახლიდან გადიხარ რაიმე საქმეზე, როცა იწყებ სამზადისს გასამგზავრებლად, პირველ რიგში, სიკვდილისთვის მოემზადე, შენ და არც ერთმა ადამიანმა არ იცის, როდის დადგება სიკვდილის წამი. მეორე, როცა სხვის სახლში შედიხარ, პირველ რიგში თვალს გაუფრთხილდი, უნდა იცოდე, ვის შეხედო და რას შეხედო. მესამე, სანამ რამეს იტყვი, სანამ ვისმეც რამეს შეჰპირდები, კარგად დაფიქრდი, შეგიძლია თუ არა სიტყვის შესრულება, სიტყვის გამტეხი კაცი არასდროს იქნება „ყუანახი“.

ქისტები ბავშვებს ასწავლიან წინაპრების საუნეტესო ტრადიციებს, ისტორიას თავისი ხალხისა. ახალგაზრდებმა აუცილებლად უნდა იცოდნენ შვიდი წინაპრის სახელი, გვარის (თეიფის) წარმომავლობა, გვარის პატრიარქთა გმირული წარსული. სწორედ ადათ-წესებითა და ტრადიციებზე აღზრდილი ახალგაზრდა ხდება ყუანახი, რომელიც პატივისცემას ამჟღავნებს სხვა ხალხების, განსაკუთრებით მეზობელი ხალხის ისტორიას, ადათ-წესებსა და ზნეჩვეულებებს.

„ყუანახი“ ერთნაირად ხვდება სიხარულსა და მწუხარებას. სიხარულის დროს არ უნდა იცინოდეს და მწუხარების დროს არ უნდა ტიროდეს. რაც უნდა დიდი უბედურება დაატყდეს თავს, ისე უნდა შეხვდეს, რომ ვინმემ არ შენიშნოს მწუხარება. სოფ-

ჯოყოლოში მცხოვრებ ანზორ ნაციშვილს ყაზახეთში სამი ვაჟიშვილი, დაუქორნინებელი სამი ახალგაზრდა მოუკლეს ყაზახებმა. ერთბაშად სამი ვაჟიშვილის ცხედარი ჩამოასვენა მამამ მშობლიურ სოფელში და სამძიმარს იღებდა თანამოძმებისაგან. არავის შეუმტნევია მის სახეზე არა თუ ცრემლი, სიფერმკრთალეც კი. ის მტკიცედ იდგა ფეხზე, იცავდა ქისტურ ადათს – სხვის სამძიმარზე კაცი თუ ხარ, მაშინ შენს სამძიმარზეც იყავი კაცი, გაიხსენე, რომ შენ არ ხარ პირველი, ვისაც უბედურება დაატყდა თავს და არც უკანასკნელი.

სიმამაცე, „უშიშრობა – „ყუანახისთვის“ აუცილებელ თვისებებს ბავშვობიდანვე უნერგავენ მშობლები შვილებს. განსაკუთრებით ამაზე ზრუნავენ უფროსი ნათესავი ახალგაზრდები. მაგალითად, გვიან ღამე გამოსაცდელ მოზარდს აძლევენ ქუდს და ავალებენ, აიტანოს რომელიმე მაღალ გორაზე არსებულ საკულტო ნაგებობასთან, ისეთ ადგილას, სადაც, გადმოცემით ეშმაკები ბუდობენ, რომელთაც შეუძლიათ, შეაცდინონ მოზარდი, წაიყვანონ ტყეში და ჭკუიდან გადაიყვანონ და ა.შ. მოზარდს ქუდი მიაქვს და დადებს შესამჩნევ, მონიშნულ ადგილას და ბრუნდება სოფელში. შემდეგ მიდის მეორე მოზარდი და მოაქვს ქუდი. ამით ერთდროულად მოწმდება ორივეს უშიშრობა.

ქისტებში დაახლოებით 20 იანვრისათვის ალინიშნებოდა დღესასწაული „სინი“, „სინუაშ“ ქისტურად სულებს ნიშნავს და ვფიქრობ, დაკავშირებული უნდა იყოს მიცვალებულთა სულების გახსენებასთან. მართლაც, ამ დღესასწაულზე მზადდებოდა საჭმელები, რომელთაც დიასახლისი, უფროსი დედაკაცი ერთად დადგამდა და ასრულებდა რიტუალს მიცვალებული სულების მოსახსენებლად, საჭმელს სწირავდნენ ოჯახის, ახლობლების მიცვალებულთა სულებს და შემდეგ მიირთმევდნენ. ასევე აუცილებლად ორი-სამი დღით ადრე დიდ ქვაბში იხარშებოდა სიმინდი, მასში ურევდნენ ხორბალს, ლობიოს და გემრიელი საჭმელი მზადდებოდა. ჩემი აზრით, ეს დღესასწაული უნდა მომდინარეობდეს წარმართული დროიდან, მაგრამ ბევრი ფიქრობს, რომ სინი უკავშირდება

ქრისტიანულ დღესასწაულს – წყალკურთხევას. ამ ვერსიას იზი-არებს მ. ალბუთაშვილიც. იგი ასე აგვინერს ამ ქისტურ უძველეს დღესასწაულს, რომელიც დღეს უკვე მივიწყებას ეძლევა.

„სინიის დღესასწაულობენ 14 იანვარს მახლობელს შაბათს, ეს დროც, ალბათ, ვარაუდით აქვთ დახსომებული (არა მგონია, ვარაუდთან გვქონდეს საქმე, რადგან ქისტებმა ზედმინევნით იციან კალენდარი. – b.b.) ამ უქმეს უფრო მომეტებული ცერემონიებით ასრულებენ.

წინა საღამოს, კარგა შეპინდებულზე, ვახშმობის ხანს ჯეილი ქალები, ბიჭები ცალ-ცალკე გავლენ განზე, ავლენ მაღლა ხეებზე, შენობებზე და იქიდან სოფელს ათვალიერებენ და მკითხაობენ: რომელი სახლიდან რას გაიგონებენ ან დაინახავენ, იმის დახედულად დასკვნას აკეთებენ. მაგალითად, თუ კარის რახუნი გაიგონეს, წლამდე მოუკვდებათ ვინმე, თუ სინათლე და სიმღერის ხმა მოდის, ქორწილი იქნება, თუ ცეცხლის წინწკალი ავიდა, ქალი გათხოვდება და სხვ.

წინა ღამეს დიასახლისი ამზადებს ხონჩას, ზედ აწყვია: პური, ჯამით ხორბალი, თაფლ-ერბო, ცოტა რამ ხილი და სხვ.

დილაადრიან სახლის უფროსი ან უმცროსი ადგება, აიღებს იმ ხონჩას, ჯერ სახლს შემოუვლის, მერე ბოსელში შევა, საქონელს მიუკვლევს, იმ ხორბალს ზედ გადააშლის – ასე გამრავლდითო, შემდეგ სახლში შევა, დაილოცება, ხონჩას დასდგამს, თაფლში პურს ამოაწებს, შეჭამს და იტყვის: ასე ტკბილად გაიაროს ჩვენმა ყოფა-ცხოვრებამო. სხვებიც ადგებიან, მივლენ ხონჩასთან და მე-კვლე მათაც მიულოცავს და თაფლ-ერბოიან ლუკმას შეაჭმევს.

ამ დროს დედაკაცი უკვე წყალზეა კოკით წასული. ამოავსებს თითო კოკას და ნაპირზე დაღვრის მკვდრისთვის და შენდობას ეტყვის, ძველსა და ახალს არ დაარჩენს მოუხსენებლს და შინ ისე წავა.

სახლში მამაკაცი, როგორც ნიჯუობას (სინის მსგავსი ქისტური დღესასწაულია, სადღაც 20 ნოემბრის შემდეგ მოდის – b.b.), საკლავს დაკლავს – უფრო ახალი მკვდრის პატრონი – ხორცს მოხარ-

შავს, ხინკალს, მწვადს მოამზადებს. ამას დიასახლისი დაუმატებს ერბო-კვერცხს, ერბო-ხაჭოს, რძის ფლავს და სხვ. გააწყობს სუ-ფრას, ზედ ხელით მარილს მოატარებს და ძველ-ახალ მკვდრებს მოიხსენიებს, მეზობლებს დაუძახებს, სვამენ, ჭამენ და ასე ერთმა-ნეთის პატიუჟილობაში დროს გაატარებენ.“

დროთა ვითარებაში ამ დღესასწაულმა ცვლილებები განი-ცადა, მაგლითად, ჩემს მახსოვრობაში სასმელს არ სვამდნენ, ეს ისლამის გაძლიერებასთან იქნებოდა დაკავშირებული. მაგრამ ჩვენ გვაინტერესებს ეს დღესასწაული არა როგორც ხალხის ჩვეულება, არამედ, როგორც მოზარდებში მამაცობის აღზრდის საშუალება.

უფროსები ამ დღესასწაულის ღამეს მოზარდებს შუალმისას გზავნიდნენ სოფლის განაპირას ან ძველ საკულტო ნაგებობებთან, რომლებიც ტყით იყო დაფარული და ხალხში ცნობილი, როგორც ჯინებისა და ეშმაკების ადგილსამყოფელი. აქ უნდა ასულიყო მო-ზარდი უიარალოდ, რკინის ნაკეთობა, თვით რკინის ღილიც კი არ უნდა ჰქონოდა ტანსაცმელზე, შუალამიდან გათენებამდე წყნარად უნდა მჯდარიყო და დაელოდებოდა ჯინების საუბარს. სახლიდან გასვლის შემდეგ ეშმაკების მოყურადე არავის უნდა დაენახა. გად-მოცემის მიხედვით, ორი ეშმაკი გაივლიდა მოყურიადის მახლო-ბლად და ერთმანეთს ეტყოდნენ: შენ ამაღლამ ეწვიე მავანს სამძი-მარზე, ხოლო მე მავანის ოჯახში ქორნილს დავესწრებიო. პირველ შემთხვევაში წლის ბოლომდე მიცვალებული იქნებოდა, მეორე შემ-თხვევაში – ქორნილი. ამ საუბრის მოსმენა შესაძლებელი იქნებოდა იმ შემთხვევაში, თუკი შესრულდებოდა ზემოთ აღნიშნული ყველა პირობა (თითქმის ყველა პირობა შემისრულებია, მაგრამ პირადად არ მომისმენია ასეთი საუბარი და არც ვისმე სხვას).

მაგრამ ამას არც აქვს მნიშვნელობა. საქმე ის არის, რომ სანამ შუალამე დადგებოდა, უფროსი ამხანაგები 10-12 წლის მოზარდებს გვიყვებოდნენ საშინელ ამბებს ეშმაკებზე (როგორ გააგიჟეს ერთი მგზავრი ეშმაკებმა, ღოლ-გარმონით დახვდნენ და ქორნილში წაიყვანეს და როგორ ცეკვავდა ჯაგებში გათენებამდე. ან როგორ მოხვდა ერთი ტყიდან მომავალი ახალგაზრდა დღეობაზე, როგორ

დაუსვეს გვერდით ლამაზი გოგო და მთელი ლამე მხიარულობდა და ქადებს მიირთმევდა, დილით კი აღმოაჩინა, რომ ხელში გამხმარი ნაკელის ნაჭრები ეჭირა. ან კიდევ, როგორ შემოხვდა ჯოყოლოდან მომავალ დუისელს მაყრიონი და ბალთაგორას რომ მიაღწია, უცბად შენიშნა, რომ მის „მეგობრებს“ ფეხის ტერფები ქუსლის ადგილას ჰქონდა, ქუსლები კი ტერფების მაგივრობას ენეოდნენ და სხვ). და ამ საშინელი ამბების მოსმენის შემდეგ ეშმაკების სამყოფელში უნდა მჯდარიყო მოზარდი გათენებამდე.

მამაცობის გამოცდა დავაუკაცებულ ახალგაზრდებშიც ჩვეულებრივი ამბავი იყო და არის დღესაც. ერთ-ერთი ახალგაზრდა პრეტენზიას აცხადებდა, ღმერთის გარდა არავისი და არაფრისა მეშინიაო. მეზობელი სოფლიდან მისმა მეგობრებმა გადაწყვიტეს, გამოეცადათ მისი სიმამაცე. სასაფლაოზე წინასწარ გათხარეს საფლავი 40-50 სმ-ის სიღრმის, შიგ მოათავსეს ფიცრებით შეკრული ყუთი (კუბო), გაუკეთეს სახურავზე სასუნთქი მილები და ხვრელი, საიდანაც „მიცვალებულს“ შეეძლო ხელი ამოეყო და ზედ დაყრილ მიწაში ეფათურა.

ლამე მეგობარი გაგზავნეს მამაცობის პრეტენზიის მქონესთან, რომელმაც სთხოვა, ლამე გაეთია ახლად გარდაცვლილის საფლავზე, რადგან რაღაც უცნაური ამბები ხდებოდა ლამით „მიცვალებულის“ საფლავზე.

სანამ მამაცი მივიდოდა, „მიცვალებული“ წინასწარ ჩააწვინეს კუბოში, მიწა მიაყარეს და თავად იქვე საფლავებს უკან დაიმალნენ. ლამისმთეველი მივიდა საფლავთან, ზურგით მიეყუდა საფლავის ბორცვს, დინჯად გააბოლა და მიყუჩდა.

შეაღამისას „მიცვალებულმა“ საფლავიდან ხელი ამოყო და მიწა მიაყარა ზურგზე მხართეძოზე წამოწოლილ ყარაულს. ყუანახი შეიძმუშნა, შებრუნდა, ყურადღებით მოათვალიერა საფლავი და კვლავ ძველი პოზა მიიღო. „მიცვალებულმა“ კვლავ გაიმეორა წინანდელი პროცედურა. ამჯერად ყარაული მკვეთრად შეტრიალდა, დააკვირდა და მიმართა:

- მიცვალებულო, გთხოვ, ისე მოიქცე, როგორც მიცვალე-

ბულს შეეფერება. – თქვა ეს და კვლავ მხართეძოზე წამოწვა.

რამდენიმე ხნის შემდეგ მიცვალებულმა ხელი გამოყო და ხელით ბეჭზე შეეხო ყარაულს. ამჯერად ყუანახი წამოჯდა და მკაცრად უთხრა შემწუხებელს:

– შენ თუ მიცვალებული ხარ, კეთილი ინებე და საფლავში ისე განისვენე, როგორც მკვდრის წესი და რიგია. წინააღმდეგ შემთხვევაში მართლა მიცვალებულად გაქცევ.

მეთვალყურეებმა იგრძნეს, რომ ხუმრობა სახიფათო ხდებოდა და სიცილ-ხარხარით გამოეგებნენ მეგობარს.

ვაჟაკულბის („ყუანახალ“) კოდექსის პირველი და ძირითადი პუნქტი მამაცობას ეხება. კაცი, რომელსაც ეშინია სიკვდილის, ვერ იქნება „ყუანახი“, ყველაზე საზიზდარი თვისება სიმხდალეა, სიმხდალეში მხილებული ადამიანი არცხვენს არა მარტო თავის თავს, არამედ ოჯახსა და გვარს. ეს სირცხვილი თაობიდან თაობას მიჰყვება და მისი ჩამორცხვა ძალზე ძნელია. სწორედ ეს იცის ქისტმა და მოკვდება, მაგრამ შიშის არვის დაანახვებს. კავკასიაში მამაცობით არავის გააკვირვებ, მაგრამ ამ მხრივ ქისტებს ძნელად თუ გაუტოლდება ვინმე, ამას ყველა მეზობელი ხალხი აღიარებს. „ყუანახი არ ფიქრობს მოსალოდნელ შედეგებზე“, – ამბობს ქისტური ანდაზა და ეს პრინციპი ასაზრდოებს მამაცობას. რომ არ შერცხვეს მეგობრების, თანასოფლელების, თანამოძმეულების წინაშე, ქისტი მზად არის სიკვდილისათვის, მაგრამ არ არსებობს ადამიანი, რომელიც აბსოლუტურად უშიშარი იყოს. დიახ, შიში იმისა, რომ სალაპარაკო არ გახდეს ხალხში, თითოთ საჩვენებელი არ იყოს სოფელში, გარიყული არ აღმოჩნდეს თანამოძმეთაგან, ახლობლების ზიზღი არ დაიმსახუროს, კაცი თამამად მიდის სიკვდილზეც კი.

შიში ღირსების შელახვისა ისეთ საქციელისკენ უბიძებს ადამიანს, რომ დღევანდელი გაგებით, ჭუუათმყოფელი ვერ ჩაიდენს. იმდენად ძლიერად არის ქისტებში განვითარებული ღირსების გრძნობა, რომ უბრალო შეურაცხყოფაზე, მაგალითად, ქუდის გატაცება ან ფეხით გათელვა, სიკვდილის ფასად დასჯდომია

შეურაცხმყოფელს.

სოფ. ომალოში XX საუკუნის დამდეგს ქორწილი იყო. ქორწილი იმ პერიოდში დიდი დღესასწაული იყო და ყველა სოფლიდან პატიუებდნენ ნაცნობ-მეგობრებსა და ნათესავებს. დუისიდანაც ბევრნი იყვნენ. მაშინ თევზები – დანა-ჩანგალი და ჭიქები სად იყო, თიხის ჯამებით წვენსა და ხორცს მიართმევდნენ მოქეიფებს, ქადებს მაგიდებზე ალაგებდნენ, მჭადის გალანებს პირდაპირ ფიცრებზე ყრიდნენ. მერიქიფე დოქითა და ყანწით ჩამოუვლიდა მესუფრებს, რიგზე აწვდიდა და დაცლის შემდეგ ავსებდა და მომდევნოს მიაწვდიდა. ერთ-ერთს ააცდინა ყანწი, სრულიად შემთხვევით გადაატარა და სიკვდილის ფასად დაუჯდა დაუდევრობა. შეურაცხმყოფილმა იძრო ხანჯალი და მუცელში ატაკა. ცხადია, აქ სასმელმა კი არ ითამაშა ასეთი საბედისწერო როლი, არამედ გადაჭარბებული ლირსების გრძნობამ.

მოკლულის ნათესავმა მოასწრო მკვლელის დაჭრა, მაგრამ იგი დაუსხლტა, არეულობით ისარგებლა და მიიმაღა. მთელი სოფელი დაედევნა. სოფლის სტუმარი მოკლეს, სოფელს შეურაცხმყოფა მიაყენეს. ომალოელმა შამილ წუნაშვილმა ვიღაცის გომურში მიაგნო, საქონლის ბაგაში ჩაწოლილიყო და მუცელზე შიშველი ხანჯალი ედო. ბრჭყვიალა ხანჯალს მოჰკრა შამილმა თვალი და სანამ მკვლელი აღმართავდა, უკან გადახტა. მას იგი არ მოუკლავს, მოკლულის ნათესავებს დაელოდა, შურისძიების პრეროგატივა მათი იყო. მკვლელი ხანჯლებით დაჩქენს. ორი ადამიანი შეეწირა ახირებული კაცის ზღვარსგადასულ პატივმოყვარეობას.

ლირსების შელახვად ითვლება ყოველგვარი აგდებული, უპასუხისმგებლო დამოკიდებულება პიროვნებისადმი. მაგალითად, წინაპრების ულირსად მოხსენიება, კამათის დროს იარაღზე ხელის ფათური, ხანჯლის ვადის წვალება და სხვ. თითქოს უმნიშვნელო რამეა, მაგრამ დიდი სიფრთხილე მართებს მოსაუბრეს და სიტყვების მოზომილად ხმარება, რომ მასთან მოპაექრე არ გააღიზიანოს.

ხელების წარამარა ქნევა სახის წინ კამათის დროს, საჩვენე-

ბელი თითის ცხვირნინ ტრიალი, ხელის ხელუკულმა ნიკაპზე ამორტყმა, სილის გაწვნა, ყურის აწევა და სხვა ამგვარი შეურაცხმყოფელი ქმედება სისხლის ფასად უჯდება თავხედს და შეიძლება სიკვდილის ფასადაც.

ყუანახი ვალდებულია როგორც თავის, ისე სხვის ღირსება-საც გაუფრთხილდეს. არ უნდა შეურაცხყოს სხვა, რა ეროვნებისა და რწმენის მიმდევარიც უნდა იყოს, ხალხთან ურთიერთობისას უნდა იყოს სამართლიანი, დაიცეს მართალი ადამიანი, მისი პირადი მტერიც რომ იყოს. ყველასთან, განურჩევლად სოციალური მდგომარეობისა, ზრდილობიანი, თავდაჭერილი და მორიდებული უნდა იყოს.

ლაპარაკის დროს ტონი უნდა ჰქონდეს შერჩეული, ხმამაღალი ყვირილი არ უხდება კაცს, უნდა შეეძლოს მოსმენა, კამათში დათმობა, მით უმეტეს მასზე სუსტისთვის, ეს სულაც არ ნიშნავს სიმხდალეს, არამედ კეთილშობილების გამოხატულებაა.

ღირსების გრძნობა უაღრესად სათუთი მოპყრობის საგანია. ჩვეულებრივ სპორტშიც კი მოითხოვს ეთიკის, ურთიერთპატივის-ცემის, ღირსების დაცვას. ადრე ჭიდაობა იმართებოდა პანკისის თითქმის ყველა სოფელში. მაგალითად, სოფ. დუისში საამისოდ სამი ადგილი იყო შერჩეული: ცაცხვების ქვეშ, სოფლის განაპირას კაკლების ქვეშ და სოფლის თავში, წისქვილთან, სადაც ასევე კაკლები იდგა. აქ თავს იყრიდნენ პანკისის სოფლებიდან მოჭიდავეები ყოველ კვირა დღეს, მათი გულშემატკივრები და სოფლის ახალგაზრდა გოგო-ბიჭები.

აღნიშნულ ადგილებში წრე იყო გაკეთებული, მცირედ ჩაღრმავებული და ამოვსებული იყო ნახერხით. ხალხი შუადღემდე იკრიბებოდა, სანამ ჭიდაობა დაიწყებოდა, ზურნის ჭყვიტინი და დოლის ბრახაბრუხი ისმოდა, ახალგაზრდები ცეკვას მართავდნენ, ხალხს ართობდნენ, სანამ ჭიდაობა დაიწყებოდა. იშვიათად თუ ჩაივლიდა მშვიდობიანად ტურნირი. მოჭიდავეების გულშემატკივრები აგრესიულად იქცეოდნენ, მსაჯის ფუნქციებში იჭრებოდნენ, იდგა დიდი აურზაური. მოჭიდავის მიერ წაქცეულ მეტოქეზე

ფეხის გადატარება დიდ შეურაცხყოფად ითვლებოდა. ეს თუნდაც შემთხვევით გაეკეთებინა, ერთი აყალმაყალი ატყვდებოდა ხოლმე, გულშემატკივრები შემოცვივდებოდნენ წრეში და იმართებოდა მუშტი-კრივი. მაგრამ მოხუცები, წინა რიგში რომ ისხდნენ, წა-მოცვივდებოდნენ, ჯოხებს დაატრიალებდნენ და აშოშმინებდნენ მოჩხუბრებს.

გასული საუკუნის 60-იან წლებამდე აწონვა არ ხდებოდა, მნიშვნელობა არ ჰქონდა წონას, 100 კგ-ნი 60-იანს ჩვეულებრივ ეჭიდებოდა, ყოველ კვირას ფალავანი ვლინდებოდა.

ქართული ჭიდაობა უაღრესად პოპულარული იყო ქისტებში და საუკეთესო ფალავნებიც ჰყავდათ. მათში გამოირჩეოდა სოფ. ჯოყოლოდან იდეი ისუბ, განთქმული მოჭიდავე და ლირსეული „ყუანახი“. ერთხელ ჭიდაობიდან შინ დაბრუნებული უსუბი ოჯახში ჰყვებოდა თავის წარმატებაზე. მამა იდა მიუბრუნდა და ეუბნება.

– რას ტრაბახობ, რა ვაჟაუცობა გგონია, შენნაირი „ყუანახი“ წააქციო და ზევიდან დაჰყურო, ან შენ წაგაქციოს და შენნაირ „ყუანახს“ ქვემოდან შეჰყურო?

ეს სიტყვები თითქოს უცნაურად მოეჩვენება კაცს, იფიქრებს, ეს ხომ ჭიდაობაა, სპორტია, ერთ-ერთი გაიმარჯვებს, ამისთვის იბრძვიან სპორტის ყველა სახეობაში, მაგრამ თუ ჩაუკვირდები, მიხვდები, რომ ამ სიტყვებში ადამიანის ლირსების დაფასების კრი-ტერიუმია ჩადებული.

იდეი უსუბს საკუთარი ცხვარი ჰყავდა და საბჭოეთის დროს ზაფხულში ჩეჩენეთ-ინგუშეთის მთებში აძოვებდა და თერგის ნა-პირებზე აზამთრებდა. ერთხელაც ხარები მოჰკარეს, დიდხანს ექე-ბა და ეჭვმიტანილიც ჰყავდა, ვინმე მეცი, მაგრამ ვერ უმტკიცებ-და. ერთ საღამოს კამათი მოუვიდა მეგობარ ჩეჩენთან. გულფიცხი კაცი იყო უსუბი, თავმოყვარე, ლირსების უბრალო შელახვას სი-ცოცხლის ფასად არავის შეარჩენდა. მეგობარმა გაკენწლა:

– მე რას მეჩხუბები, მიდი, შენი ხარების ქურდს დაელაპარაკე ასე, იქნებ დაგიბრუნოს.

– რაო, მაში ის კაცი ვარ, ვინმემ აბუჩად ამიგდოს? – მუქარა

გაისმა უსუბის ხმაში. წამიც არ დაუყოვნებია, მივიდა მეცის სახლთან, ეზოში შევიდა და დაუძახა. მეცი გარეთ გამოვიდა და როგორც კი კიბეზე ჩამოვიდა, უსუბმა იშიშვლა ხანჯალი და სიტყვებით – ხარების კვალს გაჰყევიო – მხარზე დაუშვა, ხელის მოჭრა ჰქონდა განზრაული. მეცი გამოცდილი კაცი აღმოჩნდა, სწრაფად გაიწია გვერდზე. მძლავრად მოქნეული ხანჯალ მხარს ასცდა, მაგრამ მოხვდა თეძოში და ბარძაყი ჩაათალა.

უბრალო ნაკინკლავებამ, რასაც მოჰყვა შეურაცხყოფა, მძიმე შედეგი გამოიწვია. უსუბ ბორჩაშვილი ქისტებსა და ჩეჩჩეთ-ინგუშეთში ცნობილი, ქისტური ადათ-წესებით აღზრდილი, „ყუანხის“ განსახიერება იყო. ვაჟუაცური ბუნების, სტუმართმოყვარე ქისტი გახლდათ.

ელთი ხანგოშვილი, სოფ. დუისში მცხოვრები ახალგაზრდა, მთებში მოგზაურობდა და დაღლილ-დაქანცულმა გზაზე მეცხვარეთა ბინაში შეიარა. ბინის პატრონმა საჭმელი დაუდგა, მეცხვარის ჩვეულებრივი ყოველდღიური საკვები – გორდილა (სიმინდის ფქვილის მოხარშული მომცრო გუნდა) და ხაჭო. მშიერი მგზავრი პურს ჭამდა, თან მორძოს (ყველგამოხდილი შრატი) აყოლებდა, რომ ბინაში შემოვიდა უსუბი. სტუმარს მიესალმა, ამბავი გამოჰკითხა, მერე მნიშვნელოვანი ბინის პატრონს, თავის ნამგალს და უხმოდ გავიდა გარეთ. ბაკში ცხვარი იდგა, შევიდა ბაკში, შეარჩია ყველაზე დიდი ყოჩი, რქაში დასწვდა და გარეთ გამოათრია.

მასპინძელი მიხვდა თავის შეცდომას, მივარდა უსუბთან, ყოჩის მეორე რქაში სწვდა და მუდარით მიმართა უსუბს:

– ისუბ, გაფიცებ ღმერთს, არ შემარცხვინო, ახლავე ორ ცხვარს დავკლავ, გეხვეწები, გაუშვი.

– მამაჩემი იდეის საფლავს ვფიცავ, ხელებით ახლავე დავახრიობ, თუ ხელი შემიშალე, გამეცალე, სტუმრის პატივისცემა დაგვიწყებია.

ელთიმ საქმეში გარკვევაც კი ვერ მოასწრო, რომ ყელგამოჭრილმა ჭედილამ ფართხალი დაინყო. სწრაფად გაატყავა, აკუნა, ქვაბით ხორცი ჩამოჰკიდა კავზე და რაღაც 25-30 წუთში სტუმარს

ხონჩით დაუდგა წინ.

როგორც ითქვა, ქისტი კაცი უალრესად თავმოყვარეა, ლირსების გრძნობა უკიდურესად აქვს გამძაფრებული. ვაჟკაცისთვის სიკვდილის წინაშე შიში ყველაზე დამამცირებელი გრძნობაა. მოვიყვან ერთ მაგალითს, რომელიც მოხდა 1916 წელს:

თუშებმა ყრილობა მოიწვიეს და გადაწყვიტეს, გაელაშქრათ პანკისელ ქისტებზე და დაენახვებინათ, თუ ვინ არის ბატონ-პატრონი რეგიონისა. ისინი აჰყვნენ ალაზნის პირს, დაახლოებით ასზე მეტი მხედარი და შეიჭრნენ სოფ. ომალოში. როგორც გადმოვცემენ, ომალოში კაცები მთაში სათიბად იყვნენ გასულები და თუშებმა ყოველგვარი წინააღმდეგობის გარეშე გამორეკეს საქონელი, გზაში მინდორზე ჯოყოლოელების საქონელიც გამოაყოლეს. საქონელთან ერთად რამდენიმე დროული კაციც ტყვედ წაიყვანეს და ომალოელი ცნობილი ქისტი, ვინმე ო. ხუტიშვილი.

დუისელებმა, რა თქმა უნდა, შენიშნეს აღმა ჭენებით მიმავალი მხედრები და ისიც ივარაუდეს, რომ სამშვიდობოდ არ მოვიდნენ ხეობაში. ამიტომ განგაში ატეხეს და ორგან ჩასაფრდნენ, სოფლის თავსა და ბოლოში. სროლა დაინყო. მინდორში ნაბადმოსხმული ქალი აძოვებდა საქონელს, პანიკაში ჩავარდნილმა თუშმა ესროლა და ბარძაყში დაჭრა. დანარჩენებმა გაანთავისუფლეს ტყვები და დაეშვნენ, მაგრამ სოფლის ბოლოში დახვდნენ დუისელები და კვლავ სროლა ატყდა.

სროლა შეწყდა. მოლაპარაკება დაიწყო. საქონელი და ტყვეები თან არ ახლდათ თუშებს, მათ ისინი სოფლის თავში დატოვეს. მაგრამ ცხენის ურემზე დაკრული კაცი ვერ შენიშნეს ქისტებმა, თუმცა იქვე ტრიალებდნენ. ტყვე ქისტს შეეძლო შეხმიანება და მაშინვე გაანთავისუფლებდნენ, მაგრამ მან არ იყადრა დახმარების თხოვნა, ემანდ არ იფიქრო, შეეშინდა და აყვირდაო. იგი თუშებმა გააპარეს და კურტანაძეულთან მოკლეს. თითქოს უაზრო სიკვდილია, მაგრამ არა, ვაჟკაცის ღირსება სიკვდილზე მაღლა დგას!

მათე ალბუთაშვილი შემდეგნაირად აღწერს ამ ამბავს:

„სოფელ ომალოში დაიჭირეს ცნობილი ქისტი ო. ხუტიშვილი,

დაატუსაღეს 5-6 მოხუცი თავი კაცები, სროლაც იყო ცოტა.

სოფელ ჯოყოლოში დათოფეს ბირკიანელი ჩაღმა თუში არ. ქელეხიძე, მაგრამ გადარჩა დედაკაცების მეოხებით. მინდვრიდან გაირეკეს ჯოყოლოს სოფლის მთელი ნახირი ძროხისა.

დუისოფლის ბოლოში მინდორზე შეჯგუფდა ხალხი. ატყდა სროლა, ერთი კაცი და მოზრდილი ქალი ქისტებისა მოკვდა და ერთი ცხენი თუშებისა.

ამ დროს შენიშნეს, რომ ქისტის ახალგაზრდობა გზის შეკვრას აპირებდა ხეობის ბოლოში, რამაც თუშები შეაფიქრიანა. საქმეში ჩაერივნენ შუაკაცები და ხალხი დამშვიდდა. საქონელი დააბრუნეს, დაჭერილი ხალხი გაანთავისუფლეს ი. ხუტიშვილის გარდა, რომელიც ადრევე გაეცილებინათ და ხეობის ბოლოში მოეკლათ“.

ამ, ასე ვთქვათ, „წარმატებული“ ოპერაციის შემდეგ, თუშებმა გადაწყვიტეს ბოლო მოელოთ ქისტებისთვის პანკისში და ამ საქმეში დახმარება სთხოვეს მატნელებს. მატნელებმა უარი თქვეს მეზობლებზე თავდასხმაზე და თუშებსაც ურჩიეს, ხელი აელოთ ამ სახიფათო საქმეზე და ალეგორიას მიმართეს: „ესენი არზივის მართვები არიან, არწივი პირიქით ქისტეთში ბუდობს“. თუშებმაც გაილაშქრეს მითხოში, ფშავლებიც აიყოლიეს და შეიჭრენ მელხისტაში(მითხოში). ქისტებმა დატოვეს აულები, თავად იმ ხნის განმავლობაში, როცა თუშ-ფშავთა ლაშქარი მათ აულებს არბევდნენ, მოემზადნენ და ჯარეგოს ვიწრო ხეობაში გზები შეკრეს და ჩასაფრდნენ.

ავლა-დიდებით (ან რა ქონება ჰქონდა მთიელს) დატვირთული ცხენებით და წინ გამორეკილი საქონლით შევიდნენ მოლაშქრენი ვიწრო ხეობაში და სროლაც დაიწყო. მოთარეშენი მთლიანად გაწყდნენ, ორიოდე კაცი დატოვეს ცოცხალი, რათა ამბავი ჩაეტანათ და პატრონებს თავიანთი ცხედრები გამოესყიდათ. ეს იყო დიდი უბედურება, ქართული ხალხური ლექსიც ხატოვნად აგვინერს ამ ამბავს:

„დაუბარებავ მითხოთა:

„მაგყვებით წინას ვალზედა“.
აქ თუ მავიდეს ქისტები,
მკვდარ შაიდების მკვდარზედა.
ახლებო, მაიგონიდით,
ჯარეგას რა დღე გათენდა,
ჩახოცეს თუში, მშაველი,
მკვდარი შაყარეს მკვდარზედა“.

ქისტი ვაჟყაცის ღირსებაზე ბევრი თქმულა, მეზობელი ქა-
რთველი მთიელები სათანადოდ აფასებდნენ ქისტების ვაჟყაცობას,
ჭირში გაუტეხლობას და მათ ღირსებაზე ბევრიც დაუწერიათ.

ალ. ყაზბეგის მოთხრობა „ელისოს“ პერსონაჟი ანზორა ჩერპი-
ჟი, რომელსაც ყველაფერი წაართვა რუსეთის იმპერიის დამპყრობ-
ლურმა არმიამ, მოუკლეს ვაჟიშვილები და სამშობლოც წაართვეს,
გაუტეხლად უმკლავდება უბედურებას და ამაყობს, რომ მისი
ვაჟიშვილები გმირულად დაეცნენ ბრძოლაში, მტერს ზურგი არ
აჩვენეს.

„... მე მყვანდა ჩემი ჯოგი და მთელს ჩეჩნის მინდორზედ
დამიდიოდა უშიშრად; მოვიდნენ გიაურები და წამართვეს...“

მე მყვანდა ჩემი ცხორი და ჩემს სახლს წინ სტუმარს არ
გაუვლია, რომ არ მომეპატიუა, საკლავი არ დამეკლა, – გიაურები
დამეცნენ და წამართვეს. მე მქონდა სახლი და ის თავშესაფარი
იყო ყველა შენუხებულისა, ყველა გაჭირვებულისა, – მოვიდნენ
გიაურები და წამართვეს... შემრჩა სამი ვაჟი, შენ და ჩემი იარაღი.
მე გავიქეცი მთებში, იქითგან მინდოდა გადამეხადა ამ უსამართ-
ლობისათვის, მაგრამ, რა ღმერთი კაცზედ ერთხელ ხელს აიღებს,
ტყუილი-ლა იმისი ცდა!... აქაც გიაურები ქრისტიანების შემწეო-
ბით მოვიდნენ და სამივე შვილი რიგ-რიგად თვალწინ დამიხოცეს...
მაღალო ღმერთო! რა დღე იყო ის დღე... მე როგორლა გადავრჩი
ამის მნახველი!... ერთი ეს-ლა მქონდა სანუგეშო, რომ ვაჟყაცნი
ვაჟყაცურად დაიხოცნენ: სამთავ მკერდი ჰქონდათ გახვრეტილი,
ჩემს შვილებს ზურგი არ უჩვენებიათ მტრისთვის.“

სანადიროდ წასულ ხევსურ ბიძა-ძმისწულს უბედურება დაატყდათ თავს: ძმისწულს თოფი გაუვარდა და ბიძას მუხლი გადაუმსხვრია. ზამთარი იდგა, ღამე ყინვები იწყებოდა. ადუა ბიძას ვერ ჩაიყვანდა ცოცხალს, არხოტიდან შორს იყო, იქვე დაბლა კი ქისტების აული იყო კლდეებს შეფენილი. ადუამ რისკიანი გადაწყვეტილება მიიღო: დახმარება ეთხოვა მტრებისთვის.

„.... როცა გაიგეს, რომ სტუმარი არხოტელი იყო, კიდევ უფრო გაოცდნენ. არხოტელთაგან დახოცილ ქისტთა საფლავებზე ჯერ ბალახიც არ იყო ამოსული და სოფელში ბედავდა მოსვლას მათი მოსისხლე. ღაზის კარს მომდგარ ქისტებს შევქმნათ ბჭობა და ღიჯღიჯი.“

ღაზი შინ შეუძლვა ადუას და თან რამდენიმე მეზობელიც შეიპატიუა. უმასპინძლეს და თბილად ჩააცვეს. სიჩქარე არის საჭირო, – განაცხადა ღაზიმ და ცოტა ხნის შემდეგ ღაზი და ადუა მოუძღვნდნენ წინ თოფ-იარალში ჩამჯდარ ათიოდე ქისტს.“

ქისტებმა მათი დაუძინებელი მოსისხლე მტერი ჯამრული საკაცით ჩაიყვანეს არხოტში და განცვიფრებულ ხევსურებს ჩააბარეს. ჩაცხრა სიძულვილი მტრებს შორის.

„ბერდედულმა სათითაოდ შეათვალიერა თოფ-იარალში ჩამჯდარი აშოლტილი ვაჟკაცები, მათი გარეგნობა და ვაჟკაცური იერი ხიბლავდა კაცის თვალს. წამოდგა, ღაზის მიუახლოვდა, კი-სერი ჩამოხარა და გადაკოცნა.“

ამდენს კი ვეღარ გაუძლო დედროვანთა გულმა, თავსაფრის ბოლოებით დაიწყეს ცრემლების წმენდა, დამუნჯებული მამაკაცები მოწყლიანებულ თვალებს მალვდნენ. რკინით გადალესილი ქისტი ვაჟკაცების შემხედვარეს ურუანტელი დაუვლიდა ტანში. იგრძნობოდა, რა ბასრი იყო მათი წელთ ნაბამი ხანჯლები და რა პირმოუცვლელი იყო მათი თოფები. იგრძნობოდა სიმკაცრე ყინულიანი მთებისა.“

(გიგი ხორნაული. „სისხლში ნაწრთობი“ (ნამდვილი ამბავი),

ვაჟკაცობას, ვაჟკაცის ღირსებას მტრისასაც აფასებდნენ ქისტები და დღესაც აფასებენ. არხოტელმა ხევსურებმა არიეხე-

ლი ქისტების ცხვარი გაიტაცეს და მწყემსიც მოუკლეს. სოფ. ახ-იელს თავს დაეცნენ ქისტები, ცხვარ-საქონელი წაასხეს და ახიელი ტყვეებიც ჩაიყვანეს არიებში.

„არიეხელებმა გამოუცხადეს ახიელებს: გვითხარით, ვინ გა-ლალა ჩვენი ცხვარი, ან მწყემსი ვინ მოკლა, ყველა რად უნდა დაგხოცოთ, ერთი-ორი კაცის ბრალი იქნებაო...“

გარსია ოჩიაურმა თქვა: ვალიაროთ სიმართლე, სხვათა ბრალი ჩვენ რატომ ვზღათ, რა შეუაში ვართ, უდანაშაულოები ტყუილუ-ბრალოდ რატომ უნდა დავიხოცოთ!

გერგეტელ ოჩიაური წადგა წინ, მოგვარის წინადადებას შეეწი-ნაალმდეგა და შერიშხნული სახით განუცხადა: ახლავე მოვკვდები და არხოტს ვერ ვუდალატებო!...

შეპყრობილებმა პირი შეკრეს, გაქვავდნენ და წყალი ჩაი-გუბეს.

მაშინ ქისტებმა ასეთ ხერხს მიმართეს: აულის გვერდით ერთი გორა იყო, იმის იქით – ციხე-ქვიტკირი... არხოტელებს (მათში ორი მოხევეც ერია) სათითაოდ გამოიძახებდნენ და ცხვრის გამტაცებ-ლის და მწყემსის მკვლელის ვინაობას ეკითხებოდნენ.

არც ერთი არ გატყდა!

გორს იქით ჩააფარებდნენ მორიგ „მსხვერპლს“, თოფს ყასი-დად გაისროდნენ, ვითომ დავხვრიტეთო და ციხე-ქვიტკირში შეამ-წყვდევდნენ...

ერთ შეშინებულ მოხევეს ტირილი მოერია. მეორემ, ახალციხ-ელმა ქერაშვილმა, დატუქსა: გაჩუმდი, რა გატირებსო! ქისტი ქერ-აშვილს გაუჯავრდა: აცალე, იტიროს, გული მოფქვასო... ალბათ, ფიქრობდა, გამოტყდება და საიდუმლოს გაამხელსო. ბოლოს არც ის გამოტეხილა!...

როცა დაატყვეს ქისტებმა, რომ ვერაფერს შეიტყობდნენ, ციხე-ქვიტკირის კარი გახსნეს და ყველა დამწყვდეული გარეთ გამოუშვეს“.

(ამირან არაბული, წიგნიდან „სულუქცევრად საკითხაენი“)

ზოგჯერ ქისტებში ღირსების გრძნობა იმდენად მძაფრია, რომ

ყუენახი არაბუნებრივად იქცევა. სოფ. დუისში ცხოვრობდა აბდულ მაჩალიკაშვილი, მეტსახელად ბაბო, ერთი თავზე ხელაღებული, ახ-ირებული ვაჟუაცი. მას ჩხუბი მოუვიდა თანასოფლელ ფაცო ქავთარაშვილთან, ერთმანეთი დახანჯლეს. სახლისკენ მიდის სისხლ-ში მოსვრილი, ორთაბრძოლაში ძლეული ბაბო, ხელის დაჭრილ თუნათლილ თითებს პირში იდებდა და სისხლს ხვრებდა, თან იძახდა:

– ქავთარაშვილების მიერ ჩემს დაღვრილ სისხლს მიწაზე როგორ დაგაქცევო. ისე მხარშიც იყო დაჭრილი და კვალდაკვალ სისხლის წითელი ზოლი მისდევდა, თუმცა ამას არც აქვს მნიშვნელობა, მთავარი ისაა, რომ ბაბოს მტრის მიერ მისი სისხლის დაქცევა ყუენახის ღირსების შელახვად მიაჩნდა.

ვისერგი ქავთარაშვილს ცხვარი მთიდან ჩამოერეკა და თავისი სახლის პირდაპირ, ალაზნის პირას თეოზე ეყენა, საზამთროდ შირაქში აპირებდა გამგზავრებას. ცხენები საძოვარზე იყო გაშვებული და გადაწყვიტა, შეემონმებინა, შორს ხომ არ გასცდნენ ცხვრის სადგომს და ასე სადღლაც ღამის თორმეტი საათისთვის სახლიდან გავიდა და ცხვრისკენ წავიდა.

როგორც კი მიუახლოვდა ცხვარს, ქვემოდან მომდინარე ცხენოსნები და ცხენის პატარა რემა შენიშნა. ბნელი ღამე იყო, ვერ იცნო ვერც მხედრები და ვერც ცხენები, მაგრამ მიხვდა, რომ ცხენის ქურდები მოპარულ ცხენებს მიერეკებოდნენ. ვისერგი დაეჭვდა, იფიქრა, ჩემი ცხენები ხომ არ მიჰყავთო და გზაზე გადაუდგა.

– შეჩერდით, ჩემი ცხენები ხომ არ მიგყავთ, გამომეცნაურეთ, უნდა შევამონმო.

ამაში არაფერი იყო უჩვეულო, ქურდებს შეეძლოთ დალაპარაკებოდნენ, აეხსნათ ვითარება და თავიანთ გზას გააგრძელებდნენ. ყველამ იცოდა, რომ ქისტები იმ პერიოდში (გასული საუკუნის 70-იანი წლები ცხენებს იპარავდნენ, გადაჰყავდათ ჩეჩინეთში და იქ ჰყიდიდნენ).

მაგრამ მხედრებში ერთი უკმეხად შეეპასუხა და ბრძანების კილოთი უთხრა:

– გზიდან გამეცალე, თორემ გაგაგორებ ამ წამს.

- ცხენიდან ჩამოდი და გამომეცნაურე ახლავე!
- როგორ, გზაზე გადადგომას როგორ ბედავო და პისტოლეტმაც იგრიალა.

ვისერგიმ იგრძნო, რომ შუბლს ზემოთ რაღაც მოხვდა, ცეცხლივით დაუწვა კანი და ქუდიც გადაუვარდა. მისი დაბნეულობით ისარგებლეს ქურდებმა და გზა ჭენებით განაგრძეს.

გონსმოსული ვისერგი სასწრაფოდ გაიქცა სახლისკენ, ფანჯრიდან დაუძახა დედას, იარალი მომაწოდე, ცხენები უნდა მოვნახოო და ისე დადგა ფანჯარასთან, რომ დედას არ დაენახა სისხლიანი შუბლი,. შემდეგ გაიქცა მეზობლად დედისძმის სახლისკენ, გააღვიძა აპტერი მარჯოშვილი, ორივე სწრაფად მივიდნენ ცხვართან, უბელო ცხენებს მოახტენენ და გამოეკიდნენ ქურდებს. ივარაუდეს, რომ შორიდან მოდიოდნენ, აუცილებლად შეჩერდებოდნენ დასასვენებლად და გადაესწროთ და ჩასაფრებოდნენ გზაზე.

წინაგორზე ჩეჩინეთისკენ მიმავალ გზაზე ჩასაფრდნენ. ვისერგიმ მასთან მოსაუბრე ქურდის აქცენტის გამო ივარაუდა, რომ ჩეჩინი იყო, ისიც ივარაუდეს ბიძა-ძმისშულმა, რომ ღამევე ავიდოდნენ ტბათანაში, რადგან მომხდარი ინციდენტი გახმაურდებოდა და ძებნას დაუწყებდნენ.

თენება დაიწყო. ვისერგის თვლემა მოერია, რომ ამ დროს ცხენების თქარა-თქური გაისმა. ქვემოდან გამოჩნდა ცხენები და უკანონი ცხენოსანი, რომლებიც აჩქარებით მოერეკებოდნენ ცხენებს. ამჯერად ჩასაფრებულები თითო წიფელს ამოეფარნენ, თოფები მოიმარჯვეს და შეჩერება უბრძანეს.

ამჯერად ქისტი გამოეხმაურა.

- რა გნებავთ, ჩვენ გზაზე მივდივართ.
- ვერ წახვალთ, პასუხი უნდა აგოთ სროლაზე.
- კარგი, მოვდივარ თქვენთან.

მართლაც, ცხენიდან ჩამოხტა მაღალი ქისტი და მიუახლოვდა ჩასაფრებულებს. ვისერგიმ იცნო მუცოელი ქისტი, რომელიც ჩეჩინეთში გადასახლდა და ცნობილი იყო, როგორც ვაუკაცობით და თავისი ხალხის პატრიოტიზმით. ძალიან გაუკვირდა, რომ ასეთ

საძრახის საქმიანობას ეწეოდა.

ქისტმა აღიარა, რომ ჩადენილი იყო დანაშაული, მისი ამხანაგი არასწორად მოიქცა და პასუხს აგებდა მომხდარზე:

– ახლა გზას ნუ გაგვიმრუდებთ, ჩავალთ ჩეჩენეთში, ამ საქმეს დავაბოლოვებთ, დავპრუნდებით და საქმეს გავარჩევთ.

შეთანხმდნენ. ბიძა-ძმისნული სახლისკენ წამოვიდნენ, ქურდებმა გზა გააგრძელეს. ორი კვირის შემდეგ პანკისში ჩამოვიდნენ, საქმე გახმაურების გარეშე გაირჩა და ქავთარაშვილები დააკმაყოფილეს.

ტყუილი და ცილისწამება ვაჟკაცისთვის ყოვლად მიუღებელია. ტყუილი კაცს კი არადა დიაცსაც უტესს სახელს, ვაჟკაცი რომ მავანზე იტყვის, მაგის ნათქვამი რა დასაჯერებელიაო, განაჩენი გამოტანილია, მისი უკვე არავის სჯერა და არც პატივს სცემენ. რაც შეეხება ცილისწამებას, ისეთი რამის დაბრალებას, რაც კაცს ან ქალს არ ჩაუდენია, უდიდეს ცოდვად, შეურაცხყოფად და ლირსების შელახვად არის მიჩნეული. ამ შემთხვევაში მარტო საზოგადოებრივი გაეიცხვა არ კმარა, აუცილებლად დგება პასუხისმგებლობის საკითხი. ცილისმწამებელმა ნათესავებთან ერთად ფიცით უნდა უარყოს ცილისწამება, წინააღმდეგ შემთხვევაში სისხლით აზღვევინებენ. ყველაზე დიდი სირცხვილი კაცისთვის ითვლება, როცა უტიფრად ტყუის. ასევე დიდ სირცხვილად ითვლება ისიც, როცა მსმენელმა იცის, რომ ტყუილად აბრალებს ადამიანს და არ ამხელს ცილისმწამებელს.

„ყუანახი“ არასდროს იკადრებს ტყუილს. ქისტური გაგებით, ტყუილი დასაშვებია იმ შემთხვევაში, როცა დაკავებულია სამართალდამცავი ორგანოს მუშაკების მიერ და თავის მართლება მხოლოდ ამ გზით შეუძლია. საერთოდ, ვაჟკაცი ყოველთვის მართალს ლაპარაკობს და ყოველთვის სიმართლის მხარეზეა.

ქისტები იტყვიან: ერთი კაცი უცხო მხარეში წარმოადგენს მთელი ხალხის სახეს. როგორადაც გააცნობს მათ თავს, ასეთად მიიჩნევენ მის ხალხსაც. პატარა რამით შეიძლება თავის ხალხის სხვათა თვალში ამაღლებაც და დამცირებაც. ამიტომ კაცი ყოვ-

ელთვის ფქნიზლად უნდა იყოს სხვა ეროვნების ხალხში, რათა შეცდომა არ დაუშვას, უზრდელად, უტაქტოდ არ მოიქცეს, რათა ჩრდილი არ მიაყენოს თავის ხალხს. საამაყოა, როცა შენს ხალხს სხვა ეროვნების წარმომადგენლები კარგად მოხსენიებენ, ამაზე დიდი ბედნიერება ყუანახისთვის არ არსებობს.

სტუდენტობის პერიოდში თელავში გავიცანი შილდელი ახ-ალგაზრდა სოსო მჭედლიშვილი. პოლიტექნიკური ნსტიტუტის თელავის ფილიალში სწავლობდა, ობლად გაზრდილი (მამა მეორე მსოფლიო ომში დაეღუპა) ბიჭი იყო, უაღრესად წესიერი და პატიო-სანი. ნიჭიერი იყო, დიდად ნაკითხი და განათლებული პიროვნება. მეზობლად ვცხოვრობდით და მალევე დავმეგობრდით, ერთმანეთს სოფელში ვსტუმრობდით. დედისერთა ბიჭი იყო, მარტო დედა ჰყ-ავდა.

ერთ კვირა დღეს მითხრა: საბუეს თავში დღეობაა, ბიძაჩე-მი (დედის ძმა) გვეპატიუჟება, წამო, წავიდეთ, კარგ დროს გავა-ტარებთო. აბა, პურ-მარილზე სტუდენტი უარს როგორ იტყვის, დღედაღამ იმის ფიქრში ვიყავით, სად გვეჭამა და სად დაგველია და სიამოვნებით დავთანხმდი.

დავსხედით შილდის ავტობუსში და გავემგზავრეთ. შილდაში სოსოს დედა მოვინახულეთ და ფეხით გავუდექით გზას საბუეს სა-ლოცავისკენ, რომელიც ხეობის სილრმეში მდებარეობდა. შილდის ხევი გადავჭერით, გავედით საბუეს თავში, ტყეში და მთებისკენ ურმის გზას გავუყევით. კარგა დიდი მანძილი ავიარეთ და ხალხის ხმაურიც შემოგვესმა და ცოტა ხნის შემდეგ მივადექით ქვიტკირის დაქცეულ ნაგებობებს და იქვე გვერდით ორ ჯგუფად ქვებზე ჩამოსკუპებულ მოქეიფებს. ახალგაზრდები ცალკე ისხდნენ.

– კარგა დროს მოვედით, სუფრა ახლად დაწყებული უნდა იყოს, – მითხრა სოსომ.

– ისედაც მალე დავეწეოდით, ფიქრი ნუ გაქვს, – ვთქვი და ჯერ ცოტა მოშორებით მსხდარ დროულ ხალხთან მივედი და მი-ვესალმე. ერთ-ერთმა სავსე ჭიქა მომაწოდა, გამოვართვი, დავ-ლოცე, დავლიე, მადლობა გადავუხადე და ახალგაზრდებთან მი-

ვედი. სოსო მათთან უკვე მოკალათებულიყო. მეც ჩამსვეს შუაში და წავიდა ქეიფი.

ხშირად მესმოდა, რომ ხნიერი კაცები წამდაუნუმ გამოსძახებდნენ: ღვინო მოიტათ, ხაშლამა მოგვაშველეთო და სხვ. მაგრამ ყურადღებას არ აქცევდნენ, ან გვიან შეეხმიანებოდნენ, თანც უხეშად, კახურად ეხუმრებოდნენ. ამას მიჩვეული ვიყავი, სულ კახელებში ვტრიალებდი (ბევრი ძმაკაცი მყავდა კახეთში), მაგრამ ყოველთვის პროტესტის გრძნობა მქონდა, ვერ ვეგუებოდი, როცა უფროსებს ახალგაზრდები უპატივცემლოდ ექცეოდნენ.

მწვადები მოიტანეს. ავდექი, ორი ცვრიანი მწვადის შამფური ავილე, მეორე ხელით ღვინით სავსე დოქი ავიტაცე, წამოვდექი და გავემართე დროული მესუფრეებისკენ. მივეღი და ვუთხარი:

- თუ ნებას დამრთავთ, ცოტა ხნით შემოგიერთდებით.
- მოდი, შვილო, სასურველი სტუმარი ხარ ჩვენთვის, - თქვა თამადამ, მიიწია და გვერდზე ადგილი დამითმო. ჭიქები შევავსე დოქიდან, მწვადები მათ წინ დავალაგე და სადლეგრძელოს უფლება ვთხოვე და დასტურის შემდეგ ვადლეგრძელე უბუცესები:
- ღმერთმა დიდი ხნის სიცოცხლე მოგცათ, შეგენიოთ ეს სალოცავი და მთელი საქართველოს სალოცავები. თქვენი სიპრძნითა და გამოცდილებით მიდის ცხოვრება წინ, თქვენ ჩვენი, ახალგაზრდების ლამპარი ხართ, რანი ვიქნებოდით ჩვენ თქვენს გარეშე, კახელი ვირები ვიქნებოდით და ა.შ.

შევსვით ღვინო, მადლობა გადამიხადეს და სუფრის უფროსმა მკითხა:

- სადაური ხარ, ახალგაზრდავ, რომელი კუთხიდან?
- ახმეტის რაიონიდან ვარ, პანკისელი ქისტი. იგი გამარჯვებული იერით მიუბრუნდა თანამეინახეებს;
- აკი გითხარით, ჩვენებური არ იქნება-მეთქი, ხომ გითხარით, სხვა ჯიშისაა, ქისტი ყოფილა!

იცნობდა მათში ერთ-ერთი ქისტებს, იმდენი საქები სიტყვები თქვა, სიამაყისგან გავწითლდი.

ამ პატარა, უმნიშვნელო ყურადღებამ მოხუცებისადმი, უფრო-

სის დაფასებამ, ზრდილობამ კარგი შთაბეჭდილება დატოვა საბუელებში ქისტებზე.

XX საუკუნის 30-იან წლებში ხადორში ფშავლები ცხოვრობდნენ, ხორაჯოში კი – ქისტები, ერთმანეთში მიმოსვლა ჰქონდათ, მეზობლობდნენ და მეგობრობდნენ. ერთხელ ხორაჯოელი ალხანაშვილი სტუმრად ავიდა ხადორში, 12-13 წლის ძმისნული შეეხვება, მეც წამიყვანეო და ბიძამ უარი არ უთხრა საყვარელ ძმისნულს.

ხადორელი ფშაველი კარგად დახვდა, სუფრა გაიშალა, მეზობლებიც შეუერთდნენ და ქიიფი გაჩაღდა. უცბად სუფრაზე კამათი ატყდა, ერთ-ერთი ფშაველი და ქისტი წაეკიდნენ ერთმანეთს. ქისტმა ხანჯალი იძრო, მაგრამ ფშაველმა დაასწრო და ესროლა. ქისტს ხანჯალი გაუვარდა და დაეცა. წამოიშალნენ დანარჩენებიც, მასპინძელი ეცა სტუმრის მკვლელს. პატარა ქისტი კუთხეში იჯდა და ყველაფერი დაინახა. იგი გაძვრა მოხჩუპრების ფეხებში, აიღო ბიძის ხანჯალი, ქვემოდან მუცელში ატაკა ვადამდე ბიძის მკვლელს და გამოხოხდა კუთხეში და კიდობნის უკან დაიმალა.

მომაკვდავი მკვლელი გარეთ გაათრიეს, ეზოში დააგდეს და, როგორც გადმოგვცემენ, ერთმა დააბოლოვა ბიჭის დაწყებული საქმე. ბიჭმა კი დრო იხელთა ამ არეულობაში, გამოიპარა, მთელი ლამე ირბინა ხორაჯომდე და გამთენისას ყველაფერს უყვებოდა ნათესავებს.

ქისტები შეიარაღდნენ და სწრაფად გასწიეს ხადორისკენ. შუა გზაზე შემოხვდნენ ფშავლები, რომელთაც სტუმრის მკვლელის ცხედარი ცხენისთვის გამოებათ და თრევით მიჰქონდათ ხორაჯოსკენ. ალხანაშვილებმა ცხედარი გამოხსნეს, აჰკიდეს ცხენს და ფშავლებთან ერთად ხადორისკენ გაემართნენ. მათ ხადორელებს უსაყვედურეს, ცხედარს უპატიოსნოდ არ უნდა მოეკიდოთ, მიცვალებული უფალთან არის და იგი თავად განსჯის და სასჯელსაც საკადრისს მიუზღდავს.

ხადორში თავიანთი მიცვალებული ცხენს აჰკიდეს და დაპრუნდნენ ხორაჯოში. მათ ამ საქციელით დაანახვეს, რომ ვაჟკაცი,

ყუანხი ლირსეულად უნდა იქცეოდეს ყოველგვარ სიტუაციაში, მწეხარებამ და სიძულვილმა არ უნდა გამოიყვანოს წინასწორობიდან, ერთნაირი პატივისცემით უნდა მოექცე შენიანსა და სხვას.

ფშაველს სტუმარი მოუკლეს (ეს შეიძლება ქისტსაც შეემთხვას), მან ყველაფერი იღონა, რათა მასპინძლის წესი და რიგი დაეცვა, შური ეძია შეურაცხყოფისთვის და ეს ქისტებმა დაუფასეს. ქისტებმა დაიცვეს კაცის ლირსება და შეაჩერეს მიცვალებულის უპატივცემლობა. მიუხედავად იმისა, რომ ის მათი მტრის გვამი იყო, რომელმაც უდანაშაულოდ მოუკლა ახლო ნათესავი. ასეა ეს: თუ კაცს ლირსების გრძნობა აქვს, არ არჩევს თავისას და სხვისას, ერთნაირად პატივს სცემს წინაპართა ადათ-წესს.

როგორც ითქვა, მოკლულის იარაღის მითვისება დაუშვებელია, გამონაკლისია ის შემთხვევა, როცა მოკლულს ასეთივე სახის დანაშაული ჩადენილი აქვს. ასეთ დროს შურისმაძიებელი ქამარხანჯალს ხსნის მოკლულს და ეს არ ითვლება მიცვალებულის შეურაცხყოფად.

პანკისის ხეობაში მცხოვრებ ხალხებს (ქისტები, ქართველები, ოსები, თუშები) შორის ეროვნულ ნიადაგზე დაპირისპირება არა-სოდეს ყოფილა. კონფლიქტები ძირითადად ყოფა-ცხოვრებით ნიადაგზე წარმოიშობოდა ხოლმე და ვინმეს მცდელობა (ასეთებიც იყვნენ და არიან დღესაც) გადაეყვანა პირადული კონფლიქტი ეროვნულ დონეზე, ყოველთვის მარცხით მთავრდებოდა.

მიწის საკითხი ყოველთვის წინა პლანზე იდგა პანკისელებში. ეს, ვფიქრობ, გამოწვეული იყო მიწის ფართის სიმცირით, რაც დღესაც მთავარ პრობლემად რჩება მოსახლეობისათვის. ამ კუთხით განსაკუთრებით აქტიურობდნენ გვიან, XX საუკუნის და-საწყისისათვის პანკისში ჩამოსახლებული ოსები. ოსები ცხინვალის რეგიონიდან გადმოსახლდნენ პანკისში, უკვე ათვისებული ჰქონდათ მიწათმოქმედება და იცოდნენ მიწის ფასი. ქისტების, მთიდან ჩამოსულების ძირითადი საქმიანობა მეცხოველეობა იყო, მიწაზე მუშაობა სათაკილოდაც კი მიაჩნდათ, სათანადოდ ვერ შეაფასეს ახალი საცხოვრებელი პირობები და გვიან ჩასწვდნენ მიწის მნიშ-

ვნელობას.

სწორედ მიწის გამო მოხდა კონფლიქტი დუმასტურში ქისტებსა და ოსებს შორის, რასაც მკვლელობები მოჰყვა. დუმასტურელებმა საქმის მშვიდობიან მოგვარებას დაპირისპირება ირჩიეს და სამაგიეროს გადახდის, უფრო სწორად, ქისტების დაშინების მიზნით ცხინვალიდან ჩამოიყვანეს ყაჩაღი თომა, რომელიც განთქმული იყო სისასტიკითა და ჩადენილი მკვლელობებით.

თომა პანკისში ისე გამოჩნდა, როგორც ოსების სტუმარი, სოფლიდან სოფელში (დუმასტური, ქვემო ხალანანი, წინუბანი, კუნახტა, ქორეთი) გადაიპატიუებდნენ ხოლმე და ამ სტუმრიანობის პერიოდში თავის ხალხში ცნობილ ქისტებზე ნადირობდა. სოფ. ჯოყოლოში მოკლა ბორჩაშვილი, რომელიც თავის ეზოში შეშას ჭრიდა. შემდეგ სოფ. დუისის ბოლოში შემოხვდა ბალაკაშვილი და მარგოშვილი, რომელებიც ხანჯლების ამარა იყვნენ, სოფ. ალვანიდან ცხედარს მოასვენებდნენ და ურემს გამოუსწრეს, რომ სახლში ცხედრის მოსვენება ეუწყებინათ. თომამ ერთ-ერთს ესროლა და ადგილზე მოკლა, მეორემ ხანჯლით უტია და რამდენიმე სროლა დასჭირდა თომას, რომ მოკლა.

თომამ გულცივად აართვა ცხედრებს ქამარ-ხანჯლები და გასწია თავის გზაზე. ამ მკვლელობებმა დიდი აღშფოთება გამოიწვია როგორც ქისტებში, ისე ოსურ მოსახლეობაშიც. ოსებისთვისაც სრულიად მიუღებლი იყო უდანაშაულო ხალხის მკვლელობები. თანაც თომა ყაჩაღი იყო, საითაც სურდა, იქით გასწევდა, ოსებს კი ქისტების გვერდით უნდა ეცხოვრათ და პასუხისგებაც მოუწევდათ. ვფიქრობ, რომ თომა უბრალოდ ქისტების შესაშინებლად უფრო ჩამოიყვანეს, მაგრამ სისხლში ხელებგასვრილი კაცის გაკონტროლება ვეღარ შეძლეს.

თუმცა აგრესიულად განწყობილნიც ცოტანი როდი იქნებოდნენ.

ქისტები გამალებით დასდევდნენ მკვლელს. თომა მამაცი, გამბედავი კაცი იყო და მისი მოკვლა სირთულესთან იყო დაკავშირებული, გარდა ამისა, სახითაც არ იცნობდნენ, სამი მკვლელო-

ბის ჩადენის შემდეგ თომა ფრთხილობდა, ოსებიც მფარველობდნენ და ლამით გადაჰყავდათ ხოლმე სოფლიდან სოფელში.

დაზარალებულმა დუისელებმა ნაცად ხერხს მიმართეს და მოისყიდეს ქორეთელი ოსი, რომელმაც ოქროს გამო ღალატი იკადრა. მან შეატყობინა ქისტებს, რომ სოფ. ქვემო ხალაწიდან ქორეთისკენ წამოიყვანდა მკვლელს, ორნი იქნებოდნენ და თავად თეთრ ჩოხაში იქნებოდა გამოწყობილი.

დათქმულ ლამეს ორგან თუ სამგან ჩასაფრდნენ, ქისტები ერთ-ერთ ჩასაფრებას მაინც ვერ ასცდებოდნენ მგზავრები, მაგრამ ყველა ჩასაფრებას გვერდი აუარეს. ჩასაფრებული იბრაჟიმ მარგოშვილი და კანები ბალაკაშვილი, თომას მიერ მოკლულთა ნათესავები, მიხვდნენ, რომ მკვლელი გაეპარათ, მაგრამ არ დაიბნენ, რიყე-რიყე სირბილით დაეშვნენ და კუნახტის პირდაპირ, წინუბანთან ბექის ძირში ჩასაფრდნენ. ამჯერად გაუმართლდათ.


როგორც კი მიუახლოვდნენ, ერთდროულად ესროლეს. თომა წაიქცა, ქორეთელი გაიქცა. ი. მარგოშვილი მარდად ამოხტა ბექიდან, მიიჭრა თომასთან, რომელიც სულს ლაფავდა, მუცელზე ფეხი დააჭირა, ქამარს სწვდა და წელიდან ააწყვიტა ვერცხლის ქამარსანჯალი.

ეს ეპიზოდი მოვიყვანე მხოლოდ იმ მიზნით, რათა მკითხველისთვის აგვეხსნა, რამდენად სწორად, ღირსების გრძნობებით მოქმედებდა იბრაჟიმი. ცხადია, ქისტური გაგებით, და საერთოდ, კავკასიელთა შეგნებით, მიცვალებულისათვის იარაღის ართმევა ღირსების შელახვად ითვლება. გავიხსენოთ ალუდა ქეთელაური, რომელიც მოკლულ მტერს იარაღს არ აჰყრის:

„... არ აჰყრის იარაღებსა,
არ ეხარბება თვალიო.
თავით დაუდვა ხანჯარი,
ზედ ეკრა სპილოს ძვალიო,
გულზე ძეგლიგი დაადვა,
მკლავზედ – ფრანგული ხმალიო“.

მაგრამ აღნიშნულ ამბავში განსაკუთრებულ შემთხვევასთან გვაქვს საქმე: თომამ პირველმა შეურაცხყო ცხედარი, მის მიერ მოკლული ბალაკაშვილის ქამარ-ხანჯალი წელზე შემოირტყა. იბრა-ჰიმმაც თომას წელიდან შეხსნილი ვერცხლის ქამარ-ხანჯალი შემოირტყა, მაგრამ შემთხვევით შემოხვდა ქამარ-ხანჯლის პატრონის და, რომელმაც იცნო ძმის იარაღი და ტირილით გაიქცა. იბრაჰიმი მიხვდა ყველაფერს, მაშინვე შეიხსნა ქამარ-ხანჯალი და დაუპრუნა დაღუპულის ოჯახს. ასე რომ, ამ ეპიზოდში მოხდა უბრალოდ სამაგიეროს გადახდა, რაც მთიელთათვის დამახასიათებელია.

ჩვენ ზემოთ აღვნიშნეთ, რომ მურთაზმა შურისძიების შემდეგ იარაღი აართვა მიცვალებულს. ცხედრის შეურაცხყოფისათვის საფასურიც გადაიხადა, ქისტური ადათი დაიცვა, მიუხედავად იმისა, რომ მოწინააღმდეგე არ იყო ქისტი, არ მისდევდა ქისტურ ადათ-წესებს.



ქორწინება, განქორწინება, მემკვიდრეობა

ძველად გათხოვება ხდებოდა მშობლების, ძმების, ბიძებისა და სხვა ახლობელი ნათესავების ნება-სურვილით. ქალიშვილის სურვილს მნიშვნელობას არ ანიჭებდნენ, ზოგჯერ არც კი ეკითხებოდნენ, ისე აძლევდნენ თანხმობას. მაგრამ ეს სულაც არ ნიშნავდა, რომ ქისტებში ქალი არ იყო დაფასებული, პირიქით, ქალის შეურაცხყოფა მძიმე დანაშაულად ითვლებოდა, ქალის ღირსება სათანადოდ იყო დაცული. ამის დასტურად მარტო ისიც კმარა, რომ ისლამის მიღებამდე ქალის სისხლი ორი კაცის სისხლს უდრიდა, ხოლო, თუ ქალი მკვლელობის დროს ორსულად იყო, მაშინ მკვლელს სამმაგი სისხლი ედებოდა.

ქისტურ საზოგადოებაში ქალი არ არის შეზღუდული, მიუხედავად ისლამის მკაცრი დამოკიდებულებისა ქალის მონაწილეობაზე საზოგადოებრივ ცხოვრებაში. ქალიშვილები თამამი და ლალი, დამოუკიდებელი ყოფა-ქცევით გამოირჩევიან, მაგრამ, ამავე დროს იცავენ ზნეობრივ-მორალურ ნორმებს, ქისტური ეთიკის წესებს საზოგადოებაში, ხალხის თავშეყრის ადგილებში მოკრძალებით, კდემამოსილებითა და ზრდილობით იქცევიან, არასდროს გამოიჩენენ თავხედობასა და უსაქციელობას.

გათხოვების შექმნა იჯაზური საქმიანობის მთელი უღელი მათ კისერზეა. ქმარი, რა თქმა უნდა, იჯახის უფროსია, მისი მოვალეობაა ოჯახის კეთილდღეობაზე ზრუნვა, უსაფრთხოებისა და ღირსების დაცვა, გვართან, მეზობლებთან, თანასოფლელებთან ურთიერთობა და სხვ. ქმრისა და ცოლის მოვალეობები ერთმანეთისგან გამიჯვნულია, მაგრამ ხშირად, შეიძლება ითქვას, უფრო ხშირადაც, კაცის საოჯახო საქმესაც ქალი ასრულებს. ბოსტანი, ეზო-კარი, ძროხების მოწველა, გომურის დასუფთავება, სიმინდის მოვლა-მოყვანა, სამზარეულო და სხვ. ქალის საქმედ ითვლება და დიასახლისიც დილიდან საღამომდე მუხლჩაუხერელად შრომობს. ამასთან, თუ საჯარო სამსახურშია, მისი ოჯახში საქმიანობა სუ-

ლაც არ მცირდება, ასე ვთქვათ, ორივე ფრონტზე უხდება შრომა.

ახლა ამას დავუმატოთ მამამთილ-დედამთილის მოვლა, მცირენლოვანი ბავშვების აღზრდა, ნათესავების, განსაკუთრებით ქმრის ნათესავების პატივისცემა და სხვ. ქისტის ქალს გათხოვების შემდეგ დღე-ღამე მოსვენება არ აქვს. მაგრამ, ჩვენი, კაცების ბედად, ყოჩაღები არიან, მუდამ ხალისიანი, სიცოცხლისუნარიანი და დიდხანს ინარჩუნებენ ახალგაზრდულ იერს.

დღეისათვის მდგომარეობა საგრძნობლად გაუმჯობესდა. ოჯახს გარეთა სამუშაოსგან განთავისუფლდნენ, აღარ უწევთ კოლმეურნეობასა და მეურნეობებში მძიმე შრომა, სახლ-კარს უვლიან, მუდამ გაკრიალებულია სახლი და ეზო, დროც რჩებათ, სერიალებს უყურონ და ყავაც სვან. ღმერთმა შეარგოთ, დაიმსახურეს!

როგორც ითქვა, ადრე გათხოვება ქალიშვილის ნება-სურვილის გარეშე ხდებოდა. ზოგჯერ მშობლებისა და ძმების გარეშეც იღებდა ნიშნობის ბელგას რომელიმე ახლობელი. ასეთი სახის დანიშვნა იშვიათობას არ წარმოადგენდა. ქალიშვილი, მშობლების, დაძმების მოყვარული და ერთგული, მორჩილად დაჰყვებოდა ასეთ მავნე ჩვეულებას და ბედს ურიგდებოდა, მაგრამ ხშირად უმხედრდებოდა ასეთ უსამართლობას, იჩენდა ძლიერ ნებისყოფას და თავისი გაპქონდა. თუ ვერ მიაღწევდა ნიშნობის ჩაშლას, მაშინ სახელმწიფო ხელისუფლებას მიმართავდა და თავს გაითავისუფლებდა.

გასული საუკუნის სამოციან წლებამდე არსებობდა ასეთი მავნე ტრადიცია, ასეთი შემთხვევის მომსწრე რომ არ ვიყო, ვერ წარმოვიდგენდი, რომ ასეთი რამე შეიძლებოდა არსებულიყო გონიერ საზოგადოებაში. ახალგაზრდა ბიჭი, რომელსაც მოეწონა ქალიშვილი, რომელმაც იცოდა, რომ ქალიშვილის კეთილგანწყობის შანსიც კი არ გააჩნდა, ხალხის ნინ ხელს დაადებდა მხარზე ქალიშვილს და იტყოდა:

– დღეიდან ჩემი ხარ!

ქალიშვილი მაშინვე წივილ-კივილს ასტებდა, თუ ამ ამბავს ქალიშვილის ნათესავი, სულაც მოგვარე ან გულშემატკივარი შეეს-

წრებოდა, ატყდებოდა ჩხუბი და თავხედი ცემას ვერ გადაურჩებოდა. მაგრამ ამას არაფრად აგდებს საცოლის მაძიებელი, მან თავისი საქმე გააკეთა, ქისტურად „ქუგ თუებნა“ (ხელით შეეხო), რაც გარანტიას აძლევდა, რომ სხვა ახალგაზრდა არ ჩაერეოდა საქმეში, ქალიშვილს ვერ დაუწყებდა არშიყობას, სანამ „ნეფესა“ და ქალიშვილის მშობლებს შორის დავა არ დამთავრდებოდა.

დღევანდელი გადასახედიდან ვულგარულ ჩვეულებად ჩანს ქალის ნების გარეშე დანიშვნა, მაგრამ მაშინ ეს ჩვეულებრივ მოვლენად ითვლებოდა. მშობლებს მიაჩნდათ, რომ მათ უკეთ იციან, ვისთან, რომელ ოჯახში იქნება მათი ქალი ბედნიერი. დანიშვნის შემდეგ ქალი შეპოჭილი იყო, რადგან თავის განთავისუფლების შემდეგ სხვაზე გათხოვება ძნელი იყო. ყოფილი საქმრო საქვეყნოდ განაცხადებდა ხოლმე, რომ უკრძალავდა თავის ყოფილ დანიშნულს გათხოვებას. ცხადია, იმ შემთხვევაში კეთდებოდა ასეთი განცხადება, როცა საქმრო უარს ამბობდა ბელგის დაბრუნებაზე.

ეს ყველაფერი წარსულს ჩაბარდა. ახლა დაქორწინება ხდება ქალისა და ვაჟის ნება-სურვილით. ახლაც მაჭანკლები შუამავლობენ, მაგრამ ქალის მშობლები, პირველ რიგში, ამონმებენ ქალის მთხოვნელთა ეკონომიურ მდგომარეობას, ზნე-ჩვეულებებს ოჯახისა და სხვ. ამ მიზნით ქალიშვილის ბაბუა-ბებია მეზობელს დაავალებს, ეწვიოს სტუმრად ვაჟის ოჯახს და მოახდინოს დაკვირვება. მაგალითად, ასეთი დიალოგი იმართება ქალიშვილის ბაბუასა და მომავალ მძახლებთან გაგზავნილ მის მეზობელს შორის:

- ეზოში ნაკელი თუ ნახე?
 - არა, ეზო სისუფთავით კრიალებდა.
 - ბაღში ფუტკრების ზუზუნი თუ იდგა?
 - არა.
 - ხალხის ხმაური თუ ისმოდა, ოჯახში მისვლა-მოსვლა თუ იყო?
 - არა, სრული სიწყნარე სუფევდა.
- ბაბუა დასკვნას აკეთებს: ამ ხალხს ჩვენ ქალს არ გავატანთ, რადგან მეურნე ხალხი არ ყოფილა და არც სტუმარი ჰყვარებიათ.

თუ ქალის მთხოვნელები აკმაყოფილებენ ქალიშვილის მშობლების მოთხოვნებს, მაშინ შესთავაზებენ, დაელაპარაკონ ქალიშვილს და მხოლოდ მისი თანხმობის შემდეგ მიმდინარეობს საუბარი ქორწინების შესახებ. დანიშვნამდე ქალ-ვაჟი ეცნობიან ერთმანეთს, შეუძლიათ თავისუფლად მოილაპარაკონ, ოღონდ ისეთ ადგილას ხვდებიან, რომ კარგად ჩანდეს შორიდან, გამვლელ-გამოვლელნი და ნათესავებიც ხედავენ ახალგაზრდებს. ან ხვდებიან ქალივშილის ნათესავის სახლში, ოღონდ ნათესავი ქალიშვილის თანდასწრებით.

XX საუკუნის დასაწყისში ქისტური ქორწილის შესახებ ვისაუბრე ნიგნში „ქისტები“ და რადგან დღეისათვის რაიმე არსებითი ცვლილება არ განუცდია, მოვიყვან ამ ნაწყვეტს:

„ნიშნობა ხდება ქალ-ვაჟის ურთიერთგაცნობისა და ოჯახის შექმნაზე თანხმობის შემდეგ, იშვიათად მათი სურვილის გაუთვალისწინებლადაც. ვაჟის ნათესავები საპატარძლოსთან მიდიან საკლავითა (ჭედილა ან ყოჩი) და სასმელით. საკლავის დაკვლით განმტკიცდება ნიშნობა, აქვე გადაეცემა ნიშნობის ოქროული პატარძლისთვის, რაც ქორწილის დროსაც შეიძლება.

ქორწილის ნინა დღით პატარძლის ოჯახში იგზავნება ე.წ. „საქორწილო“: ორი ყოჩი და სასმელი (ღვინო და არაყი). ქორწილის დღეს პატარძლის წამოსაყვანად მიდის მაყრიონი ნეფის გარეშე, ესკორტს წინ უძღვის საპატარძლოდ მორთული მანქანა. სუფრაზე საათ-საათნახევრის ყოფნის შემდეგ პატარძლის ამხანაგებს (ჩვეულებრივ ქალი და ვაჟი ნეფის მხრიდან) სუფრასთან მოჰყავთ პატარძალი. პატარძლის ნათესავები (ახალგაზრდა გოგო-ბიჭები) კეტავენ ოთახის კარებს, სადაც პატარძალი იმყოფება და ითხოვენ „გამოსასყიდ“ თანხას. პატარძლის ამხანგები ევაჭრებიან, მაგრამ საბოლოოდ უხდიან დასახელებულ თანხას და „გამოხსნილ“ პატარძალს სუფრის თავში სვამენ, გვერდს ნეფის მაგივრად ამხანაგები უმშვენებენ. ეს პროცედურა (ე.წ. „გამოსხნა“) მეორდება ხოლმე პატარძლის ეზოდან გამოყვანისას, გზაზეც და ქმრის ოჯახში შეუვანის დროსაც. ასე რომ, პატარძლის ამხანაგები სოლიდურ თანხას იხდიან, თან ვაჭრობაში საკმაო დროც იკარგება.

პატარძალი სუფრაზე იმდენ ხანს რჩება, სანამ ნეფის ნათე-სავები (დაახლოებით 15-25 კაცი) ფულით ან საჩუქრებით არ და-ლოცავენ პატარძალს (ეს წესი დღეს აღარ მოქმედებს. ხ.ხ.). შემ-დეგ ვაჟის მაყრიონი იყრება, ქალის მაყრიონი ადგილზე რჩება, მხოლოდ აცილებენ პატარძალს, რომელიც საქმროს ოჯახში მიჰყ-ავთ. ამ დროს სროლა ჩვეულებრივი მოვლენაა, მას არავინ აქცევს ყურადღებას მასპინძლის გარდა, რომელიც წუხს, ფათერაკი არა-ვის შეემთხვას. სალამო უძას ქალის მაყრიონიდან რამდენიმე ახ-ალგაზრდა (ვაჟები და ქალიშვილები) მიდის სიძის ოჯახში, სადაც ქორწილი მიმდინარეობს.

პატარძალს ქმრის ოჯახში შესვლისას კარის ზღურბლზე დაუდებენ თეფშს, რომელიც ფეხით უნდა გატეხოს, დასვამენ შუა ოთახში და კალთაში პატარა ბავშვს, აუცილებლად ბიჭს, ჩაუსვამენ ხოლმე. შემდეგ, როცა სუფრაზე დასხდებიან, პატარძალს გვერ-დით ნეფეს მიუსვამენ და ქორწილი მთელი ლამე მიმდინარეობს.

ორგანიზებაც სამაგალითო იციან: მერიქიფებმა კარგად იციან თავიანთი მოვალეობა, მკაცრად არიან გაფრთხილებულე-ბი, სუფრას არაფერი დაკლონ, თავად ღვინო არ დალიონ და ა.შ. ამავე დროს გამოყოფილი ჰყავთ ავტორიტეტიანი ახალგაზრდები წესრიგის დასაცავად, ჩეუბი თუ ვინმემ წამოიწყო, ალსაკვეთად. სტუმრებსაც წინასწარ აფრთხილებენ: ჭამეთ, სვით, იმხიარულეთ, ყველაფერი მოითხოვეთ, რაც გაკლიათ, ოღონდ კეთილი ინებეთ, წესიერად მოიქცით და სტუმრებს ნუ შეაწუხებთო და ა.შ.

მეორე დღეს პატარძალი წყალზე გაჰყავთ, ეს წეს-ჩვეულება ჯერაც არაა გადავარდნილი, ამ წესით პატარძალი საბოლოოდ ხდება ქმრის ოჯახის წევრი, მაგრამ ამით ქორწილი არ მთავრდე-ბა. ამჯერად სიძის ოჯახში იშლება პურ-მარილი, ტრანსპორტს გზავნიან პატარძლის ოჯახში და მათ ნათესავებს იწვევენ სტუმ-რად. ამას ცოლეურების შინ მოპატიუებას ეძახიან და თავისებუ-რად სიძის წარდგენა ხდება. სიძე ხომ არ იყო წასული პატარძლის ოჯახში!

სუფრაზე ჩამოატარებენ სიძეს, რომელსაც მწვადიანი შამ-

ფურებით, სასმელითა და თასებით დაჰყვებიან ამხანაგები. ერთ-ერთი ამხანგი ან სპეციალურად გამოყოფილი ხნიერი კაცი უთითებს, თუ ვის მიაწოდოს სასმლით სავსე თასი. რიგრიგობით, პატარძლის ახლო ნათესაობის მიხედვით სიძე აწვდის ცოლეურებს სასმისა, ისინიც სვამენ და დალოცავენ. ეს, ასე ვთქვათ, სიძის წარდგენა, გაშინაურებაა.

მესამე დღეს სიძე საკლავითა და სასმელით (ქალებს დამ-ატებით ათასგვარი მომზადებული საჭმელიც მიაქვთ) მიდის ცოლეურების ოჯახში და იქ, სუფრაზე წარუდგენენ სიმამრ-სიდედრს და სხვა მოხუც ახლობლებს. ამას სიძის შინ შეჩვევას ეძახიან.

ამით ქისტური ქორწილი, პრინციპში დამთავრებულია, მაგრამ კიდევ გრძელდება მძახლების გადაპატიუება-გადმოპატიუება, ასე რომ, ეს ამბავი თითქმის ერთი კვირა მიმდინარეობს და ორივე ოჯახი დაქანცული და გასავათებულია ხოლმე. ნერვიულობა, დაქანცულობა ცალკე და ასეთ ქორწილებს ხომ ძალიან დიდი ხარჯები სჭირდება, ძალიან შრომატევადია და ამიტომ უფრო ხშირად ქალიშვილის გაყოლით იწყება ხოლმე ახალი ოჯახის შექმნა, რასაც საკლავით შერიგება, სიძის ცოლეურებში მისვლა და სხვა ნაკლებარჯიანი პროცედურებით მთავრდება“.

მაგრამ სიძის გაშინაურება არ ნიშნავს ისეთ გაშინაურებას, როგორც, მაგალითად, კახეთშია: სიძე ისეა გაშინაურებული, რომ სიმამრ-სიდედრზე მბრძანებლობს, უკმეხად და მედიდურად ეს-აუბრება, ჭკუას ასწავლის და ა.შ. ქისტებში სიძესა და ცოლის ოჯახის წევრებს შორის ურთიერთობაში არსებობს ზღვარი, რომლის გადალახვა დაუშვებელია. ქისტებში იტყვიან: „ისეთი სიძე ნუ გეყოლოს, შენი ძალლი რომ არ ეტანებოდეს და ნურც ისეთი ძმა გყავდეს, რომელსაც შენი ძალლი ეტანება“, ე.ი. სიძე ისე ხშირად არ უნდა დაიარებოდეს ცოლის მშობლების ოჯახში, რომ ძალლი შეეჩიოს, ოჯახის წევრად ჩათვალოს, სიძე ცოლეურებს უნდა ეს-ტუმროს აუცილებლობის შემთხვევაში, ჭირსა და ლხინში და ა.შ.

ხოლო ძმა ძმას ხშირად უნდა ნახულობდეს, ძალლიც უნდა იცნობდეს. თუ სტუმრობას დააგვიანებს, ძმობაც დაძველდება,

ასეც იტყვიან ქისტებში: თუ ძმა ძმის მონახულებას ერთი კვირით დააგვიანებს, უკვე ბიძაშვილები ხდებიან, თუ ერთი თვის შუალედით ნახულობენ ერთმანეთ, მაშინ ბიძაშვილის ბიძაშვილები ხდებიან ერთმანეთისათვის.

ძველად ქალის გაპარვით გათხოვება დიდ სირცხვილად ითვლებოდა, მიუხედავად ნებაყოფლობით გაყოლისა, ქალიშვილს უკან იბრუნებდნენ, აჯარიმებდნენ კიდეც ქალის საქმროს (პირობითად) და მერე ადათის მიხედვით ატანდნენ. დღესაც, თუმცა იშვიათად, მიმართავენ ასეთ არცთუ მისაღებ პროცედურას, მაგრამ გაპარვით გათხოვება საძრახის საქციელად არ ითვლება. ასეთ შემთხვევაში ქალის ნათესავებიდან ქალი და კაცი მიაკითხავენ ქალიშვილს, დაულაპარაკებიან და თუ იტყვის, რომ თავის ნებით გაჰყვა, ბეჭნიერებას უსურვებენ და სახლში ბრუნდებიან.

ურბეთიც მინიმუმადეა დაყვანილი, მას ურბეთიც კი არ შეიძლება ვუწოდოთ, იმდენად მიზეულია თანხაა. თუ ქალის მშობლები იტყვიან, რომ ურბეთიც, შესარიგიც, სიძის ცოლეურებში მისვლაც თანხის სახით მოგვეცითო, სულ 520 ლარი ხვდებათ. მართალია, ადათ-წესების მიმდევრები მამაპაპურ ტრადიციებს მიჰყვებიან და ადათის წესით ითხოვენ ხოლმე შესარიგს: 1) (ერთი) სული საკლავი; 2) 40 (ორმოცი) ლიტრი ლვინო; 3) 10 (ათი) ლიტრი არაყი; 4) პურ-მარილი.

მაგრამ საქმე დღეს გართულდა იმის გამო, რომ ახალი ისლამური მიმდინარეობა (ვაჰაბიზმი) კატეგორიული წინააღმდეგია სასმელის ცოლეურებში გაგზავნისა, თავად ხომ ცოცხალი თავით არ გაეკარებიან. გამოსავალი მოინახა: სასმელი გადაიყვანება ხოლმე ფულში და პრობლემაც მოგვარებულია.

ისიც უნდა აღინიშნოს, რომ ვაჰაბიტებმა დაოჯახება შარიათის კანონების მიხედვით იციან. ამ სახით ოჯახის შექმნა მარტივია, მოლაპარაკება წარმოებს ქალის მშობლებთან და თანხმობის შემდეგ ზარ-ზეიმის გარეშე მიჰყავთ ქალი სახლში, თანამოაზრები შეიყრებიან, საჭმელს მიირთმევენ, ჩაის დალევენ და დაიშლებიან. არ დაახანებენ, მაშინვე გადაიხდიან 520 ლარს.

ვაჰაბიტების ქორწინება, ერთი შეხედვით, პროგრესულია, რადგან ქალისა და მშობლების ნებართვით ხდება ოჯახის შექმნა. ქალის მოტაცება, ქალზე ძალადობა მათთვის მიუღებელია და უნდა ვალიაროთ, რომ ამაში ისინი თანამედროვეობას ეხმიანებიან. ეს ერთადერთი რამ არის, რაშიც ისინი ცივილიზაციულად აზროვნებენ, დანარჩენ ყველა შემთხვევაში უკან, შეუა საუკუნებისაკენ აბრუნებენ ახალგაზრდობას, თუმცა ამ შემთხვევაშიც ქალის მშობლების აზრს დიდად არ დაგიღევნ, გამოსავალს ყოველთვის პოულობენ. თუ ქალის მშობლები უარზე არიან, თუ ტრადიციონალისტები არიან და უარს ამბობენ ქორწინების ისლამური რიტუალის შესრულებაზე, ისინი გამონახავენ მათ ნათესავ ვაჰაბიტს, ვექილად დააყენებენ და მასთან შეთანხმებით ასრულებენ ქორწინების რიტუალს.

ქისტი ქალები შეურაცხყოფილად თვლიან თავს, ჩვენ თავს ასე იაფად ელევიან მშობლებიო. ჩვენთან, უხუცესებთან უთქვამთ საყვედური თამამ ქალიშვილებს ამასთან დაკავშირებით. ჩვენ ვუხსნით, რომ არც ერთ შემთხვევაში არ ხდება ძველი გაგებით ურბეთის აღება ქალიშვილების გათხოვების დროს, რომ ეს არავითარ შემთხვევაში არ ნიშნავს ქალის გაყიდვას, როგორც ჩვენი არაკეთილმოსურნები ამბობენ. ეს მხოლოდ პირობითი, მიზერული თანხაა, დაწესებული მხოლოდ იმისათვის, რომ შევინარჩუნოთ მამაპაპური ადათ-წესები. თორემ ძველად ქალიშვილზე ურბეთი ღირდა 18 ძროხა. თუ ჩვენ ეს საფასური დავაწესეთ, მაშინ ხომ გაუთხოვორები დარჩებითო, ვეხუმრებით.

რძალი ქისტურ ოჯახში დიდი სიყვარულით სარგებლობს, ყველა, დიდ-პატარა ცდილობს ასიამოვნოს. მამამთილ-დედამთილზე ბევრია დამოკიდებული, როგორ შეეგუება პატარძალი მისთვის უცხო ხალხს, რომლებიც ახლა მისი მშობლების, და-ძმების დარად მისი ქომაგები, მისი დამცველები იქნებიან, ხოლო შემდეგ მისი შვილების სისხლი და ხორცი. რა თქმა უნდა, შორსა ვარ იმ აზრის-გან, რომ ყველაფერი იდლიურია ახალშექმნილ ოჯახში. ზოგიერთი ძველ მოდური მშობელი მკაცრად იქცევა, რძლის საქმიანობას,

მის ყოველ ნაბიჯს კონტროლს უწესებენ, ზედმეტად ტვირთავს ოჯახურ საქმიანობაში, რახან რძალი შემოვიდა, ოჯახზე, ოჯახის მოვლაზე ხელს იღებს და ა.შ. ასეთ ოჯახში სიმშვიდე, სიყვარული, ურთიერთპატივისცემა ნაკლებია და ხშირად ირლვევა კიდევ.

ალბათ ამიტომ იყო, რომ ადრე ოჯახში შესვლის დღიდან რძალი არ ელაპარაკებოდა ქმრის მშობლებს, ქმრის ძმებს, ბიძებს, სანამ საქმაო დრო არ გავიდოდა და მოხდებოდა „მოათ ბასთარ“ (ენის გახსნა). ეს პროცესი შემდეგნაირად ტარდებოდა: რძალი წყალს მიაწოდებდა, მაგალითად, მაზლს და ეტყოდა ყურში ჩუმად: „ას ცა ლეერინეპა, დალ ლორეილაპ“ (თუ მე ვერ დაგაფასე, ლერომა დაგაფასოს). ის მადლობას ეტყოდა და დაასაჩუქრებდა კიდეც. მართალია, დღეს ასეთი ჩვეულება თითქმის მივიწყებულია, მაგრამ მთლად გადავარდნილი არაა.

დღევანდელი გადასახედიდან დრომოქმულ და საკმაოდ უაზრო ჩვეულებად მოეჩვენება კაცს, მაგრამ, ჩემი აზრით, მასში დევს აღმზრდელობითი პრინციპი: რძალი მორიდებული უნდა იყოს ქმრის ნათესავებთან, უნდა შეეჩიოს ახალი ოჯახის წეს-ჩვეულებებს, ნაკლები ილაპარაკოს, სანამ კარგად შეეჩვევა ახალ გარემოს, რომ არ წამოსცდეს რაიმე ურიგო, რაც გამოიწვევს განხეთქილებას ოჯახში და ა.შ.

ასევე არსებობდა და არსებობს კიდევ ერთი ძველი დროიდან მომდინარე ჩვეულება: რძალი სახელებით არ მოიხსენიებს არც თანდასწრებით და არც დაუსწრებლად ქმრის ახლობლების (მშობლების, და-ძმების, ბიძების, ბიძაშვილების) სახელებს და მათ ზოგადი სახელებით (კანათ – ბიჭი, იოა – ქალიშვილი) ან მოგონილი სახელებით მიმართავენ. დღეს რძალი დედამთილ-მამამთილს „დედას“ და „მამას“ ეძახის, რაც ოჯახის მთლიანობას ხელს უწყობს.

რძალზე ზრუნვა, თუ მოხდა უბედურება და დაქვრივდა, ეკის-რება ოჯახს, ძმებს, თუნდაც ცალკე ცხოვრობდნენ. ქმრის მშობლებთან თუ ცხოვრობს რძალი (უმცროსი ვაჟი ყოველთვის მშობლებთან რჩება), დედამთილ-მამამთილის უძრავ-მოძრავი ქონება

რძალსა და მის შვილებს რჩება.

თუ რძალი ახალგაზრდაა, მას უფლება აქვს გათხოვდეს. ბავშვებს, თუნდაც მცირენლოვნებს, ქმარეულები შეინახავენ. გათხოვების შემდეგ ყოფილი რძალი – დედა – უფლებას კარგავს შვილებზე. მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ დედას ეკრძალება შვილების ნახვა, ან კიდევ შვილებს დედის მონახულება მასთან მისვლით და სხვ. ქისტებში იტყვიან: როგორც უნდა აუკრძალო ბავშვებს დედის ნახვა და მასთან კონტაქტი, გაიზრდებიან, დავა-უკაცდებიან და დედას მოიკითხავენ.

რძალზე ახლობლის დაქორწინება ყოვლად დაუშვებელია, ასეთი რამ დიდ უზნეობად ითვლება და ქისტების ღრმა რწმენით, ღმერთი დაუსჯელად არ დატოვებს ასეთ ამორალურ საქციელს. ამის დასტურად მოვიყვან ქისტებში მომხდარ ამბავს, რომელზეც მ. ალბუთაშვილი წერს თავის ეთნოგრაფიულ ნაშრომში „პანკისის ხეობა“.

„რძალ-მაზლის შეუღლებაზე პანკისში კი არა, პირიქით მთა-ქისტებში მოხდა ადრე ერთი უხეირო ამბავი: სახელოვანი მა-მის შვილი – წუნა სახალაშვილი ქისტებმა მოკლეს. წუნას ცოლმა – უშვილოდ დაქვრივებულმა თქვა: ვინც ჩემი ქმრის მკვლელს მოკლავს, მე იმის მეტს არავის შევირთამო.

ცოტა ხანმა გაიარა. სახალას მთხრობელი მოუვიდა – შენი მოსისხლე მავან დროს აქა და აქ მოდის და აპა შენ იციო! სახალას სხვა უმცროსი შვილიც ჰყავდა – თათასა. მამა და შვილი ღამიან წავიდნენ და გზა შეუკრეს მოსისხლეს. ნახეს, ცხენებით მოდიან – ერთი წუნას მკვლელი, მეორე ნათესავის მოსისხლე.

სახალამ უთხრა შვილს: მე წუნას მკვლელს ვესვრი, შენ მეორეს ესროლეო. თათასა დაემორჩილა მამას. ორივემ ერთად ამოიღეს ნიშანში. თათასას თოფი გავარდა, კაცი გადმოვარდა ცხენიდან. სახალას თოფმა მოუცდინა, მოსისხლე გაიქცა, მაგრამ თათასამ მოასწრო და იმასაც ბარკალი მოსწყვიტა და ცხენიდან ჩამოაგდო.

თათასას რძალმა აღთქმას არ უღალატა. სახალას ეს არ მოს-წონდა, ხშირად ეჩხუბებოდა შვილს და ერთხელ კიდეც სცემა. მო-

ბეზრებულმა შვილმა მამას დამბაჩა დაჟკრა და მოკლა. ნათესავებს ეწადათ თათასა მოეკლათ, მაგრამ მომაკვდავმა მამამ დაუშალა, არ გაიმეტა შვილი“.

ეს ტრაგედია თვალსაჩინოდ მეტყველებს იმაზე, რომ სისხლის აღრევა ხალხისა და ლვთის საწინააღმდეგო მკრეხელობაა და დაუსჯელი არ დარჩება. მართალია, ამ შემთხვევაში ლვთის წინაშე დადებული აღთქმა იქნა შესრულებული, რძალი, მართალია, არ არის სისხლით ნათესავი, მაგრამ ქისტებში იგი გვარის წევრად არის მიღებული და მასზე დაქორწინება აკრძალულია. რაც შეეხება თათასას მიერ მამის მკვლელობას, ეს ლვთის სასჯელია მისი ამორალური ნაპიჯის გამო.

ეს ამბავი მეც მოსმენილი მაქვს ძველებისგან. თათასა, მამისმკვლელი ვერ დარჩებოდა სოფელში, იგი აიყარა და ცოლთან ერთად გადაიხვენა სხვა მხარეში.

ქვრივი რძლის გათხოვებასთან დაკავშირებით არსებობს ერთი შეზღუდვა. რძალს უფლება არ აქვს, გათხოვდეს დალუპული ქმრის ოჯახიდან. ეს ოჯახის შეურაცხყოფაა და ვინც ქვრივს ცოლად წაიყვანს გარდაცვლილი ქმრის ოჯახიდან, დანაშაულს სჩადის და ეკისრება 10 ძროხის საფასურის გადახდა. ამასთანავე, შესაბამის მოფიცრებთან ერთად უნდა დაიფიცოს, რომ ქვრივთან სუფთად არის. ეს ყოველივე, რა თქმა უნდა, იმ შემთხვევაში, როცა ქმარეულებმა რძალზე უარი თქვეს, დაითხოვეს, მაგრამ უფლება მისცეს, მისი სურვილის შესაბამისად, იცხოვროს მათ სახლში და აღზარდოს ბავშვები. ასეთ შემთხვევის დროს ქალი უნდა წავიდეს მამის სახლში, აუნყოს ქმარეულებს, რომ ის ტოვებს მათ სახლს და ამის შემდეგ უნდა გათხოვდეს. ამ დროს მისი საქციელი კანონიერ ჩარჩოში ჯდება და მასთან სადაცო არავის აქვს.

ამ წესს რაიმე არსებითი ცვლილებები არ განუცდია, ადრეც დაქვრივებული რძალი მამის ოჯახში ბრუნდებოდა და შემდეგ თხოვდებოდა. მაგრამ მცირეწლოვან შვილებს იშვიათად მიატოვებს ქისტის ქალი, შვილების ერთგული რჩება და ზრდის მათ. ასეთ ქვრივს მშობლები უფლებას აძლევენ მათთან გაზარდოს შვილები,

ან დარჩეს გარდაცვლილი ქმრის ოჯახში და იქ გაზარდოს.

საუკუნის წინ პანკისის მემატიანე მათე ალბუთაშვილი წერს:

„რძალი ქმრის ოჯახის საკუთრებად ითვლება. ოჯახი მას გასათხოვებლად არ იმეტებს, ის ძალაუნებურად მამის სახლში უნდა დაბრუნდეს და იქიდან გათხოვდეს. ამისთანა შემთხვევაში რძალი თავის ახალი ქმრით საკლავით ურიგდება წინა ქმრის ოჯახს, რძალი თუ ორსულად დარჩა – დაქვრივდა, ძნელად გათხოვდება, თავს დებს იმ ერთ შვილზე, ქალი იქნება ის, თუ ვაჟი“.

წესი, რომლითაც ყოფილი რძალი გათხოვების შემდეგ ახალი ქმრით ყოფილი გარდაცვლილი ქმრის ოჯახში საკლავითა და პურმარილით მიღის და ურიგდება, დღეს არ მოქმედებს. ჩემი აზრით, დასანანია, რომ ეს ჩვეულება დაგინერირდება მიეცა. არადა, რამდენად დიდია მოწინება და რიდია რძლისა გარდაცვლილი ქმრისადმი, მისი მშობლებისადმი. ამ წეს-ჩვეულებაში კარგად მოჩანს ქალის ღირსება, რძლისა და ქმარეულების ურთიერთპატივისცემა, ოჯახის სიმტკიცის სიმბოლო.

მაგრამ თუ რძალი ირიცხება ოჯახის წევრად და ის მაინც გათხოვდა, წამყვანი დიდ ხათაბალაში იგდებს თავს, ის უკვე სხვისი ცოლის დასაკუთრების, ქმრისთვის ცოლის წართმევის მდგომარეობაში აღმოჩნდება და ამ დანაშაულისთვის სათანდო პასუხიც უნდა აღოს. მას ეკისრება 20 ძროხის საფასური.

ქალი ქისტურ ოჯახში, როგორც ითქვა, ოჯახურ საქმიანობაში დატვირთულია, ოჯახის მოვლა და ზოგჯერ პატრონბაც მას აკისრია. განქორწინება ქისტური ადათით საქმაოდ რთული პროცესია. ძველად ეს თითქმის შეუძლებლი იყო. თუ ცოლი თავისას გაიტანდა, არ გაჩერდებოდა ქმრის ოჯახში, რაც უნდა საპატიო მიზეზები ჰქონდა ქმრის მიტოვებისა, მშობლები, ახლობლები აიძულებდნენ, ცოლს დაბრუნებოდა ქმარს, მაგრამ ქალი თუ გაჯიუტდებოდა (არსებობდნენ და არსებობენ დღესაც თავის უფლებებისათვის მებრძოლი ქისტი ქალები), მაშინ უწევდა სისხლის საფასურის ნახევრის (30 ძროხა) გადახდა. მას „ცა იოშუნ“ (უკადრისობას) ეძახდნენ. ეს მავნე ჩვეულება 1965 წ. ყრილობაზე

დაგმობილ და აკრძალულ იქნა და ის დღეისათვის არ მოქმედებს, მაგრამ თუ ქალი თავის ინიციატივით ტოვებს ქმარს (ამის დას-აბუთებული საპატიო მიზეზებიც უნდა არსებობდეს), მაშინ მისი მშობლები იხდიან ქორწილის ხარჯებს, ყველაფრის ანაზღაურება უნდა, რაც კი ქმრის ოჯახმა გასწია ამ ქორწინებასთან დაკავ-შირებით. ქმრისა და მისი ნათესავების საჩუქრები და ოქროულობა ასევე უბრუნდება ქმრის ოჯახს. ცოლს მიაქვს თავისი მზითევი და ბრუნდება მამის ოჯახში.

თუ ქმარია ინიციატორი და ცოლს ეყრება, ადრე არანაირი პრობლემა არ იქნებოდა. ქალი თავის მზითევით ბრუნდებოდა მამის ოჯახში, თუ ურბეთი და შესარიგი არ ჰქონდა სიძეს გადახდილი, მას წაართმევდნენ და ამით მთავრდებოდა ოჯახის დაშლა.

დღეს ქმარს ასე ადვილად არ შეუძლია ცოლის გაშვება. საამ-ისოდ უნდა არსებობდეს სათანდოდ დასაბუთებული მიზეზები. თუ საქმე ცოლის ღალატს ეხება, აյ ღაპარაკიც ზედმეტია, პირიქით, ქალის მშობლების პასუხისმგებლობაც არსებობს და ჩუმად არიან. ძველად მოღალატე ცოლს ცხვირს აჭრიდნენ, ან თავს გადაპარ-სავდნენ და ისე უშვებდნენ მამის სახლში. ცხელ გულზე შეიძლება ქმარმა მოკლას კიდეც ცოლი, მაგრამ მკვლელობაზე პასუხისგება მოუწევს, მკვლელობა დაუშვებელია.

ცოლ-ქმრის ურთიერთობაში ერთი უმნიშვნელოვანესი წესია: ცოლი უნდა ემორჩილებოდეს ქმარს, ოჯახში უფროსი ქმარია, ის წყვეტის მნიშვნელოვან საკითხებს და ცოლიც უნდა ეთანხმებოდეს მის გადაწყვეტილებას. თუ ცოლი ეურჩება, ქმარს არ უჯერებს, თავად ცდილობს უფროსობას, ოჯახში თანხმობა არ იქნება, მუდამ ჩხებსა და დავიდარაბას ექნება ადგილი. ცხადია, თუ ქმარი და-ჰყუვება ცოლის წება-სურვილს, ყველაფერი კარგად წავა, ოჯახური იდილია გამეფდება. ასეთ დროს ქმარი კარგავს საზოგადოებაში ავტორიტეტს, მას ქისტები იუმორით უსაბუთო კაცს ეძახიან.

სოფ. ჯოყოლოში ცხოვრობდა ერთი ჭკვიანი, დარბაისელი, ხნიერი ვაჟკაცი დაადეი. მასთან მივიდა რჩევისათვის თანასო-ფლელი, ცოლთან ყოველდღე უსიამოვნება მაქვს, მეურჩება, მუ-

დამ ვკამათობთ და კინკლაობაში ვართ. გაშვება არ მინდა, ყოჩალი, ოჯახის ქალია და რამე მირჩიე, როგორ მოვარჯულოო.

დაადეიმ რჩევა მისცა და ურჩი ცოლის პატრონი წავიდა, მაგრამ მთლად კმაყოფილი არ იყო მიღებული რჩევით, სახეზე ნათლად ეტყობოდა. მაგრამ ორიოდე კვირის შემდეგ კვლავ მივიდა დაადეისთან და მადლობით ავსო:

– ღმერთი იყოს შენით კმაყოფილი, ეს რა სიკეთე მიყავი, ძლიეს არ დაისადგურა ჩემს ოჯახში სიმშვიდემ.

არ იტყვით, რა ურჩია დაადეიმ?

– ცოლს დაუჯერე, რას ეკამათები და ეურჩები? შენ კაცი ხარ, კაცს არ ეკადრება ქალთან თავის გაყადრება, დაეთანხმე, რასაც გეტყვის, შეასრულე და შენს ოჯახში სიმშვიდე დაისად-გურებს.

მაგრამ ჯიუტი ხალხია ეს ქისტები, ფიქრობენ, რომ მათი კაცური უფლებები ილახება, თუკი ცოლის ნებას დაჰყვებიან, ცოლის, როგორც ქალის უფლებებზე არ ფიქრობენ. მაგრამ არც ისეა საქმე, როგორც ჩვენ, კაცებს მიგვაჩინია. ხშირად გვგონია, ვბატონობთ ცოლებზე, მაგრამ ჭკვიანი ქალები ისე ბატონობენ ჩვენზე, რომ აზრზეც არა ვართ.

ცოლის დაუმორჩილებლობის შემთხვევაში ქმარი მიმართავს სიდედრ-სიმარს, აცნობს ამ პრობლემას და სთხოვს, მოახდინოს თავიანთ ქალიშვილზე ზემოქმედება. ეს კეთდება ორი მიზნით: 1) ქმარი დაინტერესებულია, შეინარჩუნოს ოჯახი; 2) წინასწარ თავს იზღვეს მოსალოდნელი შედეგებისგან.

თუ ცოლი სახლიდან გარბის მშობლებთან ქმართან უთანხმოების დროს, ქმარი ცოლეურებს სთხოვს, მიიღონ ზომები და დააბრუნონ ცოლი ქმართან. ეს ასეც ხდება უმეტეს შემთხვევაში. ასეთ შემთხვევაში ჯიუტი ცოლი ნათესავებთან ან მეგობარ ქალებთან ეძებს თავშესაფარს, მისი ჯიუტი ქმარიც აფრთხილებს მათ, ნუ აძლევთ ჩემს ცოლს თავშესაფარსო და ა.შ. ამ დროს საჭიროა ნათესავების, უხუცესების ჩარევა და ოჯახური დავის მოგვარება, თორემ ცუდი შედეგით დამთავრდება.

XIX საუკუნის მიწურულს და XX საუკუნის დასაწყისში ხე-

ობაში ცნობილმა კაცმა, შუახანს გადაცილებულმა და შეძლებულმა გებიშ ხანგოშვილმა დანიშნა თანასოფლელი 18-20 წლის, სილამაზით განთქმული გაურგაშვილების ქალიშვილი. ქალიშვილი ხანდაზმულ კაცზე გათხოვების სასტიკი წინააღმდეგი იყო, მიუხედავად იმისა, რომ მისი ხელის მთხოვნელი ახოვანი, კარგი შეხედულების, განთქმული მოჯირითე ყოფილა, მათე ალბუთაშვილს მასზე მოთხოვნაც აქვს დაწერილი სათაურით „გებიშ-ჰაჯი“ და წერს, რომ „... ჯიგიტებში გებიშას წილი ედო!“ გაურგაშვილების ქალიშვილი იამაი იმ დროის ქალიშვილებს არ ჰგავდა, შეეძლო თავისი უფლებების დაცვა, ამბობდა, მამისხელა კაცს არ გავყვებიო, მაგრამ ადამია იმძლავრა, დედა და ძმა დათანხმდა და ძალად გააყოლეს.

ეს ქორწინება, რომელიც არ იყო ქალის ნებაყოფლობით შემდგარი, ბედნიერი არ აღმოჩნდა. ქალი ჯიუტი გამოდგა, მასზე ფიზიკური ძალადობა გებიშმა არ ისურვა, ახალგაზრდა არ ვარ, ცოლი ცემა-ტყეპით დავიმორჩილოო. ქალიც მშობლებთან გარბოდა, ქმრის მიერ გაფრთხილების შემდეგ მშობლებიც არ უშვებდნენ სახლში. იამაის მოალოში გათხოვილი დადნაფიცი ჰყავდა, განთქმული ვაჟკაცის ციხეშას მეუღლე და მასთან მიდიოდა და რჩებოდა ხოლმე. გებიშმა ციხეშაც გააფრთხილა, ვიცი, ვაჟკაცი კაცი ხარ, დასაძრახ რამეს არ მაკადრებ, მაგრამ ხალხის ენა მყრალია, ამიტომ ჩემს ცოლს სახლში ნუ უშვებო. ციხეშამ უხეშად უპასუხა: ცოლი შენია და შენ უნდა გააჩეროო.

გებიშმა ადათობრივ სასამართლოს მიმართა, სასამართლომ გამოიტანა განაჩენი, რომლის მიხედვითაც იამაის ძმას უნდა დაებრუნებინა ურბეთი – ორმოცი თუმანი და საქორწილო ხარ-ჰაჯი 20 თუმანიც უნდა დაემატებინა, სულ 60 თუმანი დაეკისრა. გებიშას ქალი უნდა გაეშვა სხვაზე გათხოვების უფლებით. იმ დროისთვის სამოცი თუმანი დიდი ფული იყო და ქალის ძმა უარზე დადგა. გებიში დათანხმდა განაჩენის პირობებზე, თან დაიქადნა, რომ თავის ვალს დაიბრუნებდა.

მოკლე ხანში ჯოყოლოს ცენტრში ომალოში მიმავალ გებიშს

შეხვდა ციხეშა, შელაპარაკდნენ და ხანჯლები დაუშინეს ერთმანეთს. დაჭრილები ცხენებიდან ჩამოცვივდნენ და ქვეითად დაინტენეს ბრძოლა. გებიშამ ამ ბრძოლაში გაიმარჯვა, ცხენზე შეჯდა და სახლში დაბრუნდა, ციხეშა დიდხანს მკურნალობდა და ნაწილობრივ დასახიჩრდა (ხელებს ვერ ხმარობდა კარგად).

ამ უიღბლო ქორნინების შედეგს გ. ალბუთაშვილი ასე ახასიათებს: „იმავე დღეს – შუადღის ხანს – სოფელში ხმა გავრცელდა, დიდი ჩოჩქოლიც შედგა – გებიშას ზემო სოფლიდამ მომდინარი ციხეშა გზაში მოუკლავსო!... ბოლო რა იყო: ქალმა იამაიმ თავისუფლების ლელო გაიტანა, ხუშპარამ 60 თუმანი გადაიხადა, უდანაშულო ციხეშა სიმართლეს შეენირა და გებიშა ჰაჯიაში (მაჰმადიანთა ოერუსალიმში) წავიდა ცოდვების მოსანანიებლად და მით დაარქევს სახელი გებიშ-ჰაჯი“.

მიუხედავად ზოგიერთ შემთხვევებში ქალზე ძალდობისა, ქისტური სამართალი ყოველთვის იდგა ქალის უფლებების დაცვის სადარაკოზე.

ქალიშვილის ან ქალის გაუპატიურება უმძიმეს დანაშაულად ითვლება და დაზარალებულის ახლობლებიდან თუ ვინმე შეესწრო, დამნაშავის მკვლელობით სრულდება. მოძალდის მოსაკლავად დევნა დიდხანს გრძელდება, თუ მისი მოკვლა ვერ მოხერხდა დანაშაულის ჩადენის მომენტში. მართალია, ქალზე მოძალდის მოკვლით არ მთავრდება კონფლიქტი („დოუ“), მკვლელობაზე პასუხისმგებლობა ეკისრება შურისმაძიებელს, როგორც ჩვეულებრივ მკვლელს, ე.ი. პირველ დანაშაულს მეორე ვერ ფარავს, ორივე დანაშაულს დამოუკიდებლად პასუხი უნდა მიეგოს, ორივე მხარე უნდა დაკმაყოფილდეს.

ამიტომაც არის, რომ აუცილებელია საქმე განიხილოს ადათობრივმა სასამართლომ, სანამ ერთს მეორე დანაშაული არ მოჰყვება. გაუპატიურება თუ ქალმა არ აღიარა, დავუშვათ, დამალა, რათა სისხლი არ დაიღვაროს და მის სახელსაც ჩრდილი არ მიადგეს, მაგრამ საქმე გახმაურდა და ქმრის ან ძმის ყურამდე მივიდა, ამ შემთხვევაში საქმის მოგვარება დიდ სირთულეს არ წარმოადგენს,

ეჭვმიტანილს დააფიცებენ და საქმეც ამით მთავრდება, მაგრამ თუ ქმარი ან ძმა ამ შეურაცხყოფას აღიარებენ, ე.ი. აიღებენ თავის თავზე, მაშინ განიხილება, როგორც სინამდვილეში მომხდარი ფაქტი. ქალის აღიარება და მათი პატრონების დასტური ისეთი ფაქტობრივი დადასტურებაა, რომ აქ უკვე არ არის საჭირო ფიცი.

ჩვეულებრივ ჭორის დონეზე გავრცელებული ინფორმაციის დროს სასამართლო აკისრებს ეჭვმიტანილს 5 კაცით დაფიცებას. ფიცის ფორმულა ზოგადად ასეთია: „ვფიცავ, ამ კაცის ცოლს, ან ამ კაცის ქალიშვილს, ან ამ კაცის დას ცუდი განზრახვით არ შევხებივარ, რომ ჩემგან ეს ქალი წმინდაა.“

გათხოვილი ქალის გაუპატიურების შემთხვევაში დამნაშავე ქმარს უხდის 30 ძროხას. შეიძლება მოსამართლეებმა გაზარდოს ძროხების რაოდენობა, ეს დამოკიდებული იქნება, რა ვითარებაში მოხდა გაუპატიურება, რამდენად შეურაცხყო ქალი და ა.შ. თუ ქალი ნაცემია, ტანსაცმელი გახეული, თმები დაგლეჯილი და სხვა ლირსების შემლახველ ქმედებებს ჰქონდა ადგილი, სისხლის საფასურის ნახევარს იხდის.

გაუპატიურებული ცოლის დატოვებაც და გაშვებაც ქმრის უფლებაა, მაგრამ უმეტეს შემთხვევაში ქალი ბრუნდება მამის ოჯახში. თუმცა აქვე უნდა აღვნიშნო, რომ ქისტებში გათხოვილი ქალის გაუპატიურება ძალზე მძიმე დანაშაულია, არათუ იშვიათად, თითქმის არც ხდება. აი, ცოლად შერთვის მიზნით გატაცებული ქალიშვილის გაუპატიურება არცთუ იშვიათობაა.

ქალიშვილის გაუპატიურების შემთხვევაში, უპირველეს ყოვლისა, აიღულებენ დამნაშავეს, შეირთოს ცოლად დაზარალებული. ცხადია, პირობასაც უყენებენ, რომ ვერ დაითხოვს ცოლს, თუ არ იქნება სერიოზული მიზეზი. ამას დიდ ყურადღებას აქცევს ქისტური სამართალი, რადგან იძულებითმა ქმარმა შეიძლება რამდენიმე ხანს დრო ატაროს ცოლთან და მერე სახლისკენ გზა უჩვენოს.

იმ შემთხვევაშიც, თუ ქმარმა ცოლი დაითხოვა სერიოზული მიზეზების გამო, გაუპატურების საქმე მაშინვე წინ წამოიწევს და 15 ძროხის საფასურის გადახდა მოუწევს. როგორც ზემოთაც

აღვნიშნე, მოსამართლენი განიხილავენ საქმეს და ისინი ადგენენ საფასურს.

დანიშნული ქალის გაუპატიურების შემთხვევაში დაზარალებულის როლში გვევლინება საქმრო, რომელიც იწყებს დევნას შეურაცხყოფისათვის. ცხადია, მისთვის დამნაშავე გამაუპატიურებელია, მაგრამ საცოლის მშობლებთანაც აქვს ხოლმე პრეტენზია. მაგრამ უმთავრესად დამნაშავეს სთხოვს პასუხს. დანიშნული ქალი ჯერ კიდევ არ არის ცოლი, ამიტომ დანაშაულიც 10-12 ქრონით ფასდება.

ამ შემთხვევაშიც საქმროს უფლება აქვს შეირთოს დანიშნული ან სულაც უარი თქვას. თუ საქმრო უარს იტყვის, ქალის ახლობლები აიძულებენ დამნაშავეს, ცოლად მიიყვანოს ქალიშვილი. დამნაშავის უარი პასუხისგებაზე სისხლის ფასად დაუჯდება, ამას არავინ აპატიებს.

დანიშნული ქალის გაუპატიურება მძიმე დანაშაულია, მაგრამ მისი ცოლად წაყვანაც არანაკლებ მძიმე დანაშაულად ითვლება.

დუისელმა თათარა მარგოშვილმა დანიშნა შუა ხალაწნელი თუთახა ცათიაშვილის ქალიშვილი. თათარა ასაკით საგრძნობლად უფროსი იყო ქალიშვილზე, მას უკვე მოწიფული ბიჭები ჰყავდა პირველი ცოლისგან. ხალაწნელი ცხოვრობდნენ მუცოდან ახლად ჩამოსახლებული მასქარხო (მუცოელები). ერთ-ერთი მათგანი, ახალგაზრდა ჯარაფი მოხდენილი, ყოჩალი, თავმომწონე და ამაყი ახალგაზრდა მოეწონა ქალიშვილს და გაჰყვა ცოლად. ქალიშვილმა, ცხადია, შეცდომა დაუშვა, სხვაზე იყო დანიშნული და იცოდა, რომ ამას ცუდი შედეგი მოჰყვებოდა, უფრო დიდი შეცდომა დაუშვა ჯარაფმა, რომელმაც კარგად უწყოდა, რომ ასეთი შეურაცხყოფა დაუსჯელი არ დარჩებოდა, მაგრამ ამაყი ახალგაზრდა იყო და მოსალოდნელ შედეგზე არ დაფიქრებულა, ახალგაზრდობაში ასეთი რამ ჩვეულებრივია. თათარა ქალიშვილის მამას მიადგა, სამართალი მოითხოვა, მაგრამ ვერ მიიღო. შემდეგ ჯარაფს მიუგზავნა ხალხი, მაგრამ უშედეგოდ. მაშასადამე, ერთი გზალა დარჩა, შეურაცხყოფა სისხლით უნდა ჩამოებანა.

თათარას უფროსი ვაჟიშვილი მახმადი ერთ დღეს ჩაუსაფრდა ჯარაფის სოფ. შეუ ხალანანსა და ქვემო ხალანანს შორის. მინდორზე სიმინდი ეთესა და ამ სიმინდებში მიუყვებოდა ბილიკი ქვემო ხალანისკენ.

ჯარაფი ცხენით მოგზაურობდა ხოლმე, კარგი ბედაური ჰყავდა, ვერცხლით მოწყობილი უნაგირითა და სხვა აღკაზმულობით, კარგი სანახავი გახლდათ. მხედარიც უეპრო იყო, მისი ჯირითი სასამოვნო საყურებელი იყო, მახსოვს, ვერცხლის მოჭედილი ქამარ-ხანჯალი ერტყა წელზე ხოლმე. იმ დღეს ბედად ფეხით წამოსულიყო, წელზეც პატარა ხანჯალი შემოერტყა (ნანახი მაქვს ის ხანჯალი, 20-25 სმ სიგრძის იქნებოდა). მახმადასა და ჯარაფას შეტაკების შემდეგ ჭორი გავრცელდა, თითქოს მახმადას აცნობეს, რომ უიარალოდ იყო იმ დღეს ჯარაფი. ასევე ხმა გავრცელდა, რომ ახლდნენ ამხანაგებიც, რომლებიც გაჭირვების უამს მიეშველებოდნენ. სიმართლეს შეეფერებოდა თუ არა ყოველივე ეს, არ ვიცი. ერთი რამ ცხადია, მახმადა ორთაბრძოლაში ჩაება და მარტომ სძლია ჯარაფს. მათ სალაპარაკო არაფერი ჰქონდათ, დამხვდურმა იცოდა, რაც სჭირდებოდა, მომსვლელიც მიხვდა, რაც ელოდა და ორივემ ხანჯლები დაუშინეს ერთმანეთს.

მახმადას დიდი ხანჯალი ჰქონდა და ამდენად, უპირატეს მდგომარეობაში იყო, ჯარაფს პატარა ხანჯალი ჰქონდა, მაგრამ მამაცი იყო და უტევდა და უტევდა. პატარა ხანჯლით თავში და ტანზე რამდენიმე მცირე ჭრილობა მიაყენა. სამაგიეროდ მახმადა ხანჯლით ღრმა და მძიმე ჭრილობებს აყენებდა. ჯარაფი როცა მიხვდა, ვერაფერს გააწყობდა, ქვას დასწვდა, რომ აელო და დაერტყა, მაგრამ ხელი ვერ დაემორჩილა. მაშინ მიხვდა, რომ ბრძოლა წაგებული ჰქონდა და შეტევა არ შეეძლო.

სავარაუდოა, მახმადას გეგმაში არ შედიოდა ასეთი მძიმე ჭრილობების მიყენება, სახეზე ხანჯლით მიყენებული ჭრილობა გაუტოლდებოდა მისი მამისთვის მიყენებულ შეურაცხყოფას – ჯარაფის შეუპოვრობამ მიიყვანა საქმე იქამდე, სადამდეც მივიდა.

ასე ჩამორეცხა სისხლით მამის შეურაცხყოფა შვილმა. იგი

დაიჭირეს და ოთხი წელი მიუსავჯეს. ციხიდან გამოსვლის შემდეგ დიდი ავტორიტეტით სარგებლობდა არა მარტო ქისტებში, არამედ მთელ ხეობაში. მის სიტყვასა და რჩევას დიდი წონა ჰქონდა, უხუ-ცესებმა გვერდში დაიყენეს და მალე მათი ლიდერი გახდა. იგი დაულალავი, თავმდაბალი, ყურადღებიანი კაცი იყო, ბავშვაც რომ ეთხოვა, საქმე გამირჩიეო, დაუზარებლად გაპყვებოდა. პანკისის კრიზისის დროს უხუცესთა საბჭოს თავმჯდომარეობდა, მოხუცი კაცი ხელმძღვანელობდა წესრიგის დასაცავად ჩამოყალიბებულ რაზმს და ყოველთვის იქ იყო, სადაც კონფლიქტი წარმოიშობოდა. ღრმა მოხუცებულობამდე იცხოვრა და თავის ხალხის წინაშე ვალ-მოხდილი წავიდა ამ ქვეყნიდან.

ჯარაფი მძიმე ჭრილობებისგან გამოჯანმრთელების შემ-დეგ (ცალ ხელს კარგად ვერ ხმარობდა) ჩეჩენეთში გადასახლდა და ითუმხალში დამკვიდრდა, მდ. არგუნის ზემო წელში. დიდხანს ცდილობდა დასახიჩრების გამო სამაგიეროს გადახდას, მაგრამ უხუცესებმა მოსვენება არ მისცეს მასაც და მის ნათესავებსაც, შედგა ადათობრივი სასამართლო და შეარიგეს მტრები. ჯარაფმა საქონელი გაიჩინა, საკმაო შეძლების პატრონი შეიქნა. წინანდელი სიჩაუქე და სიმამაცე არ დაუკარგავს. ერთხელ ხელხანჯლიანი შეება დათვს, დათვმა დატორა, მაგრამ ჯარაფმა სძლია და მოკლა. ორთაბრძოლაში დამარცხებამ ის ვერ გატეხა, ჩეჩენეთში თავისი სიტყვა ეთქმოდა საფიხვნოზე, ახალგაზრდა ქალი შეირთო მეორე ცოლად და სოფ. წესტეროვკაში დასახლდა. ჯარაფიც პატივცე-მული იყო ხალხში, სოფელსა და მთაში ცნობილი პიროვნება და მოხუცებულობაში გარდაიცვალა.

ყველაზე მავნე ტრადიცია, რომელსაც ქისტი ახალგაზრდები ჯიუტად ებლაუჭებიან და დღესაც მისდევენ, არის ქალის მოტაცება ცოლად შერთვის მიზნით. ეს მავნე ჩვეულება ისე აქვთ გამჯდარი სისხლში ქისტებს, რომ არც გადასახადი, არც სისხლიანი შეტაკე-ბები და არც მკვლელობები არ მოქმედებს მათზე. ეს ის საკითხია, რომელსაც უხუცესები ყოველთვის აყენებენ დღის წესრიგში და ეძებენ გამოსავალს.

ჩვენ აღვნიშნეთ, რომ ჯერ კიდევ 1965 წლის ყრილობაზე დაგმობილ იქნა ეს ჩვეულება და ნება მიეცა გატაცებული ქალის მშობლებს, მიემართათ ხელისუფლებისათვის, თუ დამნაშავეს დაიჭერდნენ, ციხეს მიუსჯიდნენ და ციხეში მოკვდებოდა, პასუხისმგებლობა არ დაეკისრებოდა მომჩინებებს, როგორც ეს ადრე ხდებოდა. ეს გადაწყვეტილება პროგრესული იყო, მაგრამ დროთა ვითარებაში დაგინერირდა მიეცა. 25 წლის შემდეგ კულავ დადგა ეს საკითხი დღის წესრიგში, გადაწყვეტილებაც წინა ყრილობაზე მიღებულის იდენტური იყო, მაგრამ ამ მავნე ტრადიციას საშველი არ დაადგა.

ქალის გატაცებასთან დაკავშირებით ქისტებში დამკირდა ტრადიცია, რომლის მიხედვითაც მთავარი და გადამწყვეტი მოწმის სტატუსი თავად გატაცებულ ქალიშვილს დაეკისრა. ქალიშვილი თავის ნებით, გაპარვით გაჰყვა თუ გაიტაცეს, ამას მნიშვნელობა არ აქვს, ქალის ნათესავების მხრიდან კაცი და ქალი მივლენ ვაჟის ოჯახში, ნახავენ ქალიშვილს და გამოჰკითხავენ, ნებით გაჰყვა თუ ძალით გაიტაცეს. თუ ქალი იტყვის, ნებით გამოვყევიო, ბეჭნიერებას უსურვებენ და გამობრუნდებიან.

სწორედ ეს ტრადიცია აძლევს ახალგაზრდებს სტიმულს, გზას უხსნის ახალი დანაშაულის ჩადენისაკენ. ქალის გატაცების შემდეგ, თუ იმ მომენტში ახლობლებმა ვერ მიუსწრეს და არ წაართვეს ქალი, მის დამუშავებას იწყებენ გამტაცებლის ნათესავები, ქალები, კაცები და ეხვევიან ხშირ შემთხვევაში ჯერ კიდევ ბავშვს, სკოლის მოსწავლეს, თუ ახლად სკოლადამთავრებულ გოგონას, რომელმაც არ იცის ჯერ ცხოვრების ავ-კარგი, დაამუნათებენ, შეაშინებენ, აქაოდა, სისხლი დაიღვრება შენი გულისთვის, თქვი, თავად გამოვყევი და ა.შ. შეშინებული ქალიშვილიც ამბობს, თავად გამოვყევიო და მოძალდესთან იწყებს ცხოვრებას. რამდენად ბეჭნიერი იქნება ეს ცხოვრება, მკითხველმა განსაჯოს.

ხდება ასეც: ქალიშვილს, გატაცების უამს და შემდეგაც გამტაცებლი ხელებს უფათურებს, ამას ქისტები „ქუგიშ დეათარ“-ს (ხელების ფათურს) ეძახიან და ქალიშვილის რეპუტაციაზე ცუდად მოქმედებს. ასეთ ქალიშვილს, გატაცების შემდეგ გამოხსნილს,

გათხოვების პერსპექტივა ცოტა აქვს და ამიტომ ის ძალაუნებულად თავსედთან რჩება.

არსებობს ასეთი შემთხვევაც: ბიჭმა ქალი გაიტაცა და გადამალა (ან სადმე ტყეში ჰყავდა, ან სხვა სოფელში ჩუმად ჰყავდა და ა.შ.). მეორე თუ მესამე დღეს მიაგნეს ქალწულს, ტრადიციულ კითხვას უსვამენ და ნათესავი ქალიც ეკითხება, ხომ არაფერი მოხდა ქალსა და ვაჟს შორის. შესაძლებლია, არაფერიც არ მოხდა, გამტაცებელი ყველა კი არ არის თავხედი და უსინდისო, მაგრამ ხალხში ჭორები გავრცელდება, მითქმა-მოთქმა წავა და ქალს გათხოვების შანსი არ რჩება. ამიტომ არის ხოლმე, რომ გატაცებული, მიუხედავად შინაგანი წინააღმდეგობისა, რჩება გამტაცებელთან.

ხოლო თუ მართლა მოხდა ქალსა და ვაჟს შორის ცოლქმრული ურთიერთობა, ქალი რჩება მოძალდე ქმართან.

ცხადია, ქალს აქვს უფლება, ყველა შემთხვევაში დაბრუნდეს მამის ოჯახში, მისი უარის შემთხვევაში ძალით დაკავება გამორიცხულია. მაგრამ, თუ მან თანხმობა განაცხადა, უმეტეს შემთხვევაში ტოვებენ ახლობლები. თუმცა ხდება ისეც, რომ გატაცებულ ქალს დაიბრუნებენ და მერე ატანენ წესისა და რიგის მიხედვით.

მართალია, ყოფილა ისეთი შემთხვევებიც, რომ თავის ნებით გაყოლილი ქალი უკან წაურთმევიათ, ადათობრივ სასამართლოსთვისაც გადაუციათ ასეთი საქმე, დაუფიცებიათ კიდეც ვაჟიანები, მაგრამ ეს ძალზე საფრთხილო საკითხია, რადგან ქალი კვლავ გაპარულა და მისიანები შერცხვენილი დარჩენილან.

სხვადასხვა პერიოდში სხვადასხვა საჯარიმო თანხა ინიშნებოდა ქალის გატაცების მავნე ტრადიციის აღმოსაფხვრელად, მაგრამ რაიმე რეალური შედეგის დადგენა ვერ მოხერხდა. თანდათანობით თანხას ზრდიდნენ, გატაცების ფაქტიც კატეგორიებად დაყვეს. მაგალითად, გატაცების პროცესი სამ კატეგორიად დაყვეს და ტარიფიც სამი სახისა დაადგინეს:

1) თუ ქალი გატაცების მომენტში (გატაცების პროცესი დაწყებულია) მიუსწრეს ახლობლებმა და დაიბრუნეს ქალი, გამტაცებელი იხდის ჯარიმას – 1000 დოლარი;

2) თუ გამტაცებელმა ქალიშვილი გაიტაცა, გააცილა სოფელს ან ტყეში შეაფარა და იმავე დღეს მიაგნეს და ქალი დაიბრუნეს, ჯარიმა იზრდება, გაორმაგდება – 2000 დოლარს;

3) თუ გამტაცებელმა ქალი გადამალა და დღე-ღამის განმავლობაში ჰყავდა და მხოლოდ მეორე დღეს შეძლეს ქალის დაბრუნება მშობლებმა, ჯარიმა იზრდება და უდრის 3000 დოლ-არს.

მიუხედავად სოლიდური ჯარიმებისა, ქისტი ახალგაზრდები ქალიშვილებზე ნადირობას არ იშლიან, უკვე სკოლის მოსწავლეების გატაცება დაიწყეს. მშობლებს ეშინიათ წამოჩიტული ბავშვების სკოლაში გაშვება, პოლიცია თვალს ხუჭავს გათავსედებული ახალგაზრდების დანაშაულზე, ყველაფერს ადათობრივ სამართალზე მიაგდებს და წყნარად სხედან ქვეგანყოფილებაში. დუისის (პანკისის ცენტრი) ქვეგანყოფილებაში 25-28 პოლიციელი ირიცხება, ყოველდღიურად ადგილზე 5-7 კაცი თუ არის, მათი საზრუნვავი ის არის, რომ არ აღიძრას სისხლის სამართლის საქმე, მაღლა მდგომ ორგანოებს მიაწოდონ ინფორმაცია, რომ პანკისში სიმშვიდეა, არავითარი კრიმინალი. დასკვნა: პოლიცია საუკეთესოდ მუშაობს. ამიტომ არის, რომ გატაცებული ქალიშვილის მშობლები და ახლობლები, ხშირად გამტაცებლის მშობლები და ახლობლებიც, მომხდარით შეწუხებულები დგანან პოლიციის წინ, ათენებენ, ელოდებიან დახმარებას, მაგრამ პოლიციის პასუხიც ერთფეროვანია:

– არ ვიცით სად არიან. ვეძებთ, ვაზუსტებთ.

ხოლო თუ მართლა მონახეს, უფრო ხშირად დაზარალებულები პოულობენ, დაკითხვაზე ისე ირჯებიან, რომ მორიგება მოხდეს. დაზარალებულებსაც ეუბნებიან:

– თქვენი წესით მორიგდით.

ასეთმა მიდგომამ ახალგაზრდები ისე გაათავსედა, რომ მოტაცების დარგში ჩამოყალიბდა სპეციალიზირებული ჯგუფი, რომელიც მზად იყო, დაძახებისთანავე მიხმარებოდა „სიყვარულით დამწვარს“. ისინი თავს ესხმოდნენ სკოლის მოსწავლეებს, იტაცებდნენ, ხელს უწყობდნენ „ნეფეს“, გადაემალა „პატარძალი“ და შემდეგ განვითარებულ მოვლენებისგან განზე დგებოდნენ. ისინი

ითვლებოდნენ „საქმროს“ მუშებად, მათ ხელს არავინ ადებდა, მთელ პასუხისმგებლობას თავზე იღებდა გამტაცებელი საქმრო.

არსებული ქისტური სამართლით, გატაცების თანამონაწილეებზე სასჯელი არ ვრცელდებოდა. რამდენჯერმე დაისვა ამ საკითხში ცვლილების შეტანის აუცილებლობის შესახებ, მაგრამ აქამდე თავი ვერ მოაბეს. არა და სიახლის შემოტანა ამ საქმეში სულაც არ იყო საჭირო, რადგან ასეთი კანონი ძველად ქისტურ სამართალში არსებობდა.

მაგალითად, თუ გატაცებული ქალიშვილის ახლობლებს ეჭვი შეჰქონდათ, რომ გატაცებაში მონაწილეობდნენ „სასიძოს“ გარდა მისი თანამზრახველები, ეჭვმიტანილთ ორი მოფიცარით უნდა დაეფიცათ, რომ მათ არ მიუღიათ მონაწილეობა მათი ქალიშვილის გატაცებაში.

ასევე გატაცებელს ეკისრებოდა ფიცი ორი მოფიცარით, რომ აღნიშნული პირები არ იღებდნენ მონაწილეობას ქალის გატაცებაში და ის მარტო მოქმედებდა. წინააღმდეგ შემთხვევაში დამხმარებიც ჯარიმდებოდნენ.

ეს საკითხი უაღრესად აქტუალურია, მზადდება კიდეც ყრილობაზე გასატანად ამ და სხვა საკითხებში ცვლილებების შესატანად. ჯერჯერობით ზემოთ აღნიშნული კატეგორიების მიხედვით ჯარიმა გაიზარდა და გადაყვანილ იქნა მამა-პაპურ გადასახადზე:

I კატეგორია – 5 ძროხა.

II კატეგორია – 10 ძროხა.

III კატეგორია – 15 ძროხა.

დღესდღეობით ქალის გატაცების შემთხვევები შემცირებულია. მთავარი მიზეზი, ჩემი აზრით, არის ის, რომ სახელმწიფო კანონმდებლობაში გამკაცრდა ადამიანის გატაცებასთან დაკავშირებული სისხლის სამართლის კოდექსი და ქალიშვილის ცოლად შერთვის მიზნით გატაცებაც ითვლება ადამიანისთვის თავისუფლების აღკვეთად ძალადობრივი გზით. ასევე მიმაჩნია, რომ ვაჲბიტების უაღრესად ნეგატიურმა დამოკიდებულებამ ქალის გატაცებასთან დაკავშირებით საგრძნობი როლი ითამაშა, რამეთუ

ახალგაზრდების დიდი უმეტესობა მათ იდეოლოგიას მიჰყვება. დადებითი არ უნდა დაუკარგო არავის, რამდენადაც წინააღმდეგობრივი უნდა იყოს მათი იდეოლოგია შენს მრწამსთან.

ქალის მოტაცება ხშირად ძვირად უჯდებათ გამტაცებლებს. მოვიყვან რამდენიმე მაგალითს:

პანკისში, სოფ. ჯოულოში ცხოვრობდა ერთი ახირებული ხასიათის ახლგაზრდა თიჩი ბორჩაშვილი. კარგი მოჭიდავე ყოფილა, ჯოულო ხშირად უსახელებია კიდეც. ჯოულოსა და დუისა შორის მუდამ ქიშპობა იყო ჭიდაობაში, ისეთი გულშემატკივრები ჰყავდათ ორივე მხარის მოჭიდავეებს, რომ ხშირად ჩხუბით მთავრდებოდა. თურმე თიჩის ძალ-ღონთი განთქმული დუისელი დაქა წაეჭკია, უფრო სწორად, მუხლებზე დასცა და ჯოულოელებმა კიუინა და თოვების ბათქაბუთქი ატეხეს. ეს დუისელებს ეწყინათ და კინაღამ სისხლი დაიღვარა.

ერთი ცუდი ზნე სჭირდა თიჩის, ქალების დიდი მოყვარული იყო, მაგრამ მათთან ურთიერთობაში ძალზე უხეში იყო. ბიძამისი იდა თურმე ოთახში ჩაკეტავდა და ჯოხით სცემდა, მაგრამ უხიაგი ხასიათი ვერ მოაშლევინა.

თიჩის თვალში მოუვიდა თანასოფლელი გუმაშვილების გოგონა, არასრულნლოვანი წლის მოზარდი და გადაწყვიტა მისი მოტაცება. ერთხელაც შინდის საკრეფად წასულ დედა-შვილს გაეკიდა, ვითომ შემოხვევით შეხვდა, შინდის კარგი ბუჩქები ვიციო და გულუბრყვილო დედა-შვილი სოფლიდან კარგა მოშორებით გაიტყუა და ხელი მოჰკიდა გოგონას და სოფ. დუისისკენ ქნა პირი. დედა გამოეკიდა, სცემდა, რაც ხელში მოხვდებოდა, ჩოხაზე ებლაუჭებოდა, ზურგში მუშტებს სცემდა, მაგრამ თიჩი, ბრგე ვაჟუაცი ყურსაც არ იბერტყავდა, როგორც აბეზარ ბუზს, ხელით იგერიებდა და მწივანა გოგონას, როგორც ქორს წინილა, მიაქანებდა.

დუისიდან ჯოულოსკენ ორი კაცი მიდიოდა და სოფლის თავში, წისქვილს იქით შენიშნეს ქალების ვაი-ვაგლახი და მიხვდნენ, რომ მოტაცებული ქალი მიჰყავდა კაცს და მაშინვე გაიქცნენ მისაშველებლად. ქისტებში დიდ სირცხვილად ითვლება, თუ ვერ

გამოიხსნი გატაცებულ ქალს, მით უმეტეს, როცა დედა შველას ითხოვს. აბრაგ ზელიმხანს გზაზე თმაგანენილი, პირდახოკილი ქალი შემოხვდა და მაშინვე უნაგირის უზანგი დაუჭირა, ფეხზე შემოეხვია და შველა სთხოვა:

— ძმაო, მიშველე, გოგონა მომტაცეს ყაჩალებმა.

ზელიმხანი გაეკიდა, გზა გადაუჭრა ყაჩალებს და სთხოვა, დაებრუნებინათ დედისთვის გოგონა. ყაჩალები უარზე დადგნენ, ზელიმხანი ძმურად სთხოვდა, დაბოლოს, მეტაცრად უთხრა, რომ ცოცხალი თავით არ გაატანდა. გაბოროტებულმა ერთ-ერთმა ყაჩალმა ხანჯალი იძრო და გულში გაუყარა გოგონას. ორჯერ იქუხა ზელიმხანის თოფმა და უსულო გოგონას გვერდით ორი გვამი დაეცა.

დუისელებიც შეეცადნენ, მშვიდობიანად მოეგვარებინათ საქმე. მაგრამ თიჩი ჯიუტი კაცი იყო, ცოლს როგორ დაგითმობთო. მაშინ ეცნენ, ქალი წართვეს და შორიახლოს დადგნენ, ხელები ხანჯლებზე ედოთ. თიჩიმ გაცლა ამჯობინა. მაგრამ განზრახვაზე ხელი როდი აუღია. მეორედაც უილბლო გამოდგა მოტაცების მცდელობა, მაგრამ მესამედ გაუმართლა. თიჩიმ ქალი ალვანში მეგობართან ჩაიყვანა, გუმაშვილებმა გვიან გაიგეს და ალვანში ჩასვლაც დააგვიანდათ. როცა გოგონამ უთხრა, რომ თავად გამოჰყება (რადგან თიჩის უკვე ეძალადა ქალზე), მდევარი მიხვდა და უკან გაბრუნდა.

ასეთ შეურაცხყოფას არ აპატიებდნენ თიჩის და აი, ერთ დღეს გოგონას პიდა როსტომი შემოხვდა სიძე თიჩის, ხანჯლები იშიშვლეს. როსტომი მაგარი კაცი იყო, მამაცი და გამოცდილი, დაჰკრა თიჩის ხანჯალი და მარჯვენა მხარი ჩამოათალა.

ბოლოს შედგა ადათობრივი სასამართლო, გაირჩა „დოუ“ და შერიგდნენ, მაგრამ, როგორც ამბობენ, თიჩის მეულლეს არ გაუხარია ხანმოკლე სიცოცხლეში. არასოდეს ჩნდებოდა ხალხში, ლხინსა და ჭირს ჩამოცილებული ოჯახში ტრიალებდა, მალე დიზენტერია შეეყარა და გარდაიცვალა. მის ძმასაც ეს ავადმყოფობა შეეყარა და დაძმა ერთსა და იმავე დღეს გარდაიცვალა. დედას, რომელ-

მაც თვალები დაუხუჭა უპედურ ქალიშვილს, მაცნე გამოუგზავნეს, ვაჟიშვილი გიკვდება და იჩქარეო. უძილომ, ნაშიმშილებმა, გატან-ჯულმა ძლიერ მიაღწია სახლამდე და მომაკვდავ ვაჟიშვილსაც თვალები დაუხუჭა.

მეორე მსოფლიო ომის შემდგომი პერიოდი იყო, 1948 წლის ზაფხული იდგა. დუისელი მურცალ ხანგოშვილის ოჯახი პატარძალს ელოდებოდა ოჯახში, მაგრამ საქორწილო მზადება არ იყო, როგორც წესი და რიგი მოითხოვდა. საქმე იმაში გახლდათ, რომ მ. ხანგოშვილმა ვაჟიშვილისთვის კი დანიშნა ჯოყოლოელი ტასო, სილამაზით განთქმული ქალიშვილი, კარგი ოჯახიშვილი, მაგრამ ეს ნიშნობა მოხდა ქალიშვილის ნინაალმდგენბის მოუხედავად.

ტასო თანამედროვე ქალიშვილი იყო, თავისუფლებისმოყვარე, ამაყი და უსიყვარულოდ გათხოვების კატეგორიული მოწინააღმდეგები. ვერავინ, ვერც მშობლებმა, ვერც ნათესავებმა, ვერც თანატოლებმა შეძლეს მისი დათანხმება ქორწინებაზე. მურცალი სახელიანი კაცი იყო, თავმოყვარე, ღირსების შეღახვად მიიჩნია უარი და გადაწყვიტა, მოეტაცებინა ქალიშვილი. და ძალინ ცუდი დრო შეარჩია და ცუდი ადგილიც: იმ დღეს ასაფლავებდნენ ორ ომალოელ ვაჟკაცს და მთელი ხეობის მამაკაცები დაკრძალვაზე იყვნენ. რადგან ქალიშვილი გატაცების შიშით სახლიდან არ გამოდიოდა გადაწყვიტეს, სახლიდან მოეტაცათ.

ეტლით წავიდნენ ჯოყოლოში ექვსი: მამა და სამი ძმა და ორიც ბიძაშვილები. ჯოყოლოში ომალოდან მომავალი დისწული და სიძე შემოხვდათ, ისინიც დაიამხანაგეს და ერთად შევიდნენ სოფელში. სოფლის ბოლოში, მთავარი გზის პირას ეტლი („ლინეიკა“) სიმინდებში შეაფარეს და თავად სახლს მიუახლოვდნენ, აივანზე ტასო იჯდა საკერავ მანქანასთან. ერთი, ალექსი გაგზავნეს ეტლთან, რათა წამოეყვანა სახლთან, ადგილზე მისულს ეტლი წამოსული დახვდა, მთავარ გზაზე გავიდა, სოფელში შესულს წივილ-კივილი შემოესმა და მალე „ლინეიკაც“ გამოჩნდა, რომელსაც ცხენები სწრაფად მოაქანებდა დუისისკენ. ქალი უკვე ეტლში ჰყავდათ, გამტაცებლები ძლიერ მიაღწია და მოიაწყიდა აკავებდნენ მას, ალექსი გაქანებულ ეტლს შე-

მოახტა, ერთი გამტაცებელი, იაპია, სადღაც ჩამორჩენილიყო და შემდეგ ამ შემთხვევის წყალობით გადაურჩა კიდეც სასჯელს.

გამტაცებლებს სახლში არ წაუყვანიათ ქალი, გაიარეს სოფელი, გავიდნენ ალაზანში და ტყეს შეეფარნენ და „ლინეიკა“ გაუშვეს. მდევარი გვიან გამოჩნდა, მას მიუძლოდა ტასოს ძმა უსუბი. სახლისკენ წამოვიდნენ და შეეფეთათ კალოდან ურმით მომავალი მურცალის ბიძაშვილი. უსუბიმ ხანჯლით გაინია მასზე. მახამლაზიმ მოსაწრო ფინლის მომარჯვება და დიდი უბედურება დატრიალდებოდა, რომ მდევრებს არ გაეკავებინათ გაცოფებული უსუბი, რომელიც სრულიად უდანაშაულო კაცს ეტანებოდა. თუმცა დამნაშავე იმით იყო, რომ მისი შვილი ალექსი მონაწილეობდა ამ გატაცებაში.

მდევარმა ვერ შეძლო ქალის მიგნება, გამტაცებლებს ორი თუ სამი დღე-ღამე ჰყავდათ ტყეში, თავისიანებმაც კი ვერ მიაგნეს. სასიძომ ქალზე იძალადა, მიუხედავად დიდი წინააღმდეგობისა. შემდეგ ტასომ მოატყუა, დაარწმუნა გამტაცებლები, რომ თანახმა იყო ცოლობაზე, რომ მშობლებსაც ეტყოდა, ჩემი ნებით გავყევიო, მაგრამ როგორც კი სახლში მიიყვანეს, უარი განცხადა. ნათესავებმა მილიციის ძალით ქალი სახლში წაიყვანეს.

ტასომ კარგად დაიმახსოვრა გამტაცებლები, ყველას იცნობდა, სკოლაში ერთად სწავლობდნენ და ყველა დააჭერინა. ერთი ბეწოთი არ დაუხევია უკან, ყველას, სათითაოდ დასდო ბრალი. როცა ტყეში ისვენებდა, ალექსის ქამრიდან პისტოლეტი გამოუჩნდა და რვანიშნა ნომერი დაეხსომებინა და სასამართლოზე დაასახელა.

მამა-შვილებს ხუთ-ხუთი წელი მიუსაჯეს, დანარჩენებს ოთხოთხი წელი.

ფოთის ციხეში ზაურბეგი, მურცალის უმცროსი ბიჭი ავად გახდა, ნაწლავების გადახლართვა დაემართა და გარდაიცვალა. როგორც კი შეიტყვეს მისი ავადმყოფობა, ფოთში ჩავიდა ბიძა (მამის ბიძაშვილი), დედა ბააზე და და ფალოშქა. ზაურბეგის გარდაცვალების შემდეგ მახამლაზიმ ექიმი ნახა, ფული მისცა და შეიპირა, რომ დაემუშავებინა ცხედარი, რათა ხრნნა არ დაეწყო.

მახამლაზის გადაწყვეტილი ჰქონდა, ციხის სასაფლაოდან მოეპარა ცხედარი.

ფოთში, მოგეხსენებათ, წვიმები იცის და არავინ დაეჭვებულა, რომ ციხის სასაფლაოს ახლოს ვიღაც კაცი ზღვიდან გამორიყულ შეშას აგროვებდა. სასაფლაოს ერთი საგუშავო კოშკი ჰქონდა, საიდანაც პერიოდულად პროჟექტორს მოატარებდნენ სასაფლაოს ირგვლივ. სასაფლაოსაც ეკლიანი მავთულების ღობე ჰქონდა შემოვლებული. კომუნისტები როგორც ცოცხალ პატიმრებს, ისე მკვდრებსაც დარაჯობდნენ, სახლში არ ატანდნენ ცხედრებს პატრონებს.

მახამლაზიმ შეისწავლა სასაფლაოს დაცვის განრიგი და მეორე ღამეს შევიდა სასაფლაოზე და დაიწყო საფლავის თხრა. როცა პროჟექტორის მოძრავი სინათლე მიუახლოვდებოდა, იქვე ბუჩქებში პანტა იდგა და იქ იმაღლებოდა. როგორც კი სინათლის ზოლი გასცდებოდა, ამოთხრას იწყებდა. კუბომდე რომ ჩავიდა, პრობლემის წინაშე აღმოჩნდა – მარტო ვერანაირად ვერ ასწევდა. ხერხს მიმართა: ცალ მხარეს ასწევდა და ქვეშ მიწას ყრიდა, მერე მეორე მხარეს და ასე ამოიტანა ზედაპირზე. ღობის გარეთ გატანა არ გასჭირვებია, ჯერ თავს წასწევდა წინ, მერე ბოლოს და ასე ზიგზაგით გაიტანა გარეთ, სადაც სინათლე არ სწვდებოდა.

შემდეგ ქალაქში წავიდა, გარდაცვლილის დედა და და ელოდებოდა დაქირავებულ ბინაში და უთხრა:

– ძალიან მიმძიმს, ამას რომ გეუბნებით, მაგრამ სხვა გზა არა მაქვს, თქვენი დახმარება მჭირდება, კუბოს მარტო ვერ გამოვიტან სანაპიროდან, მანქანა შეპირებული მაქვს, გათენებამდე უნდა მოვასწროთ.

– რას ამბობ, რის შეწუხება. რატომ თან არ წაგვიყვანე, მარტო რატომ წახვედი, ჩვენ შენს გვერდით კაცებივით ვიდგებოდით, – იყო პასუხი.

სასწრაფოდ წავიდნენ და გათენებამდე კუბო დანიშნულ ადგილას გაიტანეს. გათენებისას მძლოლიც მოვიდა, მაგრამ როგორც კუბო დაინახა, შეშინდა და უარზე დადგა, კუბო მორიგებაში არ

იყო. კუბო მართლაც არ ყოფილა ნახსენები, მაგრამ მახამლაზმა ფული დაუმატა და შემდეგ მუქარაც მიახმარა, „ემადინში“ მოათავსეს კუბო და ჩამოიტანეს დუისში.

ციხიდან განთავისუფლების შემდეგ შედგა ადათობრივი სამართალი. აქ ერთი დეტალია საყურადღებო: ქალი, რომელიც დანიშნული იყო და მოტაცებული, მიაკუთვნეს ხანგოშვილებს, მაგრამ ტასო ამ პერიოდში გათხოვდა ქართველზე და ცხოვრობდა თბილისში. ამიტომ მისი ადგილი მისმა ბიძაშვილმა დაიკავა, მაგრამ მურცალმა, რომლის თავმოყვარეობას ამდენი უბედურება მოჰყვა, ჭკუა იხმარა და ქალზე უარი განაცხადა.

ქალის გატაცების მავნე ტრადიცია ქისტ ახალგაზრდებს XXI საუკუნეშიც გადმოჰყვათ. მიუხედავად ჯარიმების გაზრდისა და დაჭრებისა, კვლავ განაგრძობდნენ ქალებზე ძალადობას. მარგოშვილებმა მოიტაცეს ხანგოშვილების ქალიშვილი, წაიყვანეს სოფ. ქორეთში, მაგრამ მიაგნეს და წაართვეს. ქალიშვილის მამამ ქალის გატაცებაზე დაწესებულ თანხაზე უარი თქვა, ოღონდ თავი დაანებეთ ქალიშვილს, არც მე მსურს თქვენთან ნათესაობა და ა.შ.

საქმე ამით უნდა დასრულებულიყო, მაგრამ თავხედმა ახალგაზრდებმა არაფრად ჩააგდეს უფროსების რჩევა-დარიგება, უგულებელყველს მამა-პაპათა ადათ-წესი და კვლავ მოიტაცეს ქლიშვილი. ამჯერად მათ შეძლეს ქალიშვილის გადამალვა, მხოლოდ მაშინ გამოაჩინეს, როცა დაითანხმეს. ქალიშვილმა პოლიციისა და ნათესავების თანდასწრებით განაცხადა, რომ თავის ნებით გაჰყვა.

როგორც ითქვა, ქალის გატაცება-არგატაცების დადგენის გზა ქისტმა უხუცესებმა ქალს მიანდეს: მისი გატაცების აქტის დადასტურება ან უარყოფა წყვეტდა ამ საკითხს. მართალია, მათ ესმოდათ, რომ ხშირად ქალი ამას თავის ნების გარეშე, გამტაცებლების ზენოლით ამბობდა, მაგრამ ჩათვალეს, რომ მტრობას, განხეთქილებას, გვარების ერთმანეთზე გადაკიდებას შერიგება სჯობდა – საუკეთესო ომს ცუდი მშვიდობა სჯობიაო.

მაგრამ საქმე აქ როდი დასრულდა. მიუხედავად ამდენი დათმობისა, გნებავთ თავის დამცირებისა („სასიძოს“ პაპამ ადათობრივ

სასამართლოზე, რომელიც პირველი გატაცების დროს შედგა, განაცხადა, რომ თქვენი ქალი სულაც არ მჭირდება, ძალადაც რომ მოინდომოთ), „სიძემ“ პრეტენზია განაცხადა, ცოლის ერთ-ერთმა ნათესავმა სილა გამაწნა და არ შევარჩენო და ეჩსუბა. ამას მოჰყვა ხანგოშვილების ახალგაზრდების მიერ „სიძის“ ცემა. დაირღვა ძლივს დამყარებული მშვიდობა, მოხდა მარგოშვილებსა და ხანგოშვილებს შორის დაპირისპირება. სიმართლე უნდა ითქვას, რომ მარგოშვილები ამტკიცებდნენ, ქალიშვილი თანახმაა გამოჰყეს, მაგრამ მშობლების ეშინია და გატაცების ინსცენირება ხდებაო. მაგრამ ქისტური ადათ-წესის მიხედვით, ქალიშვილის მამასა და ძმას უფლება აქვთ, ნეპართვის გარეშე გათხოვილი ქალი დაპრუნიონ, და კიდევ, დიდ სირცხვილად და უზნეობად ითვლება სიძის მიერ ცოლეურების უპატივცემლობა. პრინციპი ასეთია: თუ კაცი ხარ, რატომ გიზის ცოლად იმ ხალხის ასული, რომელთაც პატივს არ სცემ, ისინი ხომ შენი შვილების დედეულები არიან. ხოლო დედეულების და ცოლეურების პატივისცემა, მათდამი მორიდება და მოკრძალება ზრდილი ვაჟკაცისთვის („უეზდ ყუენახ“) აუცილებელია.

დიდი დროც არ გასულა, სიძემ ცოლის ნათესავს, რომელიც მის ცემაში მონაწილეობდა, ამხანაგებთან ერთად ცემა დაუპირა. ის ავტომატით იგერიებდა თავდამსხმელებს, წინ, ფეხებში აუტეხა სროლა და ასხლეტილი ტყვიით სიძე მუცელში მძიმედ დაიჭრა და მისი ბიძაშვილიც მხარში მსუბუქად დაიჭრა. მარგოშვილებმა შეიპყრეს თ. ხანგოშვილი, ტყვედ წაიყვანეს და გომურში დააბეს საქონლის ბაგაზე. თუ მის მიერ დაჭრილი დაილუპებოდა, მასაც მოკრლავდნენ. ეს გასაგებია, მაგრამ დატყვევებული კაცის ღირსების შელახვა, მისი შეურაცხყოფა, ძალადობა კაცზე, რომელსაც არ ძალუძს თავის დაცვა, არათუ ქისტებისთვის, ყველა კავკასიელისთვის მიუღებელია. ცხადია, ხანგოშვილებს შეეძლოთ რომელიმე მარგოშვილი ასევე ტყვედ აეყვანათ, მაგრამ, რადგან დაჭრილი სიძე მძიმედ იყო, თავი შეიკავეს. ახალგაზრდებს ეს ძალუძდათ, არც წარმოადგენდა სირთულეს, მაგრამ უხუცესებმა ნება არ მისცეს. ტყვე მეორე თუ

მესამე დღეს გამოუშვეს, როგორც კი დაჭრილი უკეთ გახდა.

შედგა ადათობრივი სასამართლო, მხარეები მორიგდნენ, მაგრამ მარგოშვილების მიერ ხანგოშვილების ქალების გატაცებათა სერიალი დაიწყო. დატყვევებულის და, სკოლის მოსწავლე გაიტაცეს. როგორც ზემოთაც ითქვა, მარგოშვილებში ჩამოყალიბდა გამტაცებელთა კარგად დახელოვნებული ჯგუფი, რომლებიც როგორც კოვბოურ ფილმებში, ისე ახორციელებდნენ ამ პროცესს. აქაც იგივე ახალგაზრდები ფიგურირებდნენ, რომელთაც წინა ორი გატაცება მოაწყეს, მათ რა ენაღვლებოდათ, ყველაფერზე „ნეფე“ აგებდა ხოლმე პასუხს.

ამჯერად გატაცების აქტმა უსისხლოდ არ ჩაიარა. მათ სროლითა და ზარ-ზეიმით სახლში მიიყვანეს, მაგრამ, რადგან ვერ შეძლეს გოგონას დათანხმება, ტყისკენ წაიყვანეს. გოგონამ ეშმაკობას მიმართა: არ გინდათ ჩემი წვალება, სახლში წამიყვანეთ და ვიტყვი, რომ ჩემი ნებით გამოყევით. ახალგაზრდები მოტყუდნენ, წინა ოპერაციები რახან მათი წარმატებით მთავრდებოდა, აქაც თავდაჯერებულები იყვნენ და გამობრუნდნენ. გზაში მდევარი შეხვდათ, მოხდა ქალიშვილთან დაპირისპირება და მანაც კატეგორიულად განაცხადა, ძალით წამომიყვანესო. ქალი წაართვეს გამტაცებლებს და დაბრუნდნენ.

საქმე აქ უნდა დამთავრებულიყო. ქალიშვილის მამამ შეკრებილ შეიარაღებულ ახალგაზრდებს უთხრა, რომ რახან გოგონა უვნებლად დავიბრუნეთ, თქვენი ჩარევა არ არის საჭირო, წესისა და ადათის მიხედვით გავარჩევთ საქმესო. მაგრამ, როცა ახალგაზრდებმა შეიტყვეს, რომ გამტაცებლები იგივე ხალხი იყო, რომლებიც მონაწილეობდნენ წინა გატაცებებშიც, ჩასხდნენ მანქანაში და მათთან შესახვედრად გაქანდნენ.

სამწუხაროდ, სოფლის განაპირას შეხვდნენ ზემოდან მომავალ მანქანას, იცნეს, გადმოხტნენ და იარაღი მოიმარჯვეს. გამტაცებლები მიხვდნენ, რაც მოელოდათ და სოფლისკენ შეაბრუნეს მანქანა. ხანგოშვილებმა ავტომატებიდან მანქანას სროლა აუტეხეს, რომელიც გზაზე მიქროდა. გამტაცებლებს ჰქონდათ ავტომა-

ტი, მაგრამ, როგორც მერე თქვეს, ტყვიები გათავებოდათ. თუმც ყველაფერი ისე სწრაფად მოხდა, შესაძლებელია, ვერც მოასწრეს გამოყენება.

გამტაცებლები ჩიხში შევიდნენ, გატაცებული ქალიშვილის პაპის ძმის ეზოში შეცვივდნენ. ესეც ბედის ირონი! მანქანიდან გადმოხტნენ და გაიქცნენ. ერთი ახალგაზრდა მანქანიდან გადმოვარდა, დაჭრილი იყო და გაქცევა არ შეეძლო. მოცვივდნენ თავდამსხმელები და ცემა დაუწყეს დაჭრილს. სახლის პატრონი, გატაცებული ქალიშვილის პაპის ძმა გადაეფარა დაჭრილს, დაუყვირა ახალგაზრდებს, ჩემს კარ-მიდამოშია კაცი და ხელი არავინ ახლოსო.

ერთ-ერთმა სროლის მოთავემ მათ მანქანას ძრავის საფარზე ჯერი მიუშვა ავტომატისა და ძრავა დაუზიანა. მდევარმაც უარი თქვა დაჭრილის სავადმყოფოში წაყვანაზე და სახლებისკენ წავიდნენ. დაჭრილი საავადმყოფოში წაიყვანეს, მძიმედ იყო დაჭრილი, ტყვია საბარგულიდან გასულიყო, წინა სავარძლის საზურგე გაევლო და წელში მოხვედროდა. ჭრილობა მძიმე იყო, თითქმის მეტრომდე ნაწლავი ამოაჭრეს და საბედნიეროდ, სიკვდილს გადარჩა.

ხანგოშვილების ახალგაზრდებმა დიდი შეცდომა დაუშვეს, მათაც უგულებელყენ ქისტური ადათ-წესები. ჯერ ერთი, გაქცეულ ხალხს არ უნდა ესროლო, ქისტური წესით დაუშვებელია ზურგში სროლა.

მეორე, დაჭრილი კაცის ცემა სამარცხვინოა, დაჭრილის კი არადა წაქცეული კაცის ცემაც კი მიუტევებლია ვაჟკაცისთვის.

მესამე, გაქცეულებმა თავი შეაფარეს შენს სახლს, ე.ი. ის უკვე შენი სტუმარია. მას კი არ უნდა სცემო, არამედ უნდა დაიცვა.

მეოთხე, მანქანა დაუზიანე, რომლითაც დაჭრილი უნდა მიიყვანონ საავადმყოფოში. მაშინ შენი მანქანით უნდა მოემსახურო, ის ხომ დაჭრილია, უმწეო და თანაც შენს სახლს შეაფარა თავი შენგან დევნილმა.

დიახ, საძაგლად მოიქცნენ და სამაგიეროც მიიღეს. თავს იმით იმართლებდნენ, მანქანის საბურავებს ვესროდით, სულაც არ ვა-

პირებდით ვისმეს დაჭრას ან მოკვლასო. როცა ვცემდით გამტა-ცებელს, არ ვიცოდით, რომ დაჭრილი იყონ და ა.შ. გადაჭარბებულ აგრესიას იმითაც ასაბუთებდნენ, რომ სწორედ მან, გატაცებული ქალიშვილის ძმა დააბა გომურში საქონლის ბაგაზე და ა.შ. რა მიზეზიც არ უნდა არსებობდეს, უპირველეს ყოვლისა, უნდა და-იცვა კაცის ღირსება.

საქმე ამით არ დასრულებულა. ერთ-ერთ ჩხუბის მონაწილეს, ე. ხანგოშვილს ესროლეს ოჯახში ავტომატი, როცა ოჯახის წევრებთ-ან იჯდა და დედის მხარზე ედო მკლავი. სწორედ ამ მკლავში მო-არტყეს ტყვია და ხელი დაუსახიჩრეს.

შედგა ადათობრივი სასამართლო, მაგრამ განაჩენს არ დაე-მორჩილნენ მარგოშვილები. უხუცესებმა ძალ-ლონე არ დაიშურეს, მაგრამ შერიგებას ვერ მიაღწიეს, დაპირისპირება გაგრძელდა, შემ-დეგ კვლავ მოხდა ჩხუბი, გატაცებული ქალიშვილის ძმა დანით დაჭრეს. არ გაუვლია დიდ დროს, მანქანით სახლის წინ გაიარა ერთ-ერთი გამტაცებლის ძმამ, თარხანის დამჭრელმა. თარხანმა, გატაცებული ქალიშვილის ძმამ, პისტოლეტიდან სროლა დაუწყო, მაგრამ ტყვია გაიჭედა ლულაში. მონინაალმდეგემ გაქანებული მან-ქანიდან ესროლა და მუცელში დაჭრა. საბედნიეროდ, გადარჩა და გამოჯანმრთელდა.

დაპირისპირება გრძელდებოდა. ავტომანქანის მძლოლი მოიხ-ელთეს მატანში, მაგრამ სიმხდალე გამოიჩინა და გაუშვეს, არ იკადრეს ხელის გასვრა.

გავიდა დრო. გაიზარდა გატაცებული ქალიშვილის (ის უკვე გათხოვდა და შვილებიც (ჴყავდა) უმცროსი ძმა. ერთ ღამესაც თანამოაზრებთან ერთად მიუხტა დის გამტაცებელს ოჯახში და სასტიკად სცემეს. გამოჯანმრთელების შემდეგ ახლა ის მიუხტა სახლში მონინაალმდეგეს ნათესავებთან ერთად და ცემა დაუპირეს, მაგრამ იგი მომზადებული დაუხვდა და სროლა აუტეხა პისტოლე-ტით. მართალია, ჩასაფრებულებმა ხელკეტის დარტყმით პისტო-ლეტი დააგდებინეს, მაგრამ რამაზი სახლში შევარდა და თოფი გამოიტანა. თავდამსხმელებმა გაქცევით უშველეს თავს, ერთ-ერ-

თი მხარში მსუბუქად დაიჭრა.

ამჯერად საქმე პოლიციამდე მივიდა. მართალია, ხანგოშვილების თავდასხმასაც იძიებდა პოლიცია, მაგრამ დაზარალებულს არ უჩივლია და გადარჩნენ. ამჯერად პოლიციამ მოატყუა თავდამსხმელები, საჩივრის შემცველი ჩვენება ჩამოართვეს და რ. ხანგოშვილი დაიჭირეს და 3 წელი მიუსაჯეს.

რ. ხანგოშვილი ერთ წელინადში გამოვიდა, მისი საქმე შეკერილი იყო, ისე მოაწყეს, თითქოს ჩხუბი მოხდა გზაზე და არა ეზოში.

დაპირისპირება 13 წლის განმავლობაში მიმდინარეობდა და ვითარება ისე იყო დაძაბული, რომ აქვარად ჩანდა, ცუდად (მკვლელობით) დამთავრდებოდა. უხუცესები კვლავ ჩაერიგნენ და შეძლეს, ადათობრივ სასამართლომდე მიეყვანათ საქმე. ხანგოშვილებმა ითათბირეს და გადაწყვიტეს, წასულიყვნენ დათმობაზე, რადგან სხვანაირად შეუძლებლი იყო მშვიდობის დამყარება.

მოხდა შერიგება, შეწყდა მტრობა ორ გვარს შორის. ეს მაგალითები იმიტომ მოვიყვანე, მკითხველს არ დაევინებინა მოსალოდნელი შედეგები, რაც შეიძლება მოჰყვეს ქალზე ძალადობას. ადამიანის დანიშნულებაა, შექმნას ოჯახი, აღზარდოს შვილები, რომლებიც გამოადგებიან ოჯახს, სოფელს, ქვეყანას. თუ არ იქნება თანხმობა ოჯახში, თუ არ იქნება სიამტკბილობა ცოლ-ქმარს შორის, ღირსეულ შვილებს ვერ აღზრდიან და ვერ შეასრულებენ ამ ღვთიურ დანიშნულებას. ძალით შექმნილი ოჯახი არ არის და არც იქნება მყარი, ძალდობრივ ოჯახში ვერ აღიზრდებიან ქვეყნის ღირსეული შვილები.

ქალს უდიდესი როლი აკისრია ოჯახში, შვილების აღზრდაში. ამიტომ მას პატივი უნდა ვცეთ, ანგარიში უნდა გავუწიოთ მის აზრს.

ქისტებში დიასახლისს უწოდებენ „ჰუსამ ნაან“, ოჯახის დედას, რაც მეტყველებს მის დიდ როლზე ოჯახში. მას ასევე ჰქვია ცეცხლისა და სახლის დედა („ნი ნაან“, „ნინ ნაან“). ნიშანდობლივია, რომ ქალისადმი უპატივცემლობა ძვირად უჯდება თავხედს, განსაკუთრებით შეურაცხმყოფელია კაცისთვის, როცა მის ახლობელ ქა-

ლებს (დედას, ცოლს, დას, რძალს და ა.შ.) უდიერად მოიხსენიებენ, უზნეო სიტყვებს აკადრებენ. კაცი, რომელიც საუბრობს სხვის ქალებზე, ფრთხილად უნდა იყოს, ისეთი რამე არ წამოსცდეს, რაზეც პასუხისმგება მოუწევს. შეიძლება, იცოდეს კიდეც ქალის უზნეო საქციელის შესახებ, მაგრამ ამას ხმამაღლა ვერ იტყვის. იტყვის და უნდა დაამტკიცოს კიდეც. თუ ვერ დაამტკიცებს, მაშინ მოუწევს მიყენებული შეურაცხყოფის შესაბამისად დაიფიცოს, თანაც ეს დაფიცება ხდება სახალხოდ.

ყოვლად დაუშვებელია ქალის თანდასწრებით ბილწსიტყვაობა. ასეთი ქმედება მიჩნეულია ქალის შეურაცხყოფად (თუნდაც ეს სიტყვები მიმართული არ იყოს ამ ქალისადმი), ქალის პატრონის შეურაცხყოფად და დაუყოვნებლივ მოჰყვება რეაგირება. კაცმა უნდა იცოდეს, სად იმყოფება, რა საზოგადოებაში, რაზე უნდა იღაპარაკოს და როგორ უნდა ილაპარაკოს. წინააღმდეგ შემთხვევაში პრობლემები შეექმნება.

პრობლემები შეექმნება კაცს მაშინაც, თუ ქალთან ურთიერთობაში დარღვია ეთიკური ნორმები, განსაკუთრებით იმ შემთხვევაში, როცა არღვევს ნათესაურ დამოკიდებულებას ახლობელ ქალებთან, სჩადის ამორალურ საქციელს. ამ დროს საზოგადოება გარიყავს კაცსაც და ქალსაც, მაგრამ, პირველ რიგში, პასუხისმგებლობა ეკისრება კაცს, რომელიც უღირსად მოიქცა. ადრეც აღვნიშნე, რომ ქისტური სამართალი კაცს სთხოვს პასუხს მისი ნათესავი (დედა, და, ცოლი და სხვ.) ქალის დანაშაულზე. ხოლო თუ მრუშობა ჩაიდინა, საყოველთაო ზიზღს იმსახურებს, ასეთ კაცს სოფელში არ დაედგომება.

მათე ალბუთაშვილს მოჰყავს ასეთი მაგალითი: „ზნეობრივი მხარე ქისტი კაცისა სამაგალითოდ მტკიცეა, სოფელში მრუში დედაკაცი შეუწყნარებელია. ამ მიმართულებით სიფრთხილე და თავდაჭერილობა ორივე სქესის ახალგაზრდებს მართებთ ხალხის შერისხვის შიშით. სოფელში ძლიერ ძრახვენ ამისთანა ადამიანებს.“

ხალხში ზღაპრად არის დარჩენილი ერთი უზნეო მაგალითი, რომელიც მომხდარა წინათ დუისში. ერთი კაცი შემცდარა თავის

ცოლის დაზე, ქალი დაორსულდა. კაცმა რომ გაიგო, გადავიდა პირიქით ქისტებში, ქალიც თან გაიყოლა.

სოფელმა გაიგო და ორი სოფლის შუა ჯვარედინს გზაზე საქოლავი ააშენა. დაწყევლილ-დარისხული იყო, ვინც იქ გავლა-გამოვლისას ქვას არ გადააგდებდა და არ იტყოდა: „შეჩვენებული იყოს ჩეფალა და ბაყატი“ (მათი სახელები).“

როგორც ზემოთაც აღვნიშნე, ქისტებში განსაკუთრებული პატივისცემით სარგებლობენ დედეულები. საიდან მომდინარეობს ეს პატივისცემა? რა თქმა უნდა, დედისგან, ე.ი. ქალისგან. დედის ნათესავი, ასაკით უმცროსიც რომ იყოს, პატივით სარგებლობს, მას დედის ძმას ეძახიან და დროულიც კი წამოუდგება ხოლმე ფეხზე.

მოხუცი ქალები, ბრძენი ქალები თითქმის იმავე უფლებებით სარგებლობენ, როგორც უხუცესი კაცები, მათ ახალგაზრდები ფეხზე წამოუდგებიან ხოლმე, პატივით მოხსენებენ, რჩევას ეკითხებიან. ქალებმა ასეთი პატივისცემა კარგი ქალობით, სინდის-ნამუსითა და საჭირო შემთხვევაში ვაჟკაცობის გამოჩენით მოიპოვეს.

სოფ. დუისში დიდი პატივისცემით სარგებლობდა სოსმი ხანგოშვილი, რომელიც გაურგაშვილებში იყო გათხოვილი. თავის ჭკუის, მტკუცე ხასიათისა და გონივრული რჩევების წყალობით დიდი ავტორიტეტი დაიმსახურა როგორც ქმარეულებში, ისე თანასოფლელებში.

საბჭოთა წყობილების დამყარების შემდეგ გაკულაკების კამპანიამ პანკისშიც შეაღწია. სოსმის ქმარიც მოხვდა კულაკთა სიაში და გასახლება მოელოდა. დატრიალდნენ გაურგაშვილები, შუამავლიც მოძიებნა და სახელმწიფო მოხელეც, რომელიც დათანხმდა, ამოელო სიიდან პ. გაურგაშვილი, თუ საჭირო თანხას გადაიხდიდნენ.

მიღწეულ შეთანხმებაზე აცნობეს სოსმის, რომელმაც დაავალა, მოენახათ ფული. მაგრამ იმ პერიოდში, როცა ყველას უჭირდა, ასეთი დიდი თანხის მოძიება ძალიან ძნელი იყო და საღამოს დაღვრემილი ქმარეულები წარდგნენ სოსმის წინაშე.

– სადაც კი იმედი გვქონდა, ყველას მივაკითხეთ. ამდენი ფულის მქონე პანკისში ვერ მოიძებნა, ყველგან ვიყავით, ვისთანაც კი მიგვესვლებოდა.

სოსმი ჩაფიქრდა, თვალი მოავლო თავჩაქინდრულ გაურგაშვილებს, რომლებიც დარცხვენილები იდგნენ, რადგან ვერ შეძლეს რძლის დავალების შესრულება.

– კარგით, თაგა ზევით ძალა არაა, თქვენ ეცადეთ საცდელი, მაგრამ ყველაფერი მაღლა, ცაში წყდება, თუ ალაპი ინებებს, დავიხსნით ჩვენს კაცს. ახლა დაიშალენით, დაისვენეთ და კიდევ ეცადეთ, ხვალ დილით შევხვდებით.

სალამო ხანს შინაურები გააფრთხილა, ამაღლამ შინ არ ვიქნები, საქმე მაქვს, მამაჩემთან ავალო და გავიდა. ვახშმობის დრო იქნებოდა, როცა თელავში მიადგა ნაცნობ სომეს ვაჭარს, რომელსაც მეგობრული ურთიერთობა ჰქონდა მათ ოჯახთან.

სოსმიმ ადიდებული ალაზანი გადალახა, სოფ. წინუპანი გაიარა, ფიჩხოვანის უღელტეხილზე გადავიდა, გადაკვეთა სოფ. ფიჩხოვანი, ქვემო ალვანი, კვლავ გატოპა ალაზანი და ოუიოს გავლით ჩავიდა თელავში.

ოჯახის მეგობარმა საჭირო თანხა მისცა და უთხრა:

– რძლო, ამაღლამ მოისვენე, დილით „ლინეიკას“ დავიქირავებ და გაგისტუმრებ სახლში.

– არა, მაზლო, ამაღლამ უნდა დავბრუნდე სოფელში, ხვალ დილით ეს თანხა უნდა ჩაბარდეს ადრესატს, თორემ საქმე გაფუჭდება.

მასპინძელი მოემზადა, მაშინ გაგაცილებო. სოსმიმ იუარა, მაგრამ მასპინძელმა არ დაიშალა და გაჟყვა. როგორც კი სახლს გამოსცდნენ, სოსმიმ დააძრო უბიდან ნაგანი და უთხრა ვაჭარს:

– აქ მთავრდება ჩვენი სტუმარმასპინძლობა. გიბრძანებ, უკან გაბრუნდე. მე რომ გამცილებელი დამჭირებოდა, დუისიდან გამოვიყოლებდი. როგორც მოვედი მარტო, ისე მარტო დავბრუნდები.

მაღლალი ქალი იყო სოსმი, ძარღვიანი, მამაცი და შეუპოვარი. უკან იმავე მარშრუტით წამოვიდა და გათენებამდე დაბრუნდა,

სახლში უჩუმრად შევიდა და დაწვა. დილით გააღვიძა ქმარი და უთხრა, შეეკრიბა თავისი ნათესავები. დილით გამოცხადდნენ გაურგაშვილები გუშინდელივით ხელცარიელები და გუშინდელზე უფრო შეცბუნებულები. სოსმიმ დამცინავად შეათვალიერა კაცები, მიხვდა ყველაფერს და უთხრა:

— ვხედავ, ვერაფერი მოგიხერხებიათ, რას იზამ, თუ ბედი არ გწყალობს, ფულს კი არა, საქალამნე შოლტსაც ვერ იშოვი. — შემდეგ უბიდან ფული ამოილო, გვარის უფროსს მიაწოდა, — აიღე ეს ფული, სასწრაფოდ ჩაიტანე ახმეტაში და მიეცი შუამავალს.

ეს თქვა, ერთი კიდევ შეხედა შეცბუნებულ, მაგრამ გახარებულ ქმარეულებს და შინ შებრუნდა. ასეთ ქალზე იტყვიან ქისტები: „დაჯდება ქალია, ადგება — ვაკეაცი“.

სოფ. დუისში ცხოვრობდა ჰალიმათ გაურგაშვილი, რომელმაც მრავალი ჭირ-ვარამი ნახა, მაგრამ მოვალეობისათვის, ქალის ღირსებისათვის არასოდეს უღალატია. ახალგაზრდა გათხოვდა, მეორე მსოფლიო ომი დაწყებული იყო და ერთად ცხოვრების ორიოდე დღის შემდეგ ჰალიმათის ქმარი ომში გაიწვიეს. ასევე ომში წავიდა მისი ცოლშვილიანი უფროსი ძმაც, უმცროსი უკვე გარდაცვლილი ჰყავდა. მისი ჩვილი ბავშვიც გარდაიცვალა, გარდაიცვალა ფრონტზე წასული უფროსი ძმის ცოლიც და ხუთი ბავშვი, წვრილშვილი ობლად დარჩა.

ჰალიმათი მთელი ომის განმავლობაში ქმრის ოჯახში იმყოფებოდა, ასრულებდა რძლის მოვალეობას, ამავე დროს, პარალელურად უვლიდა ძმის ობლებს, რომლებისთვისაც ის მამიდაც იყო და დედაც. ომის დამთავრების შემდეგ ძმაც და ქმარიც უგზო-უკალოდ დაკარგულებად გამოცხადდა. ჰალიმათმა გადაწყვეტილება მიიღო: დაბრუნებოდა მამის ოჯახს და ობოლი ძმისშვილები გაეზარდა. მან თხოვნით მიმართა ქმრის ოჯახს, ნება მიეცათ, დაბრუნებოდა მშობლების ოჯახს. მათაც დიდსულოვნად თანხმობა მისცეს, მადლობა გადაუხადეს ქმრის ლოდინისათვის და გაუშვეს სახლში.

მულხაუხერელად შრომობდა ჰალიმათი. დღისით საკარმი-

დამო ნაკვეთში მუშაობდა, პარალელურად კოლმეურნეობის მინდვრებში შრომობდა, ღამე მატყლს ჩეჩიდა, თელავდა, ნაბდის ქუდებს აკეთებდა და ყიდდა. ასეთი გარჯით გაზარდა ობლები, მარტოხელა ქალმა (დედაც გარდაეცვალა, გასათხოვარი დაც) შეძლო ეზიდა ოჯახის უფროსის, კაცის უდელი და ლირსეული ადგილი დაიკავა საზოგადოებაში.

ბედულუკმართობამ, ახლობლების სიკვდილმა, მწარე მოგონებებმა თავისი დალი დაასვა. ფიზიკურად არ დაბეჩავებულა, მაგრამ ფსიქიკურმა გადაცდომებმა იჩინა თავი, მუდმივ შიშის განიცდიდა, ნათესავების, მეზობლების, თანასოფლელების უბედურებას ითვისებდა, სულ სიკვდილის შიშში იმყოფებოდა. ასე გრძელდებოდა მრავალი წელი.

ფსიქიკური აშლილობა დროებითი იყო, უმეტეს შემთხვევაში წყნარად იყო. ასე იცხოვრა უკანასკნელი წლები და 92 წლის ასაკში გარდაიცვალა. დიდი პატივისცემით სარგებლობდა ხალხში, დაფასებული იყო მისი ნათესაური გრძნობა, სხვისი ჭირის გაზიარების მოთხოვნილება, მისი თავდადება ოჯახისადმი.

სოფელში ყველა მამიდას ეძახდა, ყველა მზად იყო, ესია-მოვნებინა მისთვის, რჩევა ეკითხა. სალხინო სუფრაზე მის სადლე-გრძელოს სვამდნენ, ქალის ლირსეული ცხოვრების მისაბად მაგალითად მიაჩნდათ და მიაჩნია დღესაც ქისტ კაცს.

ქისტური ადათით ქალი პატივს სცემს მამაკაცს, იცის, რომ ის არის ოჯახის უფროსი, დამცველი, ოჯახში შემომტანი და რაც ყველაზე მთავარია, კაცი გამუდმებით იცავს ქალის ლირსებას, ქალის სინდის-ნამუსის დამცველია. ქისტის ქალმა იცის ეს და ოჯახ-სა და საზოგადოებაში ყოველთვის მორიდებითა და მოკრძალებით იქცევა. ქუჩაში თუ მამაკაცმა ჩაიარა და ქალები სხედან, ასაკით უფროსებიც რომ იყვნენ, აუცილებლად წამოდგებიან. გზაში თუ შემოხვდა კაცი, გზის პირზე გადადგება და დაელოდება კაცის ჩავლას და მერე განაგრძობს გზას. ეს ადათი შეუნიშნავს გაბრიელ ჯაბუშანურსაც:

„ქისტის ქალები წყაროზე მიდიან,
მიბაასობენ ხმით ნარნარით, გაუბედავით,
ერთბაშად თითქოს ამოძვრა მიწიდან, –
ბილიკზე გამოჩნდა მხედარი!
შეჩერდნენ ქალები, ჩამოდგეს კუმგანები,
გზის პირას გამნკრივდნენ, როგორც ყვავილნი, და
იდგნენ ასე, სანამ ვაჟკაცი გაივლიდა,
თვალებდახრილნი... მორცხვად, სულგანაბვით...“

ქისტის ქალი არასოდეს ჩაერევა მამაკაცთა საუბარში ნებართვის გარეშე. ოჯახშიც კი, სადაც თავისუფლად გამოთქვამს თავის აზრს, სტუმრის თანდასწრებით ქმარსაც კი არ მისცემს შენიშვნას. თუ რომელიმე საქმის გარჩევა მიდის და დიასახლისმა იცის სინამდვილე, მხოლოდ შუამავლის საშუალებით ჩაერევა ბააში.

ქალის პატივისცემა როდი რჩება უყურადღებოდ მამაკაცების მხრიდან. ფეხზე წამოდგომის დროს მამაკაცი შეანელებს ნაბიჯს, მადლობას გადაუხდის და ისე გაივლის. ქალის მიერ გზის დათმობის დროსაც ყურადღებას მიაქცევს, მადლობას გადაუხდის, მოიკითხავს და ისე გაივლის. ერთი სიტყვით, ქალისა და მამაკაცის ურთიერთპატივისცემა ერთ-ერთი საუკეთესო ადათია ქისტურ თემში, რომელიც განსაზღვრავს ზნეობრივ სიწმინდეს. ქალი ყოველთვის ფიქრობს იმაზე, რომ ისეთი რამ არ ჩაიდინოს, რაც ჩირქს მოსცხებს მისი ოჯახის მამაკაცებს, გვარსა და ნათესავებს.

ქისტი მამაკაცების პატივისცემა ქალის მიმართ შეუმჩნეველი არ დარჩენიათ მეზობელ ხალხებს. ამაზე მეტყველებს თუნდაც ანა კალნდაძის ლექსი „ნათელა ბალიაურის მონაწერი“, სადაც ხევსურ ბერდედას მოჰყავს ქისტებისა და ხევსურთა შეტაკების ეპიზოდი. ქისტებმა დაღუპულ მებრძოლთა შორის იცნეს ქალი და სათანადო პატივი მიაგეს:

„ბევრ ახსოვთ სისხლი ამ ხეობებს
გზათა ვიწროთა...“

ვაჟკაცის ფასი... ჩვენც ვიცოდით
 ქისტმაც იცოდა.
 (კარგად არჩევდნენ მეტოქეები
 გმირსა და ლაჩარს!):
 მფრის გვამთა შორის...
 იცვნეს დიაცი,
 როს დასწვდნენ ჩაჩქანს...
 ხელი არახლეს იმის იარაღს
 ამ წმინდა ძალით, –
 გვერდით დაუდეს ჩაჩქანთან ერთად
 თავისი ხმალი...
 იცოდა ქისტმაც ვაჟკაცის ფასი,
 მასზე წუხილი, –
 მკვდრებს არ შესწირეს ხევსური ქალი,
 ხელ არ უხლიათ...
 ეს, ამღას იყო...“

სოფ. დუისში ცხოვრობდა განთქმული მოჭიდავე რამაზ გაურ-გაშვილი, მეტსახელად „ხოხია“. კარგად მახსოვს, როცა ხოხია საჭიდაოდ გამოდიოდა, მთელი ხალხი მოაწყდებოდა ხოლმე საჭიდაო არენას და უხუცესებს ჯოხების ტრიალი სჭირდებოდათ, რომ მოჭიდავეებისთვის წრე გაეფართოებინათ. ბავშვებს მაშინვე მოარიდებდნენ წინა რიგებს, რომ ფალავნებს არ გაეჭყლიტათ.

ხოხიას ბევრჯერ უსახელებია თანასოფლელები, სირცხვილის-განაც გადაურჩნია, როცა გამოჩნდებოდა მეზობელი სოფლებიდან ძლიერი მოჭიდავეები და ქისტების ფალავნებს უგებდნენ. ასეთ დროს ხოხია „გაჭირვების ტალკვესი“ იყო, დინჯად შემოვიდოდა წრეში, აუღელვებლად იდგა ერთ ადგილას, მოთმინებით ელოდა მოწინააღმდეგეს და ყოველგვარი პომპეზურობის გარეშე დინჯად ჭიდაობდა. ერთი ცუდი ზნე სჭირდა, ყოველთვის ნასვამი იყო და სწორედ ამან განაპირობა კიდევ მისი კარიერის შეწყვეტა საჭიდაო ასპარეზზე.

იმ ხანს აბანოსკენ, მთათუშეთში მიმავალი გზა გაჰყავდათ. ხოხიამ შეკრიბა ბრიგადა და გზის მშენებლობაზე მუშაობა დაიწყო. ერთხელ მუშები ისვენებდნენ, საკლავი დაეკლათ და ქეიფობდნენ, გზაზე მომავალი კაცი და ქალი შენიშნეს, ეტყობა, ბარში იყვნენ, ივაჭრეს და მთაში ბრუნდებოდნენ. კაცი წინ მოდიოდა, ჩონგურს („ბალალაიკას“) უკრავდა და თან ლეკურ სიმღერას გაჰყიოდა, ჩანდა, კარგა გადაკრულში იყო. უკან ქალი მოსდევდა, მძიმე ხურჯ-ინგადაკიდებული, კისერზე ახალი რუსული სალდათური ჩექმები გადაეკიდა, ოფლში გახვითქული მოსდევდა კაცს.

ხოხიამ ცერად გადახედა ცოლ-ქმარს და როდესაც გაუსწორდა, კაცს დაუძახა:

– მოდი, სუფრაზე გვეწვიე, სუფრა დაგვილოცე.

ლეკი სიხარულით წამოვიდა, ქალი კლდის ძირში მიჯდა, ხურჯინიც არ ჩამოუხსნია მხრიდან, არაქათგამოცლილი მიეყუდა კედელს. ხოხიამ კაცს სამი ჭიქა დაალევინა. ამასობაში ერთ-ერთ თანამეინახეს უთხრა, ქალს პური და ხორცი მიუტანეო.

როცა კაცმა მესამე ჭიქა დალია, ერთიც ამლერა „ბალალაი-კაზე“, წამოდგა, მგზავრსაც უბრძანა წამოდგომა და ქალისკენ გაემართა. უსიტყვოდ დასწვდა ხურჯინს, სათამაშოსავით აიტაცა და გაოცებულ კაცს მხარზე გადაჰყიდა. შემდეგ ჩექმებიც ჩამოხსნა ქალს კისრიდან და ქმარს კისერზე გადაჰყიდა, ისე, როგორც ქალს ეკიდა. ცალი ჩექმა მკერდის ცალ მხარეზე, მეორე – მეორე მხარეზე

ქალი გაოცებული უყურებდა კაცსაც პირი დაეღო, მაგრამ ხმა ვერ ამოელო. საშიში შესახედავი იყო ბუმბერაზი ხოხია და დიდ თვალებსაც დევივით აბრიალებდა. ის მიუბრუნდა ქალს და ეკითხება:

– დაო, ბალალაიკის დაკვრა თუ იცი.

ეტყობა, ქალმა ქართული ცუდად იცოდა – ვერ მიხვდა, რას ეუბნებოდა ვეება კაცი მაშინ ხოხიამ ბალალაიკა გამოართვა გაოგნებულ კაცს და ქალს მიაწოდა და ანიშნა, დაეკრა, ქალმა გაიღიმა, თითები ჩამოჰყრა და მელოდია ააჟღერა.

კმაყოფილმა ხოხიამ თავი დაუკრა, ქმარს მიუბრუნდა და ეუბნება:

— კარგად მომისმინე, ჩემს ნათქვამს არ გადაუხვიო, თორემ მოგნახავ, ვიცი, სადაც ცხოვრობ (სინამდვილეში წარმოდგენაც არ ჰქონდა მის საცხოვრებელ ადგილზე), მოგნახავ და მოგკლავ. ასე ივლი ტვირთიანად ომალომდე, არ გაბედო, ქალს უდიერად მოექცე. ქალის ფასისა რა იცი, შე რეგვენო.

მერე ქალს მიუბრუნდა და ანიშნა, დაეკრა და ქმარს მიჰყოლოდა, გაოგნებულ ლეკს მხარზე მძიმედ ხელი დაჰკრა და დაჰყვირა:

— აბა, მარშ, იარე, გზა შშვიდობისა! — იცოდე, ბარისკენ მომავალ ყველა მგზავრს შევეკითხები შენს ამბავს და გაფრთხილებ, არ შეცდე, ჩემს ბრძანებას არ გადაუხვიო.

ცოლ-ქმარი აღმართს შეუყვნენ, ახლა სურათი საპირისპიროდ შეცვლილიყო. ქმარი მძიმე ბარგისგან წელში მოხრილი წინ მიდიოდა, ცოლი უკან მიჰყვებოდა და ბალალაიკას უკრავდა. ხოხიამ შეხედა მოცინარ ამხანაგებს, თავადაც გულიანად გაიცინა და სუფრას შემოუჯდა.

ორიოდე საათის შემდეგ ბარისაკნ მომავალი თუში სუფრაზე მიიწვია და სავალდებულო შემოსწრების სამი ჭიქის დალევის შემდეგ შეეკითხა.

— ძმაო, ცოლი და ქმარი თუ შეგხვდა გზაში?

— კი და ასეთ ამბავს პირველად შევესწარი. ლეკები, მოგეხსენებათ, ცოლებს ვირებივით ამუშავებენ და თავად მცონარობენ. ეს კაცი კი პირიქით მოქცეულიყო: თავად აეკიდა ბარგი და ოფლში გახვითქული მიდიოდა, უკან ცოლი ბალალაიკას უკრავდა და მიჰყვებოდა.

ვიცნობ ამ ცოლ-ქმარს, ქმარი ერთი უქნარა, მსმელი კაცია და ცოლს უდიერად ექცევა, საწყალი ქალი ქალისა და კაცის საქმეს აკეთებს და მაინც დაფასება არა აქვს. გამიკვირდა მისი ასე გამოსწორება და ვეკითხები:

— თიმირ, ჭკუაზე მოსულხარ, კაცო, მომილოცავს.

— ეპტ, კაცო, რას მილოცავ, აბანოსთან ერთი გიუი ქისტი გა-დამეკიდა და ბარგიც მან ამკიდა, ძლიერს გადავურჩი ხათაბალას.

ხოხიამ გულიანად გაიცინა, თანამეინახეებიც აჰყვნენ და თუშს მოუყენენ, თუ როგორ „გამოასწორა“ ლეკი ხოხიამ. ეს ეპიზოდი, ყოველდღიური ბანალური ყოფის ამსახველი, ნათლად გვიჩვენებს, რომ ქისტი კაცი პატივისცემით ეპყრობა ქალს თავისიანსაც და სხვა ეროვნების წარმომადგენელსაც, ეს ვაუკაცისათვის დამახა-სიათებელი თვისებაა, რა ეროვნებისაც არ უნდა იყოს, ყოველ შემ-თხვევაში კავკასიაში ასეთი ვაუკაცების დეფიციტი ჯერჯერობით არ არსებობს.

ქალის მორჩილება კაცის მიმართ როდი ნიშნავს, რომ ის მისი მონაა, მსახურია, არც ერთ შემთხვევაში არ არის ქალის უფლებები უგულებელყოფილი, ქალიც სამაგიეროდ იღებს პატივისცემას კა-ცისგან.

ქალის პატივისცემა დამახასიათებელია კავკასიის ხალხებისთ-ვის. თითქმის საერთოა ადათი, რომლის თანახმადაც სამკვდრო-სასიცოცხლოდ შებმული ვაუკაცები იარაღს დაუშვებენ, როგორც კი ქალი მანდილს ისვრის მათ შორის. ძველად ქისტებში არსებობ-და ასეთი ადათიც: მტრის მიერ დევნილი ან დამარცხებული რო-გორც კი ხელს მოჰკიდებდა ქალის კაბის კალთას, მოწინააღმდეგე შემართულ იარაღს დაუშვებდა.

ბევრს ქალის უპატივცემლობად მიაჩნია, როცა მამაკაცს უკან მისდევს ქალი. ბევრჯერ მომისმენია ირონია ქართველის-გან ამ წესის გამო, მაგრამ თუ ჩავწვდებით ამ ადათ-ჩვეულების აზრს, მივხვდებით, რომ ამას წინ უძლოდა ისტორიული აუცილე-ბლობა. ძველად, მთაში ცხოვრების დროს, როცა ყოველ ნაბიჯზე საფრთხე იყო ჩასაფრებული, ან მტერი ესროდა მოწინავეს, ან ნადირი შეეფეხებოდა და სხვ. მამაკაცი წინ უძლოდა ქალს, იცავდა საფრთხისგან, გზას უკვალავდა თოვლში თუ ბურუსში.

მაგრამ არც იმის თქმა იქნებოდა მართალი, რომ ქალის უფლე-ბები ყოველთვის და ყველაფერში დაცულია. მაგლითად, მემკვი-დრეობის საკითხში ქალი დისკრიმინაციულ მდგომარეობაშია, მშო-

ბლების ქონებაში მას წილი არ უდევს. ფრიად დამაფიქრებელი ამბავია, რომ ქისტურ საზოგადოებაში, სადაც დედა, და, მეუღლე, ქალიშვილები დიდი პატივისცემით სარგებლობენ, მოკლებულნი არიან მემკვიდრეობის წილს. მშობლების უძრავ-მოძრავი ქონება გადადის ვაჟიშვილებზე, მათ შორის თანაბრად ნაწილდება. მამა ვაჟიშვილების თანაბრად იღებს წილს, რომელსაც უტოვებს უმ-ცროს ვაჟს, რომელიც მასთან რჩება, ინახავს მშობლებს და გარდაცვალების შემდეგ მარხავს კიდეც. ქალიშვილებს არ აქვთ არნაირი წილი, გათხოვების დროს მამის სახლიდან მიაქვს მხოლოდ მზითევი, რომელშიც ჩადებულია აგრეთვე მისი ურბეთის თანხაც.

იბადება კითხვა: რატომ არის უგულებელყოფილი ქალის წილი მემკვიდრეობაში, თუკი ქისტურ საზოგადოებაში ქალის უფლებები დაცულია? მართლაც, საინტერესოა, თუ რამ განაპირობა ასეთი უსამართლობა. ბევრი უცხოელი მკვლევარი, განსაკუთრებით რუსი მკვლევრები, მიიჩნევენ, რომ ამის მიზეზი ქალის უფლებების სრული იგნორირებაა, ქალისადმი ვეინახი კაცების დესპოტური დამოკიდებულების, ქალის დაბალი გონებისა და შესაძლებლობის არსებად მიჩნევის შედეგია. მაგრამ ჩვენ ხომ ვიცით, რომ ეს ასე არ არის, ქალის ღირსების დასაცავად ქისტებს თავი გაუწირავთ.

ჩემი აზრით, ამის მიზეზი თეიფურ წყობაში, გვაროვნული ურთიერთობის პრინციპებში უნდა ვეძიოთ. როგორც ითქვა, ქალი როცა თხოვდება, ტოვებს თავის გვარს და ის ხდება ქმრის გვარის წევრი. მართალია, გათხოვილი ქალიშვილი სრულად არ კარგავს კავშირს მშობლიურ გვართან, ეს ბუნებრივიცაა, მისი სისხლით ნათესავები ხომ იქ დარჩნენ, მაგრამ მისი და მისი შვილების ბედი სხვა გვარშია. ამიტომაც მშობლები უარს ამბობენ, უფრო სწორად ადათი, თეიფური სამართალი უარს ამბობს ქალიშვილის მემკვიდრეობაზე. აქვე უნდა აღვნიშნო, რომ პირადად დიდ უსამართლობად, ქალის უფლებების ფუნდამენტალურ დარღვევად მიმაჩნია და ვფიქრობ, რომ უხუცესები უნდა დაფიქრდნენ ამაზე და შესაბამისი გადაწყვეტილება მიიღონ. ადათ-წესი, ადათობრივი სამართალი უნდა შეესაბამებოდეს დროის მოთხოვნებს, უნდა პასუხობდეს

დღევანდელობას.

სანამ ამ თემას გავშლი, უნდა შევეხო ერთ საინტერესო ტრადიციას, რაც ამ ბოლო დროს დამკვიდრდა პანკისელ ქისტებში. როგორც წინასიტყვაობაშიც აღვნიშნე, ვაჰბიტები მთელი ფრონტით უტევენ ქისტურ ადათ-წესებს, ყველანაირად ცდილობენ, შეცვალონ მამაპაპური ადათ-წესები არაბულით, რასაც მეტ-ნაკლებად წარმატებით ახორციელებენ კიდეც. მაგრამ, თუ აწყობთ, თუ მათვის მომგებიანია, მამა-პაპათა ადათებსაც მიმართავენ. მაგალითად, ქალის გათხოვების დროს შარიათის კანონებს იცავენ, ხმაურიან ქორნილებს არ იხდიან, შეიკრიბებიან, პურს შეჭამენ, ჩაის მიირთმევენ და დაიშლებიან. შესარიგსაც და ურბეთსაც ადათის მიხედვით იხდიან. რატომაც არა, იაფი და კარგია. შარიათით საქორნინ შეთანხმება იდება და უნდა გადაიხადო ის თანხა, რასაც მშობლები მოითხოვენ, ივაჭრებენ და შეთანხმდებიან. აქ კი გადაიხდი 520 ლარს და მორჩა, ქალი შენია! მარტო თავად კი არ ირთავენ ქისტის ქალებს ქისტი ვაჰბიტები ადათობრივი წესით, არამედ ჩამოჰყავთ არაბები, თურქები, აჭარლები და რა ვიცი, კიდევ ვინ და ატანენ ჩვენს ქალიშვილებს ცოლად.

მაგრამ ახლა ვნახოთ, როგორ ხდება შარიათის კანონების დაცვა მემკვიდრეობის საკითხში. ყურანი მოითხოვს, დაცულ იქნეს ქალიშვილების უფლებები მემკვიდრეობის საკითხებში. მართალია, ვაჟისა და ქალიშვილის სამემკვიდრეო ნაწილი თანაბარი არ არის, მაგრამ ქალის (ცოლის, დის, ქალიშვილის) ნაწილი გამოკვეთილია და მის იგნორირებაზე მკაცრი სასჯელია დაწესებული. მაგრამ ვაჰბიტი მამა, რომელსაც ისლამი და შარიათი ენაზე აქვს გამოკვერილი, ერთ თეთრსაც არ აძლევს ქალიშვილს სამემკვიდრეო წილის სახით, ისე ათხოვებს, როგორც ათასეული წლები ათხოვებდნენ მისი წინაპრები. მაშასადამე, ვაჰბიტებში სამართალი შერჩევითია: აწყობთ – შარიათი, შარიათი არ აწყობთ – მამაპაპური ადათი. ასეა ეს, ეშმაკურად იქცევიან, ორმაგი სტანდარტებით ირჯებიან.

მთლად უპატრონოდაც არ არის მიტოვებული გათხოვილი ქალიშვილი, მშობლები, ძმები, ბიძაშვილები მასზე ზრუნავენ, ლხინსა

და გაჭირვებაში გვერდში უდგანან, თუ მატერიალურად უჭირს, ეხმარებიან, თუ ქმარი მიატოვებს ან დაქვრივდება, ყოველთვის აქვს ადგილი მამის ოჯახში. მის ბავშვებსაც კი ზრდიან, თუ დედას არ ემეტება მათი ქმრის ოჯახში დატოვება. ზრუნვა ქალიშვილზე გრძელდება, სანამ არ წამოებრდებიან საკუთარი ვაჟიშვილები და ქალიშვილები და ისინი არ დაიწყებენ დედაზე ზრუნვას.

თუ ქალიშვილი გაუთხოვარი დარჩა, ან დაქვრივების შემდეგ დაბრუნდება მამის ოჯახში და რჩება მუღმივად იქ, მასზე ზურნვა იმ ძმას ევალება, რომელიც მამასთან რჩება, ან მის შვილებს, ქალის ძმისშვილებს, ცალკე თუ ცხოვრობენ, თავისთან გადაჰყავთ და ინახავენ. კაცმა რომ თქვას, ქალიშვილს, პრინციპში, არც სჭირდება სამემკვიდრეო წილი, რადგან ქისტური ადათით მის უსაფრთხოებაზე, საარსებო წყაროზე მშობლიური თეიფი, სისხლით ნათესავები ზრუნავენ. აქვე დავძენ, რომ ქალიშვილზე უარის თქმა ქისტურ თემში გამორიცხულია, ეს უდიდესი სირცხვილია და ასეთ ძმებს თუ ბიძაშვილებს თავი არ გამოეყოფა საზოგადოებაში. თუ ასეთი რამ მაინც მოხდა, მაშინ იკრიბება თეიფი და ქალიშვილს გამოუყოფს მამის სახლიდან სახლისა და ნაკვეთის წილს. მაშასა-დამე, ქალს ასე თუ ისე, გაჩნია მემკვიდრეობითი უფლება.

ქისტური ადათ-წესის მიხედვით, თუ ოჯახი უმამაკაცოდ დარჩა, მშობლები უშვილძიროდ გადაეგნენ (ქისტურად „ჰუძ ვეინ“, ე.ი. არ დარჩა მემკვიდრე ვაჟიშვილი, მემკვიდრეობა გადადის ძმებზე ან მათ ვაჟიშვილებზე. პანკისელ ქისტებში, ამ შემთხვევაში, მეტნაკლებად სამართლიანი რეფორმა ჩატარდა: ქალიშვილებს რჩებათ მამის უძრავ-მოძრავი ქონება, ოლონდ ერთი პირობით: მათ არ აქვთ უფლება, მამის სახლში სიძე-ქმარი ჩაასახლონ. ისედაც ქისტი კაცი ზედსიძედ ვერ მივა, ეს დიდ სირცხვილად ითვლება და თითით საჩვენებელი ხდება. ქისტებში ასეთი ანდაზად ქცეული იუმორია გავრცელებული: ბავშვებმა ყვავი დაიჭირეს, გაპუტეს და გაუშვეს. ყვავებმა სიცილი დააყარეს. განაწყენებულმა გაპუტულმა ყვავმა განცხადა: ზესიძედ მისულ კაცს მაინც ვჯობივარო. მაგრამ აქაც კი მონახა კომპრომისი: მართალია, ქალიშვილი ქმარს ვერ

შეიყვანს მამის სახლში, მაგრამ სრული უფლება აქვს, მამისეულ სახლ-კარში ჩაასახლოს თავისი ვაჟიშვილი. ამ შემთხვევაში პრეტენზია არ აქვთ არც ბიძებს და არც ბიძაშვილებს. ასეთი გამონაკლისი, ვფიქრობ, დაშვებულია იმ დამოკიდებულებით, რომელიც არსებობს ბიძებსა და დისშვილებს შორის.

ასევე ქალიშვილებს მამისეული სახლ-კარის გაყიდვის უფლება აქვთ, ოღონდ, პირველ რიგში, ბიძა-ბიძაშვილებს და რიგით თეოფის ახლო ნათესავებს შესთავაზებენ ყიდვას. მათი უარის შემთხვევაში შეუძლიათ ნებისმიერ მყიდველზე გაყიდონ. დედის ოქროულობა, ძვირფასი ნივთები და ტანსაცმელი, ჩვეულებრივ, ქალიშვილების კუთვნილებაა. ასე რომ, ქალიშვილები მაინც იღებენ რაღაც ნაწილს მშობლების მექვიდრეობიდან.



მიცვალებულის დაკრძალვა

„ძვირად ღირს დანადინარი,
თავისის ცრემლი მკერდზედა!“

ვაჟა-ფშაველა

ალაპმა ადამიანს ხანმოკლე სიცოცხლე უბოძა. ასევე სიცოცხლის დასასრული ზოგიერთისთვის უმტკივნეულოდ, უცაბე-დად ხდება, ხოლო უმრავლესობისათვის ხანმოკლე ან ხანგრძლივი ავადმყოფობის შედეგად. თუ ადამიანი სიბერემდე მიაღწევს (სიბერეც არ გახლავთ ბედნიერება, თავისთავად ისიც ავადმყოფობაა) და, როგორც ჩვეულებრივ ხდება ხოლმე, ავადმყოფობაც შეეყრება, ტანჯვითა და წამებით ხვდება სიკვდილს. ავადმყოფი ადამიანი უსუსურია, ის თავის ძალებით ვერ უმკლავდება ცხოვრებისეულ პრობლემებს, ამ დროს სჭირდება მას ნუგეშისცემა, ყურადღება, გამხნევება და დახმარება.

ქისტური ადათით ავადმყოფის მოვლა-პატრონობა, თანადგომა სავალდებულოა, აქ ისე კი არ დგას საკითხი, რომ ახლობელი, გვარის წევრი ავადმყოფის მონახულება და დახმარება წება-სურვილზე, კეთილგანწყობასა და ქველმოქმედებაზეა დამოკიდებული. არა, ეს ვალდებულებაა, ეს საუკუნეების სიღრმიდან მომავალი ადათ-წესია, რომლის დარღვევა გაკიცხვასა და გარიყვას იწვევს.

დღეს ყველას უჭირს, მხოლოდ ერთეულებს აქვთ საშუალება ძვირად ღირებული მკურნალობისა, ხშირად საჭიროა ოპერაციის გაკეთება ავადმყოფისათვის, რომელის საშუალებაც არ გააჩნია. ასეთ შემთხვევაში გვარი, ახლობლები, აუცილებლობის დროს სოფელი და ხეობა ეხმარება შესაძლებლობის ფარგლებში. ეს ძვირფასი ჩვეულებაა და სასიქადულოა, რომ დღესაც მოქმედებს.

ავადმყოფი, რომელსაც თავზე მდგომი სჭირდება, ოჯახის ამარა არ რჩება. არიან ისეთი ავადმყოფებიც, რომლებიც სისტემა-

ტურ ყურადღებას საჭიროებენ და ოჯახი, რომც მოიწადინოს გულით და სულით, მარტო ვერ შეძლებს გამკლავებას. ამიტომ არის, რომ ნათესავები რიგრიგობით ენაცვლებიან და თავზე ადგანან. თუ მამაკაცია, კაცები უვლიან, ქალებს კი ქალები გასაგები მიზეზების გამო. ერთი სიტყვით, ავადმყოფი უყურადღებოდ არასოდეს რჩება, რამდენ ხანსაც უნდა გაგრძელდეს ავადმყოფობა.

ავადმყოფის მონახულება კეთილ, ღმერთის მოსაწონ საქციელად ითვლება. ისლამიც გვასწავლის, რომ ავადმყოფის მონახულება სამადლო საქმეა და უეჭველად გამოადგება განკითხვის დღეს, როცა მოხდება ცოდვისა და მადლის აწონვა. ამ შემთხვევაში და ყველა პრინციპულ საკითხებში ადათი და ისლამი შეთანხმებულობაში მოდის.

როგორც ითქვა, ადამიანი არ არის უკვდავი, დგება წამი, როდესაც წყდება სიცოცხლე და დგება აღსასრული. დგება დრო, როცა საჭიროა მიცვალებულის უკანასკნელი გზისთვის მომზადება და გასტუმრება. ეს პროცესი ისლამის აღმსარებლობის ყველა ხალხში თითქმის ერთნაირად ხდება, მაგრამ არსებობს განსხვავებანიც, რაც გამოწვეულია თითოეული ეთნოსის ადათ-წესით, ზნეჩვეულებებითა და ტრადიციით. ცხადია, თუკი ადათ-წესი ავნებს ისლამის დოგმებს, ცალსახად მიუღებელია. მაგრამ თუ ადათ-წესი ალამაზებს რელიგიის რიტუალს, ბევრი თეოლოგის აზრით, მისაღებია. ასეთი ადათი კი არ ვნებს ისლამს, არამედ მიმზიდველს ხდის.

ქისტური დაკრძალვის რიტუალები უდავოდ განიცდიდა ცვლილებებს. სიმართლეა ისიც, რომ პრეცედენტები ქმნიან ტრადიციებს, ამაზე თვალის დახუჭვა არ იქნებოდა სწორი. ქისტი უხუცესები ყოველთვის იღვნოდნენ და იღვნიან დღესაც, რომ დაკრძალვის რიტუალები არ მოსწყდნენ ისლამის ძირითად პრინციპებს. სწორედ ეს არის ტრადიციული ისლამისა და ვაჟაბიზმის მიმდევრებს შორის განხეთქილების ერთ-ერთი მიზეზი.

15-20 წლის წინ ამ კუთხით რაიმე უთანხმოება არ ყოფილა მამებსა და შვილებს შორის. დაკრძალვის პროცესის შესახებ ახალი

საუკუნის დასაწყისში შევეხე წიგნ „ქისტებში“ და ამ ნაწყვეტს მოვიყვან და შემდეგ შევეხები იმ რიტუალებს, რომლებმაც გამოიწვია უთანხმოება თაობებს შორის.

„დღეს მიცვალებულს მარხავენ მეორე დღეს, შეიძლება მესა-მე დღემდეც მოიცადონ იმ შემთხვევაში, თუ ოჯახის რომელიმე წევრს მოელიან შორიდან. მაჰმადიანური წესიდან (მიცვალებული იმავე დღეს უნდა დაიმარხოს) ასეთ გადახვევას სასულიერო პირები უარყოფითად ხვდებიან, მაგრამ დიდ განგაშს არ ტეხენ. ქრისტიანი მეზობლები (ქართველები, ოსები) მკვდარს 4-5 დღეს აჩერებენ და მათი წესების ზეგავლენითაც აიხსნება ასეთი დათმობები (ახლა მეორე დღეს მარხავენ. ხ.ხ.).

გარდაცვალების დღესვე, თუ ღამე გარდაიცვალა, მეორე დღესვე მეზობლები, ახლო ნათესავები, სოფლელები იკრიბებიან, დაძახება არავის სჭირდება, არც დასაქმებისათვის მითითება, ყველა ორგანიზებულად იწყებს საქმიანობას მიცვალებულის დამარხვისათვის: მანქანით ტყიდან შეშა მოაქვთ, საფლავის გასაჭრელად 5-6 კაცი დილიდანვე მიდის, მათვის ცხვარი წინასწარ არის დაკლული, სადილს თავის დროზე მიუტანენ. მაშინვე იზრუნებენ დასაკლავი საქონლისთვის, მინიმუმ 2-3 ძროხა აუცილებელია, ოჯახის შერცხვენას ვალის დადება სჯობს.

სოფელს საძროხე 2-3 სუთად მოკალული ქვაბი აქვს, „ქვეყნის ქვაბებს“ რომ ეძახიან, გააჩნიათ წვნიანისათვის თიხის ჯამები, ხორცისათვის თეფშები და სხვა სამზარეულო მოწყობილობები. ყველა დასაქმებულია, ქალი და კაცი მუშაობაშია ჩართული, ჭირისუფალს არაფერზე ზრუნვა არ სჭირდება, ის არც ერევა ქელების მზადებაში, იცის, რომ ყველაფერი რიგზე იქნება, თავის ახლობლებთან დგას სახლის წინ ეზოში და სამძიმარს ისმენს. ხალხი განუწყვეტლივ მოდის, სხვადასხვა სოფლებიდან მოდიან, დაპატიჟება და დაძახება არ სჭირდებათ, ამბავს როგორც კი გაიგებენ მაშინვე სამძიმარზე მოემართებიან.

ქალები, როგორც ძეველად, ზარითა და ძახილით მოდიან (მეტწილად ნათესავები), ცხედრის გარშემო სხედან ცალკე ოთახში

და ტირიან. ერთი ხმამაღლა, გალობის სახით იწყებს მოთქმას, დანარჩენები ბანს აძლევენ. ის, ვინც ხოტბას ასხამს მიცვალებულს, კარგი მოტირალი უნდა იყოს. ეს ჩვეულებაც ქართველი მთიელები-სგან აქვთ მიღებული, ვეინახ ქალს ცხედართან არ ესაქმება (დღეს მოთქმით, ხმამაღლა ტირილი აკრძალულია. ხ.ხ.).

ქისტურ დაკრძალვაზე ხალხმრავლობაა, აუცილებელი არ არის ნათესაობა ან ნაცნობობა, ყველა ჩვენიანია, ჩვენი ხალხია – ვეინახებია – და ჭირში თანადგომას საჭიროებს, ეს ისეთი აქლემია, ყველას კარზე დაიჩოქებს.

ცხედარს აბანავებენ გამთენისას. ეს პროცესი ძალიან შრომატევადია და სამ ადამიანს მაინც საჭიროებს. განბანვა ხდება ცხელი წყლითა და საპნით სარიტუალი წესის დაცვით: სხეულის თითოეული ორგანოს სამჯერადი გაბანვით. შემდეგ მამაკაცის ცხედარს სუდარაში (თეთრი ტილო 20 მეტრის ოდენობით) გაახვევენ, ხოლო ქალებს აცმევენ ორ-სამ პერანგს, სპეციალური ფორმით შეკერილებს, ერთ პერანგს მამეულები უმზადებენ).

შუადღის ნამაზის (ლოცვის) შემდეგ ცხედარს დაასვენებენ სპეციალურ ცხედრის გადასატან საკაცეზე, გადააფარებენ ძვირფას გადასაფარებელს ან ხალიჩას, აპრეშუმის თოკით დაახვევენ საკაცეზე, გამოიტანენ ეზოში, სასულიერო პირები გარს შემოერტყმიან, ასრულებენ შესაბამის ცერემონიალურ რიტუალს და გაღობით მიასვენებენ სასაფლაოზე.

სასაფლაოზე სრულდება მიცვალებულის ნამაზი და ცხედარს უშვებენ საფლავში, რომლის ფსკერზე, გვერდზე ნიშაა გამოჭრილი ცხედრისთვის და ოდნავ გვერდულად აწვენენ ისე, რომ პირი წმინდა ქალაქ მექასკენ (ყიბლა) იყოს მიქცეული. ცხედარს სუდარას სახეზე შეხსნიან, ცოტა, ერთი მუჭა მიწას მიაყრიან და შემდეგ 20-30 გრადუსის დახრილობით ვერტიკალურად აყუდებული ფიცრებით იფარება ნიშა და საფლავში მიწას აყრიან. საფლავის თავში, ჩვეულებრივ, არჭობენ მუხის ვინრო ფიცარს, რომელზეც შემოხვეულია თეთრი ნაჭერი, მას ჩურთს ეძახიან. შემდეგში მის უკან აღმართავენ საფლავის ძეგლს, ჩვეულებრივ რიყის ან კლდის დიდ

ლოდს წარწერით. ბოლო დროს ქისტური საფლავები არსებითად არ განსხვავდება ქართულისგან უზარმაზრი გრანიტის ძეგლებითა და რკინის მოაჯირებით. სურათების დახატვა, რაც კატეგორიულად იკრძალება მაჰმადიანური სარწმუნოებით, იშვიათობა არ არის.

ქალები სასაფლაოზე არ მიდიან, წესი არ არის. სანამ მამაკაცები სასაფლაოდან მობრუნდებიან, ქალებს სუფრაზე მიიპატიუებენ, რაც დღდ აურზაურთან არის დაკავშირებული: ქალები უარობენ, თავ-პატიუს იდებენ, ჭიშკრის დაკეტვაც კი უწევთ, რომ ძალად სუფრაზე მიიპატიუონ. მხოლოდ აქ, დაკრძალვაზე ეძლევათ ქალებს უპირატესობა, პირველი ისინი სადილობენ, ეკუთვნით კიდეც, რადგან ყველა სახის სუფრის მოწყობაში ისინი შრომობენ მუხლჩაუხრელად და ქელების დროსაც ჭურჭლის დარეცხვა-დაკრიალება, სახლ-კარის დასუფთავება მათ კისერზეა და ისე არ წავლენ სახლში, სანამ ჭირისუფალის ეზოში ყველაფერს წესრიგში არ მოიყვანენ.

სასაფლაოდან მობრუნებულ მამაკაცებს გაშლილი სუფრა ელოდებათ, სუფრა გაშლილია სოფლის სპეციალურად დამზადებულ დასაშლელ მაგიდებზე. თითოეულს ჯამით წვენს მიართმევენ, თევზებით წინ ხორცს დაუდგამენ, შეიძლება საუზმეულიც, ტკილი სასმელებიც ახლდეს, გააჩნია ჭირისუფლის შესაძლებლობებს და სურვილს. სპეციალურად გამოყოფილი ვაჟები ემსხაურებიან, თვალებში შეცყურებენ სტუმრებს, მზად არიან, მათი სურვილი გამოიცნონ და შეასრულონ. უკითხავად წვენს მიართმევენ, ხორცს გამოუცვლიან, ცხელს მოუტანენ და ა.შ.

ქართველებისთვის, საერთოდ ქრისტიანებისათვის, ცალკე სუფრა იშლება მეზობლად, ქართული ტრადიციისამებრ, ღვინითა და სხვა საუზმეულით. მართალია, მაჰმადიანური სარწმუნოებით ღვინის სმა იკრძალება, მაგრამ ამ შემთხვევაში სტუმარმასპინძლობის ტრადიცია სარწმუნოებაზე მაღლაა დაყენებული და ამის გამო მოლები მაინცდამაინც არ ჭირვეულობენ.

დაკრძალვიდან მესამე დღეს იკრიბებიან გაბატონებული სე-

ქტების (ამგვარი ორია: ჰაჯის მიმდევრები და შეიხის მიმდევრები – „ჰაჯი მურდიშ“ და „შეიხ მურდიშ“) წარმომადგენლები და ასრულებენ სპეციალურ ცერემონიალს (კრიალოსნებით ათასჯერ იმეორებენ მაჰმადიანობის ძირითად დოგმას: „არ არს ღმერთი, გარდა ალაჰისა“ და შემდეგ სრულდება რიტუალი „ზიქარ“). ამ ცერემონიალსაც საკმაო ხარჯი უნდა: საკლავი, ტკბილეული, სხვადასხვა სახის საჭმელი და სხვ.

თუ მიცვალებულის დამარხვას მარხვის დღეები დაემთხვა, ქელებზე ერთი ძროხა იკვლება და უმად ანაწილებენ ობლებსა და ღარიბებზე. ზუსტად ისე, როგორც ვაჰაბიტები აკეთებენ მიცვალებულზე ნებისმიერ დროს.

ამ სამი დღის განმავლობაში მიცვალებულის ოჯახში ხალხმრავლობაა: ნათესავები მოდიან, ჭირისუფლებთან სხდებიან, საუბრობენ აქეთურ-იქითურზე, ცდილობენ, იოლად გადაატანინონ დანაკარგი. ისინიც მოდიან, ვინც დაკრძალვაზე ვერ მოასწრო მოსვლა, ან გვიან გაიგო და ა.შ.

მიცვალებულის გასტუმრება ამით როდი მთავრდება, შემდეგ იწყება ზრუნვა ორმოცისთვის, მას მოსდევს წლისთავი და ამავე დროს, ყოველი მარხვის თვეშიც იწვევენ „ზიქრისტებს“ და აწყობენ „ძირათს“, რაც დიდ ხარჯებთან არის დაკავშირებული.

ორმოცს აუცილებლად იხდიან, თუმცა უფრო ღრმა მორწმუნები ირმოცის ნაცვლად სამ ჰარასკევს ან ორმოცდათორმეტ დღეს იხდიან იმ მოტივით, რომ ორმოცი ქრისტიანული რიტუალია. მართალნიც არიან რელიგიის თვალსაზრისით, მაგრამ ამ სამიდან რომელიც უნდა შეასრულოს, ხარჯის მიხედვით, ბედენა არ არის, რადგან სამივე შემთხვევაში, გარდა ხორცისა (იკვლება ძროხა), ქვეყნის საჭმელები მზადდება, ასევე უამრავ ტკბილეულსა და ხილს ყიდულობენ, ყველაფერი ეს მეორდება წლისთავზე და მარხვის დღეებში.

ყველაზე უარესი ის არის, რომ ეს დაკანონდა და ყველა ასრულებს, ყველა ცდილობს, არ ჩამორჩეს სხვას, მისი მიცვალებული „დაჩაგრული“ არ იყოს და ამისთვის მზად არის, ცოცხალიც კი

გააყოლოს თან, ოღონდ ხალხში არ შერცხვეს.“

ქისტებში მიცვალებულზე დოლი იციან, მაგრამ იშვიათად. ეს დამოკიდებულია იმაზე, თუ რამდენად შეძლებულია ოჯახი, ან მემკვიდრე არ დარჩა და ქალიშვილები მამის ქონების დახარჯვას ამჯობინებენ, ვიდრე სახლში წალებას, ან კიდევ მიცვალებული სახელიანი კაცი იყო და ა.შ. შეიძლება, უბრალოდ, სახელის გულისთვისაც მოაწყონ დოლი, აგერ, მავანმა თავის მიცვალებულს დოლი მოუწყო.

ყველა შემთხვევაში დოლის ტრადიცია უძველესი დროიდან მომდინარეობს, დოლი მარტო ქისტებისათვის კი არ არის დამახასიათებელი, არამედ კავკასიის მთელი ხალხებისათვის, დღეისათვის ეს სანახაობრივად ლამაზი ტრადიცია შემორჩენილია ქისტებში, თუშებში, ხევსურებში და სხვა ქართველ მთიელებში.

რამდენიმე კვირით ადრე იციან ხეობაში მოსალოდნელი დოლის შესახებ და კარგი, მორბენალი ცხენების პატრონები დიდი ენთუზიაზმით ამზადებენ ცხენებს. კარგად აჭმევენ, აბანავებენ და რაც მთავარია, ავარჯიშებენ. ყოველ დილა-საღამოს მინდონზე გამოჰყავთ და აჭენებენ, მაგრამ არ ტვირთავენ ზედმეტი ვარჯიშით, იციან, როგორ მოამზადონ ბედაურები დოლისთვის.

მასპინძელიც თადრიგშია, ადრიდანვე ემზადება სუფრისათვის, ვერ განსაზღვრავს, რამდენი სტუმარი ეყოლება, ყველას შეუძლია დაპატიჟების გარეშე მივიდეს და მოიკალათოს მაგიდასთან.

დათემულ დღეს იკრიბებიან მხედრები, საპრიზო ადგილებზე გასულებს ჯილდო ელოდებათ: პირველი ადგილი – ყოჩი, მეორე ადგილზე გასულს – ფული, მინიმუმ 100 ლ, მესამე და მეოთხე ადგილებზე გასულებს ასევე ფულადი ჯილდო ხვდებათ. მთავარი ჯილდო არ არის, ეს არც აინტერესებთ მხედრებს, მთავარია პირველი ადგილი და დროშა, მთავარია სახელი და დიდება!

დოლი ქისტებში დიდი პოპულარობით სარგებლობს, უყვართ ცხენები, ცხენოსნობა, ეჯიბრებიან მეზობლებს დოლში, განსაკუთრებით სტუმრობენ ალვანებს, ქისტებივით დოლის მოყვარულ თუშებს და ხშირად დროშაც მოაქვთ ხოლმე ზარზეიმით. მაგალი-

თად, მიმდინარე წელს ზეზვაობაზე სამივე საპრიზო ადგილებზე ქისტები გავიდნენ და დიდი ზეიმით დაბრუნდნენ პანკისში.

არსებითი ცვლილება არ განუცდია დოლის რიტუალს ქისტების პანკისში დასახლების დროიდან. ამის დასტურად მოვიყვან მ. ალ-ბუთაშვილის ნაშრომიდან ნაწყვეტს:

„ჭირისუფალმა თავის სახლის წინ ეზოში გამოიტანა დიდი ფარდაგი, დაფინა და ზედ გამალა მიცვალებულის მთელი ტანისა-მოსი: ორი ხელი ნახმარი და სრულებით ახალი, შევერცხლილი ქამარ-ხანჯალი, ქუდი, ფეხსაცმელი და ცალი ფეხთით ადგილი ცხენებისათვისა დატოვებული, დანარჩენი სამი მხარე მოტირალი დედაკაცების შავ გუნდს უჭირავთ და ტირიან.

დაწყობილი ცხენის ჯოგიც მოვიდა, ზედ დაწყობილი მხედრე-ბით. მწკრივად დადგნენ თავის ადგილას. ცხენები ამ დროს ისე ჭკვიანად დგანან ადგილობრივ, თითქოს ისინიც თანაუგრძნობენ ამ მწუხარებას, ამიტომაც ვერ იმსახურებენ მთელ ყურადღებას.

დედაკაცებმა შესწყვიტეს მკვდარზე ტირილი (აქ თუ თუში მხედრები ურევიან, „დალაის“ იმდერიან), მხედრებს მიაწოდეს თითო ჭიეა შესანდობარი, ყველამ დალია და ნასასვლელად გააბრუნეს უკან ცხენები, რომ დაწალიკდნენ და გაემართნენ, მათი შეხედვა მაშინ იყო სასიამოვნო.

ყველა ცხენს და მის მხედარს მორთულობა და სამკაული შეს-აფერი აქვს და კიდეც შვენის: ტიტველა ცხენს შუბლზე ქოჩორი, ფერად ბანრებით შერეული, კოტად შეკრული, როგორც თაიგუ-ლი, თავზე აზის. ქეჩო-ფაფარი ფერად ბანრებჩატანებული, წვრილ ნაწნავებად გვერდზედ დაწნული, ძუა ზედ რიკზე დახვეული, ფე-რად ბანრებით მაგრად შეკრული, ცხენი კუდს, როგორც ჯოხი, ისე გაიშვერს. ეს ქალების ოსტატობაა.

თვით საქონელს, სუფთად მოვლილს, მთელი ტანი უბზინავს, ლალობს და თრთის. მასზედ მხედარი თხლად ჩაცმული, ფეხშიშვე-ლი, შარვალში ჩამჯდარი, ხელსახოცით თავშეკრული, ხელში მა-თრახით, ტიტველა ცხენით, ზედა ზის როგორც ჩიტი, თითქმის თავის ტანს ცხენის ზურგს არც კი აკარებს.

ყველა მხედარს ცხენის აღვირი მოკლედ, მაგრად უჭირავს.

ცხენი თითქოს მიდის თამაშობით, ფეხებს იქვე დგამს, თავი მხედარზე მაღლა უჭირავს. ხან მიპრუნდება, მიტრიალდება, თითქოს გაჯავრებული ლაგამს ღრღნის, თან ფრუტუნებს, გაფრენა უნდა, მაგრამ ჯერ მხედარი მას ნებას არ აძლევს.

ხალხის ყურებით ცხენები და მათი მხედრები წუთში ქვევითკენ თვალს მიეფარნენ. უკან მათ მებარგულე დაედევნა.

მანძილი ჰქონდათ დადებული მხედრებს 15 ვერსი. იქ რომ მივიდნენ და ჩამოხტნენ, მებარგულეც ჩქარა მივიდა. თითო-ოროლა შესანდობარი ჭიქა – ღვინო გადაკვრეს, პურიც ასტეხეს, მერე ყველა ფიცხლავ ცხენებზე შესხდნენ“.

დღეისათვის ერთი ცუდი ტრადიცია დამკვიდრდა დოლის რიტუალში. ცხენების გულშემატკივრები, პატრონები თუ ნათე-სავები მანქანებით მოჰყვებიან გაჭენებულ ცხენებს, შუაში მოექცევიან, გვერდით მიჰყვებიან. ეს იწვევს ქაოსს, ცხენებს რძენაში აფერხებენ, ხშირად წინ მიმავალს გზას უჭრიან, რასაც შემდეგ შეხლა-შემოხლა მიჰყვება ხოლმე. რამდენიმე წლის წინ მედოდე ცხენის პატრონმა, რომელიც მანქანით მოჰყვებოდა თავის ცხენს და პაერში ისროდა ავტომატს, შემთხვევით მოახვედრა თავში მაყურებელ მოზარდს, რომელიც სამუდამოდ მიეჯაჭვა საწოლს, მაგრამ თავხედმა გულშემატკივრებმა ჭკუა ვერ ისწავლეს. კიდევ კარგი, პატრული ჩაერია საქმეში და საქმეს გამოსწორების პირი უჩანს.

დღეისათვის დაკრძალვის რიტუალებში რაიმე არსებითი ცვლილებები არ მომხდარა, მაგრამ ე.წ. ვაპაბიტებმა სცადეს „რე-ფორმების“ გატარება და თავიანთ წრეში მიაღწიეს კიდეც შედეგს. როდესაც სამძიმარი დგება ვაპაბიტის ოჯახში, ისეთ ვაპაბიტურ ოჯახში, სადაც მშობლებიც გახდნენ ვაპაბიტები ან უფრო ხშირად დაემორჩილნენ შვილების ზენოლას, დაკრძალვის რიტუალს თავისებურად, მათი გაგებით, წმინდა ისლამის მიხედვით ასრულებენ.

ჩვეულებრივ ქისტურ ოჯახში სამძიმრის დღეებში ჭირისუფალი, ოჯახის წევრები (ძმები, ბიძები, ბიძაშვილები) ეზოში გამოსაჩენ

ადგილას დგებიან, სამძიმარზე მომსვლელი (ერთი ან რამდენიმე ერთად) შემოდის ეზოში და მიესალმება: „სალამ ალეიქუმ“. ერთ-ერთი უხუცესი ან ისლამში განსწავლული, არ აქვს მნიშვნელობა, ჭირისუფლის ნათესავია თუ არა, მაგრამ ჭირისუფლის თხოვნით იღებს ვალდებულებას ვედრების წარმოსათქმელად, ფეხზე დგება, სალამზე პასუხობს, ხელებს მაღლა აღაპყრობს და იწყებს ვედრებას. მის გარშემო ყველანი ფეხზე დგებიან და ხელების მაღლა აპყრობით გულში წარმოთქმით „ამინ“ ადასტურებენ ვედრებას. ხოლო ვედრების ბოლოს, როცა ხმამაღლა იტყვის „ფათიჰათ“, ყველა გულში წარმოთქვამს ყურანის ამ პირველ სურას. შემდეგ სამძიმარზე მოსული მიუპრუნდება ჭირისუფლებს და სამძიმარს ეუბნება.

ამ რიტუალს ვაჲაბიტებიც ჩვეულებრივ ასრულებდნენ, ოღონდ მიცვალებულის გარშემო არ დგებოდნენ და ხმამაღლ ზიქრს არ სცნობდნენ და განზე იდგნენ, მაგრამ ამ ბოლო დროს, რაღაც ორიოდე წლის წინ უარი თქვეს ვედრებაზე და ხელების მაღლა აპყრობაზე, შემოდიან ეზოში, სალამსაც არ იძლევიან, რომ ვედრება არ წარმოთქვან, ხელებს მაღლავენ, სამძიმარს ეტყვიან ჭირისუფალს და გადიან ეზოს გარეთ.

ამან დიდი აღმფოთება გამოიწვია მოსახლეობაში, გაჩნდა სერიოზული განხეთქილება. უხუცესებმა ვცადეთ კომპრომისის მონახვა, დავუძახეთ ვაჲაბიტების სულიერ ლიდერებს და ვკითხეთ, თუ რატომ იქცევიან ასე. პასუხი ცალსახა იყო:

- ისლამის არც ერთი დოგმა არ ითვალისწინებს ამას!
- კი, მაგრამ საიდან მოიტანეთ, რომ ეს რიტუალი ეწინააღმდეგება ისლამს? – ვკითხეთ.

- ჩვენ რაღაცას ვქექავდით (ცა ჰუმ ქუეგიშ – ეს მათი სიტყვების ზუსტი თარგმანია) და წავაწყდით ამას.

- მერე, სად შეამოწმეთ, სად არის საფუძველი, ყურანით ადასტურებთ და ჰადისებით, გვანახეთ, დაგვარწმუნეთ.

- ახლავე. თქვეს და ფეისბუკი გახსნეს, წაგვიკითხეს შეკითხვა, რომელიც, მგონი, საუდის არაბეთში გააგზავნეს და იქიდან მო-

სული პასუხიც: აუცილებელი არ არის კოლექტიური ვედრება და ხელების აპყრობა.

ვაჰაბიტების მიერ დასმული კითხვა აღწერდა ჩემ მიერ ზე-მოთ აღწერილ რიტუალს. მაშინვე მივხვდით, რომ თეოლოგებმა, რომელთაც გაუგზავნეს ეს შეკითხვა, იგულისხმეს, რომ ეს ტრადი-ცია არ ემთხვევა არაბულს და, მაშასადამე, არც არის საიჭრო. ამავე დროს, მათი პასუხი არ იყო დადასტურებული არც ყურანის რომელიმე აიათით და არც ჰადისით.

– ვინ არიან ამ პასუხის ავტორები? – ვეკითხებით.

– ულიმები, რელიგიის მცოდნები?

– ჩვენ გვაინტერესებს, რა ფუნქცია აკისრიათ, რომელიმე კომისიაში შედიან, სადაც ნიზამებს (კანონებს) ადგენენ, ან ისლა-მის სიმინდეს იცავენ, უბრალოდ აგვიხსენით, რატომ უნდა ვერწ-მუნოთ მათ ნათქვამს? – ვცდილობთ, ვიხილოთ ფაქტები.

– ჰო, რაღაც ამდაგვარი რამ არის.

– ჩვენ ვერ გავიზიარებთ ყველას მოსაზრებას, საუდიდან იქნება ის თუ სხვა ნებისმიერი მუსლიმური სახელმწიფოდან, თუ არ იქნება ეს მოსაზრება გამყარებული წმინდა წიგნით, ყურანით ან ჰადისებით, თანაც, ჰადისი სარწმუნო უნდა იყოს.

ერთი სიტყვით, არ შედგა შეთანხმება. მიუხედავად ჩვენი თხოვნისა, არ აჰყოლოდნენ ამ რელიგიური თვალსაზრისით უმ-ნიშვნელო, მაგრამ ქისტური საზოგადოებისათვის ფრიად სახიფ-ათო პროვოკაციას, მათ არ დაგვიჯერეს და დათესეს კიდეც თრ ბანაკს შორის უნდობლობა, რომელიც თანდათან მტრობაში გადა-დის და დამლუპველ შედეგს მოიტანს. მართალია, ამ შეხვედრაზე შევთანხმდით, რომ ისინი მონაწილეობას მიიღებდნენ ცხედრის სა-საფლაოზე წალებაში, საფლავის გაჭრაში, დამარხვაში. ამას ისინი დღემდე ასრულებენ, მაგრამ როგორც კი საფლავს ამოავსებენ, მაშინვე ტოვებენ სასაფლაოს. ეს მათი წებაა.

როდესაც კამათის, დისპუტების შედეგად დარწმუნდნენ, რომ ვედრების წინააღმდეგ გამოსვლა არასწორი იყო, როცა ყურან-ის აიები (მაგალითად, 25:77) და სარწმუნო ჰადისების ავტორები

(მუსლიმი, ბუხარი, იბნ ჰანბალი, იბნ თირმიზი და სხვ.) ვედრებას დიდ მნიშვნელობას ანიჭებენ მიცვალებულისათვის, რომ მუპამად მოციქული (ალაპიმც იქნება მისით კმაყოფილი) ვედრების დროს ხელებს მაღლა აღაპყრობდა, გამოსავალი მონახეს: ჩვენ მხოლოდ მიცვალებულის სამძიმარზე არ აღვაპყრობთო ხელებს. ასეა ეს: ხელოსანი დოქს ყურს საითაც უნდა, იქ მიაპამს!

როგორც ითქვა, საფლავში ცხედრის მოსათავსებელი ნიშა იჭრება. ნიშას ქუნთ ჰაჯის ვირდის მიმდევრები ჩრდილოეთის მხარეს ჭრიან, ხოლო შეის ვირდის მიმდევრები – სამხრეთით. ვაჲ ჰაბიტებიც სამხრეთით ნიშაში ათავსებენ ცხედარს. როდესაც მხოლოდ პირველი ორი მიმდინარეობა იყო, არანაირი უთანხმოება არ ყოფილა. ვაჲ ჰაბიტები ყოველთვის საფლავს ნიშას სამხრეთით უკეთებენ, მათთვის მნიშვნელობა არ აქვს, რომელ მიმდინარეობას მისდევდა მიცვალებული. ამაზე პროტესტს აცხადებენ ჰაჯის მიურიდები და უთანხმოებაც მატულობს.

ერთი რამ აუცილებლად უნდა იქნეს დაცული: საფლავის ნიშა რომელ მხარესაც იყოს გაჭრილი, სახე მექასკენ უნდა იყოს მიქ-ცეული. მთავარი ეს არის და ამდენად, ეს დავა, ჩემი აზრით, პრინციპული არ არის, არამედ უფრო ამბიციურია და განხეთქილებას აღრმავებს. ერთიც უნდა აღინიშნოს: საფლავი უნდა გაიჭრას მიცვალებულის პატრონის სურვილის მიხედვით, რათა აღიკვეთოს ყოველგვარი დავა. ვაჲ ჰაბიტები ამბობენ, რომ, როგორც აღაპის მოციქული დაიმარხა, ისე უნდა დაიმარხოს ყველა მუსლიმი და ამ პრინციპზე დგანან. ვფიქრობ, მთავარი არგუმენტი მაინც ესაა: საფლავს მე ვჭრი და ნიშასაც ჩემი შეხედულებისამებრ გავაკეთებ.

ტრადიციული ისლამის მიმდევრები, როგორც ითქვა, საფლავში მიცვალებულის დამარხვის პროცესის მიმდინარეობისას კითხულობენ ყურანის სურებს, განსაკუთრებით სურა „იასინს“. ამ დროს იქ მყოფნი სხდებიან. შემდეგ ასრულებენ ზიქრს, ლოცვა-ვედრებას წარმოთქვამენ და იშლებიან.

ჩამოთვლილი ყველა რიტუალი სრულდება ისლამის დებულებათა მიხედვით, გარდა ხმამაღალი ზიქრისა, რომელიც სრულდება

ეზოში მიცვალებულის დასვენების, სასაფლაოზე გადაყვანისა და დამარხვის შემდეგ. სწორედ ეს ზიქრი გახდა კიდეც განხეთქილების ერთ-ერთი მიზეზი ტრადიციონალისტებსა და ვაჰაპიტებს შორის. მაგრამ ვაჰაპიტებიც არღვევენ დაკრძალვის პროცესში ისლამის დებულებებს. განვიხილოთ თითოეული და დარღვევის სიმძიმეს თავად მკითხველი განსჯის.

სმამალალი ზიქრი დამკვიდრებულია ორივე ვირდის (ჰაჯისა და შეიხის) მიმდევრებში. ეს უკვე ტრადიციად იქცა და მჭიდროდ შეერწყა ქისტების წეს-ჩვეულებებს. როგორც ხშირად ხდება, ერთი და ორი პრეცედენტი ტრადიციად იქცევა ხოლმე. მაგალითად, ძველად ქისტებშიც ცხედარს სასაფლაოზე ხმამალალი ზიქრის გარეშე მიასვენებდნენ. ერთ-ერთმა მუსლიმმა ანდერძი დატოვა, სასაფლაომდე ზიქრით მიმაცილეთო, შემდეგ მას სხვამ მიბაძა და ტრადიციად იქცა. რამდენად მიუღებელია ეს, ვერ განვსჯი, რამე-თუ ისე ღრმად არა ვარ ჩახედული თეოლოგიაში, რომ რამე ვამტკიცო და მივაწოდო მორწმუნეს დასაბუთებით. ერთი კი შემიძლია განვაცხადო: პირადად მე ვერავითარ საფრთხეს ვერ ვხედავ იმაში, რომ მიცვალებული ალაპის სახელის სხენებით გადავიყვანოთ სასაფლაოზე. უხდება კიდეც სამგლოვიარო პროცესისას ხმამალალი ზიქრი. თუ ვცდები, ალაპს შეწყალებას ვთხოვ. აქვე იმასაც დავუმატებ, რომ ეზოში და საფლავის პირზე ზიქრის შემდეგ იმამი და ყველა იქ მყოფი (იმამი თუ სხვა სასულიერო პირი წარმოთქვამს ვედრებას) პირი ვედრებით მიმართავენ ღმერთს და მიცვალებულის შეწყალებას, ცოდვების მიტევებას სთხოვენ. ეს კარგია, ამას გვავალდებულებს ჰადისები და სუნები: „მიცვალებულების შესახებ კარგი რამ გაიხსენეთ, მათი ცუდი საქმეები გადაფარეთ!“ თუ მუსლიმებს მოსწონთ, რომ მათ მიცვალებულს ხმამალალი ზიქრით მიასვენებენ სასაფლაოზე, ვფიქრობ, რომ დასაშვებია. მუჰამად მოციქულის ჰადისიც ამბობს: „მუსლიმების მიერ მოწონებული საქმე ღმერთისთვისაც მოსაწონია“.

ვაჰაპიტები როგორც კი მიაყრიან მიწას საფლავს, მოასწორებენ და უხმოდ ტოვებენ სასაფლაოს. „საფლავი მიწის ზედაპირამდე

რომ აივსება მიწით, იქ მყოფები დასხდებიან. ამ დროს შეიძლება ყურანის ზოგიერთი სურას წაკითხვა. უმეტესწილად მულქის, ვაქიას, იჰლასის, ფელეყის, ნასის, ფათიშას და ბაქარას ხუთი აიათი იკითხება. მადლი მიცვალებულის სულს და სხვა მორწმუნეთა სულებს უნდა ვაჩუქოთ“, (პროფ. დოქტ. ჰამდი დონდურენი. „ისლამის ცოდნის წყარო“). დოქტორი ჰამდი დონდურენი ასევე გვაუწყებს, რომ „წმ. ალის და ენეს იბნ მალიქის გადმოცემით, საფლავთან იასინის სურას წაკითხვის დროს ღმერთი მიცვალებულებს ყოფას შეუმსუბუქებს, წამკითხველს კი სიკეთეს მიანიჭებს“.

საერთოდ, მიცვალებულის დამარხვის შემდეგ საფლავზე შეყოვნება მიცვალებულისათვის სასარგებლოა. საქმე იმაში გახლავთ, რომ როგორც კი ხალხის ფეხის ხმა შეწყდება, ხალხი დატოვებს სასაფლაოს, საფლავში გამოცხადდება ორი ანგელოზი და მიცვალებულს დაუსვამს კითხვებს: ვინ არის შენი ღმერთი? რომელია შენი სარწმუნოება? ვინ არის შენი მოციქული? დაასახელე შენი წმინდა წიგნი? და ა.შ. ამ კითხვების პასუხზე იქნება დამოკიდებული, მკვდრეთით ალდეომამდე როგორი იქნება მიცვალებულის საფლავში ცხოვრება – მოსვენებით თუ ტანჯვით. ამიტომ საფლავზე შეყოვნება მუსლიმ თეოლოგთა მტკიცებით, საშუალებას მისცემს მიცვალებულს, მოემზადოს ამ საბედისწრეო შეხვედრისათვის. და, ვფიქრობ, საფლავთან მყოფთა ლოცვა-ვედრებაც უეჭველად დაეხმარება მას სწორი პასუხების მიგნებაში.

საფლავების მოწყობის საკითხებშიც აზრთა სხვადასხვაობაა თაობებს შორის, უფრო სწორად მართლმორწმუნებსა და ვაჲჰაბიტებს შორის. უნდა ითქვას, რომ საფლავებზე მოწუმენტური ძეგლების დადგმა, მავზოლეუმების აშენება და სხვ. მიუღებელი არის ყველა მართლმორწმუნისათვის. მართლაც, სასაფლაოზე მაინც არ უნდა განირჩეოდეს მდიდარი და ლარიბი, იქ ხომ თანასწორ ვითარებაში არიან და მდიდრული გრანიტის ძეგლების დადგმა მიზანშეწონილი არ არის. ამ მხრივ სანაქებოდ არის გადაჭრილი საკითხი ჩეჩენეთსა და ინგუშეთში, ყველასათვის, განურჩევლად მათი ეკონომიური, თანამდებობრივი, სქესისა თუ ასაკობრივი მდგომარეობისა,

ერთნაირი ძეგლებია ამართული. ჩვენთან კი, მსგავსად ქართული სასაფლაოსი, საფლავები ერთმანეთისგან განირჩევიან სწორედ მდიდრული და ღარიბული საფლავის ქვებით, ზოგი გრანიტისაა, ზოგი კი უბრალო რიყის ქვისა.

ამ მხრივ ვაჰაბიტების პოზიცია მისალებია, მაგრამ ისინი, როგორც ბევრ საკითხში, უკიდურესობაში ვარდებიან და გადამეტებულად იქცევიან. მაგალითად, ამბობენ, რომ საფლავზე წარწერიანი ქვის აღმართვა არ არის საჭირო, ზოგიერთებმა თავიანთ მიცვალებულზე ადრე დადგმული ქვა (ჩურთი) ამოიღეს და გადააგდეს, ასევე საფლავის დამცავი ლობებიც მოშალეს.

უდავოდ, საფლავების სამლოცველოდ გადაქცევა, მათზე მავზილეუმების აშენება, შემდეგ ლოცვა და მათდამი ვედრება კატეგორიულად აკრძალულია, რამეთუ ეს უკვე მათი კერპებად აღიარებაა, მაგრამ უბრალოდ ქვის აღმართვა და ზედ წარწერის გაკეთება დასაშებია. საფლავის ქვა სახელ-გვარის, დაბადება-გარდაცვალების თარიღით მიცვალებულის პასპორტია, სხვა არაფერი. მუსლიმი თეოლოგების მიხედვით, დასაშვებია საფლავის გამაგრების (თუ არსებობს მეწყერის საშიროება) მიზნით მოპირკეთება და სხვ. საფლავის ადვილად მიგნებისთვისაც, „პასპორტი-ჩურთი“ საჭიროა. პამდი დონდურენი წერს: „ასევე, პადისით ცნობილია, რომ როდესაც ოსმან იბნ მაზუნი გარდაიცვალა, შუამავალმა მის საფლავზე, თავის მხარეს ქვა დაარჭო და ბრძანა, რომ ამით ის თავის ძმის საფლავს იცნობდა და თავისი ოჯახიდან ვინც გარდაიცვლებოდა, მის გვერდით დამარხავდა“.

საფლავების მონახულების ტრადიცია ოდითგანვე არსებობდა ქისტებში და დღესაც არსებობს. ამის უფლება აქვთ კაცებსაც და ქალებსაც. მართალია, ქალებს უფლება არ აქვთ მიცვალებულს გაჰყვნენ სასაფლაოზე და დასაფლავებას დაესწრონ, მაგრამ სხვა დღეებში თავისუფლად შეუძლიათ საფლავზე მისვლა და მიცვალებულის დატირებაც, ოღონდ ყოველგვარი მოთქმისა და ხმამაღალი ტირილის გარეშე. ისიც უნდა აღინიშნოს, რომ ისლამის ქადაგების პირველ პერიოდში ალაპის მოციქულმა აკრძალა მიცვალებულის

დატირება და საფლავების მონახულებაც, რადგან წარმართულ ტრადიციას მისდევდნენ მექელი ქალები, ხოლო ისლამის გამარჯვების შემდეგ უფლება მიიღეს საფლავის მონახულებისა.

საფლავის მონახულების დროს, განსაკუთრებით მიცვალებულის დამარხვის შემდეგ ყურანის აიების კითხვა, ხმამაღალი ზიქრი ადამიანს ახსენებს სიკვდილს, აფიქრებინებს ამა ქვეყნის ამაობაზე, მიახვედრებს, რომ მასაც მოუწევს გარდაცვლილთა ბედის გაზიარება და გულში ამაღლებული გრძნობები უჩნდება, ღმერთის თაყვანისცემის სურვილი უძლიერდება. საფლავის მონახულების დიდ მნიშვნელობაზე მეტყველებს ალაპის შუამავლის მუჰამადის სიტყვები, რომლებსაც ჰადისი გადმოგვცემს:

„ჩემი სიკვდილის შემდეგ ვინც მომინახულებს, თითქოს სიცოცხლეში ყოფილა ჩემთან, ისეთია“.

და წარმოიდგინეთ, რამდენად პრიმიტიულად აზროვნებს „მორნმუნე“, რომელიც ცდილობდა მოციქულის საფლავის განადგურებას, რათა მასზე არ ელოცათ. ლოცვა და თაყვანისცემა სხვაა, მონახულება და პატივისცემა – სხვა. დიახ, ალაპის მოციქული სასტიკი წინააღმდეგი იყო მისი განდიდებისა, როგორც ღმერთისა. ის მოითხოვდა, რომ მხოლოდ ალაპი ედიდებინათ, არ გაელმერთებინათ, როგორც იქსო მოციქული გააღმერთეს ქრისტიანებმა, მაგრამ საფლავების მონახულებისა და მათი ბინადარი სულებისათვის ლოცვა-ვედრება სასიქადულო ქცევად მიაჩნდა, თავადაც „წმინდა შუამავალი წელიწადში ერთხელ უპუდის ბრძოლის დროს დაღუპული შაპიდების საფლავთან მიდიოდა და ესალმებოდა. აგრეთვე მათი სულებისთვის ლოცვა-ვედრებას აღავლენდა“ (ჰამდი დონდურენი. „ისლამის ცოდნის წყარო“).

რამდენიმე სიტყვა ქელებთან მიმართებაშიც: როგორც ზემოთაც ითქვა, ქისტები დიდ ხარჯს ეწევიან სამძიმარზე მოსული ხალხის დაპურებისათვის. ამ საკითხზე სხვადასხვა დროს უმსჯელიათ უხუცესებსაც, მიურიდებსაც და სათანდო გადაწყვეტილებებიც მიულიათ, მაგრამ მიღებული კანონი მოკლე ხანში ირღვეოდა და ყველაფერი ძველ ჩვეულებას უბრუნდებოდა. მაგალითად, გასული

საუკუნის 90-იან წლებში მიიღეს გადაწყვეტილება, რომ დაიკლას ერთი ძროხა და უმად განაწილდეს ობლებსა და ლარიბებს შორის. დაზარალებულ ოჯახში ხორცი მოიხარშოს მხოლოდ მესაფლავეებისათვის და მათთვის, ვინც ოჯახის ახლობელია, სხვა სოფლიდანაა მოსული და ლამე რჩება. ეს გადაწყვეტილება ძალაში იყო თითქმის ერთი წელი და შემდეგ დაირღვა.

ასევე მრავალი გადაწყვეტილება იქნა მიღებული რელიგიურ რიტუალებთან დაკავშირებული ხარჯების გამო, მაგრამ, ჩვეულებრივ, ცოტა ხანს მოქმედებდა და კვლავ ძველ წეს-ჩვეულებას უბრუნდებოდნენ. რაც შეეხება ჭირის სუფრას, მისი გაუშლელობა დიდ უხერხულობას ქმნის, რადგან სამძიმარზე სხვადასხვა სოფლიდან მოდიან, დაკრძალვამდე რჩებიან და მათი მშივრად გაშვება არავის უნდა, ქისტური სტუმარმასპინძლობის ადათი სისხლში აქვთ გამჯდარი და ვერ ლალატობენ.

ვაჰაბიტები კატეგორიულები არიან ამ საკითხში: ისლამი კრძალავს სამი დღის განმავლობაში დაზარალებულის ოჯახში პურის ჭამას – მორჩა და გათავდა. ვფიქრობ, ამ კუთხით მართალი არიან, მაგრამ ისიც უნდა აღინიშნოს, რომ ასეთი სახის კატეგორიული აკრძალვა არ არსებობს. მუჰამად მოციქულმა ერთ-ერთი მისი ახლობლის გარდაცვალების დროს ბრძანა, რომ დაზარალებულის ოჯახში გარედან მიეწოდებინათ საჭმელი, რადგან ჭირისუფლებს ამის თავი არ ჰქონდათ. ალბათ, აქედან მომდინარეობს ეს აკრძალვა.

მაგრამ სტუმრების პატივისცემის ადათიც ძლიერია და ძალიან კარგიც. ჭირისუფალს უნდა, რომ პატივი სცეს ადამიანებს, რომელთაც გაიზიარეს მისი ჭირ-ვარამი, გვერდში დაუდგნენ და შეუმსუბუქეს დარდი. რა არის ამაში ცუდი? თუკი ჭირისუფლის ეზოში არ შეიძლება სუფრის გაშლა, მეზობლად გაიშლება, ასე აკეთებდნენ წინათ, გამოსავალი გამონახეს. ყოველ შემთხვევაში, ჩემი აზრით, ჭირისუფალი თავისუფალი უნდა იყოს გადაწყვეტილების მიღებაში, უნდა – გაშლის სუფრას, არ უნდა – არ გაშლის. ასე იქცევიან კიდეც დღეს ჭირისუფლები, ამის დასტუ-

რად ისევ მოვიყვან ცნობილი ისლამის თეოლოგის, დოქტორ ჰამდი დონდურენს:

„მიცვალებულის სახლში საჭმლის ჭამა, ჭირისუფალზე მისამძიმრება და ზოგჯერ საფლავის მონახულება სუნნეთია“.

ძველად ქისტები იტყოდნენ: ადამიანს სიცოცხლეში „ბოუ“ (საბრძოლო კომპი) სჭირდება, სიკვდილის შემდეგ „ქაშ“ (საფლავი). ამიტომაც არის, რომ მიცვალებულის მშობლიურ მიწაში დამარხვა ქისტისთვის დაურღვეველი ადათია. ყოველ ღონეს იხმარს, სახლკარს გაყიდის და ცხედარს ჩამოასვენებს სოფელში და მამა-პაპათა გვერდით დამარხავს. საიდან არ ჩამოუტანიათ მიცვალებული, რუსეთის ყველა კუთხიდან, ციმბირიდან, შორეული აღმოსავლეთიდან, თვით კურილიის კუნძულებიდანაც კი ჩამოუსვენებიათ.

ყველას როდი ძალუძს შორეულში, უცხო მხარეში წასვლა, გზის გაკვლევა და ამ საკმაოდ რთული მოგზაურობის წარმატებით დამთავრება, მაგრამ გვარში, ნათესავებში, სოფელში მოინახება ფხიანი ახალგაზრდა, რომელიც უყოფმანდ გაუდგება გზას. ხანდახან კურიოზულ შემთხვევასაც გადაეყრება ხოლმე და მერე დიდი ხნის გასვლის შემდეგ იუმორით ჰყვება თავგადასავალს. ერთი ასეთი დუისელი ახალგაზრდა გურამი ამ საქმეში საკმაოდ გაინაფა და ყველა, ნათესავი თუ ნაცნობი, თხოვნით მიმართავდა დახმარებისათვის და ისიც, როგორც ზრდილობიანი და დაუზარელი, თანხმდებოდა ამ არცთუ სასიამოვნო დავალების შესრულებაზე.

ერთხელ შორეული ქვეყნიდან გადმოჰყავდა მიცვალებული, მოსკოვში თბილისის საღამოს რეისზე ბილეთიც ჰქონდა, კუპოც ბარგის შესანახ საკანში ედგა. ერთი სიტყვით, თავი ქუდში ჰქონდა, თბილისის აეროპორტში მანქანაც დახვდებოდა, უკვე მოგზაურობის ბოლო ეტაპზე იყო და ხალისიანად დასეირნობდა აეროპორტის დარბაზში.

ერთგან შეჯგუფებულ ხალხს მოჰკრა თვალი, ხმაურიანი შეძახილებიც ისმოდა და უსაქმური კაცის კვალობაზე დაინტერესდა და მიყიდა. აზარტული თამაში მიმდინარეობდა, ორნი თამაშობდნენ სათამაშო აპარატთან, ერთი რუსი იყო, ჩვეულებრივ ქერათმიანი

და მეორე – შავგვრემანი, კავკასიელი. რუსი იგებდა, მას წრიდან ექაჩებოდა ქალი, ეტყობოდა, მეუღლე იყო. რუსი გავიდოდა წრიდან, ცოლს ედავებოდა, ეტყოდა, ერთიც უნდა ვცადო, ბედი მწყალობსო და კვლავ ებმებოდა თამაში. ეს ისე ბუნებრივად გამოსდიოდა, რომ გურამს ეჭვიც კი არ აუღია, რომ ეს შეიძლება ბლეფი ყოფილიყო.

ერთი სიტყვით, კავკასიელმა წააგო, რაც კი ფული ჰქონდა. მოგებული წასვლას აპირებდა, რაკი მიხვდა, რომ პარტნიორს ჯიბე გამოუცარიელა, მაგრამ კავკასიელი წამოხტა, ირგვლივ მიმოიხდა, გურამს მიაშტერდა და პირდაპირ ჩეჩენურად მიმართა:

– მომეცი ფული, რაც გაქვს, ამას ეგრე მოგებულს ვერ გავუშვებ!

გურამი გაშტერდა, ისე მოულოდნელი იყო ყველაფერი, იფიქრა, ეს ახალგაზრდა მიცნობს, ეტყობა, კარგადაც მიცნობსო და დაუფიქრებად ამოიღო შემორჩენილი 300 დოლარი და მისცა. ჩეჩენმა ეს სამასი დოლარიც წააგო, წამოხტა კვლავ, ირგვლივ მიმოიხდა, მაგრამ თავისიანი ვერ მონახა.

რუსს კვლავ ექაჩებოდა ქალი, ის კი, ვითომც კიდევ უნდა თამაში, ფეხს ითრევდა. ახლა კი მიხვდა გურამი, რომ მის თვალწინ ბრწყინვალე აფიორა გათამაშდა. „ცოლ-ქმარი“ შეკრულები იყვნენ, მოთამაშებიც და გამთამაშებლებიც ერთი გუნდი იყო.

ეტყობა, ჩეჩენიც მიხვდა, სიბრაზისგან აცახცახდა:

– ამას ეგრე არ გავუშვებ, მუცელს გავუფატრავ!

– რას ამბობ, მოეშვი, დაგიჭერენ, ბევრნი არიან, თანაც შეკრულები იქნებიან მილიციასთან, მე ვერ მოგეხმარები, კუბო მაქსს საბარგოში მიბარებული, – უთხრა გურამმა, – თანაც ცუდი დროა, კავკასიელებზე ნადირობენ და ორივეს ჩაგვაყუდებენ.

– მართლა მიცვალებულს მოასვენებ? მეც მიცვალებულს მოვყვები, მაგრამ არც ბილეთი მაქვს და როგორც ხედავ, კაპიკიც არ მაპადია, შენც რომ შარში გაგხვიე, აი, ხათაბალა, მაგრამ რაღაცას მოვახერხებ, ცოტა მაცალე.

ჩეჩენი მიდგა-მოდგა, ვერავინ მონახა თავისიანი. ერთი ქალი

თურმე ისმენდა ამათ საუბარს, მივიდა და გამოელაპარაკა ჩეჩინუ-რად:

– რა, ტელეფონის ფულიც არა გაქვთ, ჯიგიტებო? თქვენც იტყვით, კაცები ვართო. ცხედრებს მოასვენებთ და შეა გზაზე გაიჩინეთ, ჩეჩინის სახელს არცხვენთ, ფული ვერ გიშოვიათ ამხელა კაცებს. აი, ტელეფონის ფული და ეს კი ტელეფონის ნომერი, დარეკეთ, აუხსენით თქვენი გაჭირვება და დაგეხმარებათ.

მაღლობა გადაუხადეს და დაურეკეს უცნობს. მან უთხრა, რომ საღამომდე ოფისში ვიქწები, წამოდით და ფულს მოგცემთო. ამ დროს წინ გავარდა უილბლო მოთამაშე და ვიღაც კაცი გააჩერა და ჩეჩინურად დაუწყო ლაპარაკი. კაცმა ამოილო ფული, გადათვალა, შეაზე გაყო და ნახევარი მისცა და წავიდა.

გურამი ეკითხება „იდეურ მეგობარს“:

- შენი ნათესავია, რა კარგ დროს შეგხვდა.
- პირველად ვხედავ, რა ნათესავი, რის ნათესავი.
- კი, მაგრამ, როგორ შეიტყვე, რომ ჩეჩინა?
- სიარულზე, გამოხედვაზე, დგომაზე შეატყობ ჩეჩენს, ჩვენ თავისუფალი ხალხი ვართ, ეს მაშინვე გვეტყობა.

ეს თქვა თუ არა, კვლავ წინ გავარდა, გამოეკიდა გრძელმოსასხამიან ახალგაზრდას და გააჩერა. გურამიც მიუახლოვდა. უილბლო მოთამაშე უხსნიდა, რომ ყაზახეთიდან მოდის, მიცვალებულს მოასვენებს, ფული გაუთავდა და დიდ გაჭირვებაშია. ახალგაზრდამ ჯიბეზე იტაცა ხელი, დოლარები გადაუთვალა, რეისზე მეჩქარება, მაპატიეთო და გაიქცა.

გურამი გაოცებული იყო. კი, იცოდა ვეინახების გაჭირვებაში თანადგომის ამბავი, მაგრამ ამჯერად გაკვირვებულიც იყო, ამაყიც თავისი ხალხის გამო, მაგრამ სინდისის ქენჯნასაც განიცდიდა, რადგან ატყუებდნენ ამ რაინდული ბუნების ხალხს. მაგრამ ჩეჩენი მოთამაშე აინუნშიც არ აგდებდა ამ ამბავს და გურამს თავისი ფული მისცა.

გურამი ეუბნება:

- მე ბილეთი მაქვს, თბილისში ჩავფრინდები და სახლში ვარ,

შენ დაიტოვე, შენ ხომ ბილეთიც არა გაქვს.

– დარდი ნუ გაქვს, მე არ დავიკარგები, ფულს ვიშოვი და ჩავალნევ სახლში..

ასე დაშორდნენ ახლდაძმობილებული ქისტი და ჩეჩენი ერთ-მანეთს, გურამი ამას მისთვის დამახასიათებელი იუმორით ჰყვება ხოლმე, ჩემი მონაყოლი მასთან რას მოვა, მაგრამ მე სხვა რამემ დამაინტერესა ამ ამბავში: როგორ იციან ერთმანეთის თანადგომა ვეინახებმა! და იმანაც, რომ რუსეთის სხვადასხვა ქალაქში როგორ იღუპებიან ლირსებისათვის ჩვენი ახალგაზრდები და როგორ აბა-რებენ მშობლიურ მიწას თავის ლირსეულ შვილებს ვეინახები.

როგორც ზემოთაც აღვწერე, ციხის სასაფლაოდანაც მოუპ-არავთ ქისტებს მიცვალებული, შუაზე გადაუჭრიათ ცხედარი და ისე ჩამოუტანიათ მიუვალი მთიდან, ქრისტიანულ სასაფლაოზე დამარხული ცხედარიც მოუპარავთ და ჩამოუსვენებიათ პანკისში. თუ ცხედარი უცხო მხარეში უპატრონოდ დატოვეს, დიდ სირცხ-ვილად ითვლება, იტყვიან, ის რა კაცია, თავის ცხედარი მშობლი-ური მიწისთვის ვერ მიუპარებიაო.

ყოფილა ადრე ისეთი შემთხვევებიც, როცა ქისტი ბავშვები სასწავლებლად მიუპარებიათ სათანადო სასწავლებელში სახელმ-წიფოს მზრუნველობის ქვეშ, სადაც აღიზარდნენ, მიიღეს შემდ-გომ უმაღლესი განათლება, დაწინაურდნენ სამსახურში, შეირთეს ქრისტიანი ქალები და მოსწყდნენ მშობლიურ მხარეს, მაგრამ საბოლოოდ მაინც არ გაუწყვეტიათ კავშირი ნათესავებთან. გარ-დაცვალების შემდეგ ოჯახმა, რა თქმა უნდა, ქრისტიანულ წესზე აღზრდილმა შვილებმა ქრისტიანული წესით დამარხეს მშობელი. მაგრამ ამ შემთხვევაშიც კი არ მიუტოვებიათ მიცვალებულე-ბი უცხო მხარეში, მოუპარავთ ცხედარი, შინ ჩამოუტანიათ და დაუმარხავთ.

შალიკო (შაბე) დუიშვილი პირველი მეაბრეშუმე ინჟინერი იყო საქართველოში. მეორე მსოფლიო ომის შემდეგ ხელმძღვანელობდა დამარცხებული გერმანიიდან ქარხნების დემონტაჟსა და საბჭოთა კავშირში მონტაჟს, კერძოდ, საქართველოში აბრეშუმის წარმოე-

ბის განვითარებას საძირკველი ჩაუყარა გერმანული ტექნიკითა და ტექნოლოგიის დანერგვით.

შ. დუიშვილი მაღალ თანამდებობებზე მუშაობდა, პირველი ცოლი ქისტი ჰყავდა, რომელთანც ქალ-ვაჟი შეეძინა. ცოლთან გაყრის შემდეგ შვილები თბილისში აღზარდა. მეორე ცოლი რუსი ჰყავდა, მასთანაც ერთი ვაჟი შეეძინა და ბავშვები თბილისში ერთად იზრდებოდნენ. პანკისთან კავშირი არდადეგებზე მცირე ხნით სტუმრობით იფარგლებოდა, ქისტურმა მენტალიტეტმა და ადათ-წესებმა თანდათან უკან გადაიწია, ქართველებს შორის, ქართველურ გარემოში იზრდებოდნენ და უკვე ქისტურად არც კი ლაპარაკობდნენ დედითა და მამით ქისტი და-ძმა. უნდა ითქვას, რომ უმცროსი ძმა, დედით რუსი, უფრო იყო დაკავშირებული მამეულებთან და როგორც კი დროს იხელთებდა, დუისში ჩამოდიოდა და ნათესავებს მოინახულებდა ხოლმე. თეზიკა ჯერ კიდევ საბჭოთა რეჟიმის დროს გავიდა საზღვარგარეთ და აშშ-ში დამკვიდრდა.

შ. დუიშვილი გარდაიცვალა. ნათესავები ჩავიდნენ თბილისში და დააპირეს მიცვალებულის დუისში გადმოსვენება და დაკრძალვა, მაგრამ მეუღლე და პირველი ცოლის შვილები წინააღმდეგი წავიდნენ. შეგონებამ, ხვეწნა-მუდარამ არ გაჭრა, ძალად ვერ წამოიყანდნენ მიცვალებულს, მაშინვე მილიციას დაუძახებდნენ. რას იზამდნენ, დაკრძალვას დაესწრნენ და სახლში დაბრუნდნენ.

არ გასულა სამი დღეც და დუისში, შ. დუიშვილის ძმის კარზე სამძიმარი შედგა. როგორც გაირკვა, ნათესავებმა საფლავი ამოთხარეს, კუბო ამოილეს, გახსნეს და ცხედარი გადმოასვენეს. შემდეგ კუბო ისევ ჩაუშვეს საფლავში, მიწა მიაყარეს, ყვავილებიც ისევე დააწყვეს, როგორც ადრე იყო და მიცვალებული სოფელში ჩამოიტანეს.

ხელმეორედ შედგა სამძიმარი, ამჟამად მაპმადიანურად, ქისტური ადათ-წესების დაცვით და დუისის სასაფლაოზე მიწას მიაპარეს. თბილისში გვიან შეიტყვეს მომხდარი, რას იზამდნენ, შეეგუენ მდგომარეობას, მხოლოდ საყვედური იკმარეს: რატომ არ გაგვაგებინეთ, ცარიელ საფლავზე რატომ გვაღვრევინეთ ცრემლიო.

სწორედ შაბეი დუიშვილის გზით წავიდა მისი ბიძაშვილი საბა დუიშვილიც. ის გახდა ქ. ქუთაისის რკინიგზის უფროსი, იქაური ქალი შეირთო და ქუთაისში დამკვიდრდა. მან თითქმის შეწყვიტა ურთიერთობა ოჯახთან, ნათესავებთან, იშვიათად ჩამოდიოდა დუისში. მხოლოდ ხვდებოდა ქუთაისში საქმეზე თუ სავაჭროდ ჩასულ ქისტებს, მასპინძლობდა მათ და თუ რაიმე პრობლემას წააწყდებოდნენ, ეხმარებოდა კიდეც. ჰყავდა ქართველი მეუღლე და ორი ქალიშვილი. ცხადია, ქალიშვილებიც ქართული ტრადიციით აღიზარდნენ და მამის გარდაცვალების შემდეგ კატეგორიულად წინ აღუდგნენ მის პანკისში დაკრძალვას. ქალიშვილებს ვერც გაამტყუნებდი, რადგან, ბუნებრივია, სურდათ, მამის საფლავი გვერდით ჰქონდათ, დაეტირათ და მოევლოთ. მაგრამ ქისტი ნათესავები სხვაგვარად ფიქრობდნენ, მათაც ჰქონდათ თავიანთი სიმართლე: ჩვენი სისხლი და ხორცია, მამა-პაპათა გვერდით უნდა დაიმარხოს, მაჰმადიანური წესისა და ქისტური ადათის მიხედვით. და შეასრულეს კიდეც ჩანაფიქრი: ღამით ამოთხარეს საფლავი, ცხედარი წამოიდეს, საფლავი ამოავსეს და მოაწესრიგეს, დუისში შედგა სამძიმარი და მამა-პაპათა სასაფლაოზე დაკრძალეს.

სხვათა შორის, ქისტურ თემს მოწყვეტილი ქისტების, სხვა ხალხის წეს-ადათებზე აღზრდილი შვილების გარდაცვალების შემდეგ ისეთი წესით, როგორც ზემოთ აღვწერეთ, გადმოსვენებაზე აზრთა სხვადასხვაობა არსებობს ქისტურ საზოგადოებაში. ბევრს მიაჩინა, რომ სხვა ხალხში დამკვიდრებულ, არაქისტურ ადათ-წესების მიმდევარი ქისტის გარდაცვალების შემდეგ უნდა დატოვო იქ, სადაც ცხოვრობდა, მოლვანეობდა, სადაც ახმარდა თავის ცოდნას, უნარს, შრომას, ცოცხალი სადაც ირჯებოდა, მკვდარიც იქ უნდა იხრწნებოდესო, – ამბობენ ისინი. მაგრამ ნათქვამია, ჩვეულება რჯულზე უმტკიცესიან და ქისტებიც არ იშლიან ამ, მართლაც, უჩვეულო ცხედრების ქურდობას.

დაუშვებელია მიცვალებულის გაძარცვა, მისი უპატრონოდ დატოვება. დაუწერელი კანონია დაღუპული მებრძოლის ბრძოლის ველიდან გამოტანა, არსებობს მრავალი მაგალითი, როცა

დალუპული მებრძოლის ბრძოლიდან გამოტანის დროს სიცოცხლე გაუწირავთ. როცა მტრის ზურგში რეიდებს აწყობდნენ, პირველ რიგში, აფრთხილებდნენ მებრძოლებს, რომ დალუპვის შემთხვევაში ცხედარს მიატოვებდნენ, რადგან შეუძლებელია მტრის ზურგ-ში დამარხვა. მაგრამ ასეთ დროსაც კი ცდილობენ სიცოცხლის საფრთხეში ჩაგდებით, დამალონ ცხედარი და შემდეგ გადმოიტანენ და დამარხავენ.

ქისტები მაინც ვაჟასებურად ფიქრობენ:

„მოძმენი დაიტირებენ
თავის მკვდარს თავის წესზედა,
მიაბარებენ სამარეს
მამა-პაპათა გვერდზედა...“





ქისტები


323



ქისტები იარაღით



ქისტი დედმამიშვილები
324



ქისტი მხედარი



ძველებური ქისტური ცეკვა



პატარა ქისტი მოცეკვავე



პანკისის ხანდაზმულთა ქორეოგრაფიული ანსამბლი,
ხელმძღვანელი გოგია ბალაკაშვილი



პანკისის პეიზაჟები







ძველი მეჩეთი სოფ. დუისში



ქისტური კარ-მიდამო



რელიგიური რიტუალი მოვლათი (მავლიდ)



„სააყა“ (პარასკევის მიცვალებულის შესანირი)



ქისტი პატარძალი ხელისმომკიდეებთან



ქისტი პატარძალი ბავშვებთან



ქისტი პატარძალი ქალიშვილებთან



ქისტი პატარძლის ცეკვა

სისხლის პატიება პანკისში







ქისტების დელეგაცია გროზნოში 1993 წ.



ინგუშები სტუმრად პანკისის ხეობაში



მიცვალებული
ქალის სუდარის
შეკერვა



მიცვალებული
ქალის
სუდარაში
გახვევა



ქელეხის სამზადისი



წვიმის ვედრების რიტუალი



პანკისის ეთნოგრაფიული მუზეუმი

გამომცემლობა „მერიდიანი“,

ალ. ყაზბეგის გამზ. №47

E – mail: meridiani777@gmail.com ტ. 239-15-22